საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
შრომების კრებული

II

თბილისი
2017

UDC (უაკ)

გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

1. **ფრანგიშვილ არჩილ** – თავმჯდომარე, აკადემიკოსი
2. **კლიმიაშვილი ლევან** – ვიცე-რექტორი, პროფესორი
3. **გასიტაშვილი ზურაბ** – რექტორის მოადგილე
4. **ქოქრაშვილი ქეთევან** – ადმინისტრაციის უფროსი
5. **ქუთათელაძე რუსუდან** – ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

1. **ბარათაშვილი ევგენი** - თავმჯდომარე, პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
2. **აბრალავა ანზორ** - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
3. **აბულაძე რატი**- ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
4. **ბერიკაშვილი ლია** - ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
5. **გრიგალაშვილი ლევან** - ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
6. **თაკალანძე ლარისა** - სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, სპიკერი
7. **იაშვილი გენადი** - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
8. **კოჭლამაზაშვილი ლელა** - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
9. **მეტრეველი მარინა** - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
10. **ქინქლაძე რუსუდან** - ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
11. **ყანდაშვილი თემურ** - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
12. **ყურაშვილი გუგული** -ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
13. **ჩიკვილაძე ნინო** - ასოც. პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
14. **ცაავა გიორგი** - პროფესორი, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი

ჟურნალში წარმოდგენილი მასალები იბეჭდება ავტორისეული რედაქციით

ISBN

Georgian Technical University
Faculty of Business Technologies

Globalization and Current Challenges in Business

International Scientific Conference Proceedings

II

Tbilisi
2017

UDC (უაკ)

Globalization and Current Challenges in Business

International Scientific Conference

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

1. **Prangishvili Archil-** Chairman, Academian
2. **klimiashvili Levan** - Deputy Rector, Professor
3. **Gasitashvili Zurab -** Deputy Rector, Professor
4. **Kokrashvili Ketevan** - Head of administrative, Professor
5. **Kutateladze Rusudan** - Dean Faculty of Bisines Technologies, Professor

კონფერენციის სარედაქციო საბჭო:

1. **Baratashvili Evgeni** - Chairman, Professor Faculty of Business Technologies
2. **Abralava Anzor** - Professor Faculty of Business Technologies
3. **Abuladze Rati** - Associate Professor Faculty of Business Technologies
4. **Berikashvili Lia** - Associate Professor Faculty of Business Technologies
5. **Grigalashvili Levan** - Associate Professor Faculty of Business Technologies
6. **Takalandze Larisa** - Professor, Speaker of Board Council of the Sokhumi State University
7. **Iashvili Genadi** - Professor Faculty of Business Technologies
8. **Kochlamazishvili Lela** - Professor Faculty of Business Technologies
9. **Metreveli Marina** - Professor Faculty of Business Technologies
10. **Kinkladze Rusudan** - Associate Professor Faculty of Business Technologies
11. **Kandashvili Temur** - Professor Faculty of Business Technologies
12. **Kurashvili Guguli** - Associate Professor Faculty of Business Technologies
13. **Cikviladze nino** - Associate Professor Faculty of Business Technologies
14. **Tsaava Giorgi** - Professor Faculty of Business Technologies

The Presented materials are printed according to the authors original way

ISBN

შინაარსი

სექცია III
ეკონომიკა, ეკონომეტრიკა, აბრობინესი და სტატისტიკა განვითარების თანამედროვე ეტაპზე

Arnold H. Kammel
The European Union in a Globalised World – Challenges and Perspectives 13
ასათიანი როზეტა
გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე 19
ახალია ნანა
საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის ტრენდები 27
ახობაძე ქეთევან
კულტურული მემკვიდრეობა როგორც ეკონომიკის დარგის განსაკუთრებული საშუალება 32
ბარათაშვილი ევეგენი, მაჭარაშვილი თამარ
სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების თავისებურებები გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის კონტექსტში 40
ბარკალაია ბესიკ, შაფათავა ნინო
ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა 45
ბადათურია გიორგი
შეფარდებითი უპირატესობის კონცეფცია და საქართველოს მომავალი 50
გალახვარიძე ნაირა, გუგავა ელდარ
ეკონომიკურ-ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, როგორც ცივილიზაციის განვითარების ფუძემდებელი ფაქტორი 55
გურამიშვილი მაია
ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა 63
ვაშაკიძე ანა
კულტურული მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება 67
თოფჩიშვილი მარინე
სურსათის სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიკაციისა და უვნებლობის ასპექტები 74
კელენჯერიძე მერაბ
ВОСТРЕБОВАННАЯ АКТУАЛЬНОСТЬ БУМАЖНОГО И БИОМАССОВОГО ПРОИЗВОДСТВА В ЗАКАВКАЗСКОМ РЕГИОНЕ 78
ლაგვილავა თამარ, კერესელიძე შალვა
კლასტერული პოლიტიკა და ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური განვითარება 82
კოღუაშვილი პაატა, ზივზივაძე ლაშა
სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინსტიტუციური ფაქტორების შედარებითი ანალიზი საქართველოს და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითებზე 86
კოღუაშვილ პაატა
კონკრეტული ქვეყნის მიწას გლობალური გამზომილება აქვს 91
მაზიაშვილი ნინო
საქართველოს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი მნიშვნელობა 97
მარტიაშვილი მაია
ბიზნესის სუბიექტის (კომპანიის) ფინანსური აქტივებით შეფასება 103
ოთინაშვილი რამაზ
ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის ტექნოლოგიები 108

ონიანი ივლია
სამომხმარებლო ფასების ინდექსის შეფასებების ანალიზი საქართველოში.....114
რაჟამაშვილი ნინო
რა შეიძლება გავითვალისწინოთ სინგაპურის აგროეკონომიკური მოდელიდან..... 120
სიჭინავა ალექსანდრე, სეხნიაშვილი დალი
„ლურჯი ეკონომიკა“ მდგრადი განვითარებისკონცეფციის კონტექსტში..... 124
ტაბატაძე გოდერძი, ლობჯანიძე გელა
საქართველოს ინოვაციური განვითარების აქტუალური სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტები..... 131
ტაბატაძე მარინა
ეკონომიკური რყევების პრევენციის სახელმწიფო მექანიზმები..... 140
შენგელია რევაზ, წიკლაური-შენგელია ჟუჟუნა, შენგელია ნათია
როგორ გავხადოთ საქართველო ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად..... 146
ქაჯაია მანანა
ზოგიერთი ასპექტი ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედებაში 152
ქავთარაძე ნინო
პრივატიზაცია - შედეგები და მიღწევები საქართველოში.....157
ჩეჩელაშვილი მაია, ჯინჯიხაძე ლაშა
ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ახალი ეკონომიკის გაზომვის ინსტრუმენტი. 160
ჩიკვილაძე ნატო, იაკობიძე ნაზიბროლა
საინოვაციო მდგომარეობა საქართველოში არსებული ვითარება ანალიზი და პერსპექტივა.....165
ჩიკვილაძე ნინო
ბაზრის სუბიექტების ქცევა ექსტრემალურ ეკონომიკურ პირობებში..... 169
ცანავა ნოდარ
შრომის მართვის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკაში (საქართველოს მაგალითზე).....175
ცანავა ნოდარ, ბოკუჩავა ჟუსტან
საქართველოს კონკურენტული ელექტრობაზარის ფორმირების პრობლემები.....181
ჭანია მაია
საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პრობლემები გლობალურ გარემოში 185
ჭიკაიძე ნაზი
ეკონომიკურ თავისუფლებასთან თავსებადი სოციალური სახელმწიფო..... 189

სექცია IV
საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

აბრალავა ანზორ, კერესელიძე ლევან
ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილების განაწილება.....195
აბრალვა ანზორ, გოდერძიშვილი ბელა
სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობის რეალიზაციის ძირითადი ფორმები და ეკონომიკური მექანიზმები..... 201
აბრალვა ანზორ, ჯორბენაძე ზურაბ
სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორული ურთიერთობის საკითხისათვის.....207
აბულაძე რატი, ყურაშვილი გუგული, კაკულაშვილი ზოია
ციფრული ეკონომიკის ეკოსისტემა საქართველოში.....215

ამყოლაძე გურამ, დევიძე თამარ
პერსონალის დაგეგმვის პრობლემები....223
ბენია ირინა
აგროტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში....230
ბერიძე თამარ, ნუცუბიძე რუსუდან, ჟორჟოლიანი გიორგი
დეკრეტული შვებულების რეგულირება სახელმწიფო და კერძო სექტორში....233
დოდონაძე შოთა, დოდონაძე სოფიო
საჯარო მმართველობის პრინციპები და ორგანიზაციების ფუნქციონირების რეგულირება....238
თევდორაძე ოთარ
ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა დიფერენცირების პრობლემა....244
იაშვილი გენადი, ებრალიძე გია
სახელმწიფო ინსტიტუტის, სამოქალაქო საზოგადოების და მათი ურთიერთქმედების ფუნქციების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პირობებში....249
იაშვილი გენადი, ცომაია ლაშა
კორუფციის ანალიზი საჯარო სამსახურში და ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესი....253
კაპანაძე ლალი
გლობალიზაცია და ეროვნული იდენტობა....257
კატუკია ვალერი
ინსტიტუციურ-მმართველობითი ცვლილებების გამოწვევები და პრობლემები ბიზნესის სფეროში....262
კლიმიაშვილი დავით
ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აქტუალური საკითხები....266
მაჩიტიძე თამაზ
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები....270
მგელაძე ანტონ, მჭედლიშვილ ნინო
ნეიროინფორმაციული სისტემები....275
ღამბაშიძე თამარ
ორგანიზაციული კულტურისა და ქცევის დინამიურობა....283
მაისურაძე თეონა, ეძგვერაძე თეონა
ორგანიზაციული ქცევის მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში გლობალიზაციის კონტექსტში....288
მენაბდე-ჯობაძე ელენე
ბრექსიტის გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები....293
ონიანი მერაბ
პერსონალის მართვის პრინციპები....298
რუსაძე ნანა
საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხისათვის (ტერიტორიული ასპექტები)....303
კაკულაშვილი ზოია
თვითდახმარების ინსტიტუტის შედარებითსამართლებრივი ანალიზი....310
სოლომნიშვილი დავით
ხელოვნება და თანამედროვეობა....316
ინასარიძე ლელა
ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოებრივ მართვას სრულყოფა სჭირდება....319

ფიფია ნინო
ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება 326
ქათამაძე ნატო
გლობალიზაცია, რეგიონალიზმი და მუნიციპალური განვითარება..... 331
ქინქლაძე რუსუდან, ბენ იაკოვ რივკა
კიდევ ერთხელ მიგრაციის არსის შესახებ..... 335
ქოქრაშვილი ქეთევან, გორგაძე ლაშა
საწარმოს პარტნიორის გარიცხვის საკანონმდებლო პრობლემა ქართულ საკორპორაციო სამართალში 340
ჩაჩანიძე გიორგი
დანაშაულის ფსიქოლოგია და პრევენცია..... 346
ჭიაურელი ვანო, სტრელკოვა რუსუდან
რეკლამისადმი ყურადღების მიპყრობის ფსიქოლოგიური ასპექტები 350

CONTENTS

Section III
Modern Stage Development Statistics of at Economics, Econometrics and Agro Business

Arnold H. Kammel
The European Union in a Globalised World – Challenges and Perspectives 13
Asatiani Rozeta
Epochal global process of globalization and Georgia facing new challenges 19
Axalia nana
Labour Migration Trends of Georgian Population 27
Axobadze Ketevan
Cultural heritage as an important sector of the economy 32
Baratashvili Evgeni, Macharashvili Tamar
Business development features in the context of the Global Competitiveness Index in the South Caucasus Region 40
Barkalaia Besik, Shapatava
Basic principles of sustainable use of exhaustibla natural-recreational resources 45
Bagaturia Giorgi
The Concept of Comparative Advantage and the Future of Georgia 50
Galakhvaridze Naira, Gugava Eldar
Economic and ecological balance as a fundamental factor in the development of civilization 55
Guramishvili Maia
Economy safety policy 63
Vashakidze Ana
Cultural heritage and sustainable development 67
Topchishvili Marine
Aspects of the food consumer market falsification and safety 74
Kelenjeridze Merab
Importance of actuality of paper and bio mass production in Caucasian region 78
Lagvilava Tamar, Kereselidze Shalva
Cluster Policy and Develop Innovative of EU Countries 82
Koguashvili Paata, Zivzivadze Lasha
Comparative Analysis of Institutional factors of Agricultural Cooperatives in Georgia and Czech Republic. 86
Koguashvili Paata
The Land Of CONCRETE Country Has AGlobal Dimension 91
Maziashvili Nino
Increase of National Competitiveness of Georgia and Its Importance 97
Martiashvili Maia
Assess the financial assets of the business subject (company) 103
Otinashvili Ramaz
Techologies of business procedures reengineering 108

Oniani Ivlia
Analysis of assessment of consumer price index in Georgia 114
Rajamashvili Nino
What can we take into consideration from the agro-economic model of Singapore? 120
Sichinava Aleqsandre, Sexniashvili Dali
"Blue economy" in the context of sustainable development concept 124
Tabatadze Goderdzi, LobjanidzeGela
Current socio-economic aspects of innovative development of Georgia 131
Tabatadze Marina
Country's mechanisms for prevention of economic shocks 140
Shengelia Revaz, Tsiklauri-Shengelia Jujuna, Shengelia Natia
How To Make Georgia The Most Attractive Country for 146
Kajaia Manana
Some aspects of Ekaterine Gabashvili`s work 152
Kavtaradze Nino
Privatization- Results and Achievements in Georgia 157
Chechelashvili Maia, Jinjikhadze Lasha
The Social Responsibility of Business as a Tool for Measuring the New Economics 160
Chikviladze Nato, Iakobidze Nazibrola
Innovative condition in Georgia: Recent situation, analysis and future perspective 165
Chikviladze Nino
Behaviour of market subjects in extreme economic conditions 169
Tsanava Nodar
Labor management problems in the economy of the country (on the example of Georgia) 175
Tsanava Nodar, Bokuchava Justan
Problems of Creating Competitive Electricity Market in Georgia 181
Chania Maia
Problems Of Georgian Economic Integration In To The Global Environment 185
Chikaidze Nazi
Social State Compatible with Economic Freedom 189

Section IV
Modern Challenges in Public and Electrical Management

Abralava Anzor, Kereselidze Levan
Function and power distribution among local self-government bodies 195
Abralva Anzor, Goderdzishvili Bela
Key forms and economic mechanisms for realization of state investment activities 201
Abralva Anzor, Jorbenadze Zurab
State and Private Partnership 207
Abuladze Rati, Khurashvili Guguli, Kakulashvili Zoia
Digital economy system in Georgia 215
Amkoladze Turam, Devidzes Tamar
Human Resources Planning problems 223

Benia Irina
The Role of the Agritourism in the Development of Georgian Economics....230
Beridze Tamar, Nutsubidze Rusudan, Jorjoliani Giorgi
Maternity Leave Regulaition in Public and Private Sector 233
Dogonadze Shota, Dogonadze Sophio
Principles of public administration and regulation of functioning of organizations....238
Tevdoradze Otar
Local Self Government Authority Problems 244
Iashvili Genadi, Ebralidze Gia
State Institutions, Civil Society, and Their Interaction With the Transformation In the Context of Globalization 249
Iashvili Genadi, Tsomaia Lasha
Analysis of corruption in public service and the process of developing anticorruption policy 253
Kapanadze Lali
Globalization and National identity....257
Katukia Valeri
Challenges of the institutional-administration changes and problems the field of business....262
Klimiashvili Davit
Topical issues of the jurors court....266
Machitidze Tamaz
Challenges of the institutional-administration changes and problems the field of business....270
Mgeladze Anton, Mchedlishivli Nino
Neuro information systems....275
Gambashidze Tamar
Dynamics of organizational culture and behavior 283
Maisuradze Teona, Edzgveradze Teona
Main issues of organization behavior in Georgia the context of globalization 288
Menabde-Jobadze Elene
Causes of Brexit and expected results 293
Oniani Merab
Staff management principles 298
Rusadze Nana
On the issue of enhancing the effectiveness ofpublic administration (Territorial Aspects) 303
Kakulashvili Zoia
Comparative law analysis of self-help institute....310
Solomnishvili Davit
Art and Modernity 316
Inasaridze Lela
Healthcare Management Requires Improvement 319
Pipia Nino
Legal Regulation of the Contract Withdrawal Institution....326
Katamadze Nato
Globalization, regionalism and municipal development 331

Kinkladze Rusudan, Ben Iakov Rivka
Once again about the essence of migration of the population 335
Kokrashvili Ketevan, Gorgadze Lasha
Issues Related to the Exclusion of a Partner from the Enterprise in
Corporations Law of Georgia 340
Chachanidze Giorgi
Psychology of crime and prevention 346
Ciaureli Vano, Strelkova Rusudan
Psychological aspects that draw attention to advertising 350

The European Union in a Globalised World – Challenges and Perspectives

Arnold H. Kammel
Austrian Institute for European and Security Polisy (AIES)

Across Europe, globalisation has mainly been connoted negatively to changes in the environment of people without proper reflecting on the term as such. The term 'globalisation' was made popular by the U.S. trend researcher John Naisbitt (1982) and describes the process of international integration arising from the iinterdependence in different areas such as economy, politics, culture, environment, communications, etc. between individuals, companies, institutions and governments via the advances in transportation and telecommunications infrastructure, including the rise of the telegraph and its posterity the internet. However, although very often perceived as a purely economic and societal phenomenon, globalisation has also changed the geopolitical landscape.

Also, the European Union (EU) with its more than 500 million inhabitants as a regional entity is embedded in the process of globalisation. Already in the 1990s, the EU has been termed by the then Belgian Foreign Minister Eyskens as 'economic giant, political dwarf and a military worm'. The new globalised world also poses a variety of challenges as far as the integration of Europe is concerned. They mainly relate to the relative weakening of its influence in the international arena. Even though Europe is still the world's leading economic and trade power it is suffering the systematic erosion of its global importance. Facing not only external challenges, such as globalisation and various crises and conflicts in its immediate neighbourhood, but also internal challenges, such as populism, an anti-establishment/ European movement as well as the Brexit debate, the question arises which position the European Union can overtake in a globalised world.

Therefore, this paper assesses the changes in the global order as a consequence of globalisation, looks into the economic developments in the same period and answers the question which role Europe should play in what the new EU Global Strategy (EUGS) stated as 'a world of predictable unpredictability.' (EUGS 2016: 46). In order to do so, the paper will start by a historic assessment of the developing global order and Europe's position herewith, followed by an assessment of the main economic changes in a similar timespan leading to Europe's current strategic ambitions and concluding with an outlook of Europe's future role.

1. In search of a global order[1]

In the first half of the 1990s, it seemed as if a model for global order emerged which was called 'unipolarity'. At that time, the USA were considered as the only superpower. Russia, however, could not rely on power resources as the Soviet Union once did. The Iraqi invasion in Kuwait in 1990 and the subsequent Gulf war underlined the inherent instability of the Gulf region, the Middle East and the USA. In Asia, the economic development of China became increasingly dynamic and influential in the Asia Pacific region. However, the global influence of China was still at an early stage.

Central and East European states started a phase of remarkable transition as concerns their economic and political systems. Meanwhile, disintegration and war were coming to the Balkans, with long

[1] This section is strongly based on Algieri/Kammel (2009).

lasting consequences for the stability of the region. This was the time when Charles Krauthammer called for 'unipolar moment', characterized by the leading role of the United States as a shaping global actor (Krauthammer 1991: 33).

In the then West European integration area a new political project, the European Union and linked herewith the Common Foreign and Security Policy (CFSP) were conceptualized. High expectations concerning the creation of a European security structure aside of its economic power, including a corresponding influence for a global structure, became part of that process. Such expectations did not only exist in European, but also in non-European states

The second half of the 1990s was, consequently, marked by searching a model and at the same time new security political challenges emerged. Several Asian states were hit by a financial crisis with consequences lasting into the new millennium, as could be witnessed in the case of Japan. However, the rise of China continued and the People's Republic turned into the dominant power in Asia. In Europe, the Kosovo war in 1999 forced the member states of the EU to face the use of military force. Following the agreement to establish a European Security and Defence Policy (ESDP), it became clear that the concept of a Union relying purely on civilian power had vanished.

At the end of the 20st century, conflicts could no longer be reduced merely to conflicts between states. It had become obvious that a comprehensive understanding of security was necessary, including a wide variety of topics ranging form military to non-military topics, referring both to state and non-state actors. Searching for a structuring model for international relations in the post-bipolar world meant for governments to consider an increasing complexity, while being structurally at a loss. This situation continued also in the beginning of the 21st century. The terrorist attacks of 9/11 in the United States and the following wars in Afghanistan and Iraq worked in favour of confrontational constellations. Transnational terrorism and security challenges, like the proliferation of weapons of mass destruction, had become main threats to international security. Again Charles Krauthammer took up the concept of unipolarity, comparing liberal institutionalism with a realist approach based on power politics, attributing a leading role to the USA in a unipolar order. 'I would argue that unipolarity, managed benignly, is far more likely to keep the peace.' (Krauthammer 2002/03: 14). Following the realist approach, American power should be used for the interest of other states. 'The unipolar moment has become the unipolar era' (Krauthammer 2002/3: 17).

Although facing similar challenges, also the transatlantic relations underwent difficult times. With respect to the European reaction to the foreign policy strategy of the United States during the George W. Bush administration it could be observed that the member states of the EU were split. As a consequence of the different European approaches towards the war in Iraq, Donald Rumsfeld, US Secretary of Defence, divided Europe into an old and new Europe, showing the rift between European nations. But not only the enlarging EU was confronted with serious debates on how to move ahead and meet the new challenges, also NATO continued its search for a new identity and legitimacy, and it seemed that enlargement was considered to be the tool for further strengthening of the Alliance. But the decisive question remained unsolved: Should its expansion and the scope of security interests be limited in Europe to the space between the Atlantic and the Urals, or should the object of ensuring this zone of peace be the foundation for building a more stable and peaceful world society as envisaged in the Truman Doctrine and the Marshall Plan? (Kolodziej 2003: 10). Furthermore, the decreasing defence budgets and the unwillingness of the Europeans to commit to a credible security and defence policy, American distrust and American reluctance to support the Europeans in dealing with their challenges in the neighborhood increased leading even to a question of the value of the transatlantic alliance by senior government officials of the new American Administration.

On European soil, as a consequence of the enlargement of the EU from 15 to 28 member states and a non-adequate institutional and procedural deepening of the system, the EU entered into a fundamental

reform and identity crises. The fundaments of the Maastricht Treaty, the Economic and Monetary Union as well as CFSP and CSDP were confronted with severe challenges and showed European disunity in how to overcome internally the divergent opinions between the member states. Externally, Russia had regained power and developed into a strong actor, not least due to its natural resources and the energy political card that could be played. The Russian actions in Georgia 2008 and Ukraine 2014/15 have clearly underlined its new geostrategic ambitions. Moreover, those Asian states that were hit by the financial crisis could recover step-by-step. Especially China's development entailed growing global influence. Large parts of Africa were more and more unstable, demanding specific attention from the Western world. According to Samuel Huntington globalisation had caused crises of different kind, i.e. of identity, authority and demography, and he asked whether an era of confederations could be a solution to reduce violence caused by different sources (Huntington 2000: 10).

At the end of the first decade in the new millennium, old and new patterns of the post-bipolar could be found (see amongst others Grant 2009, Hacke 2009). As one consequence of the financial and economic crisis that started in 2008, aspects of geopolitical relevance need to be considered and have partly shown the structural and economic weaknesses of the USA and other Western countries having far reaching impact on the search of an international order.

Generally, it is assumed that although in the second half of this century, the United States and China will compete for the role of the leading power, it is still the United States to best combining diplomatic, economic and military capacities and capabilities to influence international cooperation in a decisive manner. Besides, keeping up international stability will also depend on American influence and American willingness to engage. But this should not create an illusion, and restraining factors have to be considered. The return and further strengthening of economic power of China and India can cause a corresponding decrease of American economic power. Apart from that, the attractiveness of a Western model, especially of an American model, promoting democracy and peace, is getting weaker, especially in developing countries. In a setup of transnational challenges, a unipolar strategy, focussed on the USA is put into question.

As concerns the EU, the stagnating reform process has negative implications for the Union's capabilities to shape international relations. Diverging foreign policy interests of the member states combined with limitations in the fields of CFSP and CSDP hamper the acceptance of the EU by other major powers. Here, the so-called BRICS (Brazil, Russia, India, China, South Africa) are of growing importance. This was best described by Timothy Garton Ash stating that Europe is seen by other major powers as a "Fly-over country. An old people's home. A continent choosing irrelevance. An international actor in a state of strategic confusion. Weak, divided and hypocritical. Perhapsburg." (Garton Ash 2009). The strategic confusion even became larger when in 2016 the British population voted in favor of the Brexit, meaning to leave the European Union by 2019. The Brexit debate has therefore overshadowed all necessary debates on the future of Europe which would include the unavoidable definition of the strategic ambitions and also the level of engagement of the EU and its member states.

2. The changing economic landscape

For decades, the transatlantic partnership between Europe and the USA has been the cornerstone of the world economy and is the largest in the world. With a population over 500 million, the EU is the world's largest trading power, has 61% more consumers than the US while the personal wealth of Europeans, combined with the largely open internal market that now exists in the world makes the EU the wealthiest market in the world. The EU has moreover developed an extensive network of both bilateral and multilateral trading networks and treaties based on proximity (Eastern Europe, The Mediterranean), colonial ties (parts of Africa and Asia especially) and of expediency (the US and Japan). Above all, the EU has been the most important source of aid to the south by having institutionalized relations with 90 of the world's poorest countries (OECD 2016).

However, the international financial and economic crisis of the year 2008 and afterwards has had a profound impact on the politics of international economic relations. When looking into the mere numbers (see here in detail Patten 2016), the U.S. contributed 21.2% of total global economic output in 1970. This remained consistent until the year 2000. In every year since, with one exception, America's percentage of the world's economic output has declined. In 2015, the U.S. contributed 16.7% of the world's economy. By 2025, this is expected to fall to 14.9%.

At the same time, we witness an exceptional rise in China's economy. In 1970, China was responsible for a mere 4.1% of the total. This rose to 15.6% in 2015. In 2025, China's contribution to the global economy is projected to be 17.2%. Since 1990, China's percentage of total global output has risen every year with one exception (1998), when it fell by one percent. There are clear indication that by 2018 China's economic contribution is projected to surpass the U.S (Ibid 2016).

Also, Europe's economic contribution to global GDP is rapidly declining. This is not so much due to the fact that Europe's economy has shrunk, but the rest of the world is growing faster. India is gaining economic influence but still has a long way to go. In 2015, India's contribution to global GDP was 6.7%. This is expected to rise to 8.7% by 2025. One of the most significant observations is that large developed economies are becoming less significant while smaller, emerging economies are gaining power. This is not a complete surprise as smaller economies are much more adjustable than large ones. Besides the growing importance of new actors, still, today, the EU and the US economies account together for about half the entire world GDP and for nearly a third of world trade flows. EU imports from the USA amounted to 246,8 billion Euro, whereas the exports amounted to 362 billion Euro as of 2016. The trade in services witnessed 212,8 billion Euro in imports and 225,8 billion Euro in exports. A joint agenda and close trade relations between the EU and the USA will remain a key to the global economy as they will further be highly dependent on free trade and open markets. However, there are currently protectionist/isolationist signals from the USA as in the case of the TPP and TTIP. Besides its economic impact, it also means in political terms that broadly speaking the West might not be any longer in the position to set the rules and standards for global economy and will have to stronger engage with other emerging actors.

Therefore, not only from an economic perspective, Robert Kagan does not see necessary European capabilities for shaping events: "The future of international order will be shaped by those who have the power to shape it. The leaders of a post-American world will not meet in Brussels but in Beijing, Moscow, and Washington." (Kagan 2007: 4). This assessment becomes even more obvious when looking Europe's strategic ambitions.

3. Europe's lacking strategic ambitions

Looking at the EU in a two level dimension, i.e. concerning on the one level the systemic nature of the Union with all its related complexity, and on the other the Union's performance as an international actor, it soon becomes clear that the analysis of the one cannot be conducted without considering the other. Consequently, a rather high complexity of interwoven actors, institutions and procedures determines the degree to which the EU can contribute to establish a structural model with global relevance. Above all, due to the undefined final destiny of European integration, the EU member states are driving EU's ambition to act on the international scene.

The EU's internal strategic ambitions debate started with the European Security Strategy (ESS) of 2003 in which for the first time a strategic assessment of the geopolitical developments were made. The EU should have been more active, more coherent and more capable. High importance is given to a preventive policy, in order to avoid the escalation of a crisis or conflict. Even though a global perspective can be recognized in the ESS, the geographic priority is placed upon the EU's neighbourhood. Cooperation with major powers and international organizations is understood as an essential part of European foreign policy.

After five years, the Report on the Implementation of the ESS was issued recalling in large parts what was laid down five years earlier in the ESS. Both documents form a reference framework expressing political ambitions without binding character for the EU member states and without really substantially defining European interests.

In 2016, however, a new European Global Strategy (EUGS) was presented by the High Representative Federica Mogherini which states that a stronger Europe is needed as a consequence of a more complex, more connected and more contested world. Resilience becomes the new buzzword within the strategy and partnerships continue to form an essential pillar of Europe's strategic actions. The caveat now is nonetheless of how to translate the words of the EUGS into concrete deeds. The EU has so far been engaged in more than 30 crisis management operations, mainly in its immediate neighbourhood and Africa but also often lacked to translate its commitment into political influence in those regions in order to better shape international agendas. Therefore, although a gradual improvement of its common foreign, security and defence policy can be witnessed, the EU still lacks the ability to project its vision of the global order properly.

4. Which way ahead?

As it has been stated, the EU is confronted with a broad range of challenges that affect also its ability to shape the global agenda. While the EU in economic terms has always been a 'superpower', especially in terms of its world trade share, it has also in political terms begun to emancipate itself increasingly from a 'political dwarf' to a respected political 'global player'. This position is however challenges by a variety of actors that want to increase their stake on the international scene. Europe's supremacy in world trade, slowly begins to crumble because new dynamic emerging markets - especially China - the place of the 'export world champion' (Breuss 2014: 56). Despite this loss of economic and political influence, there is no denying that the EU possesses a wide array of strengths to play a definite role in world affairs. The attraction of the European model is aside of all its shortfalls still high outside the European Union. However, Europeans often lack the ability to bring their horsepower on the road as a consequence of its incoherent policies and heterogeneous interests and a lack of leadership.

In an unpredictable and more inward looking global environment it will be important for the EU to better define its interests and to shape the global agenda with partners subscribing to a similar set of vision and values. As main international partners, such as the USA, seem to turn inward to design and implement adjustments and reforms, they are likely to be less conciliatory, less willing to forgo immediate national advantage for long-term global improvements. And this will make it more difficult to find the common ground and feasible compromises necessary to permit more international agreements. Not only, then, will major governments be less willing to make compromises with their commercial and financial interlocutors, but they will be less able to find a bargaining space that would make such compromises relatively easier to achieve (Frieden 2009: 9).

In order to shape globalisation best, it will be necessary for the EU and its member states to define the level of ambition and to agree for the necessary political will to put this level of ambition into action. If that is not done in a proper manner, Europe's position will be taken over by other international actors and the EU risks to end up in strategic irrelevance on an international stage.

References:

1. Algieri, Franco/Kammel, Arnold 2009: In search of structure: the EU's foreign policy strategy against the background of a missing global order, in: European View, Vol. 8, No. 2, 285-292.
2. Breuss, Fritz 2014: 'European Union in a Globalised World' In: Kyriakos N. Demetriou (Ed.): The European Union in Crisis: Explorations in Representation and Democratic Legitimacy. Springer Verlag, Heidelberg, 2014.
3. Frieden, Jeffry 2009. 'The crisis and beyond: Prospects for international economic cooperation.' PEGGED Work Package 1 (International Macroeconomic Governance), Policy Paper No. 5.
4. Garton Ash, Timothy 2009: We need a European foreign policy. Improbable? Yes. Impossible? No, The Guardian, 13 May 2009.
5. Grant, Charles 2009: Winners and losers in the new geopolitics. London: Centre For European Reform, Bulletin, Issue 66, June/July.
6. Green, Mike: The Legacy of Obama's 'Pivot' to Asia. In: Foreign Policy, 26 September 2016.
7. Hacke, Christian 2009: Weichzeichnung der Weltlage. Herausforderungen an eine neue Außenpolitik. Konrad-Adenauer Stiftung. In: Die Politische Meinung, Nr. 476, 17-22.
8. Huntington, Samuel P. 2000: Die Weltordnung im dritten Jahrtausend. In: Die politische Meinung, Nr. 363, 5-10.
9. Kagan, Robert 2007: End of dreams, return of history. Hoover Institution. http:// http://www.hoover.org/publications/policyreview/8552512.html [03.08.2007].
10. Kolodziej, Edward A. 2003: NATO and the Longue Durée, in: Krupnick, Charles (ed.): Almost NATO, Oxford, 1-16.
11. Krauthammer, Charles 1991: The unipolar moment. In: Foreign Affairs, Vol. 70, No, 1, 23-33.
12. Krauthammer, Charles 2002/03: The unipolar moment revisited. In: The National Interest, Winter 2002/03, 5-17.
13. Naisbitt, John 1982: Megatrends: Ten New Directions Transforming Our Lives, Warner Books, New York.
14. National Intelligence Council 2008: Global Trends 2025. A Transformed World. Washington DC.
15. OECD Factbook 2015-2016.
16. Patton, Mike 2016: China's Economy Will Overtake The U.S. In 2018, in: Forbes Online, 29 April 2016.
17. Smith, Michael 2007: The European Union and international order. European and global dimensions. In: European Foreign Affairs Review, Issue 4,12, 437-456.

გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი და საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე

ასათიანი როზეტა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

აბსტრაქტი

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მსოფლიოში წარმოქმნილმა ღრმა სისტემურმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა ჯერ წანამძღვრები შექმნეს, ხოლო 60-იანი წლებიდან საფუძველი ჩაუყარეს გლობალიზაციის წარმოშობას, 90-იანი წლებიდან კი, მსოფლიოში ელვისებურად განვითარებულმა მოვლენებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენეს ეს ეპოქალური პროცესი.

გლობალიზაცია დღეს მსოფლიოში ინტენსიური განხილვის თემაა. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში „გლობალურ საკითხთა ფორუმიც" კი დაარსდა, სადაც ტარდება სადისკუსიო შეხვედრები მეცნიერებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ა.შ. ამ ფენომენისადმი ესოდენ დიდი ინტერესი გამოწვეულია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მწვავე პროცესებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ცალკეული ქვეყნების მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავებას.

გლობალიზაციამ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციის გაღრმავების საფუძველზე, კანონზომიერი ხასიათი მიიღო. იგი, პირველ ყოვლისა, მსოფლიოს ახალი წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში გამოიხატა, რამაც ხელი შეუწყო ცალკეულ ქვეყნებში ღია საზოგადოებების ჩამოყალიბებას.

ნაშრომში გაშუქებულია გლობალიზაციის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტების გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, განსაკუთრებით, ტრანზიტულ ქვეყნებზე, მათ შორის, საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაზე.

ძირითადი ცნებები

გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი. ახალი მსოფლიო წესრიგი. სამოქალაქო საზოგადოება. ღია საზოგადოება. ნეოგლობალიზმი. „მესამე სამყაროს" ქვეყნები. „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო". კეთილდღეობის სახელმწიფო.

გლობალიზაციის ეპოქალური პროცესი ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე, გარკვეულწილად განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკასაც. დღეს საზოგადოებრივი განვი‖თარების მნიშვნელოვანი ნაწილი გლობალურ პროცესებზეა დამოკიდებული.ამიტომ გლობალიზაცია, თავისი პოზიტიური და ნეგატიური ეფექტებით, მეთოდოლოგიურ ასპექტში გაანალიზებასა და განზოგადებას მოითხოვს.[1]

გლობალიზაციის წარმოშობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი და, შეიძლება ითქვას, წანამძღვრები მოამზადა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან მსოფლიოში დაწყებულმა სისტემურმა პროგრესულმა ცვლილებებმა, რაც გამოიხატა: 1. 40-იანი წლებიდან „კეინზიანური რევოლუციის" საფუძველზე, მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და ინდივიდუალური კონცეფციის ბატონობის ეპოქის, ე.წ. „ველური" კაპიტალიზმის ევოლუციური გზითსოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაში გადაზრდის უკუქცევადი, პერმანენტური პროცესის დაწყებაში; 2. 50-იანი წლების IIნახევრიდან მეცნიერულ-ტექნიკური (რომელიც შემდეგ ტექნოლოგიურში გადაიზარდა) რევოლუციის დაწყებაში; 3. 1953 წელს, გაეროს 1948 წლის საერთაშორისო სტანდარტული დარგობრივი კლასიფიკაციის პროექტის საფუძველზე, გაეროს ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შექმნასა და მსოფლიო მასშტაბით, ქვეყნების საერ-

[1]**Asatiani R.** Globalization and Economic. Theory. "The Caucasus and Globalization". Vol. 2(1), Sweden, 2008.

თაშორისო შესადარისობის დამკვიდრებაში, ანუ მსოფლიო ეკონომიკის ციფრების ენით ამეტყველებაში; 4. რეალურ სექტორთან შედარებით, მომსახურების სექტორის პრიორიტეტულ განვითარებაში; 5. ინფორმაციული ეკონომიკის წარმოშობისათვის წანამძღვრების შექმნაში, დაბოლოს, აღნიშნულიდან გამომდინარე, დამაგვირგვინებელი მოვლენის – 60-იანი წლებიდან ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდაში. კაცობრიობის განვითარების ამ თვისებრივ ნახტომში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მან ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას ბიძგი მისცა. აღსანიშნავია ისიც, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლებში საერთაშორისო ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციამ (რაც უკავშირდება მცურავი სავალურო კურსების რეჟიმის შექმნას), ამასთან, ტარიფებისა და ფასების შესახებ ურუგვაის გენერალურმა შეთანხმებამ ხელი შეუწყო მსოფლიო სავაჭრო სისტემის გახსნილობასადა გლობალური პროცესების განვითარებას.

XX საუკუნის 80-იან წლებში გლობალიზაცია ფრაგმენტაციის საწინააღმდეგო ტერმინად მოგვევლინა და პირველად ამერიკელმა თეოდორ ლევიტმა ცალკეული ბაზრების შერწყმის პროცესის ასახსნელად გამოიყენა.[1] სულ მოკლე ხანში გლობალიზაციამ ფართო მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა.[2] 1990 წელს ეს პრობლემა განიხილა იაპონელმა კ. ომემ,[3] ხოლო 1999 წელს იგი ფართო მსჯელობის თემა იყო დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზეც.[4]

XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, მსოფლიოს 27 ქვეყნისა და 400 მლნ მოსახლეობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში მომხდარმა რადიკალურმა ცვლილებებმა, ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა გლობალიზაცია. პოსტკომუნისტურ ქვეყნებთან კავშირურთიერთობების განმტკიცების მიზნით, ნატოს სისტემაში ჩამოყალიბდა „ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო“, რომელმაც 1997 წელს შეცვალა „ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭო“.

გლობალიზაცია, თავისი არსით, უნივერსალურია. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ურთიერთდამოკიდებულსაც ხდის, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, პარტნიორული ურთიერთობების წინა პლანზე წამოწევას, ჩამორჩენილი ქვეყნების გასვლას მსოფლიოს კულტურულ გზაზე, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას, ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრებას, მეცნიერების მიღწევების მოკლე ვადებში დანერგვას, რესურსდამზოგველი და უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას. გლობსალიზაცია ახდენს ინფორმაციული საუკუნის პირმშოს – ინტელექტუალური კაპიტალის, როგორც თანამედროვე ეპოქაში განვითარების კრიტერიუმის, წარმოჩენას, ინტელექტუალური ქსელისა და, საერთოდ, საინფორმაციო ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობასა და, განსაკუთრებით, ფინანსური კაპიტალის მობილურობის არნახულ ზრდას.

გლობალიზაციას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტების განმტკიცებაში. დღესთანამედროვე მსოფლიოში მართალია, არ არის დემოკრატიის ტრიუმფი, გლობალიზაციის დიდი დამსახურებაა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა მსოფლიო დემოკრატიის დამკვიდრებაში. მმართველობის ავტოკრატიული ფორმიდან ქვეყნებმა დემოკრატიულისკენ აიღეს გეზი.

გლობალიზაციისგან გვერდზე გადგომა დღეს ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს, ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს აქვს უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლოებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნების პარტნიორულ ურთიერთობებს, სწრაფი ტემპით ახდენს

[1] **Levitt T.** International Business, the Challenge of Global Competition. “Harvard Business Review”, McGraw-Hill, 2008, p. 13

[2] Globalization: Knowledge and Society. London, “Sage”, 1990.

[3] **Ohmae K.** The Borderless World: Power and Strategy in the Interlinked Economy. London, “Fontana”, 1990.

[4] http://globalization.kof/ethc.ch/

ბიზნესსაქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აყალიბებს ისეთ ბიზნეს-გარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები, ბიზნესს სულ უფრო მეტად ათავისუფლებს პოლიტიკური შეზღუდვებისაგან, რითაც მეტ თავისუფლებას ანიჭებს ბაზრებს.ამიტომ თავისი მასშტაბებიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენად მართული იქნება ეს ყოვლისმომცველი, მრავალწახნაგოვანი და წინააღმდეგობებით სავეს ფენომენი. წინააღმდეგობებით სავსე გლობალიზაციას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია კაცობრიობისათვის.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში გლობალიზაციამ ახალი ნიშნები შეიძინა, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგობებით, რომლებიც უპირატესად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში გამოვლინდება. ამიტომ გართულებულია განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის მართვის დამოუკიდებელი სტრატეგიის განხორციელება. განსაკუთრებით ნაკლებად ავტონომიურია ტრანზიტული, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები. მათ სულ უფრო ნაკლები ექსკლუზიური კონტროლი აქვთსაკუთარ ტერიტორიაზე მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რის გამოც შეზღუდულია და სახეშეცვლილია ამ ქვეყნებში ეკონომიკური სუვერენიტეტი. მათი ეკონომიკური პოლიტიკა სულ უფრო „გრილდება“, ხოლო ეროვნული თავისებურებებისა და ტრადიციების შენარჩუნების შესაძლებლობები მცირდება.

ინვესტიციები და ფინანსური ნაკადები განვითარებულ ქვეყნებშია კონცენტრირებული, განვითარებადი სამყარო კი ინვესტიციების დიდ ნაკლებობას განიცდის.

დღეს წამყვან, განვითარებულ ქვეყნებს დომინანტური პოზიცია უკავიათ ახალი მსოფლიო წესრიგის განსაზღვრის საქმეში, მაშინ, როდესაც მცირე, განსაკუთრებით ტრანზიტულ ქვეყნებს გლობალური სისტემის მუნიციპალიტეტებად აღიქვამენ.[1] აღნიშნულმა ტენდენციამ უკვე კანონზომიერი ხასიათი მიიღო, რაზეც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

ცნობილია, რომ აშშ-ს მსოფლიოში თანაბარი სიძლიერის კონკურენტები არჰყავს. არც ევროკავშირსა და არც იაპონიას არ შეუძლიათ ამ როლის შესრულება. აშშ-ზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განვითარებადი და ტრანზიტული ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა და, აქედან გამომდინარე, მათი ეკონომიკური განვითარებაც. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში შეიქმნა ამერიკული დოქტრინა „ნეოგლობალიზმი“. იგი ცნობილია „რეიგანის დოქტრინის“ სახელწოდებით და ითვალისწინებს აშშ-ის გავლენას „მესამე სამყაროს“ ქვეყნებზე.

გლობალიზაციის გამოვლენის ნათელი მაგალითია 2008 წელს მსოფლიოში და, პირველ ყოვლისა, აშშ-ში განვითარებული მოვლენები. ახალი „დიდი დეპრესიის“ წარმოქმნის საშიშროება სსფ-ის მეთაურმა დომინიკ სტროსკანმა სსფ-ისა და მსოფლიოს ბანკის ხელძღვანელთა მორიგ სესიაზე ვაშინგტონში განაცხადა: მაშინ, როდესაც აშშ-ში დიდი იყო მოლოდინი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაწყებისა, იმ პერიოდში „ვაშინგტონის კონსენსუსი“ აყალიბებდა სავალუტო და საგადასახადო პოლიტიკის კონკრეტულ წესებს და ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო კონტროლის აკრძალვა სტიმულს მისცემდა ეკონომიკურ ზრდას. ამ პოლიტიკაზე დაყრდნობით, თავისუფალმა და უკონტროლო ბაზარმა ვერავითარი პოზიტიური ეფექტი ვერ შექმნა. „ვაშინგტონის კონსენსუსი“ თავისი ესოდენ გამარტივებული ხედვითა და რეცეპტებით ჩამოიშალა, დაინგრა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს და უკან დარჩა – აღნიშნა სტროსკანმა.[2]

დღეს მსოფლიოში ეკონომიკური სიტუაცია ძალზე რთულია, ამიტომ საჭიროა ახალი მიდგომები როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ პოლიტიკაში, მთელ მსოფლიოში, საერთაშორისო არენაზე თუ ცალკეულ ქვეყნებში.

როდესაც შეიქმნა მეორე „დიდი დეპრესიის“ წარმოქმნის საშიშროება, სსფ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ალაპარაკდნენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გა-

[1] **Ohmae K.** The rise of the region State. Forreign Affairs, Spring. 1993, pp. 78-87.

[2] http://ng.ru/economics/200-04-06/1-globalizm.html

ძლიერების აუცილებლობაზე. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ფინანსური სექტორი რეგულირების თვალსაზრისით, საჭიროებდა სერიოზულ ქირურგიულ ჩარევას. ეკონომიკური ზრდით მიღებული სიკეთე ფართოდ უნდა გავრცელებულიყო არა მხოლოდ პრივილეგიურ ნაწილში, მას უნდა ჰქონოდა ინკლუზიური ხასიათი.[1]

დღეს კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარების, საზოგადოების სოციალური დაცვის ფუნქციის წინა პლანზე წამოწევის გარეშე შეუძლებელია ბაზრის პრინციპების რეალიზაცია, ჯანსაღი ბიზნესის განვითარება და იგი ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებადაა აღიარებული. სავსებით ობიექტურად წინა პლანზე, ახალი მსოფლიოს წესრიგის საკითხის განხილვასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება **სოციალური წესრიგის დამყარებაზე გამახვილდა**. ამ მიზნით შემუშავდა სხვადასხვა სახის სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამები, რომელთა დაფინანსებაში, სახელმწიფოსთან ერთად, კერძო სტრუქტურებმაც ფართო მონაწილეობა მიიღეს. ამ პროგრამებმა განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებაში. **ფართოდ გაიშალა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მსოფლიო პროცესი, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გლობალიზაციის მასშტაბების გაფართოებას**. გლობალიზაციას, მართალია, ახასიათებს ზოგადი კანონზომიერებები, მაგრამ ქვეყნის მართვის თავისებურებებიდან გამომდინარე, არა მხოლოდ სხვადასხვა რეგიონში, არამედ ცალკეულ ქვეყნებშიც კი სპეციფიკურობით ხასიათდება. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც მრავალი რთული პრობლემის წინაშე დგას, მაგრამ თავისი ორიგინალურობით მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება.

საქართველო გლობალიზაციური პროცესების თანამონაწილე გახდა და, ბუნებრივია, სრულიად ახალი ამოცანები დაისახა თავის განვითარებაში; მაგრამ ლოგიკურად ისმის კითხვა: 25-წლიანი რეფორმირების შემდეგ რამდენად უპასუხებს დღეს საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გლობალიზაციის გამოწვევას? არის თუ არა ქვეყანა მზად მოახდინოს ეკონომიკის სწრაფი მოდერნიზაცია? არის თუ არა მზად საქართველო იმისათვის, რომ წინ აღუდგეს გლობალიზაციის ნეგატიურ ტენდენციებს, რომელიც კოპირების, გათანაბრებისა და გასაშუალების გზით ანგრევს ბევრ იმ პოზიტიურს, რაც შექმნილია დასაბამიდან დღემდე? არის თუ არა ქვეყანა მზად იმისათვის, რომ დაიცვას ეროვნული ტრადიციები, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, თუ გნებავთ, ზნეობრივი ფასეულობები, ეკოლოგია და, რაც მთავარია, მკვიდრი მოსახლეობა?

ეკონომიკის მოდერნიზაცია სწრაფად მოახდინა ბევრმა ქვეყანამ და მიაღწია მდგრად ეკონომიკურ ზრდას, მათ შორის, „აზიურმა ვეფხვებმა“, რომლებსაც ეკონომიკური ჩამორჩენილობის დასაძლევად და ახალინდუსტრიული ქვეყნის სტატუსის მისაღებად დაახლოებით ის დრო დასჭირდათ, რაც ჩვენ გავიარეთ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უნიკალური რესურსების მფლობელია, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკის, აქედან გამომდინარე კი, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ინტეგრაციული პროცესების განუვითარებლობის გამო, სუსტად განვითარებული ქვეყანაა. ამიტომ საქართველოში რთული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციაა. არსებული ვითარება ერთხელ კიდევ გვაფრთხილებს, რომ აუცილებელია გავიაზროთ პასუხისმგებლობა საქართველოს ხვალინდელი დღის მიმართ. პირველ ყოვლისა, აუცილებელია გავერკვეთ საით მივდივართ, როგორ ეკონომიკურ სისტემას ვაშენებთ და როგორი ქვეყნის აშენება დავისახეთ მიზნად.

ჩვენ ისე ავაშენეთ საბაზრო ეკონომიკა, როგორც ავაშენეთ სოციალიზმი (თანაც განვითარებული!), ან კიდევ, ისე ვაშენებთ საბაზრო ეკონომიკას, როგორც ვაშენებდით კომუნიზმს. საქართველოში ეკონომიკის რეფორმიების სხვადასხვა ქსპერიმენტის განხორციელების მიუხედავად, ჯერ კიდევ, დიდია უმუშევრობა, მოსახლეობის მნიშვნელოვანი

[1] http://ng.ru/economics/200-04-06/1-globalizm.html

ნაწილი იზოლირებულია საქმიანი აქტიურობისაგან, მითუმეტეს პრივატიზაციის პროცესებისაგან. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს 2015 წლის მონაცემებით საქართველო ჯერ კიდევ აწარმოებს 1990 წლის მშპ-ის მხოლოდ 89,6 %-ს. ამიტომაც არის რომ დღეს ქვეყნის წარმატება დამოკიდებულია კონკურენტულ უპირატესობაზე და არა აბსოლუტ□რ და შეფარდებით უპირატესობებზე. ეს უკვე აქსიომატური ჭეშმარიტებაა, რომელიც გლობალიზაციის ახალი გამოწვევაა, რაც უნდა გაითვალისწინოს საქართველომ. კონკურენტული უპირატესობის მიღწევის გარეშე შეუძლებელია საქართველოს წარმატებები მსოფლიო ბაზარზე, მისი წინსვლა დაგანვითარება.

2015 წლის საქსტატის მონაცემებით, მცირე ბიზნესის წილად მოდის სამეწარმეო სექტორის მთლიანი გამოშვების 9,1%, საშუალო ბიზნესის წილად – 8,4%, ხოლო მსხვილი ბიზნესის წილად – 82,5%. ოფიციალური მონეტიზაციის დონე საქართველოში 17%-ია, მაშინ, როდესაც არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები. შედარებისთვის, ეს მაჩვენებელი განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში 80%-ია, აშშ-ში კი 100%-ს აჭარბებს.

კორუფციის ინდექსის მიხედვით, 2015 წლის მონაცემებით, საქართველო, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 48-ე ადგილზეა, ამ მხრივ, გაუმჯობესდა მდგომარეობა, ვინაიდან 2008 წლის მონაცემებით, ქვეყანა 67-ე ადგილზე იყო. საქართველოში დაგროვილი მწვავე პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ ქვეყანაში ნაკლებადაა დაცული ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ობიექტური მოთხოვნები. მათ საფუძვლად უდევს კონკურენციის განვითარება, როგორც სამართლიანობისა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების საწინდარი. იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი ქვეყანა გახდეს და მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, საქართველომ უნდა შექმნას ახალი ინოვაციური სისტემა, ვინაიდან **კონკურენციაში უპირატესობას აღწევს არა ის, ვინც რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე, არამედ ის, ვინც ქმნის ბაზარს, ე.ი. ვინც ბაზარს სთავაზობს ინოვაციებს**.

დღეს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებასა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში უდიდეს როლს მაღალტექნოლოგიური პარკები – **კლასტერები**ასრულებენ, რომლებსაც ტექნოპარკებსაც უწოდებენ. კონკურენციის თეორიის ცნობილი მკვლევრის მაიკლ პორტერის აზრით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განხილული უნდა იქნეს არა ცალკეული ფირმების, არამედ კლასტერების მიხედვით.[1]

დღეს ჭეშმარიტ კეთილდღეობას ის ქვეყნები აღწევენ, რომლებიც სწრაფად და ადეკვატურად აღიქვამენ გარე სამყაროში მიმდინარე პროცესებს. **საქართველო, სურს თუ არა მას, გლობალიზაციის მსოფლიო პროცესის თანამონაწილეა და უნდა იცხოვროს გლობალური პროცესების გათვალისწინებით**.

გლობალიზაცია სრულიად ახალ ამპლუაში აყენებს განათლების ფენომენს, მთელი საგანმანათლებლო სისტემის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ორგანიზებას, რომლის გარეშე ქვეყანა თავს ვერ დააღწევს დაბალკონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის პრობლემას. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრება, საინფორმაციო მომსახურება და კომპიუტერული ქსელების, ტელეკომუნიკაციებისა და სატრანსპორტო სისტემების ფართოდ განვითარება დღეს ნებისმიერი ქვეყნისთვის უნივერსალური პოლიტიკაა, ხოლო ცოდნასა და ინტელექტუალურ კაპიტალზე დაფუძნებული ეკონომიკა – მომავლის ეკონომიკა. 2015 წლის საქსტატის მონაცემებით, საქართველოში განათლების წილი მშპ-ში 2,6%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების ხარჯები 10,2%-ია. შესაბამისად, მეცნიერების წილი მშპ-ში 0,3%-ია, სახელმწიფო ბიუჯეტში – 1,14%, რაც 92,7 მლნ ლარს შეადგენს. ყოველივე ეს მიუთითებს მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების არასათანადო დონეზე, რის გამოც მწირია სახელმწიფო ფინანსები და სუსტად არის განვითარებული საზოგადოებრივი სექტორი.

[1] **ПортерМ.** Конкуренция. Санкт-Петербург, Москва, Киев. Издательский дом «Вильямс», 2000, сс. 221-222.

ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფოს ძირითადი პრინციპებია: მან უნდა გააკეთოს ყოველივე ის, რისი გაკეთებაც არ შეუძლია ბაზარს. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება სახელმწიფოს მიერ კანონების მკაცრად დაცვასა და მთელ ეკონომიკაში წესრიგის დამყარებას, ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებასა და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ცივილიზებული, მსოფლიოში აპრობირებული გზით ფუნქციონირებას.

სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია მოითხოვს დემოკრატიის ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, სოციალური პარტნიორობის ინტიტუტების მეშვეობით კონკურენტული გარემოს შექმნასა და კონკურენციის ხელშეწყობას.

ქვეყნის კეთილდღეობაზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის მაგალითია ბუტანი, მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო, სადაც არსებობს **ბედნიერების სამინისტრო** და მთავრობას მთავარ მიზნად გამოცხადებული აქვს თითოეული მოქალაქის ბედნიერება და ქვეყნის კეთილდღეობა, რაც განმტკიცებულია კონსტიტუციით.

საინტერესოა ბუტანელთა მოსაზრება ბედნიერებისა და კეთილდღეობის შესახებ: მათი აზრით, მატერიალური კეთილდღეობა არ არის მთავარი ბედნიერების მისაღწევად. ბუტანში ქვეყნის პროგრესს აფასებენ არა ეკონომიკური ზრდისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, არამედ ქვეყანაში **მთლიანი ეროვნული ბედნიერების მაჩვენებლით**. ეს უკანასკნელი „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მთავარი ინდიკატორია.

ბუტანის მეოთხე მეფის გ. დ. ბანჩუკის აზრით, „ქვეყნის აყვავებისა და ხალხის ბედნიერებისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია მთლიანი ეროვნული ბედნიერება, ვიდრე მთლიანი ეროვნული პროდუქტი. ამიტომ ერის პრიორიტეტი უნდა იყოს არა მთლიანი ეროვნული პროდუქტი, არამედ მთლიანი ეროვნული ბედნიერება“. ამასთან, ბანჩუკ IV დაასკვნის, რომ მდიდრები ყოველთვის არ არიან ბედნიერები, მაშინ როდესაც ბედნიერები თავიანთ თავს მიიჩნევენ მდიდრებად. მთლიანი **ეროვნული ბედნიერების კონცეფცია ეყრდნობა მოსაზრებას, რომლის მიხედვით საზოგადოების ჭეშმარიტი ევოლუცია ხდება მაშინ, როდესაც მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა ვითარდება თანაბრად, ერთმანეთს ავსებენ და ამაგრებენ.**

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ბუტანის სახელმწიფო ამაყობს თავისი ტყეებით, ფლორითა და ფაუნით, მაშინ, როდესაც **სხვა ქვეყნებში ღვთისგან ბოძებული ეს სიმდიდრე გაქრა ან გაქრობის ზღვარზეა.**

გლობალიზაციამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ეკონომიკურ განვითარებაში. ევროპული ქვეყნების ეკონომიკაში სულ უფრო იზრდება სახელმწიფოს მონაწილეობა განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და ა.შ.დარგებში, რაც ახალ შინაარსს იძენს.

საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა შეინარჩუნოს თავისი ეკონომიკის, განსაკუთრებით განათლების, მეცნირების, ჯანმრთელობის, კულტურის, ჯანდაცვის განვითარების საფუძველზე და ტრადიციების შენარჩუნებით ეროვნულ ნიადაგზე ააშენოს ევროპული ცივილიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება. მეორე გამოცემა. თბილისი, „თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2015;
2. **აბრალავა ა.** ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბილისი, „ინოვაცია“, 2013;
3. **აბრალავა ა.** გლობალიზაციის ლიდერი ქვეყნების სტრატეგია. „სოციალური ეკონომიკა“, 2005, №5;
4. **ასათიანი რ.** კეთილდღეობის ეკონომიკის თანედროვე მოდელები. „ეკონომისტი“, 2017, №1;
5. **ასათიანი რ.** სოციალური საბაზრო ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის უმაღლესი ფორმა.

„ახალი ეკონომისტი“, 2017, №1;
6. **ასათიანი რ.** კონკურენციის თეორიები და ახალი ინოვაციური სისტემა. „ახალი ეკონომისტი“. 2016, №2;
7. **ასათიანი რ.** XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტაური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2015;
8. **ასათიანი რ.** ეკონომიკური წესრიგი და დემოკრატიული სისტემა. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №9;
9. **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური თეორია და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი **ასათიანი რ.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012;
10. **ასათიანი რ.** საქართველოს მდგრადი განვითარების ზოგიერთი ასპექტი გლობალიზაციის კონტექსტში. „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“. I საერთაშორისო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008, თბ., „უნივერსალი“, 2008.
11. **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2010;
12. **ასათიანი რ.** ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4;
13. **ასათიანი რ.** გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი. „ეკონომიკა“, თსუ შრომები“, 2003, №3-4;
14. **ბარათაშვილი ე.** გლობალიზაცია და საქართველო. „პოლიტიკა“, 2003, №1-3;გლობალიზაციის პრობლემები: საერთაშორისო დისკუსია და ქართული ხედვა. „კომენტარი“, 2003, №1 (სარედაქციო წერილი);
15. **პაპავა ვლ.** გლობალური ფინანსური კრიზისი და ნეკროეკონომიკის ზომბირების საფრთხე. „შრომები“. VIII ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი. გამომცემლობა „სიახლე“, 2010;
16. **ჩიქავა ლ.** გლობალიზაცია და შრომის საერთაშორისო დანაწილება. „მოამბე“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. ტ. X. თბილისი, 2003;
17. **ჭითანავა ნ.** ეკონომიკა-სახელმწიფო-გლობალიზაცია. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2004, №10;
18. **ჰერსტი პ., ტომპსონი ბ.** გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, „დიოგენე“, 2005;
19. **Asatiani R.** Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “The Caucasus Region: Economic and Politikcal Developments”. New York, Nova Science Publishers Inc, 2011;
20. **Asatiani R.** Post-communist Transition Period in the Georgian Economy. “The Caucasus and Globalization”. Vol 3(2-3), Volume 3, Issue 4, “Ca&CC Press”, Sweden, 2009;
21. **Asatiani R.** The phenomenon of Globalization and its influence on National Economics. “The Caucasus & Globalization”. Vol 1(3), Sweden, “Ca&CC Press”, 2007’
22. **Асатиани Р.** Теории конкуренции и новые перспективы стран ориентированных на конкурентоспособность. «Кавказ и глобализация», Швеция, «Ca&CCPress», 2015;
23. **Асатиани Р.** Усиление глобальных тенденций конкуренции и новые перспективы конкурентоспособности Грузии. `socialuriekonomika~,2015, №6;
24. **Асатиани Р.** Экономика Грузии сквозь призму нового мирового порядка. `socialuriekonomika~,2014, №5;
25. **Бек У.** Что такое глобализация? Ошибки глобализма – ответы на глобализацию. Перевод с немецкого. М., «Прогресс-традиция», 2001;
26. **Галкин А.Н.** Глобализация и политические потрясения XX века. М., 2005;

27. **Стиглиц Дж.** Глобализация: тревожные тенденции. М., «Мысль», 2003;
28. **Яковец Ю.** Глобализация и взаимодействие цивилизации. М., «Экономика», 2001.
29. http://www.clelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html
30. www.statistics.ge
31. www.economics.ge
32. www.nbg.gov.ge
33. www.mof.ge
34. http://www.bepress.com/ev/vol5/
35. http://www3.weforum.org/docs/WEF-GlobalCompetitive-ness-Report_2010-11.pdf
36. http://globalization.kof/ethc.ch/

Epochal global process of globalization and Georgia facing new challenges

Rozeta Asatiani

Summary

Since the 40s of the 20th century deep systemic transformational processes arising in the world first created the prerequisites and since the 60s laid the foundation to the origin of Globalization and since the 90s the events developing with lightning speed in the world put this epoch-making process before new challenges.

Today globalization is the subject of intense considerations in the world. In some countries, for example, in Germany there has even been founded the Global Issues Forum where discursive meetings with scientists, representatives of non-governmental organizations and so forth are arranged. Such great interest to this phenomenon is caused by acute processes taking place in the world, which are directly connected with elaboration of sustainable development strategy in individual countries

On the basis of international economic relations and deepening of integration, globalization has assumed a regular character. First of all it is expressed in the world new order and formation of civic society that favored the formation of the open society in some countries.

This report highlights positive and negative effects of globalization, the impact on the world economy, especially on transit countries, among them on Georgia's transition economy.

საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის ტრენდები

ახალაია ნანა
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

შრომითი მიგრაცია ის პრობლემაა, რომელიც საქართველოს გასული საუკუნის 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან თან სდევს. აღნიშნულის მიზეზი იყო საქართველოში ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი დაცემა. რამდენადაც შრომითი მიგრაცია დაკავშირებულია საზღვრის კვეთისა და გადაადგილების საკითხებთან, ის საერთაშორისო ფენომენია. ბოლო წლებში საქართველოს ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაიზარდა. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მიგრაციის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ ჭრილში.

საკვანძო სიტყვები: *შრომითი მიგრაცია, მიგრაციული თეორიები, საერთაშორიოს შრომითი მიგრაცია, მიგრაციის სქემები*

ძირითადი ტექსტი

მიგრაცია წარმოადგენს გლობალურ ფენომენს და თანამედროვეობის გამოწვევას, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მიგრაციული პროცესების მართვა არის ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტი. საქართველო, მიგრაციული პროცესების განვითარების კუთხით წარმოადგენს როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულებისა და სატრანზიტო მნიშვნელობის ქვეყანას.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება საქართველოდან მოსახლეობის უფრო ინტენსიური გასვლა, ვიდრე შემოსვლა. აღნიშნულის მიზეზი იყო საქართველოში ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი დაცემა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში გამეფდა საყოველთაო კრიზისი. შედეგად მივიღეთ თავისი მასშტაბებით, საქართველოს ისტორიაში მოსახლეობის არნახული ემიგრაცია. 1990-2000 წლებში, საქართველოს მიგრაციულმა კლებამ შეადგენა 1082,4 ათასი მცხოვრები. საქართველოს მოსახლეობის ემიგრაციის პიკი მოდიოდა 1992-1995 წლებზე. თავდაპირველად, ემიგრაციის ვექტორი გადიოდა რუსეთზე და თურქეთზე. რუსეთის მიერ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებამ, ხოლო თურქეთში სამუშაო ძალის დაბალმა ფასმა, გამოიწვია მისი თანდათან შეცვლა დასავლეთ ევროპისა და აშშ-სკენ. 2000-2015 წლებში საქართველოს მოსახლეობა მიგრაციის შედეგად შემცირდა კიდევ 776,5 ათასი მცხოვრებით. ძირითადად გარე მიგრაციის შედეგია, რომ 1990 წელს საქართველოს მოსახლეობა 5,4 მლნ.-დან 2000 წელს შემცირდა 4,4 მლნ.-მდე, ხოლო 2015 წელს 3,7 მლნ.-მდე. ვინაიდან ემიგრაციაში უპირატესად მიდიოდა არაქართველი მოსახლეობა, ამან გამოიწვია ქართველი მოსახლეობის ხვედრი წილის ზრდა 84%-მდე. კერძოდ: 1800-1897 წლებში საქართველოს მიგრაციული მატება დადებითია და შეადგენდა 544,0 ათას მცხოვრებს; 1897-1939 წლებში მიგრაციული მატება დადებითია და შეადგენს 314,2 ათასს; 1939-1950 წლებში მიგრაციული მატება ნულის ტოლია; 1950-1990 წლებში მიგრაციული კლება შეადგენდა 391,1 ათასს; ხოლო 1990-2015 წლებში მიგრაციულმა კლებამ შეადგინა 1839,3 ათასი მცხოვრები. მთლიანად, საქართველოს მოსახლეობის მიგრაციული ბალანსი 1800-2015 წლებში გვაძლევს მოსახლეობის მიგრაციულ კლებას, რამდენადაც შრომითი მიგრაცია დაკავშირებულია საზღვრის კვეთისა და გადაადგილების საკითხებთან, ის საერთაშორისო ფენომენია. ამდენად, იგი მრავალი კონვენციისა და შეთანხმების მიზეზი და საერთაშორისო რეგულირების საგანია. შრომითი მიგრაციისა და დასაქმების მიზნით გადაადგილების

პროცესი დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორებიცაა: მოქალაქეობის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, სამუშაო ადგილების შექმნისა და დასაქმების პოლიტიკის ეფექტურობა, დემოგრაფიული ასპექტები, ტრეფიკინგთან ბრძოლის საკითხები და სხვა. შრომითი მიგრაცია ორივე მხარისთვის – როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნებისთვის– აქტუალური დღის წესრიგია.

შრომითი მიგრაცია ის პრობლემაა, რომელიც საქართველოს გასული საუკუნის 90-იან წლებში მოპოვებული დამოუკიდბელობის პირველივე წლებიდან თან სდევს. ქართველების პირველი ნაკადი სამუშაოდ მეზობელ, მათთვის ნაცნობ რუსეთში, თურქეთსა და საბერძნეთში წავიდა. მცირე პერიოდში პატარა საქართველოს მოქალაქეები მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის შრომის ბაზარზე გამოჩნდნენ. უცხოეთში სამუშაოდ წასვლის მიზეზი, როგორც წესი, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი და პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, რაც ხელს უწყობდა უმუშევრთა რაოდენობის ზრდას.

ძირითადი დებულებები

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად მოსახლეობის მიგრაციის ფენომენის სიძველისა, XXI საუკუნეშიც კი არ არსებობს მისი ამხსნელი ერთიანი თეორია. არსებული მიგრაციული თეორიები სხვადასხვა კუთხით განიხილავენ მას და ყურადღებას ამახვილებენ განსხვავებულ ფაქტორებზე, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით კი შრომით მიგრაციასთან მიმართებაში, პროცესის და მისი შედეგების ახსნას ეკონომიკური ფაქტორების საფუძველზე ხსნიან, ხშირ შემთხვევაში ხდება. შრომითი მიგრაცია არ არის ერთი რომელიმე მეცნიერული დისციპლინის საგანი. სხვადასხვა დისციპლინა მას სხვადასხვა კუთხიდან ხსნის და განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ძირითადად განპირობებულია ორი მთავარი მიზეზით. მიმღებ ქვეყანაში არსებობს მოთხოვნა მუშახელზე, რომელსაც ამ ქვეყნის მოსახლეობა ვერ აკმაყოფილებს, მაშინ როდესაც ემიგრანტთა ქვეყანაში მუშახელის რაოდენობა მოჭარბებულია. ამიტომ ასეთი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც უმუშევრები არიან ან დაბალი ანაზღაურება აქვთ, ცდილობენ ისეთ ქვეყანაში წავიდნენ, სადაც მათზე მოთხოვნა არის და უკეთესი ხელფასის მიღების შანსი მაღალია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიმღებ ქვეყანაში ჩასულ იმიგრანტს ძირითადად არა თავისი პროფესიით უწევს მუშაობა. იმიგრანტები მზად არიან შეასრულონ იმ ტიპის სამუშაო, რომლის შესარულებაც ადგილობრივ მუშახელს არ სურს. გარდა ამისა, ისინი გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ და ეგუებიან ცუდ სამუშაო პირობებს. სწორედ ასეთ მდგომარეობაში არიან საქართველოდან წასული მიგრანტები. ისინი ძირითადად მომვლელებად, ძიძებად, მშენებლებად მუშაობენ. დღესდღეობით შრომითი ემიგრაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოში არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას. ერთი მხრივ, შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილის სხვა ქვეყანაში გადინების შედეგად საქართველოში მცირდება უმუშევართა რაოდენობა. ხოლო მეორეს მხრივ, ფინანსური დახმარება რასაც ემიგრანტები უგზავნიან საქრთველოში დარჩენილ ოჯახებს, რეალურად უადვილებს ცხოვრებას საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო თანდათან გახდა გლობალური მიგრაციული სისტემის ნაწილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოდან ემიგრაციის მახასიათებლები, მოცულობა და მიმართულებები. დღეისათვის ქართველი მიგრანტების ჯგუფების პოვნა სხვადასხვა ქვეყანაშია შესაძლებელი და მათი ნაკადებიც ასევე სხვადასხვა ქვეყნისკენ არის მიმართული. თუმცა, საქართველოდან მიგრაციული ტენდენციების კვლევა რთულია სანდო სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობისა და მონაცემთა შეგროვების განსხვავებული მეთოდოლოგიის გამო. საქართველოდან ემიგრაცია ძირითადად შრომით ხასიათს ატარებს. ამავდროულად, განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობები, ისევე როგორც ოჯახის

გაერთიანებასთან დაკავშირებული ფაქტორები, ხელს უწყობს ქვეყნიდან ემიგრაციას. ემიგრაციის სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს შორის არანაკლებ მნიშვნელოვანია უკვე ჩამოყალიბებული მიგრაციული ქსელები, რომელთაც შეუძლიათ საგრძნობლად შეუწყონ ხელი საქართველოს მოქალაქეების ემიგრაციას მომავალში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) ყოველწლიურად აქვეყნებს მიგრანტთა ნაკადების ქვეყანაში შემოდინებისა და ქვეყნიდან გადინების სტატისტიკას. შრომით ემიგრაციას მთელი რიგი უარყოფითი თვისებებიც ახასიათებს. მასობრივი შრომითი ემიგრაციის დროს ადგილია აქვს ეგრეთწოდებული "ტვინების გადინების" პროცესს, როდესაც ქვეყანას ტოვებენ ყველაზე მოტივირებული, განათლებული, შრომას მოწყურებული ადამიანები, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. ქართველ შრომით ემიგრანტთა დიდი ნაწილი საზღვარგარეთ არაკვალიფიციური შრომით არის დაკავებული, რაც მათ მიერ საქართველოში მიღებულ განათლებასა და კვალიფიკაციას არ შეესაბამება.

შრომითი მიგრაციის ტრენდები საქართველოში

ცნობილია, რომ შრომითი მიგრაციის ძირითადი მიზეზი უმუშევრობაა, რომელიც საქართველოში დღემდე სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. ბოლო წლებში საქართველოს ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაიზარდა. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მიგრაციის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ ჭრილში. მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა, იგი ასევე წარმოადგენს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიგრაციის პოტენციალის გამოყენებას. სწორედ ამიტომ, მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვა და მისი მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიამ და მისმა სამოქმედო გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმების ინსტიტუციურ განვითარებას საქართველოში; გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებისკენ. ამჟამად, დინამიურად ვითარდება თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოების, არალეგალური მიგრაციის და ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კუთხით. მიგრაციული პროცესების ეფექტიანად მართვის და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, ინერგება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა ასევე ემიგრაციის დადებითი ეფექტის გაზრდის მიზნით ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარება. მსგავსი სქემები ხელს შეუწყობს მიგრაციული ნაკადების კანონიერ ჩარჩოში მოქცევას, ერგება სხვა ქვეყნების ბაზრების მოთხოვნებს და უადვილებს მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებას. ცირკულარული მიგრაციის შედეგად უმჯობესდება საქართველოს მოქალაქეების, როგორც ეკონომიკური შესაძლებლობები, ასევე პროფესიული უნარები და მიგრაციული გამოცდილება. ამჟამად, შრომითი მიგრაციის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, საქართველო მოლაპარაკებებს აწარმოებს ევროკავშირის სამი ქვეყნის (ავსტრია, საბერძნეთი, გერმანია) სახელმწიფო უწყებებთან. გარდა ამისა, ცირკულარული მიგრაციის საცდელი პროექტები ხორციელდება გერმანიასთან, ესტონეთთან და პოლონეთთან, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით. ცირკულარული სქემებისა და საერთაშორისო დასაქმების ხელშეკრულებების შემუშავებისას მოხდება საქართველოს შრომით ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების მდგომარეობის გათვალისწინება. უცხ-

ოური შრომის ბაზრების მოთხოვნების რეგულარული შესწავლა, მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ ცირკულარული სქემების შემუშავებისთვის, არამედ საქართველოს პროფესიული განათლების სისტემისთვის, რომელიც დროთა განმავლობაში არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს უნდა მოერგოს. ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მიგრაციის პოლიტიკის განვითარებაში, რაც ეროვნულ დონეზე მიგრაციის თანმიმდევრული პოლიტიკის შექმნას გულისხმობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წინსვლა სტრატეგიული დაგეგმვის, მიგრაციის მართვისა და ადმინისტრირების და მიგრაციის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით. მიგრაციის მართვისა და პოლიტიკის დახვეწის თვალსაზრისით შემუშავდა მთელი რიგი სტრატეგიული დოკუმენტები, რაც მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს პირველი მიგრაციის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისთვის შემუშავდა. არსებული დოკუმენტების გადახედვის საფუძველზე 2015 წელს ახალი, 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა, რომელიც მიღებული იქნა 2015 წლის ბოლოს და ფარავს 5 წლიან პერიოდს, ხოლო სამოქმედო გეგმა - 2 წელს. ასევე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიღებულ იქნა სხვა შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტები: საქართველოს 2014-2018 წლების სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგია; 2015 წელს შემუშავებული და დამტკიცებული მიგრაციის რისკების ანალიზის სისტემის კონცეფცია, რომელსაც თან ერთვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული 2015-2018 წლების შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია; საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020 წწ.); ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგია (2014-2017წწ.) და ახლახან მიღებული, პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია (2015-2017 წწ.) როგორც აღვნიშნეთ, საქართველო შრომითი მიგრაციის თვალსაზრისით ემიგრაციული ხასიათის ქვეყანაა. საქართველოდან შრომითი ემიგრაცია ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მიზეზებით (უმუშევრობა, დასაქმებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე) არის განპირობებული. საქართველოში შრომითი ემიგრანტების ფულადი და სხვა სახის გზავნილები ხშირ შემთხვევაში აქ მყოფი მათი ოჯახის წევრებისთვის არსებობისა და თვითგარადჩენისათვის ერთადერთი საშუალებაა, რომ არა ეს ფულადი გზავნილები, საქართველოში მოსახლეობის სიღარიბის დონე არსებულზე ბევრად მაღალი იქნებოდა.

რეკომენდაციები

საქართველოს მოსახლეობის შრომით მიგრაციაში არსებული გამოწვევების სათანადოდ შესაძლებელია შემდეგი ძირითადი მიგნებების გაკეთება:

- გრძელდება ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა მიგრაციის მართვისა და პოლიტიკის განვითარების სფეროში და მას დადებითი შედეგები მოაქვს. ქვეყანაში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რამდენიმე ფართომასშტაბიანი პროექტი მიმდინარეობს, კანონმდებლობა ძირითად მიმართულებებში შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ევროკავშირის სტანდარტებთან და ვიზა-ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიმდინარე რეფორმებიც წარმატებით ხორციელდება;
- ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, როგორიცაა, მაგალითად, ცირკულარული მიგრაციის სქემების განვითარება, შესაბამისი სახელმწიფო უწყებები მნიშვნელოვან სამუშაოს ახორციელებენ
- ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან როლს თამაშობს სიღარიბის შემცირებაში
- იმისთვის, რომ სრულად იქნას გამოყენებული მიგრაციის პოტენციალი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშესაწყობის მიზნით, რე-

კომენდებულია: ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ემიგრანტების, დაბრუნებული მიგრანტებისა და იმიგრანტების უნარების, ფინანსური და ადამიანური კაპიტალის წარმატებით გამოყენებას.

საქართველოს მთავრობა აქტიურად მონაწილეობს მიგრაციის მართვის სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებში და თანამშრომლობს სხვა ქვეყნებთან. მიმდინარეობს მიგრაციის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება და აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდეს. ამასთანავე, ქვეყანაში მიგრაციის პოლიტიკისა და მართვის გასაუმჯობესებლად, რეკომენდებულია, შესწავლილი იქნას ახალ საერთაშორისო პროგრამებში და სქემებში ჩართვის პოტენციალი

Labour Migration Trends of Georgian Population

Nana Akhalaia

Summary

Labor migration is a problem that has since the early years of independence in the 90s of the last century. The reason was significant decline in living standards in Georgia. Since labor migration is related to border crossing and movement issues, it is an international phenomenon. Georgia's involvement in recent years has been significantly increased in the global migration processes. The role of migration in the socio-economic, cultural, political and demographic context of the country is becoming increasingly important.

Key words: *Labour Migration, Migration Theories, International Labour Migration, Migration Charts*

გამოყენებული ლიტერტურა

1. ნ. ჭელიძე. საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია. ეკ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბ., 2006
2. M. Khmaladze, N. Akhalaia „ ROLE OF IMMIGRATION IN THE FORMATION OF GEORGIAN POPULATION“ 2015
3. საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია
4. დ. არაბიძე „საქართველო და შრომითი მიგრაციის პრობლემა“ 2016
5. საქართველოს 2015 წლიე მიგრაციის პროფილი. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია

კულტურული მემკვიდრეობა როგორც ეკონომიკის დარგის განსაკუთრებული საშუალება

ახობაძე ქეთევან
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, კულტურის სფეროს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობა გააჩნია და აქედან გამომდინარე, მას ხელეწიფება უდიდესი წვლილი შეიტანოს ქვეყნის არა მარტო ეკონომიკურ განვითარებაში, არამედ მთელი ქვეყნის წინსვლაში. დღეისათვის ჩვენი ქვეყნა საბაზრო ეკონამიკაზეა გადასული, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები თვლიან, რომ კულტურამ უნდა შეძლოს თავისი თავის ფინანსური უზრუნველყოფა და სახელმწიფო - დამკვეთად არ უნდა განიხილებოდეს. „ახლებური“ მიდგომა კულტურის “გასახელმწიფოებრიობისა” და “გასახალხოების” საკითხი კულტურის სფეროში, ახალ პრობლემებს იწვევს, რადგან კულტურის შედეგად შექმნილი “პროდუქტები” და საზოგადოების მოთხოვნები ერთმანთს არ ემთხვევა. წარმოდგენილი საკითხი, **კულტურული მემკვიდრეობა როგორც კულტურის სფეროს ეკონომიკური საშუალება,** მიუხედავად იმისა, რომ აქტუალურია - ჩვენს ქვეყანაში რეალურად ჯერ ვერ ჩამოყალიბდა და არ გააზრებულა არც ერთ დონეზე (მხოლოდ რამოდენიმე ექსპერტის გამოკლებით), ექსპერტთა უმრავლესობა არ აღიარებს კულტურის როლსა და წვლილს ქვეყნის განვითარებისთვის ან ზოგადად, ქართული საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის. რასაკვირველია, კულტურის პროდუქტს სხვა მახასიათებლებიც გააჩნია და არამატერიალური სარგებელიც აქვს, მაგრამ ამავ დროს, კულტურის სფერო ქმნის გარკვეულ პროდუქტს, რომელიც შეგვიძლია გავყიდოთ და ვიყიდოთ. რატომღაც, კულტურის და ხელოვნების სფეროში წარმოებულ პროდუქტზე და მის მომხმარებელზე საუბარს და შემდეგ უკვე გააზრებას ეკონომიკის კუთხით, დღეს საქართველოში უმრავლესობა ან გაურბის, ან კატეგორიულად უარყოფს.

ბაზარი ერთ-ერთი ინსტიტუტია, რომელსაც გააჩნია თავისი არეალი, ინტერესები, „მყიდველი“, „გამყიდველი“... როცა ბაზარი ცუდად მუშაობს, ან ვერ მუშაობს, ეს ნიშნავს რომ დარღვეულია მასში არსებული ურთიერთობები, ნდობა, ხედვა. ამიტომაც, ბაზრის ეფექტურად მუშაობას განსაზღვრავს მონაწილეთა ინფორმაციულობის ხარისხი სიტუაციებზე და ურთიერთზე, ნდობა, ინტერესთა თანხვედრა, კანონით გამყარებული მექანიზმები (ხელშეკრულებები, ფასები...). ეს ეკონომიკური სისტემა მოქმედებს ყველგან, კულტურაშიც. სამწუხაროდ, საქართველოში, კულტურის სფეროში, ბაზრის გაგება ჯერ არ არსებობს, კულტურის სფეროში გაყიდვები და წარმოება სტიქიურია, ხშირ შემთხვევაში, შეთავაზების მოცულობა ბევრად მეტია მოთხოვნაზე, ფასები დაურეგულირებელია, ბაზრის კონიუქტურა კი სპონტანური.

საკვანძო სიტყვები:*კულტურა, კულტურული მემკვიდრეობა, ფასეულობები, ეკონომიკა, ბაზარი, სტრატეგია*

ძირითადი ტექსტი

დღევანდელი მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში, კულტურის სფეროს თავისი ეკონომიკური შესაძლებლობა გააჩნია და აქედან გამომდინარე, მას ხელეწიფება უდიდესი წვლილი შეიტანოს ქვეყნის არა მარტო ეკონომიკურ განვითარებაში, არამედ მთელი ქვეყნის წინსვლაში. დღეისათვის ჩვენი ქვეყნა საბაზრო ეკონამიკაზეა გადასული, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები თვლიან, რომ კულტურამ უნდა შეძლოს თავისი თავის ფინანსური უზრუნველყოფა და სახელმწიფო დამკვეთად არ უნდა

განიხილებოდეს. „ახლებური“ მიდგომა კულტურის “გასახელმწიფოებრიობისა” და “გასახალხოების” საკითხი კულტურის სფეროში, ახალ პრობლემებს იწვევს, რადგან კულტურის რეალური მნიშვნელობის შედეგად შექმნილი პროდუქტები საზოგადოების მოთხოვნებს არ ემთხვევა. „კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთობა დღეისთვის გარდამტეხ სტადიაზეა. მათი დაახლოება მხოლოდ დიალოგის საგანია და პრობლემებისა და სირთულეების გარეშე არ მიმდინარეობს. კულტურა დღემდე პარადოქსულ მდგომარეობაში იმყოფება: ერთი მხრივ, შეინიშნება კულტურის უდიდესი როლის ფართოდ აღიარება ეკონომიკასა და წარმოებასთან მიმართებით, მეორე მხრივ კი, ეს ყველაფერი მხოლოდ საუბრის დონეზე რჩება და რეალური ნაბიჯებით არ არის განმტკიცებული...მთელ მსოფლიოში, განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებში, იზრდება კულტურულ ფაქტორთა როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში“ [სანადირაძე ნ,.2013, 93].

წარმოდგენილი საკითხი, კულტურული მემკვიდრეობა როგორც კულტურის სფეროს ეკონომიკური საშუალება, მიუხედავად იმისა, რომ აქტუალურია - ჩვენს ქვეყანაში რეალურად ჯერ ვერ ჩამოყალიბდა და არ გააზრებულა არც ერთ დონეზე (მხოლოდ რამოდენიმე ექსპერტის გამოკლებით), თუმცა, ამაზე მსჯელობენ ექსპერტები, მათი უმრავლესობა არ აღიარებს კულტურის როლსა და წვლილს ქვეყნის განვითარებისთვის და მითუმეტეს, არც ქართული საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთვის.

კულტურული მემკვიდრეობა გვეხმარება ჩვენი იდენტობის განსაზღვრაში, რადგან ის ათასწელეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და დღესაც, ჩვენი ქვეყნის სახეს განსაზღვრავს. ის ამოუწურავი რესურსია და, სწორედაც რომ, უნდა იქნეს გამოყენებული ქვეყნის, საზოგადოების კეთილდღეობისთვის, განვითარებისთვის. თუ „კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა 2014“ - დოკუმენტში ჩავიხედავთ (რომელიც რამდენიმე ათეული უცხოელი ექსპერტების შრომის შედეგია), გასაგებად წერია, რომ კულტურული მემკვიდრეობის „...სოციალური მნიშვნელობა ბოლომდე არ გვაქვს გაცნობიერებული და შესაბამისად, არც მისი პოტენციალია გამოყენებული... ადამიანთა ყოველდღიური გარემოს გასაუმჯობესებლად“ და იქვე გრძელდება აზრი, რომ „...კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და მისი შესაძლებლობის გამოყენების გარეშე ვერ მოხდება ქვეყნის სწორი ანუ სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი სოციალური და ეკონომიკური განვითარება“.

კულტურული მემკვიდრებოს საკითხების სხვადასხვა კონტექსტში გააზრება ჯერ კიდევ XX საუკუნიდან დაიწყო და შეიქმნა ეკონომიკური არგუმენტების მთელი სისტემა: ზოგი მკვლევარი თვლიდა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ფუფუნების საგანია და მისი ადგილი მხოლოდ ძლიერ ეკონომიკურ გარემოშია. მედლის მეორე მხრიდან კი ეს საკითხი არ განხილულა, რომ პირიქით, ის ეკონომიკურ საშუალებად გაეაზრებინათ. თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი ეკონომისტ-თეორეტიკოსი ჯონ კენეტ გელბრეითი (1908-2006) და სხვანი თვლიან, რომ კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკა რენტაბელურია და პასუხობს არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებს. ასეთი აზროვნების დაწყებამ კი ახალი ტერმინიც კი გააჩინა - „მემკვიდრეობის ინდუსტრია“. [http://rcchd.icomos.org.ge/?!=G&m=7, ნახვა, 07.10.2015,.31]

წარმოდგენილი ნაშრომი მცდელობაა, გლობალური გამოწვევების ფონზე, კვლავ დღის წესრიგში დავაყენოთ დღევანდელ ისტორიულ პერიოდში ქვეყნის კულტურაში მიმდინარე ძირითადი დინებები, წარმოვადგინოთ რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს კულტურის სფეროს წამოწევას ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე. და, თუ სოციუმი და ხელისუფლება საქართველოში კულტურის პოლიტიკის ჩასახვა-ჩამოყალიბების პროცესში პარტნიორები გახდებიან (მართალია, ეს პროცესი მრავალწახნაგოვანი და რთულია, მაგრამ შესაძლებელი), მოხდება მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებსა და საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მათი ჩართულობა.

კულტურის სფეროს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე უკვე ხმამაღლა საუბრობენ. ამტ-

კიცებენ, რომ კულტურის სფერო მარტო ინვესტირებას კი არ ითხოვს, არამედ თვითონ გააჩნია ინვესტირების უდიდესი პოტენციალი. საქართველოში ამერიკის საელჩოს ინიციატივით ამ საკითხებზე ლექციების წასაკითხად, 2015 წლის ივნისში, მოწვეული იყო პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი - დონოვან რიპკემა, რომელიც ხშირად კულტურულ მემკვიდრეობას, როგორც ტურისტულ სტრატეგიას იხილავს.

ასევე 2013 წელს, მარსელში, ნოემბერში მოეწყო ხმელთაშუაზღვის ქვეყნების ეკონომიკის კვირეული. ევროკომისიის განათლების, კულტურის, მრავალენოვან და ახალგაზრდობის დეპარტამენტის პასუხისმგებელმა წევრმა ანდრულა ვასილიუმ თავის მოხსენებაში – "კულტურის, ეკონომიკის განვითარება და ევროპული ქალაქების კულტურა", ისაუბრა სწორედ რეგიონში „... კულტურის უზარმაზარი პოტენციალის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესახებ". მან აღნიშნა, რომ სულ ცოტა ხნის წინ კულტურის და ეკონომიკის შესახებ ერთად საუბარი ტაბუირებული იყო და მას აპროტესტებდნენ იმის გამო, რომ არ შეიძლებოდა კულტურის „კომერციალიზაცია". მისი აზრით, რადგან კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში, ამიტომ ეკონომიკური კუთხით კულტურასთან მცირე დოზით შეხებაში ის ვერ ხედავს საშიშროებას. არ უნდა მოხდეს კულტურით „...სამუშაო ადგილების ზრდის და საერთოდ, ეკონომიკური პოტენციალის იგნორირება". ამიტომ, აღნიშნავს ა. ვასილიუ, კულტურული და შემოქმედებითი სფეროს ეკონომიკური საქმიანობის კუთხით განხილვა ევროკავშირში უკვე აღიარებულია, რომ ინვესტიციების ჩადებამ „...ამ სფეროში შეიძლება დააჩქაროს ადგილობრივი და რეგიონალური განვითარება, ახალი ეკონომიკური საქმიანობა და სამუშაო ადგილების წარმოშობა". მეცნიერების და ექსპერტთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ მისი სოციო-კულტურული ხასიათი და თავისებურება, ნამდვილად იძლევა საშუალებას ეკონომიკური მოღვაწეობისთვის. ქვეყანაში საზოგადოების განვითარების დონის განმსაზღვრელია კულტურის მდგომარეობა და რაც მთავარია, ქვეყანაში კულტურის დაფინანსების პრიორიტეტები. მოგეხსენებათ, რომ სსრ კავშირის დროს კულტურის სფეროში დოტაციაზე იყო უმრავლესი მისი დარგი და მომუშავე დაწესებულება. მაგალითად: მხატვრის სახლი, თეატრები და ა.შ. დაფინანსების შემცირებამ და უმრავლესს შემთხვევაში შეწყვეტამ კი, გამოიწვია ძალიან რთული, საშიში და სავალალო შედეგები, როგორც სახელოვნებო დარგების ისე სოციალური. თვითანაზღაურებაზე გადასვლამ გამოიწვია ის, რომ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ ბაზრის მოთხოვნები (საქართველოში კი ეს ბაზარიც არ იყო ჩამოყალიბებული), ამიტომ ამან, უმრავლეს შემთხვევაში, კულტურის სოციალური მნიშვნელობის და ბაზრის მოთხოვნებს შორის ცდომილებამდე მიგვიყვანა. სხვაგვარად რომ ვთქვა, მოხდა კულტურის სოციალური ფუნქციის სახელმწიფოს ეკონომიკურ ინტერესებთან ცდომილება.

რასაკვირველია, კულტურის პროდუქტს სხვა მახასიათებლებიც გააჩნია და არამატერიალური სარგებელიც აქვს, მაგრამ ამავ დროს, კულტურის სფერო ქმნის გარკვეულ პროდუქტს, რომელიც შეგვიძლია გავყიდოთ და ვიყიდოთ. მაგალითად - პროდუქტს მოიხმარს მომხმარებელი, რომელსაც ესაჭიროება გარკვეული ბაზა, ანუ კაპიტალი, ამ პროდუქტის შესაძენად. რატომღაც, კულტურის და ხელოვნების სფეროში წარმოებულ პროდუქტზე და მის მომხმარებელზე საუბარს და შემდეგ უკვე გააზრებას ეკონომიკის კუთხით, დღეს საქართველოში უმრავლესობა ან გაურბის, ან კატეგორიულად უარყოფს. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც:

ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ფასეულობები (Vალუეს). ზოგი მეცნიერი თვლის, რომ ფასეულობები ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ეკონომიკის წარმატებით განვითარებას განსაზღვრავს.

კულტურის რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკის დარგის განსაკუთრებულ სისტემად მოაზრებისთვის და განვითარებისთვის საჭიროა როგორც სამომხმარებლო, ისე მსყიდველობითუნარიანი ბაზარი. ექსპერტთა აზრით, თვით სიტყვების

- „პროდუქტი“, „ბაზარი“ - აღქმა და მნიშვნელობა განსხვავდება სხვადასხვა კატეგორიის და ასაკის ადამიანებში, ხოლო მეცნიერებისთვის ეს არის ურთიერთობების სისტემა, სადაც ძალდატანების გარეშე ხდება გაცვლა „რაიმესი“, რომელიც დარეგულირებულია სხვადასხვა მექანიზმებით, პირველ რიგში კი, ფასებით [Кузьминов Я.И,. 1993. № 5. 165].

ბაზარი ერთ-ერთი ინსტიტუტია, რომელსაც გააჩნია თავისი არეალი, ინტერესები, „მყიდველი“, „გამყიდველი“... როცა ბაზარი ცუდად მუშაობს, ან ვერ მუშაობს, ეს ნიშნავს რომ დარღვეულია მასში არსებული ურთიერთობები, ნდობა, ხედვა. ამიტომაც, ბაზრის ეფექტურად მუშაობას განსაზღვრავს მონაწილეთა ინფორმაციულობის ხარისხი სიტუაციებზე და ურთიერთზე, ნდობა, ინტერესთა თანხვედრა, კანონით გამყარებული მექანიზმები (ხელშეკრულებები, ფასები...).

ეს ეკონომიკური სისტემა მოქმედებს ყველგან, კულტურაშიც. ფასებიც ერთი და იგივე „პროდუქტს“ რამდენიმე აქვს და ეს იძლევა არჩევანის საშუალებას, არა მარტო ფასით, არამედ ხარისხითაც. „მყიდველიც“ და „გამყიდველიც“ ერთმანეთს კარგად იცნობენ [Кузьминов Я.И,. 1993. № 5. 167]

საქართველოში, კულტურის სფეროში, ბაზრის გაგება ჯერ არ არსებობს, კულტურის სფეროში გაყიდვები და წარმოება სტანდარტული ეკონომიკური პრინციპებისა და მოთხოვნა-მიწოდების წესების მიხედვით ვერ მიმდინარეობს. ხშირ შემთხვევაში, შეთავაზების მოცულობა ბევრად მეტია მოთხოვნაზე, ფასები დაურეგულირებელია, ბაზრის კონიუქტურა კი სპონტანური. ამის ნათელი მაგალითია „მშრალი ხიდის“ სიტუაცია.

მსგავსი პრობლემებია თეატრებში, მუზეუმებში და ა.შ. გართულებულია ისტორიულ-კულტურული ძეგლების შენახვა, დაცვა, რადგან ისინი საერთოდ ვერ ახერხებენ ძირითადად თავის შენახვას. დამატებითი თანხების მოძიება საქართველოში ძალიან ძნელია, ბევრისთვის კი შეუძლებელი. მათ შეაქვთ თავიანთ სისტემაში შემოსავლის დამატებითი წყარო - სუვენირები, წიგნების კიოსკები, კაფე-ბუფეტები, ქვე-არენდები, რეკლამის განთავსება, კერძო „ივენთების“ და ექსპოზიციების მოწყობა.

კულტურის ორგანიზაციებს თვითგადარჩენის მიზნით, ხშირად თავიანთი პირველადი ფუნქცია ავიწყდებათ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაცია საზოგადოების განვითარებისათვის და, მოგების სურვილს გადაყოლილები, ამ დაწესებულებებს კულტურულ ფუნქციას უკარგავენ...

ბაზარს თავისი ძლიერი სტიმული გააჩნია. საქართველოში კი სამწუხაროდ არ არის კონკურენტუნარიანი ურთიერთობების გარემო, წინააღმდეგობაა ეკონომიკურ კანონებში, კულტურის და ხელოვნების პროდუქტის ფასებთან, მოუქნელია დაბეგვრის სისტემა, არც საგადასახადო შეღავათებია და ჩამოუყალიბებელია მართვისთვის საჭირო მექანიზმები. ეს ხანგრძლივი პროცესია და ამაზე პროფესიონალები უნდა ფიქრობდნენ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა (მატერიალური და არამატერიალური), კულტურული ობიექტების მრავალფეროვნება ტურიზმის განვითარების ერთ ერთ ხელშემწყობ ფაქტორად შესაძლებელია განვიხილოთ, რაც თავისთავად გავლენას ახდენს სხვა დამატებითი სერვისების გაძლიერებას (ინფრასტრუქტურა, სასტუმროები, სერვისის სფერო, გასართობი და სავაჭრო დაწესებულებების შემოსავლის გაზრდას და სხვ) და წარმოშობს, კულტურის სფეროში, წარმოებისა და კულტურის პროდუქტების შექმნის გზით, ირიბი ეკონომიკური სარგებლის მომტან და ხელშემწყობ ფაქტორებს. მაგალითად: ჩამოსული დამთვალიერებელი (ტურისტი, ვიზიტორი) თუ აქტიურად ერთვება ადგილის კულტურულ ცხოვრებაში, ეცნობა რა ისტორიულ-კულტურულ ობიექტებს, ის ფულს ხარჯავს. რაც გულისხმობს: დამატებით ეკონომიკურ სარგებელსა და ირიბ გავლენას - ქვეყნის ეკონომიკაზე.

კულტურის სფეროს მომსახურება უნდა გავიაზროთ შემდეგნაირად:

- რისი მომცემია ეკონომიკური თვალსაზრისით;

- რა შესაძლებლობა დევს მასში.

იგულისხმება, როგორც ადამიანური, ისე ფინანსური და სხვა რესურსებიც.

თანამედროვე საქართველოში კულტური სფერო სახელმწიფოსგან ფინანსდება, ოღონდ, სამწუხაროდ, დაფინანსების გადანაწილება დარგობრივად, პრიორიტეტების მიხედვით არ არის სწორად გააზრებული. სახვითი ხელოვნების სეგმენტი არათანაბრადაა განვითარებული საქართველოში, რადგანაც უკონტროლოა დაბალი დონის ბაზარი, ხელოვნების სფეროს მართვის დაბალი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია, სამთავრობო დაფინანსების და კერძო ინვესტიციების ძალიან დაბალი ჩართულობა და ა.შ.

ხელისუფლებასთან დიალოგი (რომელიც, რეალურად, წარმოუდგენელია დამოუკიდებელი კულტურის მოღვაწეებსა და ხელისუფლებას შორის), არასტაბილურია და ეს აისახება დაფინანსების არარეგულარულ ხასიათზეც; რომელსაც ემატება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება, არსებული ხარვეზების და სიმწირის გამო და არც დაფინანსება ხდება გამჭვირვალე პროცედურებით. მნიშვნელოვანია ჩამოთვლილი პრობლემების დეტალური ანალიზი და რეალობის გამოსწორებლად სამოქმედო გზების მონახვა, რომელიც გაუმჯობესებს საქართველოში კულტურის რესურსების დაცვას, მისი დარგობრივი განვითარების ხელშეწყობასაც და რენტაბელურად გამოყენებას, არა მარტო კულტურის და ხელოვნების სფეროს და მისი „მომხმარებლებისთვის“, არამედ მთელი ქვეყნის, მისი საზოგადოების ღირსეული, უსაფრთხო მომავლისთვის. ეს კი ნიშნავს: სახელმწიფო დონეზე მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის - ეკონომიკური საშუალების რაკურსში გააზრება. პროცესი რთულია, შეუსწავლელი. ამიტომ ამ პროცესში, როგორც ავღნიშნეთ, უნდა ჩაერთოს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო დარგები; სხვათა გამოცდილების შესწავლით, გაზიარებით, ჩვენი ნაციონალური მახასიათებლების გათვალისწინებით, ახალი კადრების აღზრდა და ძველის გადამზადება - ახალი აზროვნების განვითარებას შეუწყობს ხელს და მაშინ, შესაძლებელი გახდება არსებული პრობლემების მოგვარებაც, რა თქმა უნდა, მიზნის მიღწევა უფრო შედეგიანი და მდგრადი იქნება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ხელისუფლებაც.

როგორც ამ სფეროს ერთ-ერთი თვალსაჩინო მკვლევარი დევიდ ტროსბი ამტკიცებს, რომ მსოფლიოში „...ეკონომიკა და კულტურა არის ორი ფუნდამენტალური მამოძრავებელი ძალა, რომელიც აყალიბებს ადამიანის ქცევას“. მაგრან ის იქვე განიხილავს იმ საშიშროებებს, რომლებიც თან ახლავს ამ ეკონომიკურ-კულტურულ კავშირ-ურთიერთობებს და ...“თუ ჩვენ გვინდა პროგრესი მსოფლიოს გასაუმჯობესებლად“, აღნიშნავს დევიდ ტროსბი, მაშინ საჭიროა ღრმა გააზრება ამ კავშირებისა - როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური კუთხიდან [Тросби Девид,. 2013, 228].

როდესაც კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური თვალსაზრისით გამოყენებას ვეხებით, ის აუცილებლად უნდა განვიხილოთ ტურიზმთან შეხებაშიც. კულტურის (შემეცნებითი) ტურიზმი და ეკო ტურიზმი დღეს, ტურიზმის ინდუსტრიაში, ექსპერტების მიერ, ყველაზე მზარდ სექტორადაა აღირებული, სადაც კულტურის ნაწილს დიდი ეკონომიკური წილი უჭირავს და მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. თუ ამ აზრს განვავითარებთ, ფაქტიურად, საქართველოს გააჩნია ერთ-ერთი უძლიერესი რესურსი - კულტურული მემკვიდრეობა, რომლის სწორი გამოყენებით და ტურიზმთან მჭიდრო ურთიერთობაში მისი განვითარებით, თუ ქვეყნის მთლიანად არა, ზოგიერთი რეგიონისთვის მაინც იქცევა მისი გადარჩენის და განვითარებისთვის ერთადერთ რესურსად.

კულტურული ტურიზმი, ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სახეა ტურიზმის და მიუხედავად თავისი მოღვაწეობის მრავალპროფილური და რთული სახისა, სადაც შერწყმულია მატერიალური და სულიერი კულტურის შედევრები, ტრადიციული ინფრასტრუქტურების გვერდით (ტურ-ოპერატორები, სასტუმროები, ავიაგადამზიდები ავტოტრანსპორტი და ტურისტებზე ორიენტირებული მომსახურება) - ჩართულია მომსახურების სხვა სფეროე-

ბიც. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, თუ ჩვენს ქვეყანაში, სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობით დავიწყებთ აზროვნებას კულტურის ტურიზმის ექსპორტ-იმპორტის კონცეფციაზე, რომელსაც თავისის სპეციფიკა გააჩნია და დაფუძნებულია საერთაშორისო სავაჭრო მომსახურების ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებზე.

კულტურა, როგორც ავღნიშნე „...დღეს უკვე არის ეკონომიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო, რომელიც ქმნის პირობებს ყველა დარგის ექსპორტისათვის, რომელიც ჩართულია ტურისტული პროდუქტის შექმნაში. ასეთ კავშირში თუ განვიხილავთ ამ საკითხს, კულტურული ტურიზმი უცხოელი ტურისტებისათვის ქმნის კულტურის სფეროს ექსპორტის დამატებით შესაძლებლობებს. ინტერნეტის განვითარებამ ქვეყნებს გაუფართოვა ასპარეზი ბილეთების დაჯავშნისა თეატრებში, კონცერტებზე, მუზეუმებში. ინტერნეტ-ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ხელს შეგვიწყობდა ტრანს-სასაზღვრო ვაჭრობის განვითარებაში, რადგან ეს, საერთაშორისო სავაჭრო მომსახურების, ხვალინდელი დღეა“ [ახობაძე ქ,. „Scripta manent”, №4(24), .111-112]. კარგია თუ გავიაზრებთ, რომ კულტურის დაწესებულებებისგან უცხოელი ტურისტების მომსახურების ნებისმიერი ფორმა - არის მომსახურების იმპორტი, ამ ფორმით. ჩვენს ქვეყანას უამრავი ხარვეზები გვარქვს ამ სფეროში, რადგან არ არის კარგად გააზრებული სხვადასხვა ტიპის მომსახურება.

კულტურის სფეროს დაწესებულებები სუსტად იყო წარმოდგენილი საერთასორისო ტურისტულ გამოფენებზე, ბაზრობებზე, რომელიც უახლოეს ბოლო წლებში, ოდნავ გამოსწორდა. ყველაზე მტკივნეული კი იმაში გამოვლინდა, რომ სუსტი კავშირია კულტურის დაწესებულებებს და ტურისტულ ორგანიზაციებს შორის, რადგან აქ სხვადასხვა მიზეზებს შორის იკვეთება მნიშვნელოვანი მხარე: მათ დაახლოებისა და მჭიდრო თანმაშრომლობის საკითხს ართულებს საკუთრების ფორმის განსხვავება (ტურისტული ბიზნესი კერძო სექტორს წარმოადგენს, ხოლო კულტურის უმრავლესი დაწესებულება - სახელმწიფოებრივს). ასევე, ხელისშემშლელია, მათ შორის, არარსებული კანონმდებლობა, სპონსორობა და თანამშრომლობა; ვფიქრობთ, აღნიშნულის მოსაგვარებლად, ბევრი ინოვაციური პროექტი უნდა განხორციელდეს. ამიტომ საჭიროა, ვეძებოთ საექსპორტო პოტენციალის ამაღლების ახალი რეზერვები, თბილისსა და რეგიონებში, სწორედაც მომსახურების სფეროში და თანაც, ტურიზმის განვითარებასთან მჭიდრო ურთიერთობით.

კულტურის სფეროში ინოვაციური პროექტების განხორციელება მოგებისა და შემოსავალის მომტანი საქმიანობაა, მოხდება ბაზრის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ჩვენი კულტურის პრესტიჟის ამაღლება; მათი განხორციელება მიმართულია სოციალურ-ეკონომიკური დონის ამაღლებისკენ და მასზეა, ბევრ შემთხვევაში, სამომავლო მდგრადობა. სიახლის დანერგვა ადვილი პროცესი არ არის. მას ჯერ გამოკვეთა, შესწავლა სჭირდება და რისკ-ფაქტორების განსაზღვრა, რათა ვარაუდი მაინც შეიმუშავო შესაძლებელ რეზულტატებზე. ეს სუბიექტური, შემქმედებითი აქტია, რომელიც ცოდნას და გამოცდილებას ეყრდნობა და რომელიც კიდევ დამატებით ითხოვს გემოვნებას, ინტუიციურ აზროვნებას, კრეატულობას.

ინოვაცია რომ დანერგო, ისიც საქართველოში, კარგად უნდა იცნობდე სფეროს, მის საშუალებებს, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაზღვრო სიახლის მასშტაბურობა და ხარისხი, მოთხოვნადობა. პროცესი იწყება იდეიდან და მთავრდება კომერციული სარგებლით, თუმცა ხშირად ახალი ხედვა მიუღებელი ხდება ან კონკრეტული ჯგუფისთვის, ან მთლიანად საზოგადოებისთვის.

ჩვენ უდიდესი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა გაგვაჩნია. ქვეყნისა შიდა და გარეთა ტურიზმში აუცილებელელია ვისარგებლოთ ამ რესურსებით, როგორც საშუალება, როგორც რესურსი - ეკონიმიკური განვითარებისთვის; ამ კუთხით მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან არსებობს დიდი პოტენციალი და მცირე გამოყენება. ამას თავისი მიზეზები გააჩნია. მაგალითად: არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციის ნაკლებო-

ბა, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, შეუმუშავებული მარშრუტები, კვალიფიციური კადრები, გაუმართავი კავშირი ეკლესიასა და ტურისტულ ფირმა-სააგენტოებს შორის და სხვ.

დასკვნა

სამწუხაროდ, ჩემი აზრით, ვინაიდან პრიორიტეტები არ არის სწორად განსაზღვრული თავისი არსისა და ფასეულობების მიხედვით, ქვეყანას უკვე შესრულებული სამუშაო, საერთოს არ დასტყობია და მით უმეტესს, არც მოსახლეობის ცხოვრების დონე ეკონომიკური თვალსაზრისით არ აუმაღლებია. საფიქრებელია ისიც, რომ ღრმა შესწავლის გარეშე, ვერ ხერხდება არსებული პრობლემების გამოვლენა და კატეგორიებად დაყოფა მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით. შემდეგ კი, საკანონმდებლო ხარვეზების გამო, ვერ ხორციელდება ამ პრობლემების მოგვარება, ამ დროს, როცა სამინისტროს ხელშია მთელი ბერკეტები მათ მოსაგვარებლად.

რეკომენდაციები:

- ჩატარდეს მოკვლევითი სამუშაოები კულტურის რესურების მოძიების მიმართულებით;
- კულტურის ეკონომიკური სარგებლის ასპექტის გამოსაკვეთად, პირველ რიგში, საჭიროა დადგინდეს ორიენტირები;
- შესასწავლი და გასააზრებელია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და მიღწევები;
- სხვა ქვეყნების გამოცდილებათა შესწავლის და გააზრებისას გათვალისწინებული იყოს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული მახასიათებლები, საშუალებები და პირობები;
- სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და აპრობირებული პროექტების დანერგვა ქართულ სივრცეში, რომელიც არ დაარღვევს ქართული კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ ფუნდამენტურ ღირებულებებს;
- კულტურის სფეროში ინოვაციური პროექტების დანერგვის ხელშეწყობა;
- ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების გაძლიერება კულტურის რესურსებისა და ადგილების ჩართულობით.
- ადამიანური რესურსების გადამზადება, დარგობრივი მიმართულელების ანალიზი და შესწავლა.
- სახელმწიფო ჩართულობა და მხარადჭერა კულტურის ინიციატივების ხელშეწყობისთვის.
- საკომუნიკაციო არხების გაძლიერება კულტურის სფეროში მომუშავე სუბიექტებს, საზოგადოებას და სახელმწიფოს შორის;
- საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება კულტურის და ხელოვნების განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით.
- კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის;
- უწყებათაშორისი დაწესებულებებისა და ინსტიტუციების თანამშრომლობის ხელშეწყობა;
- ინვესტორების წახალისებისთვის დაბეგვრის შეღავათების სწორი პოლიტიკის გატარება;
- საგადასახადო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზის გადახედვა და გაძლიერება კულტურული მიმართულებისა და კულტურის ხელშემწყობი პროგრამებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Morten Stige, Cultural Heritage Management, City of Oslo, 2012, Mission Report within RCCHD Project
2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა,2014,ICOMOS -saqarTvelo http://rcchd.icomos.org.ge/?!=G&m=7, ნახვა, 07.10.2015, გვ.31
3. Марта Нуссбаум. Не ради прибылию Зачем демократии нужны гуманитарные науки. Перевод с английского Марины Бендет. Издательский дом Высшей школы экономики, МОСКВА, 2014
4. Девид Тросби. Экономика и Культура. Перевод с английского Инны Кушнаревой. Издательский дом Высшей школы экономики, МОСКВА, 2013
5. Кузьминов Я.И., Бендукидзе К.А., Юдкевич М.М. Курс институциональной Экономики., Издательский дом ГУВШЭ, М. 2008. С 59.
6. ქ. ახობაძე (2014): ქ. კულტურული მემკვიდრეობის არსი. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტულინგვისტური სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent", №3(23)
7. ქ. ახობაძე (2014): ქ. კულტურული მემკვიდრეობის არსი. წერილი მეორე. საერთაშორისო რეცენზირებადი მულტულინგვისტური სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent", №4(24)
8. ქ. ახობაძე (2015): ქ. კულტურის პოლიტიკის არსი. წერილი მესამე, საერთაშორისო რეცენზირებადი მულტულინგვისტური სამეცნიერო ჟურნალი „Scripta manent", №1(25)
9. ნინო სანადირაძე. კულტურული ინდუსტრიის ფუნქციონირების ეკონომიკური და სივრცობრივი ფორმები. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი" №4 (61), 2014 http://www.tafu.edu.ge/files/pdf/dziebani/ziebebi_4_(61)_2014.pdf
10. ნინო სანადირაძე. კულტურული მემკვიდრეობა და მუზეუმები გლობალიზაციის ეპოქაში... http://www.tafu.edu.ge/webmill/data/file/dziebani/ziebani_1_(54)_2013.pdf
11. Georgias_culture_politics.pdf…გვ.2., ელექტრონული ვერსია...ნახვა, 09.10.2015
12. Кузьминов Я.И. Теоретическая экономическая культура в современной России // Общественные науки и современность. 1993. № 5. С. 13-23. ელექტრონული ვერსია...ნახვა, 09.10.2015
13. Hofstade G. Cultures and organizations. Software of the Mind. N.Y.: McGraw-Hill, 1990. 6-9; westwood. wikispaces.com›file/view/Hofstede.pdfeleqtronuli ვერსია...ნახვა, 09.10.2015
14. ევროპარლამენტის კულტურის და განათლების 2013 წლის ბიულეტენი, სადაც მეხუთე თავში „ეკონომიკის და ფიზიკური ზემოქმედება" და მის მომდევნო თავებში, განხილულია ევროპის კულტურის დედაქალაქებში სტრუქტურული და ინტეგრაციის პოლიტიკის განვითარებაზე კულტურასა და განათლების სფეროებში, წარმატების სტრატეგიებსა და გრძელვადიან ეფექტებზე. განსაკუთრებით ტურიზმისა და ქალაქებში კონკურენტუნარიანობისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებით. http://www.europarl.europa.eu/studies, ნახვა, 12.10.2015;
15. www.deseretnews.com/article/700135814/Saving-old-buildings-creates-more-jobs-than-new-construction-saves-energy-says-PlaceEconomics-on.html?pg=1;

Cultural heritage as an important sector of the economy

Ketevan Akhobadze

Summary

The presented work is an attempt to consider the historical period of the country the culture of the main currents, to present recommendations that will contribute to the cultural sector to raise the country's political arena and, if society and government become partners, will be involved in both Georgia and cultural development of a policy (although this process is multi-faceted and complex, but it's possible) in the current global processes, as well as in Georgia, the social - economic environment will merge.

Key words: *Culture, Cultural Heritage, Values, Economics, Market, Strategy*

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების თავისებურებები გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის კონტექსტში

ბარათაშვილი ევგენი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

მაჭარაშვილი თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ბიზნესის განვითარების თავისებურებებს. საკითხის შესასწავლად გამოყენებული იქნა გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitive Index -GCI). იგი ეფუძნება მრავალი კომპონენტის განსაზღვრას და გამოიყენება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად. კვლევამ გამოავლინა აღნიშნულ ქვეყნებში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ტენდენცია და შესაბამისად სამომავლოდ ინვესტორების ინტერესის გაზრდის პერსპექტივა.

საკვანძო სიტყვები: *სამხრეთ კავკასია, კონკურენცია, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი.*

ძირითადი ტექსტი

კვლევის ძირითად საკითხს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში – კერძოდ საქართველოში, სომხეთსა და აზრბაიჯანში ბიზნესის განვითარების ტენდენციებისა და თავისებურებების შესწავლა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ზემოთ ხსენებული გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომლის განსაზღვრას საფუძვლად დაედო კლაუს შვაბის 1979 წელს წარმოდგენილი ორიგინალური იდეა. მისი გამოთვლა წარმოებს 2005 წლიდან [2,3]. აღნიშნული ინდექსი შედგება 114 ინდიკატორისაგან და წარმოდგენილია მსოფლიოს 138 ქვეყნისთვის. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი არის მნიშვნელოვანი პარამეტრი როგორც ქვეყნების მთავრობების სამოქმედო პოლიტიკის დაგეგმისათვის, ასევე ინვესტორებისთვის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომელსაც გვთავაზობს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, წარმოდგენას იძლევა მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხზე ქვეყანაში, ინსტიტუტების მდგომარეობასა და ტექნოლოგიური მზაობის დონეზე.

რეიტინგი ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო მონეტარული ფონდი და ა.შ.) სტატისტიკურ მონაცემებსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. აღნიშნული ყოველწლიური კვლევა ხორციელდება პარტნიორი ინსტიტუტების ხელშეწყობით.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნისთვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. იგი განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისთვის.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ფაქტორთა ჯგუფი მოიცავს ქვეყნის განვითარების 3 ძირითად საფეხურს, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს 12 მაჩვენებელს [1]. I საფეხური მოიცავს ძირითად მოთხოვნებს, მასში შედის შემდეგი კომპონენტები: ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანდაცვა და პირველადი განათლება. II საფეხური მოიცავს ეფექტიანობის გამაძლიერებელ კომპონეტებს: უმაღლესი

განათლება-ტრენინგი, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა, შრომითი ბაზრის ეფექტიანობა, საფინანსო ბაზრის განვითარება, ტექნოლოგიური მზაობა, ბაზრის მოცულობა. III საფეხური მოიცავს ინოვაციებსა და განვითარების ფაქტორებს: ბიზნესის განვითარება და ინოვაციები (ცხრილი1).

ცხრილი 1. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის ფაქტორთა ჯგუფები

I საფეხური ძირითადი მოთხოვნები	I I საფეხური ეფექტიანობის გამაძლიერებელი	I I I საფეხური ინოვაციები და განვითარების ფაქტორები
• ინსტიტუტები • ინფრასტრუქტურა • მაკროეკონომიკური გარემო • ჯანდაცვა და პირველადი განათლება	• უმაღლესი განათლება-ტრენინგი • სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა • შრომითი ბაზრის ეფექტიანობა • საფინანსო ბაზრების განვითარება • ტექნოლოგიური მზაობა • ბაზრის მოცულობა	• ბიზნესის განვითარება • ინოვაციები

2016-2017 წლებში, საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით (ცხრილი 2) 59-ე პოზიციაზე იმყოფებოდა 138 ქვეყანას შორის, მისი სარეიტინგო ქულა 4.3 შეადგენდა.

ცხრილი 2. სამხრეთ კავკასის ქვეყნებში გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით სარეიტინგო პოზიციების ცვლილების დინამიკა 2015-2016 და 2016-2017 წლებში

ქვეყნები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
საქართველო	66	4.2	59	4.3
სომხეთი	82	4.0	79	4.1
აზერბაიჯანი	40	4.5	37	4.6

აღსანიშნავია, რომ საქართველომ პოზიცია 7 საფეხურით გაიუმჯობესა წინა 2015-2016 წელთან შედარებით, როდესაც იგი იმყოფებოდა 66-ე ადგილზე 4.20 ქულით. 2016-2017 წლებში აზერბაიჯანი იმყოფება 37-ე ადგილზე 4.6 ქულით, მაშინ როცა 2015-2016 წლებში იგი იმყოფებოდა მე-40 პოზიციაზე 4.5 ქულით. 2016-2017 წლებში სომხეთი იმყოფებოდა 79-ე ადგილზე 4.1 ქულით, შესაბამისად პოზიცია 3 საფეხურით გაიუმჯობესა. 2015-2016 წლებში სომხეთი იმყოფებოდა 82-ე ადგილზე 4.0 ქულით.

დავაკვირდეთ როგორ იცვლებოდა საქართველოს მდგომარეობა 2016-2017 წლებში 2015-2016 წლებთან შედარებით ფაქტორების მიხედვით (ცხრილი 3). ძირითადი მოთხოვნების ნაწილში საქართველომ მდგომარეობა გაიუმჯობესა 4 საფეხურით და 4.9 ქულით იმყოფება 46-ე ადგილზე. ეფექტიანობის მასტიმულირებელ ნაწილში იგი იმყოფება 69-ე ადგილზე, მდგომარეობა გაიუმჯობესა 8 საფეხურით. ინოვაციური და განვითარების ფაქტორების მიხედვით იმყოფება 113-ე ადგილზე და მდგომარეობა გაიუმჯობესა 5 საფეხურით 2015-2016 წლებთან შედარებით.

ცხრილი: 3. საქართველოში გლობალური კონკურეტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ცვლილება 2015-2016 და 2016-2017 წლებში

მაჩვენებლები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
ძირითადი მოთხოვნები	50	4.8	46	4.9
ეფექტიანობის გამაძლიერებელი	77	4.0	69	4.1
ინოვაციები და განვითარების ფაქტორები	118	3.1	113	3.2

იმავე მახასიათებლების მიხედვით განვიხილოთ სომხეთი და აზერბაიჯანი(ცხრილი 4). ძირითადი მოთხოვნების ნაწილში სომხეთის მდგომარეობა გაუარესდა 2 საფეხურით და 4.4 ქულით იმყოფება 83-ე ადგილზე. ეფექტიანობის მასტიმულირებელ ნაწილში იგი იმყოფება 80-ე ადგილზე, მდგომარეობა გაუმჯობესდა 4 საფეხურით. ინოვაციური და განვითარების ფაქტორების მიხედვით იმყოფება 81-ე ადგილზე და მდგომარეობა გაუმჯობესდა 20 საფეხურით.

ცხრილი: 4. სომხეთში გლობალური კონკურეტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ცვლილება 2015-2016 და 2016-2017 წლებში

მაჩვენებლები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
ძირითადი მოთხოვნები	81	4.4	83	4.4
ეფექტიანობის გამაძლიერებელი	84	3.8	80	4.0
ინოვაციები და განვითარების ფაქტორები	101	3.3	81	3.5

იმავე მახასიათებლების მიხედვით განვიხილოთ აზერბაიჯანი(ცხრილი 5). ძირითადი მოთხოვნების ნაწილში აზერბაიჯანის მდგომარეობა გაუარესდა 6 საფეხურით და 4.9 ქულით იმყოფება 49-ე ადგილზე. ეფექტიანობის მასტიმულირებელ ნაწილში აზერბაიჯანი იმყოფება 59-ე ადგილზე, მდგომარეობა გაუმჯობესდა 10 საფეხურით. ინოვაციური და განვითარების ფაქტორების მიხედვით იმყოფება 49-ე ადგილზე და მდგომარეობა გაუმჯობესდა 17 საფეხურით.

ცხრილი: 5. აზერბაიჯანში გლობალური კონკურეტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი მაჩვენებლების ცვლილება 2015-2016 და 2016-2017 წლებში

მაჩვენებლები	2015-2016		2016-2017	
	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა	სარეიტინგო პოზიცია	სარეიტინგო ქულა
ძირითადი მოთხოვნები	43	4.9	49	4.9
ეფექტიანობის გამაძლიერებელი	69	4.0	59	4.2
ინოვაციები და განვითარების ფაქტორები	66	3.6	49	3.8

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი აანალიზებს ქვეყნების მიხედვით ბიზნესის კეთების ძირითად პრობლემებს. იგი 16 მაჩვენებლისგან შედგება: არაკვალიფიციური

სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა, პოლიტიკური არასტაბილურობა, ინოვაციების დანერგვისთვის არასათანადო ხელშეწყობა, დაბალი დონის სამუშაო პირობები, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო რეგულაციები, მთავრობის არასტაბილურობა, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რეგულირება, დასაქმებულთა დაცვის არასათანადო პირობები, კორუფცია, კრიმინალის დონე, დაბალი დონის საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

აღნიშნული ფაქტორებიდან თითოეული ქვეყნისათვის გამოვყავით ბიზნესის კეთების 5 ყველაზე ხელისშემშლელი პრობლემა.

2016-2017 წლებში საქართველოში ბიზნესის კეთების 5 უმთავრესი პრობლემა აღმოჩნდა: არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია, გაუმართავი ინფრასტრუქტურა.

2016-2017 წლებში სომხეთში ბიზნესის კეთების 5 უმთავრესი პრობლემა აღმოჩნდა: ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, კორუფცია, არაეფექტური სამთავრობო ბიუროკრატია, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო რეგულაციები.

2016-2017 წლებში აზერბაიჯანში ბიზნესის კეთების 5 უმთავრესი პრობლემა აღმოჩნდა: კორუფცია, ინფლაცია, უცხოური ვალუტის რეგულაცია, საგადასახადო განაკვეთი, საგადასახადო რეგულაციები.

აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ბიზნესის კეთების პროცესში მოწინავე პოზიციას იკავებს კორუფციის პრობლემა. საქართველოში აღნიშნული არ ფიქსირდება. ამასთან, ორივე ქვეყანას აქვს საგადასახადო განაკვეთების და რეგულირების პრობლემა, რაც აფერხებს ბიზნესის წამოწყებას. საქართველოში კი მთავარ პრობლემად დასახელებული იქნა არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, რაც მეზობელი ქვეყნების ძირითად პრობლემათა ხუთეულში არ გვხვდება.

მონაცემების ანალიზის შედეგად სამხრეთ კავკასიის ამ სამი ქვეყნის მაგალითზე ვლინდება დადებითი ტენდენცია იმისა, რომ სარეიტინგო პოზიციები ჯამურად სამივე ქვეყანამ გაიუმჯობესა. აღნიშნული გარემოება დადებითი სიგნალია როგორც ინვესტორებისთვის, ისე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, რომელთა გეგმებშიც შედის ამ სამი ქვეყნიდან რომელიმესთან თანამშრომლობა გარკვეულ სფეროში.

ახლა განვიხილით ტენდენციები თითოეული ქვეყნის მიხედვით, ძირითადი მაჩვენებლების, ეფექტიანობის მასტიმულირებელი და ინოვაციების კუთხით. სამხრეთ კავკასიის ამ სამ ქვეყენათა შორის საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც სამივე ასტექტში აქვს წინსვლა. ასევე ყურადსაღებია ის გარემოება, რომ განსხვავებით ჩვენი მეზობლებისგან ბიზნესის კეთების სირთულე არაა დაკავშირებული კორუფციასთან და საგადასახადო რეგულაციების მოუქნელობასთან.

სომხეთის შემთხვევაში ძირითადი მაჩვენებლების, ეფექტიანობის მასტიმულირებელი და ინოვაციების კუთხით შემდეგი მდგომარეობაა: ძირითადი მაჩვენებლების გარდა დანარჩენ 2 ასპექტში არის ცალსახა გაუმჯობესება. რაც შეეხება ძირითად მოთხოვნებს იგი 4 პუნქტით გაუარესდა. ამის მიზეზია ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური და მაკროეკონომიკურ პრობლემები, რასაც თან ერთვის კორუფცია.

სომხეთის მსგავსად ძირითადი მოთხოვნების კუთხით აზერბაიჯანსაც აქვს 6 პოზიციით გაუარესება, ხოლო დანარჩენი 2 მაჩვენებელში ცვლილების ტენდენცია დადებითია. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი ნავთობის მომპოვებელი ქვეყანაა და აღნიშნული ბუნებრივი რესურსი მას აძლევს დიდ ეკონომიკურ ძალაუფლებას, ინსტიტუციების სიმყიფე და ინფრასტრუქტურული პრობლემები მაინც ახდენს თავის უარყოფით გავლენას ქვეყნის განვითარებაზე.

და ბოლოს, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი მაღალი ეკონომიკური სტანდარტის მისაღწევად. სწორედ ამიტომ, მსგავსი ინდიკატორების

ანალიზს აქვს დიდი მნიშვნელობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბიზნეს გარემოს შესწავლის მიზნით. აღნიშნული საშუალებას იძლევა დაძლეული იქნას გამოვლენილი ნაკლოვანებები და დაისახოს სათანადო გეგმა სამომავლოდ მათი გამოსწორებისათვის. ეს კი სავარაუდოდ ხელს შეუწყობს ინვესტორების მოზიდვასა და შესაბამისად ინვესტიციების გაზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოკლე გზამკვლევი "გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2016-2017 " http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/GCI_2016-2017_GEO_13.12.16.pdf
2. K.Schwab K., Global Competitiveness Report 2015-2016, World Economic Report, 385 p.
3. K.Schwab,Global Competitiveness Report 2016-2017, World Economic Report, 383 p.
4. А.И.Колганов, А.В. Бузгалин - Экономическая Компаративтстика сравнителъный анализ экономических систем, 2005 г., с.218-310

Business development features in the context of the Global Competitiveness Index in the South Caucasus Region

Evgeni Baratashvili

Tamar Macharashvili

Summary

The main topic of the article is to define business development trend of South Caucasus countries- Georgia, Armenia and Azerbaijan according to GCI index. Research is based on 3 sub indexes - basic requirements, efficiency enhancers, innovation and sophistication factors. In these countries Georgia is only one which has positive trend. Also we have to remark that doing business problems in Georgia is not connected to corruption and inadequate tax regulations.

In case of Armenia and Azerbaijan, they have a positive trend about efficiency enhancers and innovation and sophistication sub indexes, but basic requirements have negative one. The reason of this is institutional, infrastructural and macroeconomic problems. Also corruption problem which still exists in these countries.

These 3 South Caucasus countries still have to work hard to achieve high economic standard. Such indexes are good indicators to see where is problem and in which direction country should work to overcome it.

Key words: *South Caucasus, Competitiveness, Global Competitiveness Index (GCI)*

ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების ძირითადი პრინციპების განსაზღვრა

ბარკალაია ბესიკ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შაფათავა ნინო
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

აბსტრაქტი

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი მსოფლიო ტურიზმის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და პერსპექტიული მიმართულებაა. ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის სპეციალიზაციას და მასშტაბებს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს, მაგრამ მათ შორის უმთავრესი მაინც რეკრეაციული რესურსებია. ადამიანის ჯანმრთელობაზე მომქმედი რეკრეაციული რესურსები, ესაა ბუნებრივი, სამკურნალო თვისებებით აღჭურვილი სისტემები რომლებსაც ადამიანის ჯანმრთელობაზე დადებითი ზეგავლენის გარდა, სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულებაც აქვს.

რეკრეაციულ პროცესებში ბუნება ადამიანის დასვენების, გაჯანსაღების, ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ძალების აღდგენის ერთ-ერთი წამყვან ფაქტორად გვევლინება, შესაბამისად, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს რეკრეაციული რესურსების კლასიფიცირება მათი მოცულობისა და მარაგების, მილევადობის, თვით-აღდგენისა და ჩანაცვლებადობის მიხედვით და შესაბამისად, მდგრადი და ოპტიმალური გამოყენების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: ამოწურვადი, ბუნებრივ-რეკრეაციული, რესურსები, კლასიფიკაცია, მდგრადი, ოპტიმალური, გამოყენება, ტურისტული, ბუნებათსარგებლობა, ტიპები.

ძირითადი ტექსტი

ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით სარგებლობა წარმოადგენს საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოს შორის ურთიერთქმედების ფორმას, რომელიც ბუნებრივი რესურსების ათვისებისკენ, ტრანსფორმრებისკენ, აღდგენისა და დაცვისკენ მიმართული ღონისძიებების სისტემით ხორციელდება და ასახავს კავშირს წარმოებას, მოსახლეობასა და გარემოს შორის. რეკრეაციულ პროცესებში ბუნება ადამიანის დასვენების, გაჯანსაღების, ფიზიკური და ფსიქო-ემოციური ძალების აღდგენის ერთ-ერთი წამყვან ფაქტორად გვევლინება. საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთქმედების ისტორიული კანონზომიერება გამოიხატება ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების გაფართოვებით, რასაც ეკონომიკური განვითარების ტემპები და ბუნერივი რესურსების დაცვის აუცილებლობის გაცნობიერება განაპირობებს, ამ კანასკნელის რეკრეაციული ფუნქციის მზარდი მნიშვნელობის პირობებში.

საზოგადოებასა და ბუნებას შორის ინტენსიური და ექსტენსიური ურთიერთქმედებისა და რეკრეაციის მიმართ საზოგადოების მოთხოვნილებების ზრდის პირობებში, ჩნდება ბუნებრივი სიმდიდრეების გეგმაზომიერი და სისტემური გამოყენების ობიექტური საჭიროება ხსენებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩნდება რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის განსაკუთრებული ფორმის ორგანიზების საჭიროება.

რეკრეაციულ ბუნებათსარგებლობას სამი საკვანძო ფუნქცია აკისრია, ესენია: სოციალური, ეკონომიკური, და გარემოსდაცვითი. რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის სოციალური ფუნქცია გულისხმობს დასვენების, გაჯანსაღების, ბუნებასთან ურთერთობის მიმართ მოსახლეობის კონკრეტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; ხოლო ეკონომიკური ფუნქცია ძირითადად მდგომარეობს სამუშაო ძალის აღდგენაში.

ტურიზმს როგორც მეურნეობის დარგს, ბუნებრივი რესურსების გამოყენების აშკარად გამოხატული ორიენტაცია აქვს. სხვა სამეურნეო დარგებისაგან განსხვავებით, რომელთა

პროდუქცია ტრანსპორტით მიდის მომხმარებლამდე, ტურიზმი, პირიქით ხელს უწყობს ადამიანების მძლავრ მისწრაფებას გადაადგილდეს რეკრეაციული რესურსების თავმოყრის ადგილებისაკენ. ტურისტული რესურსების მოხმარება მათი ლოკალიზაციის ცენტრებში ხდება, მაგრამ არა „ამოღების" გზით. ტურიზმი ხშირად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის პიონერად გვევლინება და სამეურნეო ბრუნვაში ითრევს ადრე გამოუყენებელ ბუნებრივ კომპლექსებსა და მათ ელემენტებს: მაღალ და მიუვალ მთებს, გამოქვაბულებსა და მღვიმეებს, მდინარეებსა და ტბებს, ეგზოტიკურ და უნიკალურ ლანდშაფტს და სხვ.

შესაბამისად, ტურიზმი ბუნების მრავალმიზნობრივი მომხმარებელია და ბუნებათსარგებლობის თავისებურ სფეროს განაგებს. ვინაიდან იგი აკმაყოფილებს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების რეკრეაციულ მოთხოვნილებებს ბუნების წიაღში, ამდენად, მას ბუნებრივი კომპლექსების მიმართ მეტად მრავალფეროვანი და განსხვავებული მოთხოვნები გააჩნია. ამასთან, წარმატებით ახერხებს დაკავშირებას ისეთ დარგებთან, როგორიცაა სოფლის მეურნეობა (აგროობიექტები), სატყეო მეურნეობა (ბუნებრივი პარკები), მეთევზეობა (აკვაპარკები), ბუნების დაცვა (ეროვნული პარკები); ხოლო ტურისტულ - საკურორტო საქმიანობა - ყველა სახის სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის ერთობლიობაა რაც დაავადებების პროფილაქტიკის, ავადმყოფების მკურნალობისა და რეაბილიტაციის ორგანიზებასა და განხორციელებას ეხება ბუნებრივი სამკურნალო რესურსების გამოყენების, მათი თვისებებისა და მოქმედების მექანიზმების შესწავლის, კურორტების საორგანიზაციო, დეველოპერული და მართვის ღონისძიებების კომპლექსის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას რეკრეანტთა მკურნალობა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება კურორტებზე, ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ექსპლუატაცია და დაცვა და ტურისტულ-საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვა. ეს არის ეკონომიკის სექტორი, რომელიც ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების რაციონალური გამოყენების გზით მნიშვნელოვან სოციალურ ამოცანას ასრულებს მოსახლეობის ჯანმრთელობის (როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი) განმტკიცების თვალსაზრისით. საკურორტო-რეკრეაციულ მეურნეობას დადებით წვლილი შეაქვს შრომითი რესურსების აღდგენაში, მოსახლეობის დასაქმებასა და კურორტების განვითარებაში.

ტურისტული ბუნებათსარგებლობის ბევრი ფორმა და სახესხვაობა არსებობს, რომელთა მეტად განზოგადოებული ტიპოლოგია ფუნქციური ნიშნების მიხედვით სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

- ბუნებათსარგებლობის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი ტიპი – ემსახურება ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ძალების აღდგენას, სტრესებისგან გათავისუფლებას, საწარმოო და საყოფაცხოვრებო დაღლილობისა და დაავადებათა პროფილაქტიკაზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას;

- ბუნებათსარგებლობის ტურისტულ-სპორტული ტიპი – ემსახურება ადამიანის ფიზიკური ძალების გაფართოებულ აღდგენაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და დაკავშირებულია უნიკალურ და ძნელად მისადგომ ბუნებრივ კომპლექსებთან, მოითხოვს ბუნებრივი ზღუდეებისა და წინაღობების არსებობას, ექსტრემალურ ბუნებრივ პირობებს;

- ბუნებათსარგებლობის შემეცნებით-ტურისტული ტიპი – უზრუნველყოფს პიროვნების ინტელექტუალური ძალების და სულიერი პოტენციალის ფუნქციური განვითარების რეალიზაციას. ამასთან, ლაპარაკია ძირითად ინფორმაციულ ფასეულობათა მოხმარებაზე, რომელიც საექსკურსიო ობიექტების და ლანდშაფტების ადგილზე შეცნობის გზით ხდება. ამ ტიპს ახასიათებს მაღალი მომთხოვნელობა როგორც ბუნებრივი კომპლექსების, ასევე მათი ისეთი თვისებების მიმართ, როგორიცაა ატრაქციულობა (მიმზიდველობა), უნიკალურობა, ეგზოტიკურობა.

ტურისტულ-საკურორტო საქმიანობა მრავალფეროვანი ბუნერივი რესურსების მოხმარებაზეა დამყარებული - ეს ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორებისა და ხელოვნურად შემნილი ობიექტების ერთობლიობაა, რომლებიც გამიზნულია სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ღონისძიებებისთვის, მოსახლეობის ჯანმრთელობის გამტკიცებისა და დასვენ-

ებისთვის და განაპირობებს ცალკეულ რეგიონებში სხვადასხვა საკურორტო კომპლექსების განვითარების შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს. კურორტების რესურსულ საფუძველს წარმოადგენს ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები, რომელსაც განეკუთვნება კლიმატი, სამკურნალო მინერალური წყლები, სამკურნალო ტალახები, კასტრული მღვიმეები და მისთ. რესურსებისა და ბუნებრივი ფაქტორების კომბინაციის მიხედვით ასხვავებენ კლიმატურ, ბალნეოლოგიურ, კლიმატო-ბალნეოლოგიურ, ბალნეო-კლიმატურ და ა.შ. კურორტებს.

ტურისტულ სარეკრეაციო რესურსები კლასიფიცირდება მათი მოცულობისა და მარაგების, მილევადობის, თვით-აღდგენისა და ჩანაცვლებადობის მიხედვით და შესაბამისად განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მდგრადი და ოპტიმალური გამოყენების თვალსაზრისით.

ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები კლასიფიცირდება შემდეგნაირად:

- მილევადი და არამილევადი;
- ანაზღაურებადი და აუნაზღაურებელი;
- განახლებადი და არა-განახლებადი;
- ჩანაცვლებადი და ჩაუნაცვლებელი (შეუცვლელი);
- აღდგენადი და არა-აღდგენადი (ამოწურვადი).

მილევადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები მცირდება მათი გამოყენების დონის შესაბამისად. არამილევადი ბუნებრივი რესურსები ის რესურსებია, რომელთა შემცირებაც არ იგრძნობა თუნდაც ძალიან ხანგრძლივი გამოყენების პირობებშიც. განახლებად ბუნებრივ რესურსებად ითვლება ის რესურსი, რომლის განახლების ტემპიც მოხმარების ტემპის შესადარია. არა-აღდგენადია (ამოწურვადია) ბუნებრივი რესურსი, რომელიც არ ექვემდებარება არც თვით-აღდგენას და არც ხელოვნურ აღდგენას.

ჩანაცვლებადი (ტექნოლოგიური თვალსაზრისით) ბუნებრივი რესურსები ეწოდება რესურსს, რომელიც პროდუქციის წარმოების და მომსახურების გაწევის დროს გამოიყენება და საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩანაცვლებული იყოს სხვა ბუნებრივი რესურსით ისე, რომ არ გამოიწვიოს არსებითი ცვლილებები ტექნოლოგიებში და არ შეამციროს საბოლოო პროდუქტის ხარისხი. შეუცვლელს (ტექნოლოგიური თვალსაზრისით) უწოდებენ ბუნებრივ რესურსს, რომელსაც უნიკალური საექსპლუატაციო თვისებები გააჩნია ტექნოლოგიის განვითარების მოცემულ ეტაპზე. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ეკოლოგიური თვალსაზრისით, ყველა ბუნებრივი რესურსი შეუცვლელია ბუნებრივი სისტემის წონასწორობისთვის. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მილევადობა შესაძლოა ბუნებრივი რესურსების ობიექტურ მახასიათებლად ჩაითვალოს, ხოლო ჩანაცვლება - სუბიექტურ, შეფასებით მახასიათებლად.

ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფიზიკურ-ქიმიური შემადგენლობით, თვისებებით, ადამიანის ორგანიზმზე მოქმედი ფაქტორებით, ტერიტორიულ-სივრცული გავრცელების არეალით და სხვა ნიშნებით. მათ ჯგუფს მიეკუთვნება როგორც მილევადი, ისე არამილევადი სახეობები. არამილევად სახეობებს განეკუთვნება: წყალი, მზის ენერგია და ქარის ენერგია, ხოლო მილევადს - ლანდშაფტი, მცენარეთა ეკოსისტემები, ჰავა, რომელსაც ქმნის მცენარეთა ეკოსისტემა და სხვ.

დღეს, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში რეკრეაციული რესურსების გამოყენების დიდი ინდუსტრია ფუნქციონირებს, რასაც შედეგად მნიშვნელოვანი შემოსავლები მოაქვს. აქ აღნიშნული ინდუსტრიის ქვეშ მოიაზრება რეკრეაციული საწარმოები (საკურორტო ნაგებობები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები და სხვ.), რომლებიც რეკრეაციული რესურსების გამოყენებით ხელს უწყობენ ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაჯანსაღებას.

თუმცა, საკურორტო-რეკრეაციული მეურნეობის ხანგრძლივი ეფექტიანი საქმიანობისთვის აუცილებელია ბუნებრივ რეკრეაციული რესურსების ოპტიმალური და მდგრადი გამოყენების გათვალისწინება, განსაკუთრებით ეს ეხება მილევად და ამოწურვად რესურსებს, რომლებიც მცირდება მათი გამოყენების დონის შესაბამისად, ხოლო ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ამოწურვა ბუნებრივ კატაკლიზმებთან ერთად გამოიწვევს საწარმოო ციკლის გაჩერებას და ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტას.

მსოფლიოში მრავალი ფაქტი არსებობს, როდესაც საკურორტო მეურნეობის განაშენიანებისას ძირითადი აქცენტები გადატანილი იქნა მხოლოდ შენობა-ნაგებობების კომფორტით უზრუნველყოფაზე, ხოლო მილევადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების რაციონალური, მდგრადი გამოყენება იგნორირებულ იქნა. შედეგად, მოკლე დროის განმავლობაში, ასეთმა ობიექტებმა დაკარგეს მიმზიდველობა და შემოსავლები. ასეთი ობიექტების გადასაჩენად ინვესტორებს მოუხდათ დამატებითი სოლიდური კაპიტალდაბანდებების განხორციელება, რათა შეძლებისდაგვარად აღედგინათ იმ გარემოს იერ-სახე, სადაც ეს ობიექტები იყო განთავსებული.

ამიტომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უპირველესი აქცენტები გადატანილი უნდა იქნას მილევადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრად გამოყენებაზე, რაც გულისხმობს აღნიშნული რესურსების მუდმივ გამოყენებას თავისი თვით-აღდგენის პერიოდების გათვალისწინებით, და რაც საშუალებას იძლევა, რომ მოცემული რესურსი შენარჩუნებული იქნას მუდმივი სარგებლობისათვის.

აღნიშნული თვალსაზრისის დასაბუთების მიზნით ჩვენ მიერ შემუშავებულია დამოკიდებულება ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ექსპლუატაციასა და რესურსული მარაგების აღდგენის ციკლთან (იხ. დიაგრამა №1), და მათი ექსპლუატაციიდან მიღებული შემოსავლების თანაფარდობა რესურსულ მარაგებთან. ამ მიზნით, დასაბუთებულია ამოწურვადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი, ოპტიმალური გამოყენების აუცილებლობა.

დიაგრამა №1. ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ექსპლუატაცია და რესურსული მარაგების აღდგენის ციკლი



სადაც:

ab - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების მონაკვეთი;

bP - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების აღდგენის ბოლო მონაკვეთი;

cP - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გადაღლის მონაკვეთი;

dc - ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მილევადობის მონაკვეთი.

რეკრეაციული სისტემა საკმაოდ მგრძნობიარეა როგორც ადამიანების, ისე გარემო ბუნების ცვალებადობასთან დაკავშირებით, ამიტომ, რესურსების ექსპლუატაციის დროს აუცილებელია შენარჩუნებულ იქნას ეკოლოგიური წონასწორობა. ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების მდგრად გამოყენებასა და ეკონომიკური სარგებელის მიღებასთან დაკავშირე-

ბით გრაფიკულად გამოსახული დამოკიდებულებები მიგვანიშნებს, რომ მილევადი ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების გამოყენებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას მდგრადობა, რათა მოხდეს რესურსების შენარჩუნება მომავალში მუდმივი სარგებლობისთვის. ამოწურვადი რეკრეაციული რესურსების სამრეწველო თვალსაზრისით ჭარბად გამოყენება, გამოიწვევს აღნიშნული რესურსების გადაშენება–გაქრობას. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გამოყენება მხოლოდ ოპტიმალური დამოკიდებულების გათვალისწინებით

საქართველოს მდიდარი, უნიკალური, სამკურნალო თვისებების მქონე მრავალფეროვანი რეკრეაციული რესურსები, აუცილებელი პირობაა ქვეყანაში საკურორტო - რეკრეაციული ტურიზმის განვითარებისათვის. შესაბამისად, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენებისა და მართვის დროს გასათვალისწინებელია სანიტარული დაცვის ზონებში კანონით დადგენილი წესრიგის დაცვა და დამხმარე ზონებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. უნდა განისაზღვროს ტურიზმისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რესურსებით ერთდროულად სარგებლობისას წარმოქმნილი შესაძლო წინააღმდეგობები და შეიქმნას რესურსების გამოყენების ისეთი მექანიზმები, სადაც ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის განვითარება ჰარმონიულად შეერწყმება ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესსა და კულტურას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შაფათავა ნ. - "ტურისტულ-საკურორტო მოდელების განვითარება საქართველოს მაღალმთიან ზონებში" - (სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად), სტუ, 2016.
2. ბარკალაია ბ., შაფათავა ნ. - "რეკრეაციის გამოყენების ეკონომიკური ზეგავლენის გაზომვა" - რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს–ინჟინერინგი" (სტუ) №3. 2014წ.
3. ბარკალაია ბ., ქაჯაია ქ., - "ტურისტული ბუნებათსარგებლობა და ეკოლოგია" - რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს–ინჟინერინგი", №3. 2013წ;
4. Chris Cooper & C. Michael Hall - "Contemporary Tourism Systems - An International Approach", Elsevier Publishing, 2008, UK.

Basic principles of sustainable use of exhaustibla natural-recreational resources

Besik Barkalaia
Nino Shapatava

Summary

According to UNWTO statements wellness/recreational turism recently was indicated as one of the most perspective and rapidly growing fields in the world. Different factors determine the specialization and scope of tourism-recreation activities, however the recreational resources hold the central role. Natural / recreational resources influencing the human health are represented by natural systems with remedial capacity that have social and economic significance besides the curative impact upon the human health.

In recreational processes the nature appears as one of the key factors for vacation, curing, physical and psyco-emotional relaxation. Consequently, the focus shall be made upon clasification of natural recreational resources in terms of their volume, capacity, level of wear out, restorability and replaceability and shall be discussed in terms of their sustainable and optimal utilization.

Key Words: Exhaustible, Natural/recreation, resources, classification, sustainable, optimal, use, touristic, use of nature, types.

შეფარდებითი უპირატესობის კონცეფცია და საქართველოს მომავალი

ბადათურია გიორგი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობის ერთ–ერთი ფუძემდებლური პრინციპი - რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც უნდა მიმდინარეობდეს საერთაშორისო ვაჭრობა. ნაჩვენებია, რომ თეორიულად უზადო კონცეფცია პრაქტიკულად ვერ მუშაობს საერთაშორისო კონკურენციისა და სხვა რეალური მიზეზების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, თუ ე.წ. „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნები, მ.შ.საქართველო, რომელთაც არა აქვთ აშკარად გამოკვეთილი შეფარდებითი უპირატესობა (ვთქვათ სასარგებლო წიაღისეულის სახით), იმოქმედებენ ამ კონცეფციის მიხედვით, მაშინ ისინი მუდამ ჩამორჩენილი და მათხოვარი ქვეყნების რიგში იქნებიან, ეკონომიკურად დამოკიდებული სხვა, მდიდარი „მეგობარი ქვეყნების“ დახმარებაზე, შესაბამისად, რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარეშე. ამდენად, ქვეყნის სრულფასოვანი განვითარება მოითხოვს როგორც ხელისუფლების, ისე ქვეყნის მთელი საზოგადოების ძალისხმევის წარმართვას შეფარდებითი კონკურენტულ უპირატესობათა შექმნა-მოპოვებისაკენ. ნაშრომში მითითებულია საქართველოს ეკონომიკის განვითარების ის შესაძლო მიმართულებები, რომელთა მეშვეობითაც ქვეყანა შეძლებს შექმნას და განამტკიცოს საკუთარი კონკურენტული პოზიციები გრძელვადიან პერსპექტივაში. .

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ვაჭრობა, რიკარდოს მოდელი, შეფარდებითი უპირატესობა, კონკურენტული პოზიცია, „ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნები, საქართველო, „მეგობარი ქვეყნები“, ეკონომიკური დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.*

შესავალი

რიკარდოს მოდელი

ნებისმიერი ქვეყნის, მ.შ. საქართველოს ნორმალური ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობის გარეშე. ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ სხვადასხვა ეკონომიკური შესაძლებლობები აქვთ, შესაბამისად ამ განსხვავების წყალობით (ან, ამ გასხვავებათა გამო) მათ შეუძლიათ მიიღონ სარგებელი, თუკი აწარმოებენ იმას, რასაც კარგად ან, იდეალურ შემთხვევაში, ყველაზე უკეთესად აკეთებენ. ბუნებრივია, რომ ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებს აწარმოოს ყველა ის პროდუქტი, რომელიც მას ესაჭიროება. ამრიგად, საერთაშორისო ვაჭრობა უზრუნველყოფს მსოფლიო წარმოების ზრდას ცალკეული ქვეყნის სპეციალიზაციით ამა თუ იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც ესა თუ ის ქვეყანა ყველაზე უკეთ ახერხებს. ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ ქვეყანა ფლობს **შეფარდებით უპირატესობას** კონკრეტული საქონლის წარმოებაში, თუ მოცემული საქონლის წარმოების ალტერნატიული დანახარჯი, რომელიც გამოხატულია სხვა საქონლით, ამ ქვეყანაში უფრო დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყანაში. შესაბამისად კეთდება დასკვნა, რომ საერთაშორისო ვაჭრობამ შეიძლება სარგებელი მოუტანოს ამ პროცესში მონაწილე თითოეულ ქვეყანას, თუ ისინიგანახორციელებენ იმ საქონლის ექსპორტს, რომელშიც შეფარდებითი უპირატესობა აქვთ. [1,2,3]საერთაშორისო ეკონომიკის ასეთი მოდელი შეიმუშავა ინგლისელმა ეკონომისტმა **დავიდ რიკარდომ**.[1] ეს მოდელი მარტივად იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, რაკი ეკვადორს უკეთ გამოსდის ვარდების წარმოება, მან ვარდები უნდა აწარმოოს და საერთაშორისო ბაზარზე მისი ექსპორტი განახორციელოს, ხოლო აშშ-მ

[1] დავიდ რიკარდო (1772-1823) – David Ricardoინგლისელი პოლიტეკონომისტი, კლასიკური ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი; მთავარი ნაშრომი – პოლიტიკური ეკონომიკისა და დაბეგვრის საფუძვლები (Principles of Political Economy and Taxation, 1817).

კომპიუტერები, ვინაიდან კომპიუტერებს აშშ გაცილებით უკეთესად ამზადებს ვიდრე ეკვადორი, ხოლო ვარდებს, რომელსაც მილიონობით მოიხმარს, ეკვადორისგან შეიძენს. სხვა საკითხია, შეძლებს თუ არა ეკვადორი გაყიდული ვარდების სანაცვლოდ საჭირო რაოდენობის კომპიუტერების შეძენას.

რიკარდოს მოდელი და შეფარდებითი უპირატესობის ცნება წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთ თეორიულ საფუძველს და იგი ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ეკონომიკური პროცესების ასახსნელად, ოღონდ მხოლოდ თეორიულად.პრაქტიკულად მსოფლიო რეალობა გაცილებით რთულია. საერთაშორისო წარმოება და ვაჭრობა განისაზღვრება საბაზრო მოთხოვნილებებით, რომელიც დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდებისა და სხვა, არამხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებზე და არც საერთო სარგებლიანობის საღ აზრზე.

პრობლემები საერთაშორისო ვაჭრობაში

საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ნებისმიერი სუბიექტის წინაშე არსებოს მთელი რიგი გადაუჭრელი პრობლემა:

- მართლაც შესაძლებელია საყოველთაო სარგებლის მიღება ყველა ქვეყნის მიერსაერთაშორისო ვაჭრობის მეშვეობით?
- ქვეყნები ნამდვილად იმ საქონელს აწარმოებენ, რომელშიც შეფარდებით უპირატესობას ფლობენ?
- ქვეყნებმა მხოლოდ ის საქონელი უნდა აწარმოონ, რომელშიც შეფარდებით უპირატესობას ფლობენ? მოუტანს ასეთი წარმოება ამ ქვეყნებს ეკონომიკურ კეთილდღეობას?
- და ა.შ.

ირკვევა, რომ აღნიშნულ კითხვებზე სასურველი პასუხების გაცემა სულ უფრო რთული ხდება. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აშშ-ში, კანადასა და სხვა ქვეყნებში დაიწყო მსჯელობა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებში სახელმწიფო რეგულირების გამოყენების აუცილებლობაზე, რათა კანონმდებლობით დაეცვათ საკუთარი ქვეყნის ბაზარი საზღვარგარეთის ქვეყნების, პირველ რიგში, იაპონური საქონლის იმპორტისგან. შემდეგ გაჩნდნენ ახალი კონკურენტები სამხრეთ კორეადან, ტაივანიდან, ბრაზილიიდან, რამაც თითქმის პანიკა გამოიწვია ამერიკის ბიზნეს წრეებში. ამის გამო მრავალი კონგრესმენი აშშ-ში “პროტექციონისტი” გახდა და იმპორტის აკრძალვასაც კი მოითხოვდნენ. აღარვის ახსოვდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და რიკარდოს მოდელი.მართალია იმპორტის აკრძალვა არ მომხდარა, მაგრამ გარკვეული სახის პროდუქციზე დაწესდა მთელი რიგი შეზღუდვები. ეორე მხრივ, თვით იაპონია, რომელიც საზღვარგარეთის ბაზრებზე ტავისუფლად შედწევას მოითხოვდა, თავად იმპორტის საწინააღმდეგო ბარიერები აქვს დაწესებული.

სხვა სახის პრობლემს ქმნის სხვადასხვა ქეეყნების ვალუტის კურსის ცვლილებები აშშ დოლართან მიმართებაში, რაც ყოველთვის ვერ აიხსნება წმინდა საბაზრო ეკონომიკის თეორიებით. ხშირად საჭირო ხდება სახელმწიფოს ცარევა და რეგულირების სპეციალური მექანიზმების ამოქმედება, საკუთარი ვალუტის გაუფასურების ან მეტისმეტი გამყარების შესაჩერებლად. ცალკე პრობლემებს ქმნის მუშახელის უკონტროლო მიგრაცია, ბრენდი საწარმოების ფილიალების არსებობა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ამა თუ იმ სახელგანთქმული პროდუქციის დამზადება გაცილებით იაფი ჯდება და ა.შ. ცალკე პრობლემაა ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნა, რომლის პროგნოზირება, სხვადასხვა მიზეზის გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა. მიუხედავად მრავალი სამეცნიერო თეორიის არსებობისა ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის მოულოდნელად ხდება და მხოლოდ მომხდარი ფაქტის ანალიზით ცდილობს ეკონომიკური მეცნიერება ახსნას უკვე კრიზისის მიზეზები. მაგრამ ეს საქმეს არ შველის, წარმოების დონე და მსყიდველობითი პოტენციალი მცირდება, ექსპორტ-იმპორტის ბალანსი ირღვევა, უმუშევრობა იზრდება, რამაც შესაძლოა პოლიტიკური პრობლემებიც შექმნას.

საკითხი ასე დგას, რა უნდა მოიმოქმედოს ისეთმა პატარა ქვეყანამ და სუსტმა სახელმწიფომ, როგორიც საქართველოა, რომ არამხოლოდ გაუმკლავდეს შესაძლო ეკონომიკურ პრობლემებს, არამედ დაძლიოს ეკონომიკური ჩამორჩენა და გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, რომლის პოტენციალიც მას გააჩნია.

საქართველოს ეკონომიკური ვითარება

საბჭოთა კავშირის პერიოდში ქვეყნის (მაშინ საბჭოთა რესპუბლიკის) განვითარების საკითხები საქართველოში არ წყდებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ეკონომიკამ კატასტროფული დაღმასვლა განიცადა, რაც ძირითადად იმ დროს გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა განაპირობა, მაგრამ, არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც სამეცნიერო და სახელმწიფო წრეების, ისე საზოგადოების მოუმზადებლობა ეცხოვრა ახალ ეკონომიკურ პირობებში. თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ვერ აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საწინდარი.

შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მთავარი იყო ქვეყნის გამოყვანა ნგრევის ქაოსიდან, ქვეყნისთვის სახელმწიფოებრიობის ნიშნების მიცემა [4, 5], რაც ნაწილობრივ შესრულდა კიდეც, 1996-97 წლებში შეინიშნებოდა ეკონომიკური გამოცოცხლება, რაც სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად, რისი მიზეზიც იყო, ერთი მხრივ, თვით მაშინდელი მთავრობის გაუბედავი მოქმედება, უუნარობა განეხორციელებინა რადიკალური რეფორმები, მეორე მხრივ იმდროინდელი ოპოზიციის გარკვეუწილად დესტრუქციული ქმედება.

სააკაშვილის მმართველობამ სერიოზული ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ განვითარებას, განხორციელდა მთელი რიგი რეფორმები, ქვეყანა იხრებოდა ე.წ. ლიბერტარიანული ეკონომიკისკენ, რომლის მთავარი იდეოლოგიც ცნობილი ბიზნესმენი კახა ბენდუქიძე გახლდათ [6]. შამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ლიბერტარიანული ეკონომიკა ამართლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რადიკალურ და ენერგიულ რეფორმებთან ერთად ქვეყანაში ნამდვილად დემოკრატიული წესწყობილებაა, რომლისთვისაც სრული მზადყოფნაა როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოებაში. როგორც ვნახეთ, რეალობა სრულიად სხვაგვარი აღმოჩნდა. ქვეყანა იმართებოდა ავტორიტარული მეთოდებით, რასაც დაემატა 2008 წლის ხანმოკლე ომი რუსეთთან, რამაც კიდევ უფრო დააქვეითა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი.

დღეს ქვეყანა დემოკრატიული მმართველობის გზაზეა, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო მმართველობით (რაც თუმცა ერთგვარად ამუხრუჭებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ აუცილებელია საზოგადოებრივი თანხმობის მისაღწევად), არსებობს ქვეყნის განვითარების სტრატეგიული და რეალური გეგმები, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება კიდეც, მაგრამ მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება, ოკუპირებული ტერიტორიები, უმუშევრობის მაღალი დონე, განუვითარებული მრეწველობა, საეჭვოს ხდის ქვეყნის სწრაფი განვითარების შესაძლებლობას. დღეს საქართველო 111-ე ადგილზეა მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით [7] და გვისწრებს როგორც ყველა ევროპული ქვეყანა, ასევე მთელი რიგი აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნები, რომელთაც, თითქოსდა არავითარი ეკონომიკური უპირატესობა არ გააჩნიათ.

საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობები კარგად ჩანს საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემებიდან, კერძოდ, საქსტატის მონაცემებით წელს საგარეო ვაჭრობაში დადებითი ტენდენციებია, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2017 წლის იანვარ-მარტში, 2016 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18%-ით გაიზარდა და 2,285 მლრდ დოლარი შეადგინა. მთლიანი სავაჭრო ბრუნვიდან ექსპორტი 577 მლნ აშშ დოლარია და ერთი წლის განმავლობაში 30%-ით გაიზარდა.

რაც, ყველაზე უფრო სასიხარულოა ექსპორტმა ზრდა დაიწყო - 3 თვეში ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი (576.5 მლნ დოლარია), განსაკუთრებით მოიმატა შემდეგი პროდუქცი-

ის ექსპორტმა: თევზის ცხიმი (ზრდა 449%), ფოლადის ნახევარფაბრიკატები (ზრდა 343%), ფეროშენადნობები (ზრდა 201%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (155%), ცხვრის ხორცი (121%), ხილ-ბოსტნეულის წვენები (110%), ხილ-ბოსტნეულის კონსერვები (69%), ღვინო (62%), მედიკამენტები (55%), ხის ნაწარმი (48%), უალკოჰოლო სასმელები (47%), სპირტიანი სასმელები (18%), მინერალური წყალი (17%), სპილენძის მადნები (17%). საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონელია სპილენძის მადანი (16% მთლიან ექსპორტში, აქედან იმპორტირებულია 6%), ფეროშენადნობები (15% მთლიან ექსპორტში), ღვინო (6%) სამკურნალო საშუალებები (6%, აქედან იმპორტირებულია 4%). საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი ისევ რჩება ერთ-ერთ უმსხვილეს საექსპორტო საქონლად (5% მთლიან ექსპორტში), რაც დადებითად ვერ დაახასიათებს საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს. დანარჩენი 52% სხვადასხვა საქონელია, რომელთა წილი 1-2 %-ია მთლიან ექსპორტში.

როდესაც ვსაუბრობთ ქვეყნის მომავალ განვითარებაზე პირველ რიგში ვახსენებთ ტურიზმის განვითარებას, სოფლის მეურნეობის წახალისებას, აქტივში ვითვლით იმასაც კი, რომ თურმე საზღვარგარეთიდან ქართული ემიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხა გაიზარდა და ახლა უკვე მილიარდ სამას მილიონ დოლარს გადააჭარბა (რაც საქართველოს მშპ -ს თითქმის 8%-ს შეადგენს.

პატარა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

რას ნიშნავს ეს ციფრები? რა თქმა უნდა ექსპორტის ზრდა უაღრესად დადებითი მოვლენაა, კარგია, რომ მოსახლეობა ღებულობს შემწეობას ემიგრანტი ნათესავებისგან, ტურიზმის ზრდაც კარგია, მაგრამ აქ არ ჩანს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდის წინაპირობა, ქვეყანა ვერ ქმნის ისეთ პროდუქტს, რაც მათ მოწინავე ქვეყნების რიგში დააყენებდა. საქართველოში თითქმის არ არის ინდუსტრია, მრეწველობა, ინოვაციური ტექნოლოგიები, უამისოდ კი ყოველთვის მაჩანჩალა ქვეყნების რიგში ვიქნებით. არ არისეს დარგები საქართველოს შეფარდებითი უპირატესობის ჩამონათვალში და რა ვქნათ? პასუხი **"მარტივია" – უნდა შევქმნათ, მოვიგონოთ ახალი შეფარდებითი უპირატესობანი,** როგორც ეს გააკეთეს საქართველოსავით პატარა და ოდესღაც საქართველოსთან შედარებით ღარიბმა ქვეყნებმა, როგორიცაა თუნდაც ფინეთი, ტაივანი, ესტონეთი, სლოვაკეთი და სხვ..ფინეთს თოვლი, ნაძვებისა და ირმების მეტი არაფერი გააჩნდა, მაგრამ დღეს მე-16 ქვეყანაა მშპ-ის (ერთ სულზე 44,852 დოლარი,)მიხედვით და უახლესი ტექნოლოგიების მწარმოებელია, რომელსაც ვერაფერი დააკლო ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა; ტაივანი საქართველოსავით მთაგორიანი ქვეყანაა, სადაც ნაყოფიერია მხოლოდ ოკეანის პირას არსებული ვიწრო ზოლი, მაგრამ დღეს 37-ე ადგილზეა მშპ-ის (ერთ სულზე 22,684 დოლარი) მიხედვით, და დღეს ტაივანზე იწარმოება კომპიუტერული ტექნიკის ლომის წილი [8]. არც ტაივანს შეხებია დიდად ეკონომიკური კრიზისი. ესტონეთის მშპ-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდგენელია SKYPE-ით მიღებული შემოსავლებია (SKYPEესტონელი პროგრამისტების მონაწილეობით). საქართველოში ეს მაჩვენებელი 4254 დლარია და გვატემალასა და ტონგას გვერდით ვიმყოფებით შესაბამის სიაში, ამასთან ტონგა გვისწრებს კიდეც.

აღნიშნული სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელიია მნიშვნელოვანი გარდაქმნები და, პირველ რიგში, გარდაქმნა ეკონომიკური მიმართულების განსაზღვრის მიზნით. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ორიენტაცია ქვეყანაში აღებულია რიკარდოს მოდელის მიხედვით იმ არსებულ ბუნებრივ უპირატესობებზე, რომელიც თითქოსდა გააჩნია ჩვენს ქვეყანას – ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ღვინო, ჩაი და ა.შ.

აქვე შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ იმ საკითხზე თუ რომელი ქვეყნებია უფრო მოწყვლადი, რომელი ვერ უძლებს ეკონომიკური კრიზისის შეტევებს? ის ქვეყნები, სადაც არ არის ინდუსტრია, მრეწველობა, ახალი ტექნოლოგიები. ტურიზმისა და თუნდაც მაღალხარისხიანი სოფლის მეურნეობის ქვეყნების ეკონომიკა შედარებით ადვილად განიცდის რყევებს. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც საბერძნეთი. ევროკავშირში შესვლით ქვეყანამ

უარი თქვა მანამდე საკმაოდ კარგად განვითარებულ გემთმშენებლობაზე და ახლა იძულებულია ევროკავშირის დახმარების იმედად იყოს.

ამრიგად, გამოსავალი მხოლოდ ერთია, საქართველომ **უნდა განავითაროს მრეწველობა და ინოვაციური ტექნოლოგიები, მოიფიქროს შეფარდებითი უპირატესობის მოპოვების ახალი შესაძლებლობები,** როგორც ეს თავის დროზე გააკეთა თუნდაც ედუარდ შევარდნაძემ, როდესაც "დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინებას ჩაუყარა საფუძველი ჯერ კიდევ სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს. ისტორიულად "დიდი აბრეშუმის გზას" საქართველოსთან მეტად მცირე შეხება ჰქონდა, მაგრამ შევარდნაძემ დაარწმუნა მსოფლიოს ქვეყნების ლიდერები ახალი მარშრუტის საქართველოზე გავლის მიზანშეწონილობაში, რაც შემდეგ ტრასეკას პროექტში გადაიზარდა და თავისი დადებით შედეგები იქონია საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების საქმეში. ამ თვალსაზრისით იმედის მომცემია ქვეყნისგანვითარების 4 პუნქტიანი გეგმა, დაგეგმილი დიდი პროექტები, გრანდიოზული ინფრასტრუქტურული მშენებლობები, ტექნოპარკების განვითარება, საქართველოს საგანმანათლებლო ჰაბად გადაქცევის იდეები და სხვ.

ლიტერატურა

1. პიტერ ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი, „სიახლე", 1986
2. Paul R. Krugman, Maurice Obsfeld. International Economics: Theory and Policy (10-th ed.), 2015, pp. 24-30; .
3. The Theory of Comparative Advantage Posted on 19.03.2004 19:54:53 by Luis Gonzalez, The International Economics Study Center ^Interntional Trade Theory and Policy by Steven M. Suranovich Retrieved from http://www.freerepublic.com/focus/f-news/1101717/posts
4. ედუარდ შევარდნაძე. ფიქრები წარსულსა და მომავალზე. თბილისი, 2006 წ.
5. ა.ცინცაძე, გ.ბაღათურია. არჩევანი, დემოკრატიის მშენებლობა ტოტალიტარიზმის ეპოქაში. "ბაკმი", თბილისი 2001
6. ВладимирФедорин.Дорогаксвободе. БеседысКахойБендукидзе.Новое издательство2015
7. http://statisticstimes.com/economy/countries-by-projected-gdp-capita.php
8. გ.ბაღათურია. ტაივანი – კეთილდღეობის კუნძული, თბილისი "ცის ნამი"2000 წ.
9. სახელმწიფო პოლიტიკა, ა.ცინცაძისა და გ.ბაღათურიას რედაქციით, თბილისი, "ტექნიკური უნივერსიტეტი"2002.

The Concept of Comparative Advantage and the Future of Georgia

Giorgi Bagaturia

Summary

The article discusses one of the fundamental principles of contemporary international trade the concept of comparative advantage Ricardo, according to which should be organized international trade. It is shown that theoretically flawless concept, can not work practically due to international competition and other real reasons. Moreover, if the countries of so-called "young democracy", including Georgia, which do not have a strong comparative advantages (e.g., in the form of natural resources), will act in accordance with this concept, they will always remain backward and poor countries, economically dependent on the help of the other rich "friend-countries" and, accordingly, there will be no real independence. Thus, the fully-fledged development of the country requires a focus of both government and society to create, obtain thecomparative competitive advantages. In the work indicated the possible directions of economic development of Georgia that will assist the country in establishing and strengthening its long term competitive position.

Keywords: International trade, Ricardo model, comparative advantage, competitive position, the young democracies, Georgia, "friend-countries", economic independence, national independence.

ეკონომიკურ-ეკოლოგიური ზონასწორობის შენარჩუნება, როგორც ცივილიზაციის განვითარების ფუძემდებელი ფაქტორი

გალახვარიძე ნაირა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

გუგავა ელდარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ინტენსიურობისა და მასშტაბების ზრდის პირობებში, ადასტურებს ბიოსფეროს თვითრეგულაციის შესაძლებლობების შემცირებას. კაცობრიობის მომავალი განვითარება შესაძლებელია სამი ვარიანტით.

1. ინერციით - შესწავლილი ტენდენციებით გარემოს ნგრევა, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე შენელებული ტემპით. ეკონომიკური კრიტერიუმების უპირატესობა, ნაციონალური ეგოიზმი, აზროვნების ჩამორჩენის, ადეკვატური მოქმედებების მცდელობის უუნარობა, ბიოსფეროს ნგრევის სიგნალების შეუფასებლობის, სტიქიური, არამართვადი პროცესების განვითარების გაგრძელება;

2. ულტრატოტალიტარული სცენარი-აბსოლუტურად მკაცრი მსოფლიო დიქტატურა (შესაძლო 2ან 3 პოლუსიანი), როგორც „მესამე სამყაროსთან“ ურთიერთობაში, ისე საკუთარ მოსახლეობასთან ურთიერთობაში. განუწყვეტელი ბრძოლა რესურსებზე, დაუნდობელი სოციალური და ბიოლოგიური ევგენიკა. (ევგენიკა-მოძღვრება ადამიანის მოდგმის, მისი მემკვიდრული ბუნების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ).

3. ტრანსფორმაციული სცენარი-საფრთხეების სწრაფი გააზრება, რომელიც დაკავშირებულია გარემოს ნგრევასთან, სოციალურ-ეკოლოგიურ კრიზისზე ადეკვატური რეაქცია. ახალი მსოფლმხედველობისა და ფასეულობათა ახალი სისტემების გარღვევა გლობალურ-კოლექტიურ ქმედებების საფუძველზე.

ეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინება საზოგადოებრივი წარმოების ობიექტური აუცილებლობა ხდება. რამდენადაც ბუნებრივი პირობების ტექნოგენური ცვლილებების ტენდენციები სულ უფრო საფრთხის მომცველ ხასიათს ღებულობს თავად ადამიანებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *საწარმოო ურთიერთობები, რესურსები, ტენდენცია, ხარისხი, საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ინერცია, ულტრატოტალური, ტრანსფორმაციული.*

ძირითადი ტექსტი

ბუნება-ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის გარემო, მისი არსებობის რესურსების წყაროა, შრომის საგანია, გარდაქმნის ობიექტია, ბუნების ძალებისა და ადამიანთა საჭიროებების შეგუებაა. თავის მხრივ ადამიანი ბუნების ნაწილია, მისი ნაყოფი, წარმონაქმნია, მას შეუძლია აწარმოოს აუცილებელი საქონელი, მხოლოდ მისი რესურსების გამოყენებით და იცხოვროს მხოლოდ იმ ბუნებრივ პირობებში (ტემპერატურა, წნევა, ტენიანობა, ატმოსფეროს შემადგენლობა და სხვა), რომელთანაც ის გენეტიკურადაა შეგუებული.

ამასთან უნდა ითქვას, რომ ადამიანთა საზოგადოების, მთავარი ეკოლოგიური დამაკავშირებელი რგოლი ბუნებასთან აუცილებლად საწარმოოა. საწარმოო საქმიანობის ორგანიზაციის ყველა ფორმის ამოსავალი მომენტი-ამა თუ იმ პროდუქციის სოციალური მოთხოვნაა, მასზე სოციალური შეკვეთაა.

საწარმოო ურთიერთობების კუთხით გადამწყვეტია ის მდგომარეობა, რომ ბუნების ძალების საწარმოო მითვისება შესაძლებელია მხოლოდ შრომის პროცესში. ამგვარად ბუნების ძალების მითვისება განუყოფელია შრომისაგან, რომელიც დახარჯული უნდა იყოს ბუნებრივი რესურსების ათვისებასა, ანდა კვლავწარმოებისას. მისგან ამოღებული ნივთიერე-

ბების ასეთი შეცვლილი ფორმები პასუხობენ ადამიანთა მოთხოვნილებებს.

თავისი ზემოქმედებით ბუნების პოტენციალი, რომელიც მოიცავს ბუნებრივი რესურსების მთელ ნაკრებს, ბუნებრივ და კლიმატურ პირობებს ყოველთვის ასრულებდა განსაკუთრებულ როლს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების ცხოვრებაზე. სამეურნეო პოლიტიკის არსი განვლილი პერიოდის მანძილზე მიმართული იყო, განვითარების მიზნისა და საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ, რათა მაქსიმალურად გამოყენებულიყო ბუნებრივი პირობები და რესურსები.

ამავდროულად ამა თუ იმ რესურსების დეფიციტი, სირთულეები ნედლეულის, ენერგიის, მიწისა და სხვა რესურსების ბუნებრივი მარაგების ეკონომიკურ ათვისებაში, სეზონური და ბუნებრივი პირობების სხვა ცვლილებები მუდმივად საჭიროებდნენ ღონისძიებებს რომლებიც შეასუსტებდა საზოგადოების დამოკიდებულებას ბუნებაზე, ასეთი ტენდენცია აღინიშნებოდა ხანგძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე.

ამ მთავარი ტენდენციის ბუნებაზე ადამიანის დამოკიდებულების შესუსტების წინააღმდეგ საზოგადოებრივ განვითარებაში მოქმედებდა სხვა ტენდენცია, რომელიც აძლიერებდა საზოგადოების დამოკიდებულებას ბუნებასა და მის რესურსებზე. საუბარი ეხება საწარმოო საქმიანობის მასშტაბების გაფართოებას, რომელსაც გარდუვალად, აუცილებლად მივყავართ ნედლეულის, ენერგიისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მოხმარების გაზრდასთან. მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესთან, რომელიც თავის განვითარებაში ეყრდნობა ბუნებრივი რესურსების უფრო ფართო სპექტრს, მის უფრო მრავალფეროვან და იშვიათ სახეებს. საქონლისა და მომსახურების მსოფლიო გაცვლის გაფართოებასთან აგრეთვე ბუნებრივი რესურსების სამეურნეო ბრუნვაში სტიმულირებად ჩართვასთან.

ეს წინააღმდეგობის გამწვევი ტენდენცია უფრო ნათლად გამოვლინდა ბოლო ათწლეულებში, როცა მსოფლიო საზოგადოების წინ დადგა სანედლეულო ენერგეტიკული და განსაკუთრებით ეკოლოგიური პრობლემები.

ბოლო წლების ტექნიკურმა მიღწევებმა შექმნა ილუზია ბუნებისაგან ადამიანის განცალკევების, განკერძოებისა და მასზე ბატონობისა. ნამდვილად ადამიანმა ეხლა, წყალი , რომ დალიოს არ სჭირდება წყაროსთან მისვლა. მაგრამ სინამდვილეში მაინც ყველაფერი სხვანაირადაა. საზოგადოება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარებით, მხოლოდ აძლიერებდა თავის დამოკიდებულებას ბუნებასთან. ყველა მანქანა ხომ მასზეა დამოკიდებული. მათ ძრავას ანათებს ჟანგბადი და ნავთობი-მცენარეული პროდუქტები. ფოლადის გამოდნობისთვის საჭირო რკინის მადანი, ნახშირი, წყალი და ჟანგბადი ე.ი. ბუნების პროდუქტები. თანამედროვე ადამიანი თავისი ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას საკვებზე, სითბოზე და ა.შ. რომლებიც პრაქტიკულად არ შეცვლილა, უფრო მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობით ბუნებრივ რესურსებს მოიხმარს ვიდრე ადრე.

თუ მანქანების გამოჩენამდე გასათბობად და საკვების მოსამზადებლად ადამიანს ყოფნიდა რამდენიმე ურემი შეშა წელიწადში, ამჟამად წელიწადში ყოველ მაცხოვრებელზე მოდის ისეთი რაოდენობის პირობითი საწვავი, რომ შეშაზე გადაანგარიშებით შეადგენს რამდენიმე ვაგონს და ეს ბუნებრივ რესურსებზე საზოგადოების დამოკიდებულების ზრდის პროცესი თანმხვედრია ადამიანის მიერ მათი გამოყენებისა ანდა რესურსების დაბინძურებისა.

თანამედროვეობის გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება თავისი არსით მოასწავებს საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების ახალი ეტაპის დაწყებას, ადამიანის საზოგადოების ხარისხობრივად ახალ დამოკიდებულებას მის გარემომცველ ბუნებაზე.

აუცილებელია საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთქმედების ძირითადი პრინციპების გადაფასება, ბუნებრივი სიმდიდრის სამეურნეო ათვისების ახალი მიდგომების შემუშავება, ბუნებასთან სხვაგვარი ურთიერთობა, ახალი სამეურნეო მექანიზმი, რომელიც გაითვალისწინებს საზოგადოებრივი განვითარებისა და გარემოს ბუნებრივი ევოლუციის

ურთიერთზემოქმედების რთული პროცესის ყველა მრავალფეროვნებას. ასეთი გადასვლის წინაპირობები სახეზეა. ეკონომიკური თვალთახედვით რეგულირების საგანს, ბუნებრივი რესურსების გამოყენების წყაროს წარმოადგენს საზოგადოებრივი შრომის განაწილება რესურსების ათვისებისა და კვლავწარმოების პირობებთან შესაბამისობაში.

სისტემის „საზოგადოება-ბუნება“ საფუძველს წარმოადგენს შემდეგი კონცეპტუალური, მდგომარეობა, რომელიც შეიძლება ეკოლოგიურ დოქტრინად დავასახელოთ: (ცხრილი 1.)



ნახ.1. სისტემაში „საზოგადოება-ბუნება“ კავშირები

- საზოგადოება და ბუნება თავისთავად წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემების სისტემას;
- სადაც მისი ცხოვრების ბუნებრივი კავშირები ადამიანსა და გარემოს შორის ორგანულად გადაჯაჭვულია სოციალურ კავშირებთან;
- სისტემა „საზოგადოება და ბუნება“ შედგება ორი ქვესისტემისაგან. საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების ორი ფორმის შესაბამისად-ბუნებრივი გარემოს გამოყენებისა და მისი დაცვისა. ეკონომიკურად მიმართული გამოყენებაზე, მოთხოვნაზე ადამიანის მიერ ბუნების გარდაქმნაზე. ეკოლოგიურობა გამოხატავს ადამიანის დაინტერესებულობას სუფთა, ჯანმრთელ ბუნებრივ გარემოზე;
- სისტემის „საზოგადოება-ბუნება“ ცენტრში დგას ადამიანი, საქმიანობის შედეგით ის ბუნებაზე ზემოქმედების სუბიექტია, ხოლო ეკოლოგიურ ქვესისტემაში კი ზემოქმედების კუთხით ობიექტია;
- სოციალური მიმართულებით ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესები ერთიანია. ერთიც და მეორეც მოწოდებულია უზრუნველყოს ადამიანის ცხოვრების ხარისხი, მისი სიცოცხლის სტატუსი, მისი ბიოლოგიური და მატერიალური თვითმყოფადობის გარანტია.

წარმოების ორგანიზაციისას ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება დაფუძნებულია კომპლექსურ მიდგომაზე, მის აღდგენასა და აღდგენადი ბუნების ობიექტების გამრავლებაზე, ცალკეული ბუნების ტერიტორიების ექსპლუატაციიდან ამოღებამ ამ სიტყვის ფართო გაგებით წარმოქმნა რაციონალური ბუნებათსარგებლობის გაგება.

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებული არსებულ ეკოლოგიურ კრიზისულ სიტუაციისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

- სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვება იმ რაოდენობით, რომელიც ბუნებრივ, მათ შორის ბიოლოგიური პროცესებს არღვევს;
- სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით წყლის სისტემების დაბინძურება;
- ბუნებრივი გარემოს სითბური რეჟიმის დარღვევა;
- ბუნების დაბინძურება სათბობის დაწვის პროდუქტების;

- გეოქიმიურ და ბიოლოგიურ ცხოვრების პირობებზე უარყოფითად ზემოქმედი მავნე და ტოქსიკური ნივთიერებების შემცველი მასალებისა და პროდუქტების გამოყენება;
- გარემოს დაბინძურება ხმაურის სხვადასხვა სახით, ვიბრაციით, გამოსხივებით;
- სასარგებლო წიადისეულის საბადოს დამუშავება მიწის დროული აღდგენისა და რეკულტივაციის გარეშე, ნიადაგის ლანდშაფტის განადგურების, მიწის ზედაპირის ჩამოწოლის გამოწვევით;
- ტყის მასივების დარღვევა, მათი აღდგენის დაბალი ტემპის დროს;
- სახნავი და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება, რომელიც იწვევს ეროზიული პროცესების განვითარებას;
- ცხოველთა სამყაროს ცალკეული სახეების განადგურება, მოთხოვნილებების
- დასაკმაყოფილებლად ნედლეულზე, საკვებ პროდუქტებზე და ა.შ.

ადამიანთა ასეთი ნეგატიური სოციალური ქცევა, გამოწვეულია ეკონომიკური ფაქტორებით და ის პიროვნებას მიიყვანს დეგრადაციასთან, ანდა სოციოგენეტიკური კოდის დარღვევასთან.

გლობალური ეკოლოგიური კრიზისის საფრთხე ადამიანთა საქმიანობის, მოქმედებების ინტენსიურობისა და მასშტაბების ზრდის პირობებში, ადასტურებს ბიოსფეროს თვითრეგულაციის შესაძლებლობების შემცირებას.

ბუნებრივ პირობებს მათი თვითრეგულირების მექანიზმების შეზღუდულობის შედეგად, არ შეუძლიათ სისტემის 'საზოგადოება-ბუნება" არსებობისა და განვითარების დინამიური წონასწორობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ამ პრობლემებთან და მათი გადაწყვეტის საშუალებებთან მიმართებით შეიძლება გამოიყოს სამი იდეურ-თეორიული მიმართულება:

1. ამ მიმართულებას შეიძლება მიეკუთვნოს ინჟინრული კიბერნეტიკის სფეროში, სპეციალისტების გამონათქვამები (დჯ. ფორრესტენი, დ. მედოუზი, კ. ბოულდინგი, ე. მიშენი, გ. დეილი, ს. მანსხოლდი, გ. ტეილორი, ს. პურუ) რომლებიც უარყოფითად ახასიათებენ სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას.
2. ეს მიმართულება აერთიანებს სოციალურ-ეკონომიკური ზრდის მომხრეებს, რომლებიც ფიქრობენ რომ შესაძლებელია ეკოლოგიური კრიზისის დაძლევა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე. თუ ბუნებათსარგებლობის სფეროში საბაზრო ეკონომიკური მექანიზმი სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა სახით შეივსება (ო.პ. ბარრი,, კ. დოიჩი, უ. დჯენსკი)

მოცემული მიმართულების ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს ორი მიმდინარეობა, რეგულირების მეთოდებთან განმასხვავებელი ურთიერთობით. ერთ-ერთი მათგანის მომხრეებ ნაკლებად დირიჟორულ მეთოდებს აღიარებენ. ნეოკლასიკური ფრთის ეს წარმომადგენლები იბრძვიან მნიშვნელოვანი რეგულირებისთვის. სხვა მიმართულების წარმომადგენლები, კერძოდ ინსტიტუციონალისტები თვლიან, რომ პრობლემები უნდა გადაჭრას ინსტიტუტების სისტემის შექმნის დახმარებით: კანონმდებლობით, კონტროლისა და მეთვალყურეობის ორგანოებით, სტანდარტებითა და ა.შ.

1. ეს მიმართულება აერთიანებს მრავალ სკოლას. მიმდინარეობასა და საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელთა წარმომადგენლებიც ჯგუფდებიან განვითარების ალტერნატიული მოდელებისა და ცხოვრების წესის შექმნის იდეის გარშემო. წინა ორი მიმართულებისგან განსხვავებით, ამ მიმართულების წარმომადგენლები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ეკოლოგიური სიტუაციის სოციალურ ასპექტებს.

ზემოთ ჩამოთვლილ მიმდინარეობების წარმომადგენლებს შორის დავა მიმდინარეობს შემდეგ ძირითად საკითხებზე:

- ეკოლოგიური კრიზისის მიზეზები;
- ეკოლოგიური კრიზისის დაძლევა;

- ეკონომიკური ზრდის თავსებადობა გარემოს დაცვასა და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტასთან;
- ეკოლოგიური კრიზისის დაძლევის საშუალებების შერჩევა, მათ შორის ეკოლოგიური რეგულირებისა და ეკოლოგიური პოლიტიკის საშუალებებისა;
- ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ხელისუფლების ორგანოების პასუხისმგებლობა.

ამგვარად ეკოლოგიური სიტუაციების გართულებამ არსებითი, ასე ვთქვათ საჭირბოროტო გახადა განვითარების უპირველესყოვლისა ეკოლოგიური თვალთახედვით მდგრადი უზრუნველყოფის პირობები, რომლის დროსაც მოიხსნება წინააღმდეგობა სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას, ბუნებათსარგებლობასა და ეკოსისტემების მთლიანობის შენარჩუნებას შორის.

ასეთ სიტუაციაში რეგულატორის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს მხოლოდ საზოგადოებამ, როგორც სხვადასხვა დონის მატერიის ორგანიზაციის ურთიერთზემოქმედების უშუალო, პირდაპირმა სუბიექტმა. მხოლოდ, ბუნებრივი გარემოს მიზანმიმართული ანთროპოგენური ცვლილება და სოციალური მდგომარეობა დაეხმარება საზოგადოებას გადალახოს მისი არსებობის ბიოსფეროს პირობების შეზღუდულობა.

ბუნებრივი პირობების ცვლილებების ტემპები გახდა სავსებით თანაზომადი თავად საზოგადოების ცვლილებების ტემპებთან და ათასწლეულის ზღურბლზე მთელი მსოფლიო ცივილიზაცია მიმართულია განვითარების ახალ სტრატეგიაზე, რომელმაც მიიღო მდგრადი განვითარების სტრატეგიის სახელწოდება. მდგრად განვითარებაზე გადასვლა ვარაუდობს ეკონომიკური ზრდის ტემპის შემცირების ხარჯზე გარემოს დაცვის ამოცანაზე დაყენებიდან გადასვლას იმავე ამოცანის კუთხით, მხოლოდ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფით. ამასთან ერთად ეკონომიკური ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია წარმოებაში ეკონომიკური ხარჯების ზრდასთან გარემოს მდგომარეობისა და ადამიანთა ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

ამ თვალთახედვამ უფრო მეტი ასახვა ჰპოვა განვითარებისა და გარემოზე, გაეროს საერთაშორისო კომისიის მოხსენებებში რომელიც მომზადებული იყო 1988 წელს და მიიღო „ ჩვენი საერთო მომავლის“ სახელწოდება. მასში დამაჯერებლად ნაჩვენებია, რომ ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა და მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ურთიერთდაკავშირებულია და ურთიერთგანმაპირობებელია მიზეზისა და შედეგის რთული სისტემის ჩარჩოში. ერთი მხრივ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება არ შეიძლება განხორციელდეს თუ უარესდება რესურსების ეკოლოგიური ბაზა. მეორე მხრივ არ შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ბუნებრივი გარემოს დაცვა, თუ სოციალურ-ეკონომიკური ზრდისას არ იქნება გათვალისწინებული მათი ნგრევით გამოწვეულ ფინანსური და მატერიალური ხარჯები. ამგვარად ამ მოხსენებაში წამოყენებულ იქნა საკითხი განვითარების ახალი მოდელის ძიების აუცილებლობაზე. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარდა გაეროს კონფერენცია რომელიც მიეძღვნა გარემოსა და განვითარების მდგრადი, ეკოლოგიურად მისაღები სტრატეგიის შემუშავებას.

კონფერენციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია მდგრადი განვითარების არსი, შემდეგი მდგომარეობის ჩათვლით:

- ყურადღების ცენტრშია ადამიანები, რომელთაც უფლება უნდა ჰქონდეთ ნაყოფიერ ჯანმრთელ და ბუნებასთან ჰარმონიულ ცხოვრებაზე;
- გარემოს დაცვა განვითარების პროცესი განუყოფელი კომპონენტი უნდა გახდეს განვითარების პროცესის და არ შეიძლება მისგან განცალკავებულად იყოს განხილული.
- უფლება განვითარებაზე ისე უნდა იყოს რეალიზებული, რათა თანაბარი ზომით უზრუნველყოს როგორც ახლანდელი ისე მომავალი თაობების გარემოს განვითარებასა და შენარჩუნებაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება.
- მსოფლიო ხალხთა ცხოვრების დონეთა შორის განხეთქილების შემცირება, სიღარიბისა და სიღატაკის აღმოფხვრა.

კონფერენციის დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ყველა სახელმწიფო ფლობს სუვერენულ უფლებას გამოიყენოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე, გაატაროს საკუთარი პოლიტიკა ბუნებრივი გარემოსა და განვითარების საკითხებზე, ამასთანავე მათ უნდა განახორციელონ:

1. პასუხისმგებლობა მსოფლიო საზოგადოების წინაშე თავის ტერიტორიაზე საქმიანობისათვის, სხვა ქვეყნებში გარემოზე მიყენებულ ზარალზე;
2. ინფორმირებულნი იყვნენ სხვა ქვეყნები პოტენციურად შესაძლებელი და განხორციელებული ტექნოგენური და ბუნებრივ კატასტროფებზე;
3. ბუნებადაცვითი კანონმდებლობის ეფექტიანობის გაფართოება, შემუშავებულ იქნას კანონმდებლობა გარემოზე ზარალის მიყენების პასუხისმგებლობაზე და მათ კომპენსაციაზე ვინც ამის შედეგად დაზარალდა;
4. სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე საქმიანობის გადატანის აგრეთვე ნივთიერებებისა და მასალების გადაადგილების არ დაშვება, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზარალის მიყენება გარემოზე, ანდა ადამიანთა ჯანმრთელობაზე
5. სათანადო, მართებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება.

გაერთიანებული ერების კონფერენციის ერთ-ერთმნიშვნელოვანი დასკვნა გარემოსა და განვითარებაზე იმაში მდგომარეობს რომ, სამრეწველო განვითარების ქვეყნების მიერ გამოყენებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მოდელმა, დახასიათებულმა როგორც საბაზრო-სამომხმარებლომ თავის თავი ამოწურა. ბიოსფეროს ბუნებრივ-ენერგეტიკული და სანედლეულო რესურსების უაზრო დამუშავება და მოხმარება შეიძლება დასახელდეს არამდგრადი განვითარების მოდელად. ამ მოდელის ჩარჩოში სამრეწველო პოტენციალის ინტენსიური გაფართოება ბუნებრივ გარემოზე უდიდესი ზარალის მიყენების ხარჯზე, ტრადიციული საბაზრო სისტემაში, რომლის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს მოხმარების შეუჩერებელი ზრდის მისწრაფება მივყავართ დედამიწის მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრ დიფერენციასთან.

ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული შეზღუდვების განხილვისას ბევრი ეკონომისტი (გ. დეილი, ია. ტინბერგენი, ტ. ჰააველმო, ს. ჰანსენი) მივიდა დასკვნასთან, სამეურნეო კაპიტალიდან ინვესტირების გადატანის აუცილებლობისა ბუნების კაპიტალის სფეროში. ისინი აღნიშნავენ, რომ დასრულდა „სიცარიელის“ სამყაროს ერა და დადგა „შევსების„ სამყაროს ერა. თუ მსოფლიო განვითარების წინა პროგნოზები ითვალისწინებდნენ მხოლოდ ტრადიციულ ტენდენციებს (წარმოების ზრდა, მოხმარების ზრდა, მოსახლეობის ზრდა), ჰქონდა ოპტიმისტური ხასიათი, ეკოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებას გლობალური პროგნოზირების შედეგები გადაყავს პესიმისტურ რაკურსში, საზოგადოების დამავალი ხაზით გარდაუვალ განვითარების ჩვენებით 30-იანი წლების ბოლოს, 21-ე საუკუნის შუაში მინერალური რესურსების ამოწურვისა და ბუნებრივი გარემოს გადაჭარბებული დაბინძურების შესაძლებლობის გამო.

ამიტომ თუ ადრე ბუნებრივი გარემო განიხილებოდა როგორც ფაქტორი გარკვეულ დონემდე უცვლელი (ინვარიანტული) საზოგადოების განვითარების კუთხით, ამჟამად ასეთი თვალთახედვა მოძველებული გახდა. ერთი შეხედვით დედამიწის ზედაპირზე წმინდა ბუნებრივი ცვლილებები არ შეიძლება საკმაო სიღრმით იყოს გაგებული საზოგადოების საქმიანობასთან თანაფარდობის გარეშე. ე.ი. ანთროპოგენური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე.

დებულებას ბუნებრივი გარემოს ცვლილებებში ანთროპოგენური ფაქტორის გლობალურ როლზე განსაკუთრებულად დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე საზოგადოებრივ მეცნიერებებისათვის. ამჟამად კაცობრიობის მომავალი განვითარება შესაძლებელია სამი ვარიანტით.

1. ინერციით - შესწავლილი ტენდენციებით გარემოს ნგრევა, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიების საფუძველზე შენელებული ტემპით. ეკონომიკური კრიტერიუმების

უპირატესობა, ნაციონალური ეგოიზმი, აზროვნების ჩამორჩენის, ადეკვატური მოქმედებების მცდელობის უუნარობა, ბიოსფეროს ნგრევის სიგნალების შეუფასებლობის, სტიქიური, არამართვადი პროცესების განვითარების გაგრძელება;

2. ულტრატოტალიტარული სცენარი-აბსოლუტურად მკაცრი მსოფლიო დიქტატურა (შესაძლო 2ან 3 პოლუსიანი), როგორც „მესამე სამყაროსთან“ ურთიერთობაში, ისე საკუთარ მოსახლეობასთან ურთიერთობაში. განუწყვეტელი ბრძოლა რესურსებზე, დაუნდობელი სოციალური და ბიოლოგიური ევგენიკა. (ევგენიკა-მოძღვრება ადამიანის მოდგმის, მისი მემკვიდრული ბუნების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ).
3. ტრანსფორმაციული სცენარი-საფრთხეების სწრაფი გააზრება, რომელიც დაკავშირებულია გარემოს ნგრევასთან, სოციალურ-ეკოლოგიურ კრიზისზე ადეკვატური რეაქცია. ახალი მსოფლმხედველობისა და ფასეულობათა ახალი სისტემების გარღვევა გლობალურ-კოლექტიურ ქმედებების საფუძველზე.

ეკოლოგიურად მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა ვარაუდობს ისეთი სოციალურ-ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რომელიც უპასუხებს დროის მოთხოვნებს, საფრთხის წინაშე არ დააყენებს მომავალი თაობების შესაძლებლობებს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ის ორ არსებით გაგებას მოიცავს: „მოთხოვნილებები“ და „შეზღუდულობა“ განპირობებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მდგომარეობით, ტექნოლოგიისა და საზოგადოების ორგანიზაციით, დაფუძნებული ბუნებრივი გარემოს უნარზე დააკმაყოფილოს ახლანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებები.

ამრიგად , გზა რომელთანაც თავისი კეთილდღეობისათვის მივიდნენ განვითარებული ქვეყნები მიუღებელია კაცობრიობისათვის. თუ განვითარებადი ქვეყნები სამართლიანად თვლიან აამაღლონ თავიანთი ხალხის ცხოვრების დონე და იმავე გზით წავლენ, დედამიწამ რესურსული და ეკოლოგიური კუთხით შეიძლება ვერ გაუძლოს. საჭიროა ეკონომიკური განვითარებისა და წარმოებული რესურსების განაწილების ახალი მოდელი, ცენტრალიზებული რეგულირების უფრო მნიშვნელოვანი, მძლავრი ბერკეტებით, როგორც სახელმწიფო ისე მთლიანად მსოფლიო საზოგადოების დონეზე. ასეთი რეგულირება გარდუვალად უნდა ეფუძნებოდეს უპირველესად მთელი მსოფლიო საზოგადოების ინტერესების ინტეგრირებას და მხოლოდ შემდეგ ცალკეული ქვეყნების მეწარმეებისა და სხვა ჯგუფების ინტერესებს. იმისათვის რათა მიღწეულ იქნას მდგრადი განვითარება და უფრო მაღალი ცხოვრების დონე სახელმწიფოებმა უნდა შეამცირონ და გამორიცხონ მდგრადი განვითარების მოდელის არახელშემწყობი წარმოება და მოხმარება.

ეკოლოგიური პრინციპების გათვალისწინება საზოგადოებრივი წარმოების ობიექტური აუცილებლობა ხდება. რამდენადაც ბუნებრივი პირობების ტექნოგენური ცვლილებების ტენდენციები სულ უფრო საფრთხის მომცველ ხასიათს ღებულობს თავად ადამიანებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე.გუგავა,გ.მელაძე მცენარეთა ეკოლოგია. თბილისი 2002.
2. И. Н. Пономарева ,В. П. Соломин, О. А. Корнилова „ Обшая экология“ю Ростов –на- дону Феникс 2009.
3. А. В. Анисимов „ Экологический Менеджмент“ Ростов –на- дону Феникс 2009
4. Н. Ю. Келина, Н. В. Безручко „Экология Человека“ Ростов –на- дону Феникс 2009
5. Клейтон Кристенсен, Майкл Рейнор „Решение проблемы инноваций в бизнесе“ Москва 2014.
6. Paoletti M.PimentelD.Biotic Diversityin Agroekosistems.Ansterdam-London NevYrk-Tokio 1992.

Economic and ecological balance as a fundamental factor in the development of civilization

Naira Galakhvaridze
Eldar Gugava

Summary

The global environmental crisis is a threat to human activities, actions intensify and scale growth, confirms the capability of self-regulation to reduce the biosphere.

The future development of mankind is available in three variants.

1.By inertion - explored the trends of environmental destruction, but modern technology based on a slower pace. Economic criteria preference, national selfishness, thinking retardation, inability to attempt adequate actions, destruction of the biosphere signals underestimation, spontaneous, uncontrolled development to continue;

2.Ultra total scenario is absolutely tough-world dictatorship (a possible 2 or 3 poluse), as a "third world" in the relationship, as well as their relations with the population. Continuous fighting resources, ruthless social and biological eugenics. (Eugenics-the doctrine of the human race, its hereditary nature to improve and on).

Understanding the dangers of fast-3. Transformational scenario, which is linked to the collapse of the environment, social and ecological crisis adequate reaction. A new vision and a new system of values is a breakthrough in the global collective-action basis.

Ecological principles of production is becoming an objective necessity. As far as the natural conditions of man-made changes in the trends are a threat to the people of momentum.

Key words*: Production relations, Resources, Tendency, Quality, Society, Responsibility, Inertia, Ultra-total, Transformational.*

ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა

გურამიშვილი მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

უსაფრთხოება ადამიანის უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის არსებობა და ნორმალური განვითარება. თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების პრობლემა ისეთივე აქტუალობას იძენს, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა. წარმოშობის დღიდან კაცობრიობა ცხოვრობს მუდმივ საფრთხეში. უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლებაა.

საკვანძო სიტყვები: *უსაფრთხოება, პოლიტიკა, სახელმწიფო უსაფრთხოება, კონკურანცია, აგრესია.*

ძირითადი ტექსტი

უსაფრთხოება ადამიანის უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. მისი უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის არსებობა და ნორმალური განვითარება. თანამედროვე მსოფლიოში უსაფრთხოების პრობლემა ისეთივე აქტუალობას იძენს, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა. წარმოშობის დღიდან კაცობრიობა ცხოვრობს მუდმივ საფრთხეში. უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მონოპოლიური უფლებაა.

მსოფლიო პრაქტიკაში უსაფრთოების ტერმინი XII საუკუნიდან გამოიყენება და საფრთხისაგან დაცული ადამიანის მშვიდ, სულიერ მდგომარეობას ნიშნავდა. თუმცა გვიან, შუა საუკუნეებამდე აღნიშნული გაგებით უსაფრთხოების მცნება მყარად ვერ დამკვიდრდა, მოწინავე ქვეყნების საზოგადოებრივ ლექსიკონში. XVI- XVII საუკუნეებიდან წამყვან ქვეყნებში წარმოიშვა მოსაზრება, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანია საერთო კეთილდღეობა და უსაფრთხოება. აქედან მოყოლებული, „უსაფრთხოების“ ტერმინი ახალ შინაარსს იძენს. შემდგომში, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მთელ მსოფლიოში პოულობს გავრცელებას.

XX საუკუნის ბოლოს, როცა მრავალი ეკონომიკური პრობლემა ნაციონალურ ჩარჩოებს გასცდა და ზოგადეროვნული ხასიათი მიიღო, შემუშავდა საერთაშორისო ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, რომლის ძირითადი მომენტებია. სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისას აუცილებელია, დაცული იყოს ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პრინციპები, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და ეროვნული ინტერესები. საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკიდან ამოღებულ უნდა იქნას ეკონომიკური აგრესიის ყველა მეთოდი. აიკრძალოს ძალის გამოყენება, ან გამოყენების მუქარა, ბოიკოტი, სავაჭრო, საკრედიტო, ან ტექნოლოგიური ბლოკადა და ა. შ.

შინაარსის მიხედვით საფრთხეს შეიძლება ჰქონდეს ბუნებრივი, ტექნოლოგიური და სოციალ - ეკონომიკური წარმოშობა. ცივილიზებულ სახელმწიფოში ძლიერი ლეგალური ეკონომიკის და დემოკრატიული ინსტიტუტების პირობებში, სახელმწიფო მართვის სისტემა დახვეწილია, რაც პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფლებასა და უსაფრთხოებას უგულებელყოფს. ეკონომიკის კრიმინალიზაციის მაღალი მასშტაბების პირობებში კი პირიქით, მუდმივად აქტუალურია და წინა პლანზე იშვევს პიროვნული უსაფრთხოების ხარჯზე სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, ლოკალური, სამართლებრივი და ეთიკური ნორმების შესაბამისად, სახელმწიფო მართვის სიცოცხლისუნარიანობის და მუდმივი განახლებისათვის აუცილებელი პირობების უზრუნთველყოფას ნიშნავს.

უსაფრთხოების მთავარი ობიექტებია:

- პიროვნება, მისი უფლებები და თავისუფლება.

- საზოგადოება, მისი მატერიალური და სულიერი ფასეულობები.
- სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობა, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა.

მსოფლიოს ახალი გადანაწილების პირობებში, სამხედრო ძალის გამოყენება მეორე პლანზე გადადის. სულ უფრო აქტუალური ხდება ეკონომიკური ექსპანსია. სახელმწიფოს უსაფრთხოების მთავარი, გარე საფრთხე, ეკონომიკური დაზვერვიდან მომდინარეობს.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს შეკვეთები ეკონომიკის სფეროში დანარჩენს ჭარბობს.

დაზვერვის ტრადიციული სახეებია: პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დაზვერვა. დაზვერვა პირველყოვლისა ადგენს სახელმწიფოს სუსტ მხარეს და ამის მიხედვით წარმართავს თავის საქმიანობას, უცხო ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში მუშავდება ე. წ. „მგრძნობიარე“ ინდიკატორები, რომლებიც დაინტერესებული ქვეყნის ეკონომიკური დაზვერვისათვის გამოიყენება.

აღნიშნული ინდიკატორებია:

• პოლიტიკური ხელმძღვანელობის კორუმპირებული დონე;

• ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მთლიან შიდა პროდუქტში და მისი ინსტიტუციონალიზაცია;

• სოციალურ - პოლიტიკური სიტუაციის სტაბილურობა, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, მისი შესაძლო ცვლილებები;

• მთავრობის მმართველობითი საქმიანობის დონის და შესაძლებლობების შეფასება;

• მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ტენდენციები;

• ოფიციალური ოპოზიციის დახმარება;

• ხელისუფლების შტოების დამოკიდებულება უცხოური კაპიტალისადმი და ა.შ.

ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოპოვება ღია წყაროებიდანაც ხდება. მაგალითად, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები მუდმივად საქმის კურსში არიან, დაინტერესებული ქვეყნის შემდეგ მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, როგორიცაა:

• ენერგომატარებლების მოპოვებისა და მოხმარების მასშტაბები.

• ექსპორტ - იმპორტის ბალანსი და საგარეო ვაჭრობა.

• სახელმწიფო ვალის ცვლილებების დინამიკა და ა. შ.

ეკონომიკური ექაპანსიის მთავარი იარაღი ეკონომიკური შპიონაჟია. როგორც განსაკუთრებით ღირებული კონფიდენციალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, ანალიზის და ფარული გამოყენების სფერო, იგი საბაზრო ურთიერთობების მთელ სპექტრს მოიცავს.

გამალებული კონკურენტული ბრძოლის პირობებში, ეკონომიკური შპიონაჟის მთავარი მიზანია, კონკურენციული უპირატესობის მიღწევა. სხვის საიდუმლოებებზე ნადირობა კომპანიებს საშუალებას აძლევს, კონკურენტები მოდვაწეობაზე, იყვნენ მუდმივად საქმის კურსში, გამოიყენონ მათი სამეცნიერო - ტექნიკური მიღწევები და ა. შ.

არსებობს კონკურენტული ბრძოლის ორი ფორმა კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი.

კეთილსინდისიერი კონკურენციის დროს მოგების მაქსიმალიზაციას, თვითღირებულების შემცირებით და უკეთესი საქონლისა და მომსახურების შექმნის გზით მიღწევა, რაც ფასისა და ხარისხისათვის გამართლებული ბრძოლაა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დროს გამოიყენება სამრეწველო შპიონაჟი, ყალბი რეკლამა, დემპინგი, კონკურენტის პროდუქციის გაყალბება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მრავალი ფირმა კეთილსინდისიერ კონკურენციას სულ უფრო მეტად ავსებს არაკეთილსინდისიერით.

ამიტომ, მნიშვნელოვანია, დროულად განისაზღვროს რომელ სფეროში რა მიზეზით

წარმოიშვა საფრთხე როგორია საშიშროების ხარისხი და ა. შ.

ეკონომიკური ექაპანსიის მთავარი იარაღი ეკონომიკური შპიონაჟია. როგორც განსაკუთრებით ღირებული კონფედენციალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, ანალიზის და ფარული გამოყენების სფერო, იგი საბაზრო ურთიერთობების მთელ სპექტრს მოიცავს.

გამალებული კონკურენტული ბრძოლის პირობებში, ეკონომიკური შპიონაჟის მთავარი მიზანია, კონკურენციული უპირატესობის მიღწევა. სხვის საიდუმლოებებზე ნადირობა კომპანიებს საშუალებას აძლევს, კონკურენტები მოღვაწეობაზე, იყვნენ მუდმივად საქმის კურსში, გამოიყენონ მათი სამეცნიერო - ტექნიკური მიღწევები და ა. შ.

არსებობს კონკურენტული ბრძოლის ორი ფორმა კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი.

კეთილსინდისიერი კონკურენციის დროს მოგების მაქსიმალიზაციას, თვითღირებულების შემცირებით და უკეთესი საქონლისა და მომსახურების შექმნის გზით მიღწევა, რაც ფასისა და ხარისხისათვის გამართლებული ბრძოლაა.

არაკეთილსინდისიერი კონკურენციის დროს გამოიყენება სამრეწველო შპიონაჟი, ყალბი რეკლამა, დემპინგი, კონკურენტის პროდუქციის გაყალბება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მრავალი ფირმა კეთილსინდისიერ კონკურენციას სულ უფრო მეტად ავსებს არაკეთილსინდისიერით.

ეკონომიკური დაზვერვა ინტერესდება შემდეგი ძირითადი საკითხებით:

• კომპანიის ფინანსური ოპერატიული და პროექტები, საინვესტიციო პოლიტიკა;

• სამეცნიერო - ტექნოლოგიური გამოკვლევები, ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებები, პროდექციის რეალიზაციის შედეგები;

• ბიზნესის სტრატეგია და ხელმძღვანელობის კომერციული ფილოსოფია და ა. შ.

ეკონომიკურ დაზვერვას საზღვრები არ გააჩნია. ხშირად მოპარული საიდუმლოება რამდენიმე ხელში გადადის, სანამ მყიდველამდე მიაღწევს. არსებობს ფარული ბირჟები, სადაც მოპარული საიდუმლოება იყიდება. ასეთ „შავ“ ბაზრებს ჰყავთ საკუთარი აგენტი, რომლებიც მთელ მსოფლიოში არიან მოდებულნი. საინტერესო ინფორმაციის მიღებისას ხდება მისი კოტირება კონიუქტურის მიხედვით და ფასის დადგენა.

სამრეწველო შპიონაჟი ერთერთი არალეგალური სფეროა, რომელზეც ეკონომიკის პერიოდული კრიზისები ვერ მოქმედებს. პირიქით ინფლაციის ზრდისა და სოციალური დაძაბულობის დროს ის უფრო აქტიური ხდება.

შეიძლება ითქვას, საქართველოს განვითარებას ისტორიის ყველაზე რთულ და გადამჭრელ პერიოდებშიც კი, უსაფრთხოების პრობლემა ასე აქტიური არ ყოფილა, როგორც დღეს. ამიტომ ჩვენი აზრით, საჭიროა დამუშავდეს ეკონომიკური უსაფთხოების სახელმწიფო სტრატეგია, სადაც უსაფრთხოების არსებათა მახასიათებლების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სისტემა განისაზღვრება, რომელიც მოსალოდნელი სფრთხის შესახებ წინასწარ მიგვანიშნებს. აღნიშნული სტრატეგია, ორიენტირების განსაზღვრით უნდა გახდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველი, ხოლო ეს უკანასკნელი, დასახული მიზნების მიღწევისა და რეალიზაციის საშუალება, სერთო ჯამში, ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგია და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ურთიერთკავშირში უნდა იმყოფებოდნენ.

ეკონომიკური უსაფრთხოების სახელმწიფო სტრატეგიაში, პირველყოვლისა, უნდა განხორციელდეს შექმნილი ვითარების ობიექტური ანალიზი. მოხდეს მიზნების მართებული დასახვა.

ამიტომ მნიშვნელოვანია, დროულად განისაზღვროს რომელ სფეროში რა მიზეზით წარმოიშვა საფრთხე როგორია საშიშროების ხარისხი და ა. შ.

სოციალურ - ეკონომიკური საფრთხის მნიშვნელობა განვითარების გარდამავალ ეტაპზე,

რომელშიც ამჟამად საქართველო იმყოფება განსაკუთრებით იზრდება. მის განვითარებას შეიძლება დაემუქროს გარე, უცხო ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკური აგრესია და შიდა, საკუთარი ევოლუციით გამოწვეული საფრთხეები. XXI საუკუნე სრულიად განსხვავებულ მოთხოვნებს აყენებს გლობალური მსოფლიოს წინაშე. საფრთხეების ევოლუციის შედეგად, მათი ტრანსფორმაცია ხდება. ქვეყნები, რომლებიც ვერ უპასუხებენ თანამედროვე მოთხოვნებს, შეიძლება დადგნენ თვით სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Rothschild E, what's security Dialups 1995.
2. B. Buzan Peoples States and Fear (London, 1983).
3. M. W. Doyle, On the Democratic Peace International Security 19(4) 1995.
4. A. Giddnes, The Consequences of of Modemity;: Self and Society in the Late Modem Age (Cambridge: Polity Press 1990).
5. J. Mearsheimer, The False Promise of International Institutions International Security, 19 (3) 1994 – 5.
6. B. Russet, the Democratic Peace International Security, 19 (4) 1994 – 5.
7. M. Shaw Global Society and International Relations (Cambridge Polity Press, 1944).
8. j. gaxokiZe erovnuli usafrTxoebis ZiriTadi problemebi.

Economy safety policy

Maia Guramishvili

Summary

Safety is person's main value. Without its purpose its impossible to exist government and develop normally. In modern world safety problem is as actual as democracy and protection of human's rights. Since society establishment, people always live in danger. Safety's support is governments monopoly right.

keywords: *safety, policy, national security, competition, aggression.*

კულტურული მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება

ვაშაკიძე ანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომის - „კულტურული მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება“ – მიზანია ასახოს კულტურის და კულტურული მემკვიდრეობის როლი მდგრადი განვითარების პროცესში, რომლის დროსაც მიიღწევა კაცობრიობის განვითარების მიზნები და ამავე დროს ნარჩუნდება ბუნების სისტემების მიერ ბუნებრივი რესურსებითა და ეკოსისტემის სერვისებით უზრუნველყოფის უნარი, რაზეც დამოკიდებულია ეკონომიკა და საზოგადოება.

2015 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „მდგრადი განვითარების გეგმა 2030“, როგორ გარდავქმნათ ჩვენი სამყარო. ESCO უზრუნველყოფს, რომ კულტურის როლი იქნას აღიარებული მდგრადი განვითარების უმთავრეს მიზანში. ეს აღიარება არა მარტო გაეროს გენერალური ასაბმლეის და UNESCO-ს მმართველი ორგანოების მოთხოვნებს პასუხობს, არამედ წევრი სახელმწიფოების მოთხოვნებსაც.

კულტურის განთავსება განვითარების პოლიტიკის ცენტრში, მომავალში მსოფლიოს არსებით ინვესტიციას წარმოადგენს და წარმატებული გლობალიზაციის პროცესის წინაპირობაა, რომელიც ასევე ითვალისწინებს კულტურული მრავალფეროვნების პრინციპს.

აღნიშნული მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობაზეა ორიენტირებული, მოითხოვს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემისა და მემკვიდრეობის დაცვას, ორივე, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალურის მემკვიდრეობის ხელშეწყობას, დინამიური, კრეატიული სექტორის მშენებლობას, სათანადო ინტელექტუალური საკუთრების დაცვით და თანასწორი კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციით.

საერთო გაერთიანებული ერების პრინციპები და პრაქტიკა ერთობლივი პროგრამებით და გამოცდილების გაზიარებით, ასევე უნდა ფოკუსირდეს კულტურულ მემკვიდრეობაზე და მის მნიშვნელობაზე მდგრად განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: *მგდრადი განვითარება, კულტურა, კულტურული მემკვიდრეობა, ეკონომიკა, დღის წესრიგი, გლობალიზაცია, სოციალური განვითარება, გაერთიანებული ერები, ESCO, UNESCO.*

ძირითადი ტექსტი

მდგრადი განვითარება განიმარტება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც მიიღწევა კაცობრიობის განვითარების მიზნები და ამავე დროს ნარჩუნდება ბუნების სისტემების მიერ ბუნებრივი რესურსებითა და ეკოსისტემის სერვისებით უზრუნველყოფის უნარი, რაზეც დამოკიდებულია ეკონომიკა და საზოგადოება. მდგრადი განვითარების თანამედროვე კონცეფცია 1987 წლის ბრუნდტლანდის ანდგარიშიდან არის წარმოშობილი, მისი ფესვები ტყის მდგრადი მართვის იდეებთან და მეოცე საუკუნის გარემოს დაცვის პრობლემურ საკითხებთანაა დაკავშირებული. კონცეფციამ განვითარებასთან ერთად უფრო მეტად გადაინაცვლა და აქცენტი გააკეთა ეკონომიკურ მდგრადობაზე, სოციალურ განვითარებაზე და მომავალი თაობებისთვის გარემოს დაცვაზე.

მდგრადი განვითარება არის ორგანიზაციული პრინციპი, რომელიც უზრუნველყოფს სასრული რესურსების მდგრადობას, რაც აუცილებელია ამ პლანეტაზე მომავალი თაობების სასიცოცხლო საჭიროებებისათვის.

მდგრადობა შესაძლოა განიმარტოს, როგორც ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ შექმნილი პროდუქტიულობის პროცესის მუდმივად შენარჩუნების პრაქტიკა, როდესაც ხდება ბუნებრივი

ბიოტიკური სისტემებისთვის საფრთხის შექმნის ან შელახვის გარეშე გამოყენებული რესურსების ჩანაცვლება, იმავე ან უფრო მაღალი ღირებულების მქონე რესურსებით. მდგრადი განვითარება ერთმანეთთან აკავშირებს ბუნებრივი სისტემების მზრუნველობის მოცულობის საკითხებს კაცობრიობის წინაშე არსებულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ გამოწვევებთან.

1980 წელს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა გამოაქვეყნა მსოფლიოს კონსერვაციის სტრატეგია, რომელიც შეიცავდა ერთ-ერთ პირველ მითითებას მდგრად განვითარებაზე, როგორც გლობალურ პრიორიტეტზე და შემოიღო ტერმინი „მდგრადი განვითარება“. ორი წლის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბუნების მსოფლიო ქარტიამ ჩამოაყალიბა კონსერვაციის ხუთი პრინციპი, რომელთა მიხედვითაც ადამიანის ქმედება, რომელიც აზიანებს ბუნებას უნდა იქნას მართული. 1987 წელს გაერთიანებული ერების მსოფლიო კომისიამ გარემოსა და განვითარებაზე გამოსცა ანგარიში „ჩვენი საერთო მომავალი“, რომელსაც, როგორც წესი, მოიხსენებენ როგორც ბრუნდტლანდის მოხსენებას. მოხსენება შეიცავდა ისეთ საკითხებს, რომლებიც დღეს-დღეისობით ითვლება. მდგრადი განვითარების ყველაზე გავრცელებული დეფინიცია არის: მდგრადი განვითარება რომელიც პასუხობს აწყმოს მოთხოვნებს მომავალი თაობების მიერ თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გარეშე. იგი შეიცავს სამ ძირითად კონცეფციას:

• კონცეფციას რომელიც არის მსოფლიოში სიღარიბის პრობლემებთან დაკავშირებული და რომელსაც მნიშვნელოვანი პრიორიტეტები უნდა მიენიჭოს;

• სოციალური ორგანიზაციების მიერ გარემოს ზეგავლენასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები, რომელიც უზრუნველყოფს აწყმოსა და მომავალში მდგრად განვითარებას;

• საჭიროებების კონცეფციას, სადაც უფრო ზუსტად არის მსოფლიოს ძირითადი მოთხოვნები, რასაც უნდა მიენიჭოს არსებითი პრიორიტეტები.

• ტექნოლოგიების და სოციალური ორგანიზაციების მიერ დაწესებული შეზღუდვები გარემოს შესაძლებლობებიდან გამომდინარე აწმყოსა და სამომავლო საჭიროებების საპასუხოდ.

2013 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ფორმალურად მიიღო „უნივერსალური, ტრანსფორმირებული და ინტეგრირებული” 2015 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის და რომელიც უნდა განხორციელდეს ყველა ქვეყანაში 2016-2030 წწ-ში. მდგრადი განვითარების 2030 წლის გეგმა წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს მდგრადი განვითარების ბევრ სფეროში, უფრო კონკრეტულად კი, კულტურის მიმართულებით, რადგან ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო განვითარების გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, მოიცავს განათლებას, კულტურას, ეკონომიკას, უსაფრთხო გარემოს, მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას და სხვ.

მდგრადი განვითარება ან მდგრადობა აღიწერება, როგორც სამი სფეროს მიმართულება, დომენები ან სვეტები, ე.ი გარემო, ეკონომიკა და საზოგადოება. სამსფეროიანი ჩარჩო თავდაპირველად შემოთავაზებულ იქნა ეკონომისტი რენე პასატის მიერ 1979 წელს.

სხვადასხვა კუთხით მუშაობის შედეგად მკვლევარებმა და ინსტიტუტებმა აღნიშნეს, რომ მდგრადი განვითარების მიმართულებებს უნდა დაემატოს მეოთხე მიმართულება, რადგან ძირითადი სამი - ეკონომიკის, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმართულებები, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი, რომ ასახოს თანამედროვე საზოგადოების სირთულე. ამ კონტექსტით, „დღის წესრიგი 21 კულტურისათვის“ და „ქალაქების და ადგილობრივი მთავრობების გაერთიანების“ (UCLG) აღმასრულებელი ბიუროს ხელმძღვანებლობით შეიქმნა პოლიტიკური დოკუმენტი „კულტურა: მდგრადი განვითარების მეოთხე სვეტი”, რომელიც გამოიცა 2010 წლის 17 ნოემბერს, მექსიკაში ჩატარებული ადგილობრივი და რეგიონალური ლიდერების მსოფლიო სამიტის-UCLG მე-3 მსოფლიო კონგრესის ფარგლებში. ეს დოკუმენტი მოიცავს ახალ პერსპექტივებს და საკითხებს კულტურასა და მდგრადი განვითარების

ურთიერთდამოკიდებულების ორმაგი მიდგომის ფარგლებში: მყარი კულტურული პოლიტიკის განვითარება და ყველა საჯარო პოლიტიკის მიმართულებით კულტურული მიმართულების ადვოკატირება. მდგრადობის წრე მოიცავს ოთხ სფეროს: ეკონომიკის, ეკოლოგიის, პოლიტიკის და კულტურის მდგრადობას.

კულტურის დღის წესრიგი იწყება იმ იდეით, რომ კულტურას აქვს დიდი წვლილი ადამიანურ განვითარებაში. შესაბამისად, ის ხელს უწყობს ისეთ ღირებულებების წინ წამოწევას როგორიცაა: კრეატიულობა, მრავალფეროვნება, მეხსიერება ან რიტუალები, ამასთან, ყველა მათგანი უფრო და უფრო საჭიროა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომ უფრო განავრცოს მისი თავისუფლება. „დღის წესრიგი 21 კულტურისათვის“ შედგება 67 მუხლისგან და ძირითადად ფოკუსირებულია 5 მთავარ საკითხზე:

1. კულტურა და ადამიანის უფლებები;
2. კულტურა და მმართველობის;
3. კულტურა, მდგრადობა და ტერიტორიები;
4. კულტურა და სოციალური ინკლუზია;
5. კულტურა და ეკონომიკა.

კულტურა არის ის, რაც ვართ ჩვენ და რაც განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას. არცერთი განვითარება არ შეიძლება იყოს მდგრადი, კულტურის გარეშე.

2015 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030“, 17 უნივერსალური მიზნით, რომ გარდავქმნათ ჩვენი სამყარო.

ESCO უზრუნველყოფს, რომ კულტურის როლი იქნას აღიარებული მდგრადი განვითარების უმრავლეს მიზანში, მათ შორის ხარისხიან განათლებაზე, მდგრად ქალაქებზე, გარემოზე, ეკონომიკურ ზრდაზე, ნიმუშების მდგრად მოხმარებაზე და წარმოებაზე, ინკლუზიურ და მშვიდობიან საზოგადოებაზე, გენდერულ თანასწორობაზე და საკვების უსაფრთხოებაზე აქცენტის გაკეთებით.

კულტურა, კულტურული მემკვიდრეობიდან კრეატიულ ინდუსტრიებამდე, არის მდგრადი განვითარების მიმართულებების - ეკონომიკის, სოციალური და გარმოესდაცვითი მიმართულებების - განმაპირობებელიც და მამოძრავებელიც.

კულტურის განთავსება განვითარების პოლიტიკის ცენტრში, მომავალში მსოფლიოს არსებით ინვესტიციას წარმოადგენს და წარმატებული გლობალიზაციის პროცესის წინაპირობაა, რომელიც ასევე ითვალისწინებს კულტურული მრავალფეროვნების პრინციპს.

მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგი წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს მდგრადი განვითარების ბევრ სფეროში, უფრო კონკრეტულად კი კულტურული მიმართულებით, რადგან ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო განვითარების გეგმა მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში (ეხება განათლებას, უსაფრთხო საკვებს, გარემოს, ეკონომიკურ ზრდას, ნიმუშების მდგრად მოხმარებას და წარმოებას, მშვიდობიან და ინკლუზიურ საზოგადოებას) ფოკუსირდება კულტურაზე.

ეს აღიარება არა მარტო გაეროს გენერალური ასაბმლეის და UNESCO-ს მმართველი ორგანოების მოთხოვნებს პასუხობს, არამედ წევრი სახელმწიფოების მოთხოვნებსაც[1].

კავშირები განვითარებას და კულტურასა და კულტურულ მემკვიდრეობას შორის 1960 წლიდანაა აღიარებული, თუმცა კულტურის წვლილი განვითარების მიმართულებით შედარებით ცოტა ხნის წინ აისახა შესაბამისი განვითარების პოლიტიკურ დოკუმენტებში. მაგალითად, აღიარებულ იქნა, რომ ადამიანები მათი კულტურული მემკვიდრეობით პირდაპირ არიან დამოკიდებულები ეკოსისტემაზე და რომ ყველა კულტურას და ცივილიზაციას წვლილი შეაქვს მდგრად განვითარებაში. ასევე ხაზგასმულია, „საჭიროა მოხდეს კონსერვაცია, როგორც ეს შესაფერისია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობისათვის, დასახლების

[1] http://en.unesco.org/sdgs/clt

და ისტორიული უბნების აღორძინებისა და ქალაქის ცენტრების რეაბილიტაციისთვის და გამოიკვეთა ბიოლოგიური მრავალფეროვნების დამახასიათებელი ღირებულება, ასევე, მისი ეკოლოგიური, სოციალური, გენეტიკური, ეკონომიკური მეცნიერული, საგანმანათლებლო, კულტურული, რეკრეაციული და ესთეტიური ღირებულებები.

რიოს 2012 კონფერენციის შედეგებზე დაყრდნობით, გაერომ გამოსცა ანგარიში „გაცნობიერება იმ მომავლისა, რომელიც ჩვენ გვინდა ყველასთვის“ და რომელიც 2015 წლის განვითარების გეგმის ხედვას გადმოსცემს სამ ფუნდამენტურ ღირებულებაზე დაყრდნობით - ადამიანის უფლებების პატივისცემა, თანასწორობა და ოთხი ძირითადი მიმართულების მდგრადობა: ინკლუზიური სოციალური განვითარება, ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება, გარემოსდაცვითი მდგრადობა და მშვიდობა და უსაფრთხოება. კულტურის მნიშვნელობა აღიარებულია იმ განცხადებით, რომ საზოგადოებას და ინდივიდს უნდა შეეძლოს, რომ შექმნან და პრაქტიკაში გამოიყენონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა და ისარგებლონ ამ უფლებით შიშის გარეშე. ეს მოითხოვს მათ შორის კულტურული სხვადასხვაობის პატივისცემას, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, კულტურული ინსტიტუტების ხელშეწყობას, კულტურული და კრეატიული ინდუსტრიების გაძლიერებას, და კულტურული ტურიზმის ხელშეწყობას.

კულტურას, როდესაც განიხილება როგორც ეკონომიკური აქტივობა და რომელიც მოიცავს მემკვიდრეობას, ხელოვნებას, კრეატიულ ინდუსტრიას და თანასწორ კულტურულ ტურიზმს, აქვს განსაკუთრებით ფართოდ აუთვისებელი როლი, რომ წვლილის შეიტანოს მდგრადი განვითარების სხვადასხვა მიმართულებაში.

საზოგადოების კულტურულ რესურსებს შეუძლია საზოგადოების უნიკალური იდენტობის სტიმულირება ან გარდაქმნა ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებაში, ტრადიციების, კულტურული პროდუქტის, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლის და ბაზრის შესაძლებლობების ხელშეწყობით და სიღარიბის შემცირებაში წვლილის შეტანით. მართლაც, სტატისტიკა აჩვენებს, რომ ეს არის ეკონომიკის სექტორებში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ზრდადი სექტორი, რომელიც მასალად იყენებს ადგილობრივად ხელმისაწვდომ რესურსებს და მათი ბუნებიდან გამომდინარე ხელმისაწვდომია საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის, მათ შორის ქალებისთვის, გოგონებისთვის, მარგინალიზებული ჯგუფებისთვის და ზოგადად ახალგაზრდებისთვის. ასეთი შესაძლებლობები განსაკუთრებით ხელმისაწვდომია მსოფლიოს განვითარებადი რეგიონებისთვის, რომლებიც მდიდარია კულტურული მემკვიდრეობით და დიდი რაოდენობიტ მუშახელით.

ინკლუზიური სოციალური განვითარება არის სფერო, სადაც კულტურისათვის დამახასიათებელი ღირებულება ხშირად აღიარებულია და მიიჩნევა ერთიანი საზოგადოების ნაწილად და კუთვნილებად, და ამავდროულად ეხმარება ადამიანებს იმ ფესვებთან და მიწასთან კავშირის შენარჩუნებაში, რომლითაც იდენტიფიცირებულია მკვიდრი ხალხი. ასევე კულტურული მრავალფეროვნების და მემკვიდრეობის დაცვა და პატივისცემა უზრუნველყოფს ისეთი გარემოს დამკვიდრებას, რომელიც ხელს უწყობს ტოლერანტულობას და ურთიერთგაგებას, სადაც უმცირესობები აღიარებულნი არიან და საზოგადოება უფრო მეტად ინკლუზიური, სტაბილური და მდგრადია. კულტურა და მემკვიდრეობა ასევე არის სწავლისა და ინსპირაციის მთავარი წყარო, მათ შეუძლიათ იყვნენ კრეატიულობის წყარო, რომელიც ინოვაციას და მეწარმეობას უწყობს ხელს.

კულტურულ მემკვიდრეობას და კულტურას ზოგადად, ასევე, წვლილი შეაქვს გარემოს მდგრადობაში. ტრადიციულ კულტურული ღონისძიებებს, კერძოდ მათ, რომლებიც დაკავშირებულია მიწის მოვლასთან, შეუძლიათ ხელი შეუწყონ მემკვიდრეობის ნიმუშების უფრო მეტად მდგრად წარმოებას და გამოყენებას. მაგალითისთვის, მსოფლიო ბანკმა მიიჩნია, რომ მიზანშეწონილია ისტორიული ქალაქების, ახალი შენობებით ჩანაცვლებასთან შედარებით. მართლაც, ადგილობრივ და ძირძველ ცოდნას და გარემოსდაცვით მენეჯმენტს

შეუძლია მოგვაწოდოს ღირებული ინფორმაცია, რომელიც ავსებს ხელოვნებას, ეკოლოგიური გამოწვევების თვალყურის დევნებით აღრმავებს მეცნიერულ ცოდნას ბიომრავალფეროვნების დაკარგვის პრევენციისათვის.

რაც შეეხება, მშვიდობას, კონფლიქტის პრევენციას და შერიგებას – ესაა კულტურულად მგრძნობიარე განვითარება, რომელიც აღიარებს მრავალფეროვნებას და ხელს უწყობს ინდივიდების შესაძლებლობას თავისუფლად მიიღონ მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს კულტურული აქტივები და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ერთად ცხოვრების კულტურის მშენებლობაში. შედეგად, მოხდება დაძაბულობის და დაპირისპირების პრევენცია პოსტ კონფლიქტურ ადგილებში ან იმ ადგილებში, რომლებმაც განიცადეს სტიქიური უბედურებები. კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და კულტურული ღონისძიებებისთვის ხელის შეწყობა დაეხმარება საზოგადოებას მათი იდენტობის აღდგენაში, ომების და კატასტროფების იარების მოშუშებაში.

კულტურული პროგრამები, ასევე, ეხმარება კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობასა და ყველა კულტურაში არსებულ უნივერსალური ელემენტების დაფასებას ან ეხმარება ადამიანებს, რომ ხელახლა აღმოაჩინონ კავშირები ცივილიზაციებს შორის და გზა გაიკვალონ სხვების ჰუმანიზმისა და ურთიერთგაგებისკენ.

კულტურულ მემკვიდრეობას, ასევე, შეუძლია გამოკვეთოს საერთო ღირებულებები იმ საერთო კავშირებზე ხაზგასმით, რაც არსებობს კონფლიქტში მყოფ საზოგადოებებს შორის, კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიური ფორმით და ხელი შეუწყოს მათ ერთობლივ განხორციელებას. სწორედ, ასეთი შემთხვევა იყო ბოსნია ჰერცოგოვინის მოსთარის ხიდის აღდგენა.

ამ თუ სხვა გზით, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა შეიძლება განიხილებოდეს, როგორც მდგრადი განვითარების მამოძრავებელი. კულტურასთან დაკავშირებული ღონისძიებების პირდაპირი გავლენა მდგრად განვითარებაში და მდგრადი განვითარების მიზნებში, დასტურდება სხვადასხვა პროექტით. მათ შორის გამორჩეულია ისინი, რომლებიც გაეროს ორგანოების მიერ არის იმპლემენტირებული და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ფონდი (MDG)[1].

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიზნები და ინდიკატორები, რომლებიც გამოხატავენ კულტურული მემკვიდრეობის წვლილს მდგრად განვითარებაში - შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება იმ წარმატებულ პროგრამებზე რომლებიც განხორციელდა ამ მიმართულებით UNESCO[2] -ს და FAO[3] -ს მიერ, ასევე, COMPACT პროგრამა[4], სატოიამას ინიციატივა [Satoyama Initiative][5], მსოფლიო ბანკის და რეგიონალური განვითარების ბანკის პროგრამები, რომლებიც დაკავშირებულია კონსერვაციასთან[6], ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია[7],

---

[1] §95 მილიონი აშშ დოლარის ბიუჯეტში და იუნესკოს [UNESCO] ხელმძღვანელობით თვრამეტი ერთობლივი პროექტის მხარდაჭერა განხორციელდა მსოფლიოს მასშტაბით შინა სააგენტოს ინიციატივით. ამ პროექტების აღწერილობა და როგორ შეიტანეს წვლილი ამ პროექტებმა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე http://www.unesco.org/new/en/culture/achieving-the-millennium-development-goals/mdg-f-culture-and-development/) }

[2] UNESCO-ს კონვენცია მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1972) with 190 წევრი სახელმწიფოთი (2012 წლის სექტემბრისთვის).

[3] Globally Important Agricultural Heritage System (GIAHS) http://www.giahs.org/giahs/en/

[4] http://sgp.undp.org/index.php?option=com_content&view=article&id=103&Itemid=165#.UXWUN8r7DMo

[5] იაპონიის გარემოს დაცვის სამინისტროს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსიტეტის მოწინავე კვლევების ინსტიტუტის (UNU-IAS) ერთობლივი ინიციატივა, სატოიამას ინიციატივა მიზნად ისახავს ბუნებრივი გარემოს კონსერვაციას (SEPLS) მათი ღრებულებების ფართო აღიარებით. იხილეთ: http://satoyama-initiative.org/en/

[6] მაგალითად მემკვიდრეობასა და კულტურულ ტურიზმზე: http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOPICS/EXTURBANDEVELOPMENT/EXTCHD/0,,menuPK:430436~pagePK:149018~piPK:14 9093~theSitePK:430430,00.html

[7] http://www.cbd.int/convention/text/

ევროპული ლანდშაფტის კონვენცია[1] , ევროპის საბჭოს ჩარჩო ხელშეკრულება კულტურული მემკვიდრეობის ღირებულებასა და საზოგადოებაზე [Faro Convention][2] და სხვა რელევანტური მაგალითები

მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულების პრინციპებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი შესაძლებლობა შესაძლოა იყოს კულტურის ინკორპორირება სოციალურ და ეკონომიკურ ჩართულობაში, გარემოს მდგრადობაში, მშვიდობასა და შერიგებაში.

- შესაძლებლობების მშენებლობა და სიღარიბის შემცირება, სამუშაო ადგილების გაზრდა კულტურულ სექტორში (მემკვიდრეობა და კრეატიული ინდუსტრიები), განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ქალების, გოგონების, ახალგაზრდებისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის.

- კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაზრდა და კულტურული მემკვიდრეობის ყველასთვის ხელმისაწვდომობა, ამავე დროს უფლებაზე დაფუძნებული დამოკიდებულების ხელშეწყობა და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა;

- გარემოს მდგრადობაში წვლილის შეტანა ისტორიული გარემოს კონსერვაციით. კრეატიული დიზაინის ხელშეწყობა, ეკო ხელოვნების და ტრადიციული ცოდნის აღიარება გარემოს დაცვით;

- -ინტერკულტურული დიალოგის ხელშეწყობა, სოციალური ერთობის გარემოს ღონისძიება მდგრადი განვითარებით;

- ადგილობრივი მდგრადობის გაძლიერება და კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაცია;

- კულტურისა და კულუტურული მემკვიდრეობის პოლიტიკაში და მმართველობის ჩარჩოებში ინტეგრაცია მდგრადი განვითარებისთვის;

- ინოვაციური დაფინანსების და კოოპერაციის მექანიზმის მხარდაჭერა კულტურული აქტივობებისთვის.

აღნიშნული მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობაზეა ორიენტირებული, მოითხოვს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემისა და მემკვიდრეობის დაცვას, ორივე, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური და ბუნებრივი კულტურული ინსტიტუტების ხელშეწყობას, დინამიური, კრეატიული სექტორის მშენებლობას, სათანადო ინტელექტუალური საკუთრების დაცვით და თანასწორი კულტურული ტურიზმის პოპულარიზაციით.

და ბოლოს, საერთო გაერთიანებული ერების პრინციპები და პრაქტიკა ერთობლივი პროგრამებით და გამოცდილების გაზიარებით, ასევე უნდა ფოკუსირდეს კულტურულ მემკვიდრეობაზე და მის მნიშვნელობაზე მდგრად განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სთორი ჯ., კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქართულ ენაზე. 2007
2. მსოფლიოს კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენცია – იუნესკო 1972წ. http://www.unesco.com
3. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი. თბილსი. 2009წ
4. **Hopwood, B., Mellor, M., & O'Brien, G**. (2005). Sustainable development: mapping different approaches.*Sustainable development, 13*(1),
5. **Michael Falser.** Cultural Heritage as Civilizing Mission. From Decay to Recovery. Heidelberg, New York: Springer (2015),

[1] http://www.coe.int/t/dg4/cultureheritage/heritage/Landscape/default_en.asp

2 http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=199&CM=8&CL=ENG

6. **Barbara T. Hoffman,** Art and cultural heritage: law, policy, and practice, Cambridge University Press, 2006.
7. Jon Hawkes, The Fourth Pillar of Sustainability: Culture's Essential Role in Public Planning, Common Ground, 2001

Cultural heritage and sustainable development

Ana Vashakidze

Summary

Over recent years, and as a result of major phenomena such as climate change, globalization, the world financial crisis, growing inequalities and globally increasing urban populations, the linkages between cultural heritage and sustainable development have taken center stage within the development sector and beyond. Sustainable development is the organizing principle for sustaining finite resources necessary to provide for the needs of future generations of life on the planet.

Culture makes a great contribution to human development, because it promotes values like creativity, diversity, memory or rituality, all of them increasingly necessary for any human being to widen his or her freedoms. From cultural heritage, cultural tourism to and creative industries, Culture is both an enabler and a driver of the economic, social and environmental dimensions of sustainable development.

Key words: *Sustainable Development, Culture, Cultural Heritage, Economics, Agenda, Globalization, Social development, United Nations, ESCO, UNESCO*

სურსათის სამომხმარებლო ბაზარზე ფალსიფიკაციისა და უვნებლობის ასპექტები

თოფჩიშვილი მარინე,
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

სასურსათო პრობლემა ახალი არაა. იგი ერთ-ერთი უძველესია კაცობრიობის გლობალურ პრობლემათა შორის. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა მეტად მრავალმხრივი და მრავალასპექტიანია. იგი ერთდროულად ბუნებრივი მოვლენაცაა, ეკონომიკურიც და პოლიტიკურიც, რომელიც აისახება საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე და საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას.

ქვეყნის მოსახლეობის კვების დონისა და ხარისხის დაქვეითება, მათი ცხოვრების ხარისხის გაუარესების ერთ-ერთი გადამწყვეტი მიზეზია.

ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ სურსათის საკმარისობა და მასზე ქვეყნის ყველა მცხოვრების გარანტირებული ხელმისაწვდომობა, არამედ - სახელმწიფოს უნარი ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით უზრუნველყოს მიმდინარე და საგანგებო მოთხოვნები საკუთარი რესურსების ხარჯზე.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებიც. მეცნიერების განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა ფალსიფიკაციაც და მისი დადგენის მეთოდებიც.

საქონლის (სურსათის) ფალსიფიკაცია სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს სავაჭრო მოტყუების, თაღლითობის სახესხვაობას, რაც ნიშნავს ანგარების მიზნით რაიმე ნამდვილის შეცვლას ყალბით.

ფალსიფიცირების კონტროლის ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია სასურსათო უსაფრთხოების საკანონმდებლო-სამართლებრივი უზრუნველყოფა, რაც, იმავდროულად, შექმნის ხელსაყრელ პირობებს აგროსამრეწველო კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *ფალსიფიკაცია, კონტროლი, სასურსათო უსაფრთხოება, ხარისხობრივი ფალსიფიკაცია, ასორტიმენტული ფალსიფიკაცია, ხარისხი.*

ფალსიფიკაცია: უსაფრთხოების ასპექტები

ადამიანი განუწყვეტლივ აფართოებს მოქმედების არეალს. მეცნიერების განვითარებასთან იხვეწებოდა როგორც ფალსიფიკაცია, ისე მისი დადგენის მეთოდები.

საქონლის ფალსიფიკაცია სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს სავაჭრო მოტყუების თაღლითობის სახესხვაობას. ფალსიფიკაცია (ლათინურად - ფალსიფიცო) ნიშნავს ანგარების მიზნით რაიმე ნამდვილის, ჭეშმარიტის შეცვლას ყალბით.

საქონლის ფალსიფიკაციის ცნება სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში სხვადასხვაგვარად გაიაზრებოდა, რომელიც განსხვავდებოდა კვების პროდუქტების გაყალბებისთვის სასჯელის მიხედვით.

გერმანიაში შუასაუკუნეებში სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტებით ვაჭრობა რეგულირდებოდა ადგილობრივი ჩვეულებით, საამქრო წესებითა და საქალაქო ხელისუფლების განკარგულებით. ისინი, უბრალოდ, კრძალავენ ძველი და ცუდად დამზადებული პროდუქტების, ძველი და ცუდად გამომცხვარი პურის, მეტისმეტად ახალგაზრდა საქონლის ხორცის გაყიდვას. წესდებოდა ბაზრის ზედამხედველობა და ექიმ ექსპერტების მიერ გასაყიდ პროდუქტებზე მეთვალყურეობა.

ფალსიფიკაციის შესახებ კანონი მიღებულ იქნა ყველა განვითარებულ ქვეყანაში

პირველად საფრანგეთში (1851 წ.), იტალიაში (1890 წ.), ბელგიაში (1891 წ.), ხოლო შემდგომ ინგლისში, ავსტრიასა და შვეიცარიაში. ეს კანონმდებლები ითვალისწინებდნენ საქონლის ფალსიფიკაციისათვის სადამსჯელო ღონისძიებებს: საკმაოდ მკაცრ **ჯარიმებს, რომელთა სიდიდე დამოკიდებული იყო ზიანის ხარისხზე, რომელსაც ფალსიფიცირებული საქონელი აყენებდა მომხმარებლის ჯანმრთელობას,** ასევე აღმკვეთ ღონისძიებებს სამოქალაქო უფლებების, საპატიო წოდების ჩამორთმევა, დაპატიმრება. იმ კვების პროდუქტების რიცხვს, რომლებიც მოხსენიებულია ამ კანონებში, მიეკუთვნებოდა: პური, ხორცი (1845 წ.), კარაქი, მარგარინი და ხელოვნური კარაქი, ცხიმები (1891 წ.). მოგვიანებით, ქალის რძის სუროგატი და სხვ.

პროდუქციის ფალსიფიკაციას საფუძვლად უდევს: პროდუქციის ღირებულების შემცირება იაფფასიანი კომპონენტების დამატებით, პროდუქტის ღირებულების შემცირება უფრო ღირებული შემადგენელი ნაწილების (მაგ., რძიდან ცხიმის) მოცილებით, პროდუქტში გაფუჭების შემაფერხებელი ნივთიერებების დამატებით (ბორის მჟავა, მარილი, სპირტი და ა. შ.). გაყალბების შესანიღბად უკვე გაფუჭებულ ან გაფუჭების საწყის ეტაპზე პროდუქტს უმატებდნენ სხვადასხვა ნივთიერებებს, ამზადებენ ხელოვნურ ნარევებს, რომლებიც ნატურალურ პროდუქტს უახლოვდებოდა.

ჩვეულებრივ, ფალსიფიკაცია დაკავშირებულია ერთი ობიექტის მეორეთი მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლასთან, რაც იწვევს არა მარტო სახის, არამედ ხარისხის შეცვლას. აქედან გამომდინარე, განასხვავებენ ფალსიფიკაციის ორ სახეს: **სახეობრივს** (ასორტიმენტულს) და **ხარისხობრივს**. პირველი სახე ფალსიფიკაციისა განპირობებულია ერთი ობიექტის მეორეთი შეცვლით, ნაკლებღირებულით (ნაკლებად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას), ვიდრე აქვს იმ ობიექტს, რომლის შეცვლაც ხდება მიზანდასახულად. მეორე სახე ფალსიფიკაციისა – **ხარისხობრივი ფალსიფიკაცია** არის გარკვეული სახის ობიექტის გაყალბება ხარისხის დაბალი გრადაციით შეცვლა.

რაოდენობრივი ფალსიფიკაციის საშუალებებს მიეკუთვნება მარკირების ფალსიფიკაცია ზომა-წონის შემცირება და სხვ.

ცნებაში „ფალსიფიცირებული საქონელი“ განასხვავებენ ორ არაიგივეობრივ ცნებებს „საქონელი-შემცვლელი“ (სუროგატი) და „დეფექტური საქონელი“.

ნატურალური პროდუქტის საქონელი-შემცვლელი არ არის ფალსიფიცირებული იმ შემთხვევაში, თუ საქონლის თანმხლებ დოკუმენტაციაში მითითებულია ნამდვილი დასახელება (ზოგჯერ შემადგენლობა), ხოლო ფასი შეესაბამება მის ხარისხსა და წარმოშობას (მაგ„ ბულიონის კუბიკები, იმპორტული ქათმის ბულიონი).

მარკირებისას დასახელების შეცვლა და ფასის გაზრდა ნატურალური პროდუქტის ფასამდე წარმოადგენს ფალსიფიკაციის ერთ-ერთ სახეს.

დეფექტური საქონელი ხასიათდება სტანდარტის აუცილებელი მოთხოვნებთან თუნდაც ერთი შეუსაბამობით. თუ ასეთი კრიტიკული დეფექტიანობის საქონელი სტანდარტული საქონლის გვერდით იმავე ფასში იყიდება, ამ შემთხვევაში იგი ითვლება ფალსიფიცირებულად.

მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ალკოჰოლური სასმელების ფალსიფიკაცია საკვები ეთილის სპირტის ტექნიკური სპირტით მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლით, რომელიც შეიცავს მავნე მინარევებს, „ხელოვნური ღვინის“ დამზადება აკრძალული საკვები დანამატებით, რომელიც ჭარბი რაოდენობით გამოიყენება, ბურღულეული პროდუქტებიდან მინარევების არასაკმარისი მოცილება, დაბინძურებული მცენარეული ნედლეულის, ავადმყოფი ცხოველის ხორცის, გაფუჭებული ნახევარფაბრიკატების გამოყენება.

ასორტიმენტული ფალსიფიკაციის ნიშნები და სახესხვაობები

მაგალითად, კვების პროდუქტების შეფერვა ხდება ფალსიფიკაციის დროს, როდესაც საღებავებით ხდება პროდუქტის გაფუჭების ნიშნების დაფარვა. საღებავების გამოყენების ხარ-

ჯზე მომხმარებელი შეჰყავთ შეცდომაში პროდუქტის კვებითი ღირებულების მხრივაც. მაგალითად, პროდუქტებში ყვითელი საღებავის დამატებისას იქმნება შთაბეჭდილება მასში კვერცხის მაღალი შემცველობაზე, ყავისფერი საღებავის დამატებისას კაკაოს ან შოკოლადის შემცველობაზე, ხორცპროდუქტებში ყავისფერი საღებავის დამატება შებოლილის ეფექტის მისაღებად. ეს საღებავები კი ხშირად ჯანმრთელობისათვის საზიანოა.

ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია სპეციალური ჰიგიენური შეფასება, რომელსაც საფუძვლად უდევს თანამედროვე ნორმატიულ-მეთოდური ბაზა და ხორციელდება კვების პროდუქტების ხარისხსა უსაფრთხოებაზე სახელმწიფო ორგანოების ზედამხედველობით.

ფალსიფიცირებული საქონლის დამზადება, რეალიზაცია და მოხმარება დაკავშირებულია რისკთან და ზარალთან, პირველ რიგში, მომხმარებელთა მხრიდან, ფალსიფიცირებული პროდუქციის ფართო გავრცელებისას წარმოიქმნება ჯანმრთელობის დაკარგვის ალბათობა, მცირდება სიცოცხლის ხანგრძლივობა, იზრდება ავადმყოფობებითა და საკვები მოწამვლებით გამოწვეული სიკვდილიანობის რისკი, უარესდება კვების სტრუქტურა, იზრდება დაბალხარისხოვანი და იაფფასინი პროდუქტების კუთრი წონა, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად ზარალდებიან კეთილსინდისიერი მწარმოებლებიც. ყოველივე ეს ზეგავლენას ახდენს საბოლოო ჯამში, საზოგადოების ცხოვრების გაუარესებაზე.

ჩვენ დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ფალსიფიკაციას, იდენტურ შეფუთვას და სხვა ხერხს საკმაოდ ხშირად მიმართავენ და ამ მხრივ მდგომარეობა არც თუ სახარბიელოა, სადაც ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ბაზარზე ფალსიფიკაციის კონტროლი მეტწილად მომხმარებლებსა და დისტრიბუტორებზე არის დამოკიდებული. გამყიდველი ვალდებულია, შესაძლებლობის ფარგლებში, გადაამოწმოს საქონელი და თუ სიყალბეს აღმოაჩენს, მასზე უარი თქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებლის მიერ სარჩელის შეტანას შეიძლება გამყიდველის დასჯა მოჰყვეს. თუმცა, საქმის სასამართლომდე მიტანის მოტივაცია, როგორც ჩანს, ცოტას თუ აქვს. დაბალია ინფორმირებულობის ხარისხიც. ფალსიფიცირების კონტროლი შედარებით ცენტრალიზებულია ქვეყნის საზღვარზე გამომდინარე იქიდან, რომ საბაჟო სამსახური ვალდებულია, აღკვეთოს ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა ბრენდის ფალსიფიცირებული ნაწარმის შემოტანა.

ფალსიფიცირების კონტროლი ხარისხის ასამაღლებლად აუცილებელია:

- მომხმარებლისათვის, ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად, საჭირო სრული, ამომწურავი და ნამდვილი ინფორმაციის მიწოდება;
- სურსათის თაობაზე მომხმარებლისათვის ეტიკეტით ან სხვა საშუალებით მოწოდებული ინფორმაციის სისრულისა და ნამდვილობის შემოწმება;
- მომხმარებელთა საჩივრებზე ოპერატიული რეაგირება;
- ნიმუშის აღება და კრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლევების ჩატარება;
- მონიტორინგის შედეგების დაუყოვნებლივ გამოქვეყნება და მისი ღიაობა მთელი საზოგადოებისათვის.

გარდა ამისა, აუცილებელია ამ მხრივ როგორც კანონი, ასევე მოქალაქეების მიდგომას უნდა გამკაცრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო რეგულირება: საქართველოს სახელმწიფოს მიერ 2012 წელს გაწეული საქმიანობის შეფასება (ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი), თბილისი, 2013;
2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., გრძელიშვილი ნ. – ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება, თბ., 2010;
3. ბახტაძე დ., ქართველთა ტრადიციული საკვები პროდუქტები და სასურსათო უსა-

ფრთხოება,თბ., თსუ, 2004;
4. გენური ინჟინერია ფაქტები და მოსაზრებები – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია“ ელკანა“, თბ., 2002;
5. მეთოდური მითითებები სურსათისა და სასმელების ევროპულ მწარმოებელთათვის – ევროკავშირის სურსათისა და სასმელების მწარმოებლების კონფედერაცია, 2003.
6. ვანიშვილი მ., ჭიკაიძე ნ., ვანიშვილი ნ., სასურსათო უსაფრთხოების მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში, თბ., 2013.

Aspects of the food consumer market falsification and safety

Marine Topchishvili

Summary

The problem of food is not new. It is one of the oldest among mankind's global problems. The problem of food security is very versatile and multi-purpose. It is a natural phenomenon, economic and political, which reflects almost every sphere of public life and threatens socioeconomic and political stability of states.

One of the decisive reasons for their quality of life is the level of nutrition and quality of the population of the country.

The national food security means not only the food enough and the guaranteed availability of food for all inhabitants, but also the ability of the state to provide ecologically pure food products at the expense of their own resources.

Scientific-technical progress has both positive and unreliable sides. Falsification and methods of its establishment were also improved with the development of science.

Falsification of the goods (food) is a legal point of view of trade fraud, which means to change any genuineness with a false sense of it.

In order to increase the quality of falsification, it is necessary to provise legislative and legal food safety, which, at the same time, create favorable conditions for effective functioning of the agro industrial complex.

Keywords*: falsification, control, food security, legislative support, legal, quality.*

ВОСТРЕБОВАННАЯ АКТУАЛЬНОСТЬ БУМАЖНОГО И БИОМАССОВОГО ПРОИЗВОДСТВА В ЗАКАВКАЗСКОМ РЕГИОНЕ

Келетджеридзе Мераб
Профессор Грузинского Технического Университета

По научно – экономическому обоснованию, уже существующий и развивающий потребительский рынок бумаги по Закавказскому региону, общим количеством - 15 634 851 населением и дополнительно приезжих по разным причинам max 3% т.е. 469 045 чел. итого всего более - *16 103 896 чел.* Проживающй потребителский состав в Закавказском регионе (*данные ООН с этническими показателями указанных стран Закавказия*) функционально и «весьма востребованная» Бумажная продукция во всех её видах и отдельно по модификации бумажной продукции типа «А4».

Следовательно - уже существующий Закавказский потребительский рынок обслуживающий более 16 милионов потребителей по основным принципиальным постулатам экономики требует создавать в указанном регионе , соответствующую производственную базу с целью выпуска и удовлетворения потребительского рынка и востребованых видов продукциий .

На сегодняшний день ЗАКАВКАЗСКИЙ потребительский рынок - обеспечивается импортными поставками бумажной продукции - из таких зарубежных стран, каковыми являются : *Китай , Индонезия, Франция, Португалия* и др.

Следовательно их «ценовая политика» после прохождения всех обязательных этапов международной торговли на «выходе» увеличивается более 75% базовой цены и имеет - весьма малоприемлемую потребительскую востребованность - однако из за «*фактора потребительской требуемости*» и не имения альтернативно- конкурирующей продукции на потребительском рынке - она в регионе считается весьма актуально-востребованным потребительем.

Исходя из перечисленных научно-экономических постулатов, само собой вырисовывается конкретное бизнес предложение - создать в ЗАКАВКАЗИЙ ЦЕНТР по производству :

1. БУМАГИ (всех видов и марок – и особенно марки «А4» (в одной пачке 500 листов, в среднем 75-80 гр/м2, весом единицы – 2,5 кг)

(импортируемая из других стран Бумага «А4» -« ценовая политика на выходе т.е. её продажная цена » составляет до - 4,0 $ за пачку /единицу продукции т.к. она проходит необходимые и обязательные этапы международной торговли, как :

- Производственные расходы в стране изготовителя
- Вывозная / экспортная таможенная пошлина
- Транспортировка до Закавказия

Ввозная таможенная пошлина в Закавказском регионе

- Разные непредвиденные расходы

Итого - продажная «ценовая политика» - объективно и в разы увеличиваются и достигают указанную цену (до 4,0 $/единица). Следовательно количественное обеспечение ЗАКАВКАЗСКОГО региона требует до 10% бюджетных ассигновании для удовлетворения потребительского рынка – указанной продукцией - ежеквартпльно.

Уже существующий и функцонирующий ЗАКАВКАЗСКИЙ потребительский рынок - не имея юридическо-правовой структурной единицы в виде БУМАЖНОГО ПРОИЗВОДСТВА - который из главных видов сырья (необходимого для производства бумаги - «ЛИСТВЕННАЯ ЦЕЛЮЛЁЗА» - имеет все необходимые виды требуемых органических отходов не только для бумажного производства но и для производственного выпуска - БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙЙ,

АЛЬТЕНРАТИВНО-ВОЗОБНОВЛЯЕМОЙ ТОПЛИВНОЙ ПРОДУКЦИИ (по технологии ООН- “BIOMASS BRIQUETTING”. REGIONAL WOOD ENERGY DEVELOPMENT PROGRAMME IN ASIA GCP/RAS / 154/ NET . FAO – UN. field №46) т.е. имеющиеся в регионе ЗАКАВКАЗИЯ все виды органических отходов , получают практический реальную «ценовую политику» и соответственно подподают под критерии Международных Экономических и Торговых Постулатов, какими и являются :

1. Необходимая производственная основа экономики- «сырьё поставляется самому производству» - начал сдавать свой позиции на фоне современных экономических требовании – «не сырьё посьтавляеься производству а само производствдственная структура – поставляется к сырьевому источнику» . Следовательно для существующего сырья в Закавказии, необходимо создать соответствующую производственную структуру в этом же регионе с учётом- минимизации производственных расходов т.е. создать ИННОВАЦИОННУЮ производственную структуру (в ЗАКАВКАЗИИ на сегодня – производственных ИННОВАЦИИ - не имеется !)
2. Имеющиеся органические « отходы должны довать - доходы» которые включением в производственный цыкл 2-х направлении обеспечит - возврат вложенной суммы по соотношению ..... 1 к 1,5 и окупается через 6 календарных месяцев.
3. Создание ЗАКАВКАЗКОГО ЦЕНТРА - обеспечит предпосылки создания новых рабочих мест в регионе в целом - более 300 единиц.
4. ИННОВАЦИОННАЯ производственная структура, обеспечит МИНИМИЗАЦИЮ производственных расходов и МАКСИМАЛИЗАЦИЮ – потребительских доходов.
5. ПРОИЗВОДИМАЯ ПРОДУКЦИЯ получает статус «конкурентоспособности»
6. Производимая продукция - Получает реальную возможность - стать вывозной / экспортируемой продукции из страны и следовательно государство заинтересовано в его увеличении
7. Государственное налогооблажение - стабильно получает причитающее государству от экспортной поставки - соответствующую пошлину
8. Обеспечиваются все необходимые предпосылки - создания новых (помимо указанных в начале) рабочих мест в регионе для сбора необходимого сырья (органических отходов всех видов) для БУМАЖНОГО и БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ ПРОДУКЦИИ и его производства.

Помимо БУМАЖНОГО ПРОИЗВОДСТВА - органические отходы всех видов имеющиеся в Закавказском регионе, используются и для производства – продукции

« ЗЕЛЁННОЙ ЭНЕРГЕТИКИ» в виде БИО-ЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ / ВОЗОБНОВЛЯЕМОЙ/ АЛЬТЕРНАТИВНОЙ / ИННОВАЦИОННОЙ/ KNOW-HOW и пользующим весьма большим потребительским спросом ПРОДУКЦИИ среди социального потребителя в мире . БИОТОПЛИВО (*производимая из всех видов органических агро/био отходов, по технологии ООН это единица БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОГО ТОПЛИВА имея ряд преимущественных технико-экономических показателей таких как : его единица продукции – горит тах 7 час и даёт до 5000 ккал/час теплоотдачу и 18 мегаджоуля/кг . Данная позиция выдвигает её на ведущие позыйии по сравнению с существующими традиционными видами энергии как - полено дров по каллорииности его прямому использованию даёт – 6,5. Бурый/ каменный уголь – 19,5 мегаджоуля/кг и необходимо отметит, что потребительский спрос под статус - ИННОВАЦИОННОСТИ,* KNOW-HOW, ЗАПАТЕНТОВАННОСТИ / уникальность в своей потребителской нище позволяет продукции конкурировать в ценовой политике с аналогичными функциональными продукциями в мировом масштабе. Необходимость требует указать ту немоловажную потребительскую позицию, как : возможность хранения на неограниченное

время, лёгкость при её транспортабельности и мн. др. *)*

ИННОВАЦИООНОСТЬ подразумевает поставку самого мини предприятия к сырьевым источникам а не сыревую поставку к предприятию. Следовательно такой менеджмент позволяет - *МИНИМИЗИРОВАТЬ СЕБЕСТОЙМОСТЬ ПРОИЗВОДМОЙ ПРОДУКЦИИ А РЕТАБЕЛЬНОСТЬ/ ПРИБЫЛЬНОСТЬ - МАКСИМИЗИРОВАТЬ.* Следовательно отпадает необходимость - обязательной вырубки флоры/ леса, обработка их под полено для отопления жилища и др. функции.

Калькуляция производства БИОЭНЕРГЕТИЧЕСКОЙ продукции в ЗАКАВКАЗИИ

№	П о з и ц и я	смена	месяц	г о д	примечание
1	Стоимость агро/био отходов	36т/900 €	1080 т/27000 €	12960 т/324000 €	2 смены по 10час СИФ цена - 25 €/т
2	Стоимость эл. энергии	1000квт/200 €	6000 €	93 000 €	1квт/час=0,20 €/квт Максимум– 50 квт
3	ФСП персонала	25 €	730 €	8750 €	В регионе max 3 чел Усредн.ФЗП-250€
4	Амортизация	208 €	6 250 €	75 000 €	25% годовых стоймости
5	Непредвиденные расходы	333 €	1000 €	12 000 €	Разные расходы 1000 €
6	В с е г о :	1 666 €	40 980 €	512 750 €	
7	Производимая продукция	36 т	1080 т	12 960 т	
8	Себестоймость продукции	43 €/т	43 €/т	43 €/т	§6 :§7
9	Продажная цена	Усрнеднённая цена 100 €/т			
10	Доход всего	3600 €	1 080 000 €	1 296 000 €	§7 X §9
11	Государственный налог	2 124 €	63 720 €	764 640 €	20% прибыли
12	Вся расходная часть	3 790 €	104 700 €	1 277 390 €	§6 +§11
13	Чистая прибыль	-	3 300 €	18 610 €	§10 - §12
14	РЕНТАБЕЛЬНОСТЬ	2 4 3 %			

Калькуляция производства БУМАЖНОЙ продукции в ЗАКАВКАЗИИ

№	П о з и ц и я	смена	месяц	г о д	примечание
1	Стоимость агро/био отходов	50т/ 1 250 €	1 500 т/ 37500 €	18 000 т/450 000 €	2 смены по 10час СИФ цена - 25 €/т
2	Стоимость эл. энергии	1000квт/200 €	6000 €	93 000 €	1квт/час=0,20 €/квт Максимум– 50 квт/час
3	ФСП персонала	210 €	6 250 €	75 000 €	В регионе max 300 - ЧЕЛОВЕК Усредн.ФЗП-250€
4	Амортизация	2083 €	62 500 €	750 000 €	25% годовых ОТ стоймости 3,0млн. $
5	Непредвиденные расходы	500 €	1500 €	18 000 €	Разные расходы 1500 €/ мес
6	РАСХОДЫ ПО ЛИЗИНГУ	67 €	2000 €	24 000 €	ЕЖЕМЕСЯЧНО – 2000 €/мес
6	В с е г о :	4 310 €	115 750 €	1 410 000 €	
7	Производимая продукция	135 т/54 000 ед	4 050 т/ 1 620 000 ед	48 600 т/ 19 440 000 ед	
8	Себестоймость основы материала	30 €/т	30 €/т	30 €/т	§6 :§7
9	Единица готовой продукции Себестоймость	0,03 €/ ед	0,03 €/ ед	0,03 €/ ед	§8 : 1000 кг
10	Продажная цена	Усрнеднённая цена 0,5 €/ед т.е. 1,5 лари/единица			Прибыль + от 25%
11	Доход всего	27 000 €	810 000 €	9 720 000 €	§7 X §10
12	Госсударственный налог	--------	43 899 €	818 170 €	20% от прибыли т.е. §11- (§13+ §6) - 20%
13	Вся расходная часть	31 310 €	925 750 €	1 283 040 €	§6 +§11
14	Чистая прибыль	14 256 €	427 680 €	8 901 830 €	§11 - §12
15	Рентабельность	1 667 %			

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www. Statustucs.ru
2. Келенджеридзею М.Б. «БИОМНОГОГРАННОСТЬ» . РФ. Пермь. 2007 г.
3. Котлер.Р.К. «МАРКЕТИНГ ДЛЯ ТЫСЯЧАЛЕТИЯ» РФ. Москва. 2006 г.

მერაბ კელენჯერიძე

რ ე ზ ი უ მ ე

უკვე არსებული ამიერკავკასიის სამომხმარებლო ბაზარი, ემსახურება რა - 16,0 მილიონზე მეტ მომხმარებელს, ეკონომიკის ძირითადი და პრინციპული პოსტულატების მიხედვით - მოითხოვს ამავე რეგიონში განთავსებულ იქნას შესაბამისი ქაღალდის საწარმოო ბაზა, რომელიც მოწოდებულია გამოუშვას და მოთხოვნადი ქაღალდის პროდუქციათა მრავალფეროვნებით, დააკმაყოფილოს ამიერკავკასიის სამომხმარებლო ბაზარი. ეკონომიკაში არსებული ძირითადი და პრინციპული პოსტულატების შესაბამისად შედარებითობის მენეჯმენტის მარტივი ანალიზი, - გვარწმუნებს, რომ , ამიერკავკასიის რეგიონში იკვეთება რომ უკვე არსებული სამომხმარებლო ბაზრის ქაოტური მენეჯმენტი - მოითხოვს შესაბამისად ამიერკავკასიის ცენტრის შექმნას, რომლის პირდაპირი

მიზანია, სანაცვლოდ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწოდებ ულ / იმპორტირებულის ქაღალდის პროდუქციისა,მისი „საბოლოო/გასაყიდი საფასო პოლიტიკა (მაგ. პოზიცია „A4“- ერთეულში 500 ფურცელი, საშუალოდ 75-80 გრ/მ2, წონით - 2,5 კგ) მეტად მოთხოვნადი ქაღალდის პროდუქციის ერთეულზის , მიუხედავად მისი „სამომხმარებლო და სავალდებულო მოთხოვნილებისა“, ობიექტურად თავისსავე ფასი შეიცავს n - ჯერ გაზრდილ ფასს (ერთეულის გასაყიდი ფასია - 4,0 $/ერთ - მდე)

არსებულის უზრუნველსაყოფად, ამიერკავკასიის საბიუჯეტო ასიგნებანი იძულებულნი არიან - ყოველკვარტალურად შეელიონ თავიანთი ბიუჯეტიდან 10% ასიგნებას, რათა ქაღალდის სამომხმარებლო ბაზარზე მოწოდებულ იქნას აღნიშნული პროდუქცია . არსებული მდგომარეობის უზრუნველსაყოფად - სასურველია გამოყენებულ იქნას ამიერკავკასიაში - საწარმოო ინოვაციის ფორმით (დღემდე არ არსებული - საწარმოო ინოვაციის ფორმით, ამიერკავკასიაში) - კონკრეტულად, ქაღალდის წარმოების სფეროში და დამატებით „მწვანე ენერგეტიკის“ (ბიოენერგო / აღდგენითი / ალტერნატიული / ინოვაციური და KNOW – HOW საერთაშორისო სოციალურ სამომხმარებლო მოთხოვნადი პროდუქციის წარმოებისათვის, ვინაიდან ორივე საწარმოო მიმართულება იყენებს , ანალოგიურ - ორგანულ აგრო/ბიო ნარჩენებს

საკვანძო სიტყვები: *გასაყიდი ფასი, სამომხმარებლო მოთხოვნილება, ამიერკავკასიის სამომხმარებლო ბაზარი, ამიერკავკასიის ცენტრი, ტექნოლოგიური სიახლე, მწვანე ენერგეტიკა, ბიოენერგეტიკული საწვავი.*

კლასტერული პოლიტიკა და ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური განვითარება

ლაგვილავა თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

კერესელიძე შალვა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ევროკავშირის ქვეყნებში შექმნილი კლასტერების განვითარების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას ამ ქვეყნების ინოვაციური პოტენციალის ზრდა წარმოადგენს. ავტორები სრულიად ეთანხმებიან ევროპელი ექსპერტების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კლასტერები შეესაბამება თანამედროვე მიდგომას „ღია ინოვაციები". ეს მიდგომა ითვალისწინებს ინოვაციების შექმნის შესაძლებლობას არა მხოლოდ თითოეულ იზოლირებულ ორგანიზაციაში, არამედ იმ დინამიურ გარემოში, სადაც სპეციალური ორგანიზაციები და მაღალკვალიფიციური მუშაკები ეფექტურად თანაარსებობენ, ხელს უწყობენ ერთმანეთს, ახდენენ ახალი ცოდნის აკუმულირებას, ქმნიან ახალ იდეებსა და ახალ პროდუქტს. ავტორთა აზრით, კლასტერული კონცეფცია ისევე ახლოს დგას ღია ინოვაციების იდეასთან, როგორც მისი მსგავსი „სამმაგი სპირალის" კონცეფცია. ეს კონცეფციები ხაზს უსვამს, რომ ინოვაციების წარმოქმნა დამოკიდებულია იმ უნივერსიტეტებს შორის ურთიერთქმედებაზე, რომლებიც აწარმოებენ ღრმა აკადემიურ გამოკვლევებს.

საკვანძო სიტყვები: *კლასტერი, ინოვაციური პოტენციალი, ახალი ცოდნა.*

ძირითადი ტექსტი

კლასტერების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია არის ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური პოტენციალის ზრდა. შეიძლება მთლიანად დაეთანხმო ევროპელი ექსპერტების მოსაზრებას იმაში, რომ კლასტერები შეესაბამება თანამედროვე მიდგომას „ღია ინოვაციები", რომლის მიხედვით ინოვაციები იქმნება არა მხოლოდ თითოეულ იზოლირებულ ორგანიზაციაში, არამედ იმ დინამიურ გარემოში, სადაც სპეციალური ორგანიზაციები და მაღალკვალიფიციური მუშაკები ეფექტურად თანაარსებობენ, ხელს უწყობენ ერთმანეთს, ახდენენ ახალი ცოდნის აკუმულირებას, ქმნიან ახალ იდეებსა და ინოვაციურ პროდუქტს. კლასტერული კონცეფცია ძალიან ახლოს დგას ღია ინოვაციების იდეასთან, ისევე როგორც „სამმაგი სპირალის" კონცეფცია. ეს უკანასკნელი ხაზს უსვამს, რომ ინოვაციების წარმოქმნა დამოკიდებულია უნივერსიტეტებს შორის ურთიერთქმედებაზე, რომლებიც, საფუძვლიანი და ღრმა აკადემიურ გამოკვლევების შედეგად ქმნიან ახალ, ძლიერ პროდუქციას.

შესაძლებელია დავადგინოთ, არის თუ არა კლასტერი ქვეყნის ინოვაციური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი. ეს ანალიზი გართულებულია იქიდან გამომდინარე, რომ ინფორმაციული პოლიტიკა აბსოლუტურად ყველა ევროპული კლასტერის მიერ არის მიმართული საკუთარი პოზიტიური იმიჯის განვითარებისაკენ, საზოგადოებისა და პოტენციური ინვესტირებისაკენ და, აქედან გამომდინარე, დასკვნები მათი მუშაობისა და განსაკუთრებით ინოვაციური განვითარების შესახებ არის მხოლოდ დადებითი.

განვიხილოთ ინდექსები, რომლებიც გამოიყენება ევროპული ქვეყნების ინოვაციური განვითარების სამეწარმეო ინოვაციური კლასტერების განვითარებაზე დამოკიდებულების გამოკვლევისათვის:

1. გლობალური კონკურენტუნარიანობის მსოფლიო ეკონომიკური ფორმირების ინდექსი

WEF. WEF არის ყოველწლიური ინდექსი, რომელიც გამოითვლება მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) ექსპერტების მიერ მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნისათვის. მაგალითად: 2016 წელს ეს ინდექსი გამოთვლილ იქნა 139 ქვეყნისათვის. იგი შეიცავს 12 ქვეინდექსს, მათ შორის ინოვაციური განვითარების ინდექსს და ბიზნესის განვითარების ქვეინდექსს, რომლებიც შეიცავს კლასტერების განვითარების მაჩვენებლებსაც.

2. გლობალური ინოვაციების ინდექსი. გლობალური ინოვაციური იდექსი არის აგრეთვე ყოველწლიური ინდექსი, რომლებსაც ითვლიან ფრანგული ბიზნეს სკოლის - INSEAD და ინდური მრეწველობის კონფედერაციის ექსპერტები. ეს ინდექსი გათვალისწინებულია 132 ქვეყნისათვის და აფასებს მათი განვითარების პოტენციალის მზადყოფნას ინოვაციების. მაგალითად: 2016 წელს ინდექსი ეყრდნობოდა 7 ძირითად შემადგენელ ნაწილს, რომელიც იყოფა 2 ქვეინდექსად: გამავალი პირობებისა და შემავალი რესურსების ინდექსი და ინოვაციური ინდექსი - ის რაც ასტიმულირებს ინოვაციებს და წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის შედეგს. ამავე დროს ინოვაციურ ინდექსში იგულისხმება სამეცნიერო შედეგები, შემოქმედებითი შედეგები და სოციალური კეთილდღეობის სარგებელი.

განვიხილოთ ევროპული ინოვაციური სკალა:

ევროკავშირის ქვეყნების ინოვაციური განვითარების ყოველწლიური ინდექსი და ქვეყნდება პორტალზე PRO INNO Europe 2001 წლიდან. ინოვაციური პოტენციალის 7 მაჩვენებელი დაჯგუფებულია 3 ჯგუფში:

1. ინოვაციის დრაივერები-ადამიანური რესურსი, ფინანსირება და მხარდაჭერა;
2. კომპანიის საქმიანობა - საწარმოების ინვესტიციები, ინოვაციური თანამშრომლობა, ინოვაციური საქმიანობის შედეგი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სახით;
3. კომპანიის საქმიანობის შედეგები, კომპანია-ინოვატორების რაოდენობა და ეკონომიკური ეფექტები.

ინოვაციური ეკოსისტემა შეიცავს უმნიშვნელოვანეს ელემენტებს, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ქვეყანაში ცოდნის გაცვლისა და სამრეწველო ინოვაციური ქსელის ეფექტურობის დონეს. კლასტერული განვითარების კონტექსტში კი მნიშვნელოვანია ინოვაციური ინდექსის ისეთი მახასითებლები, რომლებიც შეიცავს შემოქმედების შედეგებს, მათ შორის:

1. შემოქმედებითი პროდუქტი და მომსახურება;
2. როიალტი;
3. სავაჭრო ნიშანი (trade mark)

ევროპის ქვეყნების ინოვაციური ინდექსების განვითარების შედეგების შეჯამებით შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. პირველ რიგში შესამჩნევია ევროკავშირის ჩამორჩენა აშშ-სგან, რომელიც წარმოადგენს ინოვაციური განვითარების ლიდერს;
2. ევროპის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს ქვეყნები, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, სეთებია შვეიცარია და ნორვეგია. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია, განვიხილოთ სამრეწველო საინოვაციო კლასტერის განვითარება არა მხოლოდ ევროკავშირის, არამედ ევროპის კონტინენტის ფარგლებში;
3. პრაქტიკულად არ არსებობს დამოკიდებულება კლასტერების განვითარების დონესა და ქვეყნების ინოვაციურ კონკურენტუნარიანობას შორის. ამ მხრივ სანიმუშოა იტალია, რომელსაც კლასტერულ განვითარებაში პირველი ადგილი უკავია, თუმცა სხვა დანარჩენი ინდექსებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ევროპულ დონეს.

დღეს ფართოდაა ცნობილი ტერმინი „ინოვაციური წყვეტა", რომლის ქვეშ იგულისხმება აშშ-სა და იაპონიისგან სხვა ქვეყნების ინოვაციური ჩამორჩენის პრობლემა და მასშტაბები. ბოლო წლების მანძილზე ეს ჩამორჩენა თანდათან მცირდებოდა, მაგრამ კვლავაც

მნიშვნელოვნად რჩება. 2016 წელს ევროპაში ინოვაციების განვითარების შესაძლებლობების ანგარიშში იყო აღნიშნული ჩამორჩენის ასეთი კრიტერიუმი, როგორიცაა დანახარჯების დაბალი ზრდა ინვესტიციებზე, სამეცნიერო კვლევებსა და ტექნოლოგიებზე (პროცენტებში მშპ-თან). გარდა ამისა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების არაწევრი ქვეყნებისაგან ჩამორჩენა კომპანიების კვლევებსა და გამოგონებებში ინვესტირებული თანხების ზრდის დინამიკის მაჩვენებლის მიხედვით (EC - მშპ-ს 3.9%; არაევროკავშირის ქვეყნები - მშპ-ს 6.9%).

მიუხედავად საერთო საშუალო მაჩვენებლისა, განსაკუთრებით ძლიერი ევროპული კომპანიები მაინც მსოფლიო სტანდარტების დონეზე ახორციელებენ ინვესტიციებს კვლევებსა და გამოგონებებში, მაგრამ ასეთი კომპანიები ძალიან ცოტაა, მაშინ როდესაც ინოვაციურ სექტორში მათი ხვედრითი წილი ძალიან დიდია. მაგალითად: ელექტრონიკისა და ელექტრო -მოწყობილობების სექტორში მეცნიერულ კვლევებსა და ტექნოლოგიებზე გაწეული ხარჯების მიხედვით ევროპული კომპანიების პირველი ხუთეულის საერთო ჯამურმა ინვესტიციამ შეადგინა მშპ 88%. ექსპერტების მოსაზრებით, მიმდინარე ტენდენცია შეიძლება დასრულდეს ევროკავშირისათვის სამწუხარო შედეგით: იგი დატოვებს წამყვანი ეკონომიკური სუბიექტების ტოპ-რეიტინგებს. სწორედ არსებულ ტენდენციას უწოდებენ „ინოვაციების წყვეტას" და იგი დასტურდება ევროკავშირის ევროპული ინოვაციების 2016 წლის სტატისტიკის სკალითაც .

ევროკავშირის განვითარების ერთ-ერთ ძლიერ ინოვაციურ ინსტრუმენტად ექსპერტები თვლიან ინოვაციური კლასტერების აქტიურ განვითარებას, როგორც ინოვაციური განვითარების „ბირთვს", რაც აღინიშნება „კვლევებსა და ინოვაციების პაქტში", რომელიც აერთიანებს ექსპერტთა ჯგუფების ყველა წინადადებას. ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ კლასტერები განისაზღვროს ახალი ბაზრებისა და ცოდნის ურთიერთკავშირის კონტექსტში, რომელიც აუცილებელია ახალი საწარმოო სექტორის ფორმირებისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანიამართვის მრავალდონიანი სისტემის აგება, რომელიც მოიცავს ეროვნულ სექტორებს, რეგიონულსა და სახელმწიფო დონეებს.

მაღალტექნოლოგიური კლასტერების მაგალითად, რომლებიც აქტიურად ვითარდება ევროპაში და შეუძლია იქცეს ევროპის ქვეყნების ინოვაციური ეფექტიანობის ზრდის ფაქტორად, მიზანშეწონილია გაანალიზდეს ბიოტექნოლოგიის კლასტერების განვითარება: დღეს ეს დარგი განიცდის მნიშვნელოვან ინოვაციურ გენერაციას და აკავშირებს ისეთ ტრადიციულ სექტორებს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა უახლესი მეცნიერული მიღწევები.

ევროპული კომისიის მონაცემებით, ინოვაციური წარმოების 37 მიმართულებიდან, კვლევები და აღმოჩენები მთლიანად მსოფლიო მასშტაბით კონცენტრირებულია შემდეგ დარგებში:

- ფარმაცევტიკა და ბიოტექნოლოგია - მთლიანი მსოფლიო ინვესტიციების 18.9%;
- ტექნოლოგიური მოწყობილობები - 17.4%;
- ავტომანქანები, სათადარიგო და მაკომპლექტებელი ნაწილები- 17.1%.

გლობალური ბაზარი თანდათანობით განიცდის აღდგენას და მასთან ერთად სულ უფრო ძლიერი, გამოცდილი და შეცვლილია ბიოტექნოლოგიური წარმოებაც. კომპანიების განვითარების სტრატეგიები დღეს გაცილებით ფრთხილი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ გლობალური განვითარების მიზნები უფრო მასშტაბურია. თუ არ არსებობს გადაუდებელი საჭიროება, არც ერთი კომპანია არ გარისკავს საკუთარი მდგომარეობით, რითაც ადასტურებს საკუთარ გლობალურ ხედვას. ასეთი სტრატეგიების შედეგად ინვესტიციების განხორციელების ადრეულ სტადიებზე ჩასახული წარმატებული სტარტაპების წილი მცირდება. პარალელურად მცირდება კერძო ინვესტირების ხვედრითი წილის შემცირება სახელმწიფო ინვესტიციებთან შედარებით, ვინაიდან განვითარებული ბიოტექნოლოგიების მქონე რაიონებში ინვესტირებით სხვაზე უფრო მეტად სწორედ სახელმწიფოა დაინტერესებული.

ბიოტექნოლოგიის სექტორის განვითარების ევროპული მოდელი მდგომარეობდა იმაში,

რომ ინოვაციური და სანდო კომპანიები არ რჩებიან დამოუკიდებელი: ისინი ან შთაინთქმებიან მსხვილი მწარმოებლების მიერ, ან თვითონ ახორციელებენ შთანთქმის სერიათა რიგს, რათა მოიპოვონ მასშტაბურობა და სტაბილურობა.

დღეს ევროკავშირის მრავალმა რეგიონმა დაიწყო სპეციალიზაცია ბიოტექნოლოგიაზე, როგორც უმთავრეს დარგზე: სექტორში წარმოიშვა ბიო-კავშირები ესპანეთიდან ესტონეთამდე, რაც ევროპის ერთიანი კავშირის გაფართოების პროცესისა და მაღალანაზღაურებადი კვლევების კომერციალიზაციის შესაძლებლობათა განვითარების ანარეკლს წარმოადგენს.

დღეს ბიოტექნოლოგიის თანამედროვე დარგს მოაქვს ევროპის კავშირის მთლიანი დამატებული ღირებულების 2%, რითაც ადასტურებს, რომ მისი მნიშვნელობა ევროპის მრეწველობის უმსხვილეს სექტორებთან არის გათანაბრებული. ევროკავშირის ქვეყნების ბიოტექნოლოგიურ სექტორში დასაქმებულია 95 500 ადამიანი, ძირითადად მცირე და საშუალო მრეწველობაში, რომელთა განვითარების მეცნიერული კრიტერიუმია ბიოტექნოლოგიური კომპანიების მიერ ინოვაციური მომსახურებების შექმნის პროცესში ბიოტექნოლოგიური პროდუქტების გამომუშავება ან გამოყენება.

ბიზნესის კულტურული განვითარების კრიტერიუმია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კომპანიები წარმოადგენს დინამიურ ორგანიზმებს, რომლებსაც გააჩნია გადაწყვეტილების მიღების მაღალი სიჩქარე და მოქმედებენ ბიოტექნოლოგიურ სექტორში მიუხედავად იმისა, აწარმოებენ ისინი ბილოგიურ პროდუქტს ან მომსახურებას თუ არა.

დაბოლოს, სტრუქტურული კრიტერიუმი: ბიოტექნოლოგიური კომპანიები უმთავრესად მცირე საწარმოებს წარმოადგენს, რომლებსაც მეცნიერულ კვლევებისათვის მიღებული აქვს ვენჩურული დაფინანსება და იყენებენ მას ბიოლოგიურ პროცესებს კვლევების ჩასატარებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. European Innovation Scoreboard: http://ec.europa.eu/growth/industry/innovation/facts-figures/scoreboards_en
2. http://hdr.undp.org/en/regional-reports?field_region_tid=302
3. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ხელმისაწვდომია: https://www.weforum.org/events/world-economic-forum-annual-meeting-2016
4. გლობალური ინოვაციების ინდექსი, ხელმისაწვდომია: http://www.wipo.int/pressroom/ru/articles/2016/article_0008.html
5. portali PRO INNO Europe, ხელმისაწვდომია: http://www.eca-tactics.eu/project/promotion-pro-inno-europe-results
6. ინოვაციების განვითარების შესაძლებლობების ანგარიში http://hdr.undp.org/en/regional-reports?field_region_tid=302

Cluster Policy and Develop Innovative of EU Countries

Tamar Lagvilava, Shalva Kereselidze

Summary

EU countries by cluster development is one of the main functions of this innovative potential of growth. The authors agree with the European experts' opinion, the clusters correspond to the modern approach to open innovation . This approach provides an opportunity not only to each innovation isolated organization, but also to the dynamic environment, where highly skilled workers and professional organizations to effectively coexist, encourage each other, on the accumulation of new knowledge, create new ideas and new products. According to the authors, the cluster concept as close to the idea of open innovation, as its triple "helix-like" concept. This concept emphasizes the emergence of innovation depends on the interaction between the universities, which produce a deep academic research.

Keywords: *cluster, innovative potential, the concept of the new knowledge.*

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინსტიტუციური ფაქტორების შედარებითი ანალიზი საქართველოს და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითებზე

კოღუაშვილი პაატა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ზივზივაძე ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიისმეთოდოლოგიურ ნაწილში გამოყენებულია შემდეგი შვიდი ინსტიტუციური ფაქტორი: კოოპერატივების ოფიციალური ორგანიზაცია, განვითარების სტრატეგია, კანონმდებლობა, ბიზნესის მიმართულება, კორპორატიული მართველობის სისტემა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ზომა და რაოდენობა. შედარებითი ანალიზის შედეგად ნაჩვენებია ინსტიტუციური ფაქტორების მსგავსებები და განსხვავებები საქართველოს და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითებზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ინსტიტუციური ფაქტორები.

შესავალი

ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური ხედვის მიხედვით ინსტიტუტებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი გავლენა ორგანიზაციის ევოლუციაზე. ნორტის (1990) მიხედვით ინსტიტუტები არიან „საზოგადოებაში არსებული თამაშთა წესები ან ადამიანის მიერ შედგენილი შეზღუდვები, რომელიც ფორმირებას უკეთებს ადამიანთა შორის ურთიერთობებს“. ინსტიტუციური ფაქტორები შესაძლოა იყოს ფორმალური (კანონი, კონტრაქტები და სხვა) და არაფორმალური (ტრადიციები, ნორმები და სხვა) ქცევის წესები, რომელთაც შესაძლებელია ორგანიზაციაში მართონ ეკონომიკური გადაწყვეტილებები (ხერალა და კირსტენ, 2002).

ინსტიტუციურ ფაქტორებს შესაძლოა ჰქონდეს დადებითი ან უარყოფითი გავლენა ორგანიზაციის ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებზე. აღსანიშნავია, რომ საჯარო პოლიტიკას და საზოგადოების კულტურას ინსტიტუტებზე მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია. ამავე დროს ინსტიტუტებს გავლენა აქვთ ორგანიზაციაზე. აქედან გამომდინარე, საჯარო პოლიტიკას, კულტურას, ინსტიტუტებს და ორგანიზაციებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება(კურიმოტო 2004).

* * *

აღნიშნულ სტატიაში შედარებითი ანალიზის მეთოდოლოგიურ ნაწილში გამოყენებულია შემდეგი შვიდი ინსტიტუციური ფაქტორი: კოოპერატივების ოფიციალური ორგანიზაცია, განვითარების სტრატეგია, კანონმდებლობა, ბიზნესის მიმართულება, კორპორატიული მართველობის სისტემა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ზომა და რაოდენობა საქართველოში და ჩეხეთის რესპუბლიკაში.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ოფიციალური ორგანიზაცია

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ოფიციალურ ორგანიზაციას საჯარო სამართლის იურიდიული პირი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ წარმოადგენს. სააგენტო შეიქმნა 2013 წლის ივლისში და ის ექვემდებარება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სააგენტო უზრუნველყოფს ქვეყანაში სასოფლო-საემურნეო კოოპერატივების სტატუსის მინიჭებას, მონიტორინგს და შეწყვეტას. სააგენტოს მთავარი ამოცანებია: განავითაროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ხელი შეუწყოს კოოპერატივების ადამიანური რესურსების განვითარებას და სხვა.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ოფიციალურ ორგანიზაციას სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია წარმოადგენს. ასოციაციის მთავარი ამოცანებია ასოციაციის წევრების ხელშეწყობა და განვითარება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის ზრდა და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის განვითარების სტრატეგია

საქართველოში უკვე კარგად არის გაცნობიერებული, რომ კოოპერატივი არის მრავალგანზომილებიანი გაერთიანება, რომელიც ქმნის მაკრო და მიკროეკონომიკურ სიმძლავრეებს ქვეყანაში და მისი წარმატება აიხსნება გაუმჯობესებული ეკონომიკური და სოციალური გარემოთი. კოოპერაციის პროცესი უზრუნველყოფს პროდუქციის მაღალ ხარისხს, უვნებლობას, მიკვლევადობას, შედავათიანი საგადასახადო პირობების ეფექტურ გამოყენებას, მიგრაციის შეჩერებას, სიღარიბის აღმოფხვრას და სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ის ასევე ხელს უწყობს მიკროეკონომიკურ დონეზე სოციალურ თანასწორობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მყარი და სტაბილური საწარმოო ფაქტორების დამკვიდრებას, დაცულ აგროეკოლოგიურ და ბიოლოგიურ წარმოებას და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას. ამიტომ საქართველოში ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს სახით მნიშვნელოვნად ხელს უწყობს და დახმარებას უწევს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას. აღსანიშნავია შემდეგი პროგრამების ჩამონათვალი, რომლის მეშვეობითაც ხდება სააგენტოს მხარდაჭერა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის: 1. მეფუტკრეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა; 2. თხილის წარმოების განვითარების სახელმწიფო პროგრამა;3. სააგენტოს მიერ ხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამების მხარდაჭერა; 4. სააგენტომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადასცა მოტობლოკები და მისაბმელები; 5. რძის მწარმოებელთა კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამა. 6. მევენახეობის კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა. მიუხედავად ამისა, ჩეხეთისგან განსხვავებით, სახელმწიფო ასიგნებები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერი კუთხით ჯერჯერობით მეტად მცირეა და არ შეესაბამება იმ გამოწვევებს, რომელსაც მოითხოვს ქვეყანაში ამ პროცესის ინტენსიური განვითარება.

ჩეხეთის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია დიდწილად ეხმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია ფერმერებს უწევს დახმარებას ფერმერთათვის საგანმანათლებლო ტრენინგ პროგრამების განვითარებაში. სემინარების თემა მოიცავს: მეცხოველეობის, ერთწლოვანი კულტურების მოვლა/მოყვანას, სუბსიდიებს სოფლის მეურნეობაში და სხვა. 2005 წელს შეიქმნა ახალგაზრდა მენეჯერთა ასოციაცია, რომლიც მთავარი ფუნქციაა ახალგაზრდა კოოპერატივის მენეჯერებს გაუზიაროს გამოცდილება კოოპერატივის მართვის საკითხებში. სასოფლო-სამეურნეო ასოციაცია მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენებში და ისინი არიან სხვადასხვა ღონისძიებების თანაორგანიზატორები. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სტრატეგია ჩეხეთის რესპუბლიკაში მეტწილად წარმოდგენილია როგორც ზემოდან ქვემოთ (Top down).

სასოფლო-სამეურნეოკოოპერატივისკანონმდებლობა

საქართველოში ძირითადი კანონი, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ხელმძღვანელობენ წარმოადგენს „კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების“ შესახებ. „კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების“ შესახებ მიღებულ იქნა 2013 წლის 12 ივლისს. 2015 წლის 25 დეკემბერს კანონში „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ შევიდა ცვლილებები და დამატებები, რითაც განისაზღვრა კოოპერატივის შიდა საწარმოო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი წესები, რაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი წესების კრებულს, რომლის საშუალებით შესაძლებელია კოოპერატივმა შეინარჩუნოს მისი ძირითადი არსი (ინდენტობა), რაც მას დიამეტრალურად განასხვავებს მოგებაზე ორიენ-

ტირებული სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისგან (შპს, სააქციო საზოგადოება და სხვა). აღნიშნული კანონით შეიქმნა ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზა, სადაც ისეთი ელემენტების შემოტანით, როგორიცაა: ეკონომიკური მონაწილეობა, სავალდებულო საპაიო შენატანი, დამატებითი საპაიო შენატანი, კოოპერატივის ასოცირებული წევრი და სხვა, კოოპერატივები ახდენენ შიდასაწარმოო ურთიერთობების რეგულირებას იმ მთავარი მიზნით, რომ ამ ურთიერთობებში განმსაზღვრელი იყოს შრომითი რესურსის ფაქტორი და მასზე მატერიალურმა კაპიტალმა არ მოახდინოს დომინანტური ზეგავლენა.

ძირითადი კანონი, რომელიც არეგულირებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბიზნეს საქმიანობას ჩეხეთის რესპუბლიკაში წარმოადგენს „კანონი კომერციული კომპანიებისა და კოოპერატივების“ შესახებ. აღნიშნული კანონი მიღებულ იქნა 2012 წლის 22 მარტს და ძალაში შევიდა 2014 წლის 1 იანვარს.

კოოპერატივების შიდასაწარმოო ურთიერთობების რეგულირების და ეფექტური და სამართლიანი ორგანიზაციული მოწყობის მიზნით საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ქვეყანაში არსებულ მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას და ჩეხეთის კანონმდებლობისგან განსხვავებით შემოაქვს მარეგულირებელი ნორმების უფრო ფართო სპექტრი. მაგალითად, ჩეხეთის კანონმდებლობიდან განსხვავებით, საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, ხოლო იურიდიული პირებიდან კოოპერატივის მეპაიე შეიძლება გახდეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ასევე, საქართველოს კანონით „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ მეპაიე დივიდენდს იღებს არა თავისი პაის, არამედ მისი ეკონომიკური მონაწილეობის პროპორციულად. ტერმინს „ეკონომიკური მონაწილეობა“ პრაქტიკულად ორმაგი დატვირთვა გააჩია. ერთის მხრივ იგი გამოხატავს მეპაიეს ფუნქციას (ქმედებას) - უშუალოდ იყოს ჩართული კოოპერატივის საქმიანობაში, ხოლო მეორეს მხრივ - წარმოადგენს მეპაიის კოოპერატივში ჩართულობის: სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ფარგლებში წარმოებული/მიწოდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და გაწეული მომსახურების ღირებულებით მაჩვენებელს.

საქართველოში უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის კანონით დადგენილია საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლება.

2015 წელს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონში“ შეტანილი ცვლილებებით კოოპერატივში ინვესტიციების სტიმულირების მიზნით შემოღებული იქნა ასოცირებული წევრის ინსტიტუტი.

აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ იმ პირებისთვის, რომლებიც მეპაიეები არ არიან, დაწესდა გარკვეული შეზღუდვები, რომლის მიხედვით, მათგან შესყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ან/და მათთვის გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება მიმდინარე საანგარიშო წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წლიური სასაქონლო ბრუნვის 30%-ს. ასეთი შეზღუდვის დაწესება აუცილებელი გახდა იმ მთავარი მოტივიდან გამომდინარე, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ძირითად დანიშნულებას არა გარეშე პირების, არამედ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული პირების, ანუ მისი მეპაიეებისსამეურნეო საქმიანობის გაძლიერებაზე ზრუნვა წარმოადგენს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ შემუშავებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ტიპიური წესდება, რომელიც სარეკომენდაციო დანიშნულებისაა, მაგრამ ამის მიუხედავად ამ წესდებას იყენებს ყველა ჯგუფი, რომელთაც კოოპერატივის შექმნა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მიღება აქვს განსაზღვრული.

სააგენტოს მიერ აგრეთვე მომზადებულია კოოპერატივსა და მის წევრებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ტიპიური ფორმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ბიზნესსაქმიანობის მიმართულება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბიზნესის მიმართულებები არ არის შეზღუდუ-

ლი საქართველოში და აგრეთვე ჩეხეთის რესპუბლიკაში. ორივე ქვეყანაში კოოპერატივების საქმიანობის ბიზნეს მიმართულებები არის მრავალპროფილური. ერთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შეიძლება არჩეული ჰქონდეს ერთი ან მეტი ბიზნეს საქმიანობის მიმართულება. კოოპერაციის ფორმის მიხედვით, საქართველოში, ისევე როგორც ჩეხეთში არსებული კოოპერატივების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს ე.წ. მომსახურების ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, თუმცა საქართველოში არსებობს რამდენიმე ე.წ. საქარმოო კოოპერატივიც.

მომსახურების ტიპის სასოფლო-სამეურნეოკოოპერატივისშემთხვევაში, კოოპერატივიწარმოადგენსფერმერულიმეურნეობებისდამატებითსამეწარმეორგოლს, სადაც მეპაიეს ეკონომიკურ მონაწილეობად ითვლება კოოპერატივზე საკუთარი პროდუქციის ან/და მომსახურების მიწოდება.

საწარმოო ტიპის კოოპერატივის შემთხვევაში (კიბუცი, კოლმეურნეობა), მეპაიეები ჩართული არიან უშუალოდ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში საკუთარი შრომით ან/და უწევენ კოოპერატივს გარკვეულ მომსახურებას. აქ კოოპერატივში მეპაიეს მიერ გაწეული შრომის ან/და მომსახურების ღირებულება წარმოადგენს მის ეკონომიკურ მონაწილეობას.

კორპორატიული მართვის სისტემა განსხვავებულია საქართველოში და ჩეხეთის რესპუბლიკაში. საქართველოში კოოპერატივების კორპორატიული მართვის სისტემა ძირითადად არის სამრგოლიანი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს საერთო კრება. საერთო კრება ირჩევს გამგეობას, სამეთვალყურეო საბჭოსდა სარევიზიო კომისიას. საერთო კრება არ არის ვალდებული აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭო. თუმცა, ჩეხეთის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების კორპორატიული მართვის სისტემა არის დუალისტური. დუალისტურ სისტემაში საერთო კრებას შედარებით მცირე ფუნქციები გააჩნია ვიდრე დანარჩენ ორ სისტემაში. დუალისტურ მოდელში სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელსაც ირჩევს კოოპერატივის საერთო კრება. მაშასადამე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კოოპერატივების კორპორატიული მართვის სისტემა არის სამრგოლიანი, ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკაში ორრგოლიანი (დუალისტური).

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა

საქართველოში, 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობახასიათდება ზრდადი ტენდენციით (289-დან გაიზარდა 1494-მდე). აღნიშნული მონაცემის მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების საწყისიეტაპი.

თუმცა, ჩეხეთის რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა ხასიათდება შემცირების ტენდენციით წლების მიხედვით. მაგალითად, თუ 2005 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობა შეადგენდა 584, 2013 წელს იგივე მაჩვენებელი შემცირებულია და შეადგენს 516. აღნიშნულის ძირითადი მიზეზია ის, რომ ნაწილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა შეერწყა ერთმანეთს და ამის საფუძველზე გახდა კიდევ უფრო ეფექტიანი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიდიდე

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საშუალოდ ფლობენ 10-დან 15 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს. თუმცა იგივე მაჩვენებელი ჩეხეთის რესპუბლიკაში შეადგენს დაახლოებით 150 ჰა-დან 160 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ზომა საქართველოში არის მცირე ჩეხეთის რესპუბლიკასთან შედარებით.

დასკვნა

ორ ქვეყანას შორის ინსტიტუციური ფაქტორების შედარებითი ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს მსგავსებები და განსხვავებები საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის. ოფიციალური ორგანიზაცია, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას, წარმოდგენილია ორივე ქვეყანაში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სტრატეგია ორივე ქვეყანაში მეტწილად წარმოდგენილია ზემოდან ქვემოთ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ძირითადად იყენებენ ერთ კანონმდებლობას ორივე ქვეყანაში. ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ბიზნესი ორივე ქვეყანაში მრავალპროფილურია.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვის სისტემა ძირითადად არის სამრგოლიანი, ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკაში ძირითადად ორრგოლიანი სისტემაა წარმოდგენილი. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რეგისტრაცია წლების მიხედვით ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკაში იმავე მაჩვენებელს შემცირების ტენდენცია ახასიათებს. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მცირე ზომისაა, ვიდრე ჩეხეთის რესპუბლიკაში. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების რაოდენობის ყოველწლიური ზრდა და ბევრი მცირე კოოპერატივის არსებობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები განვითარების საწყის ეტაპზეა, ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკაში ძირითადად მოქმედებს მსხვილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ განვითარების გარკვეულ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ერთიანდებიან და მსხვილდებიან, რათა გახდნენ უფრო ეფექტიანი და მდგრადი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოქსი, ანა და ვიტ ლი. 2014. მთავრობის გავლენა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე (ვიეტნამის მაგალითი): ინსტიტუციური პერსპექტივები. აზიის ბიზნესის მიმოხილვა. ტომი 20. 401 – 418 გვერდები.
2. კურიმოტო, აკირა. 2004. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები იაპონიაში: ინსტიტუციური ხედვა. კოოპერაცია სოფლად,სოფლის კოოპერაცია. 111 – 128 გვერდები.
3. ნორტ, დუგლასი. 1990. ინსტიტუტები, ინსტიტუციური ცვლილებები და ეკონომიკა. კემბრიჯის უნივერსიტეტის პრესა.
4. ხერალა, მილენი და იოჰან კირსტენი. 2002, ახალი ინსტიტუციური ეკონომიკა: განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის კვლევა. 110 – 133 გვერდები.

Comparative Analysis of Institutional factors of Agricultural Cooperatives in Georgia and Czech Republic

Paata Koguashvili

Lasha Zivzivadze

Summary

This study showscomparative analysis of institutional factors for agricultural cooperatives in Georgia and Czech Republic. In the methodological part the following seven institutional factors are defined and analyzed: official organization, strategy for development, legislation, business scope, corporate governance system, the size and quantity trends of agricultural cooperatives in Georgia and Czech Republic. After the comparison of the two countries it is followed by the summery of institutional factors where it is identified the key commonalities and differences.

Key words: *Agricultural Cooperative, Institutional factors*

კონკრეტული ქვეყნის მიწას გლობალური გამზომილება აქვს

კოღუაშვილი პაატა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება მიწის კანონმდებლობის მიმართ. მათ შორის ევროკავშირის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნებისა: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ავსტრიის, შვეიცარიის, დანიის.

ნაჩვენებია საზოგადოების წინაშე პოზიტიური ვალდებულებებით საკუთრების უფლების შეზღუდვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში, მიწისადმი დამოკიდებულება ლიტვისკონსტიტუციისმაგალითზე. ასევე გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციოსასამართლოს და ავსტრიის საკონსტიტუციოსასამართლოს მიდგომები მიწის კანონმდებლობის მიმართ.

განხილულია მდგომარეობა საქართველოში და მოცემულია წინადადებები საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში მიწის ბალანსის ასახვისა და ქონებისგანკარგვის რეგულაციების შესახებ.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების – კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების – პრობლემა სულ უფრო მწვავდება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება, და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე.

ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა. ვითარებას ართულებს ნიადაგის ეროზიის პროცესი, რაც უკანასკნელ პერიოდში, ანთროპოგენური ექსპანსიისა და კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე, კრიტიკულ ფაზაში შევიდა.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) (VerfGE 21, 73) რესურსი. კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური საკითხია **მიწის** ფასი. მოსახლეობის გამრავლებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და, აქედანგამომდინარე, იწურება რესურსიც. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, **მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს** და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ისინი თვლიან, რომ მიწის განუსაზღვრელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია.

ამავედროს არც ერთთანამედროვექვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით. საკუთრების შეზღუდვის მოცულობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად არის საზოგადოება ამ საკუთრებაზე დამოკიდებული და რა სოციალური ფუნქციის შესრულებას ემსახურება იგი.

სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვ**ის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. რადგან მიწა არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა** (ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის კანონის კონსტიტუციურობის შესახებ LandesgegesetzblattNr. 88/1994)

1. რა უნდა გავითვალისწინოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან?

მაგალითად, **ავსტრიაში** უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) კანონით „უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ“, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისთვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებულ იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ: უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება. ხოლო თუ უცხოელს ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას, რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ.

შვეიცარიაში უცხოელების მიერ მიწის შეძენა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. **შვეიცარიის** ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: **„უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შეძენის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“.**

თურქეთის კანონმდებლობით უცხოელზე გაყიდული მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემეტებოდეს 2,5 ჰექტარს (გაზრდა გამონაკლის შემთხვევებში მაქსიმუმ 30 ჰექტრამდე არის შესაძლებელი).

საინტერესოა **გერმანიის** მაგალითი, სადაც მყიდველი ამ მიწის დამუშავების კონკრეტულ გეგმას წარადგენს და ეს გეგმა უნდა იყოს გერმანიის პოლიტიკურ-სოციალური ინტერესის შესაბამისი. ამასთან, აქ საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. ამასთან, უცხოელს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა გააჩნდეს, რომელსაც დანიის იუსტიციის სამინისტრო გასცემს.

შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი **ესპანეთში,** მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75%-ს მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს.

სასარგებლო იქნება **არგენტინის** მაგალითის გამოყენებაც, სადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის მაქსიმუმ 20%-ის გასხვისება არის უცხოელებზე დაშვებული. შეზღუდვა ასევე შესაძლებელია ორი ან რამდენიმე ელემენტის ერთმანეთთან შერწყმით.

ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (**ირლანდია, ჩეხეთი**) იკრძალება ან იზღუდებასასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა.

მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს.

ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შესყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებითი გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის **ირლანდიის** კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შეძენის

მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. **საფრანგეთში** შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შეძენა.

აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეობაში უცხოური ინვესტიციების შესახებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალვების სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის სრულ აღკვეთამდე. ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

2. საკუთრების უფლების შეზღუდვა საზოგადოების წინაშე პოზიტიური ვალდებულებებით გერმანიის კონსტიტუციის მაგალითზე

იმევროპული ქვეყნების კონსტიტუციები, რომლებიც მიწის საკუთრების საკითხს არა ცალკე, არამედ ზოგადად – საკუთრების უფლების საერთო კონტექსტში აწესრიგებს (მაგ.: ჩეხეთის, უნგრეთის, ლატვიის, ესტონეთის და სხვ. კონსტიტუციები), აუცილებლად ხაზს უსვამს საკუთრების, როგორც არა მხოლოდ უფლებრივ, არამედ ამ უფლებასთან იმთავითვე განუყოფლად დაკავშირებულ, საზოგადოების წინაშე ვალდებულებით ხასიათს. ამ თვალსაზრისით სამაგალითოა გერმანიის კონსტიტუცია (მიღებულია 1949 წელს, არსებითი ცვლილებები და დამატებები შეტანილია 1994 წელს), რომლის მე-14 სტატიის 1-ელი პუნქტი, აღიარებს რა საკუთრებისუფლებას და განსაზღვრავს, რომ მისი შინაარსი და ფარგლები კანონით დგინდება, იქვე, მე-2 პუნქტში ხაზგასმით მიუთითებს ამ უფლების საზოგადოების წინაშე ვალდებულებებისგან განუყოფლობას: **„საკუთრება ავალდებულებს. მისი გამოყენება იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივ სიკეთეს.“**

ამგვარი შინაარსის ჩანაწერი, სხვადასხვა ფორმულირებით, დამახასიათებელია თითქმის ყველა „უახლოესი ტალღის“ ევროპული კონსტიტუციისათვის. მსგავსი ჩანაწერი უნდა იყოს მოქმედ საქართველოს კონსტიტუციის 21 მუხლში. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის 116-ე მუხლი ამბობს, რომ „მიწის დამუშავება და გამოყენება შეადგენს მიწის მფლობელის მოვალეობას საზოგადოების წინაშე“.

3. მიწა, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი სიკეთე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მაგალითზე

გერმანიის კონსტიტუციაში მიწის და მისი წიაღის გასაჯაროებაზეც არის საუბარი (იხ. მე-15 სტატია), თუმცა კონსტიტუციის ტექსტში მიწის, როგორც განსაკუთრებული ღირებულების შესახებ, პირდაპირი ჩანაწერი არ გვხვდება. მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (VerfGE21, 37[82]) განმარტა: **“იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მიწა არ ექვემდებარება გამრავლებას და შეუცვლელია, აკრძალულია მისი გამოყენების სრულად მინდობა და დათმობა თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის შეხედულებისთვის. სამართლიანი სამართლებრივი და საზოგადოებრივი სისტემა მოითხოვს მიწის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესების მეტად გათვალისწინებასა და გამოხატვას, ვიდრე, სხვა ქონებრივი სიკეთეების შემთხვევაში“.**

გერმანიის საკონსტიტუციო ფედერალურმა სასამართლომ თავის სხვა გადაწყვეტილებაში (BVerfGE21, 73) მოსარჩლის მოსაზრება, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ბრუნვა ისეთივე თავისუფალია, როგორც ეს სხვა „კაპიტალის შემთხვევაშია“, არ გაითვალისწინა იმის გამო, რომ **„ის გარემოება, რომ მიწა შეუცვლელია და ამასთან ერთად არ ექვემდებარება გამრავლებას, კრძალავს, რომ იგი სრულად მინდობილი და დათმობილი იქნეს თავისუფალი ძალების განუსაზღვრელი თამაშისა და ცალკეული პირის**

შეხედულებისთვის. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან და არც მისი სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივ ბრუნვაში კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება“.

საქართველოს ისტორიულ-სამართლებრივი ტრადიციებისა და გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციამ მიწა უნდა აღიაროს განსაკუთრებულ ეროვნულ საუნჯედ (ფასეულობა) და ქართველი ხალხის სამკვიდროდ (კუთვნილება).

4. უცხოელებზე მიწის გაყიდვის შეზღუდვა ლიტვის კონსტიტუციის მაგალითზე

ზოგიერთი ევროპული კონსტიტუცია პირდაპირ ზღუდავს უცხოელებზე მიწის გასხვისებას. სანიმუშოდ მოვიყვანთ ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკის, დღეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს – ლიტვის კონსტიტუციის 47-ე სტატიის ჩანაწერს:

„მიწა, შიდა წყლები. ტყეები, პარკები საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეთ მხოლოდ ლიტვის მოქალაქეებს და სახელმწიფოს. თვითმმართველობებს, სხვა ეროვნულ სუბიექტებს, აგრეთვე ლიტვაში სამეურნეო საქმიანობის განმახორციელებელ უცხოელ სუბიექტებს, ლიტვის რესპუბლიკის მიერ არჩეული ევროპული და ტრანსატლანტური ინტეგრაციის შესაბამისად და კონსტიტუციური კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე, შეიძლება ნება დაერთოთ შეიძინონ არა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებიც აუცილებელია უშუალო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის. ასეთი ნაკვეთების საკუთრებაში შეძენის წესი, პირობები და შეზღუდვები განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით. კანონით დადგენილი წესით, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძლება გააჩნდეს უცხო სახელმწიფოს – მისი დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების დასაფუძნებლად. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება მიწის წიაღი, აგრეთვე შიდა წყლები, ტყეები, პარკები, გზები, ისტორიის, არქეოლოგიისა და კულტურის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტები. ლიტვის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საკუთრებას განეკუთვნება აგრეთვე ლიტვის ტერიტორიის თავზე საჰაერო სივრცე, კონტინენტური შელფი და ბალტიის ზღვის ეკონომიკური ზონა“.

როგორც ვხედავთ, ლიტვის კონსტიტუცია უკიდურესად ზღუდავს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის შემთხვევაში – საერთოდაც კრძალავს უცხო სუბიექტებზე მიწის გასხვისებას.

ანალოგიური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას კანონმდებელთა ჩათვლით.

5. **როგორ უნდა მოვეპყრათ საქართველოს მიწას**

საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს (ხალხი), როგორც კაცობრიობის ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისათვის, თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის საერთო მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისათვის.

საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა, დაბადების ადგილისა და ა.შ., უფლებამოსილია, რომ საქართველოს ბუნებრივ შესაძლებლობებს, პირველყოვლისა – მიწას – განიხილავდეს, როგორც თავისი შთამომავლობის გარანტირებულ საკვებ ბაზას და როგორც თავისი ყოველმხრივი თვითრეალიზაციის სივრცეს, თანამედროვე ცივილიზაციური დონისა და შესაძლებლობების შესაბამისად.

სახელმწიფო ვალდებულია ყველა კანონმდებლობითი და პრაქტიკული კონკრეტული ღონისძიება იხმაროს, რათა საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობას შეუნახოს აღნიშნული შესაძლებლობები შეუმცირებელი სახით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ:

– საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს, და

– უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისად მკაცრი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა განჭვრეტად მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდიული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მყიდველი, მომხმარებელი, მფლობელი და გაჭირვების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია უცხოელებთან მიმართებაში. ამ უკანასკნელებს შესაძლებელია მიწის ეს ნაკვეთის სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის უნდოდეთ – აგარაკების აგებით დაწყებული და სხვა ქვეყნებში წასაღებად ნაყოფიერი ზედაფენის მოჭრით დამთავრებული. საკამათო არც ისაა, რომ უცხოელებს გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ საქმის წამოწყებისთვის, ვიდრე ადგილობრივებს, რაც კატეგორიულად დაუშვებელია, განსაკუთრებით ისეთ ტრადიციულ და მოწყვლად დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობა (მემცენარეობა) არ არის ინვესტიციატევადი დარგი და აქ ინვესტორის წახალისების პოლიტიკა ყველაფრის ფასად არ უნდა ტარდებოდეს. საერთაშორისო პრაქტიკა (გამოცდილება) გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას პრაქტიკულად არცერთი განვითარებული ქვეყანა არ ასხვისებს ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან მიაჩნიათ, რომ უცხოური ინვესტიციები განდევნიან და გააჩანაგებენ საშუალო და ღარიბ, მცირემიწიან ადგილობრივ ფერმერებს.

მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო, მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელი ორგანული ნაწილის მოსპობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფაცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმაახლებლის ფუნქციის მოშლასაც.

მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი.

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის ერთადერთი უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) უპირველეს ყოვლისა ხალხის (ერი) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც.

ამრიგად, **სახელმწიფოებრიობის პრინციპთა კონტექსტში მიწის მაღალ რანგში აყვანა კანონმდებელს ავალდებულებს, შექმნას ისეთი კანონმდებლობა, რომელიც თავისი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების საჯარო ინტერესის სასარგებლოდ და მიწის სოციალური დანიშნულების ხასიათიდან გამომდინარე არა მარტო შეუზღუდავს, არამედ აუკრძალავს კიდეც უცხოელს სასოფლო-სამეურნეომიწის საკუთრებაში ქონას.**

P. S. საქართველო ძირითადად მთაგორიანი ქვეყანაა. მთები ტერიტორიის 53.6%-ს შეად-

გენს, მთისწინები 33.4%-ია, ხოლო დაბლობი მხოლოდ 13%-ია; ამიტომაც, დამუშავებული მიწების ხვედრითი წილი ქვეყნის საერთო ფართობის მიმართ, ძალზე მცირეა და 13.25%-ს არ აღემატება. აქედან, სავარგულების 30% მოქცეულია ისეთ მეწყერსაშიშ, ეროზიულ, დამარილებად, გამოშრობად საშიშ და დაჭაობებად საშიშ ზონებში, რომ აუცილებელია შემუშავებულ იქნეს ეროზიის საწინააღმდეგო, ეკოლოგიურ-მელიორაციულ ღონისძიებათა ოპტიმალური და თანამედროვე მეთოდების კომპლექსი, ლანდშაფტურ-რეგიონალური პირობების გათვალისწინებით.

მიწის კომპლექსური მართვისთვის, ქვეყანას უნდა ქონდეს ძირითადი კოდექსი მიწის შესახებ, რომელიც მოიცავს მიწის ფონდის აღრიცხვის (მიწის ბალანსის), კადასტრის, მიწის მონიტორინგისა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ-მელიორაციული ოპერირების მმართველ კომპლექსურ კანონმდებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პ. კოღუაშვილი, მიწა და სახელმწიფო. ჟურ. ეკონომიკა და ბიზნესი, № 1, 2012, 35-46 გვ.
2. პ. კოღუაშვილი, მიწის გაყიდვა საქართველოს მომავლის გაყიდვაა. ჟურ. სოციალური ეკონომიკა, №5, 2012.
3. პ. კოღუაშვილი, „მიწა სიცოცხლის საფუძველი“, სოციალური ეკონომიკა-XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №3, 2013.
4. პ. კოღუაშვილი, მიწის რეგულაციის უქონლობა დაუშვებელია, ჟურნალი „ეკონომიკა“, №7-9, 2014 გვ 6-18.
5. პ. კოღუაშვილი, დავიცვათკონსტიტუცია გაყალბებისგან, სოციალური ეკონომიკა - XXI 50. საუკუნის აქტუალური პრობლემები, №4, 2014. გვ, 154-162.
6. პ. კოღუაშვილი, „მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი მიწის კანონმდებლობის სტრუქტურა“, „ახალი აგრარული საქართველო“, მარტი, №3, 2015წ.
7. პ. კოღუაშვილი, მიწის მონიტორინგისა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მართვის სამსახური გვჭირდება. //„ახალი აგრარული საქართველო“, №10, 2016 წ.

The Land Of CONCRETE Country Has AGlobal Dimension

Paata Koguashvili

Summary

In the article the experience of democratic countries in relation to land legislation is discussed, including economically developed countries: German Federal Republic, Austria, Switzerland and Denmark.

There are shown restrictions in the ownership rights by positive obligations to society in constitution of German Federal Republic, the attitude to land on the example of the Lithuanian Constitution, also approaches of German Federal constitutional court and constitutional court of Austria to the land legislation.

There is discussed the situation in Georgia and are given the proposals for representation of land balance and disposal of property regulations in constitution of Georgia and legislation with a view to reach the public good.

There is discussed the situation in Georgia and are given the proposals for property regulations in order to represent land balance in the Georgian constitution and legislation and for regulations of property disposal.

საქართველოს ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი მნიშვნელობა

მაზიაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც გლობალიზაციის პრინციპებით ცხოვრობს, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა, რომ კონკურენციის გარეშე შეუძლებელია პროგრესი ეკონომიკასა და სახელმწიფოთა განვითარებაში. თუ კონკურენცია განვითარების მთავარი მამოძრავებელია, მაშინ ის კეთილდღეობის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაც იქნება.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური თავისუფლების და საკუთრების უფლების განუხრელ პატივისცემას და დაცვას. ამავდროულად, ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფო უნდა ასრულებდეს სამართლიანობის დაცვის გარანტორის ფუნქციას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა ეფექტიანი, გამჭვირვალე და მინიმალური ხელისუფლების პირობებში. ეს გულისხმობს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, სადაც კერძო სექტორი თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას სწორედ კერძო სექტორი წარმოადგენს. სახელმწიფო მინიმალურად ერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ უწევს კერძო სექტორს.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას განიხილავს როგორც ეკონომიკის განვითარების უმნიშნელოვანეს მამოძრავებელ ძალას, რადგან მიაჩნია, რომ კონკურენციის არსებობა, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყანაში გატარებული რეფორმების მიუხედავად, ცალკეულ სფეროში მაინც რჩება რიგი პრინციპული ხასიათის პრობლემები, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური თავისუფლება, კონკურენცია, კერძო საკუთრება, სტრატეგიული განვითარება, ეკონომიკური რეფორმები, კომერციული დავები, ბიზნესგარემო, მონოპოლია, კერძო სექტორი*

ძირითადი ტექსტი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალური ცვლილებები მოითხოვს თითოეული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების ახალი მიდგომების ფორმირებას. კონკურენტულ ბრძოლაში იკვეთება ახალი მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები. კონკურენციის გარეშე შეუძლებელია პროგრესი ეკონომიკასა და სახელმწიფოთა განვითარებაში. რადგან კონკურენცია განვითარების მთავარი მამოძრავებელია, იგი კეთილდღეობის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაცაა. მის გარეშე ეკონომიკა გრძელვადიან პერსპექტივაში არარელური ხდება. ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლება შესაძლებელია ქვეყანაში კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისა და ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარების გზით.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობის წარმატება დიდ წილად დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეფექტიანი ეკონო-

მიკური კავშირების დამყარება, ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეყრდნობოდეს ეკონომიკური თავისუფლების და საკუთრების უფლების განუხრელ პატივისცემას და დაცვას. ამავდროულად, სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში უნდა ასრულებდეს სამართლიანობის დაცვის გარანტორის ფუნქციას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მთავარი პრინციპია კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა ეფექტიანი, გამჭვირვალე და მინიმალური ხელისუფლების პირობებში. ეს გულისხმობს ისეთი ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბებას, სადაც კერძო სექტორი თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში, დაცულია საკუთრების უფლების უზენაესობა და ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას კერძო სექტორი წარმოადგენს. სახელმწიფო მინიმალურად ჩაერთვება სამეწარმეო საქმიანობაში და კონკურენციას არ გაუწევს კერძო სექტორს. სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკურ აქტივობაში შემოიფარგლება მხოლოდ იმ საქმიანობით, სადაც კერძო სექტორი სუსტი და არაეფექტიანია. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას განიხილავს როგორც ეკონომიკის განვითარების უმნიშნელოვანეს მამოძრავებელ ძალას. კონკურენციის არსებობა, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზრებზე ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - "საქართველო 2020" განსაზღვრავს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს და მათი განხორციელების გზებს 2014-2020 წლებისთვის. საქართველო ისწრაფვის, გახდეს თავისუფლების, კეთილდღეობის და სოციალური სამართლიანობის ქვეყანა, სადაც საზოგადოების ყველა წევრი სარგებლობს ეკონომიკური ზრდით მოტანილი სიკეთით და მაქსიმალურად არის გამოყენებული თითოეული მოქალაქის პოტენციალი ქვეყნის განვითარების პროცესში.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკა კეთილდღეობის ზრდას მოიაზრებს დასაქმების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობით და არა სოციალური დახმარებებით. ამავდროულად, ხელისუფლება იღებს პასუხისმგებლობას უღარიბესი ფენებისათვის მიზნობრივი სოციალური დახმარებების გაწევაზე. გამომდინარე აქედან, სტრატეგია პრიორიტეტულად მიიჩნევს იმ პრობლემების გადაჭრას, რომლებიც პირველ რიგში აფერხებენ დასახული კეთილდღეობის მიღწევას.

ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მთავარი ამოცანაა საქართველოს ეკონომიკის შემაფერხებელი ყველაზე არსებითი პრობლემების იდენტიფიკაცია და დაძლევა:

1. კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ინოვაცია და ტექნოლოგიები ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება,

2. ადამიანური კაპიტალის და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო ძალის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა,

3. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, საინვესტიციო რესურსების მობილიზება ფინანსური შუამავლობის განვითარება.

ქართულ ბაზარსა და ბიზნესსივრცეს კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია. ეს მიიღწევა კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას ამ ეტაპზე აქვს. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი. საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლების განმავლობაში (2004-2012 წლებში) საშუალოდ 6%-ით იზრდებოდა. ეს ტემპი მიღწეული იყო ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების ტალღით. ამასთან, ეს რეფორმები არ აღმოჩნდა საკმარისი მწარმოებლურობის,

კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის და, შესაბამისად, გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლის შესაქმნელად. მწარმოებლურობის ზრდა ყველაზე ნაკლებად შეეხო მრეწველობას, შესაბამისად, მეტად გაიზარდა ეკონომიკის სხვა სექტორები. მრეწველობის განვითარების დონე და მისი საექსპორტო პოტენციალი კვლავ დაბალია. ექსპორტი არადივერსიფიცირებულია, დაბალია მისი დამატებული ღირებულება, სუსტია ახალ ბაზრებზე შეღწევის და დამკვიდრების მაჩვენებლები. ასევე, ამის შედეგია დასაქმების ზრდის ძალზე დაბალი ტემპი. ეს ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის და კერძო სექტორის, როგორც მისი ძირითადი მამოძრავებელი კომპონენტის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა სუსტია. "საქართველო 2020"-ის ძირითადი ამოცანაა, აღმოფხვრას ის ბარიერები, რომლებიც აფერხებს კერძო სექტორის მწარმოებლურობის და შესაბამისად, მისი კონკურენტუნარიანობის სტაბილურ ზრდას. საქართველოს მთავრობის მიერ, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების კოორდინირების მიზნით ეკონომიკის სამინისტროსთან შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. მძაფრი გლობალური კონკურენციიდან და დინამიკური ეკონომიკური პროცესებიდან გამომდინარე, ბიზნესის მოთხოვნები სწრაფად იცვლება. შესაბამისად, აუცილებელია სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა. 2004 წლიდან, საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციისკენ მიმართული რეფორმების შედეგად, აღმოიფხვრა ბიუროკრატიული ბარიერები და შემცირდა საგადასახადო ტვირთი. მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშის (Doing Business 2014) მიხედვით, საქართველო ბოლო წლებში ერთ-ერთ მოწინავე რეფორმატორ ქვეყნად იქნა აღიარებული. ამჟამად, ქვეყანა ბიზნესის კეთების სიმარტივის მაჩვენებლით 185 ქვეყანას შორის მე-8 ადგილს იკავებს. მიუხედავად ამისა, რჩება რიგი პრინციპული ხასიათის პრობლემები ცალკეულ სფეროში, რაც ხელს უშლის კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას. დღეისათვის კვლავ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა. ასევე, გამოწვევად რჩება გადახდისუუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2014 წლიდან საქართველოში ფუნქციონირებს კონკურენციის სააგენტო, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, ანტიმონოპოლისტური სამსახური. ამის მიუხედავად, დღემდე პრობლემად რჩება რამდენიმე მსხვილი მონოპოლიის არსებობა შიდა ბაზარზე.კონკურენტული ბაზრისგან განსხვავებით, მონოპოლისტი (ან კარტელური შეთანხმება) ამცირებს პროდუქციის მიწოდებას იმ რაოდენობამდე, სადაც მისი ზღვრული დანახარჯები შეესაბამება ზღვრულ შემოსავლებს. შედეგად, მონოპოლისტური ფასი შეესაბამება მოთხოვნის ფასს, რომელიც წარმოიქმნება შემცირებულ რაოდენობაზე. ყველა სხვა შესაძლო სიტუაციაში, ფასისა და რაოდენობის ეს კომბინაცია მონოპოლისტს აძლევს მაქსიმალურ შემოსავალს. ბაზარზე კონკურენცია რომ ყოფილიყო, საბაზრო ფასიც შედარებით დაბალი იქნებოდა და მომხმარებელიც მეტი იქნებოდა. ანუ, საერთო ჯამში, საზოგადოება უფრო მეტ მსხვერპლს გაიღებს მონოპოლისტურ საქონელში, ვიდრე ის ამას კონკურენციის პირობებში გადაიხდიდა. სურათი კიდევ უფრო მძიმდება კარტელის შემთხვევაში. რამდენიმე გავლენიანი მწარმოებელი თანხმდება საერთო ფასზე, რაც წარმოშობს ტიპურ მონოპოლიას, არადა, მათ შორის რომ ყოფილიყო ჯანსაღი კონკურენცია, ბაზარზე ფასი უფრო დაბალი იქნებოდა. საქართველოში საუბრობენ, რომ საწვავის და ფარმაცევტული ბაზრები სწორედ ამ კატეგორიის ოლიგოპოლიებს განეკუთვნება.

არსებული სირთულეები საერთო ჯამში აუარესებს სამეწარმეო გარემოს, ამცირებს ინვესტორთა ნდობას და ნაკლებეფექტიანს ხდის სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში (Doing Business 2014) საქართველოს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით, თუმცა, ამის მნიშვნელობა ეცემა, თუ საკუთრების უფლება არ არის

სათანადოდ დაცული და ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები სწრაფად არ გვარდება. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები: • საკუთრების უფლებების დაცვა - 120-ე ადგილი; • დავების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა - 92-ე; • ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა - 138-ე; • ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა - 123-ე; • ბაზარზე დომინირების მასშტაბები - 119-ე. მარეგულირებელი გარემოს გაუმჯობესება ასევე ასახულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის კეთების ანგარიშში (ოინგ უსინესს 2014), რომლის მიხედვითაც საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი აქვს, თუმცა, ამ კუთხით ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მიმართულებები, სადაც მდგომარეობა გაუმჯობესებას საჭიროებს. მაგალითად, გადახდისუუნარობასთან და კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს სისუსტეები ასახულია ბიზნესის კეთების ანგარიშში, რომლის მიხედვით საქართველოს შემდეგი პოზიციები უკავია: • გადახდისუუნარობის პროცედურები - 88-ე ადგილი; • კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონე (%) – 33,6%, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალური აზიის რეგიონში საშუალო მაჩვენებელი არის 37,1%, ხოლო OECD-ის წევრ ქვეყნებში საშულოდ - 70.6%. სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. ამისთვის აუცილებელია რიგი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, მათ შორის, სასამართლო სისტემის გაძლიერების ხელშეწყობა. ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ერთ-ერთი პირობაა სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, განსაკუთრებით კი - საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით. მთავრობა უზრუნველყოფს ბიზნეს ინტერესებში არალეგიტიმური ჩარევის დაუშვებლობას. აღნიშნულ სფეროში მთავრობის მიზანს წარმოადგენს არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა დღეისათვის მიღწეული შედეგების შენარჩუნებით.

საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ბიზნესის დაწყებასა და წარმოებაში ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნას და საჯარო მმართველობის გამჭვირვალობას. საქართველოს მთავრობა არაერთხელ აქვს დეკლარირებული, რომ ის არის საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი. საქართველოს მთავრობა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება/წარდგენით, ასევე, ადმინისტრირების გაუმჯობესებით უზრუნველყოფს რეფორმების ეფექტიან განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა უზრუნველყოფს კერძო სექტორისა და უცხოური ინვესტიციებისათვის, ასევე, ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის, მიმზიდველი და სტაბილური საგადასახადო გარემოს შექმნას. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში, განხორციელდა საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მინიმიზირებული იქნება საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანა. გადასახადის გადამხდელის ყველა ძირითადი ვალდებულება განისაზღვრება მხოლოდ კანონით. გამარტივდა გადასახადის ადმინისტრირება და განხორციელდა საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია. მოხდა ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია. ეტაპობრივად შემცირდება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადები. სახელმწიფოს და ბიზნესს შორის სამართლებრივი ურთიერთობა დაეფუძნება თანასწორობის პრინციპებს.

საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერება, საკუთრების უფლების განუხრელი დაცვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტია. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელო-

ვანია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მოსამართლეთა შემდგომი პროფესიული განვითარება. საკუთრების უფლების დაცვის კონტექსტში, ასევე მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფა.

ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირების და კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის მნიშვნელოვანია სასამართლოების კომპეტენციისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება კომერციული დავების გადაწყვეტის კუთხით. მთავრობა ხელს შეუწყობს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის (ლტერნატივე ისპუტე ღესოლუტიონ - ADR) - არბიტრაჟების - განვითარებას მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. ამ მიზნით, ხელი შეეწყობა, აგრეთვე, არბიტრების კომპეტენციის ზრდას და არბიტრაჟის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა მოძველებულია და აღარ შეესაბამება არსებულ რეალობას. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს არსებული საინვესტიციო კანონმდებლობის შეცვლას ახალი, საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობით. ასევე, გაძლიერდება ბიზნესომბუდსმენის როლი. თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობა გააუმჯობესებს საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმებს და დანერგავს საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს კარტელური გარიგებების, კონკურენციის შემზღუდავი შეთანხმებების და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის ეფექტიან ნორმებს და აღსრულების მექანიზმებს. ამავე დროს, აუცილებელია, რომ კონკურენციის კანონმდებლობა არ ქმნიდეს ხელოვნურ ბარიერებს კომპანიების ზრდისა და განვითარებისთვის. ქვეყანაში კონკურენტული გარემოს შექმნისთვის ხელი შეეწყობა სასამართლოს შემდგომ გაძლიერებას კონკურენციასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტის საკითხში და შესაბამის საკითხებზე მოსამართლეთა ცოდნის გაღრმავებას.

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ბიზნესის ეფექტიან ფუნქციონირებას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ბიზნესის დაწყების სიმარტივესთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია ბიზნესის დახურვის სიმარტივე. კერძო სექტორის მწარმოებლურობის ამაღლებისთვის ბიზნესის დახურვის სიმარტივეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ის აადვილებს კომპანიების გადანაცვლებას ნაკლებად ეფექტიანი სფეროდან უფრო ეფექტიანში და შესაბამისად, ხელს უწყობს კომპანიების ზრდას და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურების შემდგომი გამარტივების მიზნით, მთავრობა უზრუნველყოფს ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის და აღსრულების მექანიზმების დახვეწას. ასევე, გადახდისუუნარობის პროცესში, კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის ასამაღლებლად მოხდება კანონმდებლობის და აღსრულების შესაბამისი მექანიზმების გაუმჯობესება. სახელმწიფო მომსახურებების გაუმჯობესება და საჯარო მმართველობის გამჭვირვალობის ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“

Increase of National Competitiveness of Georgia and Its Importance

Nino Maziashvili

Summary

In the modern world, existed under the principles of globalization it became more evident that without competition the progress can not be achieved in the development of economics and state. If competition is the very driving force of development, then it will be most efficient means for the achievement of wellbeing.

Country's economic policy should rely on consistent respect and abidance of economic freedom and property right. At the same time the state has to fulfill the function of justice warrantor in economic processes. The major principle of country's economic development strategy is freedom of expression of private sector in efficient, transparent and minimal power. It means establishment of such economic order, where private sector can freely make decisions, supremacy of property right is maintained and exactly private sector is the very driving force of economic development. State minimally participates in entrepreneurial business and does not compete with private sector.

Economic policy of Government of Georgia considers competitiveness of private sector as the most important driving force of economic development as according to its standpoint existence of competitiveness both in domestic and foreign market is essential condition for successful operation of economics.

Despite of reforms carried out in the country for the last decade, some principal problems still remain in certain fields, hampering increase of competitiveness of private sector and long-term economic growth. Nowadays, some issues related to free competition on the market, insolvency, commercial dispute solving and other issues of business management still remain problematic.

Key words: *Economic freedom, competition, private property, Strategic Development, Economic reforms, Commercial disputes, Business environment, Monopoly, Private Sector.*

ბიზნესის სუბიექტის (კომპანიის) ფინანსური აქტივებით შეფასება

მარტიაშვილი მაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კომპანიის შეფასება თავიდანვე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მიმართულებით გვინდა შევაფასოთ და განვსაზღვროთ მისი მომავალი ბედი. ამიტომ ბიზნესის შეფასების მიდგომა საჭიროებს, რომ ნებისმიერი შეფასება გაკეთდეს კომპანიის ღირებულების განსაზღვრის თავიდანვე მითითებული პრინციპების საფუძველზე. როგორც ცნობილია, შეფასების სტანდარტები პირველად დიდ ბრიტანეთში იქნა ჩამოყალიბებული მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. იმ პერიოდისთვის ბრიტანეთის უძრავი ქონების ბაზარზე დიდი ბუმი იყო, რასაც თავდაპირველად უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრი ზრდა, ხოლო შემდგომ პერიოდებში მკვეთრი დაცემა მოჰყვა. შეფასების სისტემა მუდმივად განიცდიდა სრულყოფას და მოიცავდა მთელ რიგ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებიც აუცილებელი იყო შემფასებლებისათვის და რომლებსაც იყენებდა თითოეული თავის დარგში.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესის სუბიექტი; ეკონომიკური სარგებელი: სუფთა ფასეულობა; ლიკვიდირებული ღირებულება.*

ძირითადი ტექსტი

კვლევის მიზანი და მოცანები: იმისათვის, რომ გავერკვეთ, თუ რას ვგულისხმობთ ბიზნესის შეფასებაში, უნდა განვიხილოთ ოთხი ძირითადი საკითხი:

- რისთვის არის საჭირო ბიზნესის შეფასება?
- ვინ ახორციელებს ბიზნესის შეფასებას?
- რა წარმოადგენს შეფასების საგანს?
- როგორ ხორციელდება ბიზნესის შეფასება?

ბიზნესის შეფასება მხოლოდ გადაწყვეტილების შერჩევისა და მიღებისთვის არის საჭირო და აქედან გამომდინარე, სინამდვილეში, **შეფასება** არის აღნიშნული გადაწყვეტილების უმნიშვნელოვანესი ნაწილი: მისი მიღების პროცესში განისაზღვრება ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგები. შეფასება საჭიროა, რომ შეწონილი, ეკონომიკურად სასარგებლო გადაწყვეტილებები მივიღოთ.

კვლევის ობიექტი და საგანი: ბიზნესის შეფასების საგანი საწარმოს კაპიტალში ფლობისა და განკარგვის წილებისაგან ეკონომიკური სარგებლის შეფასებაა. თუ შეფასების მიზანი არის გადაწყვეტილების მიღება, მაშინ მის საგანს გადაწყვეტილებიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი წარმოადგენს. შეფასების ობიექტი შეიძლება იყოს საკუთრების სხვადასხვა სახეობები, ნებისმიერი აქტივი, მაგრამ საგნის სახით, ნებისმიერ შემთხვევაში, ეკონომიკური სარგებელი იქნება. ეკონომიკური სარგებელი ფასდება საკუთრების გამოყენების ალტერნატიული შესაძლებლობების ფასეულობის შედარების გზით. ნებისმიერი შეფასება არის შედარება ალტერნატიული კეთილდღეობების ფასეულობისა.

შეფასება შეიძლება სხვადასხვა სახეობის საკუთრებებთან მიმართებით მომავალში მოსალოდნელ ქმედებებს ეხებოდეს, როგორებიცაა: ფული, ნივთები, აქტივები. აქტივები საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავდება იმით, რომ მას მფლობელისათვის შემოსავლის მოტანა შეუძლია. შესაბამისად, აქტივებთან მიმართებაში ქმედებების შეფასება, თავისთავად, მისი ფლობის ეკონომიკური სარგებლის შეფასებას წარმოადგენს.

კვლევის შედეგები: კომპანიის შეფასების მეთოდები აქტივების მიხედვით, მოქმედი, ან

ლიკვიდაციის სტადიაში არსებული საწარმოს წინაპირობიდან გამოდიან.

თუ ბიზნესი მოქმედია და აგრძელებს ფუნქციონირებას და ამიტომ აქტივების შეფასება მათი „მუშა“ ფასეულობის მიხედვით ხორციელდება. აღნიშნულ შემთხვევაში აქტივების სუფთა ფასეულობის (NAV) მეთოდი გამოიყენება. ხოლო, როდესაც შეფასება ხორციელდება ლიკვიდაციის სტადიაში არსებული კომპანიის, მაშინ სალიკვიდაციო ფასეულობის (LV) მეთოდი გამოიყენება.

მეთოდი NAV-ის მეშვეობით კომპანიის აქტივები და ვალდებულებები მათი საბაზრო შეფასების მიხედვით კორექტირდება. ამასთან, კომპანია როგორც მოქმედი განიხილება.

მეთოდის LV ითვალისწინებს, რომ კომპანიის აქტივების რეალიზაციისაგან სუფთა ამონაგები, ვალდებულებების დაფარვის გათვალისწინებით, შეფასების თარიღისთვის დისკონტირდება. ბიზნესის ფასეულობა ამასთან აქტივების გეგმიური ან იძულებითი ლიკვიდაციის შედეგად რეალიზდება.

მეთოდი NAV-ის მეშვეობით კომპანიის შეფასების საერთო სქემა. კომპანიის სუფთა აქტივების მეთოდით შეფასების საერთო ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$NAV = \sum VA_i - D + G.$$

სადაც: AV არის კომპანიის სუფთა აქტივების ფასეულობა;

VA_i – i აქტივის საბაზრო ფასეულობა;

D– ვალდებულებების საბაზრო ფასეულობა;

G – გუდვილი.

როგორც ფორმულიდან ჩანს, ბალანსში ასახული კომპანიის აქტივები თავიდან მათ საბაზრო შეფასებამდე კორექტირდება, შემდეგ ვალდებულებების საბაზრო ფასეულობა გამოაკლდება და გუდვილის ფასეულობა დაემატება. ნებისმიერი კომპანიის ყველა **აქტივი** დაიყოფა სამ ჯგუფად:

- მატერიალური (შენობები და ნაგებობები, მოწყობილობები, გადამცემი მექანიზმები, სასაქონლო-მატერიალური მარაგები);
- ფინანსური (დებიტორული დავალიანება, აქციები, ობლიგაციები, სხვა ფინანსური ინსტრუმენტები);

არამატერიალური (პატენტები, ნოუ-ჰაუ, ლიცენზიები, ტექნიკური დოკუმენტაცია, პროგრამული უზრუნველყოფა, გუდვილი და სხვები).

კომპანიის ნებისმიერი ჯგუფის თითოეული აქტივი შემდეგი პრინციპის საფუძველზე ფასდება: აქტივის ალტერნატიული გამოყენების (მოსალოდნელი შემოსავლები ალტერნატიული გამოყენებისაგან), ან აღდგენის (ჩანაცვლების) ალტერნატიული ღირებულების, ან ანალოგიური აქტივის შეძენის ფასეულობით.

აქტივების ცალკეული სახეობების შეფასების თავისებურებები:

შენობებისა და ნანგებობების შეფასება. საწარმოს შენობისა და ნაგებობების შეფასებისათვის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება, რომლებიც გაერთიანებულია სამ მიდგომაში: ღირებულებითი, შემოსავლიანობისა და საბაზრო.

შენობისა და ნაგებობის ღირებულებითი მიდგომის მეთოდებით შეფასება ხორციელდება ხუთ ეტაპად:

- განისაზღვრება მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასეულობა, რომელზედაც იმყოფება შენობა და ნაგებობა, მისი მიმდებარე გამოყენების გათვალისწინებით;
- გაანგარიშდება ნაგებობის აღდგენითი ან ჩანაცვლებითი ფასეულობა;
- გაანგარიშდება ნაგებობის ცვეთის ყველა სახეობა: ფიზიკური, ფუნქციური, ტექნოლოგიური და გარე;

- გამოიქვითება ობიექტის კვლავწარმოების ან ჩანაცვლების დანახარჯებიდან ნაგებობის საერთო ცვეთის სიდიდე;
- მიწის საბაზრო ფასეულობის დაჯამების გზით, ნაგებობის გამოყენებისა და ფასეულობის მიხედვით, განისაზღვრება უძრავი ობიექტის ფასეულობა.

მანქანებისა და მოწყობილობების შეფასება. ცნება „შეფასებას“ მანქანებთან და მოწყობილობებთან მიმართებით თავისი თავისებურებები გააჩნია, რამდენადაც შემფასებელი აღნიშნული ობიექტების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს განსაზღვრავს. ამ უკანასკნელის ცოდნა მათი ფასეულობის ზუსტად, უტყუარად გაანგარიშებისათვისაა საჭირო. მანქანებისა და მოწყობილობების შეფასება ხორციელდება, როგორც მთლიანად საწარმოს ღირებულების შეფასების ნაწილი. მანქანებისა და მოწყობილობების შეფასებისათვის გამოიყენება სამი მიდგომა: ღირებულებითი, საბაზრო და (ნაკლები ხარისხით) შემოსავლიანი.

საწარმოო მარაგების შეფასება. საწარმოს მარაგებს მიეკუთვნება ნედლეული, მასალები, მცირეფასიანი და სწრაფად ცვეთადი საგნები, დანახარჯები დაუმთავრებელ წარმოებაზე, მზა პროდუქცია და საქონელი გადასაყიდად, საქონელი გადატვირთულები და მომავალი პერიოდების ხარჯები. აღნიშნული საბრუნავი აქტივები შეფასების საგანს წარმოადგენენ. საბალანსო ფასეულობასთან მიმართებით აღნიშნულ აქტივებზე საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, შესწორებებია საჭირო. საბაზრო ფასებს უნდა დაემატოს მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებაზე გაწეული ფაქტობრივი დანახარჯები, თუ ისინი ბალანსზე აყვანისას არ იყო გათვალისწინებული. დაუმთავრებელ წარმოებაში დანახარჯები ფასდება წარმოების ფაქტობრივი თვითღირებულების, გადატვირთული საქონელი – საბაზრო ფასეულობის მიხედვით.

დებიტორული დავალიანების შეფასება მისი ანალიზიდან იწყება. დგება დებიტორების ნუსხა, განისაზღვრება ვალის დაბრუნების ვადა, გაანალიზდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვალის დროულად დაბრუნების შესაძლებლობები. თუ ვალის დაბრუნების შეუძლებლობის შესახებ კეთდება დასკვნა, იგი შეფასებას არ დაექვემდებარება. შეფასებას არ ექვემდებარება ,ასევე, დამფუძნებლების ვალი საწესდებო კაპიტალში მათ შენატანებთან მიმართებაში. სხვა დანარჩენ შემთხვევაში დებიტორული დავალიანება მიმდინარე ფასეულობის მიხედვით ფასდება. მოცემულ შემთხვევაში დისკონტირების პერიოდი შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული ვალის დაბრუნების ვადებიდან გამომდინარე განისაზღვრება. დისკონტირების განაკვეთი ამასთანავე, ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებულ რისკსაც ითვალისწინებს.

ფინანსური დაბანდებების შეფასება. ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს მოკლევადიან და გრძელვადიან ფასიან ქაღალდებში, უძრავ ქონებასა და სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალებში. ინვესტიციის შეფასება, მათი საბაზრო ფასეულობიდან გამომდინარე, შეფასების თარიღისათვის ხორციელდება. ამასთან, საჭიროა გვახსოვდეს, რომ აქციონერებისაგან გამოსყიდული საწარმოს საკუთარი აქციების ფასეულობა საერთო ინვესტიციების მოცულობიდან გამოიქვითება.

სავალუტო ანგარიშზე ფულადი სახსრების შეფასება შეფასების თარიღისათვის კურსის მიხედვით ხორციელდება.

არამატერიალური აქტივების შეფასება. არამატერიალური აქტივებში იგულისხმება აქტივები, რომელთაც ფიზიკური შინაარსი არ გააჩნიათ, მაგრამ შემოსავლების მოტანის შესაძლებლობები აქვთ.

არამატერიალური აქტივები, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური დარგების საწარმოებისა, აქტივების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ.

არამატერიალური აქტივები სპეციფიკური აქტივებია, მათთვის დამახასიათებელი ფიზიკური ფორმის (ხელშესახები აქტივები) არქონა, მაგრამ ისინი ეკონომიკურ ფასეულობას ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ არამატერიალურ აქტივს, რადაცა სახის ფიზიკური გამოვლენის შესაძლებლობა გააჩნია (საბუთი, სქემა, ნახაზი და სხვა), მათი ფასეულობის საფუძველს მათთან დაკავშირებით წარმოქმნილი უფლებები ან ურთიერთობები შეადგენენ.

არამატერიალური აქტივები იყოფიან:

- **იდენტიფიცირებადებად** (პატენტები, ნოუ-ჰაუ, ლიცენზიები, ტექნიკური დოკუმენტაცია, პროგრამული უზრუნველყოფა, საავტორო უფლებები, სეკრეტული ფორმულები, მონაცემთა ბაზები, ფრანჩიზები და სხვა);
- **არაიდენტიფიცირებადები** (საქმიანი რეპუტაცია – გუდვილი).
- მიღებულია, რომ არაიდენტიფიცირებული, არამატერიალური აქტივები დაიყოს ორ ჯგუფად:
- **პირველი ჯგუფი** არის საწარმოსაგან გამოუყოფადები (განათლებული პერსონალის არსებობა, საწარმოს მართვის სისტემები და მეთოდები, კლიენტურის არსებობა, მიღწევები რეკლამის სფეროში და საკუთარი პროდუქციის გასაღების შესაძლებლობები, ტერიტორიული განთავსების უპირატესობები, საწარმოს რეპუტაცია);
- **მეორე ჯგუფი** არის ინდივიდუმისაგან გამოუყოფადები (თანამშრომლების ან საწარმოს მფლობელების პირადი რეპუტაცია, ინდივიდუუმების პირადი პროფესიონალური ხარისხი, პეროსნალის და მფლობელების საერთო კვალიფიციურობა და ხარისხი).

იდენტიფიცირებადი ხელშესახები არამატერიალური აქტივების შეფასება. ბიზნესის იდენტიფიცირებადი არამატერიალური აქტივები შეიძლება ინდივიდუალური წესით შეფასდეს, თუ მათ შეიძლება მომსახურების საბოლოო ვადა მიეწეროს (მიეკუთვნოს) და თუ აღნიშნულ პერიოდში ისინი ბიზნესისათვის გაზომვად სარგებელს უზრუნველყოფენ.

დასკვნა. კვლევის შედეგები მოწმობს, რომ საშემფასებლო საქმიანობა ერთმანეთისაგან განსხვავებული სტადიებისაგან შემდგარი რთული და შრომატევადი პროცესია. კერძოდ, ბიზნესის შეფასება კი უფრო რთული და მრავალფეროვანი მიდგომებით გამოირჩევა.

ეკონომიკური მეცნიერება გამომდინარეობს დებულებიდან, რომ ბაზრის ნებისმიერი სუბიექტი (ინვესტორი, საწარმოს მესაკუთრეები, კომპანიის მენეჯერები, კომპანიები) არჩევანს (გადაწყვეტილებას) ეკონომიკური სარგებლის შეფასების საფუძველზე ახორციელებენ.

შეფასება საკუთრებას, პროცედურებისა და ტექნოლოგიების სახეობიდან დამოკიდებულებაში განსხვავდება. რამდენადაც მოსალოდნელი ქმედებები ფასდება საკუთრებაზე უფლებების რეალიზაციის მიხედვით, ხოლო სხვადასხვა მესაკუთრეების უფლებები განსხვავებულია, შესაძლო ქმედებების ჩამონათვალიც განსხვავდება. საწარმოს კაპიტალში მყიდველისათვის და გამყიდველისათვის ერთი და იგივე წილის ბიზნესის ფასეულობა განსხვავებული იქნება, იმიტომ რომ საკუთრების შეძენა, შემდგომი გამოყენება და მისი გაყიდვა სხვადასხვა ქმედებებია. ბიზნესის ფასეულობა ერთი და იმავე საწარმოს სხვადასხვა მფლობელებისათვის აღნიშნული წილის სიდიდისაგან, კონტროლის უფლებებისაგან დამოკიდებულებაში სხვადასხვაა.

ამრიგად ბიზნესის შეფასება მხოლოდ გადაწყვეტილების შერჩევისა და მიღებისთვის არის საჭირო და აქედან გამომდინარე, სინამდვილეში, **შეფასება** არის აღნიშნული გადაწყვეტილების უმნიშვნელოვანესი ნაწილი: მისი მიღების პროცესში განისაზღვრება ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგები. შეფასება საჭიროა, რომ შეწონილი, ეკონომიკურად სასარგებლო გადაწყვეტილებები მივიღოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ნ. გრძელიშვილი. „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება" 2010წ.
2. ბუცხრიკიძე გ. „უძრავი ქონების ადმინისტრაციული მართვის პრინციპები", თბ. 2010წ.
3. ზ. ლიპარტია, მ. გელაშვილი, ნ. ჯღარკავა, ხ. ბერიშვილი. „კორპორაციული ფინანსები" თბ. 2013წ. ტომი.1, თავი 10 გვ. 254–297
4. ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ.,- კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია) სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2016. – 726 გვ. (ელექტრონული წიგნი).
5. Валдаицев В. А. Оценка бизнеса. М. 2009
6. Tom Copeland, Tim Koller, Jack Murrin, ,,VALUATION" measuring & managing the value of companies, third edition, John willy & sons, inc. 2000.

Assess the financial assets of the business subject (company)

Maia Martiashvili

Summary

In the scientific article questions are answered: Why is needed business evaluation? Who carries out business evaluation? What is the evaluation subject? How is business evaluation performing? The work deals with acting and In the liquidation process company business assessment methods. also which approaches and methods are using in assessment of business subject's assets. The peculiarities of the individual species assessment are generalized.

Keywords: *business entity; Economic benefits: pure value; Liquidated cost;*

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის ტექნოლოგიები

ოთინაშვილი რამაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება კონკრეტული ბიზნესის მენეჯმენტზე დაფუძნებული ბიზნეს–პროცესების მართვას. ნაჩვენებია ბიზნეს-ობიექტის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებების ხასიათი და მათ განხორციელებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი. განსაზღვრულია წარმატების პირობები და ბიზნეს-რეინჟინერინგის ამოცანები. აღწერილია ბიზნეს–პროცესების რეინჟინერინგის სამუშაოების ჩატარების ტექნოლოგიები. განსაზღვრულია პროექტის საორგანიზაციო სტრუქტურა. ნაჩვენებია ბიზნეს–რეინჟინერინგის სამუშაოების ჩატარების ძირითადი მეთოდები და საშუალებები, მათ შორის ბიზნეს–პროცესების სტრუქტურული, ღირებულებითი და დინამიური ანალიზის მეთოდოლოგია.

ნაშრომი აგებულია იმ სახით, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, თანმიმდევრულად გაანალიზდეს და შეფასდეს განხილული ძირითადი საკითხები. ჩამოყალიბდეს წარმატებული რეინჟინერინგის განსახორციელებლად გასატარებელი ღონისძიებათა ნუსხა.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესი, მენეჯმენტი, ბიზნეს–პროცესები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, რეინჟინერინგი.*

ძირითადი ტექსტი

მაღალი დინამიურობით გამორჩეული ბიზნეს-ტექნოლოგიები მორგებულია მუდმივად ცვალებად ბაზრის მოთხოვნებთან. საქონლის და მომსახურების დამკვეთის (კლიენტის) ინდივიდუალურ სურვილებთან და ტექნიკური შესაძლებლობების უწყვეტ გაუმჯობესებასთან. ასეთ ვითარებაში კონკრეტული ბიზნესის მენეჯმენტში საჭირო რესურსების გამოყენების მართვიდან აქცენტი გადადის დინამიური ბიზნეს-პროცესების ორგანიზებაზე.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის ტექნოლოგიის წარმოქმნა შესაძლებელი გახდა საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების შედეგად, რომლებიც აკავშირებენ ბიზნეს–პროცესების მონაწილეებს ერთიან ტექნოლოგიურ ჯაჭვში უფრო სწარაფად და საიმედოდ, ვიდრე კონტროლისა და კოორდინაციის ტრადიციული მეთოდები.

კონკრეტულ ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიის ავტომატიზაციის ხარისხი ფართო ინტერვალში იცვლება: არსებობს სისტემები, რომელშიც მართვის პროცესი მთლიანად ხორციელდება თანამშრომლის მიერ და ისეთი სისტემები, რომელშიც მართვის პროცესი მთლიანად ავტომატიზირებულია.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. ავტომატიზირებული სამუშაო ადგილები – პერსონალური კომპიუტერის გამოყენების საფუძველზე იძლევა თანამშრომლების სხვადასხვა ფუნქციების ინტეგრირების საშუალებას. იცვლება ბიზნეს-ობიექტის თანამშრომელთა საქმიანობის ხასიათი. თანამშრომელი ღებულობს ნორმატიულ ინფორმაციას საინფორმაციო სისტემით, თავად ქმნის საინფორმაციო შეტყობინებებს მეტად ღებულობს გადაწყვეტილებებს და მეტ ინფორმაციას ამუშავებს;

2. ლოკალურ გამოთვლით ქსელებში განაწილებული მონაცემთა ბაზები – მონაცემთა ბაზის მეშვეობით კომპანიის თანამშრომლები ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას, სადაც ყველა ცვლილება აისახება რეალური დროის მასშტაბში და ხელმისაწვდომი ხდება ერთდროულად ბიზნესის პროცესის ყველა დაინტერესებული მონაწილისთვის;

3. სამუშაო ნაკადების მართვის სისტემები – საშუალებას იძლევა ოპერატიულად დააკავშიროს ოპერაციების შემსრულებლები საწარმოს სხვადასხვა ქვეგანყოფილებებიდან და პროგრამული აპლიკაციები გამჭოლ ბიზნეს–პროცესებად, რომლებიც კონტროლდება საწარმოს მმართველობის მხრიდან, როგორც ერთიანი და მთლიანი;

4. გლობალური კომპიუტერული ქსელის გამოყენების შედეგად მიიღება მართვის დეცენტრალიზაცია მსხვილ კორპორაციებში, საერთო ბიზნეს–პროცესებში მონაწილე დამოუკიდებელი საწარმოების გაერთიანება კონსორციუმებში და ვირტუალურ კორპორაციებში;

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მენეჯმენტში განაპირობებს კონკრეტული ბიზნესის ტრანსფორმაციას ორგანიზაციული სტრუქტურის, პროცესების ორგანიზაციის, მართვისა და ორგანიზაციათაშორისი თანამშრომლობის თვალსაზრისით.

ბიზნეს-პროცესის მართვის მიზანია ხარისხიანი მომსახურება. ურთიერთდაკავშირებულიბიზნეს– პროცესების პროექტირება გულისხმობს მათი მოდელირებისა და შემდგომი ტრანსფორმაციის შრომატევადი სამუშაოების ჩატარებას. ღოგორც წესი, საწყისეტაპზეხდებაპრობლემისჩამოყალიბება. ამეტაპზე, გადაწყვეტილების მიმღები პირები აყენებენ სტრატეგიულ მიზნებს: ბაზრის ახალ სეგმენტზე შესვლას, კონკურენტულ ბრძოლაში ლიდერობის მოპოვებას, გარკვეული დონის რენტაბელობის მიღწევას და ა.შ. სირთულეების გადასალახად დამიზნების მისაღწევად საჭიროა ბიზნეს–რეინჟინერინგის მეთოდების და ფაქტორების გათვალისწინება.

ბიზნეს-რეინჟინერინგის აუცილებლობის გააზრების შემდეგ ტარდება განმარტებითი სამუშაოები ორგანიზაციის თანამშრომლებს შორის, რადგან სათანადო მოტივაციის გარეშე შეუძლებელია დაგეგმილი რეორგანიზაციის წარმატებაზე ფიქრი. საჭიროა მოხდეს აუცილებელი მატერიალური, ადამიანისეული, ფინანსური და დროითი რესურსების გამოყოფა ბიზნეს-რეინჟინერინგის ჩასატარებლად და პროექტის შემმუშავებელი გუნდის ჩამოყალიბება.

ბიზნეს–პროცესების იდენტიფიცირების ეტაპზე ხდება შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

– საწარმოს მისიის ფორმულირება;

– წარმატების ძირითადი ფაქტორების იდენტიფიცირება: ხანგრძლივობა, ღირებულება, ხარისხი, სერვისული მომსახურება და სხვა.

– ბიზნეს–პროცესების ძირითადი სახეობების გამოვლენა, როგორც არსებული, ასევე პერსპექტიული.

– ბიზნეს–პროცესების შეფასება წარმატების განხორციელების ძირითადი ფაქტორების ხარისხის მიხედვით;

– ბიზნეს-პროცესის რანჟირება რეინჟინერინგის პრიორიტეტების მითითებით;

– არსებული საწარმოო და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სპეციფიკა;

– საწარმოს განვითარების, ახალი ტექნოლოგიების, რესურსების, წარმოქმნის, კლიენტების, პარტნიორების და კონკურენტების ქცევის ცვლილებების შესაძლო სცენარების აღწერა;

– კომპანიის პერსონალის კვალიფიკაციის, ტექნიკური აღჭურვილობის დონესთან დაკავშირებული შეზღუდვების განსაზღვრა.

– ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის და პარტნიორების სანდოობის საგარეო რისკების განსაზღვრა.

ბიზნეს–პროცესების მართვაში რევოლუცია განახორციელა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, რომელიც ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგისა და რეინჟინერინგის შესაძლებლობას იძლევა.

მ.ჰამერისა და დ.ჩემპის განმარტებით, ბიზნეს–პროცესების რეინჟინერინგი განისაზღვრება, როგორც ბიზნეს–პროცესების ფუნდამენტური გააზრება და რადიკალური დაპროექტება, კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების საფუძვლიანი გაუმჯობესების მისაღწევად. აღნიშნული რეინჟნერინგის მიზანია მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო ნაკადების მიზანმიმართული და სისტემური მოდელირება, რომელიც მიმართული იქნება ორგანიზაციული სტრუქტურის გამარტივების, სხვადასხვა რესურსების გადანაწილებისა და გამოყენების მინიმიზაციის, დამკვეთის მოთხოვნების რეალიზაციის დროის შემცირების, მათი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

ბიზნეს–პროცესების ინჟინერინგი მოიცავს ბიზნეს–პროცესების რეინჟინერინგს, რომელიც განსაზღვრული პერიოდულობით ტარდება და უზრუნველყოფს ბიზნეს–პროცესების შემდგომ უწყვეტ გაუმჯობესებას, ცვალებად გარემოში მისი ადაპტაციის გზით.

ბიზნეს–პროცესების ინჟინერინგი უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

1. შესასრულებელი ფუნქციების ოპტიმალური მიმდევრობის განსაზღვრა,რაც ამცირებს საქონლის დამზადება–გაყიდვის და მომსახურების ციკლის დროს, აღნიშნული თავის მხრივ ზრდის ფირმის კაპიტალბრუნვას და სხვადასხვა ფინანსურ მაჩვენებლებს;

2. სხვადასხვა ბიზნეს-პროცესში რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც მცირდება წარმოების დანახარჯები და უზრუნველყოფილია სხვადასხვა აქტივობების ოპტიმალური კომბინაცია;

3. ადაპტური ბიზნეს–პროცესის აგება, რომელიც გამიზნული იქნება პროდუქციის საბოლოო მომხმარებელთა მოთხოვნების, წარმოების ტექნოლოგიის, ბაზარზე კონკურენტების ქცევის ცვლილებებთან სწრაფ ადაპტაციაზე და შესაბამისად, მომხმარებლის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე გარემოს დინამიური ცვლილების პირობებში;

4. პარტნიორებსა და კლიენტებთან ურთიერთქმედების რაციონალური სქემების განსაზღვრა, ამის შედეგად მოგების ზრდა და ფინანსური ნაკადების ოპტიმიზაცია.

ბიზნეს–პროცესების რეინჟინერინგი ხორციელდება საინჟინრო მეთოდებისა და ბიზნეს–პროცესების მოდელირების მოწინავე პროგრამული ინსტრუმენტული საშუალებების გამოყენების საფუძველზე, კომპანიისა და საკონსულტაციო ფირმის სპეციალისტთა ერთობლივი გუნდის მეშვეობით.

თანამედროვე ბიზნეს–პროცესის გაგება დაკავშირებულია კონკრეტულ დავალებებთან, საქმიანობასთან, სტრუქტურასთან და მოსახლეობასთან. ბიზნეს–პროცესი, არის ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწყება და სრულდება კლიენტისთვის აუცილებელი ნაწარმის შექმნით. ნებისმიერი ბიზნეს–პროცესის დანიშნულება კლიენტისთვის საქონლის და მომსახურების იმგვარი ხარისხობრივი მახასიათებლებით შეთავაზებაა, რომ მაქსიმალურად იქნას დაკმაყოფილებული მისი მოთხოვნები. ცნება კლიენტი სულ უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს, ზოგიერთი ფირმა მას დამოუკიდებელ ბიზნეს–პროცესსაც კი უკავშირებს, რომლის მთავარი მიზანიც მაქსიმალურად ბევრი კლიენტის მოზიდვა და შენარჩუნებაა ხანგრძლივი დროით.

ბიზნესი როგორც პროცესი გულისხმობს განსაზღვრულ ფუნქციებსფინანსების და აღრიცხვის წარმართვას,საკადრო და მატერიალურ-ტექნიკურ ლოგისტიკურუზრუნველყოფას,-საწარმოო და სხვა სამეურნეო საქმიანობას,მარკეტინგულ საქმიანობას,სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებს.ბიზნეს–პროცესების მართვაში რევოლუცია განახორციელა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს მიღწევებმა, რომელიც ბიზნეს პროცესების ინჟინერინგისა და რეინჟინერინგის შესაძლებლობას იძლევა.

ბიზნეს–პროცესის სწორი ფორმირებისთვის მას ყოფენ ფირმის შიდა და გარე ბიზნეს პროცესად. ორგანიზაციის ფოკუსირება კონკრეტულ პროცესებზე, საწარმოო ფასეულობებზე ფირმას საშუალებას აძლევს საუკეთესო გზით მიაღწიოს სასურველს. ბიზნესის ანალიზის დროს ხშირად იკვეთება საქმიანობის ისეთი მიმართულებები, რომლებიც ორგანიზაციის მთავარ მიზანს არ შეესაბამება. შესაძლებელია მოვიყვანოთ წარმატებული რეინჟინერინგის რამოდენიმე მაგალითი, თუნდაც აღსანიშნავია ერთ–ერთი საკრედიტო ფირმის გამოცდილება (ეი–ბი–ემ კრედიტი).

პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ კლიენტის დაკრედიტების პროცედურა არსებული ტექნოლოგიის პირობებში საჭიროებდა დაახლოებით 6 სამუშაო დღეს, სირთულის შემთხვევაში პერიოდი ორ კვირამდეც იწელებოდა. კრედიტის გაფორმების ასეთმა ხანგრძლივობამ ფირმას ბევრი კლიენტი დააკარგვინა, რაც თავისთავად აისახა ფინანსურ მაჩვენებლებზეც. არსებული ტექნოლოგია არ აძლევდა ფირმას საშუალებას კლიენტისთვის მისი დაინტერესების შემთხვევაში, მიეწოდებინა ზუსტი ინფორმაცია, იმაზე, თუ განხილვის რა ეტაპზე იმყოფებოდა განაცხადი.

ვადის გაგრძელებას იწვევდა ხუთი ფაქტორი - ხუთ განყოფილებაში უნდა განეხილათ საკრედიტო განაცხადი, სანამ საბოლოო გადაწყეტილებას მიიღებდნენ. ინფორმაციის გაცვლის საშუალება განყოფილებებს შორის იყო საქაღალდე დოკუმენტაცია. კომპანიამ პრობლემის მოგვარება გადაწყვიტა რეიჟინერინგის საშუალებით. მისი სამოქმედო გეგმა მოიცავდა:

– საქმეთა არსებული მდგომარეობის ანალიზს;

– თითოეული ნაბიჯის შესრულების ხარისხის მოწესრიგებას;

– ორმა უფროსმა მენეჯერმა გადაწყვიტა თვითონ ეცადა ხუთივე ნაბიჯის შესრულება, რამაც გამოაშკარავა, რომ თვითონ განაცხადის დამუშავებას ესაჭიროებოდა სულ რაღაც 90 წუთი, ხოლო დანარჩენი დრო იკარგებოდა განყოფილებებს შორის ინფორმაციის გაცვლაში. დროის დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ფირმამ ყველა პროცედურა გააერთიანა და ერთ სპეციალისტს ანდო მათი შესრულება. წარმატებულმა შედეგმაც არ დააყოვნა.

ბიზნეს–პროცესების რეინჟინერინგი არის მეთოდებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც ემსახურება ბიზნეს–პროცესების ახალ პროექტირებას თანახმად იმ ცვლილებებისა, რომლებსაც ადგილი აქვთ ბიზნესის გარემოში ან თვითონ ბიზნესის მიზანში. ისევე, როგორც პროექტირების დროს, აქაც აუცილებელია ფუნქციური მოდელის შექმნა და ინფორმაციული ნაკადების აღწერა. მოდელი აღწერს არსებულ მდგომარეობას, ხოლო შესაძლო გაუმჯობესების გზების ანალიზის შედეგად წარმოადგენს სასურველ მდგომარეობას. ბიზნეს-პროცესის რეინჟინერინგი რთული, მრავალასპექტიანი პროექტია, რომელიც ითხოვს გულმოდგინე პროექტირებას და მისი დეტალების დამუშავებას.

წარმატებული რეინჟინერინგის წინაპირობებია:

1. წარამტების განმსაზღვრელი ფაქტორები;

2. რეინჟინერინგის დანერგვის პრეცესის ტიპიური შეცდომების გათვალისწინება;

გამოცდილებამ აჩვენა, რომ იმ ფირმათა 50%, რომელთაც სურდათ რეინჟინერინგის დახმარებით არსებული პრობლემის აღმოფხვრა, პირველ ეტაპზე განიცადეს წარუმატებლობა. წარუმატებლობის მიზეზების გამოსააშკარავებლად ორმოცმა ფირმამ გაიარა გამოკვლევა და საბოლოოდ შემდეგ ჩამოყალიბდა წარმატების ფაქტორები, ესენია:

1. მოტივაცია – მოტივი უნდა იყოს ნათელი და ჩამოყალიბებული, ხელმძღვანელობა დარწმუნებული უნდა იყოს მის წარმატებაში, მას გათვიცნობიერებული უნდა ჰქონდეს სტრუქტურის ცვლილებების აუცილებლობა და მომზადებული უნდა იყოს იმ შეფერხებებისთვის, რაც შესაძლოა წარმოიშვას შრომით რესურსთან მიმართებაში. მას შემდეგ, რაც ფირმა დარწმუნდება რეინჟინერინგის აუცილებლობაში, მან უნდა მოახდინოს საუკეთესო ძალების მობილიზაცია და ჩამოაყალიბოს რეინჟინერინგის ცალკე გუნდი;

2. ხელმძღვანელობა – პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს ხელმძღვანელობის მეთვალყურეობის ქვეშ. ხელმღვანელი თანამშრომლებს შორის უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით. მას უნარი უნდა გააჩნდეს თავის თავზე აიღოს მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობა. დამტკიცებულია, რომ იმ კომპანიათა ეფექტურობა რეინჟინერინგის პროცესში ბევრად დიდია, რომელთაც რელურად აქვთ გაცნობიერებული მოსალოდნელი შედეგები. რეინჟინერინგის პროცესში საჭიროა გუნდის ჭკვიანური მართვა. პროცესის დაწყებამდე ხელმძღვანელმა უნდა ჩამოაყალიბოს ის მოსალოდნელი სირთულეები, რომელიც შეიქმნება ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლის პროცესში, მან უნდა დაარწმუნოს თანამშრომლები სიახლეების უპირატესობაში;

3. თანამშრომლები. ვილორის მიხედვით თანამშრომლები იყოფიან სამ კატეგორიად:

– „ვეფხვები“ – ახალგაზრდა კარიერისტები, რომლებით დიდი შემართებით მუშაობენ პროექტზე, შეუძლიათ ახალ დავალებებზე კონცენტრირება, მაშინაც კი თუ სხვები განსხვავებულ აზრს გამოთქვამენ;

– „ჭიანჭველები“ – თანამრომლები, რომელთაც თავის კარიერაში მიაღწიეს გარკვეულ მიზანს და სურთ მშვიდად და სტაბილურად მუშაობა. ისინი შედარებით რთულად ღებულობენ სიახლეს;

–„ზვიგენები“ – მათ შემუშავებული აქვთ პროცედურები და კომპანიის სამოქმედო ინსტრუქციები. ფლობენ რელურ ძალაუფლებას კომპანიაში და შესაბამისად დიდი საბოტაჟის გამოწვევა შეუძლიათ, იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები მიღებული იქნება მათი ნების საწინააღმდეგოდ;

კომპანიაში ღებულობენ ისეთ კადრებს, რომელთაც შეუძლიათ ახალი დავალების

შესრულება, სჯერათ რეინჟინერინგის და ძალუძთ მიაღწიონ გარკვეულ წარმატებებს (ვეფხვები).

4. გაგება – კომპანიაში ახალი დავალებები გასაგებად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. წარმატებას განაპირობებს თანამშრომლების და ხელმძღვანელობის მიერ ახალი მეთოდების სწორი გაგება, რომელთა დახმარებითაც აპირებენ წარმატებულ ცვლილებებს;

5. ბიუჯეტი;

6. უფრო პრესტიჟულ მიზნებზე ფოკუსირება – ზუსტად უნდა განისაზღვროს თანამშრომელთა როლი და მოვალეობები;

7.გაცნობიერებული შედეგები;

8. ტექნოლოგიური მხარდაჭერა – ტექნოლოგია უნდა იყოს თანამედროვე;

9. კონსულტაცია – დაქვემდებარებულ თანამშრომლებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მმართველთან გაიარონ საჭირო კონსულტაცია.

რეინჟინერინგის პროცესში დაშვებული ტიპიური შეცდომებია:

- პროექტმა შეიძლება განიცადოს კრახი, თუ მასზე პასუხისმგებელ პირს არ უკავია მაღალი თანამდებობა;
- გუნდი ზედმეტად აქცევს ყურადღებას ტექნოლოგიურ საკითხებს;
- მენეჯერები ფიქრობენ: „გააკეთეთ ეს ჩემთვის“, ხოლო თავად არ ღებულობენ პროცესში მონაწილეობას;
- პროცესთან დაკავშირებული რისკი;
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკი;
- კომპანია ცდილობს გააუმჯობესოს არსებული პროცესი, იმის ნაცვლად რომ სრულიად შეცვალოს იგი;
- კომპანია არ კონცენტრირდება ბიზნეს-პროცესებზე;
- კომპანია ფოკუსირდება მხოლოდ პროცესის დაპროექტებაზე, ხოლო დანაჩენ ქმედებებს უგულებელყოფს.
- სათანადოდ არ ფასდება იმ ადამიანთა უნარი, რომელთაც უწევს პროცესში მონაწილეობა;
- შეთანხმება თუ მიიღწევა ვიწრო წრეს შორის;
- კომპანიის კორპორატიული სტრუქტურის მხრიდან ახალი პრინციპების მიუღებლობა აფერხებს რეინჟინერინგს;
- მცდელობა განხორციელდეს რეინჟინერინგი მიმართულებით ქვევიდან–ზევით;
- არ შეიძლება ისეთი მენეჯერის დანიშვნა, რომელსაც არ ესმის რეინჟინერინგის არსი;
- არ შეიძლება რეინჟინერინგის დროს ერთდროულად რამოდენიმე პროექტის განხორციელება;
- რეიჟინერინგის განხორციელება არ შეიძლება ხელმძღვანელობის ცვლილების პარალელურად;
- არ შეიძლება რეინჟინერინგის ჩატარება დროში გაწელილად.

პრაქტიკული ინჟინერინგის მთავარი არსი არის არა თვითონ კომპანია არამედ მასში მიმდინარე ცვლილებები. გამოყოგენ ფუნდამენტურ და რადიკალურ რეინჟინერინგს. ბაზარზე ფირმის მდგომარეობის შესაბამისად იყენებენ ერთ-ერთ მათგანს დანაკარგების თავიდან ასაცილებლად და ეფექტიანობის გასაზრდელად. ფუნდამენტური რეინჟინერინგი კომპანიის წინაშე აყენებს შემდეგ ამოცანებს:

– რატომ აკეთებს კომპანია იმას, რასაც აკეთებს;

– რატომ აკეთებს კომპანია იმას რასაც აკეთებს ისე, როგორც აკეთებს;

– როგორი სურს კომპანიას რომ გახდეს.

რადიკალური რეინჟინერინგი მოიცავს უფრო რადიკალურ ქმედებებს, როგორიცაა თუნდაც მთლიანი პროცესის შეცვლა. ასეთ ქმედებებს ახორციელებენ ფირმები,რომელთა

სასიცოცხლო ციკლი განადგურების ზღვარზეა, ან მეორე მხრივ ამ ნაბიჯს მიმართავენ ფირმა-ლიდერები ბაზარზე პოზიციების უფრო გასამყარებლად და მეტი მომხმარებლის მოსაზიდად.

საქართველოში ჯერ კიდევ ცოტა რამ კეთდება ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგისა და რეინჟინერინგის სფეროში, თუმცა პოზიტიური ცვლილებები და წინსვლა განსაკუთრებით საბანკო და სადაზღვეო ბიზნესებში, მაინც შეინიშნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათშვილი ე., ბულია ლ., „ბიზნეს პროცესების აუტსორსინგი“ ჟურნალი სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, 2014 წ., №1, გვ.74;
2. ისაევი ნ., „ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობაში“ დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.თბ. სტუ. 2015 წ., გვ.166;
3. ოთინაშვილი რ., მახვილაძე კ., „ელექტრონული ბიზნესის რეინჟინერინგი - თანამედროვე უსადენო (ვაერლეს) მოწყობილობების განვითარების ფონზე“, ჟურნალი სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, 2015 წ., 2, გვ. 88;
4. СорокинАл. В, Реинжиниринг бизнес-процессов: Учебное пособие для студентов очного и заочного отделений экономических направлений / Рубцовский индустриальный институт. – Рубцовск, 2014г., 77 с;
5. 5. Mekonen N., Business Process Reengineering (BPR) in Ethiopian Public Universities, LAP LAMBERT Academic Publishing, 7 Jun. 2012y, 116 p.;
6. 6. Hammer M., Champy J., “Reengineering the Corporation: A Manifesto for Business Revolution” Перю с англ. Ю. Е. Корнилович. – 4- е изд. – М.: Манн, Иванов и Фервер, 2011 – 288с;
7. 7. http://en.wikipedia.org/wiki/Business_process_reengineering;
8. 8. http://www.geostat.ge;
9. 9. http://www.statista.com/chart/2214/10-largest-online-retailers/;
10. 10. http://www.top.ge/;
11. 11.inso.ge

Techologies of business procedures reengineering

Ramaz Otinashvili

Summary

The paper deals with the management of enterprise-based business-process management, enterprise organizational structure is shown in the implementation of information technology changes the character and their role is defined in terms of success and business - reinzhineringis tasks. Describes the business - processes reinzhineringis technology works, the project is defined organizational structure, shown in the business - works reinzhineringis main methods and means, including the business - processes, structural, value and dynamic analysis methodology.

The work is constructed in such a way that, to the extent possible, consistently analyze and evaluate topics covered in the basic issues, the activities necessary to build a successful reinzhineringis complex.

Keywords: *Business, management, business-process, information technology, reengineering.*

სამომხმარებლო ფასების ინდექსის შეფასებების ანალიზი საქართველოში

ონიანი ივლია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

კვლევის მიზანი. სამომხმარებლო ფასების ინდექსის (სფი) ანუ ინფლაციის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური ორგანოებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეფასებების ანალიზი და ურთიერთშედარება. ამასთან, შევეცადეთ აგვეხსნა ინფლაციის სუბიექტური აღქმები.

კვლევის მეთოდები. ნალიზისა და შედარების მეთოდები. კერძოდ, გაანალიზებულია ფასებზე დაკვირვების ოფიციალური და არაოფიციალური მეთოდები მათი შედარების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა.

შედეგები და დასკვნები. ინფლაციის არაოფიციალური შეფასებები, რომლებიც მნიშვნელობნად აღემატება ოფიციალურს, ვერ უძლებს კორექტულობაზე შემოწმებას. მათი მიღების უფრო გავრცელებულ მეთოდს ისეთი სამომხმარებლო კალათის გამოყენება წარმოადგენს, რომელშიდაც ჩაყრილია მხოლოდ პირველადი აუცილებლობის საქონელი და მომსახურება, რომელზე მოთხოვნა დაბალელასტიურია, ამიტომ უგულებელყოფილია სხვა დანარჩენი, საკმაოდ რეგულარულად მოხმარებადი საქონელი და მომსახურებაც კი.

საკვანძო სიტყვები: *სამომხმარებლო ფასების ინდექსი; ინფლაცია; სამომხმარებლო კალათა; საქონლის ნაკრები; საშუალო ფასი.*

ძირითადი ტექსტი

ოფიციალური სტატისტიკური შეფასებებით ძირითად კომპონენტებს, რომელსაც შეუძლა გამოიწვიოს სფი-ის დამახინჯება მიეკუთვნება: საქონელისა და მომსახურების ნაკრები, რომელიც გამოიყენება სფი-ის გაანგარიშებაში; წონები, რომლითაც ფასების ინდივიდუალური ინდექსები შეიტანება სფი-ში; ფასების რეგისტრაციის პროცედურა; სამომხმარებლო ფასების ინდექსის გამოსათვლელი ფორმულა და ბოლოს, განზრახ შესწორებები. საქსტატის მეთოდიკიდან გამომდინარე განვიხილოთ ეს კომპონენტები.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის ოფიციალური შეფასების კრიტიკა ძირითადად **საქონლისა და მომსახურების ნაკრებს** ეხება. ასე მაგალითად, საქსტატის მიერ ინფლაციის (სფი-ის) ოფიციალური გამოთვლისას გაითვალისწინება 305 დასახელების სასაქონლო პოზიცია და მომსახურება, რომელთაგან დაახლოებით 60-65% უკავია ხანმოკლე მოხმარების საქონელს, კერძოდ, სურსათი, თამბაქო და ალკოჰოლური სასმელები, ზოგიერთი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სათბობი, კომუნიკაციის საშუალებები და ა. შ. თუმცა, მოსახლეობის უმეტესობა ამ საქონლიდან ბევრ მათგანს მოიხმარს ძალიან იშვიათად, სხვადასხვა გარემოებათა გამო. მთავარი გარემოება კი ისაა, რომ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სახსრები არ ყოფნის ძირითად საკვებ პროდუქტებზეც კი. ამ რეალობიდან გამომდინარე ფასების ზრდის გაანგარიშებისათვის უნდა შევისწავლოთ ფასები ისეთ საქონელსა და მომსახურებაზე როგორიცაა: კვების აუცილებელი პროდუქტები, სათბობი, საბინაო-კომუნალური პირობები, საკომუნიკაციო საშუალებები და არა ისეთ საქნელსა და მომსახურებაზე, რომელთა ღირებულების ცვლილება ყოველდღიურ ხარჯებში არავის აღელვებს, გარდა მოსახლეობის ყველაზე უზრუნველყოფილი 10%-ისა.

საქსტატი, „სამომხმარებლო კალათის" ფორმირებისათვის, რომელშიც შედის საქონლისა და მომსახურების გარკვეული ნაკრები, იყენებს მოსახლეობის საბიუჯეტო გამოკვლევის მონაცემებს. სამომხმარებლო კალათაში შეიტანება მხოლოდ ის საქონელი და მომ-

სახურება, რომლის წილიც მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის ხარჯებში შეადგენს არა ნაკლებ 0.1%-ს . ასეთი ზღვარი გარანტიას იძლევა, რომ გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ის საქონელი და მომსახურება, რომელზეც მოდის მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის ერთობლივი სამომხმარებლო ხარჯების უმეტესი ნაწილი. ასეთი მიდგომით ფუფუნების საგნები ამ ნაკრებიდან გამოირიცხება.

სფი-ი აგების დროს მთავარი კომპონენტი არის აგრეთვე **წონების სისტემა,** რომელიც დასაკვირვებელი ქალაქების ყველა შერჩეული შინამეურნეობის მიხედვით გვიჩვენებს საშუალოდ წელიწადში საქონელზე და მომსახურებაზე დანახარჯების წილს, ამასთან, იგი ასახავს მოსახლეობის დანახარჯების სტრუქტურას მოცემულ რეგიონში, ხოლო ყველა რეგიონის მიხედვით დანახარჯების საშუალო იძლევა სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურას ქვეყანაში. ამ შინაარსით აიგება მოდელი „საშუალო მომხმარებელი". ხარჯების სტრუქტურა განსაზღვრავს წონას, რომლითაც დგინდება საქონლისა და მომსახურების ფასები სფი-ში. იშვიათად მოხმარებად საქონელსა და მომსახურებაზე, მოდის დანახარჯების მცირე ნაწილი. შესაბამისად მისი წილი სფი–ში არის მცირე და მასზე ფასების ცვლილება უმნიშვნელოდ ზემოქმედებს სფი–ის სიდიდეზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად ხდება წონების სისტემის განახლება, ხოლო სამომხმარებლო კალათის შემადგენლობა კი იცვლება საკმაოდ იშვიათად და უმნიშვნელოდ.

სფი–სი სისტემატიური შეცდომის ყველა შესაძლო წყაროდან ერთ-ერთს წარმოადგენს ის, რომ **დაკვირვებისათვის შინამეურნეობების შერჩევა არ ხდება ქვეყნის მთელი მოსახლეობის მიხედვით**. მაგალითად, საქართველოში შერჩევაში მონაწილეობს მხოლოდ ექვსი მსხვილი ქალაქი- თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, გორი, ზუგდიდი. შესაბამისად, ამ გარემოებას სამომხმარებლო ფასების ინდექსის მნიშვნელობაც გადაყავს დაბალი შემოსავლების შინამეურნეობების მხარეზე. ამასთან, ამას მივყავართ ინფლაციის შეფასების არა შემცირებისკენ, არამედ გაზრდისკენ. რაც ნაკლებია შინამეურნეობების შემოსავლები მით უფრო მეტ წილს ხარჯავენ ისინი პირველადი მოთხოვნილების საქონლსა და მომსახურებაზე. ასეთ საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნა დაბალელასტიურია ან საერთოდ არაელასტიურია, რის შედეგადაც ასეთი საქონელი თითქმის მუდმივად და სწრაფად აძვირებს დანარჩენ საქონელსა და მომსახურებას.

ინფლაციის შეფასების სისწორე დამოკიდებულია ასევე **ფასების რეგისტრაციის პროცედურის სწორად ჩატარებაზე**. ინფლაციის დონე ანუ სფი უმეტეს ქვეყნებში ასახავს ფასების ზრდას მხოლოდ ქალაქებში. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საცალო ფასებზე დაკვირვება ხდება მსხვილი ქალაქების მიხედვით, სადაც ცხოვრობს ქვეყნის ქალაქების მოსახლეობის 2/3. ფასების რეგისტრაცია საქსტატის მიერ ხდება ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით ქალაქის ერთსა და იმავე საცალო ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტებში.. დასაკვირვებელი ობიექტების მთლიანი რაოდენობა 1700 აღემატება. **მიუხედავად დაკვირვების ასეთი დიდი რიცხვისა, არსებობს ეჭვები მათი წარმომადგენლობითობის შესახებ**. თუ მოხდა, რომ სავაჭრო ობიექტების შერჩევა არაწარმომადგელობითია, მაშინ სფი-ის სიზუსტის დონე მცირდება. ამასთან, ადგილი არ აქვს ინფლაციის სისტემატურ შემცირებას, რამდენადაც არ შეიძლება, რომ ცალკეულ მაღაზიებში ან მაღაზიათა გარკვეულ ჯგუფში ფასები მუდმივად იზრდებოდეს ნელა, ვიდრე სხვაგან. დროის რაღაც მონაკვეთში ეს შეიძლება ასე მოხდეს, მაგრამ შემდგომში დანარჩენ ობიექტებშიც მოხდება მისი გადიდება.

იმის გამო, რომ არსებობს სხვადასხვა სახეობის ერთი და იგივე საქონელი (საქონელ-წარმომადგენელი), ფასების რეგისტრაცია ხდება თითოეულ სხვადასხვა სახეობის საქონელზე ქალაქების მიხედვით.. თითოეული ქალაქის მიხედვით საშუალოდ ყოველ საქონელზე მოდის 18 კოტირება. ამისათვის დაცული უნდა იყოს **შესადარისობის პრინციპი,** რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი კოტირება ეს არის ფასი, რაც წინა თვეში იყო იგივე სახეობის საქონელზე, იგივე სავაჭრო ობიექტში. მთლიანად ქალაქის მიხედვით საქონელწარმო-

მადგენელთა ფასი გამოითვლება, როგორც კოტირების საშუალო გეომეტრიული სიდიდე. საქონელთა სახესხვაობების არაწარმომადგენლობითობა და დასაკვირვებელი ობიექტების არაწარმომადგენლობითობა იწვევს სფი-ის დამახინჯებას. პირველ შემთხვევაში შემცირების მიმართულებით, ხოლო მეორე შემთხვევაში გადიდების მიმართულებით.

სფი-ის დამახინჯება შეიძლება გამოიწვიოს აგრეთვე **რეგისტრატორების დაბალმა კვალიფიკაციამ ან დაუდევრობამ**. ასე მაგალითად, ერთ თვეში დაარეგისტრირეს ერთი მარკის საქონელი, ხოლო მეორე თვეში სხვა მარკის საქონელი ან ფასი დაარეგისტრირეს შეცდომით. მაგრამ, ამ შემთხვევაში ადგილი ექნება ინფლაციის სისტემატიურად შემცირებას ან სისტემატიურად გადიდებას. პრაქტიკაში რეგისტრაციის შეცდომა დაიშვება იშვიათად, რადგან ტარდება სამომხმარებლო ფასების სისტემატიური შერჩევითი კონტროლი საქსტატის ტერიტორიული ქვეგანყოფილებებისა და თვით ცენტრალური აპარატის მიერ.

ინფლაციის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების რეპრეზენტატივობის უზრუნველყოფა, და აგრეთვე, ოფიციალური და ალტერნატიული შეფასებების ცდომილების მიზეზის გარკვევა მოითხოვს **განზოგადებულ მაჩვენებელთა სისტემის გამოთვლის მეთოდოლოგიური საკითხების განხილვას, სადაც პრიორიტეტი ფასების ინდექსებს ენიჭება**.

მსოფლიო პრაქტიკაში ინფლაციის საერთო დონის დახასიათებისათვის გამოიყენება ორი მაჩვენებელი: **სამომხმარებლო ფასების ინდექსი ,** რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს ინფლაციის დონე სამომხმარებლო ბაზარზე და **მთლიანი შიგა პროდუქტის ინდექს-დეფლატორი,** რომლითაც ფასდება ინფლაციის დონე ქვეყანაში წარმოებულ და მოხმარებულ მთლიანი დოვლათის მიხედვით.

სფი-ს გაანგარიშების პირველ ეტაპზე, დასაკვირვებელ ქალაქებში ფასთა მონაცემების რეგისტრაციის საფუძველზე, კონკრეტულ საქონელზე და მომსახურებაზე, განისაზღვრება საანგარიშო და წინა თვის საშუალო **შესადარი ფასები**. შესადარად ითვლება ფასი, რომელიც რეგისტრირებულია ხარისხის მიხედვით ანალოგიურ საქონელზე ერთსა და იმავე სავაჭრო დაწესებულებაში. ფასობრივი ინფორმაციის შესადარისობის უზრუნველყოფისათვის, მაგალითად, როდესაც გაყიდვაში არ არის ესა თუ ის საქონელი, გამოიყენება საქონლისა და მომსახურების **ჩანაცვლების მეთოდი**. ასეთი ჩანაცვლება იძლევა სისტემატურ შეცდომას, რომელიც განპირობებულია ჩანაცვლების ეფექტით (როცა სამომხმარებლო საქონლის ერთი ნაწილი ძვირდება ძალიან, მისი ჩანაცვლება ხდება უფრო იაფი საქონლით, მაგრამ ეს ჩანაცვლება შეიძლება მოხდეს გადიდების მიმართულებითაც).

მეორე ეტაპზე, თითოეული ქალაქისათვის გამოითვლება **საშუალო ფასები და ფასების ინდივიდუალური ინდექსები**, რომელიც გამოიყენება ყველა საქონლის მიხედვით საშუალო შეწონილი ფასების და საშუალო ინდექსების განსაზღვრისათვის რეგიონულ დონეზე. ტერიტორიალურ წონებად ამ მაჩვენებლების გაანგარიშებისას, გამოიყენება განსახილველი ქალაქის მოსახლეობის წილი ტერიტორიის მოსახლეობის მთელ რიცხოვნობაში.

საქსტატის შეფასების თანახმად, ჩანაცვლების ეფექტის გათვალისწინებით სამომხმარებლო ფასების ზრდა 2012 წლის ბოლოდან 2016 წლის ბოლო პერიოდის ჩათვლით ოფიციალური სამომხმარებლო ფასების ინდექსით ინფლაციის დონე მომატებული არის 12,6%-ით ანუ საშუალოდ წელიწადში 2,1%-ით. ხოლო ალტერნატიული შეფასებებით 4,2–5,0 %-ით.

სამომხმარებლო ფასებზე დაკვირვების პროცესში ადგილი აქვს ინფლაციის შესახებ მონაცემების **განზრახ დამახინჯებას**. ამისათვის, ქვედა დონეზე რეგისტრაციის მომენტში, საჭიროა დაფიქსირდეს უფრო დაბალი ფასები, ვიდრე სინამდვილეშია. მაგრამ, ჯერ ერთი, რამდენადაც ყოველთვიურად ქვეყნდება არა მხოლოდ ფასების ინდექსი, არამედ ყოველ რეგიონში საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასები, ასეთი დამახინჯებით გამოთვლილი მონაცემები იმდენად შორსაა სინამდვილისაგან, რომ ეს შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევი ხდება. მეორე, ფასების რეგისტრაციაზე მრავალი ადამიანია დასაქმებული და თუ რაიმე ასეთი მოხდა, მაშინ ამის შესახებ ინფორმაცია უცებ გაჟონავს მასობრივი

ინფორმაციის საშუალებებით. ამასთან, ფასების რეგისტრაცია არის მხოლოდ ერთად-ერთი ოპერაცია, რომელიც ხელით სრულდება, ხოლო შემდგომი დამუშავებისათვის მონაცემები შეაქვთ კომპიუტერში. ისეთი მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორიცაა საშუალო ფასები, ფასების სხვადასხვა კერძო ინდექსები, რეგიონების მიხედვით ნაერთი სფი-ის გაანგარიშება ხდება ავტომატურ რეჟიმში. ამ პროცესში რაიმე ხერხით ჩარევა შეუძლებელია. შემდგომ სტატისტიკის ტერიტორიული ორგანოები მონაცემებს გადაცემენ საქსტატს, სადაც ხდება მონაცემების გამოთვლა მთელი ქვეყნის მიხედვით. თეორიულად ჩარევა აქ შესაძლებელია რეგიონებიდან მიღებული მონაცემების შეტანისას (მონაცემების შეცვლა) და გამოტანისას (ჯამობრივი შედეგების შემცირება). ამასთან, სფი-ის შესახებ მონაცემი გამოიყენება სტატისტიკის სხვა დარგებშიც, კერძოდ: საშინაო და საგარეო ვაჭრობის, ცხოვრების დონის, მომსახურების სფეროს სტატისტიკა და ეროვნულ ანგარიშწარმოებაში. ამდენად, შეუძლებელია ფასებზე და მათ ცვლილებაზე მონაცემების შესწორება ისე, რომ ყველა სტატისტიკურ მაჩვენებელთა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არ დაირღვეს. ასეთი დისბალანსი კი შეუმჩნეველი არ რჩება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის.

მაშასადამე, ფასების შესახებ ამოსავალი ინფორმაციის შეგროვებისა და სფი-ის გაანგარიშებისათვის ოფიციალური სტატისტიკის მიერ შემოთავაზებული მეთოდების გამოყენებამ შეუძლებელია გამოიწვიოს ინფლაციის მაჩვენებლის სისტემატიური შემცირება. ეს მეთოდიკა არ იძლევა აგრეთვე ამ მაჩვენებლის განზრახ შეცვლის შესაძლებლობასაც.

<u>ინფლაციის სუბიექტური აღქმები</u> – რიგითი ადამიანების მხრიდან ინფლაციის ოფიციალური შეფასების უნდობლობა გავრცელებულია ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ამ უნდობლობის მიზეზი მათი ხედვების თავისებურებაში მდგომარეობს. ამ ხედვებს საერთო თვისებაა ის, რომ სუბიექტური შეფასებები ყოველთვის გაცილებით მაღალია ობიექტურზე. ამასთან, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ფასების გადიდება უბრალოდ, უფრო შესამჩნევია და ამას გაცილებით ემოციურად აღიქვამენ ადამიანები, ვიდრე ფასების შემცირებას. ადამიანებს აღაშფოთებთ, რომ 1კგ. ხორცი ღირს 12,0 ლარი, მაგრამ ისინი არაფერს ამბობენ იმაზე, რომ 1კგ. კარტოფილი წინა წელთან შედარებით გაიაფდა 60-65 %-ით.

მაშასადამე, რიგითი მომხმარებლების მხრიდან ინფლაციის მნიშვნელოვანად მაღალი შეფასების ერთ-ერთ მიზეზი არის ისიც, რომ მომხმარებელთა ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ საქონელზე, რომელზეც ფასები იზრდება და ყურადღებას არ აქცევს იმ საქონელს რომელზეც ფასები არ იცვლება ან შეიძლება მცირდებოდეს კიდეც. მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ინფლაციის აღქმა გამომდინარეობს ფასების აბსოლუტური ზრდიდან და არა იქიდან, თუ რამდენად გაძვირდა მისი **პირადი სამომხმარებლო კალათა**.

მაგალითად, 2015 წლის მარტში ბრინჯი და წიწიბურა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაძვირდა შესაბამისად 18,9 და 35,87%-ით. მაგრამ არ შეცვლილა ფასები პურზე, ძროხის ხორცზე, პასტერიზებულ რძეზე, ხოლო ქათმის ხორცზე, ყველზე, სულგუნზე, შებოლილ თევზე ფასები შემცირდა შესაბამისად–1,35; 3,1; 3,8; 0,4 პროცენტით შემცირდა. რიგითი მომხმარებელი კი აკეთებს დასკვნა, რომ ფასების საერთო დონის თვიური ზრდა ოფიციალური შეფასებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული და შეადგენს მხოლოდ 4,0%-ს. მაგრამ 2015 წლის სამომხმარებლო ფასების ინდექსში ბრინჯისა და წიწიბურას წონა შეადგენდა 0,243%. მისი გაძვირების წილი 2015 წლის მარტის თვის ინფლაციაში შეადგენს 0,08 პროცენტულ პუნქტს. თუ კი ავიღებთ არა საშუალო მომხმარებელს, არამედ კონკრეტულ მომხმარებელს, რომელიც მოიხმარს მეტ ბრინჯსა და წიწიბურას ვიდრე სხვა სურსათს, მაშინ წიწიბურას ფასის გაზრდის გამო მისი პირადი სამომხმარებლო კალათის ღირებულება გაიზრდება მაქსიმუმ 1-2 %-ით.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აგრეთვე ინფლაციის შესახებ **სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების** შეფასებები ოფიციალურთან შედარებით. ჩვენი აზრით ამის

მიზეზი **ინფლაციის გამოთვლის არასწორი მეთოდების** გამოყენებაში მდგომარეობს. გარდა ამისა, ძალზე **მწირად** არის მოყვანილი ამოსავალი მონაცემები, თუ კი ის საერთოდ არსებობს. აქედან გამომდინარე ხშირად ხმამაღალი შეფასებები სრულიად უსაფუძვლოა. მათი აზრით საქართველოში ისე, როგორც რუსეთში, ამერიკაში და ევროპაში, ინფლაციის გაანგარიშებისათვის გამოიყენება **საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდიკა, რომელიც ამცირებს ინფლაციის დონეს**. საქსტატი თავისი მეთოდიკის შემუშავების დროს ხელმძღვანელობს **შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიური დოკუმენტებით**. ეს დოკუმენტია-რეზოლუცია „სამომხმარებლო ფასების ინდექსის შესახებ, რომელიც მიღებულია შრომის სტატისტიკოსთა მე-17 საერთაშორისო კონფერენციაზე 2003 წელს".

კრიტიკული შეფასებების ავტორები არასოდეს განმარტავენ სფი-ის გაანგარიშების ზოგადად მიღებული პრინციპები რა შინაარსით მიგვიყვანს ინფლაციის შეფასების მნიშვნელოვანი შემცირებისაკენ. თუმცა ნათქვამია, რომ "საქსტატი ანგარიშობს მას ხელოვნური სამომხმარებლო კალათის მიხედვით, რომელიც სულ იცვლება, კალათიდან ქრება ის საქონელი, რომელზედაც ფასები მნიშვნელოვნად იზრდება და ემატება ის საქონელი, რომელიც უმნიშვნელოდ ძვირდება" ასეთი ახსნა ძალიან შორსაა ჭეშმარიტებისაგან. სფი-ის შემცირების მტკიცებით მივდივართ ასეთ მოსაზრებამდე: ვთქვათ მშპ-ს დეფლატორი ტოლია 12,8% (2011 წლის საშუალოწლიური 2010 წლის საშუალწლიურთა შედარებით), მაშასადამე, სამრეწველო ინფლაცია (მწარმოებელთა ფასების ინდექსი) უახლოვდება 13%-ს, ეს კი ნიშნავს, რომ შემდგომ წელში სფი იქნება მაღალი. ან ეს ნიშნავს, რომ სფი უკვე აღემატება 13 %-ს. აქვე უნდა ითქვას, რომ მშპ-ს დეფლატორსა და სფი-ს მნიშვნელობას შორის არ არის ერთმნიშვნელოვნად პირდაპირი კავშირი, რადგან მშპ-ს გამოყენების სტრუქტურაში შინამეურნეობების მოხმარების გარდა შედის: სახელმწიფო ინსტიტუციების საბოლოო მოხმარება, ძირითადი კაპიტალის დაგროვება, ექსპორტი და იმპორტი. თუ კი სამომხმარებლოსთან შედარებით სახელმწიფოს მიერ პროდუქციის შესყიდვაზე ფასები უფრო სწრაფად იზრდება, მაშინ ეს, არამც და არამც, არ გამოიწვევს შემდგომ წელს სამომხმარებლო ბაზარზე ინფლაციის დაჩქარებას, ხოლო ძირითად ფონდებზე ფასების გაზრდა გამომჟღავნდება სამომხმარებლო ფასებზე ლაგით, რომელიც გადანაწილდება რამდენიმე წელზე, ხოლო რაც შეეხება საექსპორტო ფასებს, მისი ცვლილება საერთოდ არ აისახება შიგა ფასებზე. მაშასადამე, ალტერნატიული შეფასებები არ ეყრდნობა არავითარ გაანგარიშებებს. ის გაზომვები, რომელიც არაფერს ეფუძნება, დაუსაბუთებელი პოსტულატია.

„სოციალური" ინფლაციის შეფასების შედეგები 2012-1016 წწ საქართველოში %-ში

	2012	2013	2014	2015	2016
ალტერნატიული შეფასებები	102,4	102,2	106,2	108,7	105,2
ოფიციალური შეფასებები	99,1	99,5	103,1	104,0	102,1

გაანგარიშებები ეყრდნობა საქსტატის მონაცემებს ფასებისა და ტარიფების შესახებ და ინფლაციის სუბიექტურ შეფასებებს. სფი-ის გაანგარიშებისათვის სამომხმარებლო კალათის შესახებ მოსაზრებებს მივყავართ კანონმდებლობით დამტკიცებული რეგლამენტირებული აუცილებელი სოციალური ნაკრების გამოყენების აუცილებლობისაკენ, რომელიც საერთაშორისო კლასიფიკატორის (COICOP) თანახმად, მოიცავს 12 სასაქონლო ჯგუფს. რომელშიდაც შეტანილია 305 დასახელების საქონელი და მომსახურება. აქედან 30,1% სასურსათო საქონელია; 6,4% ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო; 3,4% ტანსაცმელი და ფეხსაცმელი; 8,4% საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელ. ენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები; 6,6% ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა-შეკეთება; 8,4% ჯანდაცვა; 3,7% კავშირგაბმულობა; 6,4% დასვენება, გართობა, კულტურა; 4,7% განათლება; 4,1% სასტუმროები, რესტორნები, კაფეები; 4,9% სხვადასხვა საქონელი და მომსახურება. ყველა ამ საქონელს ახასიათებს დაბალი ან სულაც არაელასტიური მოთხოვნა, რაც იწვევს მათზე ფასების წინმსწრები ტემპით ზრდას, ხოლო თუ გამოყენებული ნაკრების ერთობლივი წონა

სფი-ში დასაშვებზე ნაკლებია, მაშინ სამომხმარებლო კალათა არაწარმომადგენლობითია. ისმის კითხვა, ალტერნატიულ შეფასებებში არის კი გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების ნორმირებული წონები? და საერთოდ რა წესით გამოთვალეს ნაკრების ღირებულების მატება? ამასთან, არ არის გამორიცხული, აგრეთვე, გაანგარიშებაში ელემენტარული არითმეტიკული შეცდომებიც.

მაშასადამე, ინფლაციის ალტერნატიული შეფასებები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურს, ვერ უძლებს კორექტულობაზე შემოწმებას. მათი მიღების უფრო გავრცელებულ მეთოდს ისეთი სამომხმარებლო კალათის გამოყენება წარმოადგენს, რომელშიდაც ჩაყრილია მხოლოდ პირველადი აუცილებლობის საქონელი და მომსახურება, რომელზე მოთხოვნა დაბალელასტიურია, ამიტომ უგულებელყოფილია სხვა დანარჩენი, საკმაოდ რეგულარულად მოხმარებადი საქონელი და მომსახურებაც კი, მაგალითად, თითქმის ყველა სამრეწველო საქონელი. ასეთ კალათაზე მოდის საშუალო მომხმარებლის ხარჯების არა უმეტეს მეხუთედი ნაწილი. საშუალო შესაძლებლობის კონკრეტული მომხმარებლისათვის ეს წილი, რა თქმა უნდა, იქნება მაღალი, მაშინ, როცა უხეში შეფასებით, არ აღემატება 30-40 პროცენტს. არ არის გათვალისწინებული ასევე მოხმარების სტრუქტურა, ე.ი. ის, რომ კალათაში შემავალი საქონელი მოიხმარება სხვადასხვა რაოდენობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო. საქსტატი, 2013წ. 15 თებერვალი, №3 დადგენილება.
2. ზოგადი განმარტებები ინფლაციის მეთოდოლოგიისა და სამომხმარებლო კალათაზე. საქსტატი, 2013.

Analysis of assessment of consumer price index in Georgia

Ivlia Oniani

Summary

In the society, as officially, as well unofficially, there is often talked about that information on Consumer Price Index (CPI) or inflation is 2-3 times reduced and assessments of social organizations gives completely adverse information. Because of information provided by them, the so-called “real inflation” reflects real state. Such kind of accusations are often heard in mass media, other meetings, many people doesn’t trust official information on inflation.

For solving the problem, we considered to compare and analyse those methodological approaches and visions used for calculation of consumer price index by official statistic organizations and other societies. Besides, we tried to explain subjective perception of inflation.

Key words: *Consumer Price Index, Inflation, Consumer basket, Swing Set, average price*

რა შეიძლება გავითვალისწინოთ სინგაპურის აგროეკონომიკური მოდელიდან

რაჟამაშვილი ნინო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია წარმოადგენს სინგაპურის აგროეკონომიკური მოდელის მიმოხილვას საქართველოს ჭრილში. სტატიის მიზანი არის შესაბამისობის დადგენაა ამ ორი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, მათ რესურსებსა და პოტენციალს შორის. საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ცდილობს გლობალურ გარემოში ღირსეული ადგილის დაკავებას, ქვეყანაში არის მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები, ხშირია პოლიტიკური კონფლიქტები რაც თავისთავად აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. მიუხედავად იმისა რომ გატარდა არაერთი რეფორმა მოსახლეობის ფიანანსური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება, მაღალია ინფლაცია, ეროვნული ვალუტა დევალვირდება, აღინიშნება ინვესტიციების კლება.

ქვეყანა საჭიროებს მყარ და სტაბილურ ეკონომიკურ გარემოს, რაც თავისმხრივ განაპირობებს მოსახლეობის კმაყოფილების ზრდას, უმუშევრობის დონის კლებას და ა.შ. სოფლის მეურნეობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. აქედან გამომდინარე გადავწყვიტე განმეხილა სინგაპურის ეკონომიკური წინსვლის ერთ ერთი ფაქტორი, აგრო პოლიტიკა, შემედარებინა ამ ორი ქვეყნის რესურსები, მათი გეოგრაფიულ-ეკონომიკური მსგავსება და ამის საფუძველზე გამოგვეტანა დასკვნა-თუ რამდენად შეიძლება ამ მოდელის საქართველოში დანერგვა.

საკვანძო სიტყვები: *სოფლის მეურნეობა; აგროტექნოლოგიური პროგრამა; მიწის რესურსი; წარმოებული აგრო პროდუქცია.*

ძირითადი ტექსტი

სინგაპური საქართველოდან შორს, 7 ათასი კილომეტრის დაცილებით მდებარეობს, თუმცა ორივე ქვეყანას მსგავსი შესაძლებლობები აქვს: საქართველოც სინგაპურის მსგავსად შედარებით მცირე ქვეყანაა (სინგაპური ორი თბილისის ხელა ქალაქ სახელმწიფოა) და რეგიონული და მსოფლიო მოთამაშეების-რუსეთის, თურქეთისა და ირანის გზაჯვარედინზე მდებარეობს, აღსანიშნავია ისიც რომ სამეზობლოში რთული ურთიერთობა არის, ორივე ქვეყანას გააჩნია საკუთარი პორტი. სინგაპურის მსგავსად საქართველოს არ გააჩნია მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსი და ნავთობისა და გაზის სატრანზიტო მარშუტების შუაგულში იმყოფება. თუ გადავხედავთ ეკონომიკური გავითარების ძირითად მაჩვენებლებს მსავსებას დავინახავთ საქართველოსთან.[1]

სინგაპურში 2014 წლის მონაცემებით 5.75 მილიონი მოსახლე (არარეზიდენტების ჩათვლით)[2] იყო ამასთან ერთად ყოველწლიურად დაახლოებით 7 მლნ. ტურისტი სტუმრობს, ხოლო საქართველოში 3,75 მლნ. [3] მიწის ის მინიმალური ფართობი რაც აგრო წარმოებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული მაქსიმალურადაა ათვისებული და სწორი პოლიტიკის საშუალებით ქვეყანამ შეძლო მოსახლეობის და ტურისტების დაკმაყოფილება გარკვეული პროდუქტებით და ჭარბი რესურსის ექსპორტირებაც. როგორიცაა კვერცხი, ხორცი, თევზი და გადამუშავებული საკვები. საქართველოს სინგაპურთან შედარებით ბევრად მეტი პოტენციალი აქვს, რომელიც სამწუხაროდ აუთვისებელია.

სინგაპურმა დიდი და რთული გზა განვლო დასახული იზნების მისაღწევად. საქართველოც ისევე როგორც სინგაპური ეტაპობრივად ცდილობს დაბრკოლებების გადალახვას და მყარი, საიმედო ეკონომიური გარემოს ჩამოყალიბებას.

იმის გასარკვევად, მართლაც შეიძლება თუ არა სინგაპურის აგრო ეკონომიკური მოდელის გამოყენება საქართველოში უნდა განვიხილოთ სინგაპურის და საქართველოს წარსულის

მაჩვენებლები და ასევე უნდა აღვნიშნოთ რა პროგრესი განიცადა წლების მანძილზე ეკონომიკურმა მდგომარეობამ.

სინგაპურის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მაჩვენებლები, რომელიც მიმართულია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისკენ მოიცავს ისეთ ძირითად პრინციპებს როგორიცაა (ეს პრინციპები ეხება სოფლის მეურნეობასაც):

- სტაბილური და ხელსაყრელი გარემო კერძო სექტორის განსავითარებლად;
- საგადასახადო პოლიტიკის სტრქუტურიზაცია და ოპტიმიზაცია;
- პროტექციონისტული პოლიტიკა და ექსპორტით იმპორტის გადაფარვა.

1987 წელს სინგაპურში დაახლოებით იყო2’075 ფერმა სოფლებში, რომელსაც ეკავა 2’037 ჰექტარი. თითოეულ ფერმას ჰქონდა 1 ჰექტარზე ნაკლები ტერიტორია. წლების განმავლობაში ვითარება შეიცვალა სინგაპურში. ფერმებმა იწყო კლება და სინგაპური გახდა იმპორტზე დამოკიდებული. 1984 წელს კი სინგაპურში აქტუალური იყო ღორების მოშენება, რაც იწვევდა გარემოს დაბინძურებას[4] და საჭირო გახდა ახალი პროგრამის შემუშავება.

1986 წელს შემუშავდა აგროტექნოლოგიური პროგრამა, რომელიც 3 ძირითად კომპონენტს მოიცავდა:

1. განვითარებულიყო აგრობიზნესი და დაარსებულიყო თანამედროვე ფერმები;
2. გაღრმავებულიყო აგროტექნოლოგიური და აგრობიოლოგიური ცოდნა;
3. ხელი შეწყობოდა ინვესტიციების მოზიდვას აგრო ბიზნესის კუთხით.

ამჟამად სინგაპურში ხდება პროდუქციის 90%-ის იმპორტირება რათა მოხდეს ადგილობრივთა და ტურისტთა გამოკვება.

მიუხედავად იმისა, რომ სინგაპური იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა მაინც ვხვდებით აგრო ბიზნესს, რომელიც მორგებულია თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ბოლო მონაცემებით სოფლის მეურნეობას უკავია 1’465 ჰექტარი, დაახლოებით 200 ფერმერი აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. მოხდა მიწების გამსხვილება, რამაც ხელი შეუწყო წარმოების ხარჯების შემცირებას. ისინი მიჰყვებიან მეცხოველებას. აწარმოებენ კვერცხს, რძეს, საკვებ თევზს (აქვთ აკვარიუმები), ბოსტნეულს, ხილს, ორქიდეას, დეკორატიულ და წყლის მცენარეებს, აშენებენ ძაღლებს და ფრინველებს.[5]

საქართელოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული დარგია სოფლის მეურნეობა. თუ წარსულ მაჩვენებლებს გადავხედავთ 1990 წლიდან აგრო ბიზნესის განვითარების ტენდენციები მკვეთრად მერყეობდა. დაეცა ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებაც რადგან არ არსებობდა ქვეყანაში ტექნიკა, არ იყო მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა. კომერციული ბანკების ინტერესი ნაკლებრისკიანი პროდუქციის წარმოებისკენ იყო მიმართული. არ იყო ფორმირებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა.

სადღეისოდ კი ბანკების გარდა მიკროსფინანსო ორგანიზაციებიც სთავაზობენ მომხმარებლებს აგრო სესხებს მაგრამ არის კიდევ ერთი პრობლემა, ძალიან ძვირი კრედიტები გაიცემა და ისიც უმეტესწილად მიმართულია გადამამუშავებელ საწარმოებზე და არა უშუალოდ სოფლის მეურნეობაზე. არ არსებობს სპეციალიზირებული აგრო საკრედიტო სისტემა რაც მართლაც დაეხმარებოდა სოფლის მოსახლეობას სათანადოდ მიექცია ტურადღება მის ხელთ არსებული რესურსებისათვის. 2013 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მომხმარებლებს შესთავაზა შეღავათიანი აგრო სესხი და ამავე წელს მცირე მიწიანმა ფერმერებმა მიიღეს დახმარება რათა ჩაეტარებინათ საგაზაფხულო სამუშაოები. ამის მიუხედავად 2012-2014 წლებში მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი 0,8%-ით გაიზარდა 8,6% →9,4%. აღნიშნული მაჩვენებლი ზრდის მცირე ტემპზე მიუთითებს.

თუ გადავხედავთ მაჩვენებლებს აღმოვაჩენთ, რომ 2003-2010 წლებში მნიშვნელოვნად შემცრიდა ერთწლოვანი კულტურების ნათესი ფართობები. მაგალითად 50 % შემცირდა - სიმინდის, კარტოფილის და ბოსტნეულის, 60 % - კი ხორბლის მოყვანა. რაც ერთის მხრივ განპირობებულია ქვეყანაში იმპორტირებული კულტურების სიმრავლითა და კონკურენტუუნარობით, მეორეს

მხრივ კი გლეხების პროტესტით -ფიზკურად იშრომონ მაშინ როდესაც საბაზრო ფასი ეროვნულ პროდუქტზე წარმოუდგენლად დაბალია.[6]

რა უნდა გავითვალისწინოთ სინგაპურის აგრო ეკონომიკური მოდელიდან, განვითარების შემდეგ ეტაპზე რომ გადავიდეთ?!

საქართველოში არის ბარსელაციის პრობლემაც, მიწები მცირე ნაკვეთებად არის დაყოფილი, ამიტომ მექანიზაციის გამოყენება მცირე ნაკვეთებში ნაკლები ეფექტურია, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას, ხოლო დაბალი შრომისნაყოფიერება კი განსაზღვრავს პროდუქტის მაღალ ფასს, ასე რომ თუ გვსურს ფასის მიხედვით კონკურენტუნარიანი პროდუქცია ვაწარმოოთ საჭიროა დანაწევრებული მიწების ნაკვეთები გამსხვილდეს. (ეს პრაქტიკა არა მხოლოდ სინგაპურში არის დანერგილი და ყველგან წარმატებით განხორციელდა მაგ. ჩვენს მეზობელ თურქეთშიც მოხდა მიწების გამსხვილება.)

მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფოს მხრიდან საქართველოში იმპორტჩამნაცვლებადი პროდუქციის სტიმულირება. რათა ქვეყანამ მაქსიმალურად აითვისოს მის ხელთ არსებული პოტენციალი. დღესდღეობით ხდება ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან პროდუქციის იმპორტირება, იმპორტირებული პროდუქტი გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის ფასზე. ხშირ შემთხვევაში იმპორტირებული პროდუქციის ფასი ადგილობრივზე ნაკლებია ამის გამო ხშირად ადგილობრივი სასათბურე მეურნეუბები იმპორტიორ ქვეყნებს დემპინგურ საფასო პოლიტიკაშიც კი სდებენ ბრალს.

საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია იმპორტზე, იმპორტის ზრდა კი სავაჭრო დეფიციტის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია. სოფლის მეურნეობა საკმაოდ რთული დარგია, დახშირ შემთხვევაში მაღალ განვითარებულ ქვეყნებშიც კი დოტაციურია. მიუხედავად სირთულისა და უამრავი რისკისა საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის, სოფლის მეურნეობის განვითარებას ეკონომიკაში მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებების მოტანა შეუძლია. თუ ქვეყანა აქცენტს გააკეთებს ადგილობრივ წარმოებაზე ბუნებრივია გაიზრდება სასათბურე მეურნეობებში, ხილ-ბოსტანის გადამამუშავებელ ქარხნებში დასაქმებულთა რიცხვი. ეს იქნება უმუშევრობასთან ბრძოლის და ქვეყნის მწარმოებლურობის ზრდის ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი. თუმცა აქვე ავღნიშნავ რომ,გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა დეტალი რასაც შეუძლია ამ დარგის განვითარების შეფერხება.[7]

შესაძლებელია სოფლის მეურნეობის უფრო მაღალტექნოლოგიურ დარგად ტრანსფორმირება და სოფლის მეურნეებისათვის თანმდევი რისკების შემცირება. აუცილებლად უნდა მოვარგოთ საქართველოში წარმოებული პროდუქცია თანამედროვე მოთხოვნებს, რათა შევძლოთ მაქსიმალური შედეგის მიღება. ასევე უნდა მოვახერხოთ სწორად ფორმირება იმ პროდუქციისა რისი წარმოებაც გვსურს რათა არ მოხდეს ჭარბი რაოდენობის ურეალიზაციოდ დარჩენა. უნდა იყოს ხარისხის კონტროლი (სინგაპურში ეს უკანასკნელი ძალიან გამკაცრებულია).

ეს ყველაფერი გარკვეულ რისკებთანაცაა კავშირში მაგალითად მიწების გამსხვილება სტიმულს მისცემს მექანიზაციის განვითარებას, რაც შეამცრებს დასაქმებულთა რაოდენობას, ამის აღმოსაფხვრელად გამოსავალია რეგიონებში აგრო წარმოების პროდუქციის გადამამუშავებელი ქარხნების დაარსება. ასევე აუცილებელია სოფლის მეურნეობაის სექტორში დასაქმებული ხალხის დატრენინგება რათა იცოდნენ რა არის ოპტიმალური მათთვის. ამასთან ერთად ამ დარგიდან მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოგების მიღება შეუძლებელია, რადგან სოფლის მეურნეობაში არის ყველაზე სრულყოფილი კონკურენცია. ფაქტიურად გვაქვს ნულოვანი ეკონომიკური მოგება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩიგოგიძე, ხ. (2011, ოქტომბერი). WWW.GFSIS.ORG. Retrieved from http://gfsis.org/index.php/ge/activities/projects/view/86/page/189/id/299
2. https://en.wikipedia.org/wiki/Demographics_of_Singapore
3. http://www.ambebi.ge/sazogadoeba/101861-ramdeni-adamiani-ckhovrobs-saqarthveloshi-uakhlesi-kvlevis-shedegebi.html
4. http://countrystudies.us/singapore/39.htm
5. https://www.guidemesingapore.com/industry-guides/restaurant/importing-food-products-into-singapore
6. www.ei-lat.ge
7. წიქორიძე, ზ. (2011, აგვისტო 11). საქართველოს ეკონომიკისთვის პრიორიტეტული დარგების შერჩევის შესახებ. Retrieved from www.worldpress.com: https://zazatsikoridze.wordpress.com/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90/

What can we take into consideration from the agro-economic model of Singapore?

Nino Rajamashvili

Summary

The present article presents overview of Singapore's agricultural model and its Determination how it will work in Georgia. From our point of view, Georgia is really similar to Singapore and the right policy will help our country to find proper position in the world. To summarize potential of these two countries will find out that Georgia has much more potential than Singapore, has more resources than Singapore. From agricultural products Singapore produces and exports just fish, chicken (meet) and egg. Even though in Georgia we meet poultry, hog breeding, horse and goat breeding, beekeeping, fishery and we have potential to produce vegetables and fruit. And the main we have agricultural land recourses, which needs are, protection and proper realization.

Our country needs right policy to use our resources properly. As a result we will get strong economical environment (which one of the main part is agriculture), growth of satisfaction population, unemployment level will be decreased and etc.

Key words: *Agriculture, Agro technological program, Land resources, Produced agro products*

„ლურჯი ეკონომიკა“ მდგრადი განვითარების კონცეფციის კონტექსტში

სიჭინავა ალექსანდრე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

სეხნიაშვილი დალი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მსოფლიო ეკონომიკა ბუნებრივი რესურსების მოხმარების და ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპებზე უნდა იყოს აგებული. საქმე ეხება ფუნდამენტურ პრობლემებს: კაცობრიობის უნარს შეცვალოს თავის დამოკიდებულება როგორც გარემომცველი გარემოს, ასევე ცივილიზაციის მომავლისადმი, უწინარეს ყოვლისა, კი ბუნებრივი რესურსებით ადამიანების უზრუნველყოფისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისადმი.

მიუხედავად ბუნებათსარგებლობის ზოგიერთი ოპტიმისტური ვარიანტის რეალიზაციის შესაძლებლობისა [1,2], იმის შესახებ დასკვნის გაკეთება, რომ კაცობრიობას წარმატებით შეუძლია გადაჭრას დედამიწის ყველა კოსმიური პრობლემა, შეუძლებელია. მაგრამ სავსებით ნათელია ერთი რამ, უაღრესად სწრაფად უნდა შეიცვალოს ბუნებრივი რესურსების მოხმარების არსებული პარადიგმა და კაცობრიობა მდგრად განვითარებაზე უნდა გადავიდეს.

ნაშრომის მიზანია, “ლურჯი ეკონომიკის” ცნების ახსნა, მისი წინაპირობების გამოვლენა, სამომავლო შესაძლებლობების განხილვა და განვითარების პროგნოზების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, ნარჩენების წარმოების შემცირება, წრიული ეკონომიკა, “მწვანე ეკონომიკა”, “ლურჯი ეკონომიკა”.*

ძირითადი ტექსტი

გლობალური სახელმძღვანელო ინიციატივები მდგრადი განვითარების მიმართულებით

საუკუნის წინ აკადემიკოსმა ვ. ვერნადსკიმ წამოაყენა იდეა ნოოსფეროს წარმოქმნის გარდუვალობის შესახებ, სადაც ადამიანი და ბუნება მეტად ჰარმონიულად ურთიერთქმედებენ, ხოლო მეოცე საუკუნის ბოლოს ამ ურთიერთობების ძირითადი პრინციპები 1992 წელს რიო დე ჟანეიროში (ბრაზილია) გაეროს კონფერენციაზე ჩამოყალიბდა, სადაც შემუშავებულ იქნა “XXI საუკუნის დღის წესრიგი”. ფორუმში მონაწილე ყველა სახელმწიფომ ვალდებულება აიღო ეროვნულ დონეზე ჩამოყალიბებული იდეების იმპლემენტაციის უზრუნველყოფა.

თუმცა, ოცი წლის შემდეგ, 2012 წლის ღიო + 20 კონფერენციაზე რიო დე ჟანეიროში (ბრაზილია), მდგრადი განვითარების მიღწევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიჩნეულ იქნა “მწვანე ეკონომიკა”-ზე გადასვლა. “მწვანე ეკონომიკა” განისაზღვრა როგორც ნახშირბადის ნაკლებად გამოყენების, რესურსების ეფექტიანად მოხმარებისა და სოციალური ჩართულობის ეკონომიკა. შესაბამისად, “მწვანე ეკონომიკა” საქონლის წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებასთან დაკავშირებული ეკონომიკური აქტივობის სისტემაა, რომელიც, როგორც ადამიანთა კეთილდღეობას, აგრეთვე სოციალურ სამართლიანობას აუმჯობესებს, რაც, თავის მხრივ, გარემოს და ეკოლოგიური რისკების შემცირების შედეგია. “მწვანე ეკონომიკის” კონცეფცია გულისხმობს ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წარმოებას, რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ნარჩენების რაოდენობის შემცირებას და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ღონისძიებების გატარებას.

რა მდგომარეობაა ახლა, 1992 წლის კონფერნციიდან 25 წლის შემდეგ? უდავოა, რომ მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა. მრავალმა ქვეყანამ მიიღო მდგრადი განვითარების კანონი და მის რეალიზაციას საქმიანობის სხვადასახვა სფეროში ახდენენ. ზოგიერთ

ქვეყანას კი, საბაზო კანონებიც არა აქვს შემუშავებული მდგრადი განვითარების შესახებ. ასეთი ქვეყნები მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონითა და მწირი ინტელექტუალური პოტენციალით ხასიათდებიან და მათთვის შიმშილის, სიღარიბის, თანასწორი უფლებების პროგრამების განხორციელების შემდეგ თუ იქნება შესაძლებელი მდგრადი განვითარების მიზნების ფორმულირება და მათ შესასრულებლად სხვადასხვა პროგრამის შემუშავება.

ცხადია, რომ მდგრადი განვითარების ამოცანები მარტივი შესასრულებელი არაა და სამეურნეო მექნიზმის კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს. დასავლეთში ამ მიზნებისთვის "მწვანე ეკონომიკის" პლატფორმა გამოიყენება, რომელიც "XXI საუკუნის დღის წესრიგის" იდეების მიღწევას რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების და პროდუქციის წარმოების ნარჩენების შემცირების გზით აღიარებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ეს ნარჩენები არა მარტო ადვილად უტილიზირებადი, არამედ თვით გარემოს მიერ გადამუშავებადი იყოს.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "XXI საუკუნის დღის წესრიგი"-ს რეალიზაცია მხოლოდ შეაჩერებს გარემოს დეგრადაციის პროცესს, ხოლო ტექნოგენური ზემოქმედება მასზე გაგრძელდება და არსებით გავლენას მოახდენს ბუნებრივ პროცესებზე.

მაგალითად, კაცობრიობამ უდიდეს წარმატებას მიაღწია ბევრ დაავადებასთან, მათ შორის, ვირუსულ დაავადებებთან ბრძოლაში. განვითარების ისეთ პრიმიტიულ დონეზეც კი, როგორიცაა, ვირუსების სახით არსებული ცოცხალი ორგანიზმები, ბუნება აქტიურად ეწინააღმდეგება სამედიცინო მეთოდებით მათი ჩახშობის პრაქტიკას: ჩნდება ადამიანისთვის კიდევ უფრო საშიში მუტანტი ვირუსები, რომლებთან ბრძოლის მეთოდები ჯერ კიდევ არაა შემუშავებული და შედეგები მასშტაბური ეპიდემიის სახით ვლინდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბუნებაში ყველაფერი ბუნებრივი წონასწორობისკენ (მდგრადობა) მიისწრაფვის და მისი დარღვევის მცდელობებს ყოველთვის სავალალო შედეგები მოსდევს. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ სამომავლოდ კაცობრიობას უფრო მეტად საშიში შედეგები ელის ბუნებათსარგებლობის სფეროში დაუსაბუთებელი მოქმედებების გამო. მხედველობაში გვაქვს ისეთი ტექნოგენური გადაწყვეტილებები, როგორიცაა: სათბურის და ოზონდამშლელი გაზის ატმოსფეროში გაშვება, დიდი მდინარეების ნაკადების რეგულირება, ტყეების გაჩეხვა, ჭაობების დაშრობა, წყლის ტერიტორიული გადაადგილება და ხელოვნური მორწყვა, სასუქების და პესტიციდების მასიური გამოყენება, ცოცხალი ობიექტების მოდიფიცირება და სხვ.

განსაკუთრებით საშიში კი ის არის, რომ გლობალური ეკოლოგიური ცვლილებების ნაწილი თანდათან და შეუმჩნევლად მიმდინარეობს, და აშკარა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მათი დაძლევისთვის უკვე უზარმაზარი რესურსი და ენერგია არის საჭირო. აქვე აღვნიშნავთ, რომ გარემოს გლობალურ ცვლილებებს მიეკუთვნება: მყინვარების დნობა და მსოფლიო ოკეანის წყლის დონის ზრდა, ტემპერატურის მომატება და კლიმატის ცვლილება და, შედეგად, მიკროკლიმატისა და კლიმატური ზონების საზღვრების ცვლილებები, სანაპირო რაიონების დატბორვა, ნიადაგის დეგრადაცია და გაუდაბნოება.

ზემოაღნიშნული ცვლილებები ნეგატიურად მოქმედებს ბიო საზოგადოებასა და მის მრავალფეროვნებაზე, რაც, რიგ შემთხვევაში, მათი ცალკეული სახეობის გაქრობას იწვევს. ასე, რომ, მდგრადი განვითარების პრინციპების განხორციელება, რა თქმა უნდა, შეამცირებს ბუნებრივი რესურსების მოხმარებას და ნარჩენებს, მაგრამ მას, სამწუხაროდ, გარემოზე ტექნოგენური ზემოქმედების გამორიცხვა არ შეუძლია. ამ თვალსაზრისით ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა იქნება მომავალში? განვითარების რომელი გზით უნდა წავიდეს კაცობრიობა? ეს კითხვა აწუხებს ფილოსოფოსებს, მეცნიერებს, ჩვეულებრივ ადამიანებს და საერთაშორისო საზოგადოებას.

წრიული ეკონომიკის პრინციპები

დღეს წრიული ეკონომიკის (The Circular Economy) პარადიგმა ცენტრალური ელემენტი ხდება იმ სტრატეგიებში, რომლებიც მიზნად ისახავს მსოფლიო მასშტაბით მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას და მან, შესაძლოა, საკვანძო როლიც შეასრულოს ჯანსაღი ეკო-

სისტემების შექმნაში. წრიული ეკონომიკის ზოგადი პრინციპები პირდაპირ ან არაპირდაპირ აისახა მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ მთავარ მარეგულირებელ დოკუმენტებში საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

წრიული ეკონომიკა არის მოდელი, სადაც წარმოების და მოხმარების ნარჩენები სრულიად ახალ რესურსებად გვევლინება და ხელახლა შედის საწარმოო სქემაში. იდეალურ შემთხვევში კი, ქმნის ჩაკეტილ ციკლს: ნედლეული, პროექტირება, წარმოება ან რემონტი, განაწილება, მოხმარება (მათ შორის, გამოყენება, ხელახლა გამოყენება და რემონტი), ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება, რათა ის კიდევ ერთხელ გახდეს ნედლეული ახალი წარმოებისთვის. პრაქტიკაში წრიული ეკონომიკა მიზნად ისახავს, მაქსიმალურად შეამციროს როგორც თავდაპირველი ნედლეული (მაგ., ნედლეული, ენერგია ან წყალი), ასევე, წარმოების შედეგები (ნარჩენები, ემისიები).

პარადიგმის უკეთ გაგებისათვის გავიხსენოთ, რომ 2009 წელს რომის კლუბის წინაშე გაკეთებულ მოხსენებაში "ლურჯი ეკონომიკა" – 10 წელი, 100 ინოვაცია, 100 მილიონი სამუშაო ადგილი" ცნობილმა მეცნიერმა გიუნტერ პაულიმ საზოგადოებას შესთავაზა პრობლემის გადაჭრის ახალი გზა: კაცობრიობის ყოველმხრივი ჰარმონიზაცია ბუნებასთან იმ ინოვაციების საფუძველზე, რომელიც ემყარება ბუნებრივ პროცესებს[1] [1].

ამ მიზნით, მის მიერ ათასობით ინოვაცია იქნა განხილული. აღმოჩნდა, რომ ასობით მათგანი მსგავსი ეფექტურობით ახდენს ბუნებრივი ეკოსისტემების იმიტირებას. გიუნტერ პაულიმ ასი მათგანი წარადგინა რომის კლუბის წინაშე. დაახლოებით ერთი მესამედი ამ 100 ინოვაციიდან უკვე რეალიზდებოდა მთელს მსოფლიოში, ერთი მესამედი - პროტოტიპის მდგომარეობაში, ხოლო ბოლო მესამედი მეცნიერულად დამტკიცებული იყო, მაგრამ მზა პროდუქტის შესაქმნელად შემდგომ დამუშავებას მოითხოვდა.

გიუნტერ პაულის "ლურჯი ეკონომიკის" კონცეფცია მიმართულია იმ წარმატებული ბიზნეს გამოცდილების გამოვლენაზე, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ მსოფლიო ეკონომიკაზე. ავტორი ამტკიცებს, რომ ბუნებამ, ასობით მილიონი წლის განმავლობაში, ხელოვნურად გამომუშავებული ენერგიის გარეშე, შექმნა და წარმატებით იყენებს ყველა ცოცხალი არსების ცხოველქმედების შედეგად მიღებული ნარჩენების დაგროვების და შემდგომი გამოყენების სრულყოფილ პროცესებს.

"ლურჯი ეკონომიკა" ადამიანის ისეთ საცხოვრებელ სივრცეს ქმნის, რომლებიც უბრალოდ ნეიტრალური კი არ არის გარემოსთან მიმართებაში, არამედ მოაქვს კონკრეტული სარგებელი იმით, რომ რესურსებს ისევ ჩვენს სამყაროში აბრუნებს [4].

დღეს მასობრივად იქნება ახალი, ჭკვიანი მასალები: ჩაშენებული სენსორები, 3D-პრინტერები, რომლებიც, ძირითადად, პროტოტიპებს ბეჭდავენ, მომავალში კი ნებისმიერი რაიმეს, მათ შორის, ადამიანის ორგანოების შექნა შეეძლებათ; წაიშლება საზღვრები ბუნებრივ და ხელოვნურ გარემოს, წარმოებასა და კვლავწარმოებას შორის - მანქანებსა და შენობებს გარედან დაპროგრამებული ერთეულებისგან საკუთარი თავის შენება შეეძლებათ.

დღევანდელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია ე.წ. "ენერგეტიკული ნეიტრალიტეტი"-ს მიღწევა. მაგალითად, როდესაც სახლში იყენებენ მხოლოდ მზის პანელების, ან გეოთერმული ტექნოლოგიის ენერგიას. მაგრამ, თუ სახლს ექნება შესაძლებლობა, რომ ფოტოელექტრული ელემენტების მეშვეობით მიკრორაიონის ელექტროქსელში უკან დააბრუნოს დამატებითი ენერგია, თუ მის სახურავზე დარგული იქნება ხეები ჰაერის გასაუმჯობესებლად, რაც ასევე ხელს შუწყობს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლას, და თუ სახლის წინ არსებული სივრცე ბოსტანის გასაშენებლად გამოიყენებენ, მაშინ ეს იქნება სახლი, რომელიც საზოგადოებას სამი ძირითადი მიმართულებით მისცემს სარგებელს [4, გვ. 26].

[1] გიუნტერ პაულის «ლურჯი ეკონომიკის» პროექტი მიზნად ისახავდა 10 წლის განმავლობაში, ბუნების შთაგონებით შექმნილი 100 საუკეთესო ტექნოლოგიის წარმოჩენას, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკაზე და შექმნა100 მილიონი სამუშაო ადგილი.

ეკოსისტემაში ნულოვანი ნარჩენების კონცეფციის რეალიზება ხდება იმის მეშვეობით, რომ აქ ერთი პროცესის შედეგად მიღებული ნარჩენები აქტიურად გამოიყენება სხვა პროცესისთვის საჭირო ნედლეულად. გიუნტერ პაულის მოხსენებაში მოყვანილია ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური და ქიმიური პროცესების მაღალი ეფექტურობით გამოყენების მრავალი მაგალითი.

ყველამ იცის, რომ ბამბუკი შესანიშნავი სამშენებლო მასალაა, მაგრამ ამის დასამტკიცებლად გიუნტერ პაულის და მის თანამოაზრეებს დიდი შრომის გაწევა მოუხდათ. მათ ააშენეს ბამბუკის სახლი, რომელმაც მილიონ მნახველს გაუძლო. კოლუმბიელებს, რომლებიც ბამბუკის ტყეებში ცხოვრობენ, მათ ასწავლეს ასეთი სახლების აგება (ორსართულიანი სახლის აგება შესანიშნავი დიდი აივნებით მხოლოდ 2,2 ათასი დოლარი ჯდება).

ცნობილი ფაქტია, რომ ჩინეთში უარი თქვეს ბამბის კულტურის მოშენებაზე (მსოფლიო წარმოების 34%), ხოლო გამოთავისუფლებულ მიწის ნაკვეთებს ბოსტნეულისა და ხილის მოსაყვანად იყენებენ. ჩინელებმა ბამბის ალტერნატივა ნახეს - ზღვის წყალმცენარეები, რომლებიც სანაპიროებზე ყოველწლიურად მილიონობით ტონა ნადგურდება. ახლა ამ ზღვის წყალმცენარეებისგან ლამაზ და ხარისხიან ტანსაცმელს კერავენ [7].

ცხოველების სასაკლაოზე არსებული ნარჩენებისგან მიღებულ იქნა ბიოგაზი მოსახლეობისთვის, ხოლო სხვა ნარჩენი პროდუქტები გამოიყენება ბუზების მატლების გასამრავლებლად, რასაც თევზების კვებისთვის ვარგისი ფიტოპლანქტონის და ბენტოსის გამოსაკვებად იყენებენ.

შემუშავდა ეკოლოგიურად უსაფრთხო და ენერგოდამოუკიდებელი მეცხოველეობის ფერმის პროექტი, რომელშიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწილი გამოიყენება ცხოველთა საკვებად, ჩალის ნარჩენები - სპირტის წარმოებისთვის; რძისა და ცხოველების სითბო - წყლის გასათბობად, ცხოველმოქმედების ნარჩენები - ბიოგაზისა და ელექტროენერგიის წარმოებისთვის. რძის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენები კი ღორების საკვებად გამოყენება. ტექნიკურმა გათვლებმა აჩვენა, რომ 285 ჰა ფართობის ფერმაში, შესაძლოა იმ რაოდენობის სპირტისა და ბიოგაზის წარმოება, რაც სრულიად საკმარისია ენერგიის გარე წყაროს გარეშე ფერმის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის [7].

ზემოაღნიშნული მაგალითები ადასტურებს საკვები საშუალებების **კასკადური** გადატანის შესაძლებლობას, რაც, თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ჯერ არასაკმარისად ვიცით ბუნების შესაძლებლობები და მის მიერ რეალიზებული ეფექტები. გიუნტერ პაული აღნიშნავს, რომ უკვე დროა ჩამოყალიბდეს ცივილიზაციის განვითარების ისეთი ახალი პარადიგმა, რაც "ლურჯი ეკონომიკის" პრინციპებზე იქნება აგებული.

ასე, რომ მომავალში შესაძლოა რეალობად იქცეს ენერგიის ყველაზე ფანტასტიური წყაროები, რომ აღარაფერი ვთქვათ ბიოსფეროს, ჰიდროსფეროსა და დედამიწის წიაღში მიმდინარე პროცესების ენერგიაზე. რა თქმა უნდა, ახალ მიღწევებს მნიშვნელოვანი ინვესტიციებიც დასჭირდება, მაგრამ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ ეს გზა განვითარების ერთადერთ სწორ გზად სცნოს.

"ლურჯი ეკონომიკის" იდეის არსი, მნიშვნელობა და მომავალი

დღეს "მწვანე ეკონომიკა" თანდათან კარგავს პოზიციებს და გზას უთმობს "ლურჯ დიზაინს" - მიმართულებას, როდესაც იქმნება არა მხოლოდ ეკოლოგიურად უსაფრთხო ობიექტები, არამედ ისეთი სარგებლის მომტანი ობიექტები, როგორიცაა მაგალითად, წყლის და ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება. ამ კონცეფციის მიხედვით, ნარჩენები არ მხოლოდ გონივრულ, არამედ უარყოფით ნიშნულამდე მცირდება.

"ლურჯი ეკონომიკის" იდეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2012 წლის ივნისში რიო დე ჟანეიროში გამართული ღიო+20-ის "მდგრადი განვითარების და "მწვანე ეკონომიკის" კონფერენციაზე" იყო გამოხატული. ზემოაღნიშნული კონფერენცია ორ ძირითად თემას განიხილავდა: მდგრადი განვითარების ინსტიტუციური ჩარჩოს შემდგომი განვი-

თარება და დახვეწა და “მწვანე ეკონომიკის” კონცეფციის წინ წაწევა. შეხვედრის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სიღარიბის აღმოფხვრა მთავარი ამოცანაა და ყურადღება გამახვილდა “მწვანე ეკონომიკაზე”, როგორც სიღარიბის აღმოფხვრისა და მდგრადი განვითარების ინსტრუმენტზე.

თუმცა, Rio + 20 მოსამზადებელი პროცესის დროს საკმაოდ აქტიური პოზიცია დაიკავეს ზღვებისა და ოკეანეების სანაპირო ზოლების მქონე ქვეყნებმა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ “მწვანე ეკონომიკის” აქცენტებით და მისი შესაბამისობით მათი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებისადმი. მეტად დამაჯერებელი არგუმენტები იქნა წარმოდგენილი “ლურჯი ეკონომიკის” კონცეფციისა და მათ ეკონომიკებში არსებული პრობლემების უფრო მართებული გზით გადაწყვეტის მხარდასაჭერად.

ტერმინი “ლურჯი ეკონომიკა”, როგორც “მწვანე ეკონომიკის” ერთ-ერთი განშტოება, მოგვიანებით ჩამოყალიბდა, ამ კონფერენციაზე კი მას “მწვანე ეკონომიკა ლურჯ სამყაროში” ეწოდა. აღნიშნული კონცეფციის მიზნად სანაპირო და საზღვაო რესურსებზე დაფუძნებული ქვეყნებისთვის “მწვანე ეკონომიკის” პარადიგმის უკეთესი ადაპტაციის უზრუნველყოფა გამოცხადდა.

დღეს “ლურჯი ეკონომიკის” კონცეფცია განიხილება როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი ალტერნატიული ეკონომიკური მოდელი, რომელიც ამ მიდგომის ცენტრში ოკეანეების, ზღვების და წყლის რესურსებს მიიჩნევს [6].

“ლურჯი ეკონომიკა” მსგავსი სასურველი შედეგების მიღწევას ლამობს, როგორიცაა ღიო +20-ის “მწვანე ეკონომიკის” ინიციატივა, კერძოდ: “ადამიანის კეთილდღეობის ზრდა და სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესება, ეკოლოგიური რისკების შესუსტება და ეკოლოგიური დაბინძურების მნიშვნელოვნად შემცირება” [1]. ის, ასევე, მხარს უჭერს ნახშირბადის მცირე დოზით გამოყენების, რესურსების ეფექტურობისა და სოციალური ჩართულობის პრინციპებს, დაფუძნებულია განვითარებადი მსოფლიოს კონტექსტზე და მიზნად ისახავს იმ ქვეყნების გარემოებებისა და საჭიროებების ასახვას, რომელთა მომავალი კეთილდღეობა, უპირატესად, საზღვაო რესურსებზეა დამოკიდებული.

“ლურჯი ეკონომიკის” ამოსავალი კონცეფცია სამართლიანობის პრინციპია და რწმენა, რომ განვითარებადი ქვეყნები მოახდენენ ზღვიდან მიღებული სარგებლის (თევზჭერა, ტურიზმი, “ლურჯი” ენერგია, ბიოტექნოლოგია, ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება) ოპტიმიზაციას, მხარს დაუჭერენ ეროვნულ და გენდერულ თანასწორობას, საერთაშორისო მმართველობის მექნიზმების სრულყოფას.

“ლურჯ ეკონომიკაზე” წარმატებით გადასვლის გარანტი საერთაშორისო ძალისხმევაშია, რათა უსწრაფესად იქნას ოკეანეების, ზღვების, მდინარეების რესურსების რეგულირების სრულყოფილი საერთაშორისო სამართლის ნორმები და მართვის მექნიზმები.

ჩვენი აზრით, გიუნტერ პაულის მოდელი უფრო მეტად “წრიული ეკონომიკის” პრინციპების შესატყვისია და არა დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული “ლურჯი ეკონომიკის”. თუ “ლურჯ ეკონომიკას” განვიხილავთ, როგორც სისტემას, სადაც ერთი პროდუქტის წარმოების ნარჩენების ხდება ახალი ფულადი ნაკადების შექმნისთვის საჭირო ნედლეული (მასალებისა და ენერგიის ხელახალი გამოყენება), იქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რითაც ქმნის სოციალურ კაპიტალს და იზრდება მოგება. ამ მიმართებით, “ლურჯი ეკონომიკის” ცნება შესაძლოა, პირდაპირ უკავშირდებოდეს დღეს უკვე ფართოდ ცნობილი “წრიული ეკონომიკის” პრინციპებს.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე საერთაშორისო, თუ რეგიონულ დონეზე მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტებში “ლურჯი ეკონომიკის“ კონცეფციას შემდეგ კონტექსტში მოიაზრებენ, რომ ეს არის ეკონომიკური აქტივობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია ოკეანიდან, ზღვებიდან და წყლის რესურსებიდან სარგებლის მისაღებად.

დასკვნები

დღეს გაბატონებულია აზრის იმის შესახებ, რომ კაცობრიობა შორს წავიდა ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით, მაგრამ ჰუმანტარული მიმართულებით ის სავსებით არ ვითარდება. ამ ჰიპოთეზიდან როგორც კაცობრიობისთვის, ასევე პლანეტისთვის მეტად არასახარბიელო პერსპექტივები იკვეთება. სიტუაციის გამოსწორება კაცობრიობამ ეკოსისტემის აღდგენიდან უნდა დაიწყოს. სწორედ ამ მიმართულებით იძლევა დიდ იმედებს როგორც "მწვანე ეკონომიკის", წრიული ეკონომიკის, ასევე "ცისფერი დიზაინი"-ს კონცეფციები.

1. მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაცია ხელს შეუწყობს სამეურნეო კომპლექსის რაციონალური ბუნებათსარგებლობის მოდელზე გადასვლას;
2. მიუხედავად მდგრადი განვითარების რეალიზაციის პროგნოზირებადი დადებითი შედეგებისა, მაინც დგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს კაცობრიობა შემდგომში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გიუნტერ პაულის მიერ შემოთავაზებული მოდელის გამოყენება მეტად პერსპექტიულია საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ის გულისხმობს ცოცხალი სამყაროს განვითარების მოდელის კოპირებას სამეურნეო ცხოვრებაში;
3. საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ზღვისა და სანაპირო ტერიტორიების, ასევე, ზღვის წყლის გამოყენების, მეთევზეობის, აკვაკულტურის, საზღვაო ტურიზმის და რეკრეაციული საქმიანობის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის, ზღვის ფსკერიდან ნავთობისა და გაზის მოპოვების ეკონომიკური და სოციალური ანალიზი "ლურჯი ეკონომიკის" კონცეფციის კონტექტში;
4. მსოფლიო საზოგადოების მდგრადი განვითარების მომავალი ტექნოლოგიურ პროცესებში, ბუნებრივი ძალების რეგულირების მსგავსი, კასკადური პრინციპის გამოყენებაშია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gunter A. Pauli, The Blue Economy: 10 Years, 100 Innovations, 100 Million Jobs, - Business & Economics, 2010;
2. Blue Economy Project, Blue economy for a healthy Mediterranean- Measuring, Monitoring and Promoting an environmentally sustainable economy in the Mediterranean region, Scoping Study, 2016;
3. Pauli, Gunter. Blue Economy: http://www.gunterpauli.com/The_Blue_Economy.html - Plan Bleu (2014) www.planbleu.org;
4. European Commission, Directorate General Environment. The Circular Economy Strategy. Closing the loop - An EU action plan for the Circular Economy, http://ec.europa.eu/environment/circular-economy/index_en.htm;
5. The United Nations Environment Programme (UNEP), Green Economy Definition. http://www.unep.org/greeneconomy/AboutGEI/ , UNEP, 2014;
6. Kathijotes N. (2013). Keynote: 'Blue Economy - Environmental and Behavioural Aspects towards Sustainable Coastal Development', Elsevier Procedia - Social and Behavioural Sciences, Volume 101, 2013;
7. Шапарь А.Г., «Порядок дня на XXI столетие» – устойчивое развитие.а что дальше? Экология природопользования, 2013.

"Blue economy" in the context of sustainable development concept

Alexander Sichinava
Dali Sekhniashvili

Summary

Natural resource exploitation has been the main feature for economic development and trade for most of global history. At present, it is generally accepted that economic development around the world is leading to the irreversible depletion of natural resources, environmental degradation and consequent threat to future generations, which are key reasons and challenges for rethinking economic patterns. Environmental resources are considered today as economic assets and called "natural capital". An efficient and sustainable management of the natural capital is a critical policy objective for the economic process.

In the paper is given short analysis of the situation with the implementation the principles of sustainable development, is showed that there is no possible alternative direction without total resource capacity and waste production reduction. It is shown that future civilizations' development must be built on the principles of copying the natural zero emissions and using the natural forces and regularities of biota vital activity. There were given the examples of new paradigm realization – "blue economics".

Keywords: *Sustainable Development, Reduction of Waste Production, Circular Economy, "Green Economics", "Blue Economy".*

საქართველოს ინოვაციური განვითარების აქტუალური სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტები

გოდერძი ტაბატაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

გელა ლობჯანიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პერიოდსა და პირობებში ინოვაციები სახელმწიფოების კონკურენტუნარაინობის ამაღლების მთავარი მამო-ძრავებელი ძალაა, რადგან სწორედ ისინი არის მათი სწრაფი, მაღალი, ხანგრძლივი და მძლავრი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების განაპირობებელი; ინოვაციები წარმოდ-გენილია როგორც მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება პროდუქტების შეთავაზებაში, მომსახურებაში, ბიზნეს-პროცესებსა და, – მოდელებში, ორგანულ ცვლილებებში და, პრაქტიკაში აღიქმება როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გარდასახვა რეალურ ახალ პროდუქტებსა და ტექნოლოგიებში, რომელიც გულისხმობს შემოქმედებითი/ ინტელექტუალური საქმიანობის შედეგად მიღებული სიახლის პრაქტიკულ გამოყენებას და, რომელიც ქმნის სიმდიდრეს და სოციალურ კეთილდღეობას, რასაც ადასტურებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითი, რომლებმაც თავიანთი სიძლიერე რადიკალური და მიზანმიმართული ინოვაციების სტრატეგიის საფუძველზე მოიპოვეს.

მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში აქტუალური გახდა ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნის კონცეფცია და მრავალმა ქვეყანამ გააქტიურა თავისი ინოვაციური პოლიტიკა, სადაც გაითვალისწინება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა ელემენტი, ინოვაციურ განვითარებაზე ურთიერთდაკავშირებული ინსტიტუციური სტრუქტურების (უნივერსიტეტები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, მცირე და საშუალო ფირმები, ინოვაციური ინფრასტრუქტურის ობიექტები და ა. შ.) სახით; ხოლო ეფექტიანი ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისას ორიენტაცია მსოფლიოს ინოვაციური განვითარების ძირითად ტენდენციებზე იქნა აღებული.

თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება ნებისმიერი ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია, ამიტომ საქართველოსათვის ევროკავშირის მიერ უმნიშვნელოვანესმა მხარდაჭერამ უნდა უზრუნველყოს მსოფლიო დონის მიღწევებზე ორიენტირებული კვლევები და დამუშავებები, ახალი ცოდნის დაგროვება და ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება, რაც საბოლოოდ ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში გამოიხატება.

ცხადია, ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოში უნდა განხორციელდეს არსებული ინოვაციური სისტემისა და ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება და გაძლიერება. ქვეყნის ეროვნული ინოვაციური სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სამმაგი სპირალის „მეცნიერება-ბიზნესი-სახელმწიფო“ და მთელი ინოვაციური ციკლის „მეცნიერება-გამოგონება-წარმოება“ კოორდინირებულ თანამშრომლობას როგორც მთლიან სახელმწიფოებრივ ასევე, რეგიონულ დონეზე, სადაც გაითვალისწინება საკანონმდებლო, სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური, მასტიმულირებელი, ორგანიზაციული და სხვადასხვა საშუალებების გამოყენება, რათა ხელი შეეწყოს წარმატებული ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებას ქვეყანაში.

საკვანძო სიტყვები: *ინოვაციები; საინოვაციო ინფრასტრუქტურა; გლობალური ინოვაციის ინდექსი (GII); მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) კონკურენტუნარი-ანობის ანგარიში; სახელმწიფოს საინოვაციო პოლიტიკა.*

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ბიზნესში ინოვაციების მზარდი მნიშვნელობა როგორც ქვეყანას, ასევე კომპანიას საშუალებას აძლევს მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა, შექმნას ბაზარზე შესვლის მექანიზმები და სწრაფად დაიკავოს მოწინავე პოზიციები, რაც ითვალისწინებს მათი მხრიდან საკმაო დროსა და ფინანსებს, კვლევის და განვითარების კომპონენტის გაძლიერებისთვის. ინოვაციები მნიშვნელოვანია არა მხო-ლოდ კომპანიებისთვის, რათა გაზარდონ საკუთარი მოგება, არამედ საზოგადოებისთვი-საც. ინოვაციების არსებობით საზოგადოება ვითარდება და აღწევს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. ამასთან, ინოვაცია მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვისაც, რადგან მეტი ინოვაცია ხელს უწყობს სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

საქართველო XXI საუკუნეში უმნიშვნელოვანესი გამოწვევების წინაშე დგას, რაც გამოხატულია, იმით რომ ქვეყანა უნდა გაუმკლავდეს გლობალიზაციის მოთხოვნებს და ახალ პირობებში დაიკავოს თავისი ღირსეული ადგილი; ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაცია მთელი რიგი კომპლექსური საკითხებით, უპირობოდ ითვალისწინებს ინოვაციური, ანუ ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებლის, მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური დარგების დაჩქარებული (საშუალოდარგობრივზე უფრო სწრაფი) ტემპებით განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკაში თანდათანობით დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას.

ქვეყნის მდგრადი, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად მოითხოვს საინოვაციო ინფრასტრუქტურის ცენტრების (მაღალი ტექნოლოგიები, ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, ვენჩურული ფონდები, ტექნოლოგიური სტარტაპები, ნოუ-ჰაუ, ტექნოლოგიების ტრანსფერი...) ბაზაზე დაფუძნებული ეკონომიკის სექტორების განვითარებას და გაძლიერებას, რადგან სწორედ ეკონომიკის მეცნიერებატევადი (მაღალტექნოლოგიური) დარგები და წარმოებები განსაზღვრავს მესამე ათასწლეულის ეკონომიკის არსს და აჩქარებს ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. ამ ეტაპზე შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირ არის მიბმული საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამის მიზეზია ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციის დაბალი დონე, რაც ამავე დროს განაპირობებს ბუნებრივი რესურსების არარაციონალურ გამოყენებას და საფრთხეს უქმნის ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს. გლობალური პროცესების ანალიზი აჩვენებს, რომ ინოვაციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს რეგიონებში კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ დღემდე კონკურენტუნარიანობის ძირითად ფაქტორად მხოლოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსები ითვლებოდა, ამჟამად მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორებად მასთან ერთად, თუმცა უპირატესად მიჩნეულია: სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურა, მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალა, თანამედროვე ტექნოლოგიები, კომუნიკაციის საშუალებები, ინოვა-ციური კულტურის განვითარება და სხვ.

საქართველოში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანა-

ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ასე მაგალითად, მეცნიერების და უმაღლესი განათლების დაფინანსება საგრძნობლად ჩამორჩება საერთაშორისო პრაქტიკას (2015 წელს კვლევების და-ფინანსების წილი მშპ-ში 0,16 %-ს შეადგენდა, ევროზონაზე 12,5-ჯერ ნაკლებს). ევრო-კავშირის რეკომენდაციებით, სამეცნიერო სექტორის სახელმწიფო დაფინანსება უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, მშპ-ს 1 % და სასურველია ამ მაჩვენებლის 3 %-მდე ეტაპობრი-ვად გაზრდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2013-2015 წლების განმავლობაში, ცალკეული სიტუაციური სიახლეების აქტიურობიდან ცნობილია, რომ საწარმოთა 48,8 %-მა ბაზარზე შემოიტანა ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული საქონელი, ხოლო იმ საწარმოთა წილი, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში შემოიტანეს ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული მომსახურება, განისაზღვრა 51,2%-ით. საქონლისა და მომსახურების ინოვაციები უმეტეს შემთხვევაში საწარმოების მიერ, დამოუკიდებლად იყო შემუშავებული (შესაბამისად 71,1 % და 61,4 %). სხვა შემთხვევებში ამ კუთხით მათ მხარდაჭერა მიიღეს სხვა საწარმოებისგან ან დაწესებულებებისაგან. განხორციელებული ინოვაციების 61.4 % ახალი იყო საწარმო-ებისთვის, ხოლო 38.4% – სიახლეს წარმოადგენდა ბაზრისთვის.

საწარმოთა ჩართულობა ინოვაციურ აქტივობაში შედარებით მაღალი წილით გამოხატულია ისეთ სფეროში, როგორიცაა მანქანა – დანადგარების და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა – 27,2 %. საკმაოდ მაღალი წილი ჰქონდა აგრეთვე ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებულ სწავლებებს (15,1 %), პროდუქციის დიზაინის შემუშავებას (13,5 %), საკუთარ კვლევებსა და დამუშავებებს (12,1 %); ამასთან აღსანიშნავია, რომ საწარმოთა 29,4 %-მა შეიმუშავა საქონლის/მომსახურების ფასდადების ახალი სისტემა, 26,5 %-მა განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები პროდუქციის ესთეტიკურ დიზაინსა და შეფუთვაში, 24,6 %-მა უზრუნველყო ახალი მედიის ან ტექნიკის შემოტანა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის [6].

აღსანიშნავია, რომ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), კორნელის უნივერსიტეტის (Cornell University) და ბიზნეს ადმინისტრირების ევროპული ინსტიტუტის (INSEAD) მიერ ერთობლივად გამოქვეყნებულ გლობალური ინოვაციების 2016 წლის რეიტინგში (GII), 2015 წელთან შედარებით საქართველომ 9 ადგილით წინ წაიწია, ხოლო 2010 წელთან შედარებით – 20 ადგილით და 100 ბალიანი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით 33. 86 ქულით 64-ე ადგილს იკავებს 128 ქვეყანას შორის. ამ მაჩვენებლით მას მსოფლიოში საშუალო გლობალური ინოვაციური ინდექსი გააჩნია. გლობალური ინოვაციის ინდექსის სიის სათავეში შვეიცარიაა, რომელიც 6 წელია რეიტინგის ლიდერია. მას მოსდევს შვედეთი, გაერთიანებული სამეფო, აშშ და ფინეთი.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის ესტონეთი ლიდერობს (24-ე ადგილი), მოლდოვა 46-ე ადგილს იკავებს, უკრაინა 56-ე ადგილს, სომხეთი - 60-ე. რუსეთი ამავე რეიტინგში 43-ე ადგილს იკავებს. მსოფლიოს ინოვაციური ქვეყნების რეიტინგში ბელარუსი (79-ე ადგილი) ბოლო პოზიციებს იკავებს.



ნახ. 1. საქართველოს GII ინდექსის შემადგენელი კომპონენტების დინამიკა [13]

საქართველოს ძლიერ მხარეებად მიჩნეულ იქნა შემდეგი კომპონენტები: ბიზნეს გარემო (ქვეყანა რეიტინგით მე-6 ადგილზეა) და ბაზრის განვითარების დონე (ქვეყანა რეიტინგით მე-7 ადგილზეა), ხოლო სუსტ მხარეებს წარმოადგენს: განათლება (ქვეყანა რეიტინგით 115-ე ადგილზეა), კვლევა და განვითარება (ქვეყანა რეიტინგით 103-ე ადგილზეა), ინვესტიციები (ქვეყანა რეიტინგით 86-ე ადგილზეა) და დასაქმებულთა ცოდნის დონე (ქვეყანა რეიტინგით 91-ე ადგილზეა). მართალია საქართველოს რეიტინგი 2016 წელს წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, თუმცა, ქვეყანა კვლავაც დიდი გამოწვევების წინაშე დგას. ვინაიდან, ქვეყანას დაბალი ქულები აქვს ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა ადამიანური კაპიტალისა და კვლევის, ასევე, ცოდნისა და ტექნოლოგიების კომპონენტები, რაც გრძელვადიან პერიოდში ინოვაციური განვითარების ძირითად წყაროს წარმოადგენს.



ნახ. 2. საქართველოსა და რამდენიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის GII ინდექსის შემადგენელი კომპონენტების შედეგების შედარება [13]

ზემოაღნიშნული ინდექსის მიხედვით, პოსტსაბჭოთა 15 ქვეყანას შორის საქართველოს მერვე ადგილი უკავია. ბალტიის სამ ქვეყანასთან ერთად, უკეთესი შედეგები აქვთ რუსეთს, მოლდოვას, უკრაინასა და სომხეთს (იხ. ნახ. 2). თუმცა, ინოვაციური ეფექტურობის კოეფიციენტის თვალსაზრისით, ამ ქვეყნებიდან საქართველოს ლიტვასა და რუსეთზე უკეთესი შედეგი აქვს. ამ კომპონენტში საუკეთესო შედეგები აჩვენეს მოლდოვამ და ესტონეთმა, რაც მიანიშნებს ამ ქვეყნებში ინოვაციებისთვის გამოყოფილი თანხების მიზანმიმართულ და ეფექტურ ხარჯვაზე. ინსტიტუციური ჩარჩოს (რაც მოიცავს მმართველობის ეფექტურობასა და რეგულაციებს) და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, საქართველო მხოლოდ ბალტიის ქვეყნებს ჩამორჩება. ბაზრის განვითარების ხარისხით კი, მხოლოდ რუსეთსა და უკრაინას სჯობნის. დანარჩენ კომპონენტებში (ცოდნა და ტექნოლოგიის წარმოება, შემოქმედებითი წარმოება, ადამიანური კაპიტალი/კვლევა და ბიზნესის განვითარება) საქართველო რეიტინგში მასზე წინ მდგომი შვიდივე პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაჩვენებლებს ჩამორჩება. გამონაკლისია მხოლოდ ადამიანური კაპიტალისა და კვლევის კატეგორია, რომელშიც სომხეთს საქართველოზე დაბალი შედეგი აქვს.

ამრიგად, საქართველოს ესაჭიროება კვლევებისა და ინოვაციების წახალისება, განათლებაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, კერძო სექტორის გააქტიურება ინოვაციების გამოყენებაში, დანერგვა/შექმნაში და ინოვაციური პროდუქტების შექმნის/წარმოების წახალისება [13].

ცხრილი 1

საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის კრიტერიუმების მიხედვით, 2016-2017 წლებში [14]

კრიტერიუმები ჯგუფების მიხედვით	**პოზიცია მსოფლიოში**	**ქულა (მაქსიმუმი 7)**
საბაზისო მოთხოვნები	**46**	**4.9**
ინსტიტუტები	43	4.4
ინფრასტრუქტურა	65	4.1
მაკროეკონომიკური გარემო	40	5.2
ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება	64	5.9
ეფექტიანობის მასტიმულირებელი	**69**	**4.1**
უმაღლესი განათლება და ტრენინგები	89	4.1
საქონლის ბაზრის ეფექტიანობა	46	4.6
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	43	4.5
ფინანსური ბაზრის განვითარება	58	4.2
ტექნოლოგიური მზადყოფნა	65	4.2
ბაზრის ზომა	101	3.0
ინოვაციები და სოფისტიკაციის ფაქტორები	**113**	**3.2**
ბიზნესის სოფისტიკაცია	102	3.6
ინოვაციები	116	2.8

2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (WEF) 2016 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა და, სადაც შესწავლილია 138 ქვეყნის კონკურენტუნარიანობა, საქართველო 7 პოზიციით და-

წინაურდა და 59-ე ადგილზეა, გასული წელს კი 66-ე ადგილზე იყო. ინდექსის შემადგენელი კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია (40-ე ადგილი) მაკროეკონომიკური გარემოს მხრივ აქვს, ქვეყანა 43-43-ე ადგილზეა ინსტიტუტების განვი-თარების და შრომის ბაზრის ეფექტურობის მხრივ; საქართველოს ყველაზე ცუდი პოზი-ცია აქვს ინოვაციების (116-ე ადგილი) და ბიზნესის სოფისტიკაციის მხრივ (102-ე ადგილი) (იხ. ცხრილი 1). აღნიშნული პოზიციის გაუმჯობესება განაპირობა შემდეგი კრიტერიუმების რამდენადმე პოზიტიურმა ცვლილებამ: საკუთრების დაცვა, ინვესტორთა დაცვა, მაკროეკონომიკური გარემო, სესხისადმი ხელმისაწვდომობა და ინოვაციური შესაძლებლობები. თუმცა, რიგ მნიშვნელოვან კრიტერიუმებში სერიოზულ გაუარესებას აქვს ადგილი, ესენია: სასამართლოს დამოუკიდებლობა, მთავრობის პოლიტიკის გამჭვირ-ვალობა, კრიმინალი და პოლიციისადმი ნდობა, ინფრასტრუქტურის ხარისხი, ინფლაცია და სახელმწიფო ვალი.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) 2016 წლის საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალურ ანგარიშში ქსელური მზადყოფნის (NRI) ინდექსში საქართველო 139 ქვეყანას შორის 58-ე ადგილზეა, მან სარეიტინგო სიაში 2012 წელთან შედარებით 30 ადგილით წინ გადაინაცვლა; ხოლო, ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის მიხედვით – 72-ე ადგილზეა (175 ქვეყნიდან) და 2010 წელთან შედარებით საქართველომ 2016 წლის რეიტინგში 13 ადგილით წინ წაიწია; [10,11,12].

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე მდგომარეობა შეიცვალა უკეთესობისკენ. ამოქმედდა შეღავათიანი კრედიტებისა და თანადა-ფინანსების სქემები და სხვ. ჩამოყალიბდა ტექნოლოგიბისა და ინოვაციების სააგენტო, რომლის საქმიანობის მიზანია ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა; საწარმოთა ხელშეწყობის სააგენტო, მაღალი ტექნოლოგიების და ინოვაციების განვითარების ცენტრი (ტექნოპარკი), რომელიც წარმოადგენს სივრცეს შემოქმედების, თანამშრომლობის და განვითარებისათვის, რომელშიც განთავსებული და ხელმისაწვდომია მაღალტექნოლოგიური სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები (FabLab), საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანიების ტრენინგ ცენტრები, აქსელერატორები, შოურუმები, საერთო სამუშაო სივრცე (Co-working Area), დამწყები კომპანიების ინკუბატორები (Start-up ინკუბატორი), საკონფერენციო დარბაზი, მწვანე ზონა და სხვ., რომლებიც ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას. ამასთან, დაფუძნდა პირველი კერძო ვენჩურული ფონდი, რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სივრცეში ნოვაციური იდეებისა და პროექტების დაფინანსება და შეიქმნა „საქართველოს ბიზნეს-ანგელოზების ასოციაცია“, რომელიც ერთგვარი შუამავალია სტრატაპებსა და კერძო სექტორს შორის და, მიზნად ისახავს დამწყები ბიზნესმენების და ქართველი ინვესტორების ერთმანეთთან დაკავშირებას, ისევე როგორც კავშირების მოძებნა სხვა ქვეყნებში. ამასთან მნიშვნელოვანია, პირველი კერძო მაღალტექნოლოგიური ცენტრის – „სილიკონ ველი თბილისი“ გახსნა, რომელიც IT აკადემიას, ბიზნეს და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს, სკოლას, ლაბორატორიულ და კვლევით ცენტრებს, ტექნოლოგიურ ინკუბატორებს ერთ სივრცეში გააერთიანებს; საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ტექნოპარკი, რომლის მიზანია, საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში არსებული იდეების გენერირება და განხორციელების ხელშეწყობა [17].



ნახ. 3. ეროვნული ინოვაციური სისტემის სტრუქტურა

მიუხედავად ზემოაღნიშნული პროექტების განხორციელებისა, მიგვაჩნია, რომ ეს არ არის საკმარისი და ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს აქტიური მუშაობა. ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა გრძელვადიანი პროცესია, რომლის ხელშესახები შედეგები, გააზრებული და ეფექტური პოლიტიკის გატარების შემდგომ, ქვეყანამ შესაძლოა იხილოს მხოლოდ 10-15 წლის შემდგომ. ამიტომ აუცილებ-ლად მიგვაჩნია ამ მიმართულებით სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა. პირველ რიგში, უნდა მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და უცხოური ქვეყნების წარმატებულ ინოვაციურ ცენტრებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება, სადაც გასა-თვალისწინებელი იქნება საქართველოს რეალობა, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომ-ლებიც ქვეყანას გააჩნია. ვფიქრობთ, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეროვნული ინოვაციური განვითარების სისტემა-მოდელის ჩამოყალიბება (იხ. ნახ. 3), რომელმაც უნდა მოიცვას სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სამმაგი სპირალის – „მეცნიერება-ბიზნესი-სახელმწიფო“ და მთელი ინოვაციური ციკლის „მეცნიერება-გამოგონება-წარმოება“ კოორდინირებული თანამშრომლობის შემდეგი აქტუალური საკითხები: ტექნოლოგიური განათლების პოპულარიზაცია და ხელმისაწვდომობა, განათლებაში კვლევებისა და ინოვაციების წახალისება, ხელშეწყობა ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის გაძლიერებასა და სამეცნიერო წრეებს და ბიზნესს შორის კავშირების გამყარებაში, კვლევისა და განვითარებისათვის ფინანსებზე ხელმისა-წვდომობის გაუმჯობესება-ზრდა განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც, თავის მხრივ, ინოვაციის მამოძრავებლები არიან, ინოვაცი-

ის მხარდა-ჭერისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინოვაციების დონის ამაღლებით ქართული საექსპორტო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის გაუმჯობესება და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის უზრუნველყოფა, ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ა. შ., რომლებმაც ეკონომიკური განვითარების თავისებურებებისა და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებებით (ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბიო-ტექნოლოგიები, ენერგეტიკის არატრადიციული ტექნოლოგიები, ახალი მასალების მიღების ტექნოლოგიები, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგიები, მაღალეფექტიანი მანქანა-დანადგარების, რობოტტექნიკის, მიკროელექტრონიკის გამოყენებით მომუშავე ტექნოლოგიები, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები და სხვ.) უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს ინოვაციური პოტენციალის ზრდა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი. თბილისი, 2015. 272 გვ.
2. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, „უნივერსალი“, თბილისი, 2014. 312 გვ.
3. ბარათაშვილი ე., ბერიკაშვილი ლ., ოთინაშვილი რ., აბრალავა ა. ბიზნესის ქსელური ორგანიზაცია: კლასტერული მენეჯმენტი და უსაფრთხოება. „სტუ“, „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიტი“, თბილისი, 2013. 208 გვ.
4. გვარუციძე ა., ინოვაციები ბიზნესში. თბილისი, 2012. 89 გვ.
5. ასლამაზიშვილი ნ., გაგნიძე ი., გოგოძე ი. და სხვ. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. ასოციაცია „ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისათვის“, თბილისი, 2010. 312 გვ.
6. საწარმოების ინოვაციური აქტიურობა, გამოკვლევის ძირითადი შედეგები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის გამომცემლობა, თბილისი, 2016, გვ. 3.
7. შატბერაშვილი ო., ქოჩორაძე გ., ცაცანაშვილი მ. საიანოვაციო პოლიტიკა საქართველოში: რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას. თბილისი, 2014. გვ.12. ჰტტპ://ეაპ-ცსფ.გე/იმაგეს/დოც/პუბლიკაციები/ ოლიცყ%20 აპერ–ჭ 2–Iნოვაცია. პდფ
8. ჩიქავა ლ., ინოვაციური ეკონომიკა. „ინოვაცია“, თბილისი, 2010. გვ. 358.
9. ციხელაშვილი ზ., კიკნაძე ნ., გიორგაძე პ. და სხვ. ინოვაციური პროცესების მართვა. „სტუ“, თბილისი, 2009. 243 გვ.
10. http://forbes.ge/blog/221/globaluri-inovaciis-indeqsi-da-saqarTvelo
11. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=25
12. http://www.economy.ge/?page=services&s=74
13. https://idfi.ge/ge/georgia-in-innovations-global-index
14. http://factcheck.ge/article/globaluri-konkurentunarianobis-indeqsshi-saqarthvelos-

monatsemebi-7-pozitsiith-gaumjobesda-138-qveqhanas-shoris-59-e-adgilze-varth/
15. Киселев В.Н., Рубвальтер Д.А., Руденский О.В. Инновационная политика и национальные системы Канады, Великобритании, Италии, Германии и Японии. Информационно-аналитический бюллетень ЦИСН. 2009. № 6. 71 с. http://np.tu-bryansk.ru/doc/any/10.pdf
16. Margaret A. White, Garry D. Bruton. The Management of Technology and Innovation A Strategic Approach. SECOND EDITION, Cengage Learning products are represented in Canada by Nelson Education, Ltd. USA, 2011. 411 p.
17. http://gita.gov.ge/ge/

Current socio-economic aspects of innovative development of Georgia

Goderdzi Tabatadze
Gela Lobjanidze

Summary

In this article it is study the role and importance of innovations as a basis for countries high and rapid economic growth, discussed innovation infrastructure faces and examined by the various international organizations the international ratings of Georgia's in the Global Innovation index (GII) and pro competitive Report. Offered the suggestions for improving the infrastructure of innovation and about inevitable activation of states innovative policy.

Key words: *Innovations, Innovation Infrastructure, Global Innovation Index (GII), World Economic Forum(WEC), Competitiveness Report, State innovation policy*

ეკონომიკური რყევების პრევენციის სახელმწიფო მექანიზმები

ტაბატაძე მარინა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა მექანიზმები, რომელთაც სახელმწიფო იყენებს ეკონომიკური რყევების პრევენციისათვის. კრიზისების რეგულირებაში სახელმწიფო დომინანტ როლს ასრულებს, ამასთან, პრობლემის სიმწვავის და გავრცელების სპეციფიკის გათვალისწინებით, მათი რეგულირების მექანიზმები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რაც ზრდის საკითხის შესწავლის მნიშვნელობას. ნაშრომში გამოკვლეულია ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის როლი მკვეთრი რყევებისაგან ქვეყნის დაცვის და კრიზისების პრევენციის საკითხში. ნაშრომში ასევე მოცემულია სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები არასტაბილური განვითარების დროს, კრიზისების პრევენციის სამთავრობო სტრატეგიები, სახელმწიფო მართვის სიტემის ფუნქციონირების ეკონომიკური მექანიზმები, საზოგადოების როლი განვითარების პროცესში და მისი მენტალური ტრანსფორმაციები ეკონომიკის ლიბერალიზაციის პირობებში, გაანალიზებულია ხელისუფლების ანტიკრიზისული პოლიტიკის გავლენა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაზე, სახელმწიფოს როლი ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევაში.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკური გარემო, სახელმწიფო ანტიკრიზისული მართვა, სამოქალაქო თანხმობა, მთავრობის ქცევის რაციონალიზაცია, ხელისუფლების საზოგადოებრივი ფუნქცია, სახელისუფლებო კრიზისი.*

ძირითადი ტექსტი

განვითარების თანამედროვე სპეციფიკა პოლიტიკურ არასტაბილურობასთან ერთად, ეკონომიკური კრიზისების სიმრავლეს ითვალისწინებს. სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ეკონომიკური რყევების წარმოშობის კანონზომიერებები და კონფლიქტურ გარემოში სახელმწიფოს ჩარევის სტრატეგიები. სახელმწიფო მართვის თანამედროვე კონცეფციები სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რეგულირებასთან ერთად, გავლენას ახდენს თვით სახელმწიფო მოხელის სამეურნეო ქცევაზე და შოკების მართვის პროცესებზე. პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მართვის თანამედროვე ტენდენციები მმართველობითი პრინციპების ფორმირების ხანგრძლივი ისტორიული პროცესებიდან, პოლიტიკური გარემოსა და ცალკეული ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარეობს, ეს განსხვავებულ პოლიტიკურ იდეოლოგიას და საზოგადოებრივ ფსიქოლოგიას აყალიბებს, შესაბამისი თეორიებით და სახელმწიფო მართვის ინდივიდუალური მიდგომებით.

ქვეყნის მართვა სამთავრობო ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობაა ხელისუფლების პოლიტიკური კურსის პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით. მართვის პრინციპებს სამართლებრივი, პოლიტიკური და მენეჯერული მიდგომები განსაზღვრავს. პირველის მიხედვით, სახელმწიფო მოხელის იდეოლოგიური წარმმართველი და ქცევის ფაქტორი კანონის უზენაესობა, მოქალაქეთა უფლებების დაცვა, თანასწორული ურთიერთობებისა და არადისკრიმინაციული სისტემის ფორმირებაა. პოლიტიკური მიდგომა გულისხმობს, რომ უმაღლესი დონის მმართველი უნდა იყოს ხალხის ნების აღმსრულებელი და პოლიტიკურად პასუხისმგებელი მის წინაშე, ხელისუფლების მენეჯერული არსი კი, ქვეყნის ეფექტურ მართვაში და მისი ძირითადი ღირებულებების რეალიზაციაში მდგომარეობს.

განვითარების პროცესს ობიექტურად ახასიათებს ეკონომიკური რყევები, მათი პროგნოზირება, რეგულირება და პრევენცია სახელმწიფოს პრეროგატივა და მისი მნიშვნელო-

ვანი ეკონომიკური ფუნქციაა. თანამედროვე ინტეგრაციულმა პროცესებმა და ეკონომიკის ლიბერალიზაციამ მსოფლიო ბაზრების დაბალანსებული განვითარების პროცესი შეასუსტა, მათი დეფორმაციები გამოიწვია და განვითარების ტემპები შეანელა, რამაც გაამწვავა ამ პროცესების ოპტიმალური მართვის, ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავების და კონფლიქტურ გარემოში ხელისუფლების რაციონალური ფუნქციონირების პრობლემები.

კრიზისების რეგულირებაში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა ხანგრძლივი ევოლუციური პროცესია, განსხვავებული პრიორიტეტებით და მექანიზმებით, დღეისათვის იგი ჩამოყალიბებულია ეკონომიკურ პროცესებზე სახელმწიფოს ზემოქმედების, გარკვეულწილად, უნიფიცირებული სისტემის სახით. კრიზისების რეგულირება სწორედ ტრანსნაციონალური ხასიათის მმართველობითი საქმიანობის ფორმაა, რაზეც გავლენას მსოფლიო განვითარების ზოგადი ტენდენციები და კანონზომიერებები ახდენს, თანამედროვე ინტეგრაციული პროცესებიც კრიზისების ზოგადი სქემის და მათი სახელმწიფო რეგულირების ტიპიური მოდელის შექმნას უწყობს ხელს.

ხელისუფლების მრავალფუნქციურობა მის საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაში, სახელმწიფო წესრიგის და ადამიანების დაცვაში მდგომარეობს. პოლიტიკა სახელმწიფოს მართვის, სახელმწიფო საქმეების გაძღოლის ხელოვნება და ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის არსია. „სახელმწიფო მართვა პოლიტიკურ შინაარსს ატარებს, თუკი იგი მოიცავს სოციალური ჯგუფების, კლასების, ერების, მასების ინტერესებს. პოლიტიკა მუდამ ასახავს გარკვეულ ინტერესებს, რასაც განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა და ითვლება ეფექტიანად, თუკი შეესაბამება განვითარების ინტერესებს“ [4.გვ.186]. ყველა სოციალურ ჯგუფს თავისი მიზნები გააჩნია, ხელისუფლებამ თავისი პოლიტიკით მათ შორის კონსენსუსს უნდა მიაღწიოს, მან ხელი უნდა შეუწყოს ყველა სოციალური ფენის მოთხოვნების დაცვას, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესების დომინირების პირობებში.

„ახალგაზრდა დემოკრატიის“ ქვეყნებისათვის /მათ შორის მოიაზრება საქართველოც/ უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური სახელმწიფო მართვის არსებობა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ხელისუფლების საქმიანობაზე და სისტემის გამართულად ფუნქციონირებაზე, ქვეყანაში კონფლიქტების წარმოშობასა და მათი სიმწვავის ხარისხზე, საზოგადოების მმართველობით ცნობიერებაზე, სახელმწიფო პროცესებში მათ ჩართულობასა და, ზოგადად, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაზე.

თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სამოქალაქო თანხმობის მნიშვნელოვანი დეფიციტია, რასაც პოლიტიკური სუბიექტების ინტერესების რადიკალიზაცია იწვევს, ეს კი ართულებს მთავრობის ქცევის რაციონალიზმს და, შესაბამისად, ხელს უშლის სისტემის ოპტიმალური მოდელის ფუნქციონირებასაც. ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორიენტირება მატერიალურ კეთილდღეობაზე და, მეორე მხრივ, ხელისუფლების ინტერესთა კონცენტრაცია საზოგადოების პოლიტიკური შეკვეთების შესრულებაზე, რადიკალურ განსხვავებას იწვევს მათ სამოქმედო პოზიციებში [2.გვ.25]. ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიების ასეთი დაპირისპირება ასუსტებს ხელისუფლების სისტემურ ერთობას და ამწვავებს სოციალური სუბიექტების საბაზრო პოზიციონირებაში არსებულ დისპროპორციებს.

საზოგადოება მთავრობას საკუთარი ინტერესების დაცვის და მისი მასშტაბების ზრდის გარანტად მიიჩნევს, რაც განსაზღვრავს ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობის ხარისხს. ადამიანებში მატერიალურთან ერთად, დიდია ფსიქოლოგიური კომფორტის მოთხოვნაც, რაც ცხოვრების დონის ამაღლების გარდა, ხელისუფლების მიერ პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფას მოითხოვს, ეს საკითხები სამოქალაქო თანხმობის მიღწევის და პოლიტიკური არასტაბილურობის პრევენციის სამთავრობო სტრატეგიაში აისახება, ეს არის მიზნობრივი აუდიტორიისათვის ხელისუფლების პოლიტიკური, ეკონომიკური და

სოციალური შეთავაზება, რომლის რეალიზაციაც მის მიმართ საზოგადოების ლოიალურ დამოკიდებულებას იწვევს და ამით, გარკვეულწილად, ასუსტებს ქვეყანაში დაძაბულობას.

ხელისუფლება სახელმწიფოს განვითარების უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს, პოლიტიკურ სტაბილურობასთან ერთად, მან ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელება უნდა უზრუნველყოს, გლობალური ეკონომიკის თავისებურებების და შიდა რესურსული ფაქტორების გათვალისწინებით, საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრით და შესაბამისი სტრატეგიის მიღებით. მთავრობის ფუნქცია მკვეთრი რყევებისაგან ეკონომიკის დაცვა და, ამ გზით, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნებას, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარემოს სრულყოფას, პრიორიტეტული დარგების უპირატესი განვითარების მხარდაჭერას, დემოკრატიული და თავისუფალი სამეწარმეო გარემოს შექმნას და სხვა ასპექტს აერთიანებს. სახელმწიფო მართვის სპეციფიკას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, კერძოდ, მისი მკაცრი რეგლამენტირება, გადაწყვეტილების მიღების და რეალიზაციის საკანონმდებლო შეზღუდვებით გამოწვეული მართვის პროცესის ნაკლებად ოპერატიულობა, მართვის შედეგების შეფასების კრიტერიუმების არარსებობა, ამ პროცესებზე მოქმედი ფაქტორების სიმრავლე და სხვ.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრალური ეკონომიკური ფუნქცია ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავებაა, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის აქტივობის შესუსტებაზე ხელისუფლების რეაქციას ასახავს და ცხოვრების დონის დაქვეითების პრევენციას ემსახურება. ანტიკრიზისულმა სტრატეგიამ საზოგადოებრივი კვლავწარმოების წონასწორობა და სისტემის ელემენტების ჰარმონიულობა უნდა უზრუნველყოს, იგი პოლიტიკური პროცესების სტაბილურობასაც უწყობს ხელს, რამდენადაც, რაც უფრო მდგრადია ეკონომიკა, როგორც სამეურნეო ერთეულების ინტეგრირებული ერთობის ფორმა, მით უფრო სტაბილურია საზოგადოებრივი სისტემის ზედნაშენიც, ეს პროცესი პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონალურ დაბალანსებაში, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვადობის ხარისხის ამაღლებაში, პოლიტიკური კონფლიქტებისა და მასების კრიტიკული აქტივობის შესუსტებაში ვლინდება.

ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრა კრიზისის პროგნოზირების და მისი დაძლევის მართვადი პროცესია, რომელიც სისტემის მიზნებს და მისი განვითარების ობიექტურ ტენდენციებს შეესაბამება. განვითარება ციკლური პროცესია და მისი ცვლილებები ლოგიკური კანონზომიერებების მიხედვით მიმდინარეობს. ეს შეიძლება იყოს წონასწორობის მოსალოდნელი რღვევის საფრთხე, მართვად და უმართავ ფაქტორებს შორის თანაფარდობის ცვლილება, ინტერესთა შეცვლის ხარჯზე, სოციუმის ახალი მოთხოვნილებების გაჩენის შესაძლებლობები და ა.შ. საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელი, სწორედ, ადამიანთა მოთხოვნების ზრდა და მისი დაკმაყოფილების სურვილია, თუმცა, ინტერესთა განსხვავება და მათი ცვლილების უთანაბრობა, ობიექტურად განაპირობებს მმართველობითი კრიზისების შესაძლებლობას, რაც სოციალურ-ეკონომიკური სისტემების დისფუნქციას იწვევს. თანამედროვე ანტიკრიზისულ მართვაში დომინანტი ადამიანური ფაქტორი ხდება, მას შეუძლია განვითარების დისპროპორციების პროგნოზირება, მოსალოდნელი კრიზისების შეცნობა და პროცესების ოპტიმალური მართვა. „სახელმწიფო მოხელე მხოლოდ მაშინ არის ეფექტიანი მენეჯერი, თუ იგი შეწყობილია პოლიტიკური ხელისუფლების არსებული შეზღუდვების სისტემასთან და ამ შეზღუდვების გათვალისწინებით აქვს შემუშავებული მოქმედების სტრატეგია“ [1. გვ.124].

„სახელისუფლებო კრიზისი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის საგანგებო მდგომარეობაა, რომელიც მმართველობითი ინსტიტუტების საქმიანობის დაუბალანსებლობით, მიმდინარე პროცესების მართვადობის დონის შესუსტებით, პოლიტიკური კონფლიქტების გამწვავებით და მასების კრიტიკული აქტივობის გაძლიერებით გამოიხატება» [3.გვ.33]. ამ დროს სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტები მკვეთრად გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს

იძენს, რაც სახელისუფლებო სტრუქტურების, მათი პოლიტიკური სტრატეგიის და მართვის მეთოდების ცვლილების მოთხოვნას აჩენს, მცირდება ტრადიციული, სტანდარტული მეთოდებით კონფლიქტების სახელმწიფო მართვის შესაძლებლობა, ძლიერდება ხელისუფლების მართვის სისტემასა და სახელისუფლებო ინსტიტუტებს შორის სტრუქტურულ-ფუნქციონალური დისბალანსი. პლურალისტურ საზოგადოებაში კრიზისები ძალთა და ინტერესთა ახლებურ თანაფარდობებს აყალიბებს, რითაც მასტაბილიზებელ - მაკორექტირებელ ფუნქციას ასრულებს და საზოგადოებრივ პროგრესს ასტიმულირებს, რიგიდნული სისტემის პირობებში კი კონფლიქტები აფერხებენ განვითარების პროცესს და აღრმავებენ პოლიტიკურ კრიზისს, ამ დროს იწყება ხელისუფლების და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფუნქციური მოშლა, რთულდება წინააღმდეგობების გადაჭრა კომპრომისების გზით და აუცილებელი ხდება ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოსთან მართვის სტრუქტურების, ფორმების და მეთოდების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კონფლიქტი ურთიერთობების ობიექტური კომპონენტია, იგი სხვადასხვა ფორმით მუდმივად არსებობს და მისი სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, ეს სისტემის არსებობის იმპერატიული მოცემულობაა. ხელისუფლების როლი ამ ურთიერთობათა განვითარების სტაბილურობის უზრუნველყოფასა და ინტერესთა დაპირისპირების პრევენციაში მდგომარეობს, იგი არსებული სტერეოტიპების რღვევას და მათ ნაცვლად,

ახალი ინსტიტუციური სტრუქტურების, პოლიტიკური ქცევის ახალი წესებისა და ნორმების დამკვიდრებას უნდა უწყობდეს ხელს, ეს ხელისუფლების უალტერნატივო მისიაა და მის მარეგულირებელ ფუნქციას შეადგენს. ეფექტური ანტიკრიზისული მართვა კრიზისის ნიშნების გამოვლენას პრობლემის წარმოშობის საწყის ეტაპზე და შემდგომ მის ეფექტურ მართვას ითვალისწინებს, რასაც ხელს უწყობს ხელისუფლების საკანონმდებლო ფუნქცია და ადმინისტრაციული ბერკეტების ფლობა, ანუ ყოველივე ის, რაც ფუნდამენტალურ საფუძველს ქმნის სამართლებრივი სახელმწიფოს და ცივილიზებული მართლწესრიგის ფორმირებისათვის.

განვითარებადი ქვეყნების მმართველობითი სისტემისათვის ხშირად დამახასიათებელია ხელისუფლებისადმი მოსახლეობის გაუცხოება, რასაც სხვა ქვეყნების მიმართ ფინანსური, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების ზრდა და, შესაბამისად, საკუთარი სახელმწიფო პოლიტიკისადმი უნდობლობის გაღრმავება იწვევს. პოლიტიკური კონფლიქტები, მათი წარმატებული მართვის პირობებში, შეიძლება პოზიტიური ცვლილებების და განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისი გახდეს. თუკი ხელისუფლება მიმდინარე პროცესებს არაადექვატურად აღიქვამს და მისი რეაქციაც არ შეესაბამება ობიექტურ რეალობას, კონფლიქტი შეიძლება უფრო მწვავე სახელისუფლებო კრიზისში გადაიზარდოს, როდესაც მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით შეუძლებელი ხდება არსებული პრობლემების გადაჭრა, ამ დროს მოსალოდნელია ძლიერი სოციალური რყევები, თუმცა, გარკვეულ შემთხვევაში, განსაკუთრებით ხელისუფლების მაღალი ლეგიტიმაციის და ნდობის გარკვეული ვოტუმის არსებობის პირობებში, საზოგადოება სირთულეებს დროებით მოვლენად აღიქვამს და მას პოზიტიური ცვლილებების შესაძლო პერსპექტივას უკავშირებს.

ზოგადად, კრიზისიდან გამოსვლა ხელისუფლების მიერ რეფორმების ეფექტიან გატარებაზე და მოსალოდნელი შედეგების სწორ პროგნოზირებაზეა დამოკიდებული. კრიზისული სიტუაციების სახელმწიფო რეგულირება არასტაბილურობის მიზეზების გამოვლენას და პრიორიტეტების განსაზღვრას ითვალისწინებს, ამით მან ზრდის ოპტიმიზაციას და განვითარების ეფექტიანობას უნდა შეუწყოს ხელი, რისთვისაც მიმდინარე მოხმარებას და ინვესტიციებს შორის საშუალებების ოპტიმალური გადანაწილებაა საჭირო. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია ამ პროცესებისათვის სამართლებრივი და მარეგულირებელი ბაზის საფუძველზე ოპტიმალური ბიზნეს-გარემოს შექმნაში მდგომარეობს. რეფორმები უნდა შეეხოს სახელმწიფოს, სამეურნეო სტრუქტურებს და საზოგადოებას შორის ურთიერთობებს,

ფუნქციათა დელეგირების ოპტიმიზაციის მექანიზმებს. კრიზისიდან გამოსვლის დინამიკა განისაზღვრება სახელმწიფოს უნარით, ხელი შეუწყოს ინსტიტუციურ ცვლილებებს, ახალი სტრუქტურების ფორმირებას, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას, მმართველობის დეცენტრალიზაციის, ანტიმონოპოლიური საქმიანობის და მართვის დემოკრატიული მეთოდების გამოყენებას. რეფორმების სტრატეგია მის სოციალურ შედეგებს უნდა ითვალისწინებდეს. მან უნდა უზრუნველყოს სოციალური დაძაბულობის შესუსტება, ეკონომიკური უსაფრთხოების და პიროვნების სამართლებრივი დაცვა და, შედეგად, განვითარების პროცესის სტაბილიზაცია. სოციალური ფაქტორების გაძლიერება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის განვითარებას და კანონზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ურთიერთობების დამკვიდრებას მოითხოვს, რაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური აღმავლობის და ცხოვრების დონის სტაბილიზაციის მასტიმულირებელ ფაქტორად იქცევა. ყოველივე ეს სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისადმი ახლებურ მიდგომებს და თანამედროვე, სოციუმზე ორიენტირებული სამართლებრივი გარემოს ფორმირებას მოითხოვს.

ეკონომიკის სოციალიზაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების სტაბილიზაცია. ნორმატიული სტანდარტების სრულყოფასთან ერთად, საფინანსო სექტორის რეგულირებას, შემოსავლების განაწილების ოპტიმიზაციას, ფულის მიწოდების, შემოსავლების წყაროების, სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ვალის, სავაჭრო ბალანსის და სისტემის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტის რეგულირებას, სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას და ანტიკრიზისული სტრატეგიის ძირითადი პარამეტრების დადგენას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანი ცვლილებები მიიღწევა რესურსების ანტიკრიზისულ დონისძიებებზე კონცენტრირებით, რეალური სექტორის კონკურენტუნარიანი სეგმენტის პრიორიტეტული ინვესტირებით და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე ორიენტირებით. სახელმწიფოს ეკონომიკური აქტიურობა მთლიანად მიმართული უნდა იყოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ადგილობრივი წარმოების უპირატესი განვითარების მხარდაჭერაზე და ეკონომიკური აღმავლობისათვის ხელსაყრელი გარემოს ფორმირებაზე.

სახელმწიფო, ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრასთან ერთად, მისი მართვის მექანიზმების დადგენასა და მონიტორინგის განხორციელებაზე, ქვეყნის ფინანსურ გაჯანსაღებასა და სწორი ურთიერთობების ფორმირებაზეა პასუხისმგებელი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კერძო სექტორის და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერა, ეკონომიკური თავისუფლების ზრდა, რეგიონული განვითარების სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, შრომისა და კაპიტალის ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფა და ა.შ., სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა საბაზრო ძალების რეგულირებას უნდა ითვალისწინებდეს, მან ხელი უნდა შეუწყოს შემოსავლების გადანაწილებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, სიღარიბის დაძლევას, სოციალური დაზღვევის და შემოსავლების გამოთანაბრების საფუძველზე არსებული ცხოვრების დონის შენარჩუნებას, მინიმალური დონის ზღვარს ქვემოთ შემოსავლების მქონე მოსახლეობის წილის მინიმუმამდე შემცირებას. თუკი სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების გამოთანაბრებას, იქმნება უარყოფითი ტენდენციები ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში. ცხოვრების დონის არსებითი დაცემა სოციალურ-ფსიქოლოგიურ დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას და კრიტიკულად განაწყობს ხელისუფლების რეფორმატორული სტრატეგიის მიმართ.

„სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება სტიქიური საბაზრო ძალების უარყოფითი გავლენისაგან, მან უნდა იზრუნოს წარმოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილიბრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე“ [3. გვ.70]. ანტიკრიზისული სოციალური პროექტების წარმატება სამთავრობო პოლიტიკასთან ერთად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არასამთავრობო სტრუქტურების სოციალური პროექტების განხორციელებაზე, საზოგადოების პოლიტიკური აქტიობების ზრდასა და კონფლიქტების მართვაში სამოქალაქო საზოგადოე-

ბის ჩართულობაზე. მასები გაგებით უნდა შეხვდნენ და საკუთარი ინიციატივებით გაამდიდრონ ხელისუფლების რეფორმირების სტრატეგია, ორიენტირებული ეკონომიკის სტაბილიზაციასა და საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბადათურია გ.,ბადათურია ო. სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში. თბილისი, 2009;
2. ტაბატაძე მ. საარჩევნო სტრატეგია -- სოციუმის პოლიტიკური შეთავაზება ჟურ."ხელისუფლება და საზოგადოება" 1(17), 2011;
3. ტაბატაძე მ., ცანავა ნ. სახელმწიფო ანტიკრიზისული მართვა, თბილისი, 2009;
4. Пикулькин А.В. Система государственного уцравления. ЮНИТИ. М.2004.

Country's mechanisms for prevention of economic shocks

Marina Tabatadze

Summary

In this article we've discussed the different mechanisms that a country uses for preventing economic shocks. A state plays dominant role in crisis regulation. Taking into account the degree of the crisis and the specificities of its expansion, the mechanisms used in regulation are differentiated. This makes the issue very important to study. The paper argues that effective economic policy plays an important role in protecting states in case of significant shocks and preventing them from crisis.

We analyse functions of the state during the unstable development, governmental strategies of crisis prevention, economical mechanism of country's control system, role of society in the process of development and its' mental transformations during the economical liberalisation. There's also discussed the influence of state's antirecessionary policy on the process of social-economic functioning, role of the country in the process of forecasting and achieving the stable economical and political environment.

Key words: *Political environment, State Anti-Crisis Management, Civil consent, Rationalization of government behaviour, The public function of the government, Government crisis*

როგორ გავხადოთ საქართველო ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად

შენგელია რევაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

წიკლაური-შენგელია ჟუჟუნა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

შენგელია ნათია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინვესტირებისათვის მიმზიდველად, აუცილებელია ქვეყნის სწრაფი ტემპით ზრდა. მართალია არის ობიექტური შემაფერხებელი ფაქტორები (ბაზრის პატარა მოცულობა, დედაქალაქის სიახლოვეს ოკუპანტი ქვეყნის შეიარაღების არსებობა და ა.შ.), რომლის გამოსწორება მოკლე დროში პრაქტიკულად არ შეიძლება, ან თითქმის შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი ფაქტორებიც , რომელთა გამოსწორება მოკლე დროში შესაძლებელია. მაგალითად: ჩვენი მსგავსი განვითარებული ქვეყნების განვითარების გზების შესწავლა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით დანერგვა; ინფრასტრუქტურის შედარებით მოკლე დროში განვითარება; მუშახელის კვალიფიკაციის დონის ამაღლება; სახელმწიფო ბიუროკრატიის შენახვაზე ნაკლები ფულის ხარჯვა და ეკონომიკისათვის მეტი ფულის დატოვება; ნაკლები ვალების აღება; მიმოქცევაში სანდო ფულის არსებობა; სახელმწიფოს ხელში დარჩენილი ქონების (მიწა, უძრავი ქონება და ა.შ.)პრივატიზაცია; ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია; სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემა; განათლების რეფორმა; ინოვაციური ატმოსფეროს შექმნა უწყვეტი განათლების სისტემის დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება.ამისათვის საჭიროა ბევრი კერძო ინიციატივები, ნაკლები რეგულაციები სახელმწიფოს მხრიდან და ფინანსების სწორი მიმართულებით, მიზნობრივი ხარჯვა და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიცია, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო, საინვესტიციო პოლიტიკა, უწყვეტი განათლება.*

ძირითადი ტექსტი

გარდამავალ ეტაპზე მყოფმა ბევრმა ქვეყანამ ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს უმოკლეს დროში ინვესტიციების ზრდის შედეგად მიაღწია. ისეთი მცირე განვითარებადი ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგანაც შიდა ინვესტიციები, როგორც წესი, დეფიციტურია. ყოველივე ეს, ხელსაყრელი, რაციონალური, სასურველი, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნის გარეშე წარმოუდგენელია.

რატომ უნდა გავხადოთ საქართველო ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად?

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თუ გვინდა ქვეყანა წინ წავიდეს, განვითარდეს, აუცილებელია იგი გახდეს მიმზიდველი, უწინარეს ყოვლისა ინვესტირებისათვის, ბიზნესის კეთებისათვის. და ეს ყველაფერი უნდა მოხდეს უმოკლეს დროში, რადგან დროის ფაქტორი ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს. ხშირად ამბობენ, რომ იბერია ერთ დროს გაბრწყინდებაო, მაგრამ ამას შეიძლება ათასი, ორი ათასი წელი დასჭირდეს. სწორედ

ამიტომ საჭიროა ქვეყნის სწრაფი განვითარება. სხვა გზა სწრაფცვალებად კონკურენტულ სამყაროში უბრალოდ არა გვაქვს;

მეორე, ბიზნესისათვის, ინვესტირებისათვის მიმზიდველი გარემო ზოგადად რომ ვთქვათ, ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკა ვითარდება სწრაფად, სამუშაო ადგილები იქმნება, უპირველეს ყოვლისა, კერძო სექტორში, ანუ ბიზნესში და არა სახელმწიფო სექტორში.სამუშაო ადგილების მატება სახელმწიფო სექტორში, რასაც ხშირ შემთხვევაში საქართველოში, სამწუხაროდ, ადგილი აქვს, ეკონომიკის გაჩერებას უფრო ნიშნავს, ვიდრე მის სწრაფ განვითარებას. ფაქტიურად, ამ სექტორში დასაქმებულები იღებენ შემოსავალის სახით ფულს, რომელიც ეფექტიანად მომუშავე ეკონომიკის, ბიზნესის სექტორში დასაქმებულების საშემოსავლო, მოგების და სხვ. გადასახადებიდან მიიღება.სხვანაირად რომ ვთქვათ სამუშაო ადგილების ზრდა ბიზნეს სექტორში უფრო სწრაფად უნდა ხდებოდეს, ვიდრე საქხელმწიფო სექტორში;

მესამე, საქართველო ინვესტირებისათვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნად იმიტომ უნდა გახდეს, რომ ჩვენ ვართ ღარიბი ქვეყანა.სიღარიბის გამო არ იქმნება კაპიტალი, რომელიც საკმარისი იქნება საინვესტიციო საქმიანობისათვის.მოსახლეობის არსებული შემოსავლები კი თითქმის მთლიანად იხარჯება მიმდინარე საჭიროებებზე. ასეა ქართული ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა. ყოველთვიური შემოსავლები სხვადასხვა ფორმით(ხელფასები,შემოსავლები გაქირავებიდან, იჯარიდან და ა.ს.), რასაც თვიდან თვემდე შოულობენ, თითქმის მთლიანად იხარჯება და ვერ ხერხდება რაღაც ნაწილის გადადება, დაზოგვა მომავლისთვის. არადა ეკონომიკა იზრდება და ვითარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები ახერხებენ დანაზოგების გაკეთებას და ეს დანაზოგები გარდაიქმნება ინვესტიციებად. ყოველივე ეს ხდება მდიდარ ქვეყნებში. ჩვენ კი რადგან ვართ ღარიბი ქვეყანა და მოსახლეობის შემოსავლები თავისი ოდენობით ვერ ქმნის საინვესტიციო კლიმატს, ბუნებრივია ამიტომ შიდა ინვესტიციები ძალიან ცოტაა. იგი საქართველოში დაახლოებით 3.6 მლრდ.აშშ დოლარამდეა. სასარგებლო წიაღისეულით, ტერიტორიული მდებარეობით თუ სხვა მაჩვენებლებით საქართველოს მსგავს ისეთ ქვეყანაში, როგორიც, მაგალითად, შვეიცარიაა, შიდა ინვესტიციები წელიწადში 155 მლრდ აშშ დოლარამდეა. ეს ნიშნავს იმას, შვეიცარიას მეტი რესურსები გააჩნია ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის, რაც კარგი ბიზნესგარემოს დამსახურებაა.

მართალია, ზოგიერთ მაჩვენებლებს საქართველო სწრაფად ვერ გაზრდის, უფრო მეტიც, პრაქტიკულად შეიძლება ეს თითქმის შეუძლებელიც აღმოჩნდეს (მაგ., ბაზრის პატარა მოცულობა, დედაქალაქის სიახლოვეს ოკუპანტი ქვეყნის შეიარაღების არსებობა და ა.შ.), მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასევე არის ფაქტორები , რომელთა გამოსწორება მოკლე დროში შესაძლებელია. მაგალითად:

1. ინფრასტრუქტურა, რომელიც წინანდელ ათი წელთან შედარებით უფრო განვითარებულია, შეიძლებოდა ამის მიღწევა, ვთქვათ, 5 წელიწადში;

2. მუშახელის კვალიფიკაცია (საერთოდ, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების ხარისხობრივი დონე).ნებისმიერ ინვესტორს ურჩევნია ფული დააბანდოს ისეთ ქვეყანაში, სადაც სამუშაო ძალა უფრო კვალიფიციურია, კონკურნტუპირატესობის მატარებელია, მისი დაქირავება უფრო იოლია იმ საქმის შესასრულებლად, რა საქმის გაკეთებაც ინვესტორს ადგილზე სურს. ამ მხრივ კი ჩვენში პრობლემებია, თუმცა რაღაც ვადებში გამოსწორებადი და ა.შ.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ჩვენი საინვესტიციო პოლიტიკა უნდა წარვმართოთ იქეთკენ, რომ საინვესტიციო მიმზიდველობისათვის საჭირო გამოსწორებადი რაღაც შემაფერხებელი ფაქტორები გამოვასწოროთ რაც შეიძლება სწრაფად, ხოლო ბუნებრივად არსებული შეზღუდვები, რომელთა გამოსწორება მოკლე დროში შეუძლებელია და დიდ დროს ითხოვს, ნელ-ნელა ვეცადოთ გამოსწორდეს, თუკი ობიექტური გარემოება ამის საშუალებას მოგვცემს. ე.ი. დროის ფაქტორი ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

კიდევ რა ტიპის რეფორმებია განსახორციელებელი საქართველოში იმისათვის, რომ იგი გახდეს საინვესტიციოდ მიმზიდველი ქვეყანა?:

ჯერ ერთი. ჩვენს მიერ აღებული კურსი დასავლეთისკენ-გავხდეთ ევროკავშირის, ნატოს წევრი-სავსებით სწორია. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გადმოვწეროთ ის კანონები, რომლებიც არეგულირებენ ევროპის ეკონომიკას და ამით ვიცხოვრებთ ევროპულად. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ევროზონაში მოქმედი ზოგიერთი კანონი, რომელიც დაკავშირებულია ერთიან ვალუტასთან და ა.შ., ზოგიერთი მათთაგანი სინამდვილეში შემაფერხებელია ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით. ეს არის ის ეკონომიკური რეგულაციები, რომელიც ევროპამ მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც გახდა მდიდარი ქვეყანა. ამ რეგულაციების გადმოღება საქართველოს ეკონომიკას არაფერში წაადგება. **მეორე,** არის ისეთი რეგულაციები, რომელიც სასარგებლოა განვითარებული ეკონომიკისათვის, რაც ქართული განუვითარებელი ეკონომიკისათვის ნაკლებად შედეგიანია. მაგალითად, 2007-2011 წწ. როცა ბრაზილია, ჩინეთი, რუსეთი და სხვა ქვეყნები სწრაფად იზრდებოდნენ (დაახლოებით 8-10 %), ევროზონის ქვეყნებში მხოლოდ 0.2-1.5%-ნი ზრდა დაფიქსირდა. საქართველო თუ ასეთი ზრდის ტემპით ივლის, ის ისევ იგივე განუვითარებელი დარჩება, როგორიც დღეს არის და ევროპის დონეს 50-100 წლის შემდეგ მიაღწევს. არადა საქართველომ სწორად თუ ხარჯა ფული, თავისუფლად შეუძლია ორნიშნა ციფრებში ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს (მაგ., 2007 წ. იყო 13 %-ნი ზრდა). ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ალბანეთს სწრაფად გავასწროთ, 6-7 წწ.თურქეთს, 8-9 წწ. გავხდეთ პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და ა.შ. ე.ი. მალე შეიძლება საქართველო საცხოვრებლად კარგი ქვეყანა გახდეს, მაგრამ ძალიან მდიდარი არ იყოს;

რა ტიპის რეგულაციები, გამოცდილებები შეიძლება გადმოვიღოთ განვითარებული ევროზონის და სხვა ქვეყნებიდან, რომ ჩვენც შევძლოთ იგივე განვითარების დონეს მივაღწიოთ და გავხდეთ ინვესტირებისათვის საინტერესო ქვეყანა?

ჯერ ერთი, ხომ არსებობენ ტერიტორიების, მოსახლეობის, წიაღისეულის მარაგის, წყლის რესურსების და სხვ.მიხედვით ჩვენი მსგავსი ქვეყნები, რომლებიც ჩვენსავით არ ყიდიან გაზს, ნავთობს, მაგრამ შეძლეს ერთ დროს მიეღწიათ სწრაფი ტემპით განვითარებისათვის და გახდნენ მდიდრები? დიახ არსებობენ. საჭიროა ასეთი **განვითარებული ქვეყნების განვითარების გზების შესწავლა და ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით დანერგვა;**

მეორე, ისედაც მცირე ბიუჯეტის პირობებში **საჭიროა ნაკლები ვხარჯოთ სახელმწიფო ბიუროკრატიის შენახვაზე და მეტი ფული დავუტოვოთ ეკონომიკას, ბიზნესს,** სადაც რეალურად იქმნება პროდუქცია. ასეთ პირობებში საჯარო სამსახურებში დასაქმებულების ზრდა, რასაც დღევანდელ სიტუაციაში ხშირად ადგილი აქვს, სხვა არაფერია, თუ არა წარმოებაში დასაქმებულებისაგან, წარმატებული მეწარმეებისაგან ფულის წართმევა საშემოსავლო, მოგების გადასახადების და სხვ. სახით იმათი შესანახად, რომლებიც არაფერ მატერიალურს არ ქმნიან. უფრო კარგი იქნება სახელმწიფო ნაკლებად ჩაერიოს ეკონომიკაში, ბიზნესში , დაუტოვოს ეკონომიკას მეტი ფული თუნდაც გადასახადების შემცირებისა და არა მისი გადიდების გზით. კერძო სექტორი უფრო ეფექტიანად გამოიყენებს ასეთ რესურსებს. ამ მხრივ მოგების გადასახადის დაბეგვრის ესტონური მოდელის შემოღებამ საქართველოში შეიძლება მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცეს. ესტონური მოდელი ეს არის მოგების გადავადებული გადასახადი, რომელიც იძლევა საშუალებას, გვქონდეს საუკეთესო საინვესტიციო გარემო, დამატებით თანხა დავუტოვოთ ქვეყანას ბიზნესისათვის, რომელიც მობილიზებული იქნება ისევ ბიზნესში, გამოყენებას ჰპოვებს როგორც შიდა, ისე უცხოური ინვესტირებისთვის. ეს უნიკალური მოდელია რეგიონში, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ახალი ინვესტიციების მოზიდვას, ასევე შიდა ინვესტიციების წახალისებას და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას;

მესამე, თუ გვინდა გავხდეთ წარმატებული ქვეყანა, **საჭიროა ნაკლები ვალები ავიღოთ**. ამ მხრივ მოცემულ ეტაპზე საგანგაშო მდგომარეობა არა გვქვს (მშპ-ს 40-45% მდეა), მაგრამ ბოლოდროინდელ მზარდ ტენდენციას თუ გავაგრძელებთ, ადვილი შესაძლებელია ევრო ზონის სტანდარტებს (მშპ-ს 60 %) დავუახლოვდეთ;

მეოთხე, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას ასევე გაზრდის **მიმოქცევაში სანდო ფულის არსებობა**. ის ფაქტი, რომ დეპოზიტებში, სესხებში, ბინების, მანქანების ყიდვა-გაყიდვისას და ა.შ. აშშ დოლარი გვხვდება სხვა არაფერია, თუ არა ლარისადმი უნდობლობა. თუ ჩვენ არ ვენდობით ლარს, მაშინ რატომ არის აუცილებელი, რომ უცხოელი ინვესტორი ენდოს მას. ინვესტორს ინვესტირებისას სახელმწიფო ავალდებულებს ოპერაციები აწარმოოს ლარებში. შემდეგ იგი განახორციელებს ტრანზაქციებს, ლარებს ისევ ახურდავებს და ყიდულობს დოლარს, ევროს ან სხვა ვალუტას. ამის შემდეგ იგი ან მოიგებს ან წააგებს, რაც გადამწყვეტია მისი შემდგომი საქმიანობის გასაგრძელებლად. ამ ტრანზაქციებში, ვფიქრობთ, ძირითადად იგებენ საფინანსო ინსტიტუტები, ხოლო ინვესტორები უფრო მეტად ზარალდებიან. გამოსავალი აქიდან ალბათ შეიძლება იყოს თავისუფალი სავალუტო რეჟიმის არსებობა, როცა შესაძლებელი გახდება იმ ვალუტის გამოყენება, რომელიც უფრო მოსწონთ და ენდობიან;

მეხუთე, მნიშვნელოვანი რეზერვი ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გასაზრდელად, სწრაფი განვითარებისათვის არის ჯერ კიდევ **სახელმწიფოს ხელში არსებული ქონების** (მიწა, უძრავი ქონება და ა.შ.) **პრივატიზაცია**. ეს ქონება, გარდა სტრატეგიული ობიექტებისა, აუცილებელია გადავიდეს კერძოს ხელში. მათ პატრონი უნდა გამოუჩნდეს, რაც სტიმული იქნება ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის;

მეექვსე, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას ასევე შეუწყობს ხელს **ეკონომიკის დეკრიმინალიზაცია**. მცირეოდენი ფინანსური დანაშაულისთვის ადამიანები ციხეში ნაკლებად უნდა ხვდებოდნენ. ამ მხრივ შიში ინვესტორების მხრიდან ჯერ კიდევ არსებობს. მაგრამ მთლად უინტერესო არ იქნება ჩინური გამოცდილების გაზიარება, სადაც შემოსავლების დამალვა სიკვდილითაც კი ისჯება. ეტყობა, ჩინეთის ეკონიმკურ წარმატებებში, სახელმწიფოს გაძლიერებაში ამ ფაქტორს არანაკლები წვლილი მიუძღვის;

მეშვიდე, ქვეყნის წინსვლისათვის აუცილებელია არსებობდეს **სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემა**. ზოგადად საყოველთაო მიდგომები ვერ ამართლებს. საყოველთაო დაზღვევა თითქმის იმის ანალოგიურია, რომ, მაგალითად, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში შეუშვა მოსახლეობა და უთხრა ყველაფერი გადახდილიაო. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში თითოეული მათგანი აიღებს იმაზე მეტ საკვებს, ვიდრე აიღებდა თვითონ რომ გადაეხადა. და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არ დავიწყეთ უფასო საყოველთაო კვებით, პროდუქტების მომარაგებით? ჯანმრთელობის დაცვამდე ხალხს უფრო საკვები არ სჭირდება? სინამდვილეში საყოველთაო დაზღვევა უფრო მაშინ არის გამართლებული, როცა სახელმწიფო დაეხმარება იმათ, ვისაც ეს რეალურად სჭირდება და არა იმას, ვისაც ფიზიკურად შრომა შუძლია, მაგრამ სოციალური დახმარების იმედით მთელი თვის განმავლობაში არაფერს აკეთებს.თუ ეს სისტემა შეიცვლება დავზოგავთ მეტ ფულს და გაცილებით მეტად დავეხმარებით იმათ, ვისაც უფრო უჭირს (არანაკლებ ეფექტიანი იქნება ფულის დაზოგვა ისეთ ღონისძიებებში, როგორიცაა თბილისობა, ცნობილი უცხოელი არტისტების ჩამოყვანა საქართველოში, მაშინ როცა მათზე ნაკლები ხელოვანები, მუსიკოსები ადგილზე არ არიან). ე.ი. სოციალური დახმარების ეფექტიანი სისტემაზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აუცილებელია არსებობდეს მინიმალური უსაფრთხოების ბადე გაჭირვებული ადამიანებისათვის და არ ვეხმარებოდეთ იმათ, ვისაც ეს ნამდვილად არ სჭირდება;

მერვე, ვინაიდან ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი ფაქტორია მუშაკის კვალიფიკაციის დონე, ბუნებრივია რამხელა მნიშვნელობა აქვს **განათლების რეფორმას**. პრობლემა იმაშია რომ არ არის ნამდვილი კონკურენცია ამ სფერო-

ში. არადა კონკურენცია საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყველა მიმართულებით უნდა არსებობდეს. ფაქტიურად კონკურენცია არსებობს კერძო და საჯარო სკოლებს, სასწავ-ლებლებს,ინსტიტუტებს შორის, მაშინ როცა კონკურენცია სინამდვილეში უნდა იყოს სახელმძღვანელოებს, მასწავლებლებს, სასწავლო პროგრამებს, სწავლების მიდგომებსა და მეთოდებს შორის. სამწუხაროდ ასეთი კონკურენცია ჩვენთან არ არის ამ სფეროში სახლმ-წიფო რეგულაციების სიჭარბის გამო. ფაქტიურად განათლების სისტემა წააგავს საბჭოთა სისტემას ოდნავი ცვლილებებით.სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მსჯელობაა იგივე პრობლემებზე, რაც იყო სსრკ-ის დროს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ განათ-ლებაზე დახარჯული ფულით ვერ ვაღწევთ იმ მიზანს, რა მიზანსაც ვისახავდით. საშუალო განათლება ნაკლებად უშვებს სკოლიდან გონებაგახსნილ, ახალი კრიტიკული, კრეატიული აზროვნებისუნარიან ახალგაზრდებს. უმაღლესი განათლების სისტემაც ნაკლებად ამზადებს კადრებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომელიც მათ სა-შუალებას მისცემს საზოგადოებაში იარსებონ, იყვნენ კონკურენტუნარიანობის მატარებელი მუშაკები, დასაქმდნენ თავისუფლად. ასეთი კადრები კი ნაკლებად შექმნის ახალს, ხოლო ვინც არ ქმნის რაიმე ახალს, ის მხოლოდ სხვის მიერ შექმნილს იმეორებს და/ან მოიხმარს. ყოველივე ამის გამო, ჩვენ ვამდიდრებთ იმ "სხვას", ამით, ნებსით თუ უნებლიედ ხელს ვუ-წყობთ ჩვენი ქვეყნის სულ უფრო ჩამორჩენას და გაღარიბებას.

ამრიგად, სწრაფცვალებად კონკურენციის პირობებში ქვეყანა რომ ვაქციოთ ინ-ვესტირებისათვის მიმზიდველად, აუცილებელია შეიქმნას ინოვაციური, კრეატიული ატ-მოსფერო უწყვეტი განათლების სისტემის დასანერგად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრე-სის ტემპის კვალდაკვალ გამუდმებით განახლება, ქვეყანაში განათლების საერთო დონის ამაღლება. ყოველივე ამისათვის საჭიროა ბევრი კერძო ინიციატივები, ნაკლები რეგულაციე-ბი სახელმწიფოს მხრიდან და ფინანსების სწორი მიმართულებით, მიზნობრივი ხარჯვა. ე.ი. საბოლოო ჯამში, განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მიზანია განათლება როგორც ბიზნესი ნაკლებად პრიორიტეტული იყოს და იგი უფრო მეტად გახდეს საზო-გადოებრივი სიკეთე.

დასკვნა

ამრიგად, ქვეყნის სწრაფი ტემპით განვითარებისათვის, საინვესტიციო მიმზიდველო-ბისათვის მართალია, არის ობიექტური შემაფერხებელი ფაქტორები, რომლის გამოსწორება მოკლე დროში პრაქტიკულად არ შეიძლება, ან თითქმის შეუძლებელია. მაგრამ არის ისეთი ფაქტორებიც, რომლებიც მოკლე დროში შესაძლებელს გახდის მოვიზიდოთ მეტი ინვესტიციები და მივაღწიოთ სწრაფ ეკონომიკურ ზრდას.

ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., კერესელიძე დ. ინვესტიციების ზოგიერთი აქტუალური საკითხი საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა", № 9-10, 2011;
2. ბარათაშვილი ე., მაგრაქველიძე დ., საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბ. , 2009;
3. გ. ჯოლია, ცოდნის ეკონომიკა, თბ., 2015;
4. ჟურნალი "ეკონომიკა", №3-4, 2016წ.;
5. გ. ჯოლია. კრეატიული ეკონომიკა და განვითარება. თბ., 2015.;
6. ჟურნალი "ეკონომიკა", №5-6, 2014წ.;
7. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი", №3, 2016წ.;
8. Guenter Faltin, Kopf Schlaegt Kapital, Carl Hanser Verlag, Munchen, 2008.

How To Make Georgia The Most Attractive Country for Investment-making?

Revaz Shengelia
Jujuna Tsiklauri-Shengelia
Natia Shengelia

Summary

In order to make a country attractive for investment-making, it is necessary to keep a country growing at a rapid pace. Although there are the objective hindering factors (small market volume, the existence of weapons of the occupant near the capital and etc.), which can not be corrected in a short time or it is almost impossible. But there are the factors, which can be modified in a short time. For example: to study the ways for enhancement of the developed countries similar to us and to implement them by considering the local peculiarities; infrastructure development in a relatively short time; enhancement of workforce skills level; to spend less money on saving the state bureaucracy and to leave more money for the economy; to take less debts; existence of reliable money in circulation; privatization of the remained property possessed by the government (land, real estate, etc.); decriminalization of the economy; effective system of social assistance; reforms in education; creation of innovative atmosphere by the introduction of continuing education system, which should provide to update the knowledge acquired at the educational institutions constantly, thus to increase the overall level of education in the country; for all these it is necessary many private initiatives and less regulations from the state, targeted spending of finances and etc.

key words: *Investment, Attractive investment environment, Investment policy, Long Life Learning*

ზოგიერთი ასპექტი ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედებაში

ქაჯაია მანანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ეკატერინე გაბაშვილი (1851-1938) ქართველ მანდილოსთაგან ერთ-ერთი პირველი მოღვაწე ქალია, რომელმაც მრავალ საქველმოქმედო, მამულიშვილურ საქმეს დაუდო სათავე. ეკატერინე გაბაშვილი თავისი მსოფლმხედველობითა და შემოქმედების ხასიათის თავისებურებით სამოციანელი ქართველი მწერლების ტრადიციების გამგრძელებელია. მის შემოქმედებაში აისახა ქართველი ხალხის ყველა სოციალური ფენის ხასიათი და ცხოვრება. მწერალმა გულისყურით დაახასიათა როგორც მაღალი საზოგადოების, ისე გლეხობის სოციალურ უფლებრივი და ეკონომიური მდგომარეობა. თვალყურს ადევნებდა ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებას და ყველაფერს თვითმხილველის სიზუსტით აღწერდა. ახალგაზრდა, ენთუზიაზმით აღსავსე განათლებული ეკ. გაბაშვილი აკაკი წერეთლის წაქეზებითა და დიდი ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით აქტიურად ჩაება მიმდინარე საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრების პროცესში. საზოგადოებრივ-საქმიანობაში გამოჩენილი ენერგიულობის გამო, მას ანგარიშს უწევდა თვით ილია ჭავჭავაძე და ახალგაზრდა მწერალს, რომელიც გამოირჩეოდა გემოვნებით, ჭკუითა და ტაქტით, ისეთ თავყრილობებზეც კი იწვევდა, სადაც მხოლოდ ქართველ მოღვაწე მამაკაცთა საზოგადოება იკრიბებოდა. ეს ეპიზოდები საინტერესოდ აქვს აღწერილი ეკ. გაბაშვილს თავის მშვენიერ მოგონებებში.

საკვანძო სიტყვები: *პოეზია, მწერალი, ხალხოსნობა, თხზულებანი, მსოფლმხედველობა.*

ძირითადი ტექსტი

ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედებით შესაძლებლობებზე მაღალი აზრი ჰქონდა აკაკი წერეთელს, როცა მას „ნამდვილ მწერალს“ უწოდებდა. იაკობ გოგებაშვილი „დიდად განათლებულ, ნიჭიერ“ ბელეტრისტად თვლიდა, ხოლო ისეთი დაკვირვებული კრიტიკოსი, როგორც კიტა აბაშიძე იყო, ეკატერინე გაბაშვილს, სინამდვილისადმი გამახვილებულ სოციოლოგიურ ხედვას უქებდა. მისი სიტყვით, მწერლმა „შეისწავლა ისტორიული და სოციოლოგიური კანონებით ხელმძღვანელობა „მოვლენათა დაფარული კავშირის“ ასახსნელად“. (აბაშიძე 1971:239). საერთოდ, ეკ. გაბაშვილი კარგად იცნობს როგორც რუსულ, ასევე ევროპული სინამდვილის წიაღში შემუშავებულ მხატვრულ კანონებს, აქვს სოციალურ პროცესებში მისთვის საინტერესო მომენტების წვდომის უნარი და საღი ინტუიცია. მისი ბელეტრისტიკა შინაგანი ჟანრული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეკ. გაბაშვილს შექმნილი აქვს მრავალი ნოველა, მინიატურა, ესკიზი, სურათი, პატარა მოთხრობები და რომანები. მას ყველგან აინტერესებს საზოგადოების სოციოლოგიური მექანიზმი, მისი ეთიკური სტრუქტურა, პიროვნების როგორც სოციალური ერთეულის სულიერ-ზნეობრივი ავტონომიურობის პრობლემა. იმის გამო, რომ 80-იანი წლებიდან განსაკუთრებულ ინტერესს ავლენს სოფლის პირობებში არსებული გაუნათლებლობის, გლეხთა ეკონომიკური სიდუხჭირის, მათი შელახული სოციალური უფლებების დაცვისადმი, გონებრივი ჩამორჩენილობის დასაძლევად ინტელიგენტის როლსა და მისიაზე, გარეგანი არაქართული ელემენტის შეჭრის ფაქტებსა და მის დამღუპველ მნიშვნელობაზე და სხვ. ეკ. გაბაშვილს გარკვეული ნიშნებით ე. წ. ხალხოსნური მიდრეკილების მქონე მწერლებთანაც აკავშირებენ. იგი განიცდის როგორც ფრანგი და რუსი ბელეტრისტების, ასევე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის კეთილსმყოფელ გავლენას. ეკ. გაბაშვილს 1882 წელს უთარგმნია და გამოუქვეყნებია კიდეც ალფონს დოდეს მოთხრობა „გაიმარჯვა“. მართალია, ამ თარგმანს, მის ენობრივ გამართულობას ჩვენი სახელოვანი

პოეტის გრიგოლ ორბელიანის შენიშვნები დაუმსახურებია, მაგრამ საინტერესოა, როგორც ფრანგული პროზის ამ შესანიშნავი წარმომადგენლის შემოქმედებით დაინტერესების ერთი ნიმუში. „კიტა აბაშიძე მოპასანის მოთხრობა „ბრმის“ კვალს ხედავდა ეკ. გაბაშვილის „ღვთის შვილებში“. ეკ. გაბაშვილის მიერ გაცოცხლებულ ქართულ სოფელში ვხედავთ არაეროვნული წარმომავლობის კაპიტალიზმის დამანგრეველ ძალას, გლეხთა უკიდურესი გაჭირვებისა და ნივთიერი სიდატაკის შემაძრწუნებელ სურათებს („სურათი“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“, 1890, „მეურმის ფიქრები“, 1891, „თინას ლეკური“, 1898, „სოფლის მევახშენი“, 1925). ის ხატავს სოფლის დიფერენციაციის, „ძველი ბუდეების რღვევის“ პროცესს. (ზანდუკელი 1978:375). ეს ვითარება შემდეგ კარგად იქნება წარმოდგენილი ისეთ დიდ ბელეტრისტთან, როგორიც ნიკო ლორთქიფანიძეა. ამ ფონზეა წარმოდგენილი მემამულეთა, გლეხთა, ინტელიგენტთა და ვაჭართა სახეები. მისი ერთ-ერთი თემაა ქადაგისა, ხალხოსანი პროპაგანდისტისა, სოფლის მხსნელი მასწავლებლისა, უანგარო პიროვნებისა („სოფლის მასწავლებელი“, „გამარჯვებული ნიკო“). უანგარობა უნდა ახლდეს ჭეშმარიტი მოღვაწის საქმიანობას, ადამიანთა ცხოვრების ზნეობრივი ქვაკუთხედი უნდა იყოს იგი – ესაა ეკ. გაბაშვილის მკაფიო, მორალისტური ტენდენციით აღბეჭდილი ამ თხზულებათა ლაიტმოტივი. ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა: „თამარის ნუგეში“, „სამშობლო ხევსურისამ რა ჰქმნა“ და „გამარჯვებული ნიკო“, აღნიშნავენ, რომ მწერლის მორალისტობა შიშველ პუბლიცისტიკის ფორმითაც კი გვევლინებაო. ერთ დროს ისიც ითქვა, რომ „ეკ. გაბაშვილი თავისი წერის კილოთი, სტილით, მანერით, თავისი მიმართულებით ეკუთვნის იმ ბრწყინვალე სკოლას, რომელსაც სათავეში უდგას ალ. ყაზბეგი“. (აბაშიძე 1971:238). ამ დიდი მწერლის სახელთან, მისი შემოქმედებითი სიახლოვის ერთ არგუმენტად იმასაც ასახელებენ, რომ „მთავარი მოტივი ეკ. გაბაშვილისა... მისი ტონის მიმცემი, მისი საგალობელი სიყვარულია“, „კონკრეტულად კი „ქალის სიყვარული განათებული გული“. (აბაშიძე 1971:248). ის თვალს ადევნებს ამ გრძნობის ჩასახვა-განვითარების პროცესს, მაგრამ აინტერესებს არა მისი ფსიქოლოგიური მხარე, არამედ სოციალური ასპექტი, სიყვარულის ბუნებრივად განვითარებების შემაფერხებელ, დამაბრკოლებელ ფაქტორად სხვადასხვა შემთხვევაში გამოდის წოდებრივი („კონა“), რელიგიური („რომანი დიდხევაში“) და ტრადიციულ-გენეტიკური (ნათესაური) ბარიერი. ეკ. გაბაშვილს, როგორც მწერალს და თანაც ქალს, ხიბლავს სიყვარულის ვულკანური, აღგზნებადი მომენტები. ეკ. გაბაშვილი ხატავს ქალის თვალით დანახულ ქვეყანას და სხვადასხვა ვარიაციით წარმოგვიდგენს ოჯახური რუტინის პირობებში ლაღი პოეტური ოცნებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობებით შემკული ხელოვანი და მოღვაწე ქალის (ქეთოს) სულიერ ტრაგედიას, მის მძიმე ხვედრს (მოთხრობა „ფრთებდაგლეჯილი“). ოჯახი, დესპოტი ქმარი ფრთებს კვეცს ქალის – ნაზი და სათუთი არსების ფაქიზ სულიერ სამყაროს. მაგრამ სხვა შემთხვევაში („ბენუარი №3), „ზაფხულის სურათები“ მწერალი გვაჩვენებს, რომ ფასადური ბაძვა ევროპული ცხოვრებისადმი არის აკვანი ფუქსავატობისა და ზნეობრივი გარყვნილებისა. იოლი გზით ცხოვრება, შრომის უგულებელყოფა, ცხოვრების წესად აქცევს ზნეობრივ სიმჩატეს, წარმოშობს უპრინციპობას და გზას ხსნის ოჯახური ღალატისაკენ. მოჩვენებითად „განათლებული ქართველი ქალი“ არა მხოლოდ თავის თავს ღუპავს, არამედ ოჯახისა და ერის ზნეობრივი გადაგვარების საფუძველსაც ქმნის. ერთ მოთხრობაში („ლუარსაბმა ცოლი შეირთო“) ეკ. გაბაშვილი წარმოგვიდგენს ქალს (ზნეობრივად) დაცემულს „თავისუფალ ფრენას ჩვეულს“, გარყვნილებისგან მოღლილსა და დროებით მშვიდ ცხოვრებას მოწყურებულს. მართალია, მას არ მოსწონს „რბილი, მსუქანი და ნესტიანი“ ხელების პატრონი ლუარსაბი, მაგრამ სამაგიეროდ მასზე დაქორწინებით პოულობს ფარს, რათა შეისვენოს და კვლავ დაუბრუნდეს „თავისუფალ ფრენას“. მწერალი გმობს ლუარსაბისთანა მამაკაცებს, რომელთათვის მეუღლე ასევე შირმაა, პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლადაა გაჩენილი და არა სიყვარულისთვის. „ლობიო-კოლიოს მოხარშვა“, შვილის გაჩენა – ეს ქალის კრუხად ქცევის გზადაა მიჩნეული და ზნეობრივი დაღუპვის საფრთხეს ქმნის

ერის წინაშე. ეკ. გაბაშვილი მოთხრობაში „სხვადასხვაგვარ ქორწილში“, თვალს ადევნებს სოციალურ ფენათა შორის არსებულ ქორწინებით კავშირებს და ყურადღებას ამახვილებს ოჯახის, როგორც სოციალური უჯრედის რღვევა-სამყაროს წარმომშობ მიზეზებზე.

მოთხრობაში „ორენა და ქუჩე“, „კონა“ ეკ. გაბაშვილმა დაგვიხატა, რომ უბრალო გლეხს შეუძლია დიდი სიყვარულის ტარება და ამ გრძნობის უფლება მხოლოდ არისტოკრატიის პრივილეგია არ არის. აქ ნაჩვენებია, თუ რა დიდი დაბრკოლებების გადალახვაა საჭირო და რაოდენი წინააღმდეგობები ეღობება ქალს თუმდაც იმიტომ, რომ ქალია, ქალად იშვა, მდედრად მოევლინა სამყაროს...

მოთხრობაში „ორენა და ქუჩე“ ახალგაზრდა, ღონითსავსე წყვილის სასიყვარულო კავშირია აღწერილი, ხოლო მის პარალელურად გლეხთა ეკონომიკური მდგომარეობის სხვადასხვაობის ულმობელი შედეგებია აღნუსხული. მწერალი ცდილობს მკითხველს დაანახოს საზოგადოებაში ფეხმოკიდებული წესების, უადამიანო ჩვეულებების, სასამართლოსი და ჩინოვნიკთა მოღვაწეობის ველური არსი. ამ მოთხრობაში სიყვარულის საკითხია მთავარი. მწერალი სიყვარულით დაკავშირებულ ადამიანებს სხვადასხვა ეკონომიკურ დონეზე აყენებს, რაც განსაზღვრავს სიყვარულის ტრაგიკულ დასასრულს.

ეკ. გაბაშვილი ხატავს, თუ რა ძნელია დედობა, რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ეს უფლება. ასეთია მაგდანას ბედი („მაგდანას ლურჯა“). მოცემულ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია შვილების აღზრდის სიმძიმეზე.

ეკ. გაბაშვილმა მხატვრული თვალსაზრისით დამარწმუნებლად წარმოადგინა, რომ ამ სიტუაციაში ქვრივ, პატიოსან ქალს თავისი ქალური მომხიბლაობა მხოლოდ შრომის პროცესშიღა შეუძლია გამოავლინოს. მწერლის მხრივ ეს მეტად მნიშვნელოვანი დაკვირვებაა: ქალი, რომელიც თავისთავად გაჩენილი იყო სიყვარულისთვის, მძიმე ხვედრის გამო, მოკლებულია ამ ნათელი გრძნობის გამომჟღავნების შესაძლებლობებს. ამიტომაც შრომაში მიდის და იფერფლება, ინთქმება მისი ქალური სილამაზე და სასიყვარულო ენერგია. მაგალითად, მაგდანა იძულებულია შრომის პროცესში გადართოს ეს სასიცოცხლო ძალა და აქ გამოავლინოს თავისი ქალურობა. ქართული მწერლობის ისტორიაში ეკ. გაბაშვილმა პირველმა წამოსწია წინა პლანზე ქალის საკითხი და მასთან დაკავშირებული ქალურობის უფლების პრობლემა. მწერალი თავის ნაწარმოებებში ქალთა უფლებების დაცვა-აღდგენას, ქალის ემანსიპაციას მოითხოვს. ეს მისი როგორც მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიდი დამსახურებაა.

ეკ. გაბაშვილმა ქალის თვალით დანახული ქვეყანა დახატა. ამ მწერლის დასახასიათებლად უნდა ითქვას, რომ ამის გამო ის ქალურია თავის ნაწერებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი გადახრილია სენტიმენტალურობისაკენ, რაც თავის გამოვლენას პოულობს ინტიმურ გრძნობათა გამოხატვისადმი მიპყრობილ მძაფრ ინტერესში. მოცემულ ვითარებაში სენტიმენტალობის ელფერს მწერლის თხრობას ამა თუ იმ გრძნობის გადამეტებული, გადაჭარბებული გადმოცემა ანიჭებს იმდენად, რომ ეს გრძნობები ხანდახან ხელოვნურად აღძრული გრძნობის შთაბეჭდილებასაც იწვევს, ჯერ კიდევ გ. ყიფშიძე მიუთითებდა, ზოგჯერ „მწერალი ქალი თავს ძალას ატანს, რათა სიბრალული აღუძრას მკითხველს“. (ბოცვაძე. 1989:167).

ეკატერინე გაბაშვილის მოთხრობებში გამოხატულ ქალებს პერსპექტივა არ გააჩნიათ,ისინი უღონონი და უილაჯონი არიან, მწერალმა მათ ვერ უჩვენა გზა ხსნისა. იგი საკმაოდ დეტალურად აღწერს ქალის ბედს, მის განცდებს, წუხილსა და ტკივილებს. ილაშქრებს ქალის უფლების შელახვის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ეკ. გაბაშვილს სოციალურად მყარი, გამძლე ტიპები არ შეუქმნია. მის რომანებშიც კი ცალკეული სახეებია მხოლოდ დახატული.

ეკატერინე გაბაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საბავშვო ლიტერატურეს განვითარების საქმეში. პედაგოგიური ტაქტით უმუშავებდა მოზარდს სხვადასხვა თვისებებს. პირველ რიგში შრომისმოყვარეობას, რადგან სწამდა, რომ ადამიანის უპირველი დანიშნულე-

ბა არის შრომა. ბავშვი უნდა გრძნობდეს ახლობლის სიხარულსა და მწუხარებას, იცოდეს დახმარება, შველა ყველა გაჭირვებულის. მწერალი ღარიბი ადამიანების ყოფა-ცხოვრებას აშუქებს. მწერლის საბავშვო მოთხრობებმა („მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“, „თინას ლეკური“, „ჩვენი კაკლის ხე“, „მშიერაძის ოჯახი“, „ღვთის შვილი“ და სხვ.) გამოქვეყნებისთანავე დაიპყრო ყმაწვილთა გულები და თავიანთი ჰუმანური მიზანდასახულობით, ძალდაუტანებელი ლაღი თხრობით, ხატოვანებით დღესაც ამშვენებს სასკოლო სახელმძღვანელოებს. მწერლის ენა და სტილი დახვეწილია და ნათელი, ძარღვიანი ქართული დიალექტი ასაზრდოებს ეკ. გაბაშვილის მყარფუძიან ენას.

„ეკატერინე გაბაშვილი ისეთ მწერალთა რიგს განეკუთვნება, რომელნიც თავიანთ მიმართებას, თავიანთ მიზანდასახულებას სრულიად არ ფარავენ,კითხვის დასმით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ ასეთსა თუ ისეთს პასუხსაც იძლევიან ნაწარმოებში წამოყენებულ კითხვებზე. ამ რიგის მწერლების ტენდენციები მჟღავნდება როგორც თემათა შერჩევაში, ისე ცალკეული ეპიზოდების ენობრივ-სტილურ გაფორმებაში და, კიდევ უფრო აშკარად, მკითხველთა წინაშე პერსონაჟთა წარმოდგენის შემთხვევაში“. (კიკნაძე.1982:82). „ეკატერინე გაბაშვილის თხზულების მიმართ ინტერესს უფრო აცხოველებს მწერლის დახვეწილი ქართული და ის თბილი, ემოციური ტონი, რომლითაც მისი მოთხრობები არის გამსჭვალული“. (კიკნაძე.1982:12).

სადღესასწაულოდ დაწერილ მოთხრობებში ერთ მხარეს მდიდარნი დგანან, მეორე მხარეს ღარიბნი. მდიდრის ბავშვები ღარიბთა მიმართ თანაგრძნობით არიან აღსავსენი, დღესასწაულებზე მდიდრები ღარიბებს საჩუქრებს ურიგებენ-ყველა კმაყოფილია. მწერალი თითქის არ ცდილობს ბავშვებში გააღვივოს კლასობრივი და ეკონომიკური სხვაობის შეგნება.

ეკატერინე გაბაშვილი არის მიმდევარი ილია ჭავჭავაძის მხატვრული აზროვნებისა.მან შეისისხლხორცა თერგდალეულთა მხატვრული აზროვნების ძირითადი თემები.გლეხის ყოფა მწერალს ძალას მატებს პროტესტის გამოსათქმელად. მოთხრობაში „ღვინია გადაიჩეხა“ მწერალი გლეხი ნინიკას ცხოვრების ერთ მომენტზე აჩერებს მკითხველის ყურადღებას. ნინიკა საცოდავი გლეხია,ცხოვრებისგან დაჩაგრული. იგი მხოლოდ მაშინ ამოიღებს ხმას, როცა ფეხს დააჭერენ. უფლებაშეზღუდულია. მისი ოჯახი ერთუღელ ხარზეა დაყრდნობილი. თავისი გაძვალტყავებული ხარების მსგავსად,ისიც პატარაობიდანვე ცხოვრების უღელშია შებმული. მწერალი ცოცხალ სირათს გვიხატავს. მან ამ პატარა მოთხრობაში დაპირისპირების ხერხს მიმართა, მოგვცა ქალაქისა და სოფლის, ვაჭართა სამყაროსა და ეკონომიურად განადგურებული გლეხის შედარება. არცერთი გლეხი, რომელიც განადგურებულია არსებული ცხოვრებისაგან პროტესტის სიტყვით არ გამოდის. ისინი გულში ანთხევენ უღონობის ბოღმას, ემორჩილებიან ხვედრს.

მწერალი მკითხველის ემოციებს იწვევს. ადამიანის უბრალო, მარტივი სურვილები და მათი შეუსრულებლობა, განცდას აღძრავს მკითხველში. ეკატერინე გაბაშვილი განიცდის იმას, რომ გლეხობას გულმტკივნეული დამხმარე ესაჭიროებოდა.

მწერლის თხზულებანი აღსავსენი არიან გულშემატკივრული ჰუმანიზმით, გლეხის ადამიანობის ქადაგებით, მაგრამ მათში არ გამოსჭვივის საბრძოლო ძალების მობილიზაციის სურვილი. იგი გლეხის ცხოვრებას ყოველი მხრიდან აკვირდებოდა და დასკვნებიც გამოჰქონდა.სოფელი განსაკუთრებით დაიმონა ფულმა ,დაარღვია სოფლის მთლიანობა და მოსახლეობის დიდი ნაწილი ემსხვერპლა ექსპლუატაციას.ე კატერინე გაბაშვილი ამხელს ამ არსებულს. თავგამოდებით იცავს და ქადაგებს ადამიანის თავისუფლებას.

მოხდენილი გარეგნობის, ნატიფი გემოვნების, დარბაისელი მწერალი-ქალი დიდხანს ამშვენებდა ქართული სიტყვის ოსტატთა საკრებულოს. ღრმად მოხუცებული მწერალი, სიცოცხლის ბოლო დღემდე ადევნებდა თვალყურს ყოველდღიურ ცხოვრებას და ეხმაურებოდა ამა თუ იმ მნიშვნელოვან მოვლენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბაშიძე. 1971; აბაშიძე კ. ცხოვრება და ხელოვნება. თბილისი: გამომცემლობა „ თსუ“ 1971.
2. ბოცვაძე. 1989; ბოცვაძე ზ. ქართული საბავშვო ლიტერატურის კრიტიკა. (1880-1921). თბილისი: გამომცემლობა “თსუ”1989.
3. ზანდუკელი. 1978; ზანდუკელი მიხ. თხზულებანი. ტ. 3, თბილისი: გამომცემლობა “თსუ“ 1978.
4. კიკნაძე. 1982; კიკნაძე ი. ეკატერინე გაბაშვილის ენა და სტილი. თბილისი: გამომცემლობა“ „განათლება“ 1982.

Some aspects of Ekaterine Gabashvili`s work

Manana Kajaia

Summary

The article refers to one of the public figure, the Georgian woman Ekaterine Gabashvili (1851-1938), who undertook a number of charitable and patriotic affairs. She with her ideology and peculiarity of her characteristics is the continuer of 1960s Georgian writers` traditions. The writer in her works was describing with amazing preciseness the being of oppressed peasants. Sumphatized, defended and was preaching the liberty of people.

Akaki Tsereteli had a high opinion on Ekaterine Gabashvili`s creative abilities, when he called her ``a real writer``. Iakob Gogebashvili considered her to be a ``highly educated, talanted`` fiction writer, but such observant critic as Kita Abashidze, praized the writer`s focused sociological view towards reality. Ekaterine Gbashvili`s merit was higly appreciated by the famous representative of ``Tergdaleuli`` - Ilia Chavchavadze, and the young writer, who was distinguished with taste, talant and tact, was invited on the gatherings, among other famous Georgian public figures.

Keywords: *poetry, writer, national customs, composition, world outline.*

პრივატიზაცია - შედეგები და მიღწევები საქართველოში

ქავთარაძე ნინო,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოში, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა პრივატიზაცია, რადგან ის ემსახურება სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხების და ინვესტიციების ზრდას, კაპიტალის მოზიდვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ა.შ. საქართველოში პრივატიზების პროცესის რეგულირება ხორციელდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო ქონების შესახებ", რომელიც საჭიროებს შემდგომ დახვეწას, მნიშვნელოვანია საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დროულობა, ხელმისაწვდომობა და სისრულე, მუდმივი კონტროლი, რათა ადგილი არ ჰქონდეს საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ობიექტების რეალური ღირებულების უგულებელყოფას და მისი სუბიექტური ინტერესების გათვალისწინების მიხედვით შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: *პრივატიზაცია, სახელმწიფო ბიუჯეტი, ინვესტიციები, საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ".*

ძირითადი ტექსტი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული თანხების ზრდის ერთ-ერთი საშუალებაა პრივატიზაცია, სწორედ ამიტომ წარმოადგენდა ის საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, მით უფრო იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ემსახურება ინვესტიციების ზრდას, კაპიტალის მოზიდვას და საქართველოსათვის უკანასკნელი წლების განმავლობაში გადაუჭრელ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას- ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავალის მნიშვნელოვანი ნაწილი რეალური სექტორისკენ უნდა მიიმართოს.

საქართველოში პრივატიზების პროცესის რეგულირება ხორციელდება საქართველოს კანონით „სახელმწიფო ქონების შესახებ", რომელიც პრივატიზებას შემდეგნაირად განმარტავს: „პრივატიზება- ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი მიყიდვისა და უსასყიდლო გადაცემის ფორმით, აგრეთვე წილების ან აქციების ან სერტიფიკატებით წარმოდგენილი აქციების პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით, საჯარო ან კერძო შეთავაზებით, უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ან მოცემულ დროს საერთაშორისო კაპიტალის ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი შეთავაზების სხვაგვარი ფორმით ფიზიკური ან იურიდიული პირების ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა ამ კანონით დადგენილი წესით". აღნიშნული კანონი მნიშვნელოვანია რადგან მისი საშუალებით ხორციელდება იმ სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძვლების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან და ამასთანავე განკარგვასთან, ასევე სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობების რეგულაციისთვის.

პრივატიზების პროცესი, რა თქმა უნდა მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებსაც, საუბარია იმ სახელმწიფო ქონებაზე, რომელიც არ ექვემდებარება პრივატიზებას, აღნიშნულს განეკუთვნება: წიაღი, წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი, სახელმწიფო ტყის ფონდი, გარდა დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეებისა, საჰაერო სივრცე, სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლი, რელიგიური და საკულტო ნაგებობები (მოქმედი და უმოქმედო), მათი ნანგრევები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ისინია განთავსებული, განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუზეუმო კოლექციები და ფონდები,

განსაკუთრებული მნიშვნელობის სახლ-მუზეუმები, სიხშირეთა სპექტრი, სახელმწიფო პანთეონები და სხვა, სულ 28 პუნქტი. აღნიშნულ ნუსხაში შემავალი განსაკუთრებული მნიშვნელობის ქონების დამტკიცებას ახდენს საქართველოს მთავრობა.

პრივატიზების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დროულობა, ხელმისაწვდომობა და სისრულე. საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვადას განსაზღვრავს სამინისტრო. ზემოხსენებული ინფორმაციის განთავსება ხორციელდება სახელმწიფო ქონების განმკარგავი სუბიექტის ინტერნეტგვერდზე ან ვებგვერდზე, რაც განიხილება ინფორმაციის ოფიციალურად გამოქვეყნებად, ასევე ქვეყნდება გაზეთ „24 საათში".

პრივატიზაციის განხორციელების დახვეწილი მოდელის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ეფექტური ეკონომიკის მქონე წამყვანი ქვეყნების მიერ ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები, დაშვებული შეცდომები, მიღწეული წარმატებები და წარუმატებლობები, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს რაციონალური დასკვნები, შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინების გზით აბსოლუტურად მორგებული იქნება უშუალოდ საქართველოს ეკონომიკაზე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა განმეორდეს წარსულში, დამახინჯებული ფორმებით წარმართული სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, რაც საბოლოოდ ამ უკანასკნელის უმოწყალოდ განიავებით დასრულდა.

საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2013 წლიდან 2016 წლის მდგომარეობით პირდაპირი მიყიდვის ფორმით განკარგულია 610 ერთეული უძრავი ქონება, ხოლო 2012 წლის 1 აპრილიდან გამოცხადებულია 1321 ელექტრონული აუქციონი.

აღნიშნული ობიექტების გაყიდვა- გასხვისების შედეგების მიხედვით გაკეთებული ფინანსურ- ეკონომიკური შეფასება შემდეგია: 1. ბიუჯეტში მოხდა დამატებით საკმაოდ სოლიდური თანხის მობილიზება; 2. შესაძლებელი გახდა აღნიშნული ობიექტების ამუშავება, რის შედეგადაც შეიქმნა დამატებითი სამუშაო ადგილები; 3. ასევე, ისინი გახდნენ გადასახადების გადამხდელები; 4. მოხდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკაში დადებითი მოვლენების განვითარებას.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების ოდენობამ 2013-2016 წლების მდგომარეობით ჯამში შეადგინა 1049 ერთეული, შესაბამისად, 2013 წელს- 422 ერთეული, 2014 წელს- 282 ერთეული, 2015 წელს- 186 ერთეული, ხოლო 2016 წელს 139 ერთეული. 2012-2016 წლებში პრივატიზებული ობიექტებიდან შემოსული თანხები შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 1. პრივატიზებული ობიექტებიდან შემოსული თანხები 2012-2016 წწ.

	პერიოდი	სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული თანხა (ლარი)
1	2012 წელი	8354346.00
2	2013 წელი	27885108.00
3	2014 წელი	59276000.00
4	2015 წელი	105947000.00
5	2016 წელი	33292759.00

თავდაპირველად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა დიდი ნაწილი ზარალიანობით ხასიათდებოდა და ცხადია, რომ მათი უმრავლესობა ზარალიან საწარმოთა სიაში აღმოჩნდა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს და დაიხვეწოს უშუალოდ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ფუნქციონირების წარმმართველი კანონმდებლობა. იგი მიმართული უნდა იქნეს სახელმწიფოს პოზიციების მყარად დაცვისაკენ.

საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ უკანასკნელ წლებ-

ში განხორციელებულმა თანამიმდევრულმა პოლიტიკამ დააჩქარა პრივატიზების პროცესი, ხელი შეუწყო სახელმწიფო ქონების ეფექტურ მართვას, რითაც ეკონომიკის განვითარებას მისცა დადებითი ბიძგი. აღსანიშნავია პოტენციურ ინვესტორებთან გაწეული სისტემატიური მუშაობა, მათთვის აუცილებელი ინფორმაციისა და ობიექტების მომზადება, ქვეყანაში სრულფასოვანი ინვენტარიზაციის განხორციელება და შედეგად სახელმწიფო ქონების აღმოჩენა, მისი აღწერა და რეგისტრაციაში გატარება, ასევე, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" სერვისების დელეგირება სსიპ „იუსტიციის სახლისთვის" და ა.შ.

პრივატიზების პროცესის მიმდინარეობისას აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი, რათა ადგილი არ ჰქონდეს საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ობიექტების რეალური ღირებულების უგულებელყოფას და მისი სუბიექტური ინტერესების გათვალისწინების მიხედვით შემცირებას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთ- ერთი საშუალებაა პრივატიზაციაში მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა, რასაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ამ პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა, პრივატიზაციის სრულყოფილად წარმართვა და მთლიანად ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლება. უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს არა მხოლოდ პრივატიზაციის შედეგად შემოსავლების მიღებისკენ სწრაფვა, არამედ თვით პრივატიზებული საწარმოების ამოქმედება და მათი სამომავლო სამეურნეო საქმიანობის წარმართვის ეფექტურობაზე კონტროლის განხორციელება. ამავდროულად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ საპრივატიზაციოდ განკუთვნილი ობიექტების ნუსხას აქვს ამოწურვადი ხასიათი. არ უნდა იქნეს დაშვებული, რომ სახელმწიფოს გასაყიდი საწარმოების რაოდენობის შემცირების შემთხვევაში ბიუჯეტის შევსების წყაროები ხელიდან გამოეცალოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ
2. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის ანგარიში
3. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის ანგარიში
4. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ოფიციალური ვებგვერდი, http://nasp.gov.ge/

Privatization- Results and Achievements in Georgia

Nino Kavtaradze

Summary

One of the most important factors for the development of Georgian economy is solving problems that are connected with privatization. The first need is improvement of legislation and fulfillment, for achieving aforementioned aims it is necessary to take into account the decisions made by leading countries with effective economy, also their mistakes, achievements and failures, all that will give chance to come to rational conclusions and recommendations, that will be taken into account in connection with the specific of the country and will be absolutely suitable exactly for Georgian economy.

National agency of state property of Georgia should keep its running policy, as it made privatization more intensive during last years, improved possibility of effective managing of state property and totally the developing of whole economy. It should be mentioned, that the great job was done with potential investors, because they were provided with all information, also the objects of privatization where prepared for them. Through the whole country was made the inventory, as a result of it, there were discovered new state property objects, after that, they were finally listed and registered. The main aim of the country is not only getting money from privatization, but also the future control of these objects, to make sure of their efficiency and profitability.

Key words: *Privatization, State Budget, Investments. Georgian Law on State Property*

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ახალი ეკონომიკის გაზომვის ინსტრუმენტი

მაია ჩეჩელაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ლაშა ჯინჯიხაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ახალი ეკონომიკის გაზომვის ინსტრუმენტი და აღინიშნება, რომ დღეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის თემა სულ უფრო მოთხოვნადი ხდება საქმიან წრეებში. ნაშრომში დეტალურად არის განხილულია ქეროლის პირამიდის ოთხივე კომპონენტი, ანუ კორპორატიული პასუხისმგებლობა და მისი შემადგენელი ოთხი ელემენტი: ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და სოციალური (ფილანტროპიული) პასუხისმგებლობა.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური პასუხისმგებლობა, ფილანტროპია, ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური პასუხისმგებლობა*

ძირითადი ტექსტი

დღეს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის თემა სულ უფრო მოთხოვნადი ხდება საქმიან წრეებში. მსოფლიო თანამედროვე ბიზნესს გააჩნია პასუხისმგებლობის ოთხი ტიპი: ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და სოციალური (ფილანტროპიული). ჩვენ გამოვსახეთ ისინი დიაგრამაზე 1.

დიგრამა 1. სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის ქეროლის პირამიდა



ეკონომიკური. საზოგადოების წინაშე ბიზნესის ეკონომიკურ პასუხისმგებლობას წარმოადგენს მოთხოვნადი პროდუქციით ბაზრის გაჯერება, რომლის შესრულების პროცესში ბიზნესი ღებულობს მოგებას. პასუხისმგებლობის ეს საბაზისო ფორმა წარმოადგენს ძირითადს, ამიტომ იგი საერთოა ყველა მოქმედი კომერციული ორგანიზაციისათვის.

სამართლებრივი. საზოგადოების წინაშე ბიზნესს გააჩნია აგრეთვე სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელსაც სახეწიფო არეგულირებს. არსებობისათვის აუცილებელი პასუხისმგებლობა ბიზნესისათვის ამით ამოიწურება.

ეთიკური. იმ შემთხვევაში, როცა სტეიკჰოლდერებს ბიზნესის მიმართ გარკვეული მოლოდინები გააჩნიათ მუშაობის მეთოდებთან დაკავშირებით, კომპანია ხდება ეთიკური

პასუხისმგებლობის მატარებელი საკუთარი თანამშრომლების, აქციონერებისა თუ საზოგადოების სხვა წევრების მიმართ. კითხვაზე, თუ რატომ უნდა იყოს ბიზნესი ეთიკური, პასუხი იგივეა - ამით იგი უფრო მომგებიანი ხდება. თუ სამოქალაქო საზოგადოება საკმარისად არის განვითარებული, ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ვინაიდან არაეთიკური ქცევა იწვევს აქციონერებისა და კლიენტების დაკარგვას; და - პირიქით.

სოციალური (ფილანტროპიული). ასეთი სახის პასუხისმგებლობა ეფუძნება მხოლოდ კომპანიის მენეჯმენტის მორალურ ღირებულებებს. წინა სამი ტიპისგან განსხვავებით, საზოგადოებას არ გააჩნია ბიზნესის მიმართ ფილანტროპიული მოლოდინები.

სოციალური პასუხისმგებლობის ერთერთი პირველი გამოვლინება იყო ქველმოქმედება, რომლის ფესვები ღრმადაა გადგმული ისტორიულ წარსულში. ბიზნესში თავდაპირველად ამ მოვლენას კერძო ხასიათი ქონდა, ანუ საქველმოქმედო დახმარების აღმოჩენა ორგანიზაციის მფლობელის ნება-სურვილით განისაზღვრებოდა. მაგრამ დღეს სორპორატიული ქველმოქმედება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს.

საკითხების რიგი, რომელიც განეკუთნება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროს, თანდათანობით გაფართოვდა და ეს დაკავშირებულია სამრეწველო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის მოცულობის ზრდასთან. ასე, მე-19 საუკუნის ბოლო წლების ინდუსტრიული ბუმი, რომლის შედეგად გაიზარდა კონკურენცია და საფუძველი ჩაეყარა მუშათა მოძრაობებს, გახდა მიზეზი, რომელმაც აიძულა კომპანიების მთელი რიგი, შეერბილებინათ სამუშაო პირობები დაქირავებულებისათვის და პარტნიორებისთვის კი გაეცათ დამატებითი გარანტიები. ამან საფუძველი ჩაუყარა პასუხისმგებლობის ისეთი ფორმების განვითარებას, როგორებიცაა შრომითი და საქმიანი. მიუხედავად ამისა, ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაზე, როგორც მასშტაბურ მოვლენაზე, მხოლოდ მე-20 საუკუნის შუა წლებში დაიწყო საუბარი, ვინაიდან განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების კომპანიებმა სწორედ იმ დროს დაიწყეს მისი გამოყენება საკუთარ პრაქტიკაში. მოგვიანებით ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი აქტუალური გახდა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვისაც.

მიზეზები, რომლბმაც 60-70-იან წლებში იმოქმედა ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაზე, გახდა: საზოგადოებრივი ჯგუფების მოძრაობის აქტივიზაცია, მომხმარებლების მიერ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის არმქონე კომპანიების პროდუქციის ყიდვაზე უარის თქმა,პროფესიული კავშირების გააქტიურება. ამავდროულად, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამკაცრდა ეკოლოგიური და შრომითი კანონმდებლობა, განვითარედა საზოგადოებრივი ინიციატივები, რომლებიც მიმართული იყო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაზე.

XXI საუკუნის პირველ ნახევარში დასავლური კომპანიების უმრავლესობაში უკვე იყო ჩამოყალიბებული ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკუთარი პოლიტიკა, ხოლო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა იქცა უმაღლესი სასწავლებლების ბიზნესის ფაკულტეტების შესწავლის საგნად კორპორაციული მენეჯმენტის ფარგლებში.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლის ზრდას პრაქტიკულმა ბიზნესმა უპასუხა მისი დაფინანსებით. დაფინან.0სების გამოყოფის საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას დამახასიათებელ თავისებურებად იქცა არა მხოლოდ ეკონომიკური რენტაბელობის გამოთვლა, არემედ ეკოლოგიური და და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებაც. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში წარმართული საქმიანობისა და მდგრადი განვითარების შედეგიანობის შეფასებისათვის შემოღებულ იქნა საფონდო ინდექსები Dow Jones Sustainability Index (DJSI) და თშ 4 .

ძირითადი მიზეზები, რომლებიც აიძულებენ კომპანიებს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტას, შემდეგია:

- გლობალიზაცია და მასთან დაკავშირებული გამძაფრებული კონკურენცია;
- კომპანიების გავლენის სფეროების ზრდა;
- სახელმწიფო რეგულირების ინსტრუმენტების გაძლიერება;
- კომპანიების ომი პერსონალისათვის - ე.წ. „ბრძოლა ტალანტებისათვის“;
- სამოქალაქო აქტიურობის ზრდა;
- არამატერიალური აქტივების (მაგალითად, რეპუტაცია, ბრენდი) მზარდი როლი.

საქართველოში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება დაიწყო 2000 წლის შემდეგ. ბოლო წლების განმავლობაში იმ ქართული კომპანიების რიცხვი, რომლებიც აქტიურად ნერგავენ საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს, შესამჩნევად არის გაზრდილი, რაც ჩვენი აზრით აიხსნება ქართული ბიზნესის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლით და მისი მისწრაფებით, გახადოს საკუთარი ბიზნესი უფრო ცივილიზებული, დაიმკვიდრონ სტაბილური რეპუტაცია დაინტერესებული პარტნიორების თვალში და ამით შეამცირონ არაფინანსური რისკები.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა განისაზღვრება, როგორც კომპანიების საქმიანი გაერთიანებების, ცალკეული კორპორაციებისა და ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის შემდეგი მიმართულებებით წარმართვის ფილოსოფია და კონცეფციები:

- მომხმარებლისათვის ხარისხიანი პროდუქციის შექმნა;
- მიმზიდველი სამუშაო ადგილების შექმნა, შეღავათიანი ხელფასების გადახდა, ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციები;
- შრომითი, ეკოლოგიური, საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება;
- დამატებული ეკონომიკური ღირებულების შექმნასა და საკუთარი აქციონერების კეთილდღეობის ზრდაზე ორიენტირებული ბიზნესის ეფექტიანი წარმართვა;
- საზოგადოებრივი მოლოდინების გათვალისწინება და მიღებულუ ეთიკური ნორმების დაცვა;
- სამოქალაქო საზოგადოების შექმნაში წვლილის შეტანა პარტნიორული პროგრამების შექმნისა და განხორციელების გზით.

სრულიად ვეთანხმებით საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ამის ყველაზე უფრო ზუსტ განმარტებას გვაძლევს 2010 წელს მიღებული საერთაშორისო სტანდარტი ISO 26000, «სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო», რომელიც შემდეგია: „სოციალური პასუხისმგებლობა - ეს არის ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მისი საქმიანობის მიერ საზოგადოებაზე და გარემოზე მოხდენილ ზეგავლენაზე, რომელიც:

1) ხელს უწყობს მდგრად განვითარებას ჯანმრთელობის და კეთილდღეობის ჩათვლით;
2) ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს;

ცხრილი 1. დაინტერესებულ მხარეებსა და ბიზნესს შორის ურთიერთობა

დაინტერესებული პირები	**ბიზნესის დამოკიდებულება დაინტერესებულ პირთა მიმართ**
აქციონერები	ფინანსურიაღრიცხვიანობისსწორიწარმართვა,აქციონერებისათვის ჭეშმარიტი ინფორმაციის გაცემა ფირმის საქმიანობისა და ფინანსური შედეგების შესახებ, კომპანიის მართვა აქციონერების ინვესტიციების დაცვის პოზიციიდან.
თანამშრომლები	საკუთარ თანამშრომლებთან ბიზნესი სამართლიანია, ხელს უწყობს კოლექტივში ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, პატივს სცემს მათ ღირსებას, აკმაყოფილებს მათ ელემენტარულ მოთხოვნებს, მაქსიამლურად ცდილობს მათი კვალიფიკაციის გაზრდას.
მომხმარებლები	ბიზნესი ინარჩუნებს გამოშვებული პროდუქციის მაღალ ხარისხს, სტაბილურ ფასებს,ასრულებს საგარანტიო ვალდებულებებს, უზრუნველყოფს პროდუქციის დროულ მიწოდებას.

3) შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და საერთაშორისო ქცევის მიღებულ ნორმებს;
4) მიღებულია მთელი ორგანიზაციის მიერ.“

დღეს არსებობს სოციალური პასუხისმგებლობის მრავალი, სხვადასხვა დროს ჩამოყალიბებული განმარტება, მაგრამ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად მიზნად დღეს მაინც გვევლინება საზოგადოების მდგრადი განვითარება, რომელიც გულისხმობს ახალი თაობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას შემდეგი თაობების მოთხოვნილებებისათვის საფრთხის შექმნის გარეშე. კორპორაციების სოციალური პასუხისმგებლობა უნდა ითვალისწინებდეს კომპანიის თანამშრომელთა და ყველა სხვა დაინტერესებულ პირთა ცხოვრების ხარისხის ამაღლება და ავითარებდეს მათთან მუდმივ ურთიერთობას (ცხრილი 1).

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემა, რომელიც მოიცავს სამ სფეროს:

1. სოციალური პასუხისმგებლობის ეკონომიკურ სფეროში შედის იმ დაინტერესებული დაჯგუფებების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომლებზეც ბიზნესს გააჩნია გარკვეული ზეგავლენა (პირველადი ჯგუფები) ან თითონ განიცდის მათ ზეგავლენას (მეორადი ჯგუფები). ურთიერთდაკავშირებული სისტემის, ე.წ. ქსელის ფორმირება ხდება სტეიკჰოლდერების მიერ და მას გააჩნია მძიმე პერიოდებში ბიზნესის მხრდაჭერის თვისება. მაგრამ გარდა ამისა, მას აგრეთვე ხელეწიფება არასასურველი ბიზნესის შეჩერებაც;
2. სოციალური პასუხისმგებლობის ეკოლოგიურ სფეროში შედის გარემო. თუ კომპანია იყენებს გარემოსადმი ზიანის მომტან ტექნოლოგიებს, მან უეჭველად უნდა დაიცვას გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნები;
3. პასუხისმგებლობის სოციალურ სფეროში შედის საზოგადოებრივი კეთილდღეობის პრობლემების გადაჭრა და ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვით:
   - ინსტიტუციური პრინციპი, რომელიც ეფუძნება საზოგადოების მოლოდინებს, ანუ საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებას ეკონომიკური რეალობის სამართლებრივი განხორციელებით;
   - კვლავწარმოებითი პრინციპი, რომელიც ეფუძნება საქმიანი გაერთიანებების საქმიანობას, მოგების მაქსიმიზაციას და საკუთარი თუ საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე შემდგომი პასუხისმგებლობის ტარებას;
   - მმართველობითი პრინციპი, რომელიც ეფუძნება მენეჯერების მიერ საკუთარი ვალდებულებების ეფექტიან შესრულებას. მენეჯერები ამ შემთხვევაში გვევლინებიან არა მხოლოდ როგორც „მესაკუთრის აგენტები“, არამედ როგორც „თავისუფალი აგენტები“, ამიტომაც ისი გვევლინებიან ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელ ელემენტებად.

წარმოდგენილი პრინციპების ურთიერთქმედების პირობებში ორგანიზაციას აქვს საშუალება, მიიღოს საკუთარი სარგებელი. ამავდროულად მნიშვნელოვანია იმის გათავისება, რომ კორპორაციის სოციალური პასუხისმგებლობა არ წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის არასასურველ დანამატს და არ შემოიფარგლება მხოლოდ ფილანტროპიით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. International Standard ISO 26000; http://csrclub.ge/ge/content/csr-standards
2. Marketing spoleczhy oraz perspetywy jego rozwju na swiecie: monografia pod red. Arnolda Pabiana / Wydawnictwo Wydzitu Zorzadzania Politeckniki Czestochowskiej. – Czestochova, 2009. – C.40-49

The Social Responsibility of Business as a Tool for Measuring the New Economics

Maia Chechelashvili
Lasha Jinjikhadze

Summary

The paper deals with the social responsibility of the business as a tool for measurement of new economics and noted that the corporate social responsibility issue is increasingly demanding in business circles. The paper describes corporate responsibilities (Carroll Pyramid) and four elements of its composition: economic, legal, ethical, and social (philanthropic) responsibilities.

Keywords: social *responsibility, philanthropy, economic, legal, ethical responsibility*

საინოვაციო მდგომარეობა საქართველოში არსებული ვითარება, ანალიზი და პერსპექტივა

ჩიკვილაძე ნატო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

იაკობაძე ნაზიბროლა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

პოსტინდუსტრიული ეპოქის პირობებში ინოვაციების როლი ქვეყნის ეკონომიკაში ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, სამწუხაროდ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური რეფორმების არცერთ ეტაპზე ინოვაციებს არ შეუსრულებია გადამწყვეტი როლი ეკონომიკურ ზრდაში და არც ინოვაციური ეკონომიკის როლი ყოფილა შეფასებული სათანადოდ.

რამდენიმე წელია რაც დაიწყეს მეცნიერებმა მუშაობა იმაზე, თუ რა როლი აქვს ინოვაციებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ინოვაციების დანერგვა უდიდეს ზეგავლენას ახდენს კომპანიების გაკოტრება-არგაკოტრებაზე, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგომარეობაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, აშკარა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის კვლევას ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: *რისკების დაზღვევა. ვენჩერული ფონდები. ლიზინგური კომპანიები.*

ძირითადი ტექსტი

შესავალი: "ინოვაცია" – ალბათ ამ სიტყვის გაგონებისას უამრავი ტექნოლოგიური მიღწევა, სხვადასხვა განმარტება გახსენდებათ, მართალია, არ არსებობს ინოვაციის დადგენილი განმარტება, მაგრამ შევეცდები ნათლად გადმოვცე მისი არსი და შინაარსი.

ინოვაცია არის მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება პროდუქტის შეთავაზებაში, მომსახურებაში, ბიზნეს მოდელსა და მოქმედებაში. მარტივად, ინოვაცია არის რაიმე სიახლის, ან უკვე არსებლის ახლებურად გადაკეთება, ეს სიტყვა გამოიყენება ძალიან დიდი ცვლილებების აღსაწერად, რომლებიც გამოიწვევს ფირმის მიღწევების წარმატებულ განვითარებას. ეს ცვლილებები შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალ და გაუმჯობესებულ პროდუქტთან, პროცესთან, მარკეტინგულ დანახარჯებთან, ინვესტიციებთან, ინტელექტუალური საკუთრების შექმნასთან ან ტექნოლოგიების შესყიდვასთან.

ინოვაციები ითვლება ფუნდამენტურ, გადამწყვეტ ფაქტორად ფირმის საქმიანობაში. სხვადასხვა ფირმა იყენებს ინოვაციების სხვადასხვა მეთოდებს. ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ფირმებიც აუმჯობესებენ და ცვლიან ინოვაციურ მეთოდებს დროთა განმავლობაში. ეს პროცესი ხორციელდება უფრო ეფექტური პროდუქციის, მომსახრების, ტექნოლოგიების ან იდეების შესაქმნელად, რომელბიც ხელმისაწვდომია ბაზარზე, ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ "რაიმე ახალი" არ არის ინოვაციის საკმარისი განმარტება. არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც სიახლეს არ აქვს არანაირი ღირებულება. ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ უამრავი ახალი რამ, რაც არ იქნება სასარგებლო და მნიშვნელოვანი. აუცილებელია შეიქმნას ახალი, ღირებულების მქონე პროდუქტი (მომსახურება) იმისათვის, რომ იყოს ინოვაციური.

ძირითადი ნაწილი: თეორია იმის შესახებ, რომ ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს აღარ აქვთ ძველებური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, სულ უფრო პოპულალური ხდება. თუმცა მეცნიერები ამაზე ჯერ ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებულნი, ეს იდეა, ჯერჯერობით, არ

არის კარგად დასაბუთებული. მიუხედავად ამისა, ე.წ. "ტექნოლოგიურ პესიმისტებს" ბევრი არგუმენტი აქვთ.

განვითარებულმა ქვეყნებმა თითქმის ამოწურეს თავიანთი პოტენციალი ტექნოლოგიური განვითარებაში. ორმოცდაათი წლის წინ უფრო სწრაფად მინდინარეობდა ინოვაციური პროცესები და მეტი გავლენა ჰქონდა ეკონომიკაზე ვიდრე დღეს. დიდი კომპანიები უამრავ ფულს ხარჯავენ მეცნიერულ კვლევებსა და ინოვაციების შექმნაზე, მაგრამ თანდათან მცირდება ეფექტიანობა და იწურება თავიანთი პოტენციალი. მაშინ როდესაც ტელეფონის გამოგონება იყო უდიდესი ინოვაცია ახლა ახალი მოდელის შექმნა არის სულ მცირედით შეცვლა ძველის ახლით, რაც არ იწვევს საზოგადოებაში ისეთ აღშფოთებას, როგორც ტელეფონის შექმნისას.

განვითარებულმა ქვეყნებმა "ტექნოლოგიური" ზრდის რესურსი თითქმის ამოწურეს რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე. მათ ისევ შეუძლიათ ზრდის სწრაფი ტემპების მიღწევა ყველა იმ ტექნოლოგიური მიღწევების გადმოღება-დანერგვით, რაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებმა განვლეს. ამ გზაზე გამონაკლისი არც საქართველო უნდა გახდეს.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში საქართველოში მოქმედი ხელისუფლებების დამოკიდებულება ინოვაციების მიმართ სხვადასხვა იყო. არცერთი ხელისუფლება არ იხილავდა მას პროირიტეტულ მიმართულებად. გარკვეულმა ფინანსურმა სიძნელეებმა, სათანადო გარანტიების არარსებობამ და განვითარების არასტაბილურიმა ტემპმა კიდევ უფრო შეამცირა ინოვაციებისადმი ინტერესი და მისი თანდათანობითი შეკვეცა, შემცირება. მაშინ როდესაც ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქყეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითრებას.

რამდენიმე წელია რაც დაიწყეს მეცნიერებმა მუშაობა იმაზე, თუ რა როლი აქვს ინოვაციებს საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ინოვაციების დანერგვა უდიდეს ზეგავლენას ახდენს კომპანიების გაკოტრება-არგაკოტრებაზე, რაც თავის მხრივ ზემოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგომარეობაზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, აშკარა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ პრობლემის კვლევას ქვეყნის განვითარებისათვის.

საქართველოში ნებისმიერი დარგის პრობლემა დაკავშირებულია ფინანსების უკმარისობასთან, წარმოების მოცულობის შემცირების და საბიჯეტო სახსრების დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება გარკვეული სახსრების გამოყოფა ინოვაციური საქმიანობისათვის.

საქართველოში ძალზე ცუდად არის განვითარებული ინოვაციური ინფრასტრუქტურა, რაც უზრუნველყოფილია სპეციალური ტიპის რეჟიმებში. ამ უკანასკნელში იგულისხმება რისკების დაზღვევა, ვენჩერული ფონდები, ლიზინგური კომპანიები, ანუ ისეთი ტიპის პირობები, რომელთა გარეშე ინოვაციური საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესება შეუძლებელია.

ინოვაციების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე საწარმოებს. განვითარებულ ქვეყნებში მათზე მოდის ინოვაციების რეალიზების ნახევარზე მეტი. ისიც უნდა აღინიშნოს რომ მცირე საწარმოები გაცილებით სწრაფად ნერგავენ ინოვაციებს, ვიდრე მსხვილი კომპანიები. სამწუხაროდ, საქართველოში რეალობა საპირისპიროა. ქვეყანაში არსებული მცირე საწარმოების მხოლოდ ნაწილი ეწევა ინოვაციურ საქმიანობას. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მცირე საწარმოები შეზღუდულები არიან ფულად სახსრებში, რის გამოც ვერ ხდება თანხების დაბანდება თანამედროვე ტექნოლოგიებში, მარკეტინგში და სხვ.

საწარმოთა უმეტესობა ჯერ კიდევ იყენებს მოძველებულ მანქანა-დანადგარებს პროდუქციის საწარმოებლად, რის გამოც ჩვენი ქვეყნის პროდუქცია გამოირჩევა ნაკლებ კონკურენტუნარიანობით. ასევე არ გვყავს შესაბამისი კვალიფიკაცვიის მუშახელი. საქართველოს ინოვაციური განვითარების უკმარისობასთან ერთად განიცდის ცოდნის უკმარისობას. იმის გამო, რომ ქართველ გამომგონებლებს არ აქვთ საშუალება დანერგონ თავიანთი

გამოგონებები, იძულებულნი არიან გაყიდონ საზღვარგარეთ. საქართველო ვერ იყენებს ამ დიდი პოტენციალს და ავტორები იძულებულნი ხვდებიან რაიმე სიახლე იდეის დონეზე, ძალიან იაფად გაყიდონ განვითარებულ ქვეყნებში.

ხელისუფლების ინიციატივით დაიწყო მხჯელობა განათლებისა და სამეცნიერო სისტემის სრულყოფაზე, მთავრობის დადგენილებით 2014 წელს შეიქმნა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო. სააგენტოს მიზანი საქართველოში ინოვაციური ეკოსისიტემის ფორმირება, სხვადასხვა სექტორებში ინოვაციების და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ინოვაციური მეწარმეობის, კვლევების და გამოგონებების კომერციალიზაციის ხელშეწყობა. თუმცა ინოვაციების და ტექნოლოგიების თვალსაზრისითნ მრავალი პრობლემა დღემდე გადაუჭრელია.

ინოვაციური განვითარება საქართველოს მისცემს შესაძლებლობას დაამზადოს პროდუქტი, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის სტანდარტებს. საქართველოსათვის კონკურენტუნარიანობის ამაღლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რაშიც ხელი ახალმა ტექნოლოგიების დანერვამ უნდა შეუწყოს.

ინოვაციური ეკონომიკის განვითარება გულისხმობს ადამიანთა განათლების დონის ზრდას, მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას, დახელოვნებას, მეცნიერებატევადი დარგების დაჩქარებულ გამვიტარებას, როგორიცაა ტექნიკური და ტექნოლოგიური მეცნიერებები. მეცნიერებადტევადობის სისტემური ზრდა და განვითარება ინოვაციური პროცესების მიმდინარეობისას მნიშვნელოვანი ძალაა, რადგან იგი ხელს უწყობს ახლი ნაწარმის ათვისებას, სრულყოფილი ტექნოლოგიების დანერგვას, ტექნოლოგიურ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვებას.

ინოვაციური პროცესების წარმართვისათვის საჭიროა ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის შექმნა. როგორც “ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის” ავტორმა ტომას ჯეფერსონმა განსაზღვრა: “ერი, რომელსაც სურს იყოს თავისუფალი და უცოდინარი, არასოდეს იქნება თავისუფალი”.

ევროპისა და სამხრეთ-აღმოსავლეთნმაზიის მოწინავე ქვეყნების (ფინეთი, ირლანდია, სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა....) გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ ქვეყნებმა თვალშისაცემ წინსვლას მეცნიერებასა და განათლებაზე დამყარებული, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებით მიაღწიეს. გადაწყდა, რომ ამგვარი ინოვაციური ეკონომიკის ჩამოყალიბება საქართველოში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად უნდა იქცეს. ინოვაციათა შესწავლისა და განვიტარების საბჭო პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა. საბჭო ყველ აინოვაციურ წინადადებასა და სამეცნიერო ნაშრომს განიხილავს.

როგორც დაკვირვებამ აჩვენა, ინოვაციური პროცესები და ქვეყანაში ინოვაციური სისტემის ფორმირება სოციალურ და ეკონომიკურ პირობებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ბიზნესის კომერციულ წარმატებასა და კონკურენტუნარიანობას სულ უფრო მეტად განსაზღვრავს კომპანიების მიერ მეცნიერული კვლევების ჩატარებისა და ინოვაციების შექმნის უნარი. 2016-2017 წლებში, საქართველო 59-ე პოზიციაზე იმყოფება 138 ქვეყანას შორის, მისი სარეიტინგო ქულა 4.32 შეადგენს. საქართველომ პოზიცია 7 საფეხურით გაუმჯობესა.

განვითარებული ქვეყნებისათვის ინოვაცია, თუ წარმოადგენს ჩიხს ჩვენთვის არის ახალი გზა ეკონომიკაში. ამიტომ იმის კვლევა, თუ რა როლი აქვს ინოვაციებს ეკონომიკაში ძალიან დიდია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიძინაშვილი დ. ინოვაციური ეკოსისტემები და მათი ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოში. სტატია. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა". თბილისი 2016. გვ. 113-114.
2. ხარშილაძე გ. საინოვაციო მდგომარეობა საქართველოში: არსებული ვითარება, ანალიზი და პერსპექტივა. სტატია. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა". თბილისი 2016. გვ. 216-218.
3. ჩიქოვანი ე. ინოვაციური ეკონომიკის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფის შესახებ საქართველოში. სტატია. "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა". თბილისი 2016. ვ. 210-212.
4. ჯოლია გ. უმაღლესი განათლება ინტერნეტ-ტექნოლოგიების პირობებში. სტატია. გვ. 2.
5. http://sazogadoeba.ge/index.php?post_id=1507

Innovative condition in Georgia:
Recent situation, analysis and future perspective

Nato Chikviladze
Nazibrola Iakobadze

Summary

In this workout, "the inovation of the situation in Georgia analysis and perspective." Reffers to so paramount topics such are: development of innovation contributive and impending factors , analyse and finding those ways, which can help our country to develop in innovation field.

Innovation – maybe while hearing this word you remember a lot of technological achieve ments and explanation.

Innovation is paramount positive changes in offering products, service, model of business and actions. Easily, innovation is remaking some new things or already existing things.

The developed countries have lack of technological growing sources, which we can not say for developing countries. They still can reach the pace of contemprorary technological development, which have done developing countries economics. In this way Georgia can not be exeption.

The Innovation development gives to Georgia opportunities produce the products, which will be suitable for the worlds market standarts. Getting bigger concuration is paramount, which can contribute to adopting and developing new technologies.

key words: *Risk insurance, Venture funds, Leasing companies*

ბაზრის სუბიექტების ქცევა ექსტრემალურ ეკონომიკურ პირობებში

ნინო ჩიკვილაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

მომხმარებლის ქცევა მრავალფაქტორული მოვლენაა. მასზე, ეკონომიკურთან ერთად, მოქმედებს სოციალური, კულტურული, ფსიქოლოგიური ფაქტორები, ბუნებრივი მოვლენები და სხვ. ამჯერად სტატიაში ყურადღების ცენტრშია ექსტრემალური ეკონომიკური პირობების გავლენა მომხმარებლის ქცევაზე, მის სამომხმარებლო არჩევანზე. ექსტრემალურად განიხილება ნორმალურიდან გადახრილი პირობები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს თვით ეკონომიკის იმანენტური, ასევე პოლიტიკური, ბუნებრივი და სხვა მიზეზებით.

საქართველოში, რომელიც ქრონიკული ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ასევე რთულ გარდამავალ პირობებში იმყოფება ეკონომიკა ექსტრემალურ პირობებში ფუნქციონირებს. აქედან გამომდინარე, საქართველოში მომხმარებლის ქცევა გამოირჩევა სპეციფიკურობებით, რაც საერთო პირობებთან ერთად დაკავშირებულია ეროვნული მენტალიტეტისა და ტრადიციების გავლენასთან. მთავარი ისაა, რომ საქართველოში მომხმარებლის ქცევა ძირითადად ეკონომიკურად დაბალი განვითარებული ქვეყნის ტიპურია.

აუცილებელია ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების შედეგად მომხმარებლის ქცევა, რაც ადამიანთა ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, გახდეს განვითარებული ქვეყნების მომხმარებელთა ქცევის ანალოგიური, რაც გახდება ცივილიზებული საზოგადოების არსებობის ერთ-ერთი პირობა.

საკვანძო სიტყვები: *ბაზრის სუბიექტები, ექსტრემალური ეკონომიკა, მომხმარებლის ქცევა.*

ეკონომიკურ მეცნიერებაში მომხმარებელთა ქცევის შესახებ გარკვეული თეორიული პოსტულატები ჩამოყალიბდა. არსებული კონცეფციის მიხედვით, მომხმარებლის ქცევას განსაზღვრავს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ასევე გარე ეკონომიკური ფაქტორები. სხვანაირად ისინი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ობიექტურ, ასევე სუბიექტურ ფაქტორებად.

ეს ფაქტორები ჩამოყალიბებულია ტიპური მომხმარებლის მდგომარეობისა და სხვა მახასიათებლების, მათ შორის ფსიქიკის, მენტალიტეტის და ასე შემდეგ საფუძველზე. კონკრეტულ სიტუაციაში საქმე გვაქვს მომხმარებელთა თვისებების მრავალფეროვნებასთან, ე.ი. გადახრასთან ტიპურისგან. ასეთ გადახრას მრავალი მიზეზი აქვს. მათ შორისაა ის პირობები, რომლებიც არსებობს კონკრეტულ ქვეყანაში თუ რეგიონში ადამიანის ცხოვრების თვალსაზრისით. ასევე აღნიშნულ განსხვავებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო დონე, საზოგადოების განვითარების ისტორიული თავისებურებები, ეროვნული ტრადიციები, საერთო კულტურული დონე, ცალკეული ინდივიდების სპეციფიკური თვისებები (მენტალიტეტი) და ა. შ.

კონკრეტული მომხმარებელი ბაზარზე იქცევა, როგორც საერთო ობიექტური პირობების გათვალისწინებით, ასევე მისი სუბიექტური მიდრეკილებების მიხედვით.[1] ეს ფაქტორები აყალიბებს მომხმარებლის მოთხოვნილებებს, რაც ერთ-ერთ საფუძვლად ედება მათ საბაზრო მოთხოვნას.

არსებული ეკონომიკური თეორიული კონცეფცია მომხმარებლის ქცევის შესახებ, ჩვენი აზრით, არ არის სრულყოფილი და არ ითვალისწინებს რიგ მნიშვნელოვან ასპექტს. მაგალითად, პროფესორ გიორგი მალაშხიას აზრით, აუცილებელია მომხმარებლის ქცევით თეორიაში გავითვალისწინოთ ადამიანთა მოთხოვნილებების ხასიათი, კერძოდ ის, თუ რამდენად გონივრულია, ჯანსაღია მოთხოვნილებები. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნილების

[1] ეს დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ პიროვნების თეორიის საფუძველზე ადამიანის ქცევის მოტივაციის თანამედროვე განსაზღვრებიდან იხ. Larry A . Hjele, Daniel J Zigler. Personality Theories . New York. 1992. Ch . I.

დაკმაყოფილების მიზანშეწონილობა. ცნობილი ფსიქოლოგი დ. უზნაძე გამოყოფს ვიტალურ სასიცოცხლო და მაღალ ინტელექტუალურ, ესთეტიკურ მოთხოვნებს.[1] მიზანშეწონილად შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ჯანსაღი მოთხოვნილებები და მათ დაკმაყოფილება. ამას უკავშირდება ზომიერების პრობლემა. ზომიერად მიიჩნევა იმ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რომლებიც ადამიანებისთვის რეალური სიკეთის, სარგებლობის მომტანია. მაშასადამე, მომხმარებლის ქცევაში უნდა იყოს გათვალისწინებული ის, თუ როგორ გარდაიქმნება მოხმარებული დოვლათი სოციალურ სიკეთედ. ის დოვლათი, რომელიც არ ხმარდება ჯანსაღი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, აღნიშნული ავტორის მიერ განიხილება, როგორც უქმი, უფუნქციო და ზედმეტი[2]. ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი დოვლათი გროვდება ცალკეული ადამიანების ხელში, რაც იწვევს მის უკმარობას ადამიანთა დიდი ნაწილში. საბოლოოდ ეს ნიშნავს საზოგადოების კეთილდღეობის შემცირებას იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნული დოვლათის გონივრული მოხმარების პირობებში. ამ მსჯელობიდან შეიძლება გავაკეთოთ ასევე თეორიული დასკვნა ადამიანის ქცევის რაციონალურობის შესახებ. გ. მალაშხიას მტკიცებით, ადამიანთა ქცევა ბევრ შემთხვევაში არარაციონალურია, რაც საბოლოო ანგარიშით უარყოფითად აისახება, როგორც ინდივიდების, ასევე საზოგადოების კეთილდღეობაზე.[3] ზემოთ ნათქვამში ვფიქრობთ, აღნიშნულ ავტორს უნდა დავეთანხმოთ.

ამ მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური იქნება დასკვნა, რომ მომხმარებლის ქცევის ზოგადი თეორია მოითხოვს შევსებას და აღნიშნული ასპექტების გათვალისწინებას. საქმე გვაქვს არა მხოლოდ ზემოთ განხილული ფაქტორების არსებობასთან, საერთო ხასიათის გამოვლინებებთან, არამედ მათი სპეციფიკურობებთან და ინტენსივობასთან ბაზარზე ცალკეული მომხმარებლის ქცევის დროს. ამ კონკრეტიკის გათვალისწინების აუცილებლობა სახვადასხვა პირობებში განსხვავებულია. კერძოდ, აღნიშნული ფაქტორები სხვადასხვა ზომით იჩენს თავს მაღალგანვითარებულ, განვითარებულ, საშუალო დონეზე განვითარებულ და ჩამორჩენილ ქვეყნებში.[4] გარდა ამისა, აუცილებელია მხედველობაში იყოს მიღებული ეროვნული, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვა სპეციფიკურობები.

სპეციალური მსჯელობის საგანი უნდა იყოს მომხმარებლის ქცევა ექსტრემალურ პირობებში. იგი ხასიათდება საგულისხმო თავისებურებით, რომლებიც აუცილებელია გავითვალისწინოთ თეორიაში, თუმცა ამგვარი მიდგომა ჯერ–ჯერობით არ გამოიყენება. აღნიშნული თვალსაზრისით, უწინარესად უნდა გავარკვიოთ ექსტრემალური ეკონომიკის ძირითად მახასიათებლები. ვფიქრობთ, შეიძლება გამოვყოთ მისი შემდეგი ნიშნები: 1. განვითარების დაბალი დონე; ამ ნიშნის მიხედვით, ექსტრემალურს შეიძლება მივაკუთვნოთ ჩამორჩენილი, ანუ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა; 2. ეკონომიკური არასტაბილურობა, იგი შეიძლება ახასიათებდეს როგორც მაღალგანვითარებულ, ასევე საშუალო განვითარების ქვეყნებს. ეკონომიკური არასტაბილურობა გამოვლინდება რეცესიით (წარმოების დაქვეითება), უმუშევრობით, ინფლაციით და სხვა.). 3. ექსტრემალური ეკონომიკის შემდეგი ნიშანია ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა, შიდა კონფლიქტები, საგარეო–პოლიტიკურ ურთიერთობათა დაძაბულობა და სხვ., რაც დიდ გავლენას ახდენს მომხმარებლის ქცევაზე და საერთოდ ეკონომიკურ პროცესებზე; 4. ექსტრემალური სიტუაცია ეკონომიკაში შეიძლება წარმოიშვას არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამოც, როგორიცა: სტიქიური ბუნებრივი მოვლენები, მკაცრი კლიმატური პირობები და სხვ.

ექსტრემალური ეკონომიკის ზემოთ აღნიშნული ნიშნები მომხმარებლის ქცევაზე შეიძლება აისახოს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: 1. შემოსავლების დონესა და დინ-

---

[1] დ. უზნაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი. 2006. გვ 214.

[2] გიორგი მალაშხია. ზომიერი ადამიანი. გადამრჩენელი, ჰუმანური. თბილისი. 2013.

[3] იქვე, ასევე მისივე სტატია „უქმი ეკონომიკა და კეთილდღეობს დანაკარგები „ ჟურნ. „ეკონომიკა “, № 7 2013

[4] აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ამჟამად მიღებულია ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით დაყოფა შემდეგი კრიტერიუმის მიხედვით: 1) უღარიბესი ქვეყნები - მშპ/სულზე ნაკლებია 1000 დოლარზე;2) განვითარებადი ქვეყნები - მშპ/სულზე არის 1000-5000 დოლარი;3) საშუალო განვითარების ქვეყნები - მშპ/სულზე არის 5000-12000 დოლარი;4) განვითარებული ქვეყნები - მშპ/სულზე 12000 დოლარზე მეტი.

ამიკაზე - დაბალი განვითარების ქვეყნებში შემოსავლები ხასიათდება შედარებით ნაკლები ცვლილებებით, მაგრამ მეტისმეტად მცირეა, რაც აისახება მომხმარებელთა გადაწყვეტილებებში, მოთხოვნის სტრუქტურაში და საბოლოოდ ცხოვრების დონეზე. 2. მომხმარებელთა მოლოდინზე - ექსტრემალურ ვითარებაში მომხმარებლებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა მოლოდინი: მდგომარეობის გაუარესების, გაუმჯობესების ან უცვლელობის. ამაზე იქნება დამოკიდებული მათი გადაწყვეტილებები, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი საქონელი და მომსახურეობა შეიძინონ. ეს გადაწყვეტილებები განსხვავებული იქნება ქვეყნების განვითარების დონის მიხედვით. 3. განწყობაზე – იგი ადამიანთა ქცევის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არა გადამწყვეტი. დ. უზნაძის მიხედვით, იგი შეიძლება იცვლებოდეს არა მარტო ეკონომიკური პირობების, არამედ აგრეთვე თვით ადამიანთა ფსიქიკის, ხასიათის შესაბამისად.[1] 5. გაურკვევლობაზე – ექსტრემალურ პირობებში ყოველთვის არსებობს მეტი გაურკვევლობა, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში, რაც ართულებს მომხმარებლის გადაწყვეტილებებს. გაურკვევლობის შემცირების ფაქტორები შეიძლება იყოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური.

საქართველოს ეკონომიკა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ექსტრემალური. იგი ჯერ კიდევ იმყოფება ქრონიკული კრიზისის მდგომარეობაში, რამდენადაც აქამდე არაა მიღწეული კრიზისამდელი დონე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის და სულადობრივი წარმოების მიხედვით. ასევე მოსახლეობის კეთილდღეობის საერთო დონის მაჩვენებლები ჩამორჩება კრიზისამდელ პერიოდის მაჩვენებლებს. ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობს მკვეთრი რყევების პირობებში. ცალკეულ პერიოდებში თავს იჩენს სტაგნაციისა და კრიზისის სიმპტომები მთელ ეკონომიკაში, ასევე მის სექტორებში. აქედან გამომდინარე, მომხმარებლის ქცევა საქართველოში ხასიათდება ექსტრემალური მომხმარებლის ნიშან–თვისებებით. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორი დასკვნი- სთვის არ იქნებოდა საკმარისი საშუალო მაჩვენებლებით მსჯელობა, არამედ უპრიანია მოსახლეობის ცალკეული ფენების სამომხმარებლო ქცევის დიფერენცირებულად განხილვა, მაგრამ ამგვარი მონაცემების მოსაპოვებლად სტატისტიკური კვლევები არ ტარდება. ამიტომ შეგვიძლია მხოლოდ საერთო ხასიათის მონაცემებით ვისარგებლოთ და სხვადასხვა ფენის მომხმარებელთა ქცევაზე არაპირდაპირი და დაკვირვების, შეფასებითი მასალებით ვიმსჯელოთ.

პირველ რიგში, შევჩერდებით შემოსავლებზე, როგორც მომხმარებლის ქცევის ფაქტორზე. ამ მხრივ საქართველოში მომხმარებლის მდგომარეობა აშკარად არასახარბიელოა. ეს ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების შესახებ შემდეგი მონაცემების მიხედვით.

ცხრილი 1

საოჯახო მეურნეობათა ხარჯები საქართველოში

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები (მილიონი ლარი)	389.7	428.6	458.8	556.1	561.4	617.8	693.4	785.9
საშუალო თვიური ხარჯები ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	382.6	426.2	454.2	551.6	555.3	619.7	688.3	766.1
საშუალო თვიური ხარჯები ერთ სულზე (ლარი)	101.8	113.5	123.9	150.3	150.7	170.0	190.3	212.2

წყარო: საქსტატი. შინა მეურნეობის შემოსავლები და ხარჯები. 2012.

საქართველოში საოჯახო მეურნეობათა შემოსავლების დონე და დინამიკა უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის თვალსაჩინოდ გრაფიკულად შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

ადვილი გასაგებია, რომ ეს ხარჯები შემოსავლების შესაბამისია. როგორც ეს მონაცემებით ჩანს, უკანასკნელი პერიოდის მანძილზე საოჯახო მეურნეობათა საშუალო შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა: მთლიანად ქვეყანაში საერთო მოცულობა მიმდინარე ფასებით 2,02 -ჯერ, ერთ ოჯახზე - 2.0 - ჯერ, ერთ მცხოვრებზე - 2,08 ჯერ. მაგრამ მიუხედავად მნიშვნელოვანი

[1] დ. უზნაძის დასახელებული წიგნი . გვ. 105-250.



მატებისა, ის მაინც მეტისმეტად დაბალი რჩება, რის გამო მოსახლეობის კეთილდღეობის დონეც შესაბამისად დაბალია, რასაც შეესაბამება მომხმარებლის ქცევა და მოხმარების სტრუქტურა. ეს უკანასკნელი ასახულია ქვემოთ მოტანილ მონაცემებში (ცხრილი 2).

ცხრილი 2

შინა მეურნეობათა ხარჯების სტრუქტურა საქართველოში 2010 წ.
(%-ობით მთელ ხარჯებთან)

	საშუალოდ ქვეყანაში	ქალაქად	სოფლად
ყველა სახის საქონელზე და მომსახურებაზე	100.0	100,0	100,0
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	41,4	38,8	45,9
ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე	3,6	3,6	3,6
საოჯახო მოხმარების საქონელზე	3,8	3,6	4,0
ჯანმრთელობის დაცვაზე	10,0	9,2	11,4
სათბობზე და ელექტროენერგიაზე	11,7	12,4	10,5
ტრანსპორტზე	10,2	10,3	10,2
განათლებაზე, კულტურაზე და დასვენებაზე	3,9	4,9	2,2
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	15,4	17,2	12,3

წყარო: საქსტატი. შინა მეურნეობის შემოსავლები და ხარჯები. 2012. გვ. 8,9

შედარებისთვის შეიძლება მოვიტანოთ განვითარებული ქვეყნების საოჯახო მეურნეობათა დანახარჯების სტრუქტურა. კვების პროდუქტებზე დანახარჯები მთელ დანახარჯებში იყო 2010 წელს იაპონიაში 23 2 %, სამხრეთ კორეაში - 13, 6 %, ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე - შესაბამისად 4,0 და 6,6 %, საცხოვრებელზე და კომუნალურ მომსახურებაზე (ელექტოენერგიის, აირის , სათბობის ჩათვლით და სხვ.) - 14,9 % და 10,6 %, საოჯახო ნივთებზე - 3,4 % და 3,7 %, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე - 13,9 % და 17,8 %, ჯანდაცვსა და განათლებაზე - 7,5% და 19, 6 დასვენებაზე, კულტურულ ღონისძიებებზე -11,4% და 18, 3 % %, სხვა საქონელსა და მომსახურებაზე - 22,4 % და 9,4 % .[1]

ამრიგად, საქართველოში, მოსახლეობის უმრავლესობა ბაზარზე მოთხოვნას ძირითადად აყენებს ეგრეთწოდებულ დაბალ საქონელზე, როგორიც არის კვების პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა საარსებოდ აუცილებელი, ეგრეთწოდებული ვიტალური მოთხოვნილებების საგნები. მაგალითად, სურსათის მოხმარების წილი მთელ მოხმარებაში 1.8 ჯერ მეტია, ვიდრე იაპონიაში, და 3,0 -ჯერ , ვიდრე სამხრეთ კორეაში; ტანსაცმელზე და ფეხსაცმელზე შესაბამისად 3,85 ჯერ იაპონიისაზე და 2,33-ჯერ სამხრეთ კორეისაზე. სამაგიეროდ, მეტისმეტად მცირეა განათლებაზე, კულტურაზე, დასვენებაზე გაწეული ხარჯების წილი, კერძოდ, იაპონიისაზე - 3- ჯერ, კორეისაზე - 4,8-ჯერ და ა. შ. უნდა ითქვას ისიც, რომ საარსებო მნიშვნელობის საქონელზე და მომსახურებაზე დანახარჯების ზრდის ტემპი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ბევრად ჩამორჩება მაღალი საქონლის მოხმარების ზრდის ტემპს. მაგალითად, ა შ შ -ში შემოსავლების ერთი

[1] ru.wikipedia.org/wiki/ закон- Энгля

პროცენტის ზრდისას საკვებ პროდუქტებზე ხარჯები იზრდებოდა 0,77 %-ით, ტანსაცმელზე - 0,32 %-ით, ტრანსპორტზე - 1,1 %-ით, საცხოვრებელზე 0,89 %-ით, სამედიცინო მომსახურებაზე კი - 1,9 %-ით, ფუფუნების საგნებზე - 3,6 %-ით, სპორტის საქონელზე - 3,56 %-ით, ტაქსებით მომსახურებაზე - 2,8 %-ით და ა.შ.[1]

მოტანილი ციფრების შედარებისას ნათლად ვხედავთ, რომ განვითარებულ ქვეყნებში მომხმარებელთა არჩევანი უპირატესად მიმართულია მაღალი საქონლისა და მომსახურების შეძენისკენ, საქართველოში, პირიქით, - დაბალი საქონლისა და მომსახურების შეძენისკენ. ასეთი ვითარება საქართველოში შეესაბამება კეთილ-დღეობის ბევრად დაბალ დონეს, ასევე ტენდენცია მდგომარეობის გამოსწორებისკენ ჯერჯერობით არასახარბიელოა.

ამ შემთხვევაში ვხედავთ ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილი ენგელის კანონის გამოვლინებას. ასევე შეინიშნება მოსახლეობის გამძაფრებული მოლოდინი ბაზარზე ფასების ცვლილების მიმართ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსახლეობის დიდი მოთხოვნა ე.წ. მეორად (ხმარებაში ნამყოფ, იაფფასიან), უმთავრესად უცხოეთის ქვეყნებიდან, მეტწილად ევროპიდან შემოტანილ საქონელზე. აქ ამაყი ხასიათის ქართველისათვის ერთგვარი იძულებითი ქცევა იჩენს თავს, რაც არასრულფასოვნების გარკვეულ ფსიქოლოგიურ განცდებსაც უკავშირდება. ამასთან, იგი გამოუვალი მდგომარეობის, სიამაყისა და ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების კომპრომისით მთავრდება.

საქართველოში უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა მკვეთრი უთანაბრობა მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების მიხედვით, რაც ბევრად აღემატება მაღალგანვითარებულ ქვეყნებში არსებულს. ეს კარგად ჩანს გაეროს მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში. ნორვეგიაში განსხვავება მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 10 % -ის შემოსავლებსა და ყველაზე დაბალშემოსავლიანი 10 %-ის შემოსავლებს შორის იყო 5,8 -ჯერადი, იაპონიაში -4,5-ჯერადი, შვეიცარიაში - 5,9 -ჯერადი, საფრანგეთში -5,1 -ჯერადი, ფინეთში - 5,0 -ჯერადი, ჩეხეთში- 5,2-ჯერადი, და ა. შ, საქართველოში იგი თითქმის 17-ჯერადია. ეს თავის მხრივ აისახება საქართველოში მომხმარებელთა სხვადასხვა კატეგორიის ქცევაში, საბოლოოდ მის არასასურველ ხასიათში.

შემოსავლების მიხედვით, მოსახლეობის მკვეთრი დიფერენციაცია, რამაც ბოლო პერიოდში იჩინა თავი, საზოგადოების ცხოვრების ნეგატიურ პროცესად უნდა შეფასდეს. ამის გამო ადგილი აქვს მოსახლეობის ცალკეული ფენების სამომხმარებლო ქცევის მკვეთრ განსხვავებას. განსხვავება, ცხადია, აუცილებელია, არ შეიძლება მოისპოს, რამდენადაც ადამიანები თავიანთი მდგომარეობით, მოთხოვნილებებით ერთნაირები არ არიან, მაგრამ იგი არ უნდა სცილდებოდეს ნორმალურ ფარგლებს. სინამდვილეში საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილი ფლობს დიდ სიმდიდრეს და შემოსავლებს. მათი ქცევა, მოხმარების სფეროში შეიძლება დახასიათდეს, როგორც განვითარებული ქვეყნის მოსახლეობის, უფრო მეტიც, როგორც იქაური მაღალი ფენების ქცევის ანალოგიური. მოსახლეობის ეს ნაწილი ავლენს მოთხოვნას ფუფუნების საგნებზე, საზღვარგარეთის ძვირადღირებულ კურორტებზე დასვენებაზე. ეს აღრმავებს არსებული კონტრასტების გამოვლენას და საზოგადოებრივ კლიმატზე ნეგატიურად მოქმედებს.

ამგვარი მდგომარეობა, რაც მიუთითებს საქართველოში მოსახლეობის მეტისმეტ უთანაბრობას შემოსავლისა და ცხოვრების პირობების მიხედვით, არ შეიძლება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დადებით ნიშნად და ტენდენციად შეფასდეს. ამით საქართველო გამოირჩევა თანამედროვე მოწინავე ქვეყნებისაგანაც და იმ ქვეყნების რიგში დგას, სადაც მწვავე სოციალური კონტრასტები და პირობებია. მათ შორისაა ყოფილი სოციალისტური ბანაკის რიგი ქვეყანა, სადაც მოკლე ხანში მოსახლეობაში უთანაბრობამ უზარმაზარ მასშტაბებს მიაღწია, რითაც ბევრად გაუსწრო კლასიკური კაპიტალიზმის ქვეყნებს. რაც შეეხება მოსახლეობის უმრავლესობას, სქართველოში მისი სამომხმარებლო ქცევა საერთოდ ტიპურია ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის ქცევისა.

მოტანილი მონაცემები აშკარად ადასტურებს საქართველოში ექსტრემალური მომხმარებლის ტიპის არსებობას. ამასთან, შეიძლება გარკვეული სპეციფიკაც დავინახოთ, მათ შორის შემდეგი.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მოსახლეობის საერთო კულტურული და განათლების

[1] ru.wikipedia.org/wiki/зфкон _ Энгеля

დონე შესაბამისობაში არ არის უმრავლესობის მატერიალურ მდგომარეობასთან, რაც ქრონიკული ეკონომიკური კრიზისის შედეგად მკვეთრად გამწვავდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მაღალმწარმოებლურ შრომას ეწეოდა და კარგ შემოსავალს იღებდა, აღმოჩნდა უმუშევარი ან მცირე შემოსავლიან და დაბალკვალიფიციური შრომით დაკავებული. ამასთან, მათ შემორჩათ მაღალი კულტურა, განათლება, ძველი მიდრეკილებები, მაღალი მოთხოვნილებები. ესაა წინააღმდეგობა, რომელიც აისახება მომხმარებლის ქცევაზეც. ამ სიტუაციაში გარკვეული ჯგუფები იძულებულნი არიან მოიკლონ საარსებოდ აუცილებელი პროდუქტები და მომსახურება, ტრადიციის, შემორჩენილი ჩვევების შედეგად ბაზარზე მაღალ საქონელზე მოთხოვნას ავლენენ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ასევე ქართველის, მამაკაცის თუ ქალის, სიამაყე, მიდრეკილება მაღალი ფასეულობებისადმი, პრესტიჟისაკენ და ა. შ. შედეგად ვიღებთ მოსახლეობის ერთი ნაწილის მოთხოვნის ხელოვნურ მსგავსებას განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის მოთხოვნისადმი. საბოლოო ანგარიშით, ეს ნეგატიურად აისახება კეთილდღეობის მაჩვენებელზე, რამდენადაც მომხმარებლის ქცევა ხდება მისი ობიექტური პირობების არაადეკვატური და მისი საარსებო მოთხოვნილებების ნაწილი დაუკმაყოფილებელი რჩება, რაც საბოლოოდ თავის გამოხატულებას პოვებს კეთილდღეობის მაჩვენებლებში.

ზემოთ გადმოცემული მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ კერძო სექტორისა და სახელმწიფოს ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ამ ხარვეზის აღმოფხვრისკენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეინზი ჯ.მ. დასაქმების , პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი. 1995.
2. მალაშხია გ.. მეტაეკონომიკა -ეკონომკის ფილოსოფია. თბილისი.
3. მალაშხია გ. ზომიერი ადამიანი. 2013.
4. მალაშხია გ. უქმი ეკონომიკა და კეთილდღეობის დანაკარგები. ჟურნ. ,,ეკონომიკა „. №7. 2013
5. სმითი ა. ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი 2007.
6. რიკარდო დ. პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები. ტარგმანი ინგლ. თბილისი 2007.
7. დ. უზნაძე . ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი . 2000.
8. ქრებ კალჰუნი, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი. სოციოლოგია. თარგმანი. თბილისი. 2008.
9. შინამეურნეობათა შემოსავლები და ხარჯები, 2010, საქსტატი, 2011.
10. Всемирный Банк. Доклад о мировом развитии за 2012 г.

Behaviour of market subjects in extreme economic conditions

Nino Chikviladze

Summary

Consumer Behavior multifactor phenomenon. He, along with the economic, the social, cultural, and psychological factors, natural phenomena, and others. This article focuses on the impact of user behavior on the extreme economic conditions, the consumer's choice. Nirmaluri considered extremely deviated from the conditions which may be caused by the immanent economic, political, natural and other causes.

In Georgia, a chronic economic crisis and the difficult transition of the economy pumktsionirebs extreme conditions. Therefore, the user's behavior is spetsipikuobebit Georgia, which is a common condition associated with the impact of the national mentality and traditions. The main thing is that the user's behavior in Georgia, developed countries are economically very typical.

The overall development of the country as a result of user behavior, which is an important part of human life, similar to the behavior of consumers in developed countries, which will become a civilized society - one of the conditions.

შრომის მართვის პრობლემები ქვეყნის ეკონომიკაში
(საქართველოს მაგალითზე)

ცანავა ნოდარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია შრომის მართვის აქტუალური პრობლემები საქართველოს ეკონომიკაში თანამედროვე ეტაპზე. წარმოების მოცულობებისა და შრომის დანახარჯების ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევის სტრატეგიული ამოცანიდან გამომდინარე შემოთავაზებულია როგორც კორპორაციის, ასევე დარგისა და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით შრომის რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრის მატრიცული მოდელი. ამ მოდელის გამოყენებით წარმოების პროცესის რეგულირების შედეგად თუ აღმოჩნდა, რომ პროდუქციისა და მომსახურეობის რეალიზაციის საჭირო მოცულობის მისაღებად არ არის საკმარისი არსებული შრომითი რესურსები უნდა შეიცვალოს პროდუქციის წარმოების პროგრამა ან მიღებულ იქნას ღონისძიებები სამუშაო ძალის ფორმირებისა და გამოყენების პროცესის მართვის სრულყოფისათვის სპეციალიზაციის გაღრმავების, როტაციის, შრომის გამდიდრების, სამუშაო ჯგუფების ორგანიზების თანამედროვე ფორმების გამოყენებით. თუ ადგილი აქვს საპირისპირო პროცესს, შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები შრომითი პროცესების ოპტიმიზაციისა და არსებული საწარმოო სტრუქტურის გაუჯობესებისათვის, რაც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდასა და სტაბილურობას, როგორც ცალკეული ფირმების, ასევე ცალკეული დარგებისა და საბოლოო ჯამში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საკვანძო სიტყვები: *შრომითი რესურსები, სამუშაო ძალა, მოსახლეობის მიგრაცია, უმუშევრობის დონე. დასაქმება. შრომის მართვის მატრიცული მოდელი, შრომის ბაზარი.*

ძირითადი ტექსტი

შრომის მართვის სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემდგომი დაჩქარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. ესკი, თავის მხრივ, გულისხმობს შრომის მართვის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების დამუშავებას და გამოყენებას, მათი რაოდენობრივი აღრიცხვის მოწესრიგებისა და სტრუქტურის ხარისხობრივი ანალიზისუზრუნველყოფას. ხსენებული საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა სახეზეა ერთის მხრივ, შრომითი რესურსების შეფარდებითი სიჭარბე(დიდი რაოდენობის დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობა) და მეორეს მხრივ კვალიფიციური მუშახელის შესამჩნევი დეფიციტი. ეს პროცესები კიდევუფრო მწვავდება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის დიდი მასშტაბების შედეგად , რომლის ვექტორი მიმართულია, როგორც წესი განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებული ქვეყნებისაკენ. 1990 წლიდან ამ პროცესებმა საქარველოშიც კატასტროფული მასშტაბები შეიძინეს. კერძოდ 1989 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 5443,3 მილიონ კაცს, 2002 წლის მონაცემებით კი 4355,7 მილიონს, ხოლო 2014 წლის აღწერით -3729,6 მილიონ კაცს. მოსახლეობის ეს კლებადი დინამიკა შობადობის დაბალ დონესთან ერთად, სწორედ მოსახლეობის მიგრაციის იყო განპირობებული.

სიძნელეები, რომლებიც წარმოიშვება შრომის მართვის ცალკეული საკითხების გადაწყვეტის დროს მნიშნელოვანწილად განპირობებულია თვით შრომის თავისებურებებით. კერძოდ იმითი, რომ ის მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების ძირითად საწარმოო ძალასთან- სამუშაო ძალასთან. ახასიათებს რა კვალიფიციური მუშახელისა და მოსამსახურეების ფორმირებასა და განაწილებას დარგობრივ და რეგიონალურ ჭრილში ის პირდაპირ ახდენს გავლენას , აგრეთვე მათი კეთილდღეობის ამაღლებაზე და აქედან გამომ-

დინარე გადამწყვეტ როლს თამაშობს, როგორც მთლიანად ქვეყნის,ასევე მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაში, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია შრომის მართვის საკითხების შესწავლის დროს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ცნებები: „ შრომითი რესურსები", „სამუშაო ძალა" და„შრომის უნარიანი მოსახლეობა". ზოგიერთი შრომის მკვლევარი მიიჩნევს, რომ ცნებები „შრომითი რესურსები" და „სამუშაო ძალა" იდენტურია. სხვები ამტკიცებენ , რომ შრომითი რესურსები უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე სამუშაო ძალა. ჩვენის აზრით, „ შრომითი რესურსები" უნდა განვიხილოთ, როგორც სპეციფიკური ეკონომიკური კატეგორია, რომელიც მომუშავეებს წარმოგვიდგენს ერთდროულად, როგორც მატერიალური დოვლათის მწარმოებლების , ასევე მომხმარებლების როლში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ სამუშაო ძალა ასახავს შრომითი რესურსების მხოლოდ საწარმოო შრომით ასპექტს, რომლის სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი ვლინდება მათი ფორმირებისა და გამოყენების ორადი ბუნებიდან გამომდინარე.

ხსენებული პროცესი აერთიანებს სამუშაო ძალის კვლავწარმოების, როგორც შრომის მართვის პროცესის სამძირითადასპექტს: შრომითი რესურსების მოძრაობას, მათ ხარისხობრივი შემადგენლობასდა დასაქმებას. ამ მიმართულებებით შრომითი პროცესების შეფასებისათვის აუცილებელია შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზი. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ქვეყნის მასშტაბით შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობა პერიოდის დასაწყისში, შევსებაპერიოდის განმავლობაში წყაროების მიხედვით, შემცირება სხვადასხვა მიზეზებით, რიცხოვნება პერიოდის ბოლოსათვის და მათი დასაქმების მდგომარეობა ძირითადი პროფესიული ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით. სამწუხაროდ ასეთი მაჩვენებელთა სისტემა დღეისათვის არ მუშავდება, შრომის სტატისტიკაც ძალიან მწირი და არასრულყოფილია. ის ვერ ქმნის ქვეყნის მასშტაბით შრომის მართვის საჭირო იფორმაციულ საფუძველს, გვაძლევს რა ძალიან ზოგად წარმოდგენას შრომითი რესურსების ფორმირებაზე და მათ გამოყენებაზე (მართვაზე). ეს პროცესები, შეიძლება ითქვას ფაქტიურად უმართავია, რაც ქვეყნის ტერიტორიაზე შრომისუნარიანი მოსახლეობის ძალზე არამართზომიერ განაწილებას (ძირითადად დედაქალაქში კონცენტრაციას) და შედეგად ეკონომიკური განვითარების დიდ უთანაბრობას იწვევს.

ამჟამად ოფიციალური სტატისტიკა ძირითადად აღწერს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის (სამუშაო ძალის) რიცხოვნებას, დასაქმებას და უმუშევრობის დონეს. რაც შეეხება შრომითი რესურსების მოძრაობის სხვა მაჩვენებლებს(განსაკუთრებით მიგრაციისა და იმიგრაციის), მათი პირდაპირ, ოფიციალური სტატისტიკური წყაროებიდან მიღების შესაძლებლობა პრაქტიკულად არ არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის(სამუშაო ძალის) რიცხოვნებამ 2015 წლის მონაცემებით შეადგინა 2021, 5 მლნ. კაცი. შედარებისათვის 2005წელს იგი შეადგენდა 2023, 9 მლნ. კაცს ანუ ხასიათდებოდა კლების ტენდენციით. თუმცა ამ პერიოდის ოფიციალურ, პოზიტიურ შედეგად უნდა ჩაითვალოს უმუშევრობის დონის შესამჩნევი შემცირება 12%-მდე, 2010წლის 16%-თან შედარებით. უმუშევრობის დონის ანალიზის დროს კვლავ საკამათოდ რჩება საკითხი თვით უმუშევრობის ტერმინის განსაზღვრის შესახებ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ამ ტერმინს შემდეგნაირად განსაზღვრავს: 15 წელზე მეტი ასაკის პირები, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა, სცადეს,მაგრამ 4 კვირის განმავლობაში სამსახური ვერ იშოვეს, ან არიან დროებით დათხოვნილები და იმყოფებიან სამსახურის მოლოდინში. იგივე ორგანიზაცია საქართველოს სინამდვილეში რეკომენდაციას იძლევა უმუშევართა სიაში არ შევიყვანოთ ის კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც სოფლად უჭირავთ მიწის ნაკვეთი და შესაძლებლობა აქვთ მიიღონ შემოსავალი ფულით ან ნატურით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში(მეურნეობაში) უსასყიდლოდ მომუშავე პირები. თვითდასაქმებულთა ეს კატეგორია ექსპერტული შეფასებით საერთო დასაქმებულთა60%-ზე მეტს შეადგენს. ჩვენის აზრით დასაქმების ეს ფორმა

არ შეიძლება ჩაითვალოს დასაქმების სრულყოფილ ფორმად , რომელიც არსებით გავლენას მოახდენდა სოფლად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე და მოსახლეობის შემოსავალ -გასავლის ბალანსის(როგორც შრომის ბალანსის შემადგენელი ნაწილის) გაუმჯობესებაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ საკითხთან მიმართებაში უპირველეს ამოცანას დასაქმების სტრუქტურის გაუმჯობესება წარმოადგენს. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ცნობილი სტატისტიკოსის, ბატონ სოსო არჩვაძის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფაქტიურად სოფლის მეურნეობაზე მიწერილია მრავალრიცხოვანი კონტიგენტი, რომლებიც ფაქტიურად არ აკმაყოფილებს დასაქმების კრიტერიუმებს. კერძოდ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სოფლად მხოლოდ მაშინ არის გამართლებული დასაქმება თუ ერთი დასაქმებული მინიმუმ სამჯერ მეტ ღირებულებას მაინც ქმნის საარსებო მინიმუმთან შედარებით, როგორც აღმოჩნდა ჩვენს სინამდვილეში 1.8 ჯერ მეტს არ ქმნის, რაც სოფლის მეურნეობაში უაღრესად დაბალი მწარმოებლურობის შედეგია. სამწუხაროდ ამ და სხვა ცნობილი მიზეზებით საქართველოს აგროსასურსათო ბალანსის დეფიციტი 600 მლნ. დოლარს შეადგენს, ანუ ამდენით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს.

რაც შეეხება შრომითი რესურსების მიგრაციის საკითხებს, აქაც მიდგომები განსხვავებულია ამ პროცესის შეფასების ნაწილში. რიგი სპეციალისტების მას დადებითად აფასებს, არიან საწინააარმდეგო აზრის მატარებლებიც. უმეტესობა კი თანხმდება იმაში, რომ რაც უფრო ღია და დერეგულირებულია შრომის ბაზარი, მათ შორის საერთაშორისო, მით უფრო მეტ სარგებელს იღებს ამ პროცესში მონაწილე ყველა მხარე, როგორც შრომითი რსურსების მიმღები ასევე მიმწოდებელი, რომელიც განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის(მათ რიცხვში საქართველოსათვისაც) სიღარიბესთან ბრძოლის ერთ-ერთ ქმედითსაშუალებად წარმოგვიდგება. თუმცა ამასთან დაკავშირებითაც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხებიც სტატისტიკური აღრიცხვის მიღმა არის დარჩენილიდა უკონტროლოა, რაც თავისთავად სერიოზული ეკონომიკური და დემოგრაფიული საფრთხის შემცველია, ეკონომიკური და ფინანსური დესტაბილიზაციის სხვა სერიოზულ საფრთხეებთან კორელაციაში.

ქვეყანაში შრომის მართვის პროცესი არ დაიყვანება მარტოოდენ შრომის დაცვისა და მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო რეგულირების განხორციელებაზე (როგორც ეს საქართველოს სინამდვილეშია), ჩვენი წინადადებაა შეიქმნას შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენებისსხვადასხვა მიმართულებების ანალიზისა და შეფასების ერთიანი სისტემა, რომელიც წარმოდგენილი იქნება შრომის საანგარიშგებო მოდელის სახით, რომელიც აღწერს კვალიფიციური სამუშაო ძალის ფორმირების, განაწილებისა და მოძრაობის პროცესებს ყოველ მოცემულ კონკრეტული პერიოდისათვის. ეს კი დაგვეხმარება დავადგინოთ მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშახელზე და მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობები.ამით, თავის მხრივ შეიქმნება უმაღლეს და სპეციალურ პროფესიულ სასწავლებლებში მისაღები კონტიგენტის სწორად და ეფექტურად დაგეგმვის შესაძლებლობა, რაც მათი შემდგომი დასაქმების რეალური გარანტია შეიძლება გახდეს. აღნიშნული მოდელისათვის საჭირო ინფორმაცია (მაგალითად შრომით რესურსებზე მოთხოვნილების შესახებ) ოფიციალური სტატისტიკური ფორმებში უნდა ჩაერთოს ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით და შემდეგ მოხდეს მათი დაჯგუფება შესაბამისი დარგებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. მოთხოვნილების ცვლილებები დიდ გავლენას ახდენს საწარმოებიში და ორგანიზაციებში და აქედან გამომდინერე ცალკეულ დარგებში და მთლიანდ ქვეყანაში შრომითი რესურსების დაგეგმვაზე. თუმოთხოვნასტაბილურია, დიდიაიმისშესაძლებლობა, რომწარმოების და მომსახურეობის მოცულობებიცსტაბილურიიყოს, ცვლილებისშემთხვევაშიკოფირმას (დარგს)მოუწევსგადაწყვეტილებისმიღება, შეუსაბამოსთუარამოთხოვნასპროდუქციის (მომსახურეობის) წარმოების მოცულობები. ესპრობლემაგანსაკუთრებითმწვავედმომსახურებისსფეროში იცენს თავს, სადაც მატერიალურიწარმოები-

სდარგებთან შედარებით შეუძლებელია სასაქონლო მარაგების შექმნა. რიგ შემთხვევებში გასათვალისწინებელია, აგრეთვესეზონურობაც. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ფირმებსშეუძლიათ გამოიყენონ სამი განსხვავებული სტრატეგია:

1. შეინარჩუნონ წარმოების მუდმივი დონე სამუშაო ძალის უცვლელი მოცულობების პირობებში. ამ შემთხვევაში, თუ არ იცვლებაწარმოების მოცულობები, არც მუშახელის რაოდენობის შეცვლასაც ექნება ადგილი. თუმცა, პრაქტიკულად არ არსებობს დარგი, სადაც მოთხოვნის მერყეობას არ ქონდეს ადგილი, რა დროსაც სხვაობა მატერიალური წარმოების შემთხვევაში, როგორც წესი კომპენსირდება მარაგების მეშვეობით, ხოლო მომსახურების სფეროში - გადადებული შეკვეთების პორტფელის შექმნით. ეს მიდგომა გამოიყენება იმ დარგებში სადაც მარაგების და გადადებული შეკვეთების შექმნაზე დანახარჯების ხვედრითი წილი შედარებით დაბალია (მაგალითად ქალაქის წყალმომარაგების კომპანია, რომელიც ქმნის გაფილტრული წყლის მარაგებს და კოსმეტიკური ქირურგიის ცენტრი, სადაც შესაძლებელია გადადებული შეკვეთების პორტფელის ფორმირება.) და აგრეთვე იმ დარგებში, სადაც მუშახელის მოცულობა და, შესაბამისად, მასზე გაწეული დანახარჯები არ იცვლება და შრომითი დანახარჯები მუდმივ დანახარჯებად განიხილება.

2. შეინარჩუნოს წარმოების ცვალებადი მოცულობები სამუშაოძალის მუდმივი მოცულობების პირობებში. ამ სტრატეგიის დროს პროდუქციის გამოშვება იცვლება მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ სამუშაო ძალის რიცხოვნება რჩება უცვლელი. სხვაობა წარმოების მოცულობებსა და სამუშაო ძალის რიცხოვნობას შორის რეგულირდება ზეგეგმური სამუშაოებით, არაგეგმური ან აზღაურებადი შვებულებებით ან სამუშაოს ნაწილის სუბკონტრაქტორებისთვის გადაცემით. ამ ტიპის გადაწყვეტილებები მიიღება იურიდიულ ფირმაში, საბანკო საქმეში ან ტექნოლოგიატევად დარგებში.

3. შეინარჩუნოს ცვალებადი წარმოების მოცულობები სამუშაო ძალის რიცხოვნობის ცვალებადობის პირობებში. ეს სტრატეგია გულისხმობს პერსონალის დაქირავებას და სამუშაოდან დათხოვნას წარმოების მოცულობების ცვლილების შესაბამისად. ამგვარი სტრატეგიული გადაწყვეტილების მაგალითია სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მემცენარეობის ქვედარგი, როდესაც ფერმერები ზამთრობით ქალაქში ეძებენ სამუშაოს, ხოლო მოსავლის აღების ან სხვა პიკური დატვირთვის დროს დამატებით ქირაობენ მუშახელს.

ყველა ამ სტრატეგიების გამოყენების ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს წარმოების მოცულობებისა და შრომის დანახარჯების ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა. რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კორპორაციის, ასევე დარგისა და მთლიანად ქვეყნის მასშტაბით შრომის რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრის მატრიცული მოდელი. აღნიშნული მოდელი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

$$\sum_{j=1}^{n}\left(t_{mj}X_j\right) + T_m^0 = T_m$$

სადაც T_m – საერთომოთხოვნა(m)სახისT$_m$ – საერთომოთხოვნა(m)სახის შრომით რესურსზე;

t_{mj}- (m) კვალიფიციურ-პროფესიონალური ჯგუფის შრომის დანახარჯების ნორმა (j) სახის პროდუქციის ერთეულზე;

T_m^0 –(m)სახის შრომითი რესურსი, დასაქმებული მომსახურეობის სფეროში;

X_j = j დარგის(პროდუქტის)წარმოებისმოცულობა;

ამ მოდელის გამოყენებით წარმოების პროცესის რეგულირების შედეგად შეიძლება აღმოჩნდეს, რომ არსებული შრომითი რესურსების არათანაბარზომიერი გამოყენების მიზეზით ვერ ვუზრუნველვყავით გათვალისწინებული რაოდენობის პროდუქციისა და მომსახურეობის წარმოება, ან პირიქით ზოგიერთი სახის პროდუქტები წარმოებულ იქნა აუცილებელ მოცულობაზე მეტი. ამასთან, თუ პროდუქციისა და მომსახურეობის რეალიზაციის საჭირო მოცულობის მისაღებად არ არის საკმარისი არსებული შრომითი რესურსები უნდა

შეიცვალოს პროდუქციის წარმოების პროგრამა ან მიღებულ იქნას ღონისძიებები სამუშაო ძალის ფორმირებისა და გამოყენების პროცესის მართვის სრულყოფისათვის სპეციალიზაციის გაღრმავების, როტაციის, შრომის გამდიდრების, სამუშაო ჯგუფების ორგანიზების თანამედროვე ფორმების გამოყენებით. თუ ადგილი აქვს საპირისპირო პროცესს, შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები შრომითი პროცესების ოპტიმიზაციისა და არსებული საწარმოო სტრუქტურის გაუჯობესებისათვის, რაც, სხვა ღონისძიებებთან ერთად , ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდასა და სტაბილურობას, როგორც ცალკეული ფირმების , ასევე ცალკეული დარგებისა და საბოლოო ჯამში მთელი ქვეყნის მასშტაბით.

საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არარის განვითარებული შრომის ბაზარი(სპეციალისთა (გაანგარიშებით, უშუალოდ ყიდვა-გაყიდვის საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 10% -ზე ნაკლებს შეადგენს), ბიზნესმა უნდა მისცეს შეკვეთა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებს კადრებზე(რისთვისაც, როგორც ეს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია მიღებული) უნდა დააფინანსონ კიდეც მათი მომზადება. ამ მიზნით კი აუცილებელია ერთის მხრივ, შრომით რესურსებზე მათი მოთხოვნილების, ხოლო მეორე მხრივ ამ რესურსების მიწოდების შესაძლებლობების რაოდენობრივი შეფასება, რის საშუალებასაც გვაძლევს სწორედ შრომითი რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ზემოთ აღნიშნული მოდელი. დღეს თვით განვითარებულ ქვეყნებსაც არა აქვთ იმის ფუფუნება, რომ კვალიფიციური კადრები, რომელთა მომზადებაზე მნიშნელოვანი რაოდენობის დანახარჯები გაწევა ხდება (არა აქვს მნიშვნელობა სახელმწიფოსა თუ კერძო პირების მიერ) უმუშევარი და გამოუყენებელი დარჩეს. ამიტომაცაა აუცილებელი შრომით რესურსებზე მოთხოვნილების, მათი მომზადებისა და მიწოდების ერთიანი პროცესის მართვის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“
2. საქართველოს კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“
3. ე.ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა- მენეჯმენტი და ადმინისტრირება, სახელმძღვანელო, თბილისი, 2007
4. Экономика труда. Под ред.Кокина Ю. П.Шлендера П. Э. 2-е изд. М.., 2010
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- სამუშაო ძალის სტატისტიკა, მეთოდიკა ინტეგრირებული გამოკითხვის შესახებ
6. www.geostat.ge
7. ინტერნეტ რესურსები

Проблемы управления труда в экономике страны
(на примере Грузии)

Нодар Цанава

Резюме

На современном этапе совершенствование управления труда является одним из важнейших направлений ускорения экономического роста страны, что подразумевает разработку и применение научно обоснованных методов управления для обеспечения упорядочения их количественного учета и качественного анализа. Упомянутые вопросы особенно актуальны в отношении Грузии, где в настоящее время наблюдаются, с одной стороны, избыток трудовых ресурсов (в связи массовой незанятостью), а с другой – недостаток квалифицированной рабочей силы. Ситуацию осложняют и значительные масштабы миграционных процессов. К сожалению, в этих условиях процесс управления в анализируемой сфере сводится лишь к государственному регулированию мероприятий социальной защиты населения и частнично – к охране труда. Наше предложение состоит в следующем: создать единую систему анализа и оценки различных сторон формирования и использования трудовых ресурсов в виде матричной модели (подробно описана в статье), что даст возможность определить потребность в квалифицированных рабочих кадрах и условия их удовлетворения. Полагаем, что такое решение проблемы позволит создать реальные предпосылки для правильного планирования и управления процесса подготовки и расспределения квалифицированных кадров в экономике страны и окажет положительное влияние на совершенствование управления труда.

Ключевые слова: *Трудовые ресурсы. Рабочая сила. Миграция населения. Уровень безработицы. Занятость . Матрычная модель управления труда. Рынок труда.*

საქართველოს კონკურენტული ელექტრობაზარის ფორმირების პრობლემები

ცანავა ნოდარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბოკუჩავა ჯუსტან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბაზრის რეგულირების ზოგიერთი აქტუალური თეორიული და პრაქტიკული ხასიათის საკითხები. აღნიშნული ბაზრის მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხაზგასმულია მისი სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა და ამ მიზნით დახასიათებულია საქართველოს ენერგეტიკის სახელმწიფო მარეგულირებელი კომისიის (სემეკის) ფუნქციები და მოვალეობები. შედარებისათვის განხილულია ელექტროენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირების საზღვარგარეთული გამოცდილებაც. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია რიგ განვითარებულ ქვეყნებში დერეგულაციის საბაზრო პრინციპების გამოყენების აქტუალობასა და მნიშვნელობაზე. საქართველოსათან მიმართებაში ავტორების მიერ დასაბუთებულია ნაწილობრივ საბაზრო მოდელზე გადასვლის აუცილებლობა, რაც თავისთავად მოითხოვს ამ ბაზრის ელექტროენერგიით მაქსიმალურ გაჯერებას.

საკვანძო სიტყვები: ელექტროენერგიის სახელმწიფო რეგულირება. ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი. ბუნებრივი მონოპოლია. დერეგულირება. კონცენტრაციის კოეფიციენტი. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი. კონკურენტული ელექტრობაზარი.

ძირითადი ტექსტი

ენერგეტიკის, მ. შ. ელექტროენერგეტიკის სახელმწიფო რეგულირება ამ დარგის ჯეროვანი განვითარებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. ამასთან, მეორეს მხრივ, დარგის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ისმება კითხვა: სახელმწიფო რეგულირების პირობებში, როგორ უნდა იქნეს მიღწეული მისი ჭეშმარიტი საბაზრო დამოუკიდებელობა?

ქართველ მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ენერგეტიკულ სექტორში ახალი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების აუცილებლობიდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია, ანუ დერეგულირება.[1] ეს პროცესი ევროპის ზოგიერთ ქვეყნაში (მაგალითად, პოლონეთში) უკვე დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ საქართველო ამ ეტაპზე, ამისთვის სამწუხაროდ მზად არ აღმოჩნდა. რეალურად, ამჟამად ჩვენთან არსებობს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, რომლის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან „სემეკი"-ს მეშვეობით ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ ასეთი პრაქტიკა გამოიყენება ბევრ საზღვარგარეთის ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო სხვადასხვა დოზით ახორციელებს ელექტროენერგეტიკის დარგის სახელმწიფო რეგულირებას.

სასურველია ელექტროენერგიის წარმოების ზრდა წინ უსწრებდეს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას. საქართველოში ეს პროპორცია დარღვეულია. მთლიანი შიდა პროდუქტი 2000-2014 წლებში გაზრდილია 668,4%-ით, ელექტროენერგიის წარმოება კი - 198,7%-ით. შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო 1990-1997 წლებში. მაშინ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა შეადგინა - 32,3%, ხოლო ენერგეტიკული კომპლექსის პროდუქციის წარმოების ტემპმა - 43%.

[1] უკლება ე., საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარებისადმი სისტმური მიდგომა და მენეჯმენტი, ქუთაისი, დისერტაცია, 2015, გვ. 99

საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირებულია აგრეთვე ელექტროენერგიის წარმოების და მოხმარების სულადობრივი მაჩვენებლები. უკანასკნელ 10 წელიწადში ელექტროენერგიის სულადობრივი საშუალო წლიური წარმოება 1800-2000 კვტ/სთ-ია. ეს იმ დროს, როცა, აშშ-ში იგი შეადგენს 12489 კვტ/სთ-ს. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობაა მოხმარებაშიც .

ელექტეროენერგეტიკა,როგორც საყოველთაოდ არის მიღებული არის ბუნებრივი მონოპოლია. ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა ისეთია, რომ იგი არ იძლევა სრულყოფილი კონკურენციის საშუალებას. რეგულირების გარეშე ელექტროენერგეტიკა, როგორც ბუნებრივი მონოპოლია თავის ძალაუფლებას ბაზარზე გამოიყენებს იმისთვის, რომ დააწესოს მაღალი ტარიფი და მომხმარებლებისგან მიიღოს მეტი მოგება. როგორც ქართველ, ისე საზღვარგარეთელ მეცნიერთა უმრავლესობა იზიარებს იმ აზრს, რომ ელექტროენერგეტიკა სახელმწიფოსგან უნდა რეგულირდებოდეს. როგორც ცნობილია, საქართველოში მას არეგულირებს „სემეკ“-ი. სხვა ქვეყნებშიც შექმნილია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ დაიწყო ელექტროენერგეტიკის რეგულირების საპირისპირო- დერეგულირების პროცესი. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიაში, ფინეთში, შვედეთში, ავსტრალიაში და სხვ. რეგულირების შემცირების მიმართულებით მიმდინარეობს რეფორმები აშშ-ში, მექსიკაში, იაპონიაში და სხვ. ეს პროცესები გამოიწვია ტარიფის შემცირებაზე ზრუნვამ, და კიდევ იმ ფაქტორმა, რომ ამ ქვეყნებში ზოგიერთი სხვა ბუნებრივი მონოპოლიები (მაგალითად, ტელეკომუნიკაცია), რომელიც უკვე დერეგულირებულია, ეფექტურად ფუნქციონირებს,.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზარი დღეისათვის წარმოდგენილია კომერციული ოპერატორით („ესკო“თი), ენერგოგენერატორებით, ელექტროგადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ცენტრებით და სადისტრიბუციო კომპანიებით. საქართველოში მონოპოლიზებულია არა მხოლოდ ელექტროენერგიის წარმოება, არამედ, მისი დისტრიბუციაც. ამ სფეროში ოპერირებს მხოლოდ სამი კომპანია: სს „ენერგო პრო ჯორჯია“, სს „თელასი“ და „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“. სადისტრიბუციო კომპანიების მონოპოლიური მდგომარეობა განაპირობებს საკმაოდ მაღალ ტარიფს ელექტროენერგიაზე საქართველოში. ამ სამ სადისტრიბუციო კომპანიას აქვთ ფაქტობრივად მთლიანად ბაზარი გადანაწილებული.

საქართველოს ელექტრობაზარი, რომ მაღალკონცენტრირებულია მიუთითებს ჩვენს მიერ გაანგარიშებული კონცენტრაციის კოეფიციენტი (CR_0=77,7%), და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (*HHI*=2176,73). როცა მაგალითად $HHI > 1800$-ზე, მაშინ, ბაზარი მაღალკონცენტრირებულია და დეკონცენტრაციას საჭიროებს. რაც უნდა გახდეს მესიჯი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ბოლო წლებში აშშ-ი და ევროპის ქვეყნებშიც დაიწყეს ელექტროენერგეტიკის თავისუფალ ბაზარზე გადაყვანის პროცესი. ეს პროცესი ევროპაში განისაზღვრა ევროკავშირის დირექტივით. დერეგულაციის პროცესი სხვადასხვანაირად წარიმართა - სკანდინავიის ქვეყნებში , სადაც შექმნეს სახელმწიფოთაშორისი ენერგეტიკული ბაზარი (ამ გზით ნორვეგიამ 16%-ით შეამცირა ელექტროენერგიის ტარიფი), აშშ-მა შექმნა შიდასაქვეყნო ლოკალური ელექტრობაზრები და ა. შ.

ამერიკასა და ევროპაში ელექტროენერგეტიკის რეგულირება-დერეგულირების პროცესების განხილვამ და მისმა შედარებამ საქართველოს ელექტროენერგეტიკის რეგულირების პრაქტიკასთან გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველი შედეგებისაგან - კვლავაც დეფიციტურია ელექტროენერგია, კვლავაც მაღალია ელექტროენერგიის ტარიფები და სხვა. გავითვალისწინეთ რა ეს ვითარება, წარმოვაჩინეთ ჩვენი კონცეფტუალური მოსაზრებები საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ნაწილობრივ კონკურენტულ ბაზრად გარდაქმნის შესახებ. ე. ი. ჩვენ მხარს ვუჭერთ აშშ-ს და ევროპის ქვეყნების ინიციატივებს, რომ ელექტრობაზარი გახადონ კონკურენტული. კონკრეტულად, საქართველოს ელექტრობაზარი ორიენტირებული უნდა იქნეს სამხრეთ კავკასიის რეგიონზე, თურქეთზე და სამხარეთ-აღმოსავლეთ

ევროპაზე. საქართველოში ასეთი ბაზრის ასამუშავებლად საჭიროა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ბაზრის სრული გაჯერება ელექტროენერგიით;
- ელექტრობაზრის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია სამხრეთ კავკასიის, თურქეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასთან;
- სამი სადისტრიბუციო კომპანიის სს „ენერგო პრო ჯორჯიას“, სს „თელასის“ და „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ დაყოფა დამოუკიდებელ ნაწილებად, რომლებიც საბოლოოდ საცალო კომუნალურ მიმწოდებლებად ჩამოყალიბდებიან;
- ბაზრის მონაწილეთა სამართლებრივი დაყოფა;
- ენერგობირჟის შექმნა;
- „ესკო“-ს გარდაქმნა ერთეულად, რომელიც მხარს დაუჭერს, როგორც რეგულირებად, ისე, არარეგულირებად ვაჭრობებს;
- გადაცემის სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ენერგობალანსის უზრუნველყოფაზე;
- ბაზრის მომსახურე საანაგრიშსწორებო სახლის ჩამოყალიბება;
- ბაზრის მონაწილეების ელექტროენერგიის დამოუკიდებელ მწარმოებლებად ჩამოყალიბება, საცალო კომუნალური მიმწოდებლები, სატარიფო მომხმარებლები, ელექტროენერგიით მოვაჭრეები, უფლებამოსილი მომხმარებლები, ყიდულობენ და ყიდიან ელექტროენერგიას არარეგულარული ორმხრივი კონტრაქტების საფუძველზე და ამგვარად ინარჩუნებენ ელექტროენერგიის ბალანსს საბალანსო ბაზართან და ბალანსზე პასუხისმგებელ მხარესთან გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ხოლო საცალო კომუნალური მიმწოდებლები ელექტროენერგიას მხოლოდ რეგულირებად ფასში ყიდიან.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი წინადადებების რეალიზაცია მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ რეგულირებადი ელექტრობაზრის გვერდით ჩამოყალიბდეს დერეგულირებული ბაზარი, რომელზეც მონაწილეები თავისუფალი ტარიფით განახორციელებენ ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვას.

კონკურენტული ბაზრის შესაბამისი მოდელის შემუშავების ძირითად წინაპირობად მიღებული გვაქვს დაშვება, რომ ბაზარი სრულად იქნება გაჯერებული ელექტროენერგიით., რაც საქართველოში დღეისათვის ჯერ კიდევ მიღწეული არ არის. აქედან გამომდინარე ხსენებული მოდელის ამოქმედება, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა ამის შესაძლებლობას ელექტროენერგიის შესაბამისი სიმძლავრეების დაგროვება და ბაზარზე მისი სიმჭარბე, როგორც კონკურენტული ბაზრის ფორმირების აუცილებელი პირობა მოგვცემს .

რეალურ სინამდვილეში მოდელის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს რეგულირებადი ელექტრობაზრის გვერდით ფუნქციონირება დაიწყოს კონკურენტულმა ბაზარმაც, სადაც თავდაპირველად , მიზანშეწონილი იქნება დაშვებულ იქნენ მცირე ჰესები, რომლებიც გაყიდიან ექტროენერგია საბირჟო ფასით, რითაც შეიძლება დაიწყოს სადისტრიბუციო კომპანიების დაშლის პროცესიც, რომელთაც დღეისათვის უპირობო მონოპოლია გააჩნიათ ბაზარზე. რაც შეეხება ელექტროენერგიის მსხვილ მწარმოებლებს („ენგურჰესი“, „ვარდნილჰესი“, „ხრამი“ და სხვა), ჯერ-ჯერობით მიზანშეწონილია მათ გააგრძელონ მუშაობა „სემეკ“-ის მიერ დამტკიცებული ტარიფებით და რეგულაციებით, ხოლო შემდეგ, თანდათანობით ისინიც შეიძლება ჩაერთოს ელექტროენერგიის ერთიან კონკურენტულ ბაზარში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ენერგოეკოლოგიური ბაზრის ფორმირების და მაკროეკონომიკური რეგულირების ფორმირება (საქართველოს მაგალითზე), ავტორეფერატი, 1999.
2. უკლება ე., საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარებისადმი სისტემური მიდგომა და მენეჯმენტი, თბ., 2015 (დისერტაცია).
3. თავაძე გ., ჩომახიძე დ. და სხვები. ენერგეტიკის რეგულირება: თეორია და პარქტიკა, თბ., 2006.
4. Зарубежный опыт реформирования электроэнергетики,ж.: "Вестник Федеральной энергетической комиссии, 2001, №7.
5. Междунарожный опыт реформирования электроэнергетики. www.rao-ess.ru/reforming/foreign/mo/uso.pdf.
6. Томсон У., Реструктуризация электроэнергетики, «Вопросы экономики», №11, 2005.
7. Кустов Г., Реформирование электроэенергетики: европейский опыт, ж.: «Вестник Федеральной энергетической комисии, №5, 2002.
8. **Green R.,** The electrieity contract market in England and Wales, Journal of Industrial Economics, 1999.

Проблемы формырования конкурентного электрорынка Грузии

Нодар Цанава

Джустан Бокучава

Резюме

статья посвяшается актуальным вопросам совершенствования путей государственного регулирования электроэнергетической отрасли Грузии. Вопросы регулирования электроэнергетики актуально по той прычине, что оно является природной монополией и подчинить ее функционирование полностью рыночним силам влечет за собой реальную опасность того, что монопольное предприятие будет стремиться в получений максимальной прибыли в ущерб интересам населения.

Предлагается концептуальная модель для преобразования этого рынка в частично конкурентный рынок, необходимым условием которого является абсолютное насыщение электрорынка электроэнергией. С этой целью в работе предлагаются множество мероприятий, в частности: правовое деление участников рынка, формырование для обслуживающего рынка расчетного дома, создание службы независимого оператора, балансовое кодырование и др.

Практическое содержание предлагаемой модели заключается в том, что наряду с регулирующим электрорынком, предусматрывается функционирование конкурентного рынка, в котором первоначально будут представлены малые гидроэлэктростанций, которые начнуть продавать элэктроэнергию по биржевым ценам и с этим практически начнется процесс распада дистрибуционных компаний. В последствый к единному конкурентному рынку присоединятся и крупные энергопройзводители.

Ключевые слова: *Государственное регулирование електроенергии. Природная монополия. Дерегулирование. Коеффициент концентраций. Индекс Херфиндап-Хирщмана. Конкурентный електрорынок.*

საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პრობლემები გლობალურ გარემოში

ჭანია მაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ნაკლებობა პირდაპირ განსაზღვრავს ეკონომიკური ზრის და განვითარების დაბალ დონეს საქართველოში. ფიქსირდებოდა არასაკმარისი სტრუქტურული და ინსტიტუციონალური განვითარება, მნიშვნელოვანი სხვაობა ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს შორის, რაც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებას, ინტეგრაცას მაღალანვითარებულ ქვეყნებთან. უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, ინვესტირებას ადამიანურ კაპიტალში, განათლების დონის ზრდაში, მეცნიერების განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: *ინტეგრაცია, გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა, ინვესტიცია*

ძირითადი ტექსტი

ინტეგრაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა, რომელიც აჩქარებს ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას, ერთიანი საინფორმაციო სივრცის, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ინტერნაციონალიზაციას.

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად ინტეგრაცის, საყოველთაო გლობალიზაციის პროცესებით განისაზღვრება. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. პროცესები სულ უფრო მეტად მოიცავს მთელს მსოფლიოს, მასში სულ უფრო მეტი ახალი სახელმწიფო ერთვება და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელებით კიდევ უფრო აქტიური მონაწილე ხდება თანამედროვე გლობალიზაციური პროცესებისა. [1] ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

მსოფლიო საზოგადოება და მათ შორის ქართველი ერი იმყოფება პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომელიც ხასიათდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეკონომიკის გლობალური ინტეგრაციით. თანამედროვე პირობებში ძნელია ვიპოვოთ ისეთი ეროვნული მეურნეობა, რომელიც არაა ჩართული მსოფლიო მეურნეობის სისტემაში. გლობალიზაცია-ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეუქცევადი ტენდენციაა, რომელიც ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ზრდის მარალი ხარისხით. ეს ურთიერთობები არის გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საფუძველი.

ინტეგრაციის პროცესში კავკასია აღმოჩნდა მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე. ერთის მხრივ "ნატოს წევრი ქვეყნები და ევროკავშირი, მეორეს მხრივ რუსეთი, ირანი და ჩინეთი.

ამ ფონზე საკმაოდ რთულია, მაგრამ აუცილებელია გლობალიზაციის მეტწილად დადებითი მხარეების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი საწინდარია. გაზრდილი საგარეო ვაჭრობა; ინფორმაციის მოძრაობის მაღალი ტემპი; ახალი იდეების ტექნოლოგიების, "ნოუ-ჰაუს" თავისუფალი გადაადგილება; საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკასთან ინტეგრირების შესაძლებლობა; ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინება და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება, საქართველოს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. საქართველო ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა ეროვნულ თვითმყოფადობას, თავისებურებებს,

კულტურას, ტრადიციებს, გამორჩეულობას, ეკონომიკურ სიძლიერეს ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს ვერ შეინარჩუნებს თუ იგი გლობალიზაციის მიერ შექმნილი საკაცობრიო სიმდიდრის მხოლოდ პასიურ მომხმარებლად იქცა. საქართველო უნდა გახდეს შემქმნელი მსოფლიო მნიშვნელობის პროდუქტის, ინოვაციების, გამოგონებების, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იქნება მსოფლიო ბაზარზე. [1]

საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკური ზრდის ტემპების გასაზრდელად, მაგრამ ეს ბუნებრივია არაა საკმარისი იმისათვის, რომ საქართველომ თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას მსოფლიო ბაზარზე, დასძლიოს სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემები. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა წინააღმდეგობრივია, დაუბალანსებელია. მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მაკროეკონომიკული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის დაბალანსებას. ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლისა და გაანალიზებისას აქცენტირებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭებას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური ზრდის ხარისხი, რომელიც მიიღწევა სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური,, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარებით, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ადამიანური კაპიტალის განვითარებით. მშპ-ის მაღალი ტემპით ზრდა ტრადიციული მიდგომებით, უპირატესად ფიზიკური კაპიტალის გამოყენებითაც შეიძლება. ასეთი მაღალი ტემპების მიღწევას მრავალი ქვეყანა ახერხებდა, მაგრამ თანამედროვე პირობებში ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პრობლემები ვერ გადაწყდება, რადგანაც სასურველი სტრუქტურული გარდაქმნები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ექსპორტის სერიოზული გადიდება მაინც მიუღწეველი რჩება. ეკონომიკურ ზრდას საქართველოში აფერხებს არა თავისთავად მხოლოდ ინვესტიციების უკმარისობა, არამედ დანაზოგების, მოსახლეობისა და საწარმოების შემოსავლების სიმცირეც, რაც ძირითადად სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მომზადების, გამოშვებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობის შედეგია. ამიტომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მთავარი ფაქტორია კონკურენტუნარიანი სამუშაო ადგილების შექმნა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებით, ანუ განათლების სისტემის პრიორიტეტული განვითარებითა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლებით. ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პრობლემების გადაწყვეტის მთავარი და ყველაზე ეფექტიანი გზა არის მუშათა კვალიფიკაციის, განათლების, ცოდნის ამაღლება, ანუ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინოვაციური სფეროს განვითარება. ინტელექტუალური და ინოვაციური განვითარება ფიზიკური კაპიტალის ხარისხის ამაღლებასაც იწვევს და ეკონომიკური ზრდაც კიდევ უფრო სტიმულირდება. პრიორიტეტი თავიდანვე უნდა მიენიჭოს ინვესტიციებს განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანმრთელობაში, სოციალურ ინფრასტრუქტურაში. [2]

აუცილებლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტული განვითარების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, მრეწველობის მეცნიერებატევად დარგებში, მომსახურების სფეროში. მცირე ბიზნესის განვითარების უპირატესობა ის არის, რომ იგი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აქ ინვესტიციები, სამუშაო ადგილების ღირებულება შედარებით მსხვილ საწარმოებთან საგრძნობლად მცირეა, ხოლო უკუგება, შემოსავლიანობა და ეფექტიანობა - მაღალი, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას იწვევს. ამასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს სტრუქტურული ძვრების განხორციელებას რეალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით ინფორმაციული და პოლიტიკური სექტორების განვითარების დაჩქარებას. ეს აუცილებელია არა მარტო ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის, არამედ აგრეთვე განათლების, ინოვაციური სფეროს, ტელე-კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის.

მაღალშემოსავლიანი დარგების განვითარების უზრუნველყოფისათვის.

დღეს ყველაზე უფრო მთავარ საკითხად სწორედ ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარება გვესახება, კერძოდ საგადასახადო სისტემის სრულყოფა, გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციის აღდგენა, მათი შემცირებისა და გამარტივების გზით, ხელფასების მატება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მინიმალურ ზომამდე დაყვანა. ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის, კონტრაბანდის დაძლევის გარეშე ქვეყანა ვერასოდეს ვერ გადაწყვეტს სიღარიბის პრობლემას, შესაბამისად დანაზოგების, ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის სერიოზულად დაჩქარების პრობლემას. [3]

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდება პროფიციტული ბიუჯეტით, მარტივი და დაბალი გადასახადებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, საკუთრების უფლების დაცვით, ლიბერალური სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკით, ექსპორტის ზრდით, სოფლის მეურნეობის სექტორის კომერციალიზაციით, დასაქმებისა და დაგროვების სტიმულირებით, "მომავალი თაობების ფონდისა" და "სტაბილური განვითარების ფონდის შექმნით".

მეტად მნიშვნელოვანია ასევე საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევა, რომლისთვისაც აუცილებელია მისი კომპენსაციური პოტენციალის ამაღლება, პირველ რიგში ექსპორტის პრიორიტეტული გაფართოებით, საგარეო ვალის შემცირებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვით. [2]

ექსპორტის სწრაფი ზრდა ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უნმიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. ამის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც საერთაშორისო ბაზრებზე მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით ზრდის მიღწევის საშუალებას იძლევა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია მსოფლიოს ბაზრებზე მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება, ასევე საჭიროა ექსპორტის დივერსიფიკაცია. მაგრამ საქართველოს საკუთარი ინვესტიციური შესაძლებლობანი ძალიან მოკრძალებულია, ამიტომ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასშტაბური წარმოება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება მხოლოდ საკუთარი ინვესტიციებით ვერ მოხერხდება. ამისათვის, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საჭიროა აგრეთვე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფართოდ შემოსვლა, რომელსაც თან ახლავს ყოველთვის უახლესი ტექნოლოგიები და მენეჯმენტი. ასეთი შემოსავლების მთავარი პირობაა ქვეყანაში ინსტიტუციური წესრიგის არსებობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის დაძლევა, ინვესტიციური გარემოს ჩამოყალიბება. სხვა შემთხვევაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში მასშტაბით არ შემოვა, შესაბამისად ზრდის დაჩქარებისა და საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორების პირობები არ გადაწყდება.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვაჩნია ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭება, სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ადამიანური კაპიტალის განვითარება. წინა პლანზე უნდა გამოვიდეს ზრდის ხარისხის უზრუნველმყოფი სოციალური, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური პოლიტიკა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროების განვითარება, ადამიანის განვითარების პოტენციალის ინდექსისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლება, რაც საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ჩამორჩენილობის დაძლევისათვის დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. [3]

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების რეალიზაციას შეუძლია მოიტანოს სისტემური მაკროეკონომიკური ეფექტი ზრდის ტემპისა და ხარისხის ამაღლების სახით. მრავალი

ქვეყნის უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განათლების, სავაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების განვითარებით შესაძლებელია ქვეყნის მშპ-ის საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდა, ხოლო ინტიტუციური განვითარებით მოსახერხებელია ზრდის კიდევ უფრო მეტად დაჩქარება. ბოლო ათწლეულში მრავალი ქვეყანა ვითარდება ძალიან მაღალი ტემპებით. საქართველოსაც შეუძლია მიაღწიოს განვითარების ევროპულ სტანდარტებს, თუ იგი განახორციელებს სისტემურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. "ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია". თბილისი. უნივერსალი. 2005. 155გვ.
2. ჭანია მ. „ეკონომიკური ზრდისა და საგადასახდელო ბალანსის პრობლემები პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში" თბილისი. უნივერსალი. 2004. 200გვ.
3. ჭანია მ. "ეკონომიკური გარდაქმნები, სახელმწიფო პოლიტიკა და ეკონომიკური ზრდა" კულტურათაშორისი კომუნიკაციები, საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდული გამოცემა. თბილისი. 2011.

Problems Of Georgian Economic Integration In To The Global Environment

Maia Chania

Summary

On the background of world-active integration and globalization, European and Euro-Atlantic integration process is important for Georgia, which is going through a critical phase.

The lack of social end intellectual development directly determines a low of economic growth and its quality in Georgia. Georgia is characterized with world competitiveness, competitiveness of growth, and current competitiveness, product efficiency, including low level of territorial intensification of industry. Insufficient institutional and structural development, high level of shadow economy and corruption, significant disproportion between the factors of economic growth are obviously watched in the country.

In our opinion, it is necessary to assign highest priority of macroeconomic policy to the investments into the human capital, development of education, science, public health, increase of an index of technological achievements.

Joining The World Trading Organization is giving Georgia a possibility of faster growth of export, which is one of the most important factors of economic development. This is giving us a possibility of growth with maximum preferential conditions. But it is important to provide The World Trading Organization with high quality and competitive products, expansion of export. Export's diversification is also very important for Georgia. But investment that Georgia can provide is low, that is why it is not possible to complement an effective monetary policy to make a scaling production, expand export with only Georgian investments. For that, as I mentioned above, is needed a lot of foreign investments, which is always followed by newest technology and management.

Key words: *Integration, Globalization, Competitiveness, Investment*

ეკონომიკურ თავისუფლებასთან თავსებადი სოციალური სახელმწიფო

ჭიკაიძე ნაზი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სოციალური სახელმწიფოს პრინციპი ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მნიშვნელობის გააზრების საფუძველზე და მათი უზრუნველყოფის მიზნით ჩამოყალიბდა. სოციალური სახელმწიფოს არსებობა წარმოუდგენელია სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვისა და განვითარების გარეშე. მისი დანიშნულება სწორედ ამ ფუნქციის შესრულებით გამოიხატება.

საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ნიადაგს ნოვაციებისთვის. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებში გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი, რეგენერაციის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

სოციალური სახელმწიფოს ცნება არ გულისხმობს კეთილდღეობის ტოტალური სახელმწიფოს შექმნას და არ ითვალისწინებს იმგვარი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებას, რომელიც მთლიანად იმართება სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო მიისწრაფვის მხოლოდ იმისკენ, რომ თითქმის თანაბრად შეუწყოს ხელი მთელი მოსახლეობის კეთილდღეობას და სიძნელეები დაახლოებით თანაბრად გადაანაწილოს.

საკვანძო სიტყვები: *სოციალური სახელმწიფო; ეკონომიკური თავისუფლება; სოციალური რისკი; მოდელები; საბაზრო ეკონომიკა*

ძირითადი ტექსტი

საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტში ერთმანეთის მიყოლებით ჩაიწერა ორი მუხლი: „სოციალური სახელმწიფო“ და „ეკონომიკური თავისუფლება“. ერთის - მე-5 მუხლის - თანახმად, „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“, საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მე-6 მუხლში კი წერია: „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“. როგორ არის შესაძლებელი ამ ორი პოზიციის თანაარსებობა საქართველოს რეალობაში?

სოციალური სახელმწიფოს არსის გამომხატველ სინონიმად ინგლისურენოვან ქვეყნებში ხშირად გამოიყენება ტერმინი «კეთილდღეობის სახელმწიფო» – Welfare State (გერმ. Wohlfahrtsstaat), ხოლო მოქმედ გერმანულ საჯარო სამართალში უმეტესად მიმართავენ ტერმინს «სოციალური სახელმწიფო»(Sozialstaat). შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი «სოციალური სახელმწიფო» უფრო ზუსტად და სრულად ასახავს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ მრავალმხრივ საქმიანობას და შედარებით ფართო კვლევის ობიექტს, ფენომენს წარმოადგენს. სოციალური სახელმწიფო ემსახურება საზოგადოებას და ცდილობს გამორიცხოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს გაუმართლებელი სოციალური განსხვავებები.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის ძირითადი კანონი ‘საკმაოდ საინტერესო

მოდელია კონსტიტუციისა, რომელშიც გონივრულადაა შეჯერებული მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის გამოცდილება და საერთო-ეროვნული ქართული საწყისები. ჯერ კიდევ მაშინ საქართველოში კონსტიტუციის დონეზე განმტკიცდა, რომ ადამიანი არის ძირითადი სოციალური ღირებულება[1] .

=სოციალურ სახელმწიფოს მისი მომხრეები მიიჩნევენ თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ლოგიკით განპირობებულ მოვლენად. ესაა ახალი ტიპის საზოგადოების შეგნებული მიზანმიმართული პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალური კონსტრუირების შედეგი; საზოგადოებისა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და სულიერი სიკეთეების უფრო თანაბარ განაწილებას, ათანაბრებს სოციალური სტანდარტების მეშვეობით მოქალაქეთა სასტარტო შესაძლებლობებს, ქმნის მათთვის არსებობის ხელსაყრელ სოციალურ-კულტურულ გარემოს.

სოციალური სახელმწიფოს იდეის პრაქტიკული რეალიზება დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე:

- სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე ;
- სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა ;
- მოქალაქეთა სამართლებრივი და სოციალური კულტურის მაღალი დონე;
- "სოციალური პარტნიორობის" დონის მიღწევა სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობაში, მმართველი ელიტის იდეოლოგიურ ორიენტაციებში და საზოგადოების სოციალურ მოლოდინებში, რათა შეიქმნას "მზრუნველი არსებობის სახელმწიფო".

სოციალური სახელმწიფო გამოდის ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების დონის შექმნის გარანტად, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიცაა შემოსავლების დონე, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვა, ხელმისაწვდომი განათლება და კულტურა.

სოციალური სახელმწიფოს ცნება არ გულისხმობს კეთილდღეობის ტოტალური სახელმწიფოს შექმნას და არ ითვალისწინებს იმგვარი ეკონომიკური სისტემის დამკვიდრებას, რომელიც მთლიანად იმართება (ან რომლის ორგანიზება ხორციელდება) სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო მიისწრაფვის მხოლოდ იმისკენ, რომ თითქმის თანაბრად შეუწყოს ხელი მთელი მოსახლეობის კეთილდღეობას და სიძნელეები (ტვირთი) დაახლოებით თანაბრად გადაანაწილოს. ამასთან, პირადი თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებასა და სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნას შორის არსებობს «გადაულახავი, დაუძლეველი და პრინციპული დაძაბულობა», ანუ წინააღმდეგობა. კანონმდებელმა უნდა დააბალანსოს ეს ორი პრინციპი. ამგვარად, პირადი თავისუფლება გარანტირებული უნდა იყოს კანონით იმდენად, რამდენადაც ეს არ არღვევს მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარს შეიძლება ეწოდოს „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს» პერიოდი. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეის წარმოშობას ხელი შეუწყო განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრების დონის მკვეთრმა ზრდამ. ამ პერიოდში შექმნილმა სოციალური რისკებისაგან დაცვის სისტემამ პრაქტიკულად სრულად უზრუნველყო საზოგადოების ნათელი მომავალი და ერთსულოვნება, ერთიანობა. ადრინდელისგან განსხვავებით, სახელმწიფომ იკისრა საზოგადოების ყველა წევრისთვის მაღალი ცხოვრების დონის უზრუნველყოფის ფუნქცია. საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოსთვის განმსაზღვრელი გახდა სოლიდარობის პრინციპი. თავის მხრივ, სოლიდარობამ, როგორც საზოგადოების მიზანმა გადანაწილება აქცია სახელმწიფოს მთავარ ფუნქციად.

[1] ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე. კონსტიტუციური სამართალი. თბ., საგამომცემლო სახლი «ინოვაცია». 2008;52–54

მომდევნო პერიოდში საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კრიზისი განპირობებული იყო პრობლემებით ეკონომიკურ და დემოგრაფიულ, დაზღვევის მექანიზმის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდის უზრუნველყოფის სფეროში. ამ პერიოდში შეიცვალა სახელმწიფოს როლი და სოციალური ფუნქციები. ეს დაკავშირებული იყო ახალი სოციალური რისკების წარმოშობასთან. შეიქმნა სოციალური დაცვის ახალი იდეოლოგია, გადაისინჯა სოციალური უფლებების ტრადიციული კონცეფცია. სოციალური დაზღვევის სოლიდარულმა პრინციპმა დაკარგა თავისი უნივერსალობა და ეფექტურობა მთელი რიგი რისკების მიმართ.

მართალია, საყოველთაო ეკონომიკური კეთილდღეობა, დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სიდიდეზე. თუმცა, მხოლოდ მდიდარი ბიუჯეტის სახელმწიფოები ვერ ჩაითვლებიან სოციალურ სახელმწიფობად, თუ ეს სიმდიდრე სამართლიანად არ არის საზოგადოებაში გადანაწილებული და სახელმწიფოში პირის ღირსეული ყოფა არ არის გარანტირებული. ითვლება, რომ სახელმწიფოს მცდელობაც კი, დაალაგოს თავისი ბიუჯეტი, სოციალური პრიორიტეტების მიხედვით და სამართლიანად გადაანაწილოს ის რასაც ფლობს, უკვე აქცევს მას სოციალურ სახელმწიფოდ. მთავარია, მოქმედების სოციალურად გათვლილი პრიორიტეტულობა და მათი მიზანმიმართულობა – შექმნას ადამიანისათვის ღირსეული ცხოვრების პირობები. სოციალური სახელმწიფოსთვის ძირითადად დამახასიათებელია სამართლიანი გადანაწილების პრინციპი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებას, რომ სოციალური სახელმწიფოს მიზნები მართალია, არ არის სრული მასშტაბით განხორციელებადი. მაგრამ, ისინი უნდა იყოს სახელმწიფოს მუდმივი ამოცანა და ზრუნვის საგანი. ამ მი მართულებით ძალისხმევაა სოციალური სახელმწიფოს მოვალეობა

თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა გამოყოფს სამ მოდელს, ანუ სოციალური სახელმწიფოს სამ ტიპს:

1) ლიბერალური ანუ ანგლოსაქსური მოდელი (ითვლება, რომ ამ ტიპის სოციალურ სახელმწიფოსთან უფრო მიახლოებულია დიდი ბრიტანეთი). აქ სახელმწიფო თავის ფუნქციებს შემოსაზღვრავს მხოლოდ ყველაზე უმწეოთა დახმარებით და მისი მიზანია სიღარიბის აღმოფხვრა;

2) სკანდინავიური ანუ სოციალ-დემოკრატიული მოდელი (მაგ. შვედეთი). ასეთ სახელმწიფოებში ყველა მოქალაქე გარანტირებულია საბაზო უზრუნველყოფით. ამ ტიპის სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია უნივერსალიზმი და გადასახადების გადანაწილება პროგრესული საგადასახადო დაბეგვრის მეშვეობით. ამგვარი სახელმწიფოს ძირითადი იდეაა ყოველი მოქალაქისთვის ღირსეული ადამიანური არსებობის უფლების უზრუნველყოფა იმ პირობით, რომ ისინი ჩართული იქნებიან დასაქმების ერთიან სისტემაში;

3) კონტინენტურ-ევროპული სოციალური სახელმწიფო (მაგ. გერმანია). იგი უზრუნველყოფს თითოეული მოქალაქის (გამონაკლისის გარეშე) ცხოვრების ღირსეულ დონეს განვითარებული სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნით, რომლის ორგანიზება ხდება დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წილობრივი შენატანების საფუძველზე. სახელმწიფო აქტიურად ერევა შრომის ბაზრის რეგულირების პროცესში. იგი ამ საქმიანობას სოციალურ პარტნიორებთან ერთად ახორციელებს, რითაც მუდმივად ამცირებს უმუშევრობას.

მიუხედავად მოდელებს შორის არსებული გარკვეული განსხვავებებისა, სოციალურ სახელმწიფოთა არსი მაინც ერთია.

სახელმწიფოს ღერძი არის თავისუფალი ადამიანი, ეკონომიკური სისტემისა კი – ეკონომიკური თავისუფლება.

საბაზრო ეკონომიკა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკურ თავისუფლებას ემყარება, რაც არჩევანის თავისუფლებაში გამოვლინდება. არჩევანი კონკურენციის უმთავრესი წინაპირობაა, ხოლო კონკურენცია – ეკონომიკური განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ძალა. ეკონომიკური თავისუფლება ქმნის ნიადაგს ნოვაციებისთვის. ყოველივე ზემოხსენებულის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ სახელმწიფომ გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს ქვეყნებს შიგნით თუ საერთაშორისო დონეზე.

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო სისტემის ჩამოყალიბებაში გარდამავალი ტიპის ეკონომიკის ქვეყნებისთვის. ფაქტობრივად ის წარმოადგენს მთავარ ფაქტორს ახალი თვითგანვითარებადი, ძლიერი, რეგენერაციის უნარის მქონე ეკონომიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. ეკონომიკურ თავისუფლებაში რეალურად იგულისხმება, თუ რამდენად ერევა მთავრობა ბიზნესის საქმიანობაში, ქვეყნის ეკონომიკის რა წილი მოდის სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებაზე და რამდენად კარგი სამართლებრივი გარემოა კერძო საკუთრების დაცვისთვის. ცალკეული რადიკალური შემთხვევების გამოკლებით, დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ძალები ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნისთვის კარგია. აღნიშნული ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს თავისუფლების შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმში მაღალი მაჩვენებლით აღწევენ. მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების დონით დანია მსოფლიოში მე-12 ადგილზეა. ამ დროს დანიაში საკმაოდ მაღალი გადასახადებია. საგადასახადო ტვირთი ეკონომიკის მიმართ 50%-ია. ეს ნიშნავს, რომ დანიელები თავიანთი შემოსავლის 50%-ს გადასახადებში იხდიან. თუმცა ეკონომიკური თავისუფლების ისეთ კრიტერიუმებში, როგორიცაა კერძო საკუთრების დაცვა (პირველ ადგილზე მსოფლიოში), კორუფციის დაბალი დონე (პირველ ადგილზე მსოფლიოში), ინვესტირების თავისუფლება (მე-2 ადგილზე მსოფლიოში) და ბიზნესის რეგულაციებისგან თავისუფლება (მე-2 ადგილზე მსოფლიოში), დანია მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზეა. ეკონომიკური თავისუფლების ყველაზე მაღალი დონე ჰონკონგსა და სინგაპურშია, ყველაზე დაბალი კი – ჩრდილოეთ კორეაში (178-ე ადგილი), კუბასა (177-ე ადგილი) და ვენესუელაში (176-ე ადგილი).

ეკონომიკური თავისუფლება, თავისი არსით ყოველთვის რეგულირებადია და გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული როგორც მიკრო ისე მეზო მაკრო და მეგა დონეებზე.

- მიკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკური თავისუფლების მაქსიმუმს ვერ მოგვცემს. ამიტომ ამ დონემ სახელმწიფო რეგულაციების გარეშე უნდა იმუშაოს. დასაშვებია თვითმართველობის ჩართვა აღნიშნული სფეროს ეკონომიკურ აქტიურობაში, რამაც უნდა გააფართოოს არჩევანის არეალი და შესაბამისად, ჰორიზონტალურ დონეზე გაზარდოს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი.

- რეგიონულ დონეზე ანუ მეზო დონეზე, საჭირო ეკონომიკაში ჩარევა, როგორც თვითმართველობის, ისე ეკონომიკური სტრატეგიიდან გამომდინარე. სახელმწიფოს (სახელისუფლებო) მხრიდან თანაჩართულობა, ეს არის დონე, სადაც ვერტიკალში შემოდის სახელმწიფო რეგულატორი და ამ ვერტიკალის ჰორიზონტალურ დონეზეც ერთვება საერთო ეკონომიკური ვითარების შესაბამისად.

- მაკრო დონეზე სახელმწიფოს ჩარევა არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიც. ვინაიდან თუ მაკრო სფერო გამოვიდა წანასწორული მდგომარეობიდან, ადგილი ექნება ეკონომიკურ დესტაბილიზაციასა და სტაგნაციას, რაც გაცილებით მეტად შეზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას მთელ ეკონომიკურ ვერტიკალზე, ვიდრე მაკრო რეგულაციის შედეგად გამოწვეული აუცილებელი შეზღუდვები.

- ეკონომიკის ყველაზე მსხვილი დონეა მეგა დონე, იგი პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან, მასთან უშუალოდ უნდა მოქმედებდეს მძლავრი ეკონომიკური რეგულატორები, რიგ შემთხვევებში ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზეც. აღნიშნული იმით არის გამოწვეული, რომ საჭიროა ისეთ გლობალურ პრობლემებთან ბრძოლა, როგორებიცაა: ეკოლოგიური პრობლემები, ტერორიზმი, მსხვილი მონოპოლიური წარმონაქმნებით გამოწვეული საშიშროება და ა.შ.

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, რესურსების გაზრდისა და გადანაწილების საუკეთესო მოდელია, რომელიც მუდმივი პროგრესისკენ არის მიმართული, რადგან არცერთ მთავრობასა არ შეუძლია იმაზე უკეთესად დაგეგმოს ან დაარეგულიროს ბაზარი, როგორც ეს თავისუფალ კონკურენციას, თავისუფალი ფასთა წარმოქმნასა და თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ. წესრიგი სპონტანურად მყარდება და მისი დაგეგმვა შეუძლებელია.

სწორედ ეკონომიკურ თავისუფლების ზრდამ განაპირობა, რომ ჯერ კიდევ 50-60 წლის წინ სიღატაკეში მცხოვრები ჰონგ-კონგი და სინგაპური, სადღეისოდ სხვებს ცხოვრების მაღალი სტანდარტების მაგალითს აძლევენ. ისინი აღნიშნულ კვლევასაც სათავეში უდგანან და ამერიკის დაზვერვის სააგენტოს მონაცემებით, შესაბამისად, ერთ სულ მოსახლეზე 55.200 და 81.100 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი შემოსავლით (2014 წლის მდგომარეობით) მსოფლიოს მოწინავე 15 ქვეყნის რიგში შედიან[1]. ჰონგ-კონგისა და სინგაპურის მაგალითი სწორედ იმიტომაა გამორჩეული, რომ მათი წინსვლა ბუნებრივი ნედლეულის ექსპლუატაციას კი არ დაეფუძნა, არამედ ადამიანური შესაძლებლობების განვითარებას, ღია ეკონომიკას, ჯანსაღ მოტივაციურ სისტემას, რომელიც შრომას და გარჯას აჯილდოვებს, გამორიცხავს კორუფციას და ნებელობით მართლმსაჯულებას.

სახელმწიფოში და განსაკუთრებით გარდამავალი ტიპის ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური თავისუფლების ზომები საჭიროა, ვინაიდან არსს მოკლებულია ზოგადად თავისუფლება წართმეულ ადამიანებს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ თავისუფლებაზე მაქსიმალური დაყრდნობით მოთხოვო ეკონომიკური აღმავლობა და ეკონომიკური განვითარება. ამიტომაც იკვეთება ეკონომიკის ზომიერი რეგულირების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან. ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია თავისუფალი არჩევანის ხარისხზე. აქ იგულისხმება არა ყოველგვარი არჩევანი, არამედ ეკონომიკური აქტიურობათა ოპტიმალური არჩევანი.

სახელმწიფო სოციალური ნიშნით ყალიბდება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისთვის და, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ღირსეული არსებობის უფლების რეალიზების მიზნით. სოციალური სახელმწიფოს შენების პროცესში მნიშვნელოვანია, თუ როგორია ქვეყნის ეროვნული და ეკონომიკური თავისებურებები. სწორედ აქედან გამომდინარე გაირკვევა – როგორი იქნება სოციალური სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია-საქართველოს პარლამენტი www.parliament.ge/ge/.../constitution-of-georgia-68
2. ა.ფირცხალაიშვილი,სოციალური სახელმწიფოს ფორმულა: მაქსიმუმი, სულ ცოტა, მინიმუმისათვის; European.ge; 07.02.2017

[1] https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(PPP)_per_capita

3. ი. ფუტკარაძე. სოციალურ-ეკონომიკური უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი და კონსტიტუციური რეგულირება,თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ. 2009;
4. Конституции государств Европы. М ., Т.2. 2001;
5. http://www.economist.com/blogs/freeexchange/2014/05/inequality-0
6. http://www.forbes.com/sites/scottwinship/2014/05/27/laffaire-piketty/

Social State Compatible with Economic Freedom

Nazi Chikaidze

Summary

The principle of social state was developed on the basis of comprehension of significance of humans' socio-economic rights, as well as for the purpose to guarantee protection of these rights. Existence of social state is unthinkable without protection and development of socio-economic rights. The purpose of social state is to perform this function.

Market economy is primarily based on an economic freedom reflected in a freedom of choice. Economic freedom creates basis for innovations. Level of economic freedom is especially important for development of market system of countries with transitional economies. Actually it is a basic pre-condition for development of self-growing and strong economic system with ability of regeneration.

The concept of social state doesn't imply total welfare and establishment of economic system that is totally governed by state. The purpose of state is to equally promote welfare of population and approximately evenly distribute hardships.

Keywords: *social state; economic freedom; social risk; models; market economy*

სექცია IV
საჯარო და ელექტრონული მმართველობის თანამედროვე გამოწვევები

ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილების განაწილება

აბრალავა ანზორ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

კერესელიძე ლევან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში საზოგადოებრივ სექტორზე მოქმედ სამ ძირითად სახელმწიფო ფუნქციას გამოყოფენ: სტაბილიზაციური, გამანაწილებელი, ალოკაციური (საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება). მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია უნდა იყოს ცენტრალიზებული, ვინაიდან რეგიონული ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისთვის ღიაა და ურთიერთდამოკიდებული, რაც დეცენტრალიზებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის დროს აუცილებლად გამოიწვევს გარე ფაქტორების წარმოქმნას. რეგიონების მიერ შემოსავლების გათანაბრების დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისას, ფუნქციების გადანაწილება, მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილისათვის ერთი რეგიონიდან მეორეში მიგრაციის სტიმულს აძლიერებს. გადანაწილების პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები ცენტრალიზებულად უნდა განისაზღვროს, ამავე დროს, გადანაწილების ფუნქციის ნაწილი რეგიონულ ხელისუფლებას შეიძლება გადაეცეს.

წარმოების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის უპირატესობაზე თეორიული წარმოდგენები მოცემულია ცხრილების სახით. შემოთავაზებულია მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავებისას უფლებამოსილებების განაწილების ანალიზი.

ცხრილის სახით წარმოდგენილია მონაცემები განვითარებული ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობების შემოსავლების წყაროების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ცენტრალიზებული, რეგიონული, ეკონომიკური სისტემები, დეცენტრალიზებული, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ბიუჯეტი.*

ძირითადი ტექსტი

კლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში საზოგადოებრივ სექტორზე მოქმედ სამ ძირითად სახელმწიფო ფუნქციას გამოყოფენ: სტაბილიზაციური, გამანაწილებელი, ალოკაციური(საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება)[1]. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია უნდა იყოს ცენტრალიზებული, ვინაიდან რეგიონული ეკონომიკური სისტემები ერთმანეთისთვის ღიაა და ურთიერთდამოკიდებული, რაც დეცენტრალიზებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის დროს აუცილებლად გამოიწვევს გარე ფაქტორების წარმოქმნას. რეგიონების მიერ შემოსავლების გათანაბრების დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებისას, ფუნქციების გადანაწილება, მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილისათვის ერთი რეგიონიდან მეორეში მიგრაცი-

[1] www.economy.gov.ge- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდი.

ის სტიმულს აძლიერებს. გადანაწილების პოლიტიკის ძირითადი პარამეტრები ცენტრალიზებულად უნდა განისაზღვროს, ამავე დროს, გადანაწილების ფუნქციის ნაწილი რეგიონულ ხელისუფლებას შეიძლება გადაეცეს. საზოგადოებრივი დოვლათის დეცენტრალიზებული წარმოება ცენტრალიზებულთან შედარებით უფრო ეფექტური იქნება, თუ:

- მისი უზრუნველყოფის სარგებელი ლოკალიზდება ძირითადად ამ ტერიტორიაზე;
- დოვლათის უპირატესობა მეტწილად განსხვავდება ტერიტორიებს შორის;
- დეცენტრალიზაციას არ მივყავართ წარმოების ხარჯების გაზრდისკენ;
- დოვლათის დაფინანსება ხორციელდება უპირატესად დეცენტრალიზებულად, ანუ რეგიონში მაცხოვრებელთა ხარჯზე.

ზოგადი სახით, წარმოების ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის უპირატესობაზე თეორიული წარმოდგენები შეიძლება მოცემული იქნეს შედარებისათვის ცხრილების სახით. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავებისას უფლებამოსილებების განაწილების ანალიზი.

ცხრილი 3. მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავებისას უფლებამოსილებების განაწილების ანალიზი.

<table>
<tr><th>ცენტრალიზებული წარმოება</th><th>დეცენტრალიზებული წარმოება</th></tr>
<tr><td>1. ეკონომია მასშტაბზე ზოგიერთი საზოგადოებრივი დოვლათისათვის მისი მომხმარებლების რიცხვის გაზრდა გამოიწვევს წარმოების ხარჯების შემცირებას ერთ მომხმარებელზე გათვლით</td><td>1. რაც უფრო ნაკლებია ტერიტორიული ერთეული, მით უმეტეს ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ადამიანების მიერ შედარებით ერთგვაროვანი უპირატესობით. ადგილობრივმა ხელისუფლებამ შესაძლებელია შესთავაზოს მოსახლეობას საზოგადოებრივი დოვლათი, უმეტესად მათი უპირატესობების შესაბამისად</td></tr>
<tr><td colspan="2">1. მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების კომპლექსის დამუშავებისას ადამიანების უპირატესობები პრაქტიკულად ერთგვარია მუნიციპალური წარმონაქმნის ფარგლებში, მაშინ, როდესაც სოციალური დოვლათის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა პრაქტიკულად არ ახდენს გავლენას წარმოების ხარჯებზე ერთ მომხმარებელზე გათვლით.</td></tr>
<tr><td>2. გარე ეფექტების რეგულირება (ექსტერნალიები)
საზოგადოებრივი დოვლათის წარმოდგენისას ლოკალურ დონეზე არ არის გათვალისწინებული მათ მიერ განპირობებული გარე ეფექტები (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი), ანუ, მხედველობაში არ მიიღება ყველა სარგებელი ან მათი წარმოების ხარჯები. ეს იწვევს საზოგადოებრივი დოვლათის ჭარბწარმოებას ან ნაკლებწარმოებას და რესურსების არაეფექტურ განაწილებას.</td><td>2. ინფორმაციაზე წვდომა
ინფორმაცია საზოგადოებრივ დოვლათზე ლოკალური მოთხოვნილების შესახებ შედარებით ხელმისაწვდომია ხელისუფლების ორგანოებისათვის.</td></tr>
<tr><td colspan="2">2.მუნიციპალური წარმონაქმნების სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსების დამტკიცებისას, რეგიონული სოციალური სისტემების გახსნილობას მივყავართ გარე ფაქტორების წარმოქმნისაკენ, სოციალური პოლიტიკის დეცენტრალიზებული გატარებისას (მაგ. “დარიბთა მობილურობა“) შედეგად, ინფორმაციისადმი წვდომას გააჩნია განმსაზღვრელი მნიშვნელობა.</td></tr>
<tr><td>3.„პრობლემების ექსპორტის“ და „იმპორტზე შეღავათები“-ს პრევენცია საზოგადოებრივი დოვლათის ლოკალური დონის მწარმოებლებს შეუძლიათ განზრახ შექმნან პირობები, რომლებიც გააუმჯობესებენ მოცემული ლოკალური საზოგადოების მდგომარეობას სხვა საზოგადოებების მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე (ცენტრალიზაციის ეს უპირატესობა განსხვავდება წინასგან სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების განზრახული ხასიათის მოქმედებებით)</td><td>3.რეგიონთაშორისო კონკურენციის სტიმულირება ადგილობრივი ხელისუფლების არადამაკმაყოფილებელი პოლიტიკის შემთხვევაში, საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების სფეროში, ტერიტორიის ზოგიერთმა მაცხოვრებლებმა შეიძლება მიმართონ „ფეხებით ხმის მიცემას“. მოსახლეობის მიგრაციამ რეგიონიდან შეიძლება შექმნას უფრო ეფექტური პოლიტიკის (ტიბუს ჰიპოთეზა) განხორციელების სტიმული.</td></tr>
</table>

3. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის რეალიზაციისას საკმაოდ არასასურველი ეფექტია სახელმწიფო პროგრამების - სახელმწიფი მიილტვის რეგიონების მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გატოლებისაკენ - რეალიზაციისას.	
4.დოვლათის ხარისხის სტანდარტიზაცია ცენტრალიზებულ დონეზე ადვილია ცხოვრებაში საზოგადოებრივი დოვლათის ხარისხის ერთიანი სტანდარტების გატარება. ცენტრალიზაციის სასარგებლოდ წინა არგუმენტები ნაკარნახევი იყო ეფექტურობის მოსაზრებით მაშინ, როდესაც მოცემული არგუმენტი , დაკავშირებული გატოლების კრიტერიუმთან, არ წარმოადგენს უდავოს. ამავე დროს, მომსახურების ხარისხის ცენტრალიზებული მინიმალური სტანდარტებისას, რეგიონულ ხელისუფლებას შეუძლია ხელი შეუშალოს მათ დამოუკიდებლობას.	4.ლოკალურ მასშტაბებში ექსპერიმენტირების შესაძლებლობა ზოგიერთი სიძნელეები გამოიწვევს იმის განსაზღვრას, თუ როგორია განსაზღვრული საზოგადოებრივი დოვლათის წარმოდგენის მეთოდი და არსებობს თუ არა ის საერთოდ. რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დამოუკიდებელი უფლების არსებობა, გამოიმუშაოს პოლიტიკა, საშუალებას იძლევა შემოწმდეს პრაქტიკაში სხვადასხვა მიდგომები და შედარდეს შედეგები.
4. მუნიციპალური და რეგიონული დონეების სოციალურ-ეკონომიკური რეგულირებისათვის როგორც ჩანს არსებობს სოციალური სისტემების სხვადასხვა მოდელების პრაქტიკული აპრობაციის საკმაოდ აქტუალური შესაძლებლობა .	

წყარო: ავტორის მიერ წარმოდგენილი

როგორც ცხრილიდან ჩანს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციისას, საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების მიმართ როგორც ცენტრალიზებულ ასევე დეცენტრალიზებული მიდგომას, გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. ეს ქმნის ორგანიზაციული, სახარჯო და რეგიონული და მუნიციპალური დონის სამართლებრივი უფლებამოსილებების განაწილების სხვადასხვა ვარიანტებს.

ამ უფლებამოსილებების განაწილების ერთ-ერთ მექანიზმს საფინანსო-საბიუჯეტო განაწილება წარმოადგენს.

სახელმწიფოების მსოფლიო პრაქტიკაში, საზოგადოებრივი ხელისუფლების დონეებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილების განაწილება ეფუძნება:

ა) ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას,

ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მისი სუბიექტების ერთობლივ კომპეტენციას,

გ) სახელმწიფო სუბიექტების კომპეტენციას,

დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას.

პრობლემების ამგვარი გადაჭრა დამახასიათებელია აშშ, დფრ, ავსტრალიისა და სხვ.

ცხრილი №4-ში წარმოდგენილია მონაცემები განვითარებული ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობების შემოსავლების წყაროების შესახებ, რომელიც მეტად მრავალფეროვანია, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების მიმართულებით. კარგი იქნება თუ საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ გაზიარებულ იქნება უცხოეთის გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით და ადგილობრივ თვითმმართველობებში შემოღებული იქნება მოსაკრებლების გარკვეული სახეობები, ამ მოსაკრებლებიდან მობილიზირებული თანხები უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე მდგარი სოციალური საკითხების ეფექტურად გადაწყვეტას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია საქართველოს ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მაქსიმალურად გაითვალისწინონ უცხოეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და მნიშვნელოვნად იზრუნონ ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ზრდაზე.

ცხრილი № 4. .ევროპის და ამერიკის განვითარებული ქვეყნების ადგილობრივი მმართველობის შემოსავლების ძირითადი წყაროები

1	ადგილობრივი	4	მომხმარებელთა გადასახადები
1.1	უძრავი ქონება	4.1.	გაუმჯობესების გადასახადი
1.2.	კერძო ქონება	4.2.	გადასახადი საზოგადოებრივი
1.3.	ერთ სულზე	5.	სხვა არასაგადასახადო შემოსავლები
1.4.	პროფესიული მომსახურება	5.1.	ჯარიმები
1.5.	გაყიდვები	5.2.	გადასახადი მომსახურებაზე
1.6.	აქციზი	5.3.	ინვესტირებული ფულის საპროცენტო
1.7.	საშემოსავლო	6.	ცენტრალური მთავრობის
	სასოფლო-სამეურნეო		განაწილებული ეროვნული

2.	ლიცენზიები	6.2.	გრანტები ფორმულით
2.1.	ადგილის დაკავება	6.3.	გაუთვალისწინებელი გრანტები
2.2.	გაყიდვა	7	სესხები
	ბიზნესის წინამძღვრები	7.1	გრძელვადიანი კაპიტალური
	მანქანები	7.2.	მოკლევადიანი ვალი
.5.	სპეციალური ღონისძიებები	7.3.	ადგილობრივი ფონდთაშორისი სესხები
	მუნიციპალური შემოსავლები		
	მუნიციპალური საკუთრების		
	მუნიციპალური საწარმოს		
	მუნიციპალური ქონების		

წყარო: Чихладзе Л.Т, Местное самоуправление и местное управление в государствах СНГ; Теория, практика и тенденции развития. автор на соискание уч. степени д. Юр. Наук. М, 2013.

ცხრილი № 5.უცხოეთის მუნიციპალიტეტებში შემოსავლების ყველაზე გავრცელებული კატეგორიები

1.	ქონების გადასახადი	8.	სესხები
2.	ბიზნესის გადასახადი	9.	სხვა წყაროები
3.	სხვა ადგილობრივი გადასახადები		
4.	ბაზრის მოსაკრებელი		
5.	სხვა მოსაკრებლები		
6.	მომსახურების მომხმარებელთა გადასახადები		
7.	ცენტრალური მთავრობის გრანტები		

წყარო: Чихладзе Л.Т, Местное самоуправление и местное управление в государствах СНГ; Теория, практика и тенденции развития. автор на соискание уч. степени д. Юр. Наук. М, 2013.

დღესდღეობით მთავარი ამოცანაა-ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური ბაზით შევსება,ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ეკონომიკური საფუძველის მისადაგება. მუნიციპალური წარმონაქმნების ბიუჯეტების ფორმირების ამოცანა საკმაოდ რთულია ტექნიკურად, ორგანიზაციულად და ფინანსურად, ვინაიდან ეს საბიუჯეტო აღრიცხვის და მუნიციპალური სტატისტიკის რეფორმასთან ერთდროულად ხდება. თანამედროვე ეტაპზე, მონაცემები ახალი მუნიციპალური წარმონაქმნების ჭრილში არასაკმარისია. ბიუჯეტი მაშინ არის კარგი, როდესაც ის უზრუნველყოფს მისი ყველა ვალდებულების შესრულებას. უფლებამოსილებების გადაცემა და ფინანსური უზრუნველყოფა დოტაციის ხარჯზე ხდება. თუმცა, ფინანსური თვითუზრუნველყოფის არ არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითადი ამოცანები შეიძლება გადაიჭრას ტერიტორიათაშორისო ურთიერთქმედებით და კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შემუშავებით ყოველი დასახლებისათვის და მთლიანად მუნიციპალური რაიონისათვის. სხვადასხვა დონის ხელისუფლების ორგანოების უფლებამისილებები, აგრეთვე ის ურთიერთობები, რომლებიც წარმოიქმნება რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების პროცესში, ამ პროცესში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობის თავისებურებები განხორციელდება კანონების მიღების გზით და სხვა სამართებლივ-ნორმატიული აქტების გამოცემით. სახელმწიფო ურთიერთობების ეკონომიკური მექანიზმების შესაძლო ცვლილებები ასახული უნდა იყოს გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზირების და პროგრამების პროექტებში.

დასკვნა

ამრიგად, ცხრილში „განვითარებული ქვეყნების ადგილობრივი თვითმმართველობების შემოსავლების წყაროების შესახებ“ წარმოდგენილია მონაცემები, რომელიც მეტად მრავალფეროვანია და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ადგილობრივი ბიუჯეტების შევსების მიმართულებით. კარგი იქნება თუ საქართველოს ცენტრალური მთავრობის მიერ გაზიარებულ იქნება უცხოეთის გამოცდილება აღნიშნული მიმართულებით და ადგილობრივ თვითმმართველობებში შემოღებული იქნება მოსაკრებლების გარკვეული სახეობები, ამ მოსაკრებლებიდან მობილიზირებული თანხები უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე მდგარი სოციალური საკითხების ეფექტურად გადაწყვეტას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია საქართველოს ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მაქსიმალურად გაითვალისწინონ უცხოეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და მნიშვნელოვნად იზრუნონ ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ზრდაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი - „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“.
2. ჩიხლაძე ნ. ადგილობრივი ბიუჯეტის გამჭვირვალობის აქტუალური საკითხები. სამეცნიერო კონფერენციის თეზისები. ქუთ. 2008 წ. გვ.6-8
3. ჩიხლაძე ნ.რეგიონული საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზირების საკითხისათვის. ჟურნ. მიკრო-მაკროეკონომიკა. №3, 2004 წ, გვ.24-29.
4. www.economy.gov.ge- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.
5. www.governement.gov.ge საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდი.
6. www.mof.ge- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდ
7. http://www.citystrategy.leontief.ru информационно-аналитический сайт по проблемам территориального стратегического планирования и управления.

Function and power distribution among local self-government bodies

Abralava Anzor
Kereselidze Levan

Summary

There are allocated three main functions in classical economic theory: stabilizable, dispersing and allocative (production of public wealth). Macro-economic stabilization should be centralized, because regional economic systems are open and mutually dependent for one another, which will cause creation of external factors during macro-economic politics. While conducting equaling revenue independent politics by regions, functions allocating strengthens incentive of migrating from one region to another. The basic options of allocating politics should be determined centralized, at the same time the part of allocating function may be transferred to regional government.

Theoretic presentations about centralization da decentralization advantage of production are given by schedules. Analysis of distribution of powers are offered while creating complex programs of municipal creations of social-economic development.

There are represented data in schedule about revenue sources of local self-governments of developed countries.

Key words: *Macroeconomic stabilization; central, regional, economic systems; decentralized, macroeconomic politics, budget*

სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობის რეალიზაციის ძირითადი ფორმები და ეკონომიკური მექანიზმები

აბრალავა ანზორ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გოდერძიშვილი ბელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

ფინანსირების სახელმწიფო რეგულირებაში, როგორც წესი, მხარეებად გვევლინება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ყალიბდება სახლემწიფოსა და მუნიციპალური წარმონაქმნების საფინანსო ურთიერთობებისას. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სრულიად განსხვავებული მოსაზრებები ფინანსურ მექანიზმში ინვესტიციების შესახებ, გამოტანილია დასკვნა, რომ საინვესტიციო საქმიანობა წარმოადგენს ეკონომიკურ-სამართლებრივ ერთიანობას, რომელიც გამოირჩევა შემადგენელი ინსტიტუტების ერთიანობით, ეყრდნობა განვითარებული ინფრასტრუქტურის საჭიროებას და საფინანსო სისტემაში იკავებს მნიშვნელოვან ადგილს. სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის, როგორც ერთიანი სახელმწიფო საფინანსო პოლიტიკის, შემადგენელი ნაწილის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმარ. თულებას წარმოადგენს ეროვნული (შიგა) და უცხოური კაპიტალის მოზიდვა ეკონომიკის განვითარების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: *კერძო ინვესტიციები, საჯარო ინვესტიციები, ფულის ემისია, კაპიტალდაბანდება წარმოებაში, გაუნაწილებელი მოგება.*

ძირითადი ტექსტი

როცა ვსაუბრობთ ინვესტიციებზე, მასში როგორც წესი მო იაზრება „გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება“ (ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ) სხვადსხვა ეროვნული წარმოებაში. ამას თან, როგორც ს.ი. მელნიკოვი აღნიშნავს, „კერძო ინვესტიციები, რო-გორც წესი, ორიენტირებულია მოგების მიღებაზე, მაშინ, როცა სა ხელმწიფო ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს ეკონომი კის დარეგულირების მიზნით“ .

არაერთ ნაშრომში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ინვესტიციები ფინანსდება გადასახადების ხარჯზე, სახელმწიფო ორგანიზაციების მოგების ხარჯზე, ფულის ემისიის ან შიგა და გარე ესხების ხარჯზე“ თავის მხრივ კერძო ინვესტიციები, ასევე კერძო ფი ნანსები უწყვეტ კავშირშია საჯარო ინვესტიციებთან, რა თქმა უნდა, საფინანსო სისტემის ფარგლებში, თუმცა, მიუხედავად ამისა, არსებითად განსხვავდება მათგან წარმოშობის წყაროსა და დაფინანსებით.

კერძო ინვესტიციების დაფინანსები წყარო არის იურიდიული პირების საკუთარი სახსრები (გაუნაწილებელი მოგება, ნაწილობრივ ამორტიზებული და სხვა ფონდები), აქციების გაყიდვი-დან მი ღებული შემოსავალი, ობლიგაციები, სხვა ფასიანი ქაღალდები, ასევე გრძელვადიანი კრედიტები და სესხები. ამავდროულად ეკო ნომიკაში არანაკლებად გამოყოფენ რეალურ ინვესტიციებს, ანუ კა პიტალდაბანდებას ეკონომიკის რომელიმე მიმართულებაში, რომ ლის შედეგადაც ხდება რეალური კაპიტალის ზრდა (შენობები, მო წყობილობები, სასაქონლო-მატერიალური ჩანაწერები და ა.შ) და ფინანსური ინვესტიციები – კაპიტალდაბანება (კერძო ან სახელმწი ფო) აქციებში, ობლიგაციებში და სხვა ფასიან ქაღალდებში. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში არ ხდება რეალური კაპიტალის ზრდა, აზრი მდგომარეობს საკუთრების შეძენაში (იგივე ხდება მი წის და სხვა უძრავი ქონების შეძენისას). ამგვარი გარიგებების დროს სახეზეა ტრანსფერი – გადაცემის ოპერაცია.

ინვესტიციები შეიძლება განვიხილოთ როგორც წარმოების სა შუალებების შეძენა,

ისეთების, როგორიცაა: მანქანები და დანად გარები საწარმოსათვის, ანუ ისინი, რომლებიც შემოდგომში ქმნის საწაარმოო პროდუქტს – საქონელს შემდგომი მოხმარებისათვის ან რეალიზაციისათვის. ამგვარ შენაძენს შეიძლება ვუწოდოთ კაპიტალდაბანდება წარ მოებაში. რაც უფრო დიდია მეურნეობაში კაპიტალდაბანდება, მით უფრო ქმედითი და ეფექტური იქნება მისი განვითრება. ასეთი სა ხით წარმოიქმნება კაპიტალი მატერიალური აქტივის სახით, ისე თი, როგორიცაა: მანქანები და დანადგარები, შენობა-ნეგებობები, მიწა – ყველაფერი ის, რაც შეიძლება გამოყენებული იქნეს ახალი საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად.

როგორც აღვნიშნეთ, ინვესტიციად შეიძლება განხილული იქნეს აქტივების შეძენა, მაგალითად, ფასიანი ქაღალდები, ხელოვნების ნიმუშები, ბანკში განთავსებული დეპოზიტები ან სამშენებლო ორ განიზაციები და ა.შ., უპირველეს ყოვლისა, ფინანსური მოგები სა და კაპიტალის ზრდის ფორმით და მიზნით. ამგვარი ფინანსური ინვესტიცია წარმოადგენს დანაზოგის ფორმას.

ფინანსური ინვესტიციების დონე დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე როგორიცაა:

- საპროცენტო განაკვეთი;
- ინვესტიციის შესაძლო მომგებიანობის დონე;
- საქმიანი გარემოს საერთო სტაბილურობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ინვესტირება, როგორც წესი, ხორციელდება ორი სახით: კორპორატიული და სახელშეკრულებო ფრომით.

კორპორატიული ფორმა ესაა ახალი კომერციული ორგანიზა ციის შექმნა უცხოური ინვესტიციებით, საქართველოში რეგისტრი რებული იურიდიული პირთან შერწყმა ან მიერთება, უცხოური იურიდიული პირების ფილიალებისა და წარმომადგენლობების გახსნა.

ამასთან, აუცილებელია აღინიშნოს ზოგიერთი მოთხოვნების სიმრავლე, იმ მოთხოვნებისა, რომლებიც საინვესტიციო პრინცი პე ბის შესაბამისად მოეთხოვებათ უცხოური კაპიტალით მომუშავე საინვესტიციო სუბიექტებს, ესენია: საკუთარი პროდუქციის წარ მოე ბაში გარკვეული დოზით გამოყენებული იქნეს ადგილობრივი – ეროვნული პროდუქტი, სავალდებულო ექსპორტი წარმოებული პროდუქციის წილის პროპორციულად.

სახელშეკრულებო ფორმით ინვესტირება მდგომარეობს შე თანხ მებაში ლიზინგის თაობაზე (ფინანსური იჯარა), ლიცენზირებული შეთანხმება განსაკუთრებული უფლებების (ინტელექტუა-ლუ რი საქმიანობის) გადაცემაზე, კონცესიური შეთანხმება, შეთანხ მება პროდუქციის გაყოფაზე ან ერთობლივ საქმიანობაზე.

როცა ვსაუბრობთ სახელმწიფო საინვესტიციო საქმიანობის რეა ლიზაციის ძირითადი ფორმებზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს სა ხელმწიფო გარანტიების აუცილებლობის როლი და მნიშვნელობა, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, ერთი მხრივ, ეროვნულ ეკონომიკაში საინვესტიციო კაპიტალ და ბან დების მიმზიდველობისათვის, როგორც შიგა ისე გარე ინვეს ტორებისათვის, და მეორე მხრივ, ეს არის თითქმის ცენტრალური ქმედითი ინსტიტუტი საინვესტიციო სამართალში. ასე რომ, სწო რედ სახელმწიფო გარანტიებით ინვესტორების დაცვა წარმო ადგენს საინვესტიციო საქმიანობის მართვის უმნიშვნელოვანეს რგოლს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავად კონკრეტული საინვესტიციო ოპერაციების, როგორც მოკლევადიანი, ისე ძირითად საშუა ლე-ბებში გრძელვადიანი დაბანდებები ხორციელდება სამეწარმეო სა-მართლის ნორმებით, ხოლო თავად ასეთი ოპერაციები ატარებენ მკვეთრად გამოხატულ ეკონომიკურ, ანუ საწარმოო საქმიანობას, რომელიც საბოლოოდ ატარებს ამგვარი იურიდიული პირის მოგე ბის მიღების მაქსიმალიზაციას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აუცი-ლებელია აღინიშნოს, რომ ამგვარი საქმიანობა დატვირთულია სა-ხალხო მიზნებით, რაც თავისთავად განაპირობებს მის რეგულირებას.

ამგვარი გარემოებების გათვალისწინებით ასევე აუცილებელია აღინიშნოს საინვესტიციო ურთიერთობების სუბიექტური შემად-გენლობა, ერთ-ერთ მხარედ მონაწილეთა შო-

რის პრაქტიკულად ყოველთვის გამოდის საჯარო სამართლის წარმომადგენელი – სახელმწიფო ან მისი უფლებამოსილი ორგანო. აქედან გამომდი ნარე, საინვესტიციო საქმიანობაში, არცთუ ისე იშვიათად, მხარედ გამოდის შემდეგი სახის ქონება:

1. სახელმწიფოსთან პირადაპირ ან ირიბად დაკავშირებული (მაგალითად, როცა საინვესტიციო პროცესის დროს ხდება პრივატიზაცია);

2. სახელმწიფოს მიმოქცევაში პირდაპირ ან არაპირდაპირ იზ ღუდება (მაგალითად, როცა საინვესტიციო ურთიერ თო ბის პროცესში ხდება კაპიტალდაბანდება კერძო სუბიექტის მიერ განსაკუთრებული დანიშნულების ეროვნულ მეურნეობაში – თავდაცვის სფეროში, ობიექტი, რომელიც შეიძლება გამოყე ნებული იქნეს ე.წ. ორმაგი დანიშნულების პროდუქციის წარ მოებაში);

3. ურთიერთობები, რომელთა დროსაც სახელმწიფო განსა კუთ რებულ ეკონომიკურ რეჟიმს აწესებს (მაგალითად, იმ შემ თხ ვევაში, როცა საინვესტიციო აქტივობაში მონაწილეობს ბუ-ნებრივი და ხელოვნული მონოპოლიები, ანუ ურთიერ თო ბე ბი, რომლებიც გარკვეულ შემთხვევაში, ამა თუ იმ მიზე ზით, კონტროლირდება ან ინიცირებულია სახელმწიფოს მიერ).

სახელმწიფო გარანტიების სახეობების კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა საფუძვლით, რაც დამოკიდებულია ამგვარი კლასიფიკაციის კრიტერიუმებზე. კერძოდ, შეიძლება გან ვასხვავოთ პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიები, შიგაე როვ ნული და საერთაშორისო, სრული და ნაწილობრივი, დროებითი და მუდმივი და ა.შ.

საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებების გარანტად ძირითადად გვევლინება კონსტიტუციური საკანონმდებლო ნორ მები, მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი. „საინვესტიციო გარან ტი ების ღონისძიებების“ სისტემაში საჭიროა გამოვყოთ სახელმ წიფო გარანტიების შემდეგი სახეები:

• გარანტია ერთიანი საინვესტიციო გარემოს, საქონლის, მომ სახურებისა და ფინანსური საშუალებების თავისუფალი მი მოქ ცევა, კონკურენციის დაცვა და საინვესტიციო საქმიანობის თა ვი სუფალი სივრცის არსებობა. როგორც სპეციალისტები აღნიშ ნავენ, ამგვარი ეკონომიკური სივრცის არსებობა დამოკიდებულია სა ხელმ წიფო პოლიტიკის მიდგომით ეკონომიკური განვითარების გეგმის მიმართ, ერთიანი სტანდარტების, სტატისტიკისა და ბუღალტრული აღრიცხვით. საბაზრო ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირება უწყვეტად არის დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფაზე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს მოქალაქეთა უფლებებს და მათი ქონების თავისუ - ფალ გამოყენებას, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას სხვადასხვა კანონმდებლობით ნებადართულ ეკონომიკურ საქ მია ნობაში. ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება აუცილებელი პირობაა საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხში. ეკონომიკური საქმიანობის წამახალისებელი თავისუფ ლება აკრძალულია ისეთ ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც მიმართულია მონოპოლიზაციასა და არაკეთილსინდისიერ კონ კურენციაზე.

• ეკონომიკური დაცულობის თანაბრი გარანტიები როგორც კერძო, ისე სახელმწიფო ინვესტიციებისათვის. კონსტიტუცია აღიარებს და იცავს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და ასევე მუ ნიციპალურ საკუთრებას. საქართველოს კანონმდებლობას ახასიათებს საკუთრების ფორმების სხვადასხვაობა. საკუთრების ფორ მების სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება საკანონმდებლო აქტებით, რომელთა შორის ცენტრალური ადგილი უკავია საკონს ტიტუციო ნორმებს, რომლებიც ემსახურება მთლიანად ქვეყანაში საკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებას. სამართლებრივი გაგებით, საკუთრების ნებისმიერი ფორმა გულისხმობს საკუთარი ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას, მათ შორის არ იკრძალება საკუთარი ქონების გა მო ყენება საინვესტიციო საქმიანობისათვის.

● გარანტიების საჯაროობა საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებაში. აღნიშნული გულისხმობს, რომ კონსტიტუცია და კონს ტიტუციური კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ ავალდე ბუ ლებს საჯარო მოხლეებს მათ მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტების გამოქვეყნებას კანონით დადგენილ ვადაში, რათა მიღე ბული საკანონმდებლო ნორმები ცნობილი გახდეს საზოგადოე ბისათვის, მოხდეს მათი მიტანა ფართო საზოგადოების ცნო ბიე რებამდე მისი გამოქვეყნებით, რაც ასევე კანონის მოთხოვნაა. ყვე ლა სხვა შემთხვევაში აკრძალულია კანონის შესაბამისად მიუ ღე ბე ლი აქტებისა და ნორმების გამოყენება. ეს უზრუნველყოფს სა ხელმ წიფო გარანტიების საჯაროობას, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, გამ ჭვირ ვალობას სახელმწიფო რეგულირების სფეროში.

● საინვესტიციო საქმიანობის ეკონომიკური თავისუფლება. კონსტიტუციური ნორმების მიხედვით. ყველას აქვს უფლება ისარ გებლოს საკუთარი ქონებით, ფლობდეს მას და განკარგოს ის სა კუთარი შეხედულებისამებრ კანონით ნებადართული ფორმებ ით. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სა ინვესტიციო საქმიანობის განხორციელებისას დაუშვებელია მონო პოლიზაციისაკენ და არაკეთილსიდისიერი კონკურენციის პირო ბების შექმნა. ყველას ეძლევა საშუალება გამოიყენოს საკუთარი ქონება და შესაძლებლობები სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქ მიანობაში და ეს უფლება გამყარებულია კონსტიტუციური ნორ მებით, რაც განაპირობებს მათ ეკონომიკურ თავისუფლებას, თუმ ცა, შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნული ნორმები ეხება მხოლოდ ფიზიკურ პირებს (მოქალაქეებს) და რომ ამ წრეში იურიდიული პირების ჩართვა უსაფუძვლოა. ეს არანაირად არ აკნინებს იური დი ული პირების თავისუფლებას ეკონომიკურ საქმიანობაზე, ვინაი დან კონსტიტუცია და კონსტიტუციური კანონები უზრუნველყოფს ყველას უფლებების დაცვას და ნებისმიერს პირს, მათ შორის იური დიულ პირებსაც, აძლევს უფლებას, განახორციელონ საქმია ნო ბა ნებისმიერი ფორმით, რაც ნებადართულია კანონით ან არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით. ამგვარი მიდგომა, საკუ თარი შეხედულებისამებრ, საკუთარი ქონებისა და შესაძლებ ლო ბების თავისუფალი რეალიზაციის შესაძლებლობა ქმნის სწორედ ეკონომიკურ თავისუფლებას, როგორც ფიზიკური ისე იურიდიუ ლი პირებისათვის. ეკონომიკური თავისუფლება ყველა სამართლის საერთო კუთვნილებაა, რომელიც თავის თავში გულისხმობს შესაძლებლობას, უზრუნველყოს მისი ორგანიზება და რეალიზება და ის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა სამოქალაქო საზოგა-დო ებისა და ლიბერალური სახელმწიფოს განვითარებისათვის.

● საერთო-სახალხო გარანტია, თანასწორობისა და დაცუ ლო ბის საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობაში. აქაც მნიშვნელო ვანია კონსტიტუციური ნორმები, რომლების უზრუნველყოფს კერ ძო საკუთრების დაცვას. კონსტიტუციისს მიხედვით, ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს საკუთრება, ფლობდეს და განკარგავდეს მას ერთპიროვნულად, ასევე სხვასთან ერთად მოგების მიღების მიზნით. კერძო საკუთრების აღიარებისას სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს მის დაცვას შესაბამისი კანონების მიღებით. აღნიშ ნული ეფუძნება აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს ადამიანთა უფლებების დაცვისა და თავისუფლების შესახებ. კერძო საკუთ რების სუბიექტები შეიძლება იყვნენ მოქალაქეები (ფიზიკური პირები) და იურიდიული პირები, რომელიც შექმნილია ფიზიკური პირის ან პირთა წრის მიერ, როგორც კომერციული სუბიექტი. კერძო საკუთრების ყოველი სუბიექტი თანასწორუფლებიანია კანონისა და სასამართლოს წინაშე. კერძო საკუთრების დაცვაში იგულისხმება ნორმალური, შეუფერხებელი განვითარების უზრუნ-ველყოფა. უნდა განვმარტოთ „საკუთრების“ და „კერძო საკუთ რების“ ფორმების შინაარსი. კერძო საკუთრება – ესაა კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის ფორმა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული, რომლებიც გამოდიან როგორც კერძო პირები და არა როგორც სახელმწიფო და საჯარო მოხე-ლე ები. ეს პირები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ თავისუფლად საკუთარი ქონებისა შესაძლებლობების ფარგლებში. მეორე მხრივ, კერძო საკუთრებად მოიაზრება

კერძო პირის მხოლოდ კონკრე ტუ ლი სანივთო სამართალი (ფიზიკური და იურიდიული პირის). მესამე – ასე, არცთუ ისე იშვიათად, უწოდებენ თავად ქონებასაც, რომელიც კერძო საკუთრების ნაწილია. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „საკუთრება“ ეკონომიკურ ლიტერ-ატურაში, კონსტიტუ ციაში, ასევე საკანონმდებლო ტექსტებში გაჯერებულია სხვადასხ-ვა შინაარსით. კერძო საკუთრება გაგებულია, როგორც სხვადასხვა მეურნეობის ფორმა, რომელიც ხორციელდება განსხვავებული სუბიექტების მიერ. ისინი, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ან ად გილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სუბიექტები, უნდა ჩაით-ვალონ კერძო პირებად და კერძო საკუთრების სუბიექ ტებად, რომლებიც გამოდიან კერძო სამეურნეო (მათ შორის სა მეწარმეო) საქმიანობაში ფიზიკური (ინდივიდი) და იურიდი ული პირის (ორ განიზაცია) სახით.

● საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების უფლებების დაცვის სახელმწიფო გარანტიე-ბი. კონსტიტუციით დაცულია ადამია ნის, მოქალაქის უფლებები და თავისუფლება. ამასთან, ასეთი გარანტიები შეიძლება იყოს პოლიტიკური (სახელმწიფო პოლი ტი კის კურსი ღირ-სეული ცხოვრებისა, ადამიანის თავისუფალი განვითარების, პოლიტიკური სტრუქტურების სიმყარის, მათი სამოქა ლაქო თანხმობის შესაძლებლობის, მოქალაქეების პოლიტიკური კულტურის სათანადო დონე) ასევე სოციალურ-ეკონომიკური (სო ციალური სტაბილურობა, განვითარებადი ეკონომიკა, ინფრასტ რუქ ტურა, საზოგადოების სოციალური მოთხოვნები). ასევე იური დიული (უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მექანიზმები), ესენია: საკონ-სტიტუციო სამართალწარმოება (საკონსტიტუციო სა სამართლო), სასამართლო დაცვის უზ-რუნველყოფა (საერთო სა სა მართლოები), ადმინისტრაციული დაცვა (ადმიანისტრაციული წესით გასაჩივრება შესაბამისი დაქვემდებარებით), სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან სამართლიანობის დაცვის კონტროლის განხორციელება (საპარლამენტო, სამთავრობო დაც-ვა), პროკურა ტურის მუშაობა, ომბუცმენის ინსტიტუტი – ყველა ეს უნდა მოქმე დებდეს ფართო გაგებით, როგორც სახელმწიფო მოხელეების და მათი სამართლიანი უფლებების დასაცავად, ასევე მოქალაქეების მიმართ.

საბიუჯეტი ინვესტიციების და მთლიანობაში სახელმწიფო სა ინვესტიციო საქმიანო-ბის ინფრასტრუქტურული ასპექტების ხა რისხობრივი მახასიათებელი არის ამგვარი ურთ-იერთობების ობი ექტის თავისებურებები და სტატუსი.

შიგა ინვესტიციებთან მიმართებით კაპიტალდაბანდების მხა რედ შეიძლება გამოვიდეს როგორც საჯარო სუბიექტი – სახელმწი ფო, მისი ტერიტორიული დანაყოფი, ისე კერძო სამართლის სუ ბიეტი – ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც ეწევა მეურნეობას, სა ქართვე-ლოს იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც რე გისტრირებული არიან საქართვე-ლოს კანონმებლობით დადგე ნი ლი წესით და ეწევიან კანონმდებლობით ნებადართულ ეკონომი კურ საქმიანობას. სამეცნიერო ფინანსურ დოქტრინაში კაპიტალ დაბანდების განხ-ორციელება საჯარო სუბიექტის მიერ აიხსნება, როგორც საბიუჯეტო ინვესტიცია.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის კაპიტალდაბან დე ბაში შეიძლება ფორმირე-ბული იყოს „განვითარების ბიუჯეტი“. დღევანდელი მდგომარეობით ამგვარი სპეციალიზებუ-ლი საბიუ ჯე ტო ფონდის ფორმირებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. „განვითარების ბიუჯეტი“ შეიძლება გულისხმობდეს სახელმწიფო რეჟიმს აღნიშნული ბიუჯეტის ფორმირე-ბისა და გასავლების დაგეგმვისათვის, რომლის კონკურსის წესით და სახელმწიფოს მხ-არდაჭერით იქნება განკუთვნილი ინვესტორების მხარდასა ჭე რად, კერძოდ, იმ ინვესტორე-ბის, რომლებიც ახორციელებენ მაღა ლი ეფექტურობის მქონე საინვესტიციო პროექტებს ან სახლემწიფო გარანტიების ფორმით, ან მათთვის სახსრების გამოყოფით, რო მელიც, თავის მხრივ, იქნება სასყიდლიანობის, დაბრუნე ბადობისა და ვადიანობის საწყისებზე. აღნიშნუ-ლი თანხების მოცულობა და დაგეგმარება გაწერილი უნდა იყოს ყოველი მიმდინარე წლის საბიუჯეტო კანონში.

გამოყენებული ლიტერატურა:

.

1. Карасев М. В., Финансовое провоотнощение, с. 208-209.
2. Игонина Л Л., Инвестиционная деятельность в российской экономике. Владикавказ: Изд-во СОГУ. 2007
3. Kruse V., Sitzverlegund von Kapitalgesellschaften der EG; Berlin, Bon, Munchen. 1997. S. 8
4. Tatman D., Eastern Europe Investment Law. IIWTRS Reporter. 2003/5, P.134.
5. Цит. по.: Инвестиции. / Под ред. проф. А.А. Ковалева. - М., 2000. с. 89.
6. Иностранные инвестиции: Учебник. / Под ред. А.А. Попова. - М.: Экономика, 2004. с. 209-210.

Key forms and economic mechanisms for realization of state investment activities

Anzor Abralava

Bela Goderdzishvili

Summary

State regulation of the financing, are usually a part of public relations, which are formed by state and municipal formations financial relations. In Scientific literature, different opinions are conducted on the financial mechanism of the investment that the investment activities of the economic and legal unity, are distinguished by its constituent institutions, and are based on the need for development of infrastructure and the financial system occupies important place. State investment policy, financial policy as a unified state, is one of the important part of the appeal. Shift is under the national (domestic) and foreign capital to economic development.

Keywords: *private investments, public investments, money emissions, investment in capital, retained earnings.*

სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორული ურთიერთობის საკითხისათვის

აბრალავა ანზორ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრფესორი

ჯორბენაძე ზურაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ასოცირებული პრფესორი

აბსტრაქტი

უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის შესახებ, მათი ინტერესების ურთიერთობის თაობაზე და სხვა მსგავსი შინააარსის საკითხების გარშემო მზარდი ინტერესი შეინიშნება. აღიშნული მოცემულობა კი კანონზომიერი შედეგია ყველა იმ რეალობისა, რაც თანამედროვე ეკონომიკის განვითარებამ შინაგანად მოითხოვა; დღეს ეკონომიკაში სულ უფრო ძლიერდება თვისებრივად ახალი როლის მატარებელი ორი სხვადასხვა მოტივაციის მქონე ეკონომიკური სუბიექტის - სახელმწიფოს და კერძო ბიზნესის მოქმედების არეალი, მათი ურთიერთმიმართება კი წინათ წარმოუდგენელ მოცემულობაში გადადის. ეს მოცემულობა კი ურთიერთმომგებიანი პარტნიორობაა, სადაც მათ შორის შეჯიბრება "თანაკოკურენციით" ჩანაცვლდა და თვითოეული მხარე თავისი ძალისხმევით ეკონომიკის განვითარებას სრულ ორგანულ ერთიანობაში ასტიმულირებს.

სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობა ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიული რესურსია. ამდენად, აღნიშნულ საკითხს როგორც თეორიული ისე პრაქტიკის გადასახადიდან დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ორივე მხარე, როგორც თეორია ისე პრაქტიკა შინაგანად თანაბარზომიერად მოითხოვს სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის არსის გარკვევას, აქ არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირისა და პროცესების სრულად წვდომას.

სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, მისი განვითარებადი ეკონომიკისათვის. დღეს ეკონომიკის განვითარებისკენ ქვეყნის ხელისუფლება უდიდესი ძალისხმევას იჩენს: იხარჯება სერიოზული მოცულობის ფინანსური, მატერიალური და ინტელექტუალური რესურსი რათა საზოგადოებამ მეტი სიკეთე მიიღოს. ამ დროს სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობა უმნიშვნელოვანეს ბერკეტად წარმოდგება.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო, კერძო, ბიზნესი, პარტნიორობა, კერძო საფინანსო ინიციატივა, ინფრასტრუქტურული პროექტი.*

ძირითადი ტექსტი

დღეს სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის მოცემულობამ სრულიად მსოფლიო ეკონომიკა მოიცვა; ამ ძალზე მნიშვნელოვან პროცესს ვხვდებით არამარტო გარდამავალი ეკონომიკის, არამედ განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მაგრამ სხვადასხვა დოზითა და განფენილობით. ამ ფონზე კი სამართლიანია მივანიშნოთ, რომ სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის საკითხი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად წარმოსდგა.

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ ლიტერატურაში სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის საკითხი ძალზე ინტენსიურად განიხილება: აქ კვლევა არ მხოლოდ წმინდა თეორიული ინტერესის თვალსაწიერით, არამედ უშუალოდ პრაქტიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე მიმდინარეობს. ეს ფაქტი კი ნათლად ადასტურებს საკითხით დაინტერესების მაღალ ნიშნულს, რამდენადაც კვლევის შედეგებს როგორც განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნისათვის, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, და მათ შორის საქართველოსთვის მაღალი ღირებულება გააჩნია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის საწყისებს არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია. მას დასაბამი მისცა სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის ჩამოყალიბებამ, მაგრამ პარტნიორობის ეს სახე სრულებით სხვაა და სხვა დატვირთვა გააჩნია ვიდრე სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის იმ სახესთან რასაც ქვემოთ წარმოვადგენთ.[1]* თუ ერთ შემთხვევაში სახელმწიფო მართალია წამახალისებლის პოზიციიდან აქტიურად ერთვება ბიზნესში, მეორე შემთხვევაში ფინანსური ძალის და სახელისუფლებო ძალის კოალიციის გზით ის ბიზნესს დეტალური ორგანიზაციულ-ეკონომიკური რეგლამენტის ფარგლებში პარტნიორობას სთავაზობს.

სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობა ეკონომიკური განვითარების ახალი ინსტრუმენტია. ამდენად, მისი ეკონომიკური არსის გარკვევა, მისი რეალიზაციის პრინციპების და ნიშნების გარკვევა დიდი მნიშვნელობის მქონეა. აღნიშნული პროცესი ორი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური სისტემის – სახელმწიფოს და კერძო ბიზნესის მჭიდრო თანამშრომლობის ფაქტს აფიქსირებს; ამ დროს ეკონომიკური გავლენისა და ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვების მიზნით მათი შეჯიბრება უფრო მჭიდრო თანამშრომლობის არეალში გადადის. სწორედ ამ სახის თანამშრომლობის ტენდენცია განსაზღვრავს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას.

დღეს გლობალიზაციამ და ტრანსნაციონალურმა პროცესებმა სახელმწიფო და კერძო ბიზნესი სრულიად სხვა სახის ამპლუაში წარმოადგინა; თავიანთი საქმიანობის საბოლოო შედეგიანობის ამაღლების ინტერესიდან გამომდინარე ისინი მოწოდებულნი ხდებიან უფრო მეტად ითანამშრომლონ და ტრადიციული კონკურენციის ნაცვლად თანაკონკურენციის მოცემულობით იუერთიერთობონ. ამ სახის რეალობამ საბოლოო ჯამში მრავალი საკითხი ძირეულად შეცვალა და დღეს ხელისუფლების სტრუქტურების მიერ მეწარმეთა შესაძლებლობის, ბიზნესის ძალის უბრალოდ გამოყენებას კი არა, არამედ სულ სხვა ფორმისა და შინაარსის მქონე ახალი თვისობრიობის დატვირთვის მატარებელი ურთიერთობა მივიღეთ. სახელმწიფოსა და კერძოს შორის სულ უფრო მეტი მნიშვნელობა სხვადასხვა სახის და ფორმის ალიანსებმა, კავშირებმა, პარტნიორობამ შეიძინა.

ისინი ეკონომიკური გავლენისა და ეკონომიკური ძალაუფლების მოპოვებისათვის ერთმანეთს შორის შეჯიბრს არ წყვეტენ, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სტიმულს არ აქრობენ, არამედ თვითოეულის საქმიანობის უკეთესი საბოლოო შედეგის მისაღებად თვისებრივად ახალი სახის პარტნიორები იყვნენ.

სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობა როგორც სოციალური მოვლენა ხანგრძლივ პერიოდს ითვლის; პარტნიორობის პირველად საწყისებს ჯერ კიდევ ძველ რომში ხვდებით, სადაც მართალია აღნიშნული პროცესი დღევანდელობის ფონზე საკმაოდ "მდარე" იყო და იგი ყოფითი ხასიათის დატვირთვას ატარებდა, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობის აქტი შედგა და საკმაოდ წარმატებითაც. შემდგომში, მოვლენათა განვითარების კვალობაზე და თვით ეკონომიკის მოთხოვნებიდან გამომდინარე სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის თემა არც თუ ისე აქტუალური ხდება. სიტუაცია მკვეთრად იცვლება გასულ საუკუნეში მომხდარი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების

[1] სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი დაარსდა 2011 წელს. მისი დანიშნულებაა თანამონაწილეობის გზით ქვეყანაში ინვესტიციების წახალისება, ხოლო საქმიანობის ძირითად მიმართულებას აქტივების მართვა და საინვესტიციო საქმიანობა წარმოადგენს. ამდენად იგი არ არის იმ სახის და შინაარსის მატარებელი რასაც სახელმწიფოსა და კერძოს შორის ურთიერთობის ის სახე რასაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. მართალია იგი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან საპარტნიორო პროგრამებს ახორციელებს, მაგრამ ფონდის დაინტერესების არეალი და ურთიერთობის მოთხოვნები და პრინციპები სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობის არსებითი არსიდან საკმაოდ შორსაა. ამიტომაც ხაზგასმით მივანიშნებთ - ბიზნესში თანამონაწილეობა და პარტნიორული ურთიერთობა იდენტური სრულიად სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენაა, და მისი საპარტნიორო ფონდის საქმიანობასთან აღრევა უბრალოდ მიუღებელია.

“დამსახურებით” და სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის საწყისი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის სახით წარმოჩინდება; კერძოდ, ბიზნესი ამ დროს თვითგადარჩენის პოზიციიდან მძლავრ სოციალურ-ეკონომიკურ ძალად ყალიბდება, თვით საქმიანი სამყარო აქტიურად ჩაერთო სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტაში, და, საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის სხვა არსებითი მოცემულობების გვერდით ეკონომიკისათვის დამაინტრიგებელი სიტუაციური მოლოდინის ჩამოყალიბება მოახდინა. თავის მხრივ სახელმწიფო კი თითქოს-და ელოდა ამ სახის მოცემულობას და ისიც მზად დახვდა მიმდინარე მოვლენებს. საბოლოო ჯამში საბაზრო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე ბოლო მოეღო სახელმწიფოს სახით წარმოდგენილ ხელისუფლებასა და ბიზნესის სახით წარმოდგენილ ძალაუფლებას შორის დაპირისპირებას, მათი ინტერესები დაბალანსდა და საბოლოო ჯამში პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბებას მიეცა დასაბამი. ამ სახის ტრანფორმაციული პროცესი კი არც ისე მარტივია თავისი ბუნებით და შინაარსით, კანონზომიერებით და ტენდენციებით, მით უფრო როცა საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მიმდინარეობს.

ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის ეკონომიკური სისტემა დროის შედარებით მოკლე პერიოდში საკმაოდ სიღრმისეულ გარდაქმნებს განიცდის. ამ დროს კი ჩნდება მისი ისეთი ნიშნები და თვისებები, რომელნიც სტაბილურ ეკონომიკურ სისტემებში უბრალოდ ნაკლებად შესამჩნევია. როგორც ეკონომიკურ ლიტერატურაში მიანიშნებენ, ამ დროს გარდამავალი ეკონომიკა საზოგადოებრივად აუცილებელი წესრიგის მქონე ძალაუფლების არარსებობის ფაქტს წააწყდა; აღნიშნული მოცემულობა მთლიანობაში კი ეკონომიკისათვის მთავარ პრობლემად ჩამოყალიბდა: კერძოდ, ეკონომიკაში ერთის მხრივ სახეზეა კერძო ეკონომიკური ძალაუფლების სიჭარბე, მეორეს მხრივ, კი, ეფექტური საჯარო ძალაუფლება კი მწირეა. ამ ორი, პრინციპში ერთმანეთისათვის “არასასურველი” მოცემულობის არსებობა კი ადექვატურ ასახვას ჰპოულობს მთელ საზოგადოებაზე: დღეს მისი კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხის ვერტიკალი ხელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის მოცემულობის ფონზე გადის. უფრო მეტიც, სწორედ ამ სახის ურთიერთობის ორივე მხარისთვის სასურველ გარგლებში სრულად განშლა-განვითარების გარეშე არა თუ არასასურველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები წარმოშობა, უფრო მეტიც სხვა მოცემულობა დამანგრევლად მოქმედებს მთელს ეკონომიკურ ორგანიზმზე. ამიტომაც, საჭიროა გავითვალისწინოთ ის აზრი, რომ როგორც ძალაუფლების სიჭარბეს, ისე მის უკმარისობას, თანაბრად საშინელ სოციალურ შედეგებთან მივყევართ.

თანამედროვე ეკონომიკაში სახელმწიფოსა და კერძოს, სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის აღნიშნულ ფორმას პირველად გასული საუკუნის 90-იან წლებში ვხვდებით; კერძოდ, დიდ ბრიტანეთში პირველად შემოვიდა კერძო ფინანსური ინიციატივის (Private Finance Initiative) სახელის მატარებელი მოდელი. ამ მოდელის შესაბამისად ამა თუ იმ კაპიტალტევად ობიექტებზე სახელმწიფო მხოლოდ უკვეთავს მაგრამ ბიზნესს არაფერს უხდის. სამუშაოს დასრულების შემდეგ ობიექტს სახელმწიფო გრძელვადიანი არენდით იღებს იმ პირობით, რომ მეიჯარე გააგრძელებდა მისი ექსპლუატაციის უზრუნველყოფას. ამ დროს ინვესტიცია ბიზნესს საარენდო გადასახადის ხარჯზე უბრუნდება, ხოლო არენდის ვადის დამთავრების შემდეგ კი ობიექტი სახელმწიფოს სიმბოლურ ფასად, ზოგჯერ, კი უფასოდაც კი უბრუნდება. ყოველივე ეს პროცესი ქვეყანაში მიღებული კერძო საფინანსო ინიციატივის შესახებ კანონით იქნა მთლიანობაში დარეგულირებული.

თავდაპირველად სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობა ინფრასტრუქტურის დარგების პროექტების კუთხით რეალიზდებოდა. შემდგომში იგი თანდათანობით გავრცელდა და მან მასშტაბური პროექტები - მომსახურებიდან დაწყებული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტურო სამუშაოს ჩატარების და ინოვაციების დანერგვამდე არსებული პროექტები მოიცვა.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მსოფლიოს პრაქტიკამ და არც თუ ისე ხანგრძლივმა ისტორიამ ამ კატეგორიის მიმართ გარკვეული დონის ამომწურავი წარმოდგენა და შეხედულება ჩამოაყალიბა:

1. სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობა პირველ რიგში მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზაციის მიზნით სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ინსტიტუციონალურად და ორგანიზაციულად ურთიერთმომგებიანი ალიანსია;

პარტნიორობის აღნიშნული სახე სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების გარკვეული სახის ფორმალიზირებულ კოოპერაციას წარმოადგენს, რომელიც სპეციალურად გარკვეული სახის ამოცანების მიზნით იქმნება და მხარეთა შესაბამის შეთანხმებას ემყარება;

ის სახელმწიფო და კერძო მონაწილეებს შორის დროის ფიქსირებული

პერიოდისათვის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ან შეთანხმებაა, რომელშიც ორივე მხარე გადაწყვეტილების მიღებისათვის ურთიერთმოქმედებენ და რესურსების - ფულის, პერსონალის, მოწყობილობის და ინფორმაციის თანაინვესტირებას ახდენენ.

აღნიშნული მახასიათებლები სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობა ს ფონზე ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის კატეგორიის ერთიანი და ყველასთვის მისაღები განსაზღვრა ჯერ კიდევ არაა აღიარებული, შესაბამისად ამ საკითხის სრული გაგება ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. მაგრამ ეს სრულებით არ უშლის ხელს იგი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის სხვა ფორმებისგან გამოვყოთ და დავინახოთ სწორედ ამ სახის პარტნიორობის ძირითადი ნიშნულები:

- პარტნიორობის შესახებ შეთანხმების (ჩვეულებრივ 10-დან 20 და ან მეტი წლით, ხოლო კონცესიის შემთხვევაში 50 წლამდე) საკმაოდ ხანგრძლივი ვადა.
- პროექტების ფინანსირების სპეციფიკური ფორმები;
- კონკურენციული ბრძოლის გარემოში პარტნიორული ურთიერთობის რეალიზაცია;
- პარტნიორებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების სპეციფიკური ფორმები;
- კერძო პარტნიორის ოპერატიული საქმიანობის განხორციელება;
- შეთანხმების მხარეებს შორის რისკების გადანაწილება;

სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის ეს ნიშნულები არსებითია და ამავე დროს უნივერსალურობითაც კი ხასიათდება; ამასთან უნდა მივანიშნოთ, რომ ამ ნიშნულების მიხედვით ყველა ქვეყნისათვის ცალსახად მისაღები და გასატარებელი გადაწყვეტილებები ან საკითხისადმი მიდგომა პრაქტიკულად არ არსებობს; შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნაში აღნიშნული სახის პარტნიორობის ადექვატური მართვის მეთოდების პრაქტიკულიზაცია თვით ამ პარტნიორობის ფორმირების პოზიციიდან გამომდინარე არერთგვაროვანია. აღნიშნული პირველ რიგში პარტნიორობის სფეროს ორგანიზაციულად წარმართვის მოცემულობას ეხება. ამიტომაც სავსებით დასაშვებია, რომ აღნიშნული სახის პარტნიორობის სახელმწიფოს მხრიდან მაკონტროლებელი და მარეგულირებელი ფუნქცია შესაძლოა ან პროფილური ხასიათის სამინისტრომ(უწყებამ), ან სპეციალურმა უფლებამოსილმა ორგანომ განახორციელოს.

სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის პროცესის წარმართვის კუთხით საინტერესოა დასავლეთის გამოცდილება: კერძოდ, გერმანიაში სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის პროექტის მონაწილეებს შეუძლიათ ფედერალური ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერის ისეთი ინსტრუმენტების იმედი ჰქონდეთ, როგორიცაა სუბვენციის ფორმის დამხმარე ფინანსირება, მიზნობრივი დოტაცია ან გრანტი, მოთხოვნის დათმობის მექანიზმი. დიდ ბრიტანეთში კი ჩამოყალიბდა ეკონომიკური საქმიანობის ახალი დარგი – სახელმწიფო, სამოქალაქო კონტრაქტებისა და კონცესიების დარგი, სადაც სახელმწიფო ჩინოვნიკები არა მხოლოდ მოქმედების წესებისა და ნორმების შემმუშავებლის როლს ასრულებენ, უფრო მეტიც, ისინი კერძო სექტორის მომსახურების თავისებურ ბიზნესმენ-შემსყიდველებადაც გამოდიან. კიდევ უფრო საინტერესო სიტუაციას ვხვდებით ევროგაერთიანების ფარგლებში: სახელმწიფოს

და კერძოს პარტნიორობის შექმნის, ფინანსირების და მონიტორინგის პრობლემის გადაჭრის კუთხით ევროგაერთიანების ქვეყნებში ევროგაერთიანების კომისიის ეგიდით მთელი რიგი გენერალური დირექციები მოქმედებენ. სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის პროექტების მხარდაჭერით კი რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპული ბანკის სტრუქტურები, ასევე მსოფლიო ბანკის ევროპული ჯგუფი და კერძო ინიციატივის მხარდაჭერის მიმართულებით დასპეციალებული საერთაშორისო ფინანსური კორპორაციაა დაკავებული.[1]*

აღნიშნულის ფონზე საინტერესოა დღეს ჩვენთან სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის კუთხით არსებული ქვეყნის ეკონომიკაში არსებული სიტუაცია. აქ პარტნიორობა ძირითადში ინვესტიციის მოზიდვის პოზიციიდან განიხილება და ამ პროცესში სახელმწიფო თანაინვესტორის როლს ასრულებს; იგი თავის ბიზნესს-ინტერესს სრულად იცავს და კერძო ბიზნესს გარკვეულ წინაპირობებს სთავაზობს, და ისიც წამოყენებულ პირობებს ავად თუ კარგად ეთანხმება. ეს კი ხომ სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობას არ წარმოადგენს, აქ ხომ უშუალოდ სახელმწიფოს სახელისუფლებო ძალა და ბიზნესის ფინანსური ძალა, ეს ორი თვისებრივად სხვადასხვა ძალა უბრალოდ არ არის პარტნიორი. არადა სწორედ აღნიშნული მოცემულობა წარმოადგენს სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის პროცესის დედააზრს. ამდენად, გამოდის რომ საქართველოში უბრალოდ არ გვაქვს სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის ის სახე და მოცემულობა რაც ცილიზირებული მსოფლიო ეკონომიკისათვის, ანუ როგორც განვითარებული ისე გარდამავალი საბაზრო ეკონომიკისათვის განვითარების სტრატეგიულ გზას წარმოადგენს. ამ სახის სიტუაციური მოცემულობა სავსებით ლოგიკურია, რამდენადაც ჩვენთან სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის საკითხი ეკონომისტების, იურისტების და სოციოლოგების მხრიდან უბრალოდ შეუსწავლელია, შედეგად კი რეალურია, რომ თუ თეორია ვერ აცნობიერებს ამა თუ იმ ეკონომიკური კატეგორიის ღირებულებას, შესაბამისად, ასევე პრაქტიკა ვერ გებულობს მის ფასს.*[2] ამიტომაც ხაზგასმით მივანიშნებთ, რომ დროა ჩვენმა ქვეყანამ სრულად გაითავისოს და სიღრმისეულად შეიცნოს თანამედროვე ეკონომიკის განვითარების ის ტენდენცია რასაც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია და ა.შ.) მათი ეკონომიკის არსებული რეალობის გათვალისწინებით (მაგ. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ეფექტურობის ასამაღლებლად) და მთლიანად საზოგადოებისათვის სასარგებლო სოციალურ- ეკონომიკურ შედეგის უზრუნველყოფის მიზნით ხდება და ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორული ურთიერთობის თვისებრივად

ახალი სახის ხელისშეწყობისა და განსავითარებლად არსებითი და ქმედითი პოლიტე-

---

* კერძო ფინანსირების ბრიტანული ინიციატივა (*P F I)* არა მარტო ევროპაში, თვით იაპონიაშიც კი გახდა ყურადღების ობიექტი. მაშინ როცა კერძო სექტორი თვითონ საკუთარი საშუალებების ხარჯზე სახელმწიფო ობიექტების მშენებლობას ანხორციელებდა, მათ კერძო ინვესტიციის მოზიდვით გადაწყვიტეს მსხვილი სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ობიექტების - საავტომობილო და სარკინიგზო გზების, სკოლების, საავადმყოფოების მშენებლობა. კერძო ინვესტორის დანახარჯების კომპენსაცია ხორციელდებოდა ან ექსპლუატაციდან მიღებული შემოსავლების ან ბიუჯეტიდან გადასახდელების ხარჯზე. შედეგად არც თუ ისე ხანგრძლივ პერიოდში იაპონიაში სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობა ნაციონალური ეკონომიკის მნიშვნელოვან ელემენტად იქცა. იხ. Государственно-частного партнерства Японский вариарт иницитивы частного финансирования http://dis.ru).

* აქსიომატური ჭეშმარიტებაა, რომ ნებისმიერი სახის ეკონომიკური კატეგორიის (მოვლენის) წარმოშობის პირობების გაანალიზების, მისი არსისა და კონცეფციის, პრინციპების და ნიშნების გაანალიზების გარეშე იგი უბრალოდ გაუაზრებელი რჩება; მოვლენათა განვითარების კვალობაზე კი საზოგადოების ან/და სახელმწიფოს მიერ დასახული მიზნის მიღწევა რთულდება, და უკეთეს შემთხვევაში თავის აქტუალურობას კარგავს. ამ ვითარებაში კი ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების პრაქტიკას სავსებით კანონზომიერად წარმოშობილი დილეტანტიზმი იპყრობს; ის კი თავის მხრივ საღი და გონივრული გადაწყვეტილებების ნიველირებას ახდენს, და საბოლოო ჯამში ეკონომიკური კატეგორიის(პროცესის) მიზეზ-შედეგობრივი მოცემულობა დეგრადირებას განიცდის; საზოგადოება ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური სივრცეში "სოციალურ-ეკონომიკური მირაჟს" ხედავს და მიმდინარე პროცესს უმნიშვნელოდ და ხშირად არეალისტურად აღიქვამს. ანალოგიური სურათი გვაქვს სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორული ურთიერთობის კატეგორიის მიმართ.

კონომიკური ნაბიჯები გადადგას; კერძოდ, მაგალითად პარტნიორობის მთელი სპექტრის გარშემო ამომწურავი და ეფექტური ინფორმაციული კამპანია წამოიწყოს, მობილიზაცია გაუკეთოს ქვეყნის სამეწარმეო სფეროს, მიიღოს სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორული ურთიერთობის დამარეგულირებელი კანონი, რითაც იგი საბოლოო ჯამში სრულად გადაფარავს მაგალითად, "მეწარმეთა შესახებ" კანონით თუ ანტიმონოპოლიური კანონით არსებულ თუ წამოშობილ საკანონმდებლო ხარვეზებს, და საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკაში რეალურად წარმატებული სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის არეალს შექმნის.

სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების იდენტიფიკაცია და მათი სისტემატიზირება შესაძლებელობას იძლევა სრულად წარმოვადგინოთ წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორები:

- სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის პროექტების მხარდაჭერის პოლიტიკური და ინსტიტუციონალური საფუძვლის არსებობა;
- სტაბილური პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო;
- შესაძლებლობისა და რისკების განაწილება;
- სახელმწიფო შეკვეთების გამჭირვალედ განაწილება;
- პარტნიორობის კონკრეტული სახის პროექტიდან დაწყებული რეალისტური სცენარით დამთავრებული ყველა ხარჯისა და სარგებლის ზუსტად დათვლის შესაძლებლობა;
- სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის ფარგლებში პარტნიორზე ადექვატური და ზუსტი ინფორმაციის გავრცელების გზით კეთილსასურველი გარემოს შექმნა.

პარტნიორობის პროცესის წარმატების განმაპირობებელი ზემოთაღნიშნული ფაქტორების პრაქტიკული რეალიზაციის მთავარი ბერკეტი სახელმწიფოა; ამიტომაც კერძო ბიზნესთან პარტნიორობაში სახელმწიფოს მარეგულირებელი საქმიანობის უზრუნველყოფას არსებითი მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნული კი შესაძლებელია სახელმწიფოს მხრიდან შემდეგი სახის ქმედებების უცილობლად განხორციელების შედეგად; კერძოდ,

- სახელმწიფომ უნდა გამოიმუშავოს იმ სახის სტრატეგია და პრინციპები, რომელზედაც დაყრდნობით ბიზნესის ურთიერთობა საზოგადოებასთან და საჯარო ხელისუფლებასთან ჰარმონიულად წარიმართება;
- სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს პარტნიორული ხასიათის პროექტების შესამუშავებლად და სარეალიზაციოდ ინსტიტუციალური გარემო;
- სახელმწიფო დაკავებული იქნეს სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის ორგანიზაციით და მართვით, პარტნიორობის ფორმებითა და მეთოდების, კონკრეტული მექანიზმებით გამოიმუშავებით.

წარმოდგენილი მოსაზრების ფონზე უნდა მივანიშნოთ, რომ სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის საკითხის თეორიული ასპექტის სრული სპექტრი, და აქ არსებული მოთხოვნები ეკონომიკაში განსახორციელებელ ქმედებასთან სრულ შესატყვისობაში უნდა იქნეს მოყვანილი. ამ დროს ორგანიზაციული ან სტრუქტურული მექანიზმის შექმნა და არსებობა ეკონომიკის განვითარების პროცესზე სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის ინსტრუმენტის ძალას ვერ წარმოაჩენს და საზოგადოებრივი მოლოდინიც არც მართლდება. ამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ სახის პარტნიორობის კატეგორიის მოთხოვნის სრულად რეალიზაციის მიზნით ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებისა, ასევე რეგიონის მოცემულობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს კონკრეტულად საქართველოსათვის მისაღები ფორმის ჩამოყალიბება; ამ გზით კი შესაძლებელი გახდება სახელმწიფოს და კერძოს პარტნიორობის არეალში როგორც თეორიის გადასახედიდან ისე პრაქტიკის კუთხით არსებული ე.წ. "შავი ხვრელის" ნიველირება. სხვა შემთხვევაში ქვეყანაში სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის პროცესის მთელი "ღირსება" დევალვირებული იქნება როგორც თეორიული კუთხით ისე პრაქტიკის გადასახედიდან; არადა ჩვენთან ამის ცოცხალი მაგალითები არც თუ ისე ცოტაა: თეორიაში წარმატებით მუსირებს აზრი რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი "ხარჯების შეკავების ერთ-ერთი

ეფექტური მოდელია”(?!), მისი განვითარების მიმართულებად “სახელმწიფოს მიერ დაფუძ-ვნებული საწარმოები”, “ბიზნესის მიერ სახელმწიფოს პროგრამებში ინვესტიციების გამოყ-ენების რეგულირება და მართვა”, “ფირმების მიერ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა და მართვა” და ა.შ. განიხილება.[1]* ამ სახის თეორიული ასპექტის დილეტანტიზმი ნოყიერ ნიადაგს უქმნის პრაქტიკაში

მიმდინარე მთელ რიგ არასასურველ, ზოგჯერ კი სრულიად დეგრადირებული სახის პარტნიორობას. აქ ასეთ სიტუაციაში სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობა ეკონომიკური განვითარების თვისებრივად ახალი ინსტრუმენტი უბრალოდ აღაარაა და ვერც იქნება.

და ბოლოს, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კუთხით საქართველოს მიერ მიღ-წეული მიჯნა საკმაოდ სუსტია და თანამედროვეობის მოთხოვნებს ძალზე ჩამორჩება; ამ მიმართებით ქვეყნის ეკონომიკაში არასრულფასოვან ქმედებს ვაწყდებით, არც თუ ისე იშვიათად იგეგმება და ხორციელდება სრულფასოვნად გაუთვლელი და უფრო მეტად კი პოპულიზმით დატვირთული ეკონომიკური პოლიტიკა. ამ ფონზე სავსებით კანონზომიე-რია, რომ ძალზე აფეშირებული სახელმწიფო პროგრამები (მაგ. “დაასაქმე საქართველო-ში” ან საყოველთაო დაზღვევის პროგრა) სრულებით არ იძლევა იმ სოციალურ-ეკონომი-კურ ეფექტს რასაც სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის კუთხით წამოსულ სიკეთეს კანინზომიერად უნდა მოეცვა. შედეგად ქვეყნის მასშტაბით მეტად საინტერესო სიტუაცია ჩამოყალიბდა: ბიზნესმა ზუსტად დაინახა ეკონომიკური ძალაუფლების სისუსტე სახელმწიფოს მხრიდან, პარტნიორობის არეალში კარგად გათვალა ყველა შესაძლო მისთ-ვის სრულიად მისაღები მოცემულობა (საკანონმდებლო ბაზა, პოლიტეკონომიკური დილე-ტანტიზმი და სოციალური პასუხისმგებლობის დონე) და თავისი ძალა და შესაძლებლობა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროცესს საუცხოოდ მოარგო; კერძოდ, ერთ შემთხვევა-ში, საბანკო ბიზნესმა საღი კონკურენციის არ არსებობით და გაუჭირვალებლობის საკმაოდ მაღალი ნიშნულის ფონზე კიდევ უფრო ხელსაყრელი სახელისუფლებო მხარდაჭერა მიიღო; ან სხვა მაგალითი: სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის არეალში სახელწიფოს მხრიდან უკონტროლობის არნახულმა დონემ ჩვენთან სამედიცინო ბიზნესი ერთ-ერთ “წარმატებულ” სფეროდ აქცია. ჯანდაცვის დეცენტრალიზაციის სასიკეთო მოცემულობამ ძალზე ნოყიერად შეეთვისა ბიუჯეტიდან უზარმაზარი თანხების ხარჯვის პროცესს, და ეს ყოველივე რაოდენ პარადოქსული არ უნდა იყოს სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობის ფასადის ფონზე მიმდინარეობს; აქ კი უბრალოდ ვერ ვხედებით სახელმწიფო პარტნიორობის ორგა-ნიზაციის და მართვის, პარტნიორობის ფორმებისა და მეთოდების კონკრეტულ და ქმედით მექანიზმებს; შედეგად სახელმწიფო კი “ღამის დარაჯის” ფუნქციას წარმატებით ასრულებს. ამ სახის მოცემულობა კი ცივილიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში წარმატებით მიმდინარე სახელმწიფოსა და კერძოს პარტნიორობის საზოგადოებრივი სიკეთის ვერ ან არ გამოყ-ენების რეალობას ქმნის; და შედეგად იმის მაგიერ, რომ საზოგადოებაში სოციალური ფონი გაუმჯობესებულიყო და საყოველთაო კეთილდღეობა მიგვეღო მოჩვენებითი ძვრებს ვაწყდებ-ით – ჩვენი ეკონომიკა უბრალოდ ვერ ხედავს წარმატებისა და წინსვლის იმ სტრატეგიულ რესურს, რასაც პარტნიორობის აღნიშნული სახე პოტენციაში გააჩნია. აღნიშნული სიტუ-აციიდან წარმატებით თავის დაღწევის ერთ-ერთი ქმედითი გზა სახელმწიფოსა და კერძოს შორის პარტნიორობის ფართოდ და დაუბრკოლებლად განშლა და განვითარება არის.

[1] იხ. თ. ვერულავა. "სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი – ჯანდაცვის ინივაციური მექანიზმი". www. jandacva. ge. ე. მოწონელიძე სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის როლი ჯანდაცვაში ორგანი-ზაციულ-ეკონომიკური სისტემის სრულყოფის საქმეში. ჟურ. "ბიზნეს-ინჟინერინგი". 2015 წ. N 4 გვ. 54.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. თალაკნაძე. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და ეთიკა. თბილისი. გამომცემლობა "ინოვაცია" 2006
2. თ. ვერულავა "სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მოდელი – ჯანდაცვის ინივაციური მექანიზმი"
3. ე. მოწონელიძე სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის როლი ჯანდაცვაში ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის სრულყოფის საქმეში. ჟურ. "ბიზნეს-ინჟინერინგი". 2015 წ. 4
4. А. И. Тамаркин, О. А. Романова, Ю. Г. Лаврикова. Теоретические основы государственно-частного партнрства . http: // bmpravo.ru.
5. Государственно-частного партнерства Японский вариарт иницитивы частного финансирования http://dis.ru.

State and Private Partnership

Anzor Abralava
Zurab Jorbenadze

Summary

Nowadays two the most important economic systems – the State and the Private systems have become partners. Therefore there are lots of partnership institutions and corporations that serve the interest of both – the State and the Private Sector. Partnership between the state and the private is a strategic resource for economic development of the country. The issue of partnership between the State and the Private Sector is very important for Georgia and its developing economy. The government is making great effort to develop the economy: financial, material and intellectual resources are spent to make the society more rewarding. Meanwhile modern tendencies of partnership between the State and the Private sectors are becoming more and more important.

Key words: *State, Private, business, partnership, private financial initiative, infrastructural project*

ციფრული ეკონომიკის ეკოსისტემა საქართველოში

აბულაძე რატი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ყურაშვილი გუგული
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

კაკულაშვილი ზოია
საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბტრაქტი

უკანასკნელ ათწლეულში, ციფრულმა პროცესებმა გამოიწვია საზოგადოების, ბიზნესისა და სახელმწიფოს გარდაქმნა. გახდა არა მხოლოდ ეკონომიკის ინტეგრირებული ნაწილი, არამედ წარმოდგა, როგორც ციფრული ეკონომიკა. დღეს, ციფრული ეკონომიკა ხასიათდება მაღალი ზრდით, ინოვაციური განვითარებით, ეკონომიკის სხვა სექტორებში ფართო გამოყენებით.

სტატიაში განხილულია ციფრული ეკონომიკის ეკოსისტემა, შეფასებულია ციფრული ეკონომიკის სპექტრი, გაანალიზებულია ციფრული ეკონომიკის ფაქტიური საფუძველი და კომპონენტები.

მარკეტინგული კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა საქართველოს ციფრული გარემოს განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები, განისაზღვრა პოტენციალი და შესაძლო საფრთხეები (გაკეთდა SWOT ანალიზი).

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ეკონომიკა, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული საზოგადოება, ელექტრონული მთავრობა*

ძირითადი ტექსტი

I. ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია ეკონომიკაში

ციფრული ეკონომიკა წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სექტორს, რომელიც ქვეყნის ზრდის მამოძრავებელია. ციფრული ეკონომიკის გავლენა ვრცელდება ეკონომიკის სხვა სფეროებში ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურებაზე [1].

ციფრული ეკონომიკა მიეკუთვნება ეკონომიკას, რომელიც დაფუძნებულია ციფრულ ტექნლოგიებზე[2]. ციფრული ეკონომიკა წარმოადგენს ყოვლისმომცველ ტერმინს, რომელიც გამოიყენება ციფრულ ტექნოლოგიებზე ფოკუსირებული ბაზრების აღწერისათვის. როგორც წესი მოიცავს ელექტრონული კომერციის მეშვეობით ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების ვაჭრობას.

ციფრული ეკონომიკა განიხილება ფართო სპექტრის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მოიცავს: ციფრული ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენებას, როგორც წარმოების საკვანძო ფაქტორი; თანამედროვე ინფორმაციულ ქსელებს, როგორც მნიშვნელოვანი სივრცითი აქტივობა; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, როგორცპროდუქტიულობის ზრდის მამოძრავებელი და ეკონომიკის სტრუქტურული ოპტიმიზაციის ხელშემწყობი; ინტერნეტს, ქლოუდ კომპიუტინგს, დიდ მონაცემებს, ინტერნეტ საგნებს, ფინთექსა და სხვა ახალი ციფრული ტექნოლოგიების გამოიყენებას ციფრულ ფორმატში მონაცემთა შენახვის, ანალიზისა და გაცვლისათვის; სოციალური ურთიერთქმედების ტრანსფორმაციას. ციფროვიზაცია, ქსელური და ინტელექტუალური Iჩთ უზრუნველყოფს თანამედროვე სახის ეკონომიკურ აქტივობას , რომ იყოს მეტად მოქნილი და სწრაფი, სწრაფი და ჭკვიანი[3]:

ციფრული ეკონომიკის ერაში შეიცვალა ცხოვრების სიდიდეები: პლატფორმები, ეკოსისტემები, ოპტიმიზებული ეკოსისტემების ძალა, ციფრული აქტივები და ინოვაციური კაპიტალი, კანონები და ქსელური ეფექტი, ციფრული სიმჭიდროვე და დაუბეგრავი საქონელი და სხვა[4]. შეიცვალა ცხოვრების ყველა ასპექტი: პროდუქტები, ფასეულობის ჯაჭვი, მიწოდების ჯაჭვის კონტროლი, ფიზიკური აქტივები და კაპიტალის ცვეთა, მშპ, როგორც ეკონომიკის საზომი და სხვა[4].

თანამედროვე გამოწვევების პირობებში, ეკონომისტები, ეკონომიკური ზრდის მოდელირებას ახდენენ კაპიტალის, სამუშაო ძალისა და ტექნოლოგიების ხარჯზე[5]. ასევე, ეკონომიკის პლატფორმის კონცეფციაში, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ციფრული ეკონომიკის პლატორმა, რომელსაც შეუძლია ბიზნესისა და მთავრობის პრობლემის გადაჭრა.

ციფრული ეკონომიკა ბაზირდება სამ ძირითად პრინციპზე: ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა; ელექტრონული ბიზნესი; ელექტრონული კომერცია [1].

ინტერნეტი წარმოადგენს პლატფორმას მილიონობით ტრანზაქციისა და კომუნიკაციისათვის, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკაში. The McKinsey Global Institute -ის მიერ შემუშავებული iGDP", ზომავს ინტერნეტის გავლენას მოცემული ეკონომიკის ჩარჩოებში. იყენებს ხარჯების მეთოდს მშპ-ს გამოთვლისას, ყველა სახის აქტივობის შეფასებას, დაკავშირებული ინტერნეტ ქსელის შექმნასა და გამოყენებასთან. იგი მოიცავს: კერძო მოხმარება; საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ხარჯები; კერძო ინვესტიციები; სავაჭრო ბალანსი [6].

The Global innovation-mediated paradigm shift (GIMPS) კვლევის საფუძველზე, ქვეყნის ციფრული ეკონომიკის ტენდენციის განსაზღვრისა და მოქმედებაში მოყვანისათვის უნდა განვიხილოთ 4 ძირითადი მიმართულებით: ტექნოლოგიები; პოლიტიკა; ხალხი; სტრატეგია[7].

II. ციფრული ეკონომიკის ეკოსისტემა

ციფრული ეკონომიკის პოტენციური ძალა თითოეულ მომხმარებელს თუ ბიზნეს ციფრული ინოვაციების გავლენის ქვეშ აქცევს. კარგი ბიზნეს სტრატეგია იწყება არა პროდუქტითა თუ კომერციული მოდელით, არამედ მომხმარებლით (მომხმარებლის მოთხოვნილებებზე ორიენტირებით.

ეკონომიკის ციფრული გარდაქმნა ჩვენი დროის მნიშვნელოვანი გამოწვევაა[8]. მაგალითად, ციფრული ეკონომიკის შესაძლებლობების საზღვრები ფართოა კომპანიათა ერთი ნაწილისათვის, ხოლო დამანგრეველია მეორე ნაწილისათვის. კვლევითი კომპანიის MIT Sloal -ის კვლევის თანახმად, კომპანიები, რომლებმაც შეძლეს ციფრულ გარემოში ადაპტირება, 26%-ით უფრო მომგებიანია, ვიდრე ის ფირმები, რომელთაც ადაპტირება ვერ შეძლეს. ამასთან, კომპანიების 50%-ზე მეტი, თავიანთი შემოსავლებში დიდი წილითაა წარმოდგენილი ციფრული ეკოსისტემა, ვიდრე ტრადიციული ინდუსტრია[8].

ციფრული ეკონომიკა შესაძლებლობას იძლევა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა განხორციელდეს ელექტრონული კომერციის მეშვეობით ინტერნეტში (OECD)[9]. შესაბამისად, ელექტრონულ კომერციას, ინტერნეტს, კომპიუტინგს, მობილურ კომუნიკაციას აქვს ტრანსფორმაციის გავლენა ბიზნესის წარმატებაზე. ციფრული პლატფორმების გავლენით, პროდუქტი და მომსახურება სცილდება ინფორმაციული და საკომუნიკაციო სექტორის საზღვრებს[10].

2005 წელს ციფრული ეკონომიკა გლობალური ეკონომიკის 15%-ს შეადგენდა[11], 2015 წელს ციფრული ეკონომიკის წილი 20% იყო [12], პროგნოზით 2020 წლისათვის მისი წილი 25%-მდე გაიზრდება.

კომპანიების რაოდენობა, რომლებიც ციფრული ეკონომიკის ნაწილს წარმოადგენს, 5 წელიწადში გაიზარდა 30%-ით. შესაბამისად, სამუშაო ადგილების რაოდენობა გაიზარდა

5%-ით. აღსანიშნია, რომ საწარმოების 9%, რომლებიცწარმოდგენილია ციფრულ სამუშაოთი, ქმნიან ნაციონალური წარმოების 7%-ს[13].

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის ანგარიშით, წლიურად ციფრული ეკონომიკის წილად მოდის მშპ-ს პოტენციური ზრდა 0.43%-ითა და 2.7 მლნ სამუშაო ადგილის შექმნით[14].კვლევები ადასტურებს, რომ ინტერნეტთან დაკავშირებული ხარჯების წილით, ქვეყნის მშპ-თან მიმართებაში ლიდერობს დიდი ბრიტანეთი (ინტერნეტთან დაკავშირებული ხარჯების წილი მშპ-ში არის 6.7%), მეორე ადგილს იკავებს სამხრეთ კორეა (5.9%) , სამეულში შედის იაპონია (5.6%), ხუთეულს მოიცავს შვედეთი (5%) და ჩინეთი (4.4%), მეექვსე ადგილს იკავებს აშშ-ი (4.3%), მე-7 ადგილს საფრანგეთი (4.2%), მე-8 ადგილს გერმანია - (3.7%), ათეულს აბოლოებს კანადა (3.4% და იტალია (2.6%). მათ ჩამორჩება ინდოეთი(2.1%), რუსეთი (1.9%) და ბრაზილია (1.7%)[6].

III. საქართველოს ციფრული გარემო

ციფრული პროცესი, ქვეყნის ნაციონალური კონკურენტუნარიანობის პირობებში, სტრატეგიულად აძლიერებს საქართველოს მაკროეკონომიკურ გარემოს, ადგილობრივ მწარმოებელთა ჯგუფებისა და ფირმების ქცევას. ამაღლებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, ზრდის ეკონომიკას და მდგრადს ხდის ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პლატფორმას [15].

დღეს, საქართველოში ციფრულ პროცესებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სახელმწიფოს გარემოსა და მმართველობით პროცესებზე, ბიზნეს სივრცესა და მოდელებზე. ბოლო პერიოდში, ქვეყნის ციფრული გარემო უზრუნველყოფს ახალი ტექნო-ლოგიების ფართო მისაწვდომობას, სტიმულირებს მცირე და საშუალო ინტერნეტ-კომპანიე-ბის წარმოქმნას, გენერირებს ციფრული ეკონომიკის ზრდას. ქვეყანაში, ციფრული პროცესები სტიმულირებს სამუშაო ადგილების შექმნას, კაპიტალისა და რესურსების ეფექტიან გამოყენება, ეკონომიკური ზრდის გენერირებას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევის ანგარიშით, საქართველო ქსელური მზადყოფნის ინდექსით იმყოფება 58-ე ადგილზე, ეკონომიკური გავლენით 91-ე ადგილზე, ხოლო სოციალური გავლენით - 44-ე ადგილზე. აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევის თანახმად, ICT-თან დაკავშირებული კანონების მდგომარეობით იმყოფება - 76-ე ადილზე, ბიზნეს ტრანსაქციებში ICT-ის გამოყენებით (B2B მოდელი)იმყოფება 79-ე ადგილზე, ხოლო ბიზნესი-მომხმარებლის მოდელში ინტერნეტის გამოყენებით (B2C მოდელი)იმყოფება 94 ადგილზე. რაც შეეხება მთავრობაში ICT-ის მნიშვნელობით ქვეყანა იმყოფება 81-ე ადგილზე[14].

საქართველოში, ციფრული გარემოს შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ტენდენციები: მაღალია შინამეურნეობების მიერ ინტერნეტთან წვდომა (2016 წელს 70,7%-ს ჰქონდა წვდომა), საშუალო დონისაა პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტებთან დაკავშირებული აქტივობა, ხოლო მოსახლეობის მიერ მობილურ ტელეფონის ფლობა და გამოყენება მაღალი (2016 წელს იყო 78.8%) .

საწარმოთა ინოვაციური აქტივობა აჩვენებს, რომ საწარმოთა ნახევრზე მეტმა (51.2%-მა) 2013-2015 წლებში შემოიტანა ახალი (ან არსებითადგაუმჯობესებული) მომსახურება; 23%-მა შემოტანა ახალი (ან არსებითად გაუმჯობესებული) ლოჯისტიკის, მიწოდების და დისტრიბუციის მეთოდები; საწარმოთა 35.5%-მა შემოიტანა ახალი (ან არსებითად გაუმჯობესებული) მხარდამჭერი აქტივობები(მაგალითად, შესყიდვების, საბუღალტრო აღრიცხვის, გამოთვლების მომსახურების სისტემები).

აღსანიშნავია, რომ საწარმოთა 17.1% ჩართული იყო კვლევებსა და დამუშავებებში, საწარმოთა 27.2% განახორციელა მანქანა დანადგარებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, საწარმოთა 15.1%-მა განახორციელა ინოვაციურ აქტივობასთან დაკავშირებული სწავლება, ხოლო 11.7%-მა კი ინოვაციების შეტანა ბაზარზე.

საქართველოს ციფრული სივრცეში, დაფიქსირდა საწარმოების დიდი აქტივობა. კერძოდ:

საწარმოთა მეოთხედმა (24.6%-მა) აღნიშნა, რომ 2013-2015 წწ-ში განახორციელა ახალი მედიის ან ტექნიკის შემოტანა პროდუქციის პოპულარიზაციისთვის (მაგ. ახალი სარეკლამო მედია, ახალი ბრენდის იმიჯი, დაგროვებითი ბარათები და ა.შ.), ხოლო საწარმოთა 19.5%-მა განახორციელა პროდუქციის განთავსების ან გასაღების ახალი არხების შემოტანა (მაგ. ახალი ფრანჩიზები ან დისტრიბუციის ლიცენზიები, პირდაპირი გაყიდვები, ექსკლუზიური საცალო გაყიდვები, ახალი კონცეფციები პროდუქციის პრეზენტაციისთვის და ა.შ.[16].

ჯამში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ითვალისწინებს იმ აღიარებულ დოგმას,რომ ციფრული ეკონომიკა ადვილად ხდება ეკონომიკა. სტრატეგიულად მოაზროვნე მთავრობა გვევლინება „ციფრული ბროკერის“ სახით, ახორციელებს საკუთარ ერთან და ბიზნესთან ციფრული თავსებადობის ხელშეწყობას, სტიმულირებასა და მხარდაჭერას, რადგან სწორედ საზოგადოება და ბიზნესი ისწრაფვის კონკურენციისა და ეკონომიკაში ინტეგრირებისაკენ [17].

IV. საქართველოს ციფრული სივრცის მარკეტინგული კვლევა

საქართველოში, ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული ბიზნეს პროცესების შესწავლის მიზნით ჩატარდა მარკეტინგული კვლევა.

გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგიის შექმნა.

მარკეტინგული კვლევის ფარგლებში, შესწავლილი იქნა ბიზნეს სექტორის ონლაინ მომსახურებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულება, გამოყენების მოტივები, მომსახურების შერჩევისას გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორები, განხილულია ქართული ონლაინ მედია, ნაჩვენებია ელექტრონული მომსახურების მიღებისათვის გაღებული ხარჯი და წარმოდგენილია ელექტრონული მომსახურების ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები.

მარკეტინგული კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს ინტერნეტ-ბაზარზე, რესპონდენტთა 44,7%-ში პოპულარობით სარგებლობს ინფორმაციული მომსახურება, მომხმარებლების 37,3% ინტერესდება საგანმანათლებლო მომსახურებით, გამოკითხულთა 34,3% იყენებს საძიებო სისტემებს, ინტერნეტ-მომხმარებლების 17,9% აქტიურად მოიხმარს ფინანსურ მომსახურებას, კვლევაში მონაწილე პირთა 11,5% უპირატესობას ანიჭებს ონლაინ ტურისტულ მომსახურებას. ასევე, ინტერნეტ-მომხმარებლებში განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს ონლაინ თამაშები, ონლაინ აპლიკაციები, ელექტრონული ბირჟა და მომსახურების სხვა სახეები .

კვლევისას დადგინდა ინტერნეტ-მომხმარებელთა მიერ შესყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასა და მომსახურების არჩევაზე ზემოქმედი ფაქტორები. კვლევამ ცხადყო, რომ ინტერნეტ-მომხმარებელთა 32,8% ონლაინ ბიზნეს მომსახურებას ხელსაყრელობის გამო ირჩევს; გამოკითხულთა 25,1% უპირატესობას მომხმარებლის საჭიროებებზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს ანიჭებს; კვლევაში მონაწილე პირთა 19,4%-ის არჩევანს დაბალი ფასი განაპირობებს; მომხმარებლთა 16,8% ინტერნეტ-ორგანიზაციებს ირჩევს ეფექტური საინფორმაციო პოლიტიკის გამო; რესპონდენტთა 16,4%-ს მრავალფეროვანი მომსახურება იზიდავს, ხოლო ინტერნეტ-მომხმარებელთა 11,9% ყურადღებას ამახვილებს დროის ეკონომიაზე. ასევე, ონლაინ ბიზნეს მომსახურების არჩევისას, რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანია: ანონიმურობა (8%), გამყიდველთა სწრაფი ინტერაქტიულობა (5,3%), მოქნილი ფასწარმოქმნის პოლიტიკა (3,4%), ემოციური/დამარწმუნებელი ზეგავლენისაგან თავის არიდება (3%) .

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში, კერძო სექტორის ონლაინ მომსახურების ორგანიზაციების განვითარებას განაპირობებს ინტერნეტ-მოხმარებელთა სეგმენტის ზრდა, გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მოქნილობა და

გლობალური ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტის/მომსახურების წარმოება/ წარდგენა.

რესპონდენტთა გადმოცემით, კერძო სექტორის ონლაინ მომსახურების ორგანიზაციების შერჩევისას, მნიშვნელოვანია ინტერნეტ-კომპანიის იმიჯი და პოპულარობა (აღნიშნა 28,4%-მა), ინტერნეტ-კომპანიების შერჩევისას მომხმარებელთა 22,3% უპირატესობას ანიჭებს მომსახურების ღირებულებას, გამოკითხულთა 21,9% ძირითად ყურადღებას ამახვილებს მიწოდების ფასსა და ვადებზე, კვლევაში მონაწილე პირთა 19,9% მნიშვნელოვნად მიიჩნევს პირადი წყაროების (მეგობრების/ოჯახის) რეკომენდაციას. ასევე, რესპონდენთა მიერ დასახელდა ინტერნეტ-კომპანიების თანამშრომელთა პროფესიონალიზმი (17,8%), მრავალფეროვანი პროდუქტი და მომსახურების ნაკრები (15%), წებ-საიტის სახე და დიზანი (8,7%), მოქნილი ფასწარმოქმნის პოლიტიკა (6,4%) .

საქართველოში, ელექტრონული საგადასახადო ინსტრუმენტების კვლევისას დადგინდა, რომ მომხმარებლების 27,3% ნაღდ ანგარიშსწორებას ამჯობინებს, რესპონდენტთა 23,5% ინტერნეტ-ბანკით/საბანკო გადარიცხვას ირჩევს, ინტერნეტ-მომხმარებელთა 11,9% პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებას ირჩევს, კვლევაში მონაწილე პირთა 10,1% ტერმინალზე ანგარიშსწორებას მიმართავს. აღსანიშნავია, რომ ანგარიშსწორების სხვა ფორმები ნაკლებ პოპულარულია და 4,8%- ს არ აღემატება .

მარკეტინგული კვლევის ფარგლებში, გამოვლინდა რესპონდენტთა მიერ ონლაინ ვაჭრობის/მომსახურების სარგებლობაზე გაწეული ხარჯი. კვლევამ დაადასტურა, რომ ინტერნეტ-მომხმარებლების 23,6% ონლაინ ვაჭრობის/მომსახურების მიღებისათვის 50 ლარამდე ხარჯავს, კვლევაში მონაწილე პირთა 10,3% –50-100 ლარს ხარჯავს, გამოკითხულთა 18,7% ონლაინ ვაჭრობის/მომსახურებაზე 101-300 ლარს ხარჯავს, რესპონდენტთა 4,4%-ის მიერ გაწეული ხარჯი, 301-500 ლარის ფარგლებში მერყეობს, მომხმარებელთა 1,7%-ის ონლაინ ბაზარზე გაღებული დანახარჯი 501-1000 ლარს შეადგენს, ხოლო კვლევაში მონაწილე პირთა 1,5%-ის ხარჯი 1000 ლარზე მეტია. კვლევისას, რესპონდენტთა 34,4%-მა ონლაინ ვაჭრობის/მომსახურების მიღებაზე გაწეული ხარჯის დასახელებაზე უარი განაცხადა .

მარკეტინგული კვლევისას აღმოჩნდა შემდეგი: რესპონდენტთა 32,4%, საქართველოში, ელექტრონული მომსახურების ბაზრის განვითარებისათვის ინტერნეტ-წიგნიერებისა და ინფორმაციულობის ამაღლების ღონისძიებების გატარებას მიიჩნევს; მოქალაქეთა 26,3%, პრობლემების გადაჭრისათვის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასახელებს; გამოკითხულთა 25,5% თვლის, რომ ბაზრის განვითარებისათვის მრავალფეროვანი ქართულენოვანი კონტენტია საჭირო; მომხმარებელთა 17%-ს მნიშვნელოვნად მიაჩნია ინტერნეტ-მომხმარებელთა სეგმენტის ზრდა. კვლევაში მონაწილე პირთა 15,3% ინტერნეტ-მარკეტინგის ინსტრუმენტების ეფექტურ გამოყენებას მიიჩნევს. ასევე, ელექტრონული მომსახურების ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების კვლევისას დასახელდა: კომუნიკაციური და ინტერაქტიული პოლიტიკის (11,7%), საგარანტიო მექანიზმების (10,7%), ინტერნეტ-მაღაზიების დიზაინის (10,8%), ინტერნეტ-ბაზრის სამთავრობო სუბსიდირება/ ხელშეწყობის (9,9%) აუცილებლობა. აზრი ვერ გამოხატა რესპონდენტთა 5,7%-მა .

მარკეტინგული კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდა საქართველოს ციფრული გარემოს განვითარების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები, განისაზღვრა პოტენციალი და შესაძლო საფრთხეები

- **ძლიერი მხარეები**: პოლიტიკური ნება და მშვიდობიანი საზოგადოება; სახელმწიფო ორგანოების მიერ ელექტრონული მთავრობის სისტემის დანერგვის ძალისხმევა; სტრატეგიული გეოგრაფიული განლაგება; ელექტრონული მომსახურების აპლიკაციების მრავალფეროვნება; მომხმარებელთა მიერ ე-მთავრობის მომსახურების სარგებლის აღქმის მაღალი დონე; საზოგადოებრივი მოლოდინი და სურვილი; ელექტრონული მომსახურების კულტურა და სავალდებულო მოთხოვნები; პრობლემების

იდენტიფიცირებისა და მისი გადაწყვეტისათვის მდიდარი ადგილობრივი რესურსები;

- **სუსტი მხარეები:** ელექტრონული მომსახურების მიღების შესაძლებლობებსა და სახეებზე დაბალი ინფორმაციულობა; სამთავრობო ვებ-საიტებზე ინფორმაციულობის განახლების დაბალი ინტენსივობა; კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის დაგვიანებული პროცესი ; ბრენდირების კომპონენტის არარსებობა; მძიმე სოციალ-ეკონომიკური ფონი და ინტერნეტის მაღალი ფასი; ინტერნეტ-კომერციის სუსტი ზრდა; ელექტრონული მთავრობის მომსახურების შესახებ დაბალი ინფორმაციულობა; მობილური მთავრობის აპლიკაციების ნაკლებობა; სამართლებრივი გარემოს სირთულეები; უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულება; ტექნოლოგიებისა და ინოვაციური პროგრესის ხელშემწყობი პროგრამების, ინფრასტრუქტურის, კვლევით ცენტრების დაფინანსების ნაკლებობა; რეგიონული ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული დისპროპორცია; ციფრული პოლიტიკის ფორმირების საკანონმდებლო და მარეგულირებელი ინიციატივების არარსებობა;
- **შესაძლებლობები:** საქართველოს ტექნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება; ახალი ბაზრები; მეზობელ ქვეყნებთან ტექნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია; მიმზიდველი საინვესტიციო ციფრული გარემო; ცვლილებებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოქნილობა; ინტერნეტ-მომსახურებისა და ინტერნეტ აპლიკაციების განვითარება; მობილური ინტერნეტ-ქსელის მისაწვდომობა და დაფარვა საქართველოს დასახლებული ტერიტორიის 98%-ზე; ინტერნეტ-ბაზრის პოტენციალის ზრდა; მოსახლეობის ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის ზრდა; სახელმწიფოს ელექტრონული მომსახურებისადმი მოქალაქეების ინტერესების ზრდა;
- **საფრთხეები:** ინფორმაციული ოკუპაცია, ინფორმაციული აგრესია; ინფორმაცია, როგორც დეზინფორმაციის იარაღი; რაიონებში/სოფლებში კვალიფიციური სპეციალისტების დეფიციტი; ელექტრონული მთავრობის გაურკვეული და არაფორმირებული იმიჯი; სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გარემოს ცვლილებები; გლობალიზაციის საფრთხეები; გლობალური კიბერსაფრთხეები; ტექნოლოგიური ცვლილებები; სეისმური პოლიტიკური გარემო; ეკონომიკური კრიზისები და ციკლური რყევები; არასტაბილური სოციალური პირობები და ღრმა უთანასწორობა; კონფლიქტური რეგიონული გარემო;

დასკვნები და წინადადებები

არსებული გამოწვევები ითხოვს ცვლილებებთან მორგებასა და ადაპტირებას. მთავრობა, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს ზრდა და კეთილდღეობა, ტექნოლოგიების განვითარების ფონზე, განვითარების ძველი მოდელი და სტრატეგია მუდმივად უნდა ცვალოს, იმისათვის, რომ მიიღოს ციფრული გარდაქმნის სარგებელი[17].

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებსა და პროგრამებში ტექნოლოგიები წარმოადგენს არა წამყვან მიმართულებას არამედ ქვემიმართულებას, შესაბამისად, ამ მიმართულების განვითარებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მოცულობადი არაა[18].

ჯამში, საქართველოში, ციფრული ეკონომიკის ეკოსისტემის აგებისათვის საჭიროა:

- ციფრული ჩართულობის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება და სტრატეგიული მიდგომების შემუშავება;;
- ციფრული წიგნიერების პოლიტიკის გატარება. საზოგადოების იფორმირება, სწავლება და აქტიური აგიტაცია-პროპანაგდა. ციფრული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ამაღლების ღონისძიებები;
- პროგრამული უზრუნველყოფის ინსფრასტრუქტურის ფორმირება; ყოველი

სამთავრობო დონე უნდა დაეხმაროს რეგიონს, მუნიციპალიტეტს, სოფელს (და პირიქით) [19];

- შემუშავდეს ციფრული ინოვაციების კომერციალიზაციის ხელშეწყობი პროგრამები, ციფრული ტექნოლოგიების ლაბორატორიები, ციფრული რეგიონის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგია;
- ადგილობრივი ალიანსების შექმნა ისეთი ორგანიზაციებისაგან , როგორიცაა: სტარტაპ საზოგადოება, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამოქალაქო საზოგადოება, სკოლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, მთავრობა, ლოკალური ინდუსტრია, მცირე ბიზნესი, ციფრული უთანასწორობის აქტივისტები [19];
- ონლაინ სოციალ-ეთიკური პასუხისმგებლობის ზრდისათვის გამკაცრდეს სამართლებრივი ნორმები;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. EU-Japan Centre for Industrial Cooperation . DIGITAL ECONOMY IN JAPAN AND THE EU -AN ASSESSMENT OF THE COMMON CHALLENGES AND THE COLLABORATION POTENTIAL. Tokyo, March 2015. http://cdnsite.eu-japan.eu/sites/default/files/publications/docs/digitaleconomy_final.pdf
2. https://policy.bcs.org/sites/policy.bcs.org/files/digital%20economy%20Final%20version_0.pdf
3. http://www.g20chn.com/xwzxEnglish/sum_ann/201609/P020160912341422794014.pdf
4. Accenture. Platform Economy: Technology-driven business model innovation from the outside in. Technology Vision 2016. https://www.accenture.com/fr-fr/_acnmedia/PDF-2/Accenture-Platform-Economy-Technology-Vision-2016-france.pdf
5. Barro, Robert J., and Xavier Sala-i-Martin. 2004. Economic growth. 2nd ed. Cambridge, Mass: MIT Press. http://mitpress.mit.edu/books/economic-growth
6. McKinsey Global Institute. China's digital transformation:The Internet's impact onproductivity and growth. July 2014.
7. EtoundiR.A., Mani Onana F.S., Olle Olle G. D., Eteme A.A. DEVELOPMENT OF THE DIGITAL ECONOMY IN CAMEROON: CHALLENGES AND PERSPECTIVES.The Electronic Journal of Information Systems in Developing Countries. EJISDC (2016) 76, 7, 1-24.
8. Lindsey Anderson L. , Wladawsky-Berger I. The 4 Things It Takes to Succeed in the Digital Economy. 24 March, 2016. https://hbr.org/2016/03/the-4-things-it-takes-to-succeed-in-the-digital-economy
9. http://www.oecd.org/daf/competition/The-Digital-Economy-2012.pdf
10. Digital economy strategy | 2015-2018. Technology Strategy Board .February 2015 T15/004. www.innovateuk.gov.uk
11. https://www.accenture.com/fr-fr/_acnmedia/PDF-2/Accenture-Platform-Economy-Technology-Vision-2016-france.pdf
12. აბულაძე რ. საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია. მეორე გამოცემა. მონოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2015.
13. http://www.economist.com/news/britain/21700468-digital-economy
14. World Economic Forum. The Global Information Technology Report 2016. Innovating in the Digital Economy.http://www3.weforum.org/docs/GITR2016/GITR_2016_full%20report_final.pdf
15. აბულაძე რ. ელექტრონული მთავრობა. სახელმძღვანელო. გამომცემლობა "უნივერსალი", თბილისი, 2013.
16. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge/?action=page&p_

id=2290&lang=geo
17. https://www.weforum.org/agenda/2015/03/4-reasons-developing-countries-need-digital/
18. http://www.mof.ge/
19. www.DigitalCityMechanics.com

Digital economy system in Georgia

Rati Abuladze,
Guguli Kurashvili
Zoia Kakulashvili

Summary

Last decades, digital processes caused the transformation of society, business, and government. It has become not only a part of economic integration, but it has also performed as a digital economy. Today, the digital economy is characterized by a high growth, innovative development, and wide utilization in the different sectors of economy.

Digital economy includes markets based on digital technologies, which facilitates the trade of goods and services through e-commerce. The key factor of the economic growth is the development of digital sector.

The article discusses an ecosystem of the digital economy, evaluates a range of the digital economy, analyses an actual foundation and components of the digital economy.

The research demonstrates the influence of the digital technologies on the society's life, and citizens' digital activity.

The article presents the digital environment of Georgia, innovation activities of households and enterprises in the digital environment.

Concrete measures to be taken are suggested as a conclusion.

პერსონალის დაგეგმვის პრობლემები

ამყოლაძე გურამ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი
დევიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფო პროგრამით გატარდა რეფორმები (რესტრუქტურიზაცია, პრივატიზაცია, ეკონომიკური რეფორმები), რამაც კომპანიების საქმიანობაში შექმნა პერსონალის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და გამოყენების შესაძლებლობები. რეფორმების შედეგად თანამედროვე ეტაპზე შეიცვალა მიდგომები კომპანიის პერსონალის პროფესიული და პიროვნული თვისებების მიმართ. შედეგად, გამოიკვეთა კომპანიათა საკადრო სტრუქტურის ცვლილების ახალი ტენდენციები, ამიტომ კომპანიის წარმატების მისაღწევად, მენეჯერული გუნდის ეფექტიანად გამოყენების მიზნით საჭიროა პერსონალის დაგეგმვა და მეტი მუშაობა, რათა ამ მაჩვენებელმა მიაღწიოს უმაღლეს დონეს.

საკვანძო სიტყვები: *პერსონალი, პერსონალის დაგეგმვა, დაგეგმვისვ პრინციპები.*

შესავალი

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ბიზნეს ობიექტებში პერსონალის მართვის მნიშვნელოვან ამოცანებს წარმოადგენს: ურთიერთობების (პირადულ-ინდივიდუალური, ჯგუფური, გუნდური) ანალიზი, რეგულირება და მართვა, თანამშრომლობის სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო (გარემოცვა) მმართველობისა და თანამშრომლების ურთიერთობები, სოციალური კონფერენციების და სტრესების მართვა, პერსონალის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბება, დასაქმების პოლიტიკის განსაზღვრა და ეფექტიანი მართვა, ვაკანსიების სიდიდის განსაზღვრა და ქვედანაყოფების პერსონალზე მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის ვაკანტურ ადგილებზე კანდიდატების შერჩევა და შეფასება, საკადრო პოტენციალის ანალიზი და პერსონალიზე მოთხოვნა, პერსონალის მარკეტინგ, საქმიანი კარიერის დაგეგმვა და კონტროლი, მომუშავეთა პროფესიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური ადაპტაცია, შრომითი მოტივაციის მართვა, შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი საკითხები, ფსიქოფიზიოლოგია, ერგონომიკა და შრომის ესთეთიკა.საბაზრო პირობებში საქმიანობისას ეს ამოცანები წარმოადგენს ყოველი ორგანიზაციის უპირველეს ამოცანას.

თანამედროვე პირობებში (ბიზნესის ობიექტებში) პერსონალის მენეჯმენტის ძირითად კონცეფციას წარმოადგენს: მომუშავის პიროვნების როლი, მისი მოტივაციური განწყობის ცოდნა, მათი ფორმირება და წარმართვა იმ ამოცანების შესაბამისად, რაც აუცილებელია შესასრულებლად მოცემულ პერიოდში.

ბიზნეს ობიექტების ბაზარზე წარმატების მისაღწევად პირველ რიგში საჭიროა მოგვარებული ჰქონდეს პერსონალის შერჩევის საკითხები, პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიულ კადრებთან სხვადასხვა იმ ფირმებისათვის რომლებიც იწყებენ თავის საქმიანობას და სულ სხვა სახე აქვს პრობლემებს, რომლის გადალახვა სჭირდება ბაზარზე მოქმედ ფირმებს.

პირველ შემთხვევაში პერსონალის მენეჯმენტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საერთოდ მთელი პერსონალის ადაპტირებას ფირმის მიზნებისა და ამოცანების, ტექნიკისა და ტექნოლოგიების, თანამშრომელთა და მმართველური კადრების ურთიერთობის მიმართ.

ამ ამოცანის შესრულებაში ჩართულია არა მარტო პერსონალის მენეჯმენტი, არამედ მთელი მმართველური კადრები — მენეჯერები, ტოპმენეჯერებიდან დაწყებული მართვის იერარქიის პირველი საფეხურის მენეჯერამდე. ეს ამოცანა ეფექტიანად შესრულდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმაში თავისდროულად და სწორადაა გათვლილი საჭირო პერ-

სონალის დაგეგმვა უპირველესად მიმდინარე დაგეგმვის მეთოდების გამოყენებით, რადგანაც მიმდინარე ანუ ერთწლიანი პერიოდი ყველაზე მნიშვნელოვანია ფირმის საქმიანობისადმი და იგი წარმოადგენს საგამოცდო პერიოდს არა მარტო ფირმის მმართველობის, ასევე თითოეული თანამშრომლისათვის. ეს ერთწლიანი (ბიზნეს-გეგმა) გეგმა გამოკვეთავს პერსონალის საქმიანობის დადებით და უარყოფით ფაქტორებს, ნათელს გახდის დაგეგმვის მონაცემების სისწორეს, პერსონალის მენეჯმენტის საქმიანობის ავკარგიანობას.

პერსონალის მენეჯმენტის ეფექტიანი საქმიანობა ძირითადად გამოიკვეთება პერსონალის მოქმედების გაანალიზების მეშვეობითა და მისი დაწვრილებითი ანალიზის შედეგების შესაბამისად, რითაც დადგინდება გეგმიურ და ფაქტობრივ მონაცემებს შორის სხვაობა და შესრულებული საქმიანობის დროულად შესრულება.

პერსონალის მართვის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი ფუნქციაა პერსონალის დაგეგმვა. იგი ორგანიზაციის დაგეგმვის საერთო სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მისი ამოცანაა ფირმის (ორგანიზაციის) უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობისა და ხარისხის მქონე სამუშაო ძალით და მისი ეფექტიანი გამოყენება. პერსონალის დაგეგმვა, უმეტეს შემთხვევაში, შიდასაფირმო დაგეგმვის საერთო სისტემის მიმართ მეორადია. იგი ავსებს და აკონკრეტებს ფირმების გეგმებისა და პროგრამების სხვა სახეებს. მაგალითად, ამა თუ იმ სახეობის პროდუქციის წარმოების (ამა თუ იმ სახის საქმიანობის) გეგმის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს მაჩვენებლები: როდის და სად როგორი კვალიფიკაციის რამდენი მომუშავეა საჭირო; როგორი მოთხოვნები წაეყენება მომუშავეთა ამა თუ იმ კატეგორიას და ა. შ.

პერსონალის დაგეგმვამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებზე:

ა) ორგანიზაციის რომელ უბნებზე დამატებით რამდენი და კვალიფიკაციის როგორი დონის მომუშავეა საჭირო (პერსონალზე მოთხოვნის დაგეგმვა);

ბ) სოციალური ასპექტებიდან გამომდინარე, როგორ უნდა მოვიზიდოთ აუცილებელი და შევამციროთ ჭარბი პერსონალი (შტატების მოზიდვის ან შემცირების დაგეგმვა);

გ) როგორ შეიძლება გამოვიყენოთ მომუშავეები მათი შესაძლებლობების გამოყენებით (კადრების გამოყენების დაგეგმვა);

დ) როგორ შეიძლება მიზნობრივად ვზემოქმედებდეთ კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მათი ცოდნა მივუსადაგოთ მუშაობის ცვალებად პირობებს (საკადრო განვითარების დაგეგმვა);

ე) რამდენი იქნება დაგეგმილ საკადრო ღონისძიებებზე ხარჯები (პერსონალის შენახვაზე დანახარჯების დაგეგმვა).

პერსონალის დაგეგმვა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. ორგანიზაციის წევრთა აქტიური მონაწილეობა გეგმის შედგენაში მისი განხორციელების ყველა ეტაპზე;

2. დაგეგმვის უწყვეტობა და მდგრადობა;

3. გეგმის შეთანხმებულობა კოორდინაციის და ინტეგრაციის ფორმით;

4. ეკონომიურობა.

სოციალური გეგმების შედგენისას პერსონალის დაგეგმვის პირველი პრინციპის დაცვა აუცილებელია, ხოლო სხვა შემთხვევებში მისი გამოყენება სასურველია;

მეორე პრინციპის პირველი ნაწილი (უწყვეტობა) განპირობებულია ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის შესაბამისი ხასიათითა და პერსონალის მუდმივ მოძრაობაში ყოფნით. რაც შეეხება უწყვეტობას, იგი გულისხმობს ადრე მიღებულ საკადრო გადაწყვეტილებებში კორექტივების მუდმივად შეტანის, ან, შეცვლილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნებისმიერ მომენტში მათი გადასინჯვის შესაძლებლობას.

მესამე პრინციპი გამომდინარეობს ორგანიზაციის ცალკეულ ნაწილთა საქმიანობის ერთიანობიდან და ურთიერთკავშირიდან. კოორდინაცია ხორციელდება "ჰორიზონტალუ-

რად” – ერთი დონის ქვედანაყოფებს შორის, ხოლო ინტეგრაცია – “ვერტიკალურად” – ზემო და ქვემდგომთ შორის;

მეოთხე პრინციპის არსი გამოიხატება პერსონალის გეგმის შედგენაზე დანახარჯების მინიმიზაციით.

პერსონალის დაგეგმვის ზემოთ აღნიშნული პრინციპები უნივერსალური ხასიათისაა და გამოდგება მართვის ყველა დონეზე. ამასთან, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციფიკური პრინციპები. მაგალითად, ქვედანაყოფში დაგეგმვისას მნიშვნელოვანია ვიწრო ადგილის პრინციპი, რომლის მიხედვითაც საერთო შემადგენლობას განსაზღვრავს ყველაზე დაბალი მწარმოებლურობის მქონე მუშაკი. ორგანიზაციის დონეზე ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, არ გამოიყენება. აქ პერსონალის დაგეგმვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციფიკური პრინციპია მეცნიერულობა.

პერსონალის დაგეგმვის მეთოდები. ზოგადად, დაგეგმვისა და, მათ შორის, პერსონალის დაგეგმვის სამი მეთოდია ცნობილი: საბალანსო, ნორმატიული და მათემატიკურ-სტატისტიკური.

არსებობს გეგმის სამი ძირითადი ტიპი: 1) გეგმა-მიზანი; 2) გეგმები განმეორებადი მოქმედებებისათვის; 3) გეგმები განუმეორებადი მოქმედებებისათვის.

გეგმა-მიზანი – ესაა მართვის ობიექტისა და მისი ცალკეული ელემენტების მომავალში სასურველი მდგომარეობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებელთა ნაკრები. ასეთი გეგმები გამოიყენება განსაკუთრებით ხანგრძლივვადიანი გეგმებისას ან მომავალში კონკრეტული მოვლენების განჭვრეტის შეუძლებლობისას. პერსონალის დაგეგმვის გეგმის ამ სახეს პრაქტიკული მნიშვნელიობა არ აქვს.

გეგმები განმეორებადი მოქმედებებისათვის გამოიყენება სტანდარტულ სიტუაციაში გნსახორციელებელი მოვლენებისათვის. პერსონალის დაგეგმვისას ასეთ გეგმას ექვემდებარება მუშაობის გრაფიკი, სამუშაო ადგილებზე მომუშავეთა განლაგების სქემა და ა.შ.

გეგმები განუმეორებადი მოქმედებებისათვის დგება ორგანიზაციის განვითარებისა და ფუნქციონირების პროცესში წარმოშობილი სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ასეთ გეგმებს შეიძლება ჰქონდეს პროგრამების სახე. მაგალითად, შრომის პირობების გაუმჯობესების პროგრამა.

ვადების მიხედვით გეგმები სამი სახისაა: 1) გრძელვადიანი, 2) საშუალოვადიანი და 3) მოკლევადიანი. გრძელვადიანი (5 წელზე მეტი) უმეტესად მიესადაგება გეგმა-მიზანს. საშუალოვადიანი (1-დან 5 წლამდე) გეგმები დგება სხვადასხვა პროგრამის სახით, ხოლო მოკლევადიან გეგმებს (1 წლამდე) ამუშავებენ დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდისათვის. მას ხშირად ქსელური გრაფიკის სახე აქვს. მოკლევადიანი გეგმების სახეობაა ოპერატიული გეგმები, რომლებიც დგება ვადით ერთი ცვლიდან ერთ თვემდე.

პერსონალიზე მოთხოვნილება იყოფა ორ ჯგუფად: საერთო და დამატებითი. საერთო მოთხოვნილებაში იგულისხმება მომუშავეთა რაოდენობა, რომელიც აუცილებელია საინვესტიციო, წარმოებრივ, ფინანსურ, მარკეტინგულ და სხვა გეგმებში დასახული ამოცანების გადასაწყვეტად. მისი პროგნოზირება ხდება ზემოთ აღნიშნული გეგმების ანალიზის საფუძველზე. პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე ახდენენ მის დიფერენცირებას პროფესიების, სპეციალობების, პროფილისა და მომზადების დონეების მიხედვით.

დამატებით მოთხოვნილებაში იგულისხმება სხვაობა პერსონალის მომავალ პროგნოზულ ან პერიოდის დასაწყისში ფაქტობრივ რაოდენობასა და საერთო მოთხოვნილებას შორის. მისი მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბების ზრდა (თანდათანობით ან ნახტომისებრივ), ისე ობიექტური მიზეზებით ან დენადობის შედეგად კადრების წასვლა. კადრებზე დამატებითი მოთხოვნილების დადგენის შემდეგ განისაზღვრება მთლიანი მოთხოვნილება.

პერსონალის დაგეგმვის პროცესში ადგენენ კადრებზე დამატებითი მოთხოვნილების

ბალანსს.

პერსონალზე მოთხოვნის პროგნოზირებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: გამოსაშვები საქონლის ან შესასრულებელი მომსახურების ხარისხისადმი მოთხოვნები და საქონლის გასაღების შესაძლებლობა.მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება განისაზღვროს მოთხოვნის მოცულობა და, შესაბამისად, მოთხოვნა პერსონალზე. ორგანიზაციული და კომერციული ხასიათის ფაქტორების გარდა პერსონალზე მოთხოვნილების პროგნოზირებისას გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც:

1. კადრების მოსალოდნელი დენადობა
2. ორგანიზაციის მომუშავეთა ხარისხი (ორგანიზაციის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე)
3. გადაწყვეტილებანი ნაკეთობებისა და მომსახურების მოდერნიზაციის თაობაზე ან ახალი ბაზრების ათვისების შესახებ
4. მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველმყოფელი ტექნოლოგიური და ადმინისტრაციული ცვლილებების განხორციელება
5. ფინანსური რესურსების ოდენობა

პერსონალის მარკეტინგი მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. მისი ამოცანაა ორგანიზაციის უზრუნველყოფა პერსონალით.

მარკეტინგი განიხილება შემდეგი სამი მიდგომით:

1. მარკეტინგი, როგორც ბაზარზე ორიენტირებული მართვის ძირითადი პრინციპი;
2. მარკეტინგი, როგორც გადაწყვეტილებათა სისტემატიზებული ძიების მეთოდი. ბაზრის შესწავლის საფუძველზე ხდება მონაცემთა ბაზის ფორმირება, როგორც სტრატეგიული, ისე ოპერატიული გადაწყვეტილების მისაღებად;
3. მარკეტინგი, როგორც კონკრეტულ უპირატესობათა მიღწევის საშუალება. მოთხოვნაზე ორიენტირებული სასაქონლო პოლიტიკა და მიზანმიმართული საკომუნიკაციო პოლიტიკა უზრუნველყოფს სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტას. საკუთარი ორგანიზაცია ბაზარზე წარდგეს კონკურენტუნარიანი და მიმზიდველი.

პერსონალის მარკეტინგის განმარტებით, სამუშაო ადგილი საქონელია, რომელიც იყიდება შრომის ბაზარზე. ამ თვალსაზრისით, მარკეტინგ გვევლინება, როგორც პერსონალის სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის მიმართულება. იგი, შრომის გარეთ და შიდა ბაზრის კვლევის მეთოდების დახმარებით, პერსონალთან მუშაობისათვის ქმნის ინფორმაციულ ბაზარს და მიმართულია დამქირავებლის მიმზიდველობის მიღწევისაკენ (ბაზრის სეგმენტების მიხედვით).

მარკეტინგის ამოცანების განსაზღვრისას გამოყოფენ ორ ძირითად პრინციპს:

პირველი პრინციპი გულისხმობს პერსონალის მარკეტინგის განმარტებას ფართო გაგებით. მოცემულ შემთხვევაში პერსონალის მარკეტინგი გაგებულია, როგორც პერსონალის მართვის განსაზღვრული ფილოსოფია და სტრატეგია. პერსონალი განიხილება ორგანიზაციის გარე და შიდა კლიენტების ხარისხში. ასეთი მარკეტინგის მიზანია შრომითი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, რომელიც მიიღწევა შრომის კეთილსასურველი პირობების შექმნის გზით, ეს კი უზრუნველყოფს შრომის ეფექტიანობის ამაღლებას და თითოეულ მომუშავეში ფირმისადმი პარტნიორული და ლოიალური დამოკიდებულების განვითარებას. ფაქტობრივად, ესაა ფირმის "გაყიდვა" თავის თანამშრომლებზე. პერსონალის მარკეტინგის პრინციპი ფართო გაგებით ემყარება საბაზრო აზროვნებას, რაც მას განასხვავებს კადრების მართვის ტრადიციული ადმინისტრაციული მეთოდისაგან.

მეორე პრინციპი გულისხმობს პერსონალის მარკეტინგის განმარტებას ვიწრო გაგებით. მოცემულ შემთხვევაში იგი არის პერსონალის მართვის სამსახურის განსაკუთრებული ფუნქცია, რომლის მიზანია საწარმოთა საკადრო რესურსებზე მოთხოვნის გამოვლენა და მისი დაკმაყოფილება.

პერსონალის მარკეტინგის ამოცანების გამოყოფის ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს შო-

რის მთავარი განსხვავება ასეთია: პერსონალის მარკეტინგის ფართო გაგება გულისხმობს მის წარმოდგენას ორგანიზაციის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთ ელემენტად, რომლის რეალიზება ხდება პერსონალის მართვის სამსახურის ამოცანათა კომპლექსის გადაწყვეტით. ვიწრო გაგებით კი პერსონალის მარკეტინგი გულისხმობს პერსონალის მართვის სამსახურის განსაზღვრული სპეციფიკური საქმიანობის გამოყოფას.

პერსონალის მარკეტინგის მთავარი ამოცანაა შრომის ბაზარზე ფლობდეს სიტუაციას და უზრუნველყოს ორგანიზაცია საჭირო რაოდენობისა და კვალიფიკაციის სამუშაო ძალით.

პერსონალის სფეროში მარკეტინგული საქმიანობა ე.წ. პერსონალ- მარკეტინგის გეგმის ფორმირებასა და რეალიზაციასთან ურთიერთდაკავშირებული ეტაპების კომპლექსია. პერსონალის მარკეტინგის ზოგადი მეთოდოლოგია ემყარება "წარმოებრივი" მარკეტინგის თეორიის ძირითად დებულებებს.

მნიშვნელოვანია პერსონალის მარკეტინგის საინფორმაციო ფუნქცია. ესაა ინფორმაციული ბაზრის შექმნა, რომელიც მიზნობრივი ჯგუფების (ბაზრის სეგმენტების)მიხედვით ბაზრისა და კომუნიკაციების სფეროში დაგეგმვის საფუძველია. მისი დიფერენციაცია შეიძლება მოხდეს შემდეგ კერძო ფუნქციებად: თანამდებობებისა და სამუშაო ადგილისადმი წაყენებული მოთხოვნები; ორგანიზაციის გარე და შიდა გარემოს გამოკვლევა; ორგანიზაციის, როგორც დამქირავებლის, იმიჯის შესწავლა.

პერსონალის მართვაში მარკეტინგული საინფორმაციო შისტემა მონაცემთა გაცვლის სისტემაა. იგი პერსონალის მარკეტინგის სპეციალისტებს საშუალებას აძლევს, გაანალიზონ, დაგეგმონ და რეალიზაცია გაუწიონ მარკეტინგულ ღონისძიებებს. პერსონალის მარკეტინგის ინფორმაციის სისტემის საფუძველია ამ ინფორმაციის წყაროები, ესენია:

1) სასწავლო დაწესებულებების სასწავლო პროგრამები და სპეციალისტთა გამოშვების გეგმები;
2) კონკრეტულ სასწავლო ცენტრებში დამატებითი სწავლებისა და შრომის ბირჟასთან არსებული გადამზადების კურსებისთვის არსებული სასწავლო პროგრამები;
3) შრომისა და დასაქმების სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცემული ანალიტიკური მასალები;
4) დასაქმების სამსახურის საინფორმაციო ცნობები;
5) დასაქმებისადმი და პერსონალის მართვის ზოგადი პრობლემებისადმი მიძღვნილი სპეციალიზებული ჟურნალები და სპეციალური გამოცემები.

დიდი ყურადღება ექცევა თანამდებობისა და სამუშაო ადგილისადმი მოთხოვნების შესწავლას. სამუშაო ადგილისადმი წაყენებული მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე ხდება იმ მოთხოვნების ფორმირება, რომლებიც დამქირავებელი ორგანიზაციისგან წაეყენება პრეტენდენტს ამა თუ იმ სახის სამუშაო (თანამდებობის) დაკავებისას.

სამუშაო ადგილისადმი წაყენებული მოთხოვნების ანალიზისას გათვალისწინებულია სამუშაო ადგილზე შრომითი პროცესის ამოცანები და მოცემული სამუშაო ადგილის ურთიერთკავშირი ორგანიზაციული სტრუქტურის სხვა რგოლებთან. აგრეთვე ახდენს თანამდებობისადმი წაყენებული მოთხოვნების შესწავლას. იგი, სამუშაო ადგილისადმი წაყენებული მოთხოვნების შესწავლასთან ერთად ემყარება ისეთ მარეგლამენტირებელ დოკუმენტებს, როგორიცაა:

1. მუშათა პროფესიების, მომსახურეთა თანამდებობებისა და სატარიფო თანრიგის ერთიანი კლასიფიკატორი;
2. მომსახურეთა ზოგადდარგობრივი თანამდებობებისა და მუშათა ზოგადდარგობრივი პროფესიების სატარიფო საკვალიფიკაციო დახასიათება.
3. შრომის ბაზრის შესწავლა. შრომის ბაზარი შეისწავლის სამუშაო ძალის პოტენციალს. იგი მოიცავს შრომის, როგორც გარე ისე შიდა ბაზარს.

4. შრომის გარე ბაზრის ანალიზისას შეისწავლიან შემდეგ საკითხებს: შრომის ბაზრის სტრუქტურა, მათ შორის სექტორული, რეგიონული, ასაკობრივი, საკვალიფიკაციო, პროფესიული;
5. სამუშაო ძალის მობილურობა;
6. პერსონალიზე მოთხოვნის დაფარვის წყაროები;
7. კონკურენტების ქცევა შრომის ბაზარზე;
8. სამუშაო ძალის ღირებულება.

აღნიშნულ მიმართულებათა ანალიზი საშუალებას იძლევა დადგინდეს შრომის ბაზრის ისეთი პარამეტრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობა, როგორიცაა პერსონალიზე მოთხოვნა და მიწოდება.

შრომის შიდა ბაზრის შესწავლის მიზანია პერსონალზე მოთხოვნის დაფარვა შიდა ორგანიზაციული წყაროების ხარჯზე.

პერსონალის მარკეტინგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ორგანიზაციის, როგორც დამქირავებლის, იმიჯის შესწავლას. ორგანიზაციის იმიჯში იგულისხმება მისი (ორგანიზაციის) სახე შრომის გარე და შიდა ბაზარზე. ორგანიზაციის იმიჯის შესწავლის მიზანია ისეთი ღონისძიებების ასახვა, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს დამქირავებლის იმიჯის ამაღლებას.

პერსონალ-მარკეტინგის საინფორმაციო ფუნქცია საშუალებას იძლევა, დაფიქსირდეს ის წყაროები, რომლებსაც შეუძლიათ შეაფერხონ ორგანიზაციის გრძენვადიანი უზრუნველყოფა პერსონალით. ასეთი შეიძლება იყოს: შრომის ბაზრის დაძაბული მდგომარეობა, პროფესიებისა და თანამდებობების მოძველებული სისტემატიზაცია, ორგანიზაციის ნეგატიური იმიჯი და სხვ.

პერსონალის მართვის სისტემაში უაღრესად მნიშვნელოვანია პერსონალის მარკეტინგის საკომუნიკაციო ფუნქცია. პერსონალის მარკეტინგის თვალსაზრისით, საკომუნიკაციო სისტემები ძირითადად ემსახურება პერსონალიზე მოთხოვნილების დაფარვის ზების დადგენასა და რეალიზაციას.

საკომუნიკაციო ფუნქციის ობიექტებია:

1. ორგანიზაციის თანამშრომლები. ისინი შრომის შიდა ბაზრის მონაწილენი და ორგანიზაციის იმიჯის მატარებლებია;
2. შრომის გარე ბაზარი, როგორც პოტენციური პრეტენდენტების კომპლექსური წყარო;
3. მართვის სისტემის, როგორც ორგანიზაციაზე აზრის ფორმირების მთავარი ფუნქციის გახსნილობა.

შრომის ბაზრის სეგმენტირება. საკომუნიკაციო ფუნქციის ეფექტიანი შესრულება დიდადაა დამოკიდებულიშრომის ბაზრის სეგმენტირებაზე. სეგმენტირებაში იგულისხმება პერსონალზე მოთხოვნისა და მიწოდების დანაწილება ცალკეულ ელემენტებად, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან დასაქმების მოტივითა და სამუშაო ძალის დაქირავებასთან დაკავშირებული სხვა მხარეებით. აღნიშნული ელემენტები ყალიბდება მიზნობრივ ჯგუფებად. სწორედ მათზეა ორიენტირებული დამქირავებელი შრომის ბაზართან თავისი ურთიერთობისას. წარმოქმნილი მიზნობრივი ჯგუფები შინაგანი შიაარსით უნდა იყოს ერთგვაროვანი.

შრომის ბაზრის სეგმენტირების ძირითადი მეთოდებია ფაქტორული და შეზღვის ანალიზი. ფაქტორული ანალიზი გამოყოფს მიზნობრივი ჯგუფების ფორმირების კრიტერიუმებს. პერსონალის მარკეტინგის მსოფლიო პრაქტიკაში სეგმენტირების სახეების კრიტერიუმად მიღებულია: გეოგრაფიული, დემოგრაფიული, ეკონომიკური, ფსიქოგრაფიული და ქცევითი ნიშნები. შეზღუდვის წესით ანალიზისას გამოყოფენ ცალკეულ განმასხვავებელ ნიშნებს სეგმენტირების კრიტერიუმების მიხედვით ზოგიერთი მიზნობრივი ჯგუფის გამოყოფის მაგალითი მოცემულია 1 ცხრილში.

ცხრილი 1

შრომის ბაზარზე მიზნობრივი ჯგუფების გამოყოფა

სეგმენტირების კრიტერიუმები	პარამეტრების შინაარსი
გეოგრაფიული	რეგიონი, ადმინისტრაციული დაყოფა, რიცხოვნობა
დემოგრაფიული	ასაკი, სქესი, ოჯახური მდგომარეობა, ეროვნული შემადგენლობა
ეკონომიკური	განათლების დონე, დასაქმება ასაკის, პროფესიული კუთვნილებისა და დარგობრივი სტრუქტურის მიხედვით, შემოსავლების დონე, შრომითი სტაჟი
ფსიქოგრაფიული	პიროვნული თვისებები, პიროვნების ტიპი, ცხოვრებისეული მოთხოვნილებები
ქცევითი	კარიერული ორიენტაცია, მოტივაციური განწყობა, მუშაობაში დაინტერესებულობა

რამდენიმე მიზნობრივი ჯგუფის კომბინირება სეგმენტირების ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით უზრუნველყოფს მათი შინაგანი ერთგვაროვნობის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ამყოლაძეგ., ბოკუჩავად., დევიძეთ. პერსონალისმენეჯმენტი, თბ., 2017.
2. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. ავტ. კოლ. ნ. პაიჭაძის რედაქტორობით. თბ., 2009.
3. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბ., 2011.
4. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2010.
5. გურგენიძე ვ. პერსონალის მართვა თბ.2011.
6. Рудавина Е. Большая книга директора по персоналу. М.2014.
7. Спивак В. Управление персоналом: учебное пособие. Эксмо.2010.
8. Шевчук Д. Управление персоналом. М.2015.

Human Resources Planning problems

Guram Amkoladze
Tamar Devidze

Summary

There have been state programs and reforms (restructuring, privatization, economic reforms) which led to the creation of possible usage of modern management approaches in companies. After the reforms on current phase, there was a drastic change in approaches to the professional and personal traits. As a result, some personal structure changes occurred, so for the success of the companies we must use management teams effectively and do more work in order to achieve the highest level of this indicator.

Key words: *Personnel, Human Resources Planning. Planning Principles*

აგროტურიზმის როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ბენია ირინა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ბოლო წლებში უცხოელ ვიზიტორთა დაინტერესება საქართველოთი და შესაბამისად, მათი რაოდენობა, მკვეთრად გაიზარდა. ისინი, ძირითადად, მთისა და ზღვის კურორტებზე დასასვენებლად, ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსანახულებლად ჩამოდიან, თუმცა საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების მქონე ქვეყანას, აქვს შესაძლებლობა, რომ აგროტურიზმიც განვითარდეს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. სოფლის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განუზომელია. თუმცა დღეს ქართული სოფელი მეტად სავალალო მდგომარეობაშია, მას დახმარება სჭირდება. ეს გაცნობირებული აქვს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე თითოეულ მის მოქალაქეს.

საკვანძო სიტყვები: *კონკურენტუნარიანობა, აგროტურიზმი, ფერმერული მეურნეობა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.*

ძირითადი ტექსტი

თანამედროვედ ითვლება ისეთი სოფელი, სადაც ათვისებულია მისი აგრარული პოტენციალი, განვითარებულია ტურიზმი და აგროტურიზმი. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, იგი ჩვეულებრივი ეკონომიკაა, მხოლოდ მისი სპეციფიკის გამო გამოყოფილია ცალკე.

როდესაც საუბარია სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, საჭიროა მხედველობაში იქნას მიღებული სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება მთლიანობაში, კაპიტალის, მიწის და საკუთრივ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი, რაც სოფლის მეურნეობას სჭირდება.

ბოლო წლებში უცხოელ ვიზიტორთა დაინტერესება საქართველოთი და შესაბამისად, მათი რაოდენობა, მკვეთრად გაიზარდა. ისინი, ძირითადად, მთისა და ზღვის კურორტებზე დასასვენებლად, ისტორიული და კულტურული ძეგლების მოსანახულებლად ჩამოდიან, თუმცა საქართველოს, როგორც აგრარული ტრადიციების მქონე ქვეყანას, აქვს შესაძლებლობა, რომ აგროტურიზმიც განვითარდეს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა. სოფლის როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში განუზომელია. თუმცა დღეს ქართული სოფელი მეტად სავალალო მდგომარეობაშია, მას დახმარება სჭირდება. ეს გაცნობირებული აქვს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ისე თითოეულ მის მოქალაქეს.

საქართველოს მთავრობამ სოფლის განვითარების სტრატეგია წარმოადგინა, რომელიც 2017-2020 წლებში სოფლის განვითარების საკვანძო საკითხებს განსაზღვრავს.

დღეს “სოფლის განვითარების სტრატეგიული გეგმა” საკმაოდ დროული და საჭირო ინიციატივაა.

სოფლის განვითარების ახალი ხედვა საუკეთესო ევროპულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიქმნა ევროკავშირის (EU) დახმარებით და გაეროს ორი სააგენტოს – გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული სოფლის განვითარების სტრატეგიული ხედვა 5 ძირითად მიმართულებას ეფუძნება. ესენია: მდიდარი კულტურული ცხოვრე-

ბა, მრავალფეროვანი ეკონომიკური შესაძლებლობები, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა, ხელმისაწვდომი სოციალური სიკეთეები და გარემოს დაცვა, ხოლო პრიორიტეტული მიმართულებებია: კონკურენტუნარიანობის, სოციალური პირობებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

სტრატეგიაში საუბარია ფერმერული საქმიანობის ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე, მის დივერსიფიკაციაზე ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით; სოფლად ტურისტული პროდუქტების განვითარებაზე და ა.შ

ახალი აგროტურისტული მიმართულებების შექმნა და განვითარება მნიშვნელოვანია სოფლის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. საქართველოში აგროტურისტული მიმართულებისადმი ინტერესი გაიზარდა როგორც ქართველი მწარმოებლების, ასევე ტურისტების მხრიდანაც. ტურისტების ინტერესის საფუძველია ძირითადად ტრადიციული კულტურული მემკვიდრეობის ახლოს გაცნობა, ახალი პროდუქტების აღმოჩენა და დაგემოვნება.

აგროტურიზმს ზოგან სოფლის ტურიზმს, ფერმერულ ტურიზმს ან ბუნების ტურიზმს უწოდებენ. სოფლის ტურიზმი გულისხმობს ტურისტთა ჯგუფების მოგზაურობას სოფლად. ამ შემთხვევაში ტურისტული ობიექტების მეპატრონე და მმართველი სოფლის მცხოვრებია.

ფერმერული ტურიზმი ითვალისწინებს ტურისტების დაბინავებას ფერმერთა სახლებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გასაცნობად. მაგალითად, ტურისტები ფერმერებთან ერთად გადიან პლანტაციებში, აკვირდებიან მათ შრომას და თვითონაც ეხმარებიან. ზოგს მეთევზეთა დასახლებებში ცხოვრება და მათთან ერთად სათევზაოდ სიარული მოსწონს.

აგროტურიზმი იმით გამოირჩევა, რომ დასვენება შედარებით მცირე დანახარჯით შეიძლება. ტურისტმა შესაძლოა, იცხოვროს ძველ, გლეხურ სახლში და ოფიციანტების ნაცვლად დიასახლისი გაუმასპინძლდეს. სტუმრები მიირთმევენ ადგილობრივ ნატურალურ პროდუქტებს: ხილ-ბოსტნეულს, შინაურ ყველს, შინ დაყენებულ ღვინოს, ხორცსა და ხორცპროდუქტებს. სასოფლო ტურები ბავშვებისთვისაც საინტერესოა. ისინი აკვირდებიან შინაურ ცხოველებს, სეირნობენ ცხენებით, სწავლობენ ყველის ამოყვანასა თუ თონეში პურის ჩაკვრას. თუ სურთ, ტურისტები ნაციონალური კერძების მომზადებასაც ეუფლებიან. აგროტურიზმი იმითაც არის საინტერესო და მომგებიანი, რომ მას არ აბრკოლებს წელიწადის დროების მონაცვლეობა.

კომპანია და საოჯახო სასტუმრო უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს სთავაზობს აგროტურებს, რაც გულისხმობს რთველში მონაწილეობას, ყურძნის დაწურვას, ჩურჩხელების ამოვლებას, ყველის ამოყვანასა და იქვე, თონის თავზე, ახალამოყრილ შოთ-ლავაშთან ერთად დაგემოვნებას, ასევე - მწვადის შეწვასა თუ თაფლის ამოღებას. მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ჩვენს ქვეყანაში უფრო ფართოდ შეიძლება აგროტურიზმის განვითარება, ამით კი სოფლის მეურნეობის განვითარებასაც შეეწყობა ხელი.

აგროტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა როგორც ფერმერების ფინანსური მხარდაჭერა, ისე ცოდნის ამაღლება. სწორი მიდგომით საქართველოში სოფლის მცხოვრებთა მდგომარეობა შეიცვლება.

აგროტურიზმი ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების და მათი ტრადიციული საქმიანობის, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის, პროდუქციის გაცნობისა და ტურისტებისთვის ცოდნის გაზიარების კარგი საშუალებაა.

აგროტურიზმი მისწრებაა იმ მცირე მეურნეებისთვის, რომლებიც სავარგულების სიმცირის გამო კონკურენციას ვერ გაუწევენ არა მხოლოდ უცხოელ, არამედ საქართველოში მომუშავე ფერმერებსაც.

აგროტურიზმმა ჩვენთან უკვე მოიკიდა ფეხი. მომავალში უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა მრავალფეროვანი ბუნების, კულტურისა და ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

თუმცა ამ სფეროს აქვს სისუსტეებიც. მთავარი სოფლად შესაბამისი ინფრასტრუქტურის

არარსებობაა. ამის მიუხედავად, თუ აგროტურიზმი განვითარდება, მცირე ფერმერებს შეუძლიათ სარგებელი ნახონ და მცირე ფერმერული მეურნეობა მომგებიან კომერციულ საქმიანობად აქციონ.

ევროპაში აგროტურიზმი კარგად არის განვითარებული. ამ დარგს, ეკონომიკური კრიზისიც ვერაფერს აკლებს. მაგალითად, იტალიაში კრიზისმა შეამცირა სხვადასხვა სფეროს შემოსავალი, მაგრამ აგროტურიზმში ჩართული ფერმერების შემოსავალი უცვლელი დარჩა. ბოლო მონაცემებით, ეს წელიწადში დაახლოებით 52.500 ევროა. მსოფლიოში ტურიზმით მიღებული შემოსავლის 20%-დან 40%-მდე სწორედ სოფლის ტურიზმის წილად მოდის.[1]

აგროტურიზმის განვითრების პროგრამების დანერგვა და განხორციელება მაღალ დონეზე ხდება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იტალია, საფრანგეთი, ავსტრია. ავსტრიაში სოფლის მეურნეობის გავნითარების პროგრამის განხორციელებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილია 1 მილიარდი ევროს ბიუჯეტი წელიწადში, რაც ითვალისწინებს ასევე აგროტურისტული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

საფრანგეთში 6000-მდე სოფლად მცხოვრები ჩართულია აგროტურიზმის ინდუსტრიაში.

ამდენად, აგროტურიზმი, აგროტურისტული მეურნეობების საქმიანობა ქმნის აგროკულტურულ მრავალფეროვნებას, რაც ტერიტორიის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია და ხელს უწყობს მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას მაღალმთიან რეგიონებში. შეიძლება ითქვას, რომ აგროტურისტული აქტივობაა დამატებითი შემოსავლის წყარო და დასაქმების ალტერნატივა სოფლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

The Role of the Agritourism in the Development of Georgian Economics

Irina Benia

Summary

In the last years, the interest of the visitors by Georgia and accordingly their quantity grew quit effectively. Basically they arrive to relax on the mountain and sea resorts, to see the historical and cultural monuments, though Georgia, as the country with the agricultural traditions, has the potential to develop agritourism.

Georgia is agricultural country. The role of the village in the development of the country is immense. Though today Georgian village is in a very deplorable condition, it needs help. This is acknowledged as by the Georgian government as by the each citizen of our country.

[1] ე. ტუხაშვილი, აგროტურიზმი, საქართველოსთვის მისწრებაა?! – კვირის პალიტრა, 2014, 14 აპრილი.

დეკრეტული შვებულების რეგულირება სახელმწიფო და კერძო სექტორში

ბერიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ნუცუბიძე რუსუდან
საქარათველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ჟორჟოლიანი გიორგი
საქარათველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ქალთა შრომა მხოლოდ ოჯახით შემოიფარგლებოდა. დღეს საერთაშორისო თუ შიდა შრომის ბაზარზე ქალები მეტად კვალიფიციურ და პროფესიონალ კადრებს წარმოადგენენ. თუმცა მიუხედავად ამისა, მათი უფლებების – განსაკუთრებით ორსული, მეძუძური ქალების უფლებების დაცვა/განმტკიცება, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორში, არის ის უწყვეტი პროცესი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დასაქმებულთა უფლებების დაცვა. გამომდინარე შრომითი საქმიანობის მნიშვნელობიდან ჩემი აზრით ეს თემა მოითხოვს სამართლებრივ დაკვირვებას და განხილვას.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო სექტორი, საჯარო სექტორი, დეკრეტული შვებულება.*

ძირითადი ტექსტი

დეკრეტული შვებულების საკითხის აქტუალობა გამოწვეულია დასაქმებული პერსონალის უფლებების უგულებელყოფით. ეს პრობლემა კი შეიძლება თითოეულ ჩვენგანს შეეხოს, როგორც ქალები ასევე მამაკაცები შეიძლება აღმოჩნდნენ ამ დილემის წინაშე. კვლევის მიზანია წარმოაჩინოს დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ანალიზი, ხარვეზების აღმოჩენა და მათი დარეგულირების მექანიზმი, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორში. მეცნიერულ დონეზე კვლევას საჭიროებს დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებული ნორმატიულ აქტებში არსებული საკითხები, ასევე ამ კანონების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან და საერთაშორისო აქტებთან. კონკრეტულად რამოდენიმე სადავო საკითხი მინდა გამოვყო:

1. ორსული ქალების, მშობიარობის ან ბავშვის მოვლის გამო დეკრეტული შვებულების ვადის და ანაზღაურების შემცირების შედეგად წარმოშობილი სადავო საკითხების გამოვლენა.
2. ორსულობის, მშობიარობის, შვილად აყვანის ან ბავშვის მოვლის გამო აღებული შვებულების დროს სამსახურის დაკარგვისაგან დაცვის გარანტიები.
3. დეკრეტული შვებულების ანაზღაურების თანაბრობა საჯარო და კერძო სექტორში.

საქართველოს შრომის ქოდექსის VI თავი მთლიანად ეძღვნება შებულებას ორსულობის, მშობიარობის, შვილად აყვანის ან ბავშვის მოვლის გამო და დამატებით შვებულებას ბავშვის მოვლის გამო.

მუხლი 27: შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო

*დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველძე ეძლევა ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით.

* ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 200 კალენდარული დღე.

* ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შვებულება, დასაქმებულს თავისი

შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობის და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე.

მუხლი 28: შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო

*დასაქმებულს, რომელმაც იშვილა ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე.

მუხლი 29: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება.

ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ორსულობის მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ოდენობაა არაუმეტეს 1000 ლარისა. ამსაქმებელი და დასაქმებული შეიძლება შეთანხმდნენ დამატებით ანაზღაურებაზე. ერთი შეხედვით სრულყოფილი კოდექსი უამრავ ყოფით პრობლემას წარმოქმნის დღევანდელ რეალობაში. 1. როგორ შეიძლება სახელმწიფო დახმარება, რომელიც თვეში 167 ლარს შეადგენს (1000ლ/6თვეზე) ერთი და იგივე იყოს 1 ბავშვის დაბადებაზეც და 2.3.4 ან მეტი ტყუპის დაბადებაზე. 2. ბოლო წლების განმავლობაშისამომხმარებლო და მომსახურების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა საარსებო მინიმუმის არსებობა. თუ, ოჯახის ერთადერთი მარჩენალი დედაა ის სამუშაოს 6 თვის შემდეგ უნდა დაუბრუნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კარგავს შემოსავლის წყაროს. ედე ან/და მშვილებელი დგება დილემის წინაშე – ახალშობილის მოვლა, თუ ფინანსური პრობლემები ან ბავშვის სხვაზე გადაბარება და ხელფასის მიღება. რეპროდუქციულ ასაკშიმყოფ ქალბატონებს სამსახურის შენარჩუნებასა და შვილის ყოლას შორის არჩევანის გაკეთება უწევთ. ყოველივე ამან კი შეიძლება დემოგრაფიულ პრობლემებამდე მიგვიყვანოს, ასევე შეიძლება გამოიწვიოს პერსონალი დემოტივაცი, პროფესიონალი კადრების დაკარგვა და სხვა მრავალი რამ... ყოველივე ეს კი ძალიან უარყოფითად მოქმედებს როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორის და საბოლოო ჯამში ქვეყნის განვითარებაზე.

შრომითი ურთიერთობა უწყვეტად უნდა მიმდინარეობდეს. შრომითი ურთიერთობის შეცვლა, შეჩერება და შეწყვეტა 36-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეჩერების (მუხლი 36. შრომითი ურთიერთობის შეჩერება. შრომითი ურთიერთობის შეჩერება არის შრომითი ხელშეკრულებით გათვალისცინებულინსამუშაოს დროებით შეუსრულებლობა, რომელიც არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას.) ერთ-ერთი საფუძველია შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო. შახალხო დამცველის მოხსენებაში კი აღნიშნულია, რომ არასაკმარისი ყურადღება აქვს დათმობილი ფეხმძიმე ქალების, როგორც მომუშავე პერსონალის საკითხს, რაც შრომის კოდექსის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს.

თავის მხრის შრომის კოდექსი მოიცავს ნორმების სამ ჯგუფს: ა) იმპერატიულს, რომლებიც არ შეიძლება შეიცვალონ ხელშეკრულებითი რეგულირებით ბ)დისპოზიციური, რაცშრომითი ურტიერთობის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას დაარეგულიროს მათი ქცევა თავისი შეხედულებისთ, იმ პირობით რომ შეთანხმების პირობები არ გააუარესებს მუშაკების მდგომარეობას შრომის კანონმდებლობასთან შედარებით. გ) სარეკომენდაციო, როცა კანონმდებელი იძლევა რეკომენდაციას გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი შეთანხმების წესით. იუხედავად დისპოზიციური ნორმების არსებობისა კოდექსი არ იცავს ფეხმძიმე ქალებს სამსახურის დაკარგვისგან დეკრეტული შვებულების განმავლობაში. ვერსალის დასკვნაში მკაცრადაა გაკრიტიკებული საქართველოს შრომის კოდექსი. “ ეს ნორმატი-

ული აქტი დამსაქმებელს უფლებას აძლევს (ცალმხრივად) დაადგინოს ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი სა სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა სპეციალური წესები, რაც გამორიცხავს შრომითი პირობების ორმხრივად განსაზღვრასხოლო 37-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, პრაქტიკულად მთლიანად დამსაქმებლის ნებაზეა დამოკიდებული მუშაკის სამსახურიდან დათხივნაც, ამასთან ყოველგვარი ახსნა-განმარტების ვალდებულების გარეშე"- ვკითხულობთ ვერსალის კომისიის დასკვნაში. თუკი ნორმატიული აქტების მოქმედებას ჩვეულებრივ, ყოფით ცხოვრებაში ავსახავთ გამოდის, რომ სხვადასხვა სამსახურების მიხედვით პერსონალის გათავისუპლების პირობები როგორც სახელმწიფო ისე კერძო სექტორში სხვადასხვაა. თუმცა იშვიათად თუ შეგვხვდება ორგანიზაცია, რომელიც 1 წლით ან უფრო ხანგრძლივი ვადით გაუშვებს თანამშრომელს უფასო შვებულებაში ადგილის შენარჩუნების პირობით. ამ კონკრეტულ შემთხვევას სახელმწიფო სექტორისათვის კანონი არეგულირებს, კერძო სექტორს კი თავისუფალი არჩევანის საშუალებას ანიჭებს. ამიტომაც კერძო სექტორში მომუშავე ქალბატონები სამუშაოსა და შემოსავლის აუცილებლობიდან გამომდინარე 6 თვის შემდეგ უბრუნდება სამსახურს. ამჟამად მდგომარეობა შემდეგია: სტატისტიკური მონაცემების ბიუროს ინფორმაციაზე დაყრდნობით ქალები საშუალოდ 2 წელი რჩებიან სახლში ბავშვის გაჩენის შემდეგ. ახალი სამუშაოს ძებნას იწყებენ მაშინ, როცა მათი შვილები აღწევენ ბაღის ან სასკოლო ასაკს. შრომის კოდექსში წერია, რომ დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის პერიოდში შრომითი ხელშეკრულება შეჩერებულია და ის მართლაც შეჩერებულია, მაგრამ არსად წერია რომ დამსაქმებელს აქვს დეკრეტულ შვებულებაში მყოფი თანამშრომლის გათავისუფლების უფლება. მიუხედავად ამისა აღდგენიდან ორ კვირაში, თუ მესამე დღეს არა, შრომის კოდექსი საშუალებას აძლევს დამსაქმებელს მაინც გაათავისუფლოს დასაქმებული სრულიად უმიზეზოდ. გამოდის რომ მხოლოდ დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული დასაქმებულის დარჩენა-არდარჩენის საკითხი ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით. ყოველივე ეს კი დასაქმებულთათვის პრობლემების წარმოშობასთან ერთად იწვევს საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 1 ივლისის №1876 რ/ს დადგენილებით რატიპიცირებული "ევროპის სოციალური ქარტიის"(სტრასბურგი 3.V.1996 წლის იხ. დანართი №3)დარღვევას. "ევროპის სოციალური ქარტიის" მე-8 მუხლის მეორე ნაწილით (ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისთვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება, ქალის მიერ ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისთვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისთვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამოწურვისას") შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციის თანახმად: შვებულების შემდეგ ქალს უნდა შეეძლოს დაუბრუნდეს თავის წინანდელ ან ექვივალენტურ სამუშაოს, გამონაკლისია, როდესაც სამუშაოს ხასიათის გამო ეს შეუძლებელია ქალის ჯანმრთელობის დაცვის კუთხით.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ საკითხს, რომ დამსაქმებლების პასუხისმგებლობა მცირეა მათი ინიციატივით დასაქმებულთა გათავისუფლების დროს გასასვლელი დახმარების ანუ კომპენსაციის ოდენობის გაზრდის თაობაზე.

შრომის კოდექსის გარდა დეკრეტული შვებულების საკითხს აწესრიგებს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრიეს 2006 წლის 25 აგვისტოს ბრძანების I პუნქტით დამტკიცებული დებულება, როგორც უკვე აღვნიშნე ზემოთ, მინისტრიეს ამ ბრძანების მიხედვით საჯარო სამსახურსი დასაქმებული პირები მიიღებენ როგორც 1000 ლარიან დახმარებას ასევე ფულად კომპენსაციას. მინისტრის ბრძანებაში განმარტებულია ტერმინები დახმარება და კომპენსაცია.

დახმარება – “საქართველოს შრომის კოდექსით” და “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარება:

კომპენსაცია – საჯარო მოსამსახურისთვის ორსულობისა და მშობიარობის გამო “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი 411-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფულადი დახმარება, რომელიც ფინანსდება შესაბამისი დაწესებულებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებიდან.

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 411 მუხლის მე-2 ფუნქტის მიხედვით “მოსამსახურეს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილ დახმარებასთან ერთად, მის მიერ შვებულების პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად ეძლევა კომპენსაცია”. ესე იგი სახელმწიფო ზრუნავს საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირებზე, ხოლო კერძო სექტორში მომუშავე მოქალაქეები დამსაქმებლის კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებულნი მიიღებენ თუ არა კომპენსაციას. უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოს გადაწყვეტილება დამატებით კომპენსაციაზე არის მართებული, რადგან ის თანხა რასაც იღებენ დასაქმებულები არის ძალიან მიზერული იმ ხარჯებთან შედარებით რისი გაწევაც უწევთ, თუმცა აქვე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ სახელმწიფო გადაწყვეტილება არ ეხება კერძო სექტორში მომუშავე პერსონალს, რაც ჩემი მოკრძალებული აზრით არის დისკრიმინაცია. სახელმწიფო თანაბრად უნდა ზრუნავდეს მის მოქალაქეებზე განურჩევლად სამუშაო ადგილისა და ამის გამო არ უნდა შეუქმნას მათ დაუცველობის განცდა. სახელმწიფო ინტერესებშია, ყველა დასაქმებული უფლებები იყოს დაცული, ასევე დემოგრაფიულიმა ხაზმა აიწიოს. ამიტომაც როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში დასაქმებულებს უნდა ჰქონდეს თანაბარი პირობები დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებით, რომ მოხდეს სტიმულირება შობადობის ამ მინიმალური წახალისებით.

სახელმწიფო ერთნაირად უნადა იცავდეს როგორც სახელმწიფო ასევე საჯარო სექტორში მომუშავე პირებს, ვინაიდან ორივე შემთხვევაში საქართველოშო მცხოვრებ პირებთან გვაქვს საქმე, რომლის კეთილდღეობაზეც სახელმწიფოს აღებული აქვს ვალდებულება განურჩევლად სამუშაო ადგილისა. ასევე სახელმწიფო კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, ასეთი მიდგომა კი სხვა არაფერია თუ არა დისკრიმინაცია, თანაც თავად იმის მიერ ვინც პირველ რიგში უნდა იცავდეს მოქალაქის უფლებებს. ჩემი აზრით უმჯობესი იქნება თუ ყველა დამსაქმებელს კერძო სექტორში კანონით დაევალება, რომ მიღებულ დახმარებასთან ერთად მისცენ კომპენსაცია, რომელიც ხელფასის ოდენობამდე შეავსებს დასაქმებულის მიერ მისაღებ სარგოს.

დასკვნა: განხილული მასალებიდან გამომდინარე დგინდება რომ: 1.როგორც საჯარო ისე კერძო სექტორში დეკრეტული შვებულების ანაზღაურება მცირეა და რადგან დასაქმებული ხშირად ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, ამიტომ იძულებულია 6 თვის შემდეგ დაუბრუნდეს სამსახურს. 2.შრომის კანონმდებლობიდან გამომდინარე ორსულობის, მშობიარობის, შვილად აყვანის ან ბავშვის მოვლის გამო აღებული შვებულების დროს სამსახურის დაკარგვისგან დაცვის მყარი გარანტიები არ არსებობს არც საჯარო და არც კერძო სექტორში, რაც კანონის ხარვეზს წარმოადგენს. 3.საჯარო და კერძო სექტორში დეკრეტული შვებულების ანაზღაურება არათანაბარია. კერძო სექტორში დასაქმებულები განიცდიან დისკრიმინაციას, რაც არსებული ნორმატიული აქტებით დასტურდება. საქართველოს შრომის კოდექსისა და “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს შრომის კანონის მუხლებს შორის არსებობს კოლიზია. შესაბამისად, ეს უკანასკნელი მოითხოვს შესაბამისობას საქართველოს უზენაეს კანონთან კონსტიტუციასთან. საქართველოში არსებული ეკონომიკური სისტემის პირობებში, დასაქმების სფეროში საჭიროა არსებული საკანონმდებლო

ბაზის ფუნდამენტური გარდაქმნა ეკონომიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპების, შრომის საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

Maternity Leave Regulaition in Public and Private Sector

Tamar Beridze
Rusudan Nutsubidze
Giorgi ZhorZholiani

Summary

It's a long time after that the women's main job in Georgia was only housekeeping. Nowadays at the international or domestic market women are more professional and skilled workers. Although protection of the rights especially pregnant women is main continuesly process. Nowadays I want to say that in Georgian label code we have some problems which makes nonbalanced conditions for women. I'd like Georgian women's label rights would be the same as European and International women's rights.

key words: *maternity leave: public sector: private sector*

საჯარო მმართველობის პრინციპები და ორგანიზაციების ფუნქციონირებისრეგულირება

დოღონაძე შოთა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

დოღონაძე სოფიო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში ხაზგასმულია, რომ საზოგადოების განვითარების თითოეულ ეტაპზე აუცილებელია მართვის ახალი, თანამედროვე მეთოდებისა და ფორმების შემუშავება და გამოყენება. რომელიც დამახასიათებელი და მორგებული იქნება მოცემულ ეტაპზე და ადექვატურად ასახავს ორგანიზაციის, ქვეყნის განვითარების დონეს. აქვე განხილულია საჯარო მმართველობის პრინციპებისა და ფუნქციების არსი. ხაზგასმულია, რომ თანამედროვე საჯარო მმართველობის წარმატებები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად ხდება მათი საქმიანობის რეგულირება, რა მეთოდებსა და ფორმებს იყენებენ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რამდენად გამჭირვალეა მათი საქმიანობა, როგორ არის დაცული მოქალაქეთა ინტერესები, რამდენად კმაყოფილნი არიან ისინი საჯარო სექტორით. რა სახის თანამშრომლობა აქვთ საჯარო მმართველობის ორგანოებსა და სამოქალაქო საზოგადოებას.

საკვანძო სიტყვები: *ფუნქციონირება, პრინციპები, მეთოდები, ჯგუფები, ფუნქციები, საჯარო მმართველობა, ღია მმართველობა.*

დეფინიციაში პრინციპი, სხვა სიტყვებით საწყისი (ლათ. principium ნიშნავს საწყისს, ბერძნულად αρχή - საფუძველს) თეორიულ ფილოსოფიაში თვლიან ყველაფერ იმას, რაც აერთიანებს აზროვნებასა და სინამდვილეში არსებულ ფაქტობრიობათა ერთობლიობას. პრაქტიკულ ფილოსოფიაში, ეთიკაში კი პრინციპად ითვლება ქცევის ნორმა, წესი. ეს ნორმა შეიძლება იყოს საყოველთაო. მაგალითად, "არა კაც კლა". ზოგად მორალურ პრინციპად ითვლება მაქსიმა – მოიქეცი ისე, როგორც შენ გინდა გექცეოდნენ. არსებობს, ასევე კერძო, „არამორალისტური" პრინციპები, რომლის შესაბამისადაც ინდივიდი აკონტროლებს თავის ქცევას. აქ კი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, პრინციპის გაგება განვიხილოთ მართვასთან მიმართებაში, სადაც განზოგადოებული იქნება თანამედროვე მეცნიერებისათვის ცნობილი ყველა კანონი და კანონზომიერება, ასევე, ემპირიული გამოცდილება.

ამდენად, ყველაზე მეტად ზოგადი სახით, ორგანიზაციის პრინციპი შესაძლებელია განვსაზღვროთ როგორც საწყისი ნორმები, წესები და კანონზომიერებები, რომლებიც მართვის პროცესში საზოგადოების საწარმოო ძალების, მისი განვითარების არსიდან და დონიდან გამომდინარეობს. ამ ნორმების, წესების და კანონზომიერებების დაცვა ხელს უწყობს საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაჭრას.

ორგანიზაციის მართვის პრინციპების არსზე საგრძნობ გავლენას ახდენს, თანამდეროვე მეცნიერებისათვის ცნობილი, მართვის კანონები და დაგროვილი გამოცდილება. ამ პრინციპების განმსაზღვრელად, ასევე შესაძლებელია მივიჩნიოთ ორგანიზაციის საქმიანობის თანამედროვე ხერხები და სოციკულტურული ფაქტორები.

ორგანიზაციის მართვის პრინციპები მართვის ძირითად საწყისს წარმოადგენს, რაც ამ უკანასკნელისადმი დამოკიდებულებებიდან გამომდინარეობს. ისინი განაპირობებენ მართვის ორგანიზაციის პროცესის, სტრუქტურისა და სისტემისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

მართვის პრინციპები არ შეიძლება მივიღოთ უაპელაციოდ და უნივერსალურად მიუხედავად იმისა, რომ ისინი შეიცავს მართვის თეორიისა და პრაქტიკის მეტ-ნაკლებად

გამოკვეთილ საერთო დებულებებს. თანამედროვე მართვის მეცნიერებაში არ არსებობს მართვის პრინციპების ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული ნაკრები. პრაქტიკულად ყოველ მეცნიერს, ვინც მართვის პრობლემებს შეისწავლის, თავისი გამოკვლევები და მიდგომები გააჩნია ამ სფეროში.

ამდენად ცხადი ხდება, რომ საზოგადოების განვითარების ყოველ კონკრეტულ ეტაპზე, აუცილებელია ორგანიზაციის მართვის ახალი თანამედროვე სისტემების შემუშავება, მართვის სფეროში დაგროვილი გამოცდილების კრიტიკული ანალიზისა და მოცემული პერიოდისთვის დამახასიათებელ მოთხოვნებთან შეპირაპირების საფუძველზე.

იმისათვის, რომ საფუძვლიანად გავაანალიზოთ მართვის პრინციპების არსი, საჭირო იქნება მათი გარკვეული წესით კლასიფიკაცია. თანამედროვე მეცნიერებაში რამდენიმე მიდგომა არსებობს. ჩვენ ვთვლით, რომ მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მართვის პრინციპების ერთობლიობის დაყოფა სამ ძირითად ჯგუფად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება მართვის ზოგადი პრინციპები, რომელიც ეხება მთლიანად მართვის სისტემას. მეორე ჯგუფს შეადგენს მართვის კერძო პრინციპები, რომელიც განეკუთვნება მართვის სისტემის ცალკეულ ნაწილებსა და ელემენტებს. მესამე ჯგუფში შემავალი პრინციპები განაპირობებენ საქმიანობის კონკრეტული სახეების მართვის წესსა და რიგს. ქვემოთ განვიხილავთ სწორედ ამ ჯგუფში შემავალ მართვის ძირითად პრინციპებს საჯარო მმართველობის მაგალითზე. საგულისხმოა, რომ ამ პრინციპების არსი კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომელიც 2015 წელს იქნა მიღებული და სრულად 2017 წლის 1 ივლისიდან უნდა იქნეს შესული ძალაში.

საჯარო მმართველობის ასეთ პრინციპებად კანონი აღიარებს:

კანონიერების პრინციპს - საჯარო მოსამსახურემ უნდა იმოქმედოს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. მის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა გამომდინარეობდეს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებიდან.

ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპს - საჯარო მოსამსახურე ვალდებულია რესურსების ეკონომიურად გამოყენებითა და ხარჯვით ეფექტიანად, სწორად და კოორდინირებულად წარმართოს საჯარო სამსახურში ორგანიზაციული პროცესი ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ფუნქციონირების პრინციპს -მოხელის სამსახურში მიღების შესახებ გადაწყვეტილება და მის კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილება მიუკერძოებლად უნდა იქნეს მიღებული და უნდა ეფუძნებოდეს მოხელის კომპეტენციისა და სამუშაოს შესრულების უნარის სამართლიან და გამჭვირვალე შეფასებას, რომლის მიზანია საუკეთესო კანდიდატის შერჩევა.

მიუკერძოებლობის პრინციპს -საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მიუკერძოებელი უნდა იყოს და უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ საჯარო ინტერესებით. მას ეკრძალება პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობა.

საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს - საქართველოს ყველა მოქალაქისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჯარო სამსახურში შესვლის თანაბარი შესაძლებლობა, მათი უნარის, კვალიფიკაციისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად.

ანგარიშვალდებულების პრინციპს - საჯარო მოსამსახურე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობისთვის პირადად აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპს - საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა პარტიული (პოლიტიკური) მიზნებისათვის ან/

და ინტერესებისათვის გამოიყენოს. საჯარო მოსამსახურეს ასევე უფლება არა აქვს, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში. საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერი ან საწინააღმდეგო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.

თუმცა აქვე ავღნიშნავთ, რომ ჩვენი შეხედულებით ეს პრინციპი სრულად ვერ პასუხობს კანონის ლოგიკას, რამდენადაც, მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში შეუძლებელია იქნეს მიღწეული იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საჯარო სამსახური მოწოდებულია განახორციელოს მმართველი ძალის პოლიტიკა, რაც შეეხება საკითხის დაზუსტებას, კარგი იქნებოდა საუბარი ყოფილიყო პარტიულ ნეიტრალიტეტზე, რამდენადაც სწორედ ვიწროპარტიული მიდგომებია საზიანო საჯარო სამსახურის ნორმალური ფუნქციონირებისთვის.

კარიერული განვითარების პრინციპი -საჯარო სამსახურში კარიერული განვითარება ემყარება შეფასების სამართლიან სისტემას და სხვა მექანიზმებზე დაფუძნებულ პროფესიულ განვითარებას და არა პარტიულ კუთვნილებას.

გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპი - საჯარო სამსახური ხორციელდება გამჭვირვალედ და ღიად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის პრინციპი - ხალხისა და სახელმწიფოს ერთგულების პრინციპის დაცვის ხელშესაწყობად საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრება მოხელის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები.

აღნიშნული პრინციპების რეალიზებისათვის უმნიშვნელოვანესია საქმიანობის სწორად დაგეგმვა და ორგანიზება. დაგეგმვის განუყოფელი ნაწილია ე.წ. „მიზნების ხის“ აგება.

ეს ყველა ტიპის ორგანიზაციაში შედეგის მიღების განმსაზღვრელია, განსაკუთრებით კი ორგანიზაციებში, რომლებიც ორიენტირებულია მკაცრად რეგლამენტირებული პროცესების მართვაზე. ეს იქნება მსხვილი არასახელმწიფო ორგანიზაცია, თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო. „მიზნის ხის“ აგების მეთოდიკაზე დეტალურად გვაქვს აღნიშნული ჩვენს სტატიაში, „გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მოდელების გამოყენების თავისებურებები, რომელიც გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალში „ხელისუფლება და საზოგადოება“(№4 (8) 2008 წ.).

საქმიანობის წორად დაგეგმის შემდეგ უმნიშვნელოვანესია მართვის ფუნქციების სწორად ჩამოყალიბება და რეალიზაცია. მართვის ფუნქცია წარმოადგენს ერთგვაროვან საქმიანობათა სახეს, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის ფუნქციონირების მიზნების მიღწევისკენ. მართვის ფუნქციების შესწავლისა და გამოყენების თავისი მეთოდოლოგია არსებობს, რომელიც თანამედროვე მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ფუნქციების შესწავლისთვის ყველაზე მეტად ოპტიმალურად ითვლება ისეთი მეთოდის გამოყენება, როგორიცაა კლასიფიკაცია მათი მოქმედების დროის შესაბამისად. აქ დაყოფა ორ ჯგუფად შეგვიძლია, რაც სიმარტივისთვისა და მოქნილობისთვისაა მისაღები. პირველი ჯგუფი ეს არის თანმიმდევრული ფუნქციები (რომლებიც გამოიყენება დისკრიტულად ე.ი. მეორდება დროის გარკვეული მონაკვეთში, თანმიმდევრულად ცვლის ერთმანეთს). მეორე ჯგუფს განეკუთვნება უწყვეტი ფუნქციები. (ისინი ხორციელდება მუდმივად, ორგანიზაციის მართვის მთელ პერიოდში).

მართვის თანმიმდევრულ ფუნქციებად მივიჩნევთ: მარკეტინგს; დაგეგმვას; ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულფუნქციას; მოტივაციას, როგორც მართვის ფუნქციას; რეგულირებას; კონტროლს; აღრიცხვასა და ორგანიზაციის ეფექტიანობის შეფასებას.

შევჩერდებით ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც ჩვენი აზრით რამდენადმე დაზუსტებას საჭიროებს. ასე მაგალითად, რეგულირების ფუნქცია. თანამედროვე მკვლევარების უმრავ-

ლესობა რეგულირებას განსაზღვრავს, როგორც ურთიერთობის სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს არსებული, მიმდინარე მოვლენებისა და მისი კავშირების მხარდაჭერასა თუ ცვლილებას. არანაკლებ საინტერესოა კონტროლის ფუნქცია, რომელსაც ჩვენ კონტროლინგი ვუწოდეთ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ინგლისური სიტყვიდან ნაწარმოები ტერმინი კარგად ასახავს კონტროლის უწყვეტობისა და მუდმივად მიმდინარეობის პროცესს.

კონტროლის ყველა სისტემას, მათი სახეობის მიუხედავათ, წარდგენილი აქვს განსაზღვრული მოთხოვნები, რომელთა დაცვაც მათი ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეუვალი პირობაა. ასეთ მოთხოვნებს მიეკუთვნება:

- კონტროლის სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის მიზნებს, ამოცანებსა და გეგმებს.
- კონტროლის სისტემა გაგებული და მიღებული უნდა იყოს ორგანიზაციის ყველა დონის ხელმძღვანელის მიერ.
- კონტროლის შისტემა უნდა იყოს ეკონომიური, ანუ უნდაუზრუნველყოს საკონტროლო ღონისძიებების მაქსიმალური ეფექტურობა მინიმალური დანახარჯებით.
- კონტროლის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მისი დროული განხორციელება.
- კონტროლის შისტემა უნდა იყოს მოქნილი, ანუ უნდაშესწევდეს უნარი სწრაფად შეეგუოს ორგანიზაციის შიდა და გარეგარემოს ცვლილებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია კონტროლინგის თანმდევი აღრიცხვის პროცესი, რომელსაც არასაწარმოო ორგანიზაციებში ხშირად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. აღრიცხვა წარმოადგენს შემოსავლებისა და დანახარჯების, ნორმირების, კონტროლისა და ანალიზის კომპლექსური აღრიცხვის სისტემას. იგი გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის შეკრების, განზოგადების, ინტერპრეტაციისა და ანალიზისათვის.

და ბოლოს, საჯარო დაწესებულებებში, და არა მარტო, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზაციის მართვის სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასება.

მართვის ეფექტიანობა წარმოადგენს დამოკიდებულებას მმართველობითი საქმიანობის ერთობლივ შედეგსა და მისი მიღწევისათვის დახარჯული რესურსების ღირებულებასთან. მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორებისა, რომელთა განხილვა ცალკე სამეცნიერო კვლევის საგანია.

რაც შეეხება ორგანიზაციის მართვის უწყვეტ ფუნქციებს, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გადაწყვეტილების მიღებასა და რეალიზაციას. ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით, მმართველობითი გადაწყვეტილება წარმოადგენს ალტერნატივას განხორციელებულს ხელმძღვანელის მიერ, მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების ფარგლებში, მიმართულს ორგანიზაციის მიზნის მისაღწევად. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისადმი მრავალი მიდგომა და თეორია არსებობს, ჩვენ გამოვყოფდით სამ შესაძლო ვარიანტს: სისტემურ, სიტუაციურსა და რესურსულს.

გადაწყვეტილების მიღების წესები მუშავდება ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ ცალკეული ქვედანაყოფების ფუნქციონირების კოორდინაციის მიზნით. გამოჰყოფენ ოპერატიულ, სტრატეგიულ და ორგანიზაციულ წესებს:

- ოპერატიული წესები განსაზღვრავენ საშუალო დონის ხელმძღვანელების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს. ასეთი წესების ფორმულირება ხდება სხვადასხვა ინსტრუქციების სახით.
- სტრატეგიული წესები ფორმულირდება მართვის უმაღლეს დონეზე ორგანიზაციის საქმიანი პოლიტიკის სახით. ისინი განსაზღვრავენ გადაწყვეტილებების მიღების წესს
- ორგანიზაციული წესები სხვა. ეფუძნება ადგილობრივ და რესპუბლიკურ კანონმდებლობას და ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მიზნები, საქმიანობის ხასიათი, ასევე, ორგანიზაციის

ურთიერთობას სახელმწიფო ორგანოებთან, დამფუძნებლებთან და შრომით კოლექტივებთან.

ნებისმიერი ორგანიზაციისთვის უმნიშვნელოვანესია მართვის ისეთი ფუნქცია, როგორიცაა კონფლიქტებისა და სტრესების მართვა.

ზოგადი სახით კონფლიქტი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც წინააღმდეგობრივი ინტერესების „შეხლა-შემოხლა“. კონფლიქტები ასრულებენ არა მარტო უარყოფით, არამედ დადებით როლსაც. ისინი ”აფორიაქებენ” კოლექტივს და იცავენ „ დაჭაობებისგან“.

ფსიქოლოგები გამოჰყოფენ კონფლიქტების ოთხ სახეს:

1. შიდაპიროვნული – წარმოიქმნება იმის გამო, რომ ორგანიზაციის მოთხოვნები არ ემთხვევა პიროვნების მოთხოვნილებებს.
2. პიროვნებათაშორისი – სხვადასხვა შეხედულებების ადამიანების დაპირისპირება. იყოფა ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კონფლიქტებად.
3. პიროვნებასა და ჯგუფს შორის – წარმოიქმნება როცა პიროვნებას აქვს მთელი ჯგუფისაგან განსხვავებული ინტერესები ან პოზიცია.

ჯგუფთაშორისი – კონფლიქტი ფორმალურ და არაფორმალურ ჯგუფებს შორის, ასევე ორგანიზაციასა და ცალკეულ ჯგუფს შორის.

ცნობილია, ასევე, რომ რსებობს სხვადასხვა ხასიათის სტრესები და დისტრესები:

1.ფიზიოლოგიური – წარმოიქმნება დაღლილობის კრიტიკული მასის დაგროვებისას.

2.ფსიქოლოგიური – რომელიც თავის მხრივ იყოფა:

ა) ინფორმაციულად – ინფორმაციული გადატვირთვის შედეგი;

ბ) ემოციურად – წარმოიქმნება საფრთხის, მუქარის, წყენის სიტუაციებში.

ორგანიზაციის ხელმძღვანელები სწორად იაზრებენ რა ყველა ამ პრობლემასა და გამოწვევას, შესაძლო აქტივობითა და ცოდნით უნდა უპირისპირებდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მართვას თანამედროვე მეთოდებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, სისტემატიურად ზრუნავდნენ დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლებაზე, კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებაზე, მუშაობის ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე. ამავდროულად საჯარო მმართველობის ორგანიზაციები უნდა ხასიათდებოდნენ ღიაობითა და გამჭირვალობით, სწორად და დროულად რეაგირებდნენ კრიტიკასა და მოქალაქეების მიერ გამოთქმულ შენიშვნებზე.

მთლიანობაში სახელმწიფო ორგანოები, საჯარო დაწესებულებები მოტივირებული უნდა იყვნენ გადაწყვიტონ ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები. ამ გზაზე მათი უმთავრესი მოპასუხე საზოგადოებაა, რომლის ფორმირება ცალკეულ ჯგუფებად მიმდინარეობს. ამ ჯგუფებს მიზანმიმართული ინტერესები გააჩნიათ, სწორედ ამ ინტერესთა რეალიზაციაში ხორციელდება სახელმწიფო პოლიტიკა.

ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოქალაქეებთან თავისი პოლიტიკის ღიად და გულწრფელად კომუნიკაციას, რათა ისინი უფლებამოსილი გახადოს და ამასთანავე მათი ნდობა მოიპოვოს. ამ მხრივ ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების გამოყენება მეტად გამოსადეგია, აძლევს რა ხალხს ინფორმაციაზე უფრო იოლ წვდომას და უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას.

გლობალური ინიციატივა ღია მმართველობის პარტნიორობა, რომელიც 2011 წლის 20 სექტემბერს დაიწყო, მიზნად ისახავს ზემოხსენებული ამოცანების შესრულებას. ღია მმართველობის პარტნიორობა ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გამჭვირვალობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და ტექნოლოგიური ინოვაცია.

ღია მმართველობის პარტნიორობამ გამოავლინა ხუთი „დიდი გამოწვევა“, რომელსაც ყველა ქვეყანა ამ ვალდებულებების შესრულებისკენ სავალ გზაზე აწყდება. ესაა: სახელმწიფო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო მოხელეების კეთილსინდისიერების ამაღლება, სახელმწიფოს რესურსების ეფექტური მართვა, უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა და

კერძო კომპანიების ანგარიშვალდებულების გაზრდა. დღეისთვის შეიძლება ითქვას, რომ ამ მნიშვნელოვანი ინიციატივის გზაზე სერიოზული ნაბიჯებია გადადგმული. საქართველოს მთავრობას აქვს ქვეყანაში ღია მმართველობის პარტნიორობის პრინციპების დანერგვის პოლიტიკური ნება და უნარი. ამ საქმეში აქტიურად არასამთავრობო ორგანიზაციები რაც პროცესის ღიაობასა და გამჭვირვალეობას დიდად შეუწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი „რაიზი“, 2015
2. საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ თბ., 2015 http://www.parliament.ge
3. საქართველოს კანონი ”საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” თბ. 2004 http://www.parliament.ge
4. რობერტ ბ. დენჰარტი, ჯენეტ ვ. დენჰარტი საჯარო მართვა, თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.
5. დოღონაძე შ., იაშვილი გ., საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - ‘ელექტრონული მთავრობა“, თბილისი, 2013
6. დოღონაძე შ., ბაღათურია ო., სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრობლემები, გამომც. „ცის ნამი”, თბ., 2009. 224გვ. 351/12.
7. დოღონაძე შ., დოღონაძე ს., „გადაწყვეტილებების მიღების თანამედროვე მოდელების გამოყენების თავისებურებები, სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ №4 (8) 2008 წ
8. სახელმწიფო მოხელის სამაგიდო წიგნი (იურისტის ბიბლიოთეკა) თბ., 2007, 243 გვ.
9. ზარნაძე ნ., ნარმანია დ., საზოგადოებრივი ადმინისტრირების საფუძვლები და საზოგადოებრივი ადმინისტრირება საქართველოში (დამხმარე სახელმძღვანელო) გამომც. „თსუ“, თბ. 2009, 238 გვ.
10. რონდელი ა., პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 2003, 263 გვ.
11. Wilson W., The Study of Administration, (Source: Political Science Quarterly 2, June 1887), published in Classics of Public Administration, 5th ed., edited by Jay M. Shafritz, Albert C. Hyde, Sandra J. Parkes, Belmont: Thomson Learning Academic Resource Center, 2004, p.580.
12. Марк Голзен, Эффективность Государственного управления, (общ. ред. Батчикова С., Глазьева С,) М., 1998, 842 ст.

Principles of public administration and regulation of functioning of organizations

Dogonadze Shota
Dogonadze Sofia

Summary

The thesis highlights that the development of society in each particular stage is necessary to develop a new modern systems of organizational management, on the basis of the characteristic requirements for the certain period and critical analysis of the accumulated experience in the field of management. There is discussed the essence of the principles and functions of public administration.It is emphasized that the success of modern public governance significantly is depend on what rulling methods are used by the governers, how transparent the activities are, as well, as how the citizens ‘ interests are satisfied and what kind of cooperationsare formed between civil society and administration.

Keywords: *principlels, methods, groups, function, public administration, open governance.*

ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა დიფერენცირების პრობლემა

თევდორაძე ოთარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ორიენტირებულია სხვადასხვა მეცნიერული მეთოდების გამოყენებით ხსენებული საკითხების კვლევაზე. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისეთი მეცნიერული მეთოდები როგორებიცაა დიალექტიკურ - მეცნიერული, შედარებით - მეცნიერული, და ფორმალურ - დოგმატური მეთოდები.

აღნიშნული საკითხების კვლევა და მასთან დაკავშირებით მეტ - ნაკლებად ლოგიკური დასკვნის გაკეთება ვფიქრობ უფრო მეტად ცხადად წარმოაჩენს ადგილობრივი თვითმმართველობის საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და მის არსს, რადგან კრიტერიუმების კვლევა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობისათვის უფლებამოსილებათა მინიჭება, უფლებამოსილებათა გამიჯვნის სამართლებრივ საფუძველზე და მინიჭებული უფლებამოსილებების შეუფერხებელი განხორციელების საკითხებზე მსჯელობა.

საკვანძო სიტყვები: *ევროპული ქარტია; კონსტიტუცია, გარანტია, ადგილობრივი თვითმმართველობა; უფლებამოსილება, დიფერენციაცია; დეკონცენტრაცია.*

ძირითადი ტექსტი

1985 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, ხოლო ხელმოსაწერად დოკუმენტი 1985 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა. საქართველომ ამ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2002 წლის 29 მაისს. 2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა ქარტიის რატიფიცირება და 2005 წლის 1 აპრილიდან ის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ძალაში შევიდა[1].

ქარტიის დებულებები განსაზღვრავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ძირითად პრინციპებს, როგორიცაა: თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნის აუცილებლობა; ხელისუფ-ლების ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების სფერო და მათი რეალიზაციის პირობები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ტერიტორიული გამიჯვნის პრინციპის დაცვა; ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი ადმინისტრაციული ორგანოების ავტონომიურობის უზრუნველყოფა; თვითმმართველობებში კომპეტენტური პერსონალის დასაქმება და არჩევით თანამდებობათა დაკავების პირობები; თვითმმართველობების საქმიანობის ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელება; ადგილობრივი ხელისუფლების საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა; თვითმმართველობების თანამშრომლობა და გაერთიანების უფლება; ადგილობრივი ხელისუფლების სამართლებრივი დაცვა. ქარტიის სავალდებულო ბირთვის 14 დებულებიდან 2004 წელს საქართველო შეუერთდა 13 დებულებას, ხოლო დამატებითი პუნქტებიდან - 10 დებულებას. ფაქტიურად, საქართველომ ივალდებულა ქარტიის დებულებათა უდიდესი ნაწილის შესრულება. მიუხედავად ზოგიერთი დებულების არაღიარებისა, ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის გათვალისწინებით, დოკუმენტის ყველა დებულება ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენადაც წარმოადგენს იმ – შუქურას, რომლისკენაც უნდა ისწრაფვოდეს ქვეყანა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის მშენებლობისას[2].

---

[1] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის – რატიფიცირების თაობაზე, თბილისი, 2004 წლის 26 ოქტომბერი, №515–IIს

[2] გრიგოლ მახარაძე. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA3/19/2009)

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის" მე- 2 მუხლი „ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძველის ხელმომწერ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარონ ეროვნულ კანონმდებლობაში, უმჯობესია, ყველაზე ძნელად შესაცვლელ და უზენაეს ნორმატიულ აქტში – კონსტიტუციაში. ეს თვითმმართველობის სტაბილურობისთვისაა აუცილებელი.

1995 წელს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციაში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მხოლოდ ერთი ჩანაწერი, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი იყო: „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით. 2010 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები განისაზღვრა ახალი, VII1 თავით „ადგილობრივი თვითმმართველობა".

თვითმმართველობის კონსტიტუციურ გარანტიებთან დაკავშირებული მუხლები ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან. 2010 წელს ქვეყნის ძირითად კანონში შეტანილმა ცვლილებებმა და დამატებებმა კონსტიტუციურად გაამყარა თვითმმართველობის საქმიანობის გარანტიები თუმცა, ამ დროს არ იქნა გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები კომპეტენციების მკაფიოდ გამიჯვნის, სუბსიდიარობისა და ფისკალური დეცენტრალიზაციის ძირეული პრინციპების კონსტიტუციაში ასახვის შესახებ. საქართველოში ადგილობრივი თვითმართველობის საქმიანობის მარეგულირებელ ძირითად დოკუმენტად კონსტიტუციით განსაზღვრულია ორგანული კანონი (მუხლი 1011), რომლის მისაღებად და შესაცვლელად პარლამენტს, კანონთან შედარებით, უფრო მაღალი კვორუმი (სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი) სჭირდება. საქართველო ასევე არ არის შეერთებული ქარტიის დამატებით ოქმს ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის უფლებების შესახებ, 9 რომელიც მიღებულია ქ.უტრეხტში 2009 წლის 16 ნოემბერს.[1]

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განმარტავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არა მარტო უფლებას, არამედ რეალურ შესაძლებლობასაც, კანონის ფარგლებში, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნაწილი.

სახელმწიფო ფუნქციების ჯეროვნად განხორციელებისათვის საჭიროა ხელისუფლების ორგანოთა ოპტიმალური სისტემის ჩამოყალიბება. ცხადია, არსებობს არაერთი მოდელი, რომელიც ხელისუფლების მოწყობასა და ფუნქციების გამიჯვნას განსაზღვრავს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველა მოდელი ერთნაირად არ მოერგება კონკრეტულ სახელმწიფოს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველი ქვეყანა უნიკალურია თავისი ისტორიული გამოცდილებით, გავლილი გზით, ტრადიციებითა და ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობებით. ხელისუფლების დანაწილებისას უმნიშვნელოვანესია მმართველი რგოლების ორგანიზაციული დანაწილება: სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციები განაწილებული უნდა იყოს სხვადასხვა ორგანოებზე იმგვარად, რომ არც ერთ მათგანს არ შეეძლოს მთელსახელმწიფო ხელისუფლებაზე კონტროლის მოპოვება. ასევე, უმნიშვნელოვანესი მომენტია ხელისუფლების პერსონალური დანაწი-ლების საკითხი: ხელისუფლების ერთი შტოს წარმომადგენელი, როგორც წესი, არ შეიძლება ფლობდეს ხელისუფლების მეორე შტოს თანამდებობას. ხელისუფლების დაყოფა აუცილებელია, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალაუფლების კონცენტრირება ერთი ადამიანის ხელში, რაც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს დემოკრატიისთვის. წარმომადგენლობითი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან

[1] ადგილობრივი თვითმმართველობა (სახელმძღვანელო) /ავტორთა კოლექტივი თბ., 2016 ვ.28

ადგილობრივი პოლიტიკისა და კანონმდებლობის ფორმირებაზე, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება და საჯარო მოხელეები - პოლიტიკისა და კანონების რეალურ ცხოვრებაში გატარებაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ხელისუფლება ფუნქციურად დაყოფილია მის წარმომადგენლობით, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს შორის, აგრეთვე, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის, ხოლო მათი უფლებამოსილებები გამიჯნულია ერთმანეთისგან. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის თანამედროვე გაგება მოიცავს:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამიჯვნა-გადანაწილებას, ანუ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებას იერარქიულად დამოუკიდებელი, საკუთარი უფლებამოსილების მქონე სხვადასხვა განშტოების მიერ. ჩვეულებრივ, ცენტრალური ხელისუფლების სამ განშტოებას ასახელებენ: საკანონმდებლოს, აღმასრულებელსა და სასამართლოს, თუმცა, ბოლო დროს, არცთუ იშვიათად, მის განშტოებებად ასევე მოიხსენიება საპრეზიდენტო, საკონტროლო, საზედამხედველო, საარჩევნო და სხვა ხელისუფლებაც;

ბ) კონტროლისა (ურთიერთშეკავების) და გაწონასწორების წესებს, რომელთა მეშვეობითაც სხვადასხვა განშტოებას შეუძლია დანარჩენი განშტოებანი გააკონტროლოს და წინ აღუდგეს მათ მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ან/და თავისი უფლებამოსილების ფარგლებიდან გასვლას;

გ) განშტოებათა თანამშრომლობას, რაც განპირობებულია განშტოებათა ერთგვაროვანი სახელმწიფოებრივი ბუნებით. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად საკითხებში ხელისუფლების ყველა განშტოების მოქმედება ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება სახელმწიფოს მართვა, რაც გამოიწვევს ანარქიასა და საზოგადოების ინტერესების შელახვას.

ხელისუფლების ზოგადი, ოპტიმალური ორგანიზაციის პრობლემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ტერიტორიული თვითმმართველობის საკითხი. ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს დაკისრებული აქვს ესა თუ ის უფლებამოსილება, არ წარმოშობს იმის ვალდებულებას, რომ ყველა საკითხი ამ ორგანომ უნდა გადაჭრას. ადგილზე წამოჭრილი ყველა პრობლემის გადაწყვეტა ობიექტურად მართლაც ძალიან რთულია ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისათვის. ამის გათვალისწინებით, რეალურ გამოსავალს წარმოადგენს ის, რომ გარკვეული უფლებამოსილებები მიენიჭოს ადგილზე მოქმედ ქვესტრუქტურებს, ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს (მაგ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს), თუ მოხდება მათ შორის უფლებამოსილებათა სწორი, ზუსტი განაწილება, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ეფექტურ და გამართულ ფუნქციონირებას.

ხელისუფლების ორგანოებს შორის უფლებამოსილებების განაწილების ორი შესაძლებლობა არსებობს: დეცენტრალიზაცია და დეკონცენტრაცია. დეცენტრალიზაცია ნიშნავს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის უფლების მიცემას ადგილზე არჩეული ხელისუფლების ორგანოებისათვის, მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში, ცენტრისგან დამოუკიდებლად და მისი ზედამხედველობის ქვეშ. დეკონცენტრაცია არის ცენტრალური ხელისუფლების გადანაწილება, კონტროლის მექანიზმების გადაცემა ტერიტორიულ ერთეულებში ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებზე.

დეკონცენტრაციის დროს ადგილებზე იქმნება ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურული ქვედანაყოფი, იქვე წარმოქმნილი საკითხების გადაწყვეტის მიზნით. იმის გამო, რომ იგი არ არის დამოუკიდებელი ორგანო, უფლებამოსილების განხორციელება ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოს სახელითა და პასუხისმგებლობით ხორციელდება. დეკონცენტრაციის მეთოდს იყენებს თითქმის ყველა მსხვილი ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურა. მაგ., საქართველოს შინაგან საქმეთა, განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები. ზოგიერთ სახელმწიფო ორგანოს არ უჩნდება ტერიტორიული

ქვესტრუქტურის შექმნის და მათი მეშვეობით საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების აუცილებლობა, მაგ., საქართველოს ეროვნულ ბანკს. 58 პოლიტიკური ადმინისტრაციული ეკონომიკური დეცენტრალიზაცია ფისკალური დევოლუცია - უფლებების გადაცემა გადაწყვეტილებების ადგილზე მიღება მოსახლეობის მონაწილეობა დეკონცენტრაცია დელეგირება საკუთარი კომპეტენცი ების გაზრდა საშემოსავლო ბაზა ხარჯვის საშუალება ინტერ- მუნიციპალური ტრანსფერები ადგილობრივი არჩევნები ბიუჯეტის საკმარისობა პრივატიზაცია დერეგულაცია ბიუროკრატიზაციის შემცირება – საჯარო- კერძო თანამშრომლობა დეკონცენტრაციისაგან განსხვავებით, დეცენტრალიზაცია არის საკუთარი უფლებამოსილებების გადაცემა ადგილზე ფუნქციონირებად ადმინისტრაციული ორგანოებისთვის, რომლებიც საკუთარი სახელითა და პასუხისმგებლობით ახორციელებენ მათთვის გადაცემულ უფლებამო-სილებებს.

დეცენტრალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონით, დეკონცენტრაციისათვის კი საკმარისია ცენტრალური ადმინისტრაციული ან მისი ზემდგომი ორგანოს ნორმატიული აქტი. დეცენტრალიზაცია მოიცავს ოთხ ძირითად კომპონენტს: პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ფისკალურ და ეკონომიკურ დეცენტრალიზაციას:

პოლიტიკური დეცენტრალიზაცია - მოსახლეობისთვის ადგილობრივ დონეზე წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევის უფლების მიცემა, კანონოთ განსაზღვრული საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილების ფარგლებში მათთვის პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების უფლების მინიჭება (დევოლუცია).

ადმინისტრაციული დეცენტრალიზაცია - თვითმმართველობის ორგანოებისთვის უფლებამოსილებათა გადაცემა სახელმწიფო საქმეების მართვისა და საჯარო მომსახურების სფეროში;

ფისკალური დეცენტრალიზაცია - ცენტრალური ხელისუფლების მიერ თვითმმართველობისთვის კომპეტენციათა განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსების და აქტივების/ გადასახადების განკარგვის უფლების გადაცემა.

ეკონომიკური დეცენტრალიზაცია - პრივატიზაციისა და ზედმეტი სახელმწიფო რეგულაციებისგან, ბიუროკრატიული ბარიერებისგან ეკონომიკური განვითარების გათავისუფლების პროცესი, საჯარო-კერძო თანამშრომლობის ფორმების განვითარება.

დეცენტრალიზაციის პროცესის ამ ოთხი მიმართულებიდან ბოლო ათწლეულებში საქართველომ მეტ-ნაკლებად განახოციელა ცალკეული ღონისძიებები, მაგრამ დღემდე არ არის ჩამოყალიბებული, პოლიტელიტისა და საზოგადოების მიერ გააზრებული და ერთიანი ხედვა, თუ მთლიანობაში როგორ უნდა ხორციელდებოდეს ძალაუფლების ვერტიკალურად, ზემოდან ქვემოთ გადანაწილება. ამ მიმართულებით ცვლილებები ურთიერთწინააღმდეგობრივად და არასრულად ხდება, ხშირია გადახვევა ადრე აღებული კურსიდან და ცალკეულ წარმატებებს ხშირად სტაგნაცია და მართვის ცენტრალიზებული მეთოდების აღდგენა მოსდევს. განვლილ ათწლეულებში ქართული პოლიტიკური ელიტა დეცენტრალიზაციის შეფერხების მიზეზად ასახელებდა იმ გარემოებას, რომ ქვეყნის წინაშე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საკითხები იდგა. ამ მოსაზრებას საფუძველი მართლაც გააჩნია: პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების, ცენტრალიზებული ეკონომიკის მოშლისა და ახალი, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების გაჭიანურების, ადამიანური და ფინანსური რესურსების ქრონიკული დეფიციტის პირობებში მართლაც ძნელი იყო, ქვეყანას ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებაზე ეფიქრა[1].

ამასთან, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში სხვა, შედარებით წარმატებით გატარებული რეფორმები სახელმწიფო რესურსების მაქსიმალურ მობილიზაციას მოითხოვდა. თუმცა, დეცენტრალიზაციის საკითხის "არაპრიორიტე- ტულობას" დეკლარირებულ მიზეზებთან ერთად, ფარული, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც ჰქონდა: ორნახევარი ათწლეულის

[1] ადგილობრივი თვითმმართველობა (სახელმძღვანელო) /ავტორთა კოლექტივი თბ., 2016 გვ.60

განმავლობაში ქვეყნის სათავეში მყოფ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ სურდა საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული, ხელისუფლების ცენტრიდან კონტროლის მექანიზმების ხელიდან გაშვება. ყველა პოლიტიკური ძალა ხელისუფლებაში მოსვლამდე აპელირებას დეცენტრალიზაციის აუცილებლობაზე აკეთებდა, მაგრამ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ივიწყებდა დაპირებას და, ადგილობრივ ინტერესთა ჯგუფებზე დაყრდნობით, ცდილობდა მაქსიმალურად გაეხანგრძლივებინა ბატონობა ხელისუფლების ყველა დონეზე.

თვითმმართველობის ორგანოებს მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა ჰქონდეთ ჰორიზონტალური კოორდინაცია, რაც უზრუნველყოფს საერთო სტანდარტების, ურთიერთმხარდაჭერის, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, ერთობლივი საწარმოებისა და ასოციაციების შექმნის შესაძლებლობას. ჰორიზონტალური კოორდინაცია ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობაში.

ამდენად, დემოკრატიული სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ძალაუფლების დაყოფა ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომპეტენციების მკაფიოდ და სამართლიანად გამიჯვნა. დემოკრატიული სისტემებისთვის მიუღებელია ფუნქციათა დუბლირება ან ცენტრალური ხელისუფლების დომინირება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის – რატიფიცირების თაობაზე, თბილისი, 2004 წლის 26 ოქტომბერი, №515–IIს
2. გრიგოლ მახარაძე. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA3/19/2009)
3. ადგილობრივი თვითმმართველობა (სახელმძღვანელო) /ავტორთა კოლექტივი თბ., 2016
4. თვითმმართველობის უფლებამოსილება დაკვირვების ქვეშ. დავით ლოსაბერიძე, ზვიად ქორიძე http://localreport.ge/2014/09/thvithmmarthvelobis-uphlebamosileba-dakvirvebis-qvesh/

Local Self Government Authority Problems

Tevdoradze Otar

Summary

Self-government needs freedom of action, which means the right of the municipal authorities to make decisions about the specific problems without the central government's authorization. It is necessary to deepen fiscal decentralization. This does not mean that it should only finance or resource resources, but also aim to increase local self-government rights in the sphere of local budgets, taxes and finances. It is also necessary to transfer relevant property, other material resources for local self-government. Georgian state requires a vertical and horizontal link between different levels of government. It is necessary to have a vertical coordination between different governmental, national, regional and local levels. Thus, decentralization for other post-socialist countries, as well as for Georgia is a difficult process and there are contradictions, namely: the old practice of governance and the inertia of the past, which is linked to mental and old institutions' low efficiency. Accordingly; There is a lack of constructive relations between different levels of government.

სახელმწიფო ინსტიტუტის, სამოქალაქო საზოგადოების და მათი ურთიერთქმედების ფუნქციების ტრანსფორმაცია გლობალიზაციის პირობებში

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ებრალიძე გია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორი

აბსტრაქტი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი დაკავშირებულია სერიოზულ ცვლილებებთან, რომელიც გლობალიზაციის პროცესების ზეგავლენით სოციუმის ყველა სფეროში ხდება. დაწყებული XX საუკუნის 80-ან წლებიდან, გლობალიზაციის თემა და მისი სხვადასხვა გამოვლენა გახდა აქტიური კვლევების და მსოფლიო თანამეგობრობის განხილვის საგანი. გლობალიზაციაზე შეხედულებები და შეფასებები განსხვავებულია და ხშირად ატარებს ურთიერთგამომრიცხავ ხასიათს.

სტატიაში განხილულია სახელმწიფოს ფუნქციების ცვლილებები და მისი უფლებამოსილების შემცირება, რომელმაც დაკარგა საკუთარი ტრადიციული ფუნქციების მნიშვნელოვანი ნაწილი.

ავტორს მიაჩნია, რომ ეს ნაწილი „ხელთ იგდეს“ ტრანსნაციონალურმა და საერთაშორისო სტრუქტურებმა, გარდა ამისა, სახელმწიფომ საკუთარი ძალაუფლების გარკვეული წილი ადგილობრივ ხელისუფლებას და სამოქალაქო საზოგადოებასაც გადასცა. ტრადიციული, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული სივრცე წაილეკა, მაშინ როდესაც სამოქალაქო საზოგადოება აგრძელებს არსებობას ეროვნულ ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, სამოქალაქო საზოგადოება, სამოქალაქო სექტორი.*

ძირითადი ტექსტი

მეცნიერთა და პოლიტიკოსთა უმრავლესობა იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქცია ახალ სიტუაციაში უნდა იყოს საშუამავლო ფუნქცია პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის, საზოგადოების განვითარებაში პიროვნული საწყისის მატებით და პარტიების წარმომდგენლობითი ფუნქციების შემცირებით. სამოქალაქო სტრუქტურებმა უნდა აიღონ საკუთარ თავზე ასევე შრომის განაწილების პრობლემების ნაწილობრივი გადაწყვეტა.

თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს მისი წევრებისთვის მზარდი შერჩევა, მაგრამ იმისთვის, რომ განახორციელო ეს არჩევანი, აუცილებელია რეფლექსიურობის მაღალი დონე, ე.ი. არჩევანის სიტუაციის, არსებული ალტერნატივების, საკუთარი მოთხოვნილებების გააზრება იმის მიმართ, რაც წარმოშობს რადიკალურ ეჭვს არსებული გარემოს. რადიკალური ეჭვისგან თავდაცვის მექანიზმი ნდობაა, რის გარეშეც შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია და მისი ურთიერთობა სამყაროსთან. თვითიდენტურობა მიღწევადია საკუთარი თავის მსგავსების აღქმის, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში საკუთარი ადგილის მოძებნის, საკუთარი თავისთვის პრიორიტეტული ნორმებისა და ფასეულობების და თანამედროვე სამყაროში საკუთარი ქცევის განსაზღვრის მეშვეობით.

რისკის კულტურა წარმოშობს რიგ ურთიერთსაწინააღმდეგო ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მაგალითად ისეთს, როგორიცაა გაურკვევლობა და ეჭვი, მიდრეკილება წინაგრძნო-

ბისადმი, უმიზეზო შფოთვა. გლობალიზაცია აქცევს სოციალურ ყოფას გაუთავებელი კრიზისების წრეში. კრიზისულია სიტუაცია, რომელშიც ესა თუ ის მოქმედებები, რომლებიც ადრე გამოიყენებოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნების რეალიზაციისათვის, უცბად არაადეკვატური ხდება. წარმოიშვება „გაურკვევლობის ზოგადი კლიმატი", რომელიც მოქმედებს ინდივიდის თვითშეგრძნებაზე და იდენტურობის მისეულ განცდაზე. მოსახლეობის უმრავლესობის იდენტურობის შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ.

თანამდეროვე მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საკუთარი თავის შენარჩუნება, დაცვა სხვა სახელმწიფოებისგან, რომლებიც ცდილობენ გლობალურ სამყაროში დაიკავონ მეთაურის პოზიციები. სახელმწიფოს მიერ ადამიანისთვის ისეთი მნიშვნელოვანი სასიცოცხლო სფეროს გადაცემა, როგორიც არის სოციალური და კულტურული, ფასეულობების დაკარგვით შეიძლება დასრულდეს. ჩვენი აზრით, დღეს ავტორიტეტს კარგავს არა მარტო სახელმწიფო ინსტიტუტები, არამედ ტრადიციული საოჯახო ფასეულობები, რაც იწვევს თაობიდან თაობამდე კულტურული კოდების თანმიმდევრული გადაცემის რღვევას.

ყველა ამ პროცესის შედეგად იკარგება „ლეგიტიმური თვითმყოფადობის" საფუძვლები და ხდება ინდუსტრიული ეპოქის დემოკრატიული საზოგადოების სამოქალაქო ინსტიტუტების ავტორიტეტის აღიარება. ჩვენ შეგვიძლია ერთიანი თვითმყოფადობის ჩამოშლა შევადაროთ საზოგადოების, როგორც გონიერი სოციალური სისტემის დაშლას და ნაკლებსავარაუდოდ ვთვლით თანამედროვე საზოგადოების ახალი ინსტიტუტების აღდგენას.

საზოგადოებაში ნდობის დაბალი დონით რეგლამენტაციამ შეიძლება მხარი დაუჭიროს სამეურნეო ეფექტიანობას, მაგრამ იგი ვერასდროს მოახდენს პოზიტიურ ცვლილებებს ზოგადად. მაგალითად, ნდობის მაღალი დონის მქონე საზოგადოებაში ეკონომიკური წარმატებები მიიღწევა იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ქმედებები მხოლოდ ავსებდნენ და ახდენდნენ საზოგადოების განვითარების კოორდინირებას. ხოლო ნდობის დაბალი დონის და შიგა დესოციალიზაციის მქონე საზოგადოებისათვის დამახასიათებელია საოჯახო, კლანური ან ჯგუფური ჩაკეტილობა, რის გამოც ასეთი საზოგადოებები ნაკლებადაა მიდრეკილი სტაბილური და ბუნებრივი განვითარებისკენ.

ხალხის ნებაყოფლობითი გაერთიანების ტრადიციების არარსებობის შემთხვევაში, პოსტკომუნისტური ქვეყნების (და მათ შორის, საქართველოს) საზოგადოებებში რჩება მხოლოდ ეროვნული და საოჯახო ნიშნის მიხედვით შექმნილი გაერთიანებები. გაერთიანების უმარტივესი ფორმა ეთნიკური ნიშნის მიხედვით ყალიბდება, იგი ადამიანებს აცილებს თავიდან განცალკევულობის, სისუსტის და დაუცველობის შეგრძნებას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სერიოზული წინააღმდეგობები პოლიტიკური და საზოგადოებრივი სტრუქტურების მხრიდან, მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს ეროვნული სახელმწიფოს ინსტიტუტის შესუსტების უკვე გამოვლენილ ტენდენციას. საუბარია ხელისუფლების ახალი ტრანსნაციონალური სუბიექტების შესახებ, რომლებიც განდევნიან ტრადიციულ აქტორებს და ვერ კონტროლდებიან ვერც ხელისუფლების ტრადიციული ინსტიტუტების და ვერც ახლად ჩამოყალიბებული საერთაშორისო პოლიტიკური სუბიექტების მირ. სწორედ ეს ახდენს სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის აქტუალიზაციას.

გლობალიზაციაზე ორიენტირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები: ახალი აქტორების გამოჩენის ერთ-ერთ მიზეზს გლობალიზაციაზე ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება წარმოადგენს. ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციამ მიაღწია ისეთ დონეს, რომ ეროვნული პოლიტიკის კლასიკურმა ინსტრუმენტებმა, რომლებიც მოწოდებულია, მოახდინოს ეკონომიკური ზრდის აქტივიზირება, მნიშვნელოვნად დაკარგეს ქმედითუნარიანობა. ფინანსური ცენტრალიზაცია სახელმწიფოებს დამოკიდებულს ხდის მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე, რომელთა ინტერესები წინააღმდეგობაშია ეროვნულ ინტერესებთან.

პრინციპულად იცვლება სახელმწიფოსა და მსოფლიოს ეკონომიკური ურთიერთობების

თანაფარდობა. ასე, თუ წარსულში წამყვან როლს ეროვნული ეკონომიკები თამაშობდნენ, განსაზღვრავდნენ რა ურთიერთობებს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, ამჟამად საერთაშორისო საფინანსო ბაზრები და უმსხვილესი ეკონომიკური სტრუქტურები კარნახობენ პირობებს ეროვნულ ეკონომიკებს. გლობალური ეკონომიკური სისტემა თანდათანობით იძენს დიდ ზეგავლენას და მნიშვნელობას, და ცალკეული სახელმწიფოები იძულებულნი არიან, „ითამაშონ“ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის წესებით და არა შიდა ეროვნული წესებისა და პრინციპების საფუძველზე, როგორც ადრე.

თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოს არ შეუძლია წარმატებულად მოერგოს ახალ ეკონომიკურ სივრცეს. საერთაშორისო ეკონომიკური პროცესები, რომლებიც ადრე წარმატებულად რეგულირდებოდა ორმხრივ დონეზე, გადაიზრდება სხვა ურთიერთობებში, რის გამოც ხდება სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების გაუფასურება.

საინფორმაციო, საფინანსო და სხვა პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, ამცირებენ ეროვნული სახელმწიფოების შესაძლებლობებს შიდაპოლიტიკური სიტუაციების კონტროლისა და მისი მმართვის მხრივ. ცალკეული სახელმწიფოები, იმყოფებიან რა მსოფლიო ბაზარზე სიტუაციის ზეგავლენის ქვეშ, კარგავენ ეროვნულ ეკონომიკაზე სუვერენიტეტს. კონტროლიდან გამოდის საინფორმაციო ნაკადები. ბევრი ფუნქცია, რომლებსაც ადრე ასრულებდნენ მთავრობები, გადადის ტრანსნაწინალურ კომპანიებთან, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებთან. ეროვნული და საერთაშორის არასამთავრობო ორგანიზაციები ახდენენ მზარდ ზეგავლენას საზოგადოებრივ აზრზე, პოლიტიკის ფორმირებაზე, კანონების შემუშავებაზე, თვითონ ასრულებენ სოციალური დაცვის ფუნქციებს და იღებენ მონაწილეობას კომიტეტების და გაეროს კომისიების საქმიანობაში. მთავრობები ნაწილობრივ კარგავენ მონოპოლიას სახელისუფლო უფლებამოსილების რეალიზაციაზე. ძალაუფლება იფანტება“.

როგორ შეიცვლება სახელმწიფო ინსტიტუტი გლობალიზაციის პირობებში, რომელი ფაქტორები მოახდენს ამ პროცესების დეტერმინირებას, რომელი სტრუქტურები აიღებს საკუთარ თავზე მმართველობით ფუნქციებს, თუ შესაძლებელ იქნა, რომელი სტრუქტურებით მოხდება „სოციალური სახელმწიფოს“ პრინციპების რეალიზება - ეს კითხვები ჯერ კიდევ დისკუსიის საგანია და ახლა მათზე ძნელია პასუხის გაცემა. ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ, რომელი ფაქტორები მოქმედებენ სახელმწიფო ინსტიტუტზე და განსაზღვრავენ მის ფუნქციებს და უფლებამოსილების მასშტაბებს.

დღეს სულ უფრო აძლიერებენ თავის პოზიციებს ტრანსნაციონალური აქტორები, რომლებიც მოქმედებენ მთელ მსოფლიოში და უარყოფენ მის საზღვრებს. განვითარება და მათი ურთიერთობა სულ უფრო არყევს ეროვნული სახელმწიფოს უნარს, უზრუნველყოს მოქალაქეთა კეთილდღეობა, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ ართმევს მას ტრადიციულ სტრუქტურას, მმართვისა და კონტროლის ტექნოლოგიებს. ამრიგად, ეჭვქვეშ დგება „სოციალური სახელმწიფოს“ და „სამოქალაქო საზოგადოების“ იდეის ფასი, რომელთა მიზანიც იყო ეროვნულ სახელმწიფო სტრუქტურების კონტროლი და მათთან ურთიერთობა. სახელმწიფო კარგავს საზოგადოებაზე ზემოქმედების მექანიზმებს, მაგრამ საზოგადოებასაც არ შეუძლია, წაუყენოს მოთხოვნები სახელმწიფოს ინსტიტუტებს, ვინაიდან იგი ვერ წყვეტს მრავალ ამოცანას, რომლებიც ადრე მის კომპეტენციაში იმყოფებოდა. გასული საუკუნის შუა წლებიდან განსაკუთრებულ როლს თამაშობს გლობალური ფინანსური სისტემა, რომლის ეროვნულ ეკონომიკაზე ზემოქმედების ძალა და მასშტაბი უპრეცენდენტო გახდა. ეროვნული ფინანსური ბაზრები და ძირითადი მსოფლიო ფინანსური ცენტრები გლობალური ფინანსური სისტემის ფარგლებში წარმოიქმნება. ამიტომ გლობალური ფინანსური ბაზრების არამდგრადობას გააჩნია მნიშვნელოვანი შიდა ეკონომიკური შედეგები: ფინანსური პირობები ერთ რეგიონში პრაქტიკულად აისახება ეროვნულ ბაზრებზე მთელ მსოფლიოში. ტრანს-სა-

საზღვრო ფინანსური ნაკადები ისეთ ურთიერთკავშირშია, რომ ფინანსური სიძნელეები, რომლებიც ხვდება ერთ ან რამდენიმე ეროვნულ სისტემას, შეიძლება პირდაპირ აისახოს გლობალური ფინანსური სისტემის დარჩენილ ნაწილებზე.

მსოფლიო სავაჭრო კავშირების ინტენსიფიკაციას გააჩნია მრავალმხრივი შედეგები და არა მარტო ეკონომიკურ სტილში.სავაჭრო შეთანხმებების რეგიონული სისტემების განვითარება, მსოფლიო სისტემის ინსტიტუალიზაცია ცვლის ეროვნული სახელმწიფოს როლს - მისი პროტექციონისტული ფინქციები არსობითად მცირდება და არა მარტო სავაჭ-რო ტარიფები და კვოტები, არამედ შიდა ეკონომიკური პოლიტიკა იმყოფება საერთაშორის ინსტიტუტრების და ორგანიზაციების ცენტრში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა, გლობალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, ჟურნ., ''სოციალური ეკონომიკა'', 2003წ.
2. აქუბარდია თ, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., 2005წ.
3. სეფაშვილი ე, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ობიექტური ტენდენციები. ჟურნ., ''მაკროეკონომიკა'', 2001 წ.
4. Economic Survey of Europe. United Nations, New York and Geneva, 2000-2015.
5. The National Export Strategy. US Trade Promotion Coordinating Committee, Wash., 1999-2005.

State Institutions, Civil Society, and Their Interaction With the Transformation In the Context of Globalization

Genadi Iashvili, Gia Ebralidze

Summary

Development of civil society are connected with serious changes in the modern stage, which are in all fields of Society with the social impact of globalization processes. XX century, ranging from 80-years, the subject of globalization and its various detection are the active subject of studies and discussion in the world community. Views and assessments about Globalization are different and often have contradictory character.

The article discusses the changes in the functions and powers of its decline, which has lost a significant part of their traditional functions.

The author believes that this is part of the "seized" transnational and international institutions, in addition, the state has a certain share of their power to local authorities and civil society. Traditional, economic, political, cultural space groves, while civil society continues to exist within a national framework.

Keywords: *Globalization, Civil Society, Civil sector.*

კორუფციის ანალიზი საჯარო სამსახურში და ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესი

იაშვილი გენადი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

ცომაია ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კორუფცია უარყოფით გავლენას ახდენს თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნის განვითარებაზე, კანონის უზენაესობის განმტკიცებასა და ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. კორუფცია ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ბიზნესის განვითარებასა და ინვესტიციების ზრდას ქვეყანაში. ამასთან, ქრთამის აღება, სახელმწიფო რესურსების მისაკუთრება, ინტერესთა კონფლიქტი, ზეგავლენით ვაჭრობა, ფავორიტიზმისა და ნეპოტიზმის შემთხვევები აფერხებს საჯარო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობას და დიდ უკმაყოფილებას იწვევს საჯარო სამსახურებისადმი. შესაბამისად, კორუფციის პრევენცია, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებში კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრა საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესი საჯარო სამსახურში

საკვანძო სიტყვები: *ანტიკორუფციული პოლიტიკა, საჯარო სამსახური, საგადასახადო სისტემა, რეფორმირების პროცესი.*

ძირითადი ტექსტი

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დასრულების შემდეგ თანდათან გაუარესდა მთავრობის მიერ გადასახადების აკრეფის უნარი. სხვადასხვა კორუფციული სქემები მიზნად ისახავდა გადასახადებისგან თავის არიდებას, გადასახადების წინსწრებით უკანონოდ გამოძალვას და მითვისებას, რამაც ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების აკრეფის მუდმივი შეუსრულებლობა გამოიწვია. მაშინ, როდესაც ბიუჯეტი უჩვენებდა თანხების არსებობას, რეალურად ის სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე არც კი ხვდებოდა. ხშირ შემთხვევაში, კორუფციაში მაღალი დონის თანამდებობის პირების მონაწილეობამ უკანონო გარიგებებში ქვეყანა მწვავე პრობლემების წინაშე დააყენა: დაგროვდა სახელფასო, საპენსიო დავალიანებები, შეფერხდა კომუნალური მომსახურება, ენერგომატარებლების მიწოდება, საზოგადოებრივი სამუშაოები და სხვა სახელმწიფო ვალდებულებების შესრულება. საქართველოს პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს მიიღეს. იმ დროისთვის ქვეყნის მთავარ რეფორმად მიჩნეული კოდექსი, რომელიც 12 საერთო-სახელმწიფოებრივ და 7 ადგილობრივ გადასახადს აერთიანებდა, მოგვიანებით სერიოზული დეფექტების მქონე აღმოჩნდა. გადასახადების სიმრავლემ, დაანგარიშების რთულმა სისტემამ და მრავალნაირმა შეღავათმა და ხარვეზმა საგადასახადო ორგანოები აიძულა კოდექსში 1997-დან 2003 წლამდე 350-ზე მეტი ცვლილება განეხორციელებინა. ბიზნესისთვის განსაკუთრებით რთული იყო ფეხი აეწყო ცვლილებების ამ ტემპისათვის. რთულმა საგადასახადო სისტემამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა კორუფციას, რომელიც ხშირად იმით გამოიხატებოდა, რომ პარლამენტარები და ზემდგომი სახელმწიფო მოხელეები იყენებდნენ თავიანთ გავლენას, რათა მოეპოვებინათ პრეზიდენტის განკარგულებები ფავორიტი კომპანიებისთვის ხელსაყრელი საგადასახადო პირობების შესაქმნელად. საწარმოები რეგულარულად იხდიდნენ თანხებს, რათა მიეღოთ ხელსაყრელი საგადასახადო პირობები და თავიდან აეცილებინათ სადამსჯელო ხასიათის მატარებელი საგადასახადო

ინსპექციები და აუდიტი. საგადასახადო თანამშრომლები და ბიზნეს-მეპატრონეები კორუფციული გარიგებით თვითნებურად წყვეტდნენ, რა საგადასახადო ვალდებულება დაკისრებოდათ. მათთვის უფრო ადვილი იყო მოლაპარაკება ეწარმოებინათ თანხებზე რომლის ერთი ნაწილი საგადასახადო ვალდებულება, მეორე კი ქრთამი იყო, ვიდრე ეცადათ, გაეგოთ, თუ რას ითხოვდა საგადასახადო კოდექსი. კორუფცია, ასევე, ვრცელდებოდა უკვე აკრეფილ საგადასახადო შემოსავლებზე. რიგი კორუფციული სქემებით შესაძლებელი იყო საბიუჯეტო თანხების თაღლითურად მითვისება დამატებითი დირებულების გადასახადის (დღგ) დაბრუნების პროცედურის საშუალებით. დღგ-ის მეტობით გადახდისთვის, მაგალითად, მშენებლობისას, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული იყო ამ თანხის კომპანიისთვის უკან დაბრუნების პროცედურები. კოდექსთან დაკავშირებული პრობლემები კვებავდა კორუფციისა და ქმედუუნარობის საყოველთაო ატმოსფეროს. კომპანიები იძულებული იყვნენ ეცრუათ. ყველა მათგანს ორი საბუღალტრო აღრიცხვა ჰქონდა, ერთი საგადასახადოსთვის და მეორე, რეალური სურათის ამსახველი - საკუთარი გამოყენებისთვის. კომპანიები, რომლებიც ვერ სარგებლობდნენ საგადასახადო ინსპექტორების კეთილგანწყობით და არ თანხმდებოდნენ ქრთამის გადახდას, განიცდიდნენ მუდმივ ზეწოლას და ზოგჯერ იძულებული იყვნენ, იმაზე მეტი გადაეხადათ, ვიდრე სინამდვილეში მათი საგადასახადო ვალდებულება იყო. გაბატონებული კორუფციის შედეგად მეტად და მეტად ფერხდებოდა სახელმწიფოს მიერ საქონლისა და მომსახურების, ხელფასებისა და პენსიების მიწოდება.

საგადასახადო კოდექსის გამარტივება და დასაბეგრი ბაზის გაფართოება: ახალი საგადასახადო კოდექსის მთავარი ამოცანები იყო: ეკონომიკური ზრდისთვის ხელის შეწყობა, საგადასახადო სისტემის ქმედითუნარიანობის გაზრდა და დასაბეგრი ბაზის გაფართოება. ამასთანავე, ცვლილებები შეიცავდა ანტიკორუფციულ ელემენტებს, რადგან ძველმა რთულმა სისტემამ შექმნა შესაძლებლობები კორუფციული სქემების გასავითარებლად. ახალმა კოდექსმა გაამარტივა საგადასახადო სისტემა, დაწია ტარიფები და გააუქმა რიგი წვრილი, არაფრისმომტანი გადასახადები. ასეთები იყო: გარემოს დაბინძურების, ქონების გადაცემის, სათამაშო ბიზნესის, საკურორტო, რეკლამისა და სხვა ადგილობრივი გადასახადები. ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებისა და კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, საგადასახადო კოდექსის გამარტივების პარალელურად, მთავრობამ მიზნად დაისახა საგადასახადო დეკლარირების და გადახდის წესების გამარტივება. ახალმა კოდექსმა, ასევე, გააუქმა მოთხოვნა ყოველწლიური დეკლარაციების შესავსებად დამოუკიდებელი აუდიტორის დაქირავების შესახებ. მან, აგრეთვე, გააუქმა მიმდინარე გადახდების დეკლარირების აუცილებლობა იმ შემთხვევაში, თუ წინა წელს კომპანიას არ ჰქონია მოგება. გაერთიანდა საშემოსავლო და სოციალური გადასახადების დეკლარირების ფორმები, გამარტივდა ქონების გადასახადის გადახდის პროცესიც მას შემდეგ, რაც გაუქმდა ქონების გადაცემის 2-პროცენტიანი გადასახადი, რომელიც ადრე აუცილებლად უნდა გადაეხადა მყიდველს. ელექტრონული დეკლარირება ერთ-ერთი პირველი ელექტრონული მომსახურების სისტემა იყო, რომელიც საგადასახადო სამსახურმა ბიზნეს- საზოგადოებას შესთავაზა. დეკლარაციის ნაბეჭდი ვერსია, რომლითაც ადრე გადასახადის გადამხდელები სარგებლობდნენ, გულისხმობდა სხვადასხვა გადასახადის გადასახდელად სხვადასხვა უწყებაში მისვლას, რაც ზრდიდა კორუფციის ალბათობას. ასეთი ალბათობის აღსაკვეთად მთავრობამ შემოიღო დეკლარირების ელექტრონული სისტემა, რომელიც მინიმუმამდე ამცირებდა გადასახადის გადამხდელსა და საგადასახადო მოხელეს შორის პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობას.

საგადასახადო რეფორმის წარმატება საქართველოში დიდწილად განაპირობა უფლებამოსილთა და მათზე დაქვემდებარებულთა შორის ანგარიშვალდებულებათა გაზრდამ. ცვლილებებმა საგადასახადო კოდექსსა და კანონმდებლობაში უპასუხა საზოგადოების მოლოდინს ტარიფების, სიმარტივისა და სამართლიანობის მიმართ. ახალშექმნილ სისტემაში საშემოსავლო სამსახური (დაქვემდებარებული) უზრუნველყოფს შესაბამისი ხარისხის მომსახურებას ისეთი ელექტრონული სერვისებით, როგორებიცაა: ელექტრონული შევსებისა და დეკლარირების ფორმები, მარტივი რეგისტრაციის პროცესი, რისკის ანალიზზე

დაფუძნებული საგადასახადო შემოწმებები, გადასახადების გასაჩივრების სისტემა. კლიენტი (გადასახადების გადამხდელი) დარწმუნდა, რომ გადასახადების გადახდა აუცილებელია. საერთო საგადასახადო ტვირთი მართვადია და მთავრობას შეუძლია იმაზე უკეთესი მომსახურება გაუწიოს საზოგადოებას, ვიდრე რეფორმამდე უწევდა. საქართველოში, მთავრობამ თანდათან გაიაზრა, რომ შემოსავლების გასაზრდელად აუცილებელია უფრო მარტივი და ადვილად დასანერგი საგადასახადო სისტემა.



ნახაზი 1 ანტიკორუფციული რეფორმების ეფექტური ციკლი

დღესდღეობით არსებული ძირითადი გამოწვევებია: ფინანსური დისციპლინის განმტკიცება, რათა მოხდეს მუნიციპალური მომსახურების გადასახადების ამოღება და ფინანსურად მდგრადი კომერციული სტრუქტურების შექმნა; ადგილობრივი თვითმმართველობის საკადრო და ფუნქციური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა შეიქმნას სუფთა და პატიოსანი მმართველობისთვის საჭირო გარემო; მომსახურების მიწოდებაში კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება. საჯარო სამსახურებში კორუფციასთან ბრძოლაში წარმატების ათი წინაპირობაა:

1. ძლიერი პოლიტიკური ნება - საქართველოში კორუფციასთან შესაბრძოლებლად უმთავრესი იყო ძლიერი და ურყევი პოლიტიკური ნება. ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის, პოსტრევოლუციურმა ქვეყნებმა, სადაც დასაწყისში არსებობდა პოლიტიკური ნება, ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგებს. პოლიტიკური სიმტკიცე და ლიდერობა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წრეებიდან მოდიოდა.

2. მაღალი ნდობის მოპოვება - საწყის ეტაპზე მკაფიო შედეგების ჩვენება მნიშვნელოვანი იყო ხალხის ნდობის მოპოვებისა და შემდგომში გრძელვადიანი მიზნების მიღწევისთვის (ნახ. 1).

3. უკომპრომისო მიდგომა - ბევრ ქვეყანაში, სადაც რეფორმების გატარებას ცდილობენ, მნიშვნელოვანი პრობლემაა საკადრო რესურსების ნაკლებობა, რაც რეფორმატორებს აიძულებს ღონისძიებები მხოლოდ ნაწილობრივ გაატარონ.

4. ახალი კადრების მოზიდვა - კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ხშირად ზღუდავს რეფორმების განხორციელების პროცესს.

5. სახელმწიფოს როლის შეზღუდვა - საქართველოს ანტიკორუფციული ღონისძიებები გარკვეულ წილად ეფუძნებოდა ღრმა რწმენას სახელმწიფოს როლის შეზღუდვის აუცილობლობასა, რაც გულისხმობდა ადმინისტრაციული წნეხის შემცირებასა და ეკონომიკური თავისუფლების გაზრდას. ეკონომიკური პრობლემებისა და კორუფციის ფართოდ გავრცელების

მიზეზად აღიქმებოდა ადამიანების საქმეებში სახელმწიფოს ჩარევა.

6. არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღება - გასათვლისწინებელია, რომ ზოგიერთი ანტიკორუფციული რეფორმა წინააღმდეგობრივი ხასიათისა და მოითხოვს არასტანდარტულ მიდგომებს.

7. მჭიდრო კოორდინაცია და გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად - ანტიკორუფციული რეფორმების ყოვლისმომცველი ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია გაერთიანება მიზნის მისაღწევად და რეფორმატორებს შორის მჭიდრო კოორდინაცია.

8. საერთაშორისო გამოცდილების მორგება ადგილობრივ პირობებთან - კორუფციასთან მიმართებაში მრავალ ქვეყანას მსგავსი პრობლემები აქვს, ამიტომ ყოველთვის მნიშვნელოვანია მათი გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, საქართველოში, აშშ-ის სასამართლო სისტემიდან იყო გადმოღებული საპროცესო გარიგება, რომელსაც თავდაპირველად ხშირად მიმართავდნენ, განსაკუთრებით, იმ პროცესების დროს, როდესაც დაქვემდებარებული თანამშრომლების ჩვენება დიდწილად განსაზღვრავდა კორუმპირებული მაღალი თანამდებობის პირების ბედს.

9. საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა - საქართველოში, ახალმა ტექნოლოგიებმა შეზღუდა საჯარო მოხელეებსა და მოქალაქეებს შორის უშუალო კონტაქტი, რითაც კორუფციული გარიგებების არეალი შემცირდა. ტექნოლოგიებმა მომსახურების გაუმჯობესებასაც შეუწყო ხელი, გააიოლა მონიტორინგი და მოქალაქეებსაც გაუმარტივა პროცედურები.

10. სტრატეგიული კომუნიკაცია საზოგადოებასთან - უმთავრეს რეფორმებზე გადაწყვეტილების მიღების დროს უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაცია.

ამრიგად, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს განხორციელებული ინსტიტუციური გარდაქმნების მდგრადობას. თუმცა, დღეისათვის არსებული ზოგიერთი გამოწვევა სცილდება სპეციფიკურ ანტიკორუფციულ ღონისძიებებს, მათი დაძლევა არანაკლებ მნიშვნელოვანია მუნიციპალურ და ადგილობრივ მომსახურებაში მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისა და უკუსვლის თავიდან ასაცილებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი - „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია". 2016 წ.
2. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი - "კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში". 2012 წ.
3. Gerry Ferguson - "Global Corruption: Law, Theory and Practice". 2015.

Analysis of corruption in public service and the process of developing anticorruption policy

Genadi Iashvili, Lasha Tsomaia

Summary

Corruption has a negative impact on the democratic development of the country, strengthening the rule of law and protection of basic human rights and freedoms. Corruption prevents the economic development, business growth and investment in the country. In addition, corruption, misappropriation of public resources, conflict of interest, trading in influence, favoritism in public institutions prevents public confidence and causes the great discontent of the public services. Therefore, prevention of corruption, eliminate corruption in state and public institutions, is one of the key priorities of the georgian government.

The main aim of the Anti-Corruption Strategy is to create united anti-corruption policy for corruption prevention and to fight against them. By increasing the transparency of public sector, to improve public trust, strengthening civil society and establishment transparent and accountable governance.

Keywords: anti-corruption policy, public service, tax system, reforming process.

გლობალიზაცია და ეროვნული იდენტობა

კაპანაძე ლალი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

აბსტრაქტი

გლობალიცაზია საკმაოდ მრავლისმომცველია. თუ დასაწყისში ის წმინდა ეკონომიკური შინაარსის მატარებელი იყო, ძალიან მალე მან ფართო, გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. გლობალიზაციის პროცესს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ პატარა ერები და ეს შიში არ არის საფუძველს მოკლებული. საკმაოდ ძნელია გლობალურ სივრცეში სხვა დიდი ერების გვერდით შეინაჩუნო ეროვნული იდენტობა, კულტურა. ამ პროცესის აღსანიშნავად "სონის" პრეზიდენტმა აკიო მორიტამ შემოგვთავაზა ტერმინი "გლოკალიზაცია", რომლის გამოყენებითაც ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გლობალურ სამყაროში თავის დამკვიდრება.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ეროვნული იდენტობა, სწრაფი კომუნიკაცია, კულტურული მრავალფეროვნება, კულტურათა ჰომოგენიზაცია, ცივილიზაციათა შეჯახება, კულტურათა სინთეზი, გლოკალიზაცია.*

გლობალიზაციის არსი

გლობალიცაზია საკმაოდ მრავლისმომცველია. თუ დასაწყისში ის წმინდა ეკონომიკური შინაარსის მატარებელი იყო, ძალიან მალე მან ფართო, გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო შეეხო. გლობალიზაციის აუცილებელი პირობაა სხვადასხვა საზოგადოების კულტურული ურთიერთობა. გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალერი მოვლენები სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული ხდება და ფართო მნიშვნელობას იღებს, ის გაერთიანების, შერწყმის სინონიმად იქცა. თავად სიტყვა ინგლისურია და ის პირველად ამერიკელმა სოციოლოგმა რ. რობერტსონმა გამოიყენა.

გლობალიზაციის ასპექტებია: **ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული საკითხები**. ის გულისხმობს ვაჭრობის, ფინანსური ნაკადებისა და ტექნიკის ინტეგრაციას, განაპირობებს საზღვრების გახსნას როგორც საქონლის, ისე შრომის რესურსების გადაადგილებისათვის. დღეს მსოფლიო ინტეგრაციის პირობებში თანამედროვე ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები თანდათან კარგავს თავის უწინდელ დანიშნულებას.

ხშირად გლობალიზაციას ოცდამეერთე საუკუნის პირმშოდ მოიხსენიებენ, თუმცა ადვილი შესაძლებელია ეს პოროცესები დავუკავშიროთ ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობებს და ელინისტიური კულტურის გავრცელებას, ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქას, ინდუსტრიალიზმის პერიოდს ან სულაც დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს - როდესაც დედამიწის მაცხოვრებელთა უმეტესობამ მოახერხა ურთიერთგაცნობა. გლობალიზაციის პირველ ნაბიჯებად შეიძლება განვიხილოთ ასევე მედიჩების და ფურგერების მიერ შექმნილი პირველი საერთაშირისო სავაჭრო სისტემაც, მოგვიანებით კი მსოფლიო ომები. ერთი სიტყვით ეს პროცესი დღესაც გრძელდება და უფრო ფართო მასშტაბებს იძენს.

გლობალიზაცია არის პროცესი, რომელსაც ახასიათებს:

- ტელეკომუნიკაციების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელება;
- ეროვნული ბარიერების შემცირება;
- ვაჭრობის და ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი გარემო;
- სწრაფი კომუნიკაცია (ინტერნეტის და სხვა ტექნოლოგიების განვითარება);
- ბაზრების ურთიერთდამოკიდებულება;
- საზღვრების გახსნა;

- შრომის რესურსების გადაადგილება;
- მოქალაქეობის ახალი განზომილება რომელსაც გლობალური მოქალაქეობა ეწოდება.

გლობალიზაცია არის ცოცხალი და დინამიური პროცესი, რომელმაც მსოფლიო ახალ წესრიგამდე უნდა მიიყვანოს.

ეროვნული იდენტობა

ამერიკელი ფსიქოლოგების მაიკლ ჰოგისა და დომინიკ აბრამსის აზრით, იდენტობა არის ადამიანთა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ არიან ისინი, რას წარმოადგენენ და რა დამოკიდებულება აქვთ სხვებთან. იდენტობა რამოდენიმე სახის არსებობს, მაგალითად კულტურული, რომელსაც განსაზღვრავს: ენა, რელიგია, ისტორია, ტერიტორია და ა.შ. ინდივიდის ცხოვრებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს კულტურულ იდენტობას, იმას, თუ რა ფასეულობებს და შეხედულებებს იზიარებს, როგორია მისი მრწამსი, მსოფლმხედველობა, რწმენა, ჩაცმის და მეტყველების სტილი, ინტერესების სფერო, რა სტერეოტიპები აქვს, რა არის მისთვის მისაღები, მიუღებელი და ა.შ.

ეროვნული იდენტიფიკაცია ქართველებისთვის არის ხანგძლივი ბრძოლა თავისუფლების მოსაპოვებლად და ქრისტიანობის შესანარჩუნებლად. თავისუფლება და ქრისტიანობა კი ერთობლივად ქმნიან იმ ერთობას, რასაც ჩვენთვის ეროვნული იდენტობა ჰქვია. მაგალითად, ინგლისელებისათვის იდენტობა არის პირადი თავისუფლების იდეა რომელიც მოდის „თავისუფლების ქარტიიდან"; ფრანგებისათვის - თანასწორობის იდეა; ამერიკელებისთვის - დემოკრატია და ლიბერალიზმი და ა.შ.

ადამიანი იმ ეროვნებას ეკუთვნის, რომელი ეროვნების ცნობიერებაც გააჩნია. ამასთან გასათვალისწინებელია თითოეული ერის ეთნოფსიქოლოგია და მისი იდენტობა საკუთარ ეროვნებასთან. გლობალიზაციის პროცესს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ პატარა ერები და ეს შიში არ არის საფუძველს მოკლებული. საკმაოდ ძნელია გლობალურ სივრცეში სხვა დიდი ერების გვერდით შეინაჩუნო ეროვნული იდენტობა, კულტურა. კულტურა კაცობრიობის უნივერსალური მახასიათებელია, ის თვითიდენტიფიკაციის მექანიზმია. კულტურაში არსებობს სხვადასხვა კომპონენტები როგორიცაა: ისტორიზმი, ტრადიცია, წეს-ჩვეულებები, სიმბოლოები, ენა, ფასეულობები, სტერეოტიპები, მორალი, მატერიალური, ინელექტუალური და ემოციური თვისებურებები, ცხოვრების წესი, რელიგია, ადამიანთა უფლებები, სამართალი და რაც მთავარია - ეროვნული ან „კულტურული ხასიათი."

როგორც აღვნიშნეთ, პატარა ერები შედარებით მტკივნეულად აღიქვამენ გლობალიზაციას, ვინაიდან მიიჩნევენ, რომ ეს საფრთხეს უქმნის მათ ეროვნულ იდენტობას. მართლაც, გლობალიზაციის ნეგატიურ მხარედ შეგვიძლია ჩავთვალოთ:

- ეროვნული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის შესუსტება და გაერთსახოვნება,
- კულტურული ასიმილაცია;
- ძველი ტრადიციებისა თუ წეს-ჩვეულებების მოდერნიზაცია;
- უმუშევრობის ზრდა,
- უთანასწორობისა და სიღარიბის გაღმავება მსოფლიოში.

ამდენად არ შეიძლება გლობალიზაციის ცალსახად დადებითად ან უარყოფითად შეფასება მიუღებელია, რადგან ის შეიცავს როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ თვისებებსაც. ის ცივილიზაციის შედეგია და შეუქცევადი პროცესია. შესაძლებელია გლობალიზაცია თავის გზაზე მართლაც ანადგურებს ერის ინდივიდუალიზმსა და ნაციონალიზმს, მაგრამ თუკი ქვეყანა იქნება ძლიერი საკუთარი ტრადიციებით, კულტურით ისტორიითა და სახელმწიფოებრივი აზროვნებით, შესაძლებელია კი არ დავკარგოთ ინდივიდუალიზმი, არამედ დავიმკვიდროთ ადგილი მსოფლიო არენაზე და მეტიც - ჩვენი კულტურა ვაქციოთ გლობალურ კულტურად.

საქართველო კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა, აქ ოდითგანვე ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის, კულტურის, ტრადიციების თუ ეროვნების მქონე ადამიანები. თბილისი ყოველთვის იყო რელიგიური თუ ეროვნული მრავალფეროვნების ცენტრი, ამის დასტურია თბილისის ერთ პატარა უბანში თავმოყრილი სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ძეგლები – ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ებრაული სინაგოგა, სომხური ტაძარი და მუსლიმანური მეჩეთი თავის მინარეთებით (სადაც შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ); თბილისისთვის დამახასიათებელი იყო ასევე ე.წ. „იტალიური ეზოები“ (რაც სამწუხაროდ ცოტა დარჩა ქალაქში) სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა გვერდიგვერდ: ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, იეზიდები, ქურთები, აისორები, ბერძნები, ებრაელები, ოსები, უკრაინელები, გერმანელები... ეს იყო დიდი სამეზობლო თემი, რომელიც ერთმანეთის მიმართ იჩენდა ტოლერანტობას, ითვისებდა ერთმანეთის კულტურას, წეს–ჩვეულებებს, კულინარიას და ამასთან ერთად არც თავის ეროვნულ იდენტობას კარგავდა. ამ ხანგძლივი ისტორიული პროცესის მანძილზე, რომელიც გარდა მშვიდობიანი თანაცხოვრებისა უამრავი ომებითა და შემოსევებით არის გაჯერებული, ქართველებმა მაინც შინარჩუნეს: ენა, სარწმუნოება, სახელმწიფოებრიობა და თვითმყოფადობა. ასე, რომ გლობალურ სამყაროში, ეროვნული იდენტობისათვის შასაჩუნებელი იმუნიტეტი ისტორიულად გამოგვიმუშავდა.

ცნობილი ფაქტია, რომ გლობალურ სამყაროში სახელმწიფოთა საზღვრები მცირდება და ეროვნული იდენტიფიკაციის უმთავრეს ფაქტორად მხოლოდ კულტურული არეალი რჩება რომლის შენარჩუნებასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პატარა ერებისათვის. ცნობილი ჩეხი მწერალი **მილან კუნდერა** წერს - პატარა ხალხები, მუდმივად ეძიებენ რა საკუთარ სახეს და იბრძვიან თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, ხელს უწყობენ იმას, რომ მსოფლიო წინ აღუდგეს საშინელ გაერთგვაროვნებას, შეინარჩუნოს ტრადიციათა სიჭრელე და ცხოვრების წესის მრავალფეროვნება, ადამიანს კი ჰქონდეს სამშობლოს ჯადოსნური გრძნობა. დღეს საკმაოდ ძნელია ეროვნული იდენტობის დაცვა სხვა უფრო მძლავრი კულტურებისგან.

გლობალიზაციის ერაში კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნება დამოკიდებულია მოცემული ერის სიძლიერეზე, მის ეროვნულ, სახელმწიფოებრივ თუ სამოქალაქო ცნობიერებაზე, სოლიდარობაზე, იმაზე თუ რამდენად ძლიერია მათი კულტურული მახასიათებლები, ისტორიული ფესვები, ტრადიციები, რამდენად მიიღებს მათი კულტურა გარედან შემოსულ გლობალურ გარდაქმნებს.

დღეს სულ უფრო მეტად ვითარდება კოსმოპოლიტური კულტურა, ხალხი იწყებს გლობალურად აზროვნებას. კულტურა მხოლოდ მწერლობაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში კი არ ვლინდება, არამედ მთელი საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფა-ცხოვრებაშიც. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ გლობალურ კულტურასთან მიმართებაში ქართული კულტურა ასე თუ ისე ახერხებს საკუთარის, ორიგინალურის წინ წამოწევას, რაც იმის მანიშნებელია, რომ მას აქვს საშუალება არ გაითქვიფოს გლობალურ კულტურაში და მოახერხოს ლოკალიზება. თანამედროვე მსოფლიოში კულტურის როლი უფრო და უფრო იზრდება. უნდა ითქვას, რომ თავად კულტურის ხასიათი განაპირობებს საზოგადოების დამოკიდებულებას გლობალიზაციის მიმართ. გლობალიზაციის გამოწვევებმა განაპირობა კულტურების მიერ საკუთარი „ფესვებისაკენ“ მიბრუნება და ლოკალიზება კულტურული ნიშნით. მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ადამიანთა საზოგადოების რამდენიმე ათასეული წლის ისტორიამ ვერ წაშალა კულტურული განსხვავებანი ხალხთა შორის.

კულტურული გაერთგვაროვნების თეორიის მომხრეები თვლიან, რომ მიმდინარეობს კულტურის გლობალური ჰომოგენიზაცია ტრანსნაციონალურ კორპორაციათა ზეგავლენით. ჰოლანდიელი მეცნიერი ნედერვეენ პიტერსი თვლის, რომ დღესდღეობით კულტურათა გლობალიზაციის პროცესისადმი სამი დამოკიდებულება არსებობს:

- პირველი პირდაპირ გულისხმობს სხვადასხვა კულტურათა შეუთავსებლობას, ან უბრალოდ „ცივილიზაციათა შეჯახებას“ (სამუელ ჰანთიქთონის მიხედვით),
- მეორე შეხედულებით გლობალიზაცია გულისხმობს კულტურათა ჰომოგენიზაციას და საბოლოოდ ერთი კულტურის დომინირებას, რომელიც აღმოფხვრის განსხვავებას ადგილობრივ კულტურათა შორის (მაკდონალდიზაცია),
- მესამე დამოკიდებულებას შეიძლება დავარქვათ სინთეზი ან ჰიბრიდიზაცია - რაც ეხება განსხვავებულ კულტურათა ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მსოფლიო პროდუქციის მწარმოებელ კორპორაციათა საქმიანობა წარმატებულია უფრო მეტად იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ადაპტირდებიან ადგილობრივ კულტურასთან. ამ პროცესის აღსანიშნავად “სონის” პრეზიდენტმა აკიო მორიტამ შემოგვთავაზა ტერმინი “გლოკალიზაცია” (გლობალიზაცია+ლოკალიზაცია), ანუ “ორივე მხარეს ყურება”. ეს არის გლობალურისა და ლოკალურის (ადგილობრი) კომბინაცია, რომელსაც აქვს გლობალური ტენდენციები ლოკალური პირობების გათვალისწინებით. შოტლანდიელი მკვლევრის **რონალდ რობერტსონის** მიხედვით, **გლოკალიზაცია** არის გლობალიზაციის სახე რომელსაც გააჩნია საზღვრები და რომელიც აუცილებლად უნდა ადაპტირდეს ლოკალურ რეალობასთან. ნებისმიერმა გლობალურმა კომერციულმა კომპანიამ კარგად იცის, რომ მისი წარმატების გარანტი იქნება ის თუ რამდენად ეფექტურად განხორციელდება ლოკალურ მოთხოვნილებებთან ადაპტირება, ამის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევს წარმატებას, რადგან პროდუქტი არ იქნება მიღებული საზოგადოების მიერ. აქედან გამომდინარე, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია გლობალურ სამყაროში თავი დავიმკვიდროთ **გლოკალიზაციის გამოყენებით**.

საინტერესოა, თუ რა პოზიცია აქვს ამ საკითხებთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს, ის თავის ერთ-ერთ საადდგომო ეპისტოლეში წერს: „გლობალიზაციის პროცესი ბუნებრივად იწვევს იმ ხალხებისა და კულტურების ასიმილაციასა და ზოგჯერ სრულ გაქრობასაც, რომელნიც ვერ გამოიმუშავებენ სათანადო იმუნიტეტს, მაგრამ ეს არ არის ახალი მოვლენა. ისტორიულად ცნობილი ყველა დიდი იმპერია ცდილობდა განეხორციელებინა გლობალიზაციის ერთგვარი პროცესი. დღეს კი ამან საყოველთაო ხასიათი მიიღო. ჩვენ არ უნდა შეგვეშინდეს ინტეგრაციისა, რადგან წარსულის დიდი გამოცდილება გვაქვს და ვიცით, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული კულტურა არაერთი უძლიერესი იმპერიის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ღვთის განგებითა და ჩვენი წინაპართა ძალისხმევით არასდროს დაგვიკარგავს თვითმყოფადობა. ეს დღესაც უნდა შევძლოთ.”[1.1] აქვე მოვიყვანთ ნობელის პრემიის ლაურეატის, ცნობილი ეკონომისტის ჯოზეფ სტიგლიცის სიტყვებს, რომ ქვეყნებმა უნდა მიიღონ გლობალიზაცია მხოლოდ საკუთარი პირობლემების, მათი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების გათვალისწინებით. **ნებისმიერი ეთნოსის სიცოცხლისუნარიანობა და წარმატება, შეიძლება განისაზღვროს იმის შესაბამისად თუ რამდენად შეუძლია მას უცხო კულტურის ელემენტების ასიმილაცია და ამის ხარჯზე საკუთარი კულტურის გამდიდრება-შენარჩუნება.**

საქართველოს ურთიერთობები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან დამყარებულია ურთიერთანამშრომლობისა და პატივისცემის პრიციპებზე. დღეს საქართველოსთვის მთავარი პრობლემაა უსაფრთხოების საკითხი, რისი მიღწევაც შეუძლებელია თუ არ მოხდა მისი ჩართვა გლობალური უსაფრთხოების მხარდაჭერაში. ასე, რომ მზარდი გლობალიზაციის პირობებში ჩვენ უნდა შევძლოთ კუთვნილი და ღირსეული ადგილის დაკავება ისე, რომ არ დავკარგოთ ეროვნული იდენტობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://icode.ge/(თბილისი, 2006 წ, საადგომო ეპისტოლე.)
2. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია. ვალერი მელიქიძე. თბ; 2006წ
3. https://irdb.wordpress.com/2010/02/15/გლობალიზაცია-ვესტერნიზა/
4. ჯ. სტიგლიცი. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება. თბ:2012

Globalization and National identity

Lali Kapanadze

Somery

Globalization has had quite a significant impact in international trade. In the beginning it had a purly economical meaning, but later it became more politically intergrlted into every aspect of life. The process of globalization is extremely sensitive and painful for small nations and this feeling is not groundless: It's rather hard to maintain a sense of national identity and culture among bigger nations in a global context. With the purpose to define the globalization process, the President of Sony, Akio Morita, introduced a new terminology - "globalization", which gives us the possibility to establish ourselves in a global world .

keywords: *Globalization, National Identity, Fast Communication, Cultural Diversity, Homogenized Culture, Conflict of Civilization, Synthesis of Culture, Glocalization.*

ინსტიტუციურ-მმართველობითი ცვლილებების გამოწვევები და პრობლემები ბიზნესის სფეროში

კატუკია ვალერი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატიაში მოცემულია ინსტიტუციური ტრანსფორმაციები, რომელიც მუდმივად აფართოებს სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს. ეროვნული მეურნეობის ფორმირებისა და ეფექტიანი ფუნქციონირების პროცესში ბევრი შეცდომა იქნა დაშვებული სოციალური და ორგანიზაციული პირობების მომზადებასა და განხორციელებაში. ასევე შეცდომა იყო, განვითარების გრძელვადიანი მოდელის ნაცვლად სწრაფი ცვლილებები და არასწორი ნაბიჯები. ნაშრომში განხილულია სამუშაო ადგილების შექმნა-შენარჩუნების, კერძო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის გამოვლენისათვის ფართო ასპარეზის, მოქნილობის, დამოუკიდებლობის ხარისხის დანერგვის საკითხები ევროკავშირის სივრცეში.

ევროკავშირში შესვლა გულისხმობს დემოკრატიულ პროცესებს ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და მენტალურ სფეროებში.

საკვანძო სიტყვები: *ინსტიტუციური ტრანსფორმაციები, მეურნეობის ფორმირება და ფუნქციონირება, ინსტიტუციონალიზმი.*

ძირითადი ტექსტი

მას შემდეგ, რაც საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, საინტერესოა განვიხილოთ ინტიტუციურ-მმართველობითი ტრანსფორმაციის პერსპექტივები საქართველოში. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამომავლო პერსპექტივების ანალიზი. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე. წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რადგან საშუალება გვეძლევა ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის განხორციელების, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია სწორი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ქონა ევროინტეგრაციის გარშემო, ასევე სიღრმისეული ანალიზი მოსალოდნელი დადებითი, თუ უარყოფითი თანმხლები პროცესების შესახებ. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ ფაქტორებს:

1. **კომუნიკაციური ფაქტორი**
2. **ერთიანი რეგიონული სივრცის ფაქტორი**
3. **ეკონომიკური ფაქტორი**
4. **ფსიქიკური ფაქტორი**
5. **კულტურულ-რელიგიური ფაქტორი**

აღნიშნული ფაქტორების განხილვა უნდა განხორციელდეს სამართლებრივი, სოციალური, პოლიტიკური და საერთო ეკონომიკური ინტერესების კუთხით.

ახალ ინტეგრაციულ რეალობაზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული თვით საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ინტერესები, რომელიც მთლიანად უნდა წარმოვიდგინოთ რეგიონული ინტეგრაციის კონტექსტში. სრულიად ახალი რეალობა და მისგან გამომდინარე შესაძლებლობების ეფექტიანად წარმართვის თვალსაზრისით. რეგიონული ინტეგრაციის კურსის გატარებისათვის არსებობს ობიექტური ისტორიული წანამძღვრები ფუნდამენტური მეცნიერული კვლევების სახით, რომლის მდიდარი პრაქ-ტიკაც არსებობს აგრეთვე, რაც როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ახალ სინამდვილეს უნდა მივუსადაგოთ, რომელმაც ლოგიკურად უნდა მიგვიყვანოს რეგიონის ჰარმონიული განვითარების სასტარტო მდგომარეობამდე.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. დარგობრივი პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობა მიზნად ისახავს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან. შეთანხმება ითვალისწინებს თითოეულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი რეფორმების მხარდაჭერას.

ტრანსფორმაციულმა პროცესებმა შეცვალა ქვეყნის განვითარების ტრადიციული სტრატეგიები. ევროკავშირში ქართული რეალობა განსხვავებული თავისებურებებით გამოჩნდა. სტრატეგიული ხედვის არეალი გაფართოვდა და უფრო მრავალმხრივი დატვირთვა შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების ალტერნატიული წყაროები, მოტივაციური მიდგომების მრავალფეროვნება ართულებს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, განვითარებაში სტაბილურობის მიღწევის რეალური საშუალებების შერჩევის პროცესს. მკაფიოდ გამოიკვეთა ინტეგრაციის როლი ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ბიზნეს-სტრატეგიის განსაზღვრაში. დღეს გლობალური პროცესები და რეგიონული ინტეგრაციული ნაკადები ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის საქართველოსთვის განვითარების უმთავრესი ორიენტირია. ეს თავისებურება ახალ პარადიგმებს სთავაზობს სუვერენულ სახელმწიფოს, რომლის განვითარების ტრადიციული სტრატეგიები შეიცვალა. მრავალგზის აღვნიშნავთ, რომ სტრატეგიული ხედვის არეალი შეიცვალა და უფრო მრავალმხრივი დატვირთვა შეიძინა. მკაფიოდ გამოიკვეთა ინტეგრაციის როლი საქართველოს განვითარების სტრატეგიის განსაზღვრაში. ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესები სხვადასხვა თავისებურებებით გამოჩნდა. ბიზნესის განვითარების განხორციელების ალტერნატიული წყაროების არსებობა და მოტივაციური მიდგომების მრავალფეროვნება ართულებს პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, ამიტომ, ახალი რეალობა ახალ რეგულაციებს ითხოვს, ბიზნესის როგორც ინსტიტუციურ, ისე მმართველობით სფეროში. მაგალითად, გლობალური და რეგიონული პროცესების რეგულირების, საერთაშორისო სტრუქტურებთან თანამშრომლობის, გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცეში ფართოდ მანევრირების, ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილეობისას ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისა და ბიზნესის დაცვის და სხვ. ფუნქციებს. გლობალურმა პროცესებმა გამოიწვიეს საერთაშორისო კაპიტალის, ფინანსური ბაზრების, ტრანსნაციონალური კორპორაციების, კომერციული ბანკების ფორმირება-ფუნქციონირება. ინტეგრაციულ კავშირებში, სახელმწიფოს როლი და ადგი-ლი იცვლება. ნათელია, რომ პოსტსოციალისტურ სივრცეში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი მუდმივ დაპირისპირებასა და წინააღმდეგობაში მიმდინარეობს და განიცდის, როგორც გარე, ისე ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების გავლენას.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის შედეგად დაფიქსირდა ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების პროცესის სახელმწიფოს საზღვრებიდან გასვლის ტენდენცია, რაც რეალურად გულისხმობს ინტეგრაციული კავშირების ინტენსიფიკაციის შეუქცევად ხასიათს. საქართველოსათვის ინტეგრაციული პროცესები ფაქტობრივად ასრულებს „განვითარების ლოკომოტივის ფუნქციას“და საქართველოში საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების „სტრატეგიულ რესურსს“.

გლობალიზაციისა და რეგიონული ფრაგმენტაციის პროცესების გადაკვეთაზე ჩამოყალიბდა ისეთი ფაქტორები, რომლის დროული შეცნობით და ეფექტიანი გამოყენებით ქართულ ბიზნესს შეუძლია გლობალურ პროცესებთან ადაპტირება და საკუთარი ინტერესების შესაბამისად ინტეგრაციული პროცესების მიზანმიმართული რეგულირება.

საქართველო დგას ევროპისა და აზიის განსხვავებული ეკონომიკური პარადიგმების (ტენდენციების) მიჯნაზე, სადაც პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესი განსაზღვრავს თანაარსებობის წესებს. აქედან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, მან ფაქტობრივად შეიძინა ევროპისა და აზიის ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციაში ერთ-ერთი მნიშვნელო-

ვანი სუბიექტის ფუნქცია. ამასთან იგი ბუფერული სივრცეა, რომელშიც თვისებრივად ახალ გარემოსთან ადაპტირების პროცესი ნაკლები წინააღმდეგობებით ვითარდება.

გეოეკონომიკა, როგორც საქართველოს სტრატეგიული რესურსი, ყურადღებას იპყრობს რეგიონის ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ბაზრის) ფორმირების პერსპექტივა. ჩვენი თვალთახედვით, პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს სამხრეთ კავსკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია, რომელსაც მოყვება შემდგომში მისი გაღრმავება ირანის, თურქეთის, რუსეთის და ა.შ. მეზობელი ქვეყნების მონაწილეობით. ასეთი ეკონომიკური სივრცე ქართული ბიზნესის უპირატესობას გაუსვამს ხაზს. პოლიტიკური სტაბილი-ზაციის პირობებში რეგიონი ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ობიექტი გახდება.

საქართველოში გატარებული ძირითადი ინსტიტუციონალური რეფორმების მთავარი მიზანია ქვეყნის მოდერნიზაცია და დემოკრატიისა და კეთილდღეობისკენ მიმავალი გზის შეუქცევადობის უზრუნველყოფა. საქართველო განიხილავს ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას როგორც ამ მიზნების მიღწევისა და შემდგომი განმტკიცების შესაძლებლობას.

წინსვლა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მოქალაქეებს მისცემს სტიმულს, რომ მათ მომავალშიც დაუჭირონ მხარი რეფორმებს.

აღსანიშნავია რომ, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს ევროკავშირს და ა.შ.შ.ს ბევრის შეთავაზება შეუძლია საქართველოსთვის ბიზნესის განვითარების სფეროში. უსაფრთხოების სფეროში მზარდი თანამშრომლობისა და სატრენინგო პროგრამების გარდა, ჩვენ უნდა გავააქტიუროთ ჩვენი ეკონომიკური კავშირები. ამერიკა არის საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორი (ორმხრივი სავაჭრო ბრუნვა შეადგენს დაახლოებით 355 მლნ დოლარს). თუ გონივრულად გამოვიყენებთ ჩვენი მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობების მტკიცე საფუძველს, მალე ორმხრივი ვაჭრობა ამერიკასთან მილიარდ დოლარსაც გადააჭარბებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამერიკული კომპანიების ინფორმირებას საქართველოში არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების შესახებ, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების, ტრანსპორტისა და ჰიდროელექტროენერგიის წარმოების სფეროებში.

დადგა დრო, ჩვენი პარტნიორობა ახალ ეტაპზე გადავიყვანოთ, როცა საქართველო-ამერიკის ურთიერთობები გახდება რეგიონში სტაბილურობის, ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიზაციის ქვაკუთხედი. ქართული ბიზნესის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს მოსახლეობის უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის ქვეყნებში, რაც არის უდიდესი ნაბიჯი საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე. ის მნიშვნელოვანია ბევრი თვალსაზრისით.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ უვიზოდ მოგზაურობა და ყოველ ექვს თვეში 90 დღის განმავლობაში დარჩენა ევროპაში, რაც მოასწავებს ახალ ეტაპს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ქართველ ხალხს მიეცემა ბიზნესის სრულყოფის სრულიად ახალი შესაძლებლობები.

ეს შედეგი დიდ გავლენას იქონიებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის პოტენციალის სრულად გამოყენებაზე და წაახალისებს ქართულ ბიზნესს ევროპულ ბაზრებზე ახალი შესაძლებლობების მოძიების თვალსაზრისით.

ბიზნესმა მთავარი როლი უნდა შეასრულოს ქართული ეკონომიკის ზრდის მიმართულებით, რათა შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი, ხოლო ჩვენი ქვეყნის ევროპული ინტეგრაცია კიდევ უფრო ინტენსიური გახდეს, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა მიიღონ რეალური სარგებელი.

ამრიგად ბიზნესის წახალისების მიზნით, ჩვენ უნდა შევძლოთ ქვეყნის ეკონომიკის ტრანსფორმირება. არსებული ბიზნესი ზოგიერთ სფეროში სწრაფად ვითარდება, მაგრამ დამ-

წყები ბიზნესი ჯერ კიდევ ვერ იზიდავს ფინანსებს თავიანთი იდეების განსახორციელებლად. ამ პრობლემის გადასაჭრელად და დამწყები ბიზნესის ხელშესაწყობად აუცილებლად მიგვაჩნია ინსტიტუციური და მმართველობითი ურთიერთობების სრულყოფა. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მნიშვნელოვან ადამიანურ რესურსებსა და ენერგიას ახალი ბიზნესის მხარდაჭერისა და ინოვაციური იდეების წასახალისებლად. ყოველივე ეს გააძლიერებს საშუალო ფენას ქვეყანაში და ჩვენს მოსახლეობას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა „ეკონომიკის და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები“ გამ. „უნივერსალი“. თბ.2014.
2. ვ.კატუკია. სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციები და ინსტიტუციურ- მმარ- თველობითი ინოვაციები, ჟ. სოციალური ეკონომიკა“ -6, 2015წ.გვ.25-30. 29
3. ვ.კატუკია „ინსტიტუციური ტრანსფორმაციები საქართველოში“ (მცირე და საშუალო ბიზნესში) ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ 2014. გვ.54-61
4. შეთანხმება საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ. http://www.eu-nato.gov.ge/ge/eu/association-agreement, 2017.
5. Актуальные проблемы глобального управления. „Группа восьми” и международные многосторонние институты / под ред. М. В. Ларионова. М.: Логос, 2007 с. 103.
6. Giddens A.. The Thierd way. L., 1998. P. 145-147 16. www. financialstabilityboard.org
7. www.imf.org
8. www.georgianreforms.com

Валери Катукия

Резюме

В работе представлены институциональные трансформации, которые постоянно расширяют регулирующую роль государства. В формировании и эффективном функционировании национальной экономики были допущены многие ошибки, из них вместо разработки долгосрочной модели были быстрые изменения и неправильные шаги. В работе обсуждается создание и поддержание инновационной деятельности, чтобы расширить сферу обнаружения, гибкости, независимости и качества вопросов выполнения. В пространстве Эвросоюза демократические процессы означают изменения в стране в экономической, политической, культурной и ментальной сфере.

Ключевые слова: *институциональные трансформации, формирование и функционирование экономики, институционализм.*

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აქტუალური საკითხები

კლიმიაშვილი დავით
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს წარმოშობას ყველა ქვეყანაში ხანგრძლივი პროცესი ჰქონდა. ყველაზე ცნობილი კი ინგლისური და ამერიკული ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს მოდელია. საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მართლმსაჯულების განმხორციელებელი ამ შემთხვევაში არის ხალხი. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის უმთავრესი ღირსება არის ის, რომ მსაჯულებში თავს იყრის ხალხური სიბრძნე, ცხოვრებისეული გამოცდილება და სამართლიანობის გრძნობა, ამასთან ნაფიცი მსაჯულები გაცილებით დამოუკიდებელნი და შეუბოჭავნი არიან, ვიდრე მოსამართლეები, რადგან ისინი არავის წინაშე არ აგებენ პასუხს მიღებული გადაწყვეტილებისთვის. თუმცა, არსებობს მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც, ადამიანებისგან, რომლებსაც არ გააჩნით იურიდიული განათლება, გარდაუვალია საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. ნაფიცი მსაჯულები ხშირად საქმეებს წყვეტენ კანონის საწინააღმდეგოდაც, თავიანთი შეხედულებისამებრ.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ აქტუალური საკითხები.

საკვანძო სიტყვები: *ნაფიცი მსაჯულები, სასამართლო, ადამიანის უფლებები, მართლმსაჯულება.*

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აქტუალური საკითხები

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მსოფლიოში საკმაოდ გავრცელებული ინსტიტუტია, რომლის მიზანი კონკრეტულ საქმეზე სოციალურად სამართლიანი და მორალურად უმწიკვლო გადაწყვეტილების მიღებაა. ის გულისხმობს პირის დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტაში მართლმსაჯულების განხორციელებას არა მარტო მოსამართლის, არამედ რიგითი მოქალაქეების – ნაფიცი მსაჯულების – მონაწილეობით. მსაჯულები უსმენენ დაცვისა და ბრალდების მხარეების გამოსვლას სასამართლოს წინაშე, აკვირდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისა და შეფასების პროცესს, იღებენ გადაწყვეტილებას განსასჯელის ბრალეულობის შესახებ - დამნაშავეა, თუ არ არის დამნაშავე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც სასამართლო განხილვისას გარკვეულ ფაქტებს დადგენილად აღიარებს და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა განსასჯელის ბრალეულობაზე. ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის თაობაზე სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სამშობლოდ ადრეული შუასაუკუნეების ინგლისი ითვლება. მე-18, მე-19 საუკუნეებში ინგლისის გავლენით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფართოდ გავრცელდა კონტინენტურ ევროპაში: საფრანგეთში, ავსტრია–უნგრეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, რუსეთში, გერმანიაში. მოგვიანებით კი ის ამა თუ იმ ფორმით შემოღებულ იქნა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. მაგრამ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან უკუპროცესი აღინიშნა: ამ ქვეყნების დიდმა ნაწილმა უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ბრიტანულ მოდელზე და უპირატესობა ე.წ. შერეულ მოდელს მიანიჭა, რომელშიც საქმეს ერთად იხილავენ მსაჯულები და მოსამართლე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კლასიკურ (ბრიტანულ) მოდელში ფუნქციები მკაცრადაა დანაწილებული მოსამართლეებსა და მსაჯულებს შორის: პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტენ ნაფიცი მსაჯულები, ხოლო მოსამართლე პროცესუალურ საკითხებს წყვეტს და სასჯელს უფარდებს. ეს მოდელი საერთო სამართლის სასამართლოს სახელითაცაა ცნობილი. საერთო სამართალს უწოდებენ როგორც კანონთა ერთობლიობას, ასევე მართლმსაჯულების სისტემის სახეს, რომელიც ემყარება გარკვეული საქმის განხილვის შედეგად მსაჯულთა (სასამართლო ორგანოთა) გადაწყვეტილებას და არა კანონებს ან აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს: შესაბამისი კანონის არარსებობის ან მისი ნორმების არასაკმარისი მკაფიოობის შემთხვევაში, მსაჯულებს აქვთ უფლება (და მოვალეობაც) მიიღონ საჭირო კანონი პრეცედენტის შექმნით. რაც შეეხება შერეულ მოდელს, ამ შემთხვევაში მოსამართლე და მსაჯული ერთობლივად წყვეტენ როგორც მსჯავრებულის, ასევე სასჯელის საკითხს.

ევროპის ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფრო იშვიათად მიმართავენ. გერმანიაში და საფრანგეთში ვერდიქტი ნაფიც მსაჯულებსა და პროფესინალ მოსამართლეებს ერთობლივად გამოაქვთ.

საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა (მის სამშობლოში – ინგლისშიც კი). ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აღარაა მხოლოდ რიგითი მოქალაქების მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ის საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც დღესაც მრავალი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვს – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობით, მოსამართლისა და მსაჯულის დამოკიდებულებითა და ვერდიქტის ფორმით დაწყებული, წვრილმანი დეტალებით (მსაჯულთა გამოძახების ფორმა, მათი გაცნობა მხარეებისათვის) – დამთავრებული.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ზოგიერთი ეს საკითხი.

1. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რაობის საკითხი, რომელიც უფრო კონცეპტუალური ხასიათისაა და მასზე პასუხი მრავალი სხვა საკითხის განსხვავებულ გადაწყვეტას განსაზღვრავს: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვიხილავთ როგორც ბრალდებულის უფლებას სამართლიან (მისნაირი უფლებების მქონეთა მიერ განხორციელებულ) პროცესზე, მაშინ ბრალდებულს მასზე ნებისმიერ მომენტში უარის თქმისა და სხვა სასამათლოსთვის გადაცემის უფლება აქვს – როგორც ეს ამერიკის შეერთებულ შტატებშია; ხოლო თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვიხილავთ როგორც საზოგადოების უფლებას მართლმსაჯულებაში მონაწილეობის მიღებისა (მაგ.: იტალია ესპანეთი ავსტრალია), მაშინ ბრალდებულის არჩევანი უფრო შეზღუდულია.

2. ასევე მნიშვნელოვანია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის დიაპაზონი. იმ საკითხების გადაწყვეტა, თუ რა კატეგორიის და სიმძიმის დანაშაული უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

3. მოსამართლისა და მსაჯულის ურთიერთდამოკიდებულება ფაქტობრივად განსაზღვრავს თუ სად გადის ზღვარი მათ უფლებმოსილებებს შორის. განსხვავებით შერეული სასამართლოებისაგან, საერთო სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მოსამართლისა და მსაჯულის ფუნქციები მკვეთრად გამიჯნულია. მიუხედავად ამისა, ეს დაყოფა აბსოლუტური ხასიათის არაა და მოსამართლე მეტ–ნაკლებად გავლენას ახდენს ფაქტების დადგენაზე, ხოლო მსაჯული – თავის მხრივ – მონაწილეობს გარკვეული სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაში.

4. კიდევ ერთი საკითხი, რომლის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება – ნაფიც მსაჯულთა შერჩევის წესია. საერთო სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა კორპუსის ფორმირება წარმომადგენლობითობის პრინციპით (საზოგადოების ყველა ფენის მონაწილეობის უზრუნველყოფა) ხორციელდება.

5. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაფიცი მსაჯულის მიუკერძოებლობის საკითხი. თუ მსაჯული დაინტერესებულია საქმის განხილვის შედეგებით, ან ავლენს სხვაგვარ მიკერძოებას, სერიოზული საფრთხე დაემუქრება განსასჯელის უფლებას სამართლიან სასამართლოზე – ადამიანის ერთ–ერთ საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას. ასეთ დროს მიკერძოებული მსაჯული აუცილებლად უნდა ჩამოცილდეს საქმეს.

6. მნიშვნელოვანი საკითხია, ასევე, ვერდიქტის სახეები და მისი მიღების პროცედურა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც წესი, ორი სახის ვერდიქტი გამოაქვს: გამამართლებელი ან გამამტყუნებელი.

7. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ნაფიც მსაჯულთა თათბირის საიდუმლოების დაცვას ეხება. „სათათბირო ოთახის საიდუმლოების“ დაცვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გამოაცხადოს „ნაფიც მსაჯულთა სეკვესტრი“ . ეს განსაკუთრებული გადაწყვეტილებაა, რომელიც გულისხმობს მსაჯულთა სრულ იზოლაციას მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში, ან მსჯავრის გამოტანის პერიოდში. ასეთ შემთხვევაში მათ შეასახლებენ სპეციალურად დაქირავებულ სასტუმრო ნომრებში.

8. მედიისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს საკითხი, რომელიც ტრადიციულ სასამართლო სისტემებსაც კი სერიოზული დილემის წინაშე აყენებს – ესაა ნაფიც მსაჯულებზე მედიის ზეგავლენა. ტრადიციული მიდგომით ნაფიცმა მსაჯულმა სხდომის დაწყებამდე საქმის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს. მან საქმე მხოლოდ სხდომაზე მოსმენილ და დანახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს.

9. ნაფიცი მსაჯულების გადაწყვეტილების დასაბუთება განსასჯელის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის თაობაზე თითქმის არანაირ შემოწმებას არ ექვემდებარება. საქმის ფაქტობრივ მდგომარეობასთან მიმართებით სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება დაუშვებელია.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მომხრეები მიიჩნევენ, რომ მართლმსაჯულების განმხორციელებელი ამ შემთხვევაში არის ხალხი. ნაფიცი მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობისას აშკარაა ხალხის ძალაუფლება, ხელისუფლების წყარო არის ხალხი. „სახალხო ელემენტი“ მართლმსაჯულების განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობს. ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის უმთავრესი ღირსებაა არა მარტო ის, რომ მსაჯულებში თავს იყრის ხალხური სიბრძნე, მათი ცხოვრებისეული გამოცდილება და სამართლიანობის გრძნობა, არამედ ისიც, რომ მათ უკეთ შეუძლიათ ამგვარი მიდგომების რეალიზება, რადგან გაცილებით დამოუკიდებელნი და შეუბოჭავნი არიან, ვიდრე თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობითა და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობით „დამძიმებული“ მოსამართლეები, განსაკუთრებით იმიტომ რომ ისინი არავის წინაშე არ აგებენ პასუხს მიღებული გადაწყვეტილებისათვის, მეტიც, მათი გადაწყვეტილების დასაბუთებაც არ ევალებათ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ხელს უწყობს საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებებისადმი პატივისცემის გაზრდას.

თუმცა, არსებობს მრავალი ადამიანი, რომელიც უარყოფითად აფასებს ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსებობას, და ისინი აღიარებენ მხოლოდ და მხოლოდ კანონის უზენაესობას. მათი არგუმენტაციით, ადამიანებისგან, რომლებსაც არ გააჩნით იურიდიული განათლება, გარდაუვალია საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. ნაფიცი მსაჯულები ხშირად საქმეებს წყვეტენ კანონის საწინააღმდეგოდაც, თავიანთი შეხედულებისამებრ. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები ხშირად დროში გაწელილად ახერხებენ საქმეთა განხილვას, რაც არღვევს სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს. ზოგჯერ ისინი მთლიანად ან ნაწილობრივ ექცევიან მოსამართლეების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ.

ჩვენი აზრით, სასურველი იქნება, თუკი საქართველო აშშ–სგან აიღებდა მაგალითს

და ნაფიც მსაჯულთა კანდიდატებს პირადად დაუსვამდა კითხვებს, რათა გამორკვეულიყო მისი პიროვნება და გამორიცხულიყო მიკერძოებისა თუ კანონშეუსაბამო გადაწყვეტილების ფაქტი. წერილობითი კითხვარის შევსებამ შეუძლებელია გამოავლინოს ადამიანის მანკიერი მხარეები, მისი დადებითი თუ უარყოფითი თვისებები, შეხედულებები. აქედან გამომდინარე, კარგი იქნებოდა თუკი გამოკითხვაში მონაწილეობას მიიღებდნენ გამოცდილი ფსიქოლოგებიც, რომლებიც თავიანთი ცოდნისა და პრაქტიკისადმი დაყრდნობით შეძლებდნენ თავიდან აიცილონ შესაძლო დარღვევები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“- ლექსიკონი ცნობარი. ლ. ალექსიძე, მ. კვაჭაძე, კ.კორკელია, ი. ქურდაძე. თბილისი 2005 წ.
2. “ნაფიც მსაჯულთა სასამართლო”. კ.წიქარაშვილი. თბილისი. 2000 წ.
3. An Introduction to the International Protection of Human Rights (A textbook). Editing by Raija Hanski and markku Suksi. Turku. 2000.
4. J.G. Merrills. The European Convention on Human Rights. Strasbourg, 2000.

Topical issues of the jurors court

David Klimiashvili

Summary

Jury Court has a long process Story in all country. The most known are English and American jury models. The jurys have’t a legal education. They should take a decision only to their own conscience, public opinion, on the basis of their faith and conscience.

In Georgia, there are different opinions about Jury Court. Juries supporters claim that performer of justice is people in this case. The main advantages of Jury Court is that the judges have folk wisdom, life experience and sense of justice; and the jurors are independent rather than judges, because they don’t answer to anyone for the content of their decision. However, there are opinions, according to which, from the people who don’t have legal education, is expected superficial attitude. The jurors often decide cases even against the law of their choice. At the same time, Jury Court often need many time to manage the review, which violates the principle of quick justice.

In this work is discussed the issues of Jury Court.

Keywords: *The jurors, Judge, human rights, justice.*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები

მაჩიტიძე თამაზ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარების მთავარ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. განათლების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები მიზნად ისახავს განათლებისა და მეცნიერების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობისათვის. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. სტატიაში გამოყოფილია განათლების სფეროს კონკრეტული პრიორიტეტები. კერძოდ, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა; უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია; სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება და სამომავლო განვითარება.

მოცემულ ნაშრომში განხილულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები

საკვანძო სიტყვები: *განათლების სფერო, მეცნიერება, სტრატეგია, განვითარება, უმაღლესი განათლება.*

ძირითადი ტექსტი

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები. საქართველოს მთავრობა ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავს დასაქმებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება და განათლების სისტემაში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პოსტსაბჭოური სისტემის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი რეფორმა განხორციელდა. პირველი ინტერვენციების გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად შემდგომი არათანამიმდევრული პოლიტიკისა და სფეროს არასათანადო დაფინანსების პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებული ცვლილებების წარმატებით დასრულება და სისტემის მუდმივი განვითარება. აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ასე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2015 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის 2.8%-ს შეადგენდა, რაც დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით.

ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება, საშუალოდ, დაახლოებით ორჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. მაგალითისათვის, ლატვიასა და ესტონეთში ასევე საშუალოზე მაღალია სახელმწიფო დანახარჯები (29% ლატვიაში, 31%

ესტონეთში და 29% საქართველოში), მაგრამ საქართველოში განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებით 2.9%-ია, ლატვიასა და ესტონეთში კი 5.7%.

განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა ბოლო 2 წლის მანძილზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ხელმისაწვდომობის პრობლემის მოგვარება სოციალურად ორიენტირებული პროგრამების შემუშავების გზით დაიწყო, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა შინამეურნეობის დანახარჯები განათლებაზე. მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევად და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ამასთანავე გრძელვადიან პერსპექტივაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც დღეისათვის პრიორიტეტად რჩება განათლების ყველა საფეხურზე: განათლების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დაბალი სასკოლო მზაობაა. ბოლო პერიოდში სკოლამდელ განათლებაში გაზრდილი ჩართულობის მიუხედავად იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ეთნიკური წარმომავლობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ სასკოლო მზაობა დაბალია სკოლამდელ განათლებაში ჩართულ ბავშვებშიც.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა განვითარების გრძელვადიანი პროგრამა და ჩამოაყალიბა ძირითადი სტრატეგიები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამა სისტემის ისე განვითარებაა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს ხარისხიანი განათლების მიღებისა და თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობა; განათლების ეროვნული სისტემის შედეგები გაუმჯობესდეს და დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს. ამ ხედვის რეალიზებისათვის სამინისტროს მისიაა, ერთი მხრივ, თანამედროვე განათლების სისტემის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის თანაბარი ხარისხის განათლების მიწოდებას, საკვანძო კომპეტენციების ეფექტურ გადაცემას და ახალი ცოდნის გენერირებას. მეორე მხრივ, ქვეყნის მომავლისათვის აუცილებელი სამეცნიერო დარგების თანამედროვე სტანდარტების დონეზე განვითარება. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება უნდა დაეფუძნოს ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს სამ ძირითად პრინციპს: ავტონომიურობას, ანგარიშვალდებულებას, თანამიმდევრულ და კოორდინირებულ პოლიტიკას განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერებაში. განათლების სხვადასხვა საფეხურსა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევები ხშირად ურთიერთ განპირობებულია და/ან მსგავსი ხარვეზებით ხასიათდება. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ერთიან სისტემურ პროგრამას. ეს გულისხმობს განათლების სხვადასხვა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში განვითარებაზე ორიენტირებული ძალისხმევის სინერგიას. ცალკეული ცვლილება აისახება განათლების მთლიან სისტემაზე. განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება და შედეგების თვისებრივი გაუმჯობესება მნიშვნელოვნად განპირობებული იქნება განათლების ყველა საფეხურზე დაფინანსების ეტაპობრივი ზრდითა და ადეკვატური ინვესტირებით. ერთ მოსწავლეზე/სტუდენტზე გათვლილი დაფინანსების პარალელურად, უნდა დაინერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შედეგზე დაფუძნებული ინსტიტუციური დაფინანსების მექანიზმები. ეს ხელს შეუწყობს დაწესებულებების გაძლიერებას და მათ მიერ ხარისხის უზრუნველყოფის უფრო ეფექტური პოლიტიკის გატარებას. ასევე, ღონისძიებები უნდა გატარდეს განთლებისა და მეცნიერების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოსაზიდად. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობის პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის მიერ ოპტიმალური პირობების შექმნას, რათა პიროვნებას ჰქონდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობა. ამ მიზნით

მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურის განვითარება. ასევე, უნდა აღმოიფხვრას ნაკლოვანებები და გაძლიერდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურებს შორის კავშირები, განსაკუთრებით პროფესიულ განათლებასა და უმაღლეს განათლებას შორის. პიროვნებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ პროფესიული განათლების საფეხურიდან სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების საფეხურზე. მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების ეფექტური მექანიზმების დანერგვა. ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფცია ასევე გულისხმობს არაფორმალური სწავლების წახალისებას. ამ კუთხით პრიორიტეტია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების ამოქმედება, ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის რეალიზებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა. განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობის და ინკლუზიის უზრუნველყოფა განათლების ყველა საფეხურზე განსაკუთრებით პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს განათლების თანაბარი ხარისხი, შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების მეტი ფინანსური მხარდაჭერა. ზოგად განათლებაში პრიორიტეტულია განათლების მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ბავშვისთვის განურჩევლად ასაკის, რელიგიური აღმსარებლობის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობისა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სკოლების მეტი ტერიტორიული ხელმისაწვდომობა საქართველოს ყველა რეგიონისათვის. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანი იქნება დაფინანსების მოძიების შესაძლებლობების დივერსიფიცირება, მათ შორის სტუდენტური სესხების მექანიზმის სახით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ინტეგრაციის მიზნით, აქტიურად უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს ინკლუზიური განათლების პოლიტიკა და შესაბამისი პროგრამები განათლების ყველა საფეხურზე. ასევე უნდა განვითარდეს სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით. განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფით. ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა ერთნაირად პრიორიტეტულია განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში. ხარისხის მართვის განახლებული მოდელი ცალსახად უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს. განათლების ხარისხი უნდა შეფასდეს სპეციფიკური, გაზომვადი შედეგების/ინდიკატორების მიხედვით. მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ გამოვლენილი სუსტი მხარეები დაიძლიოს თანმიმდევრულად, ხოლო კარგი შედეგები წახალისდეს გარკვეული სქემის მიხედვით. ამგვარად აწყობილი სისტემა საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, შევინარჩუნოთ ქვეყნის მასშტაბით განათლების ხარისხის საერთო დონე და უზრუნველვყოთ ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შევქმნათ ხარისხის განვითარების სტიმული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელს შეუწყობს ინსტიტუციების რესურსების მობილიზაციას. საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობისა და მდგრადი ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა განათლებისა და მეცნიერების სისტემის მოდერნიზებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და საფეხურის შესაბამისად მათი ავტონომიურობის განმტკიცება. ამ მიმართულებით პროგრესს გადამწყვეტი როლი ექნება დეცენტრალიზაციის პროცესის მდგრადი განვითარებისათვის. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება, ერთი მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და, მეორე მხრივ, განათ-

ლების დაფინანსების მექანიზმებს. საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემის ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება განათლების ყველა საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების გაუმჯობესების უმთავრესი წინაპირობაა განათლების ადმინისტრატორების, პედაგოგებისა და აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება. შრომითი მოტივაციისა და პროფესიული ზრდის წახალისებისთვის აქტუალურია საქმიანობის შეფასებისა და კარიერის დაგეგმვის სამართლიანი და ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ასევე მნიშვნელოვანი იქნება თავად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების განვითარება. კონკრეტული ინიციატივები უნდა განხორციელდეს განათლების სისტემაში ახალი კადრების მოზიდვის მიზნით. ეს მნიშვნელოვანია როგორც განათლების რიგ საფეხურზე არსებული თუ მოსალოდნელი საკადრო დეფიციტის დასაფარად, ასევე შიდა კონკურენციის გაძლიერებისა და სისტემის განახლებისათვის. პედაგოგთა გადამზადების სისტემის მუდმივი განვითარების მიზნით უნდა გაიზარდოს ამ პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობა. საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის გაძლიერება საზოგადოების ჩართულობა და სოციალური პარტნიორობა გამოწვევაა განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერების ყველა სფეროში. განათლება უნდა გახდეს რეალურად ღია სისტემა, მის განვითარებაზე მეტი პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს საზოგადოებამ, დაინტერესებულმა პირებმა. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. ეს არის სისტემის მუდმივი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც განათლების სისტემაში მოქმედი დაწესებულებების გააქტიურება, ასევე საზოგადოებისა და კერძო სექტორის ცნობიერების ზრდა და მათი ჩართულობა. მნიშვნელოვანია კვლევის სფეროში ბიზნესის ჩართულობის გაზრდა. განათლებისა და მეცნიერების სისტემის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების სრულყოფა განათლების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს, რამდენადაც მას დაეფუძნება ეფექტური მენეჯმენტის, გამჭვირვალე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დანერგვა.

ამრიგად, განათლებისა და მეცნიერების განვითარების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ერთიან სისტემურ ხედვას. ეს გულისხმობს განათლების სხვადასხვა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში განვითარებაზე ორიენტირებული ძალისხმევის ერთიანობას. სტრატეგიის განხორციელების პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტებს წარმოადგენს: განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფით; საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობისა და ინსტიტუციური მუდმივი განვითარების უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემაში ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება; საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის გაძლიერება; განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფა; განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – „განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები“. 2014.
2. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი – „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში უმაღლესი განათლების პოლიტიკის ანალიზი ხუთი სტრატეგიული მიმართულების მიხედვით“. თბილისი. 2013.

3. Avy Ellis, Michael Kauferstein - „Dienstleistungsmanagement - Erfolgreicher Einsatz von prozessorientiertem Service Level Management“. 2004.

Tamaz Machitidze

Summary

The main directions of development of the education system aimes the improving of access and improve quality of science education for long-term economic growth and social stability. One of the most important resources of economic and social progress of Georgia, is human capital. Consequently, education and science have high priority for the development in long-term effect.

The success of Georgia's European integration process is significantly dependent on the success of the education sector. So, this system has to ensure, on the one hand, responsibility and educating citizens with democratic values, on the other hand, has to prepare relevant workers for the labor market.

The government of Georgia aims promoting of employment, job creation and innovation-based economy. In this direction to prepare relevant workers for the labor market and to strengthen the training and education system's research potential is recognized as one of the most important task.

In the article is divided specific areas of education priorities. In particular, the quality of education and increase access to education; Increase of teacher's motivation and Qualification; Raising engagement in Pre-school and professional education's. Improve student achievement; Internationalization of Higher Education; Use scientific potential and it's future development.

In this work is discussed current issues the development of the education sector.

Keywords: *Education field, Science, Strategy, Development, higher Education.*

ნეიროინფორმაციული სისტემები

მგელაძე ანტონ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მჭედლიშვილი ნინო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

ნეიროკომპიუტერი

ნეიროკომპიუტერი – ახალი კლასის გამომთვლელებია რომელთა შექმნა განპირობებულია ობიექტური მიზეზებით, რომელიც ერთი მხრივ დაკავშირებულია ელემენტთა ბაზის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პრინციპიალურ ეტაპთან, რაც ძირითადად განსაზღვრავს ელექტრონული გამომთვლელი მანქანის (ეგმ) არქიტექტურის განვითარებას, მეორე მხრივ – კონკრეტული ამოცანების უფრო სწრაფი და იაფი ამოხსნის პრაქტიკული მოთხოვნებით.

ნეირონული ეგმ პროგრესის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ზღვარითი ლოგიკის განვითარება, რომელიც მუდმივად უპირისპირდებოდა ელემნტთა ბაზისის კლასიკურ განვითარებას ბაზისში „და“, „ან“, „არა“, რამაც მიგვიყვანა რიგი კონკრეტული სპეციალიზირებული და ექსპერიმენტალური უნივერსალური ნეორონული ეგმ–ის შექმნამდე. ტერმინი „ნეოროკომპიუტერი“ არანაირად არ არის დაკავშირებული ადამიანისა და ცხოველთა ნერვულ სისტემის რაიმე თვისებებთან და მახასიათებლებთან. იგი დაკავშირებულია ზღვარითი ელემენტის პირობით დასახელებასთან ასაწყობი ან ფიქსირებული წონებით, რომელიც ახდენს ნეირონ–უჯრედის უმარტივესი გადამტანი ფუნქციის რეალიზებას.

ნეოროკომპიუტერების შექმნა მოითხოვს მრავალგანზომილებიანი ამოცანების პრინციპიალურად ახალი ალგორითმების ამოხსნას, რომლებშიც კონკრეტული ამოცანის ამოხსნის დრო ერთი მხრივ მხოლოდ წრფივად არის დამოკიდებული ამოცანის განსომილებასთან, მეორე მხრივ განისაზღვრება კონკრეტილ ნეირონულ ქსელში ამოცანის ამოხსნის იტერაციული პროცესში კრებადობის დროით.

ნეირონული ალგორითმების აგების ძირითად ფორმალურ აპარატს წარმოადგენს ნეირონული ქსელების თეორია, ვუწოდოთ ამოცანის ლოგიკური ბაზისი ოპერაციების ძირითად ნაკრებს, რომლის რეალიზება ხდება ალგორითმის დეტალიზაციის პროცესში. ასეთ ბაზისს უმრავლესი ამოცანებისათვის წარმოადგენს ბაზისი (∑ wx). ამ ამოცანების მიეკუთვნება ვექტორული ალგებრის ამოცანები, ფურიეს გარდაქმენბი, ოპტიმატიზაციის ამოცანები.

ნეიროკომპიუტერის შემთხვევაში გამოთვლითი სისტემის ლოგიკურ ბაზისს უმარტივეს შემთხვევაში წარმოადგენს ბაზისი (∑ wx sign)., რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება ძირითადი ამოსახსნელი ამოცანების ლოგიკურ ბაზისს.

ნაირონულ ქსელებს შორის გამოიყოფა: ორი საბაზრო არქიტექტურა – ფენოვანი და სსრულკავშირებიანი ქსელები:(ნახ 2)



ნახ. 2

ფენოვანი ქსელები აქ ნეორონები რამდენიმე ფენადაა განლაგებული. პირველი ფენის ნეორონები შემავალ სიგნალს იღებენ, გარდაქმნიან და მათ განშტოებებს წერტილების მეშვეობით მეორე ფენის ნეორონებს გადასცემენ შემდეგ ამუშავდება მეორე ფენა და ა. შ, იმ ფენამდე რომელიც ინტრეპრეტატოსა და მომხმარებლისათვის გამოსასვლელ სიგნალებს გამოსცემენ. ნეორონების რაოდენობა ყოველ ფენაში შიეძლება ნებისმიერი იყოს. (ნახ. 1)



ნახ. 1

სრულკავშირებიანი ქსელები. აქ ყოველი ნეირონი თავის გამოსასვლელ სიგნალს გადასცემს დანარჩენ ნეირონებს საკუთარი თავის ჩათვლით.

ფენოვანი და სრულკავშირებიანი ქსელების ელემენტები შეიძლება სხვადასხვანაირად შეირჩნენ, თუმცა არსებობს სტანდარტული არჩევანი: ნეორონი შესასვლელზე ადაპტირი არაერთგავროვანი წრფივი სუმატორით. სრულკავშირებიანი ქსელისათვის ნეორონის შესასვლელი სუმატორი ფაქტობრივად ორად იშლება: პირველი ქსელის შესასვლელი სიგნალების წრფივ ფუნქციას ითვლის, მეორე – წინა ნაბიჯზე მიღებული სხვა ნეირონების გამოსასვლელი სიგნალების წრფივ ფუნქციას. ნეორონების აქტივაციის ფუნქცია (მახასიათებელი ფუნქცია) სიმატორის გამოსასვლელი სიგნალის არაწრფივი გარდამქნელია. თუ ქსელის ყველა ნეირონს ერთი ფუნქცია აქვს, ერთგვაროვანს (ჰომოგენიურს) უწოდებენ (ნახ. 3).



ნახ. 3

თუ მახასიათებელი ფუნქცია ნეირონიდან ნეირონამდე იცვლება, მაშინ ქსელს არ-

აერთგვაროვანს (ჰეტროგენურს) უწოდებენ.

ერთგვაროვანი ნეირონული ქსელებს აქვთ ელემენტების წყობიდან გამოსვლისას ქსელის თანდათანობით დეგრადაციის თვისება. ეს ჯერ კიდევ ფ. როზენბლატმა აღწერა 3–ფენოვანი ქსელის აგებისას პირველ ფენაში შემთხვევითი კავშირებით, როცა პირველ ელემენტების რაოდენობა აღებული იქნა გადაჭარბებით. რომ უფრო კარგად გავერკვეთ იმ ოპერაციულ ქმედებაში, რასაც ნეირონულ ქსელებში ვხვდებით, შეიძლება განვიხილოთ მაგალითი ვექტორული ალგებრიდან, კერძოდ მატრიცის გამრავლება ვექტორზე. აქ ვექტორს წარმოადგენს ერთფენოვანი ნეირონული ქსელის შემავალი სიგნალები. მატრიცა კი წარმოადგენს ფენის ნეირონების კოეფიციენტების მნიშვნელობას. გაომოსასვლელი ნეირონები ქაელში წარმოადგენს გადამრავლების შედეგს და არაწრფივ გარდაქმნას.

ნეიროკომპიუტერები კვლევის დისციპლინათშორისი საგანია. ნეიროკომპიუტერის ცნებას შეიძლება მივცეთ რამდენიმე განსაზღვრა იმ ფონზე, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების ადექვატურია.

მათემატიკური სტატისტიკა. ნეიროკომპიუტერები ეს არის სისტემები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ შემთხვევითი პროცესების და მათი მახასიათებლების აღწერა, რომელთაც ზოგადად მიღებულისაგან განსხვავებით აქვთ რთული, ხშირად მრავალ მოდალური ან საერთოდ აპრიორი უცნობი განაწილების ფუნქციები.

მათემატიუკური ლოგიკა და ავტომატის თეორია.

ნეიროკომპიუტერები ეს ისეთი სისტემებია, სადაც ამოცანის ამოხსნის ალგორითმი წარმოდგენილია კერძო სახის ელემენტების ლოგიკური ქსელებით – ნეირონებით. მთლიანად უარი არის ნათქვამი შემდეგი ტიპის ბულის ელემენტებზე „და“, „ან“, „არა“ და როგორც შედეგი ამისა, შემოტანილია ელემენტებს შორის სპეციფიკული კავშირი, რომელიც ცალკე განხილვის თემაა.

ზღვარითი ლოგიკა. ნეიროკომპიუტერები, ეს არის სისტემები, სადაც აპრიონი ამოცანის ამოხსნის ალგორითმი წარმოდგენილია ზღვარითი ელემენტების ქსელით, დინამიური გადასაწყობი კოეფიციენტებით და აწყობის ალგორითმებით, რომლებიც დამოუკიდებული არიან როგორც ქსელის ზომებისაგან, ასევე ზღვარითი ელემენტების შესასვლელი სივრცისაგან.

პრაქტიკულად ყველა მიდგომას, რომელიც დაკავშირებულია ზღვარით ლოგიკასთან და რომელთაც აქვთ ნეიროქსელების გარე ნიშან–თვისებები, ჰქონდათ ბულის ელემენტების ანალოგიური შესღუდვები და დაკავშირებული არიან შესასვლელი სივრცის ელემენტების განზომილებასთან და ქსელის განზომილებასთან.

მართვის თეორია. ცნობილია არაწრფივი დინამიური მართვის სისტემების სინთეზის სიძნელეები. ნეიროკომპიუტერის შემთხვევაში ამ სიძნელეებს ნაწილობრივ გვერდს უვლიან იმით, რომ მართვის ობიექტის როლში აირჩევა კერძო შემთხვევა, კარგად ჩამოყალიბებული ობიექტი ანუ მრავალფენოვანი ნეირონული ქსელი, ხოლო მისი აწყობის დინამიური პროცესი წარმოადგენს ამოცანის ამოხსნის პროცესს.

გამოთვლითი მათემატიკა. განსხვავებით ამოცანის ამოხსნის კლასიკური მეთოდებისაგან, ნეიროკომპიუტერები რეაგირებენ ამოცანის ამოხსნის ალგორითმებზე ნეირონული ქსელების სახით. ეს შეზღუდვები საშუალებას გვაძლევს დავამუშაოთ ალგორითმები, პოტენციალურად უფრო პარალელური, ვიდრე მათი ნებისმიერი აზრობრივი ან ფიზიკური რეალიზაცია.. ამოცანის ამოხსნის მრავალი ნეირონული ალგორითმი შეადგენს გამოთვლითი მათემატიკის ახალ პერსპექტიულ განყოფილებას პირობითად წოდებულს –ნეირომათემატიკად.

გამოთვლითი ტექნიკა. გამოთვლითი ტექნიკის აზრით ნეიროკომპიუტერი – ეს არის გამოთვლითი სისტემა ისეთი არქიტექტურით, რომელშიც ხდება რეალიზაცია 3 პრინციპიალური ტექნიკური გადაწყვეტილებისა:

- ნეირონის დონემდე გამარტივებულია ერთგვაროვანი სტრუქტურის პროცესორული ელემენტი.
- მკვეთრათ გართულებულია ელემენტებს შორის კავშირი.
- გამოთვლითი ტექნიკის დაპროგრამება გადატანილია პროცესორულ ელემენტებს შორის წონითი კავშირების ცვლილებაზე.

ნეიროკომპიუტერის ზოგადი განსაზღვრა. ნეიროკომპიუტერი ეს არის გამოტვლითი სისტემა აპარატური და პროგრამული არქიტექტურით, ადექვატური იმ ალგორითმების შესრულებისა, რომლებიც წარმოდგენილია ნეირონული ქსელების ლოგიკურ ბაზისში.

ამოცანების კლასი, რომლებიც ნეიროკომპიუტერების ადექვატურია.

ამოცანები, რომლებიც წყდება გამოთვლით სისტემებში შეიძლება პირობითად დაიყოს კლასად:

- ფორმალიზებული
- ძნელადფორმალიზებული
- არაფორმალიზებული

ფორმალიზებულ ამოცანებს მიეკუთვენება ამოცანები ნათლად გამოსახული ალგორითმებით, რომლისგანაც პირდაპირ გამომდინარეობს რომელი კლასის ელექტრო გამომთვლელ მანქანებს შეესაბამება იგი და რომელი კლასის ეგმ–ზე ყველაზე უკეთესად ამოიხსნება ამოცანა მოცემული ალგორითმით.

ძნელადფორმალიზებულ ამოცანებია ისეთი ამოცანები რომელთათვისაც ამოხსნის ალგორითმი ან არ წარმოადგენს ერთადერთს, ან იგი ისეთია, რომ ძნელია შევაფასოთ ამოცანის ამოხსნის ხარისხი ან ამოხსნის მიღწევადობა. ამოცანების მოცემულ კლასს შეიძლება მივაკუთნოთ დიდი განზომილების ამოცანები, რომლებშიც „დაწყველილი განზომილების“ გამო მათ ამოსახსნელად საჭიროა იტერაციული პროცედურები, რომლებიც ადექვატურია ძნელადფორმალიზებადი ამოცანებისა, გამოიყენებენ იმ შემთხვევაშიც, როცა ფორმალიზებული ალგორითმი ხდება შრომატევადი (მაგ. განსაკუთრებით დიდი განზომილების წრფივ განტოლებათა სისტემებისათვის).

არაფორმალიზებულ ამოცანებს მიეკუთვნება ისეთი ამოცანები, რომელთა ალგორითმებშიც ჩნდება პარამეტრები ან ფუნქციები რომლებიც არაცხადად არის მოცემული, რომელიღაც კლასის შესასვლელი სიგნალების აღწერით. ეს არის სახეთა ამოცნობის, თვითსწავლების, ინფორმატიულ ნიშან–თვისებათა მოძებნისა და სხვა .

არესებობს კავშირი ზემოაღნიშნულ ამოცანების კლასსა და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების არქიტექტურის ტიპებს შორის, მაგრამ ის არ არის პირდაპირი კავშირი.რასაკვირველია, ფორმალიზებული ამოცანები, როდესაც ალგორითმი არის არსებითად თანმიმდევრული, ადექვატურია არქიტექტურისა ებემ (ერთი დინება ბრძანებებისა, ერთი დინება მონაცემებისა) (მაგ. კლასიკური პერსონალური კომპიუტერი). მაგრამ კარგად ფორმალიზებად ამოცანებს შორის არის ბევრი ამოცანები, რომლებშიც გაპარალებით შეიძლება მივაღწიოთ. მისი ამოხსნის ეფექტურობის გაზრდას. თანამედროვე მათემატიკა დაკავებულია პარალელური ალგორითმების დამუშავებით. ამასთან ერთად, როგორც წესი პარალალური ალგორითმების მოძებნა ფორმალიზებული ამოცანებისათვის ხდება კონკრეტული არქიტექტურის ეგმ–ისათვის (ებბმ – ერთი დინება ბრძანებებისა, ბევრი დინება მონაცემებისა, ბბბმ – ბევრი დინება ბრძანებებისა – ბევრი დინება მონაცემებისა). ზემოთაღნიშნული ძნელად ფორმალიზებადი ამოცანები, რომლებიც შეიძლება ამოიხსნას მიმდევრობით მანქანებზე, მაგრამ ისინი ადექვატურია ისეთი ეგმ–ის არქიტექტურისათვის, როგორიცაა ებბმ ბბბმ, უფრო მეტიც ძნელადფორმალიზებადი ამოცანები გახდენ ასეთი მანქანური სისტემების გაჩენის მიზეზი.

შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული გამოთვლითი მანქანები ებმმ და ბბბმ არქიტე-

ქტურით პირობითად ადექვატური, კარგი გაპარალების ალგორითმების მქონე ამოცანებისა და ძნელადფორმალიზებადი ამოცანებისათვის. რასაკვირველია, არაფორმალიზებული ამოცანები, ჯერ კიდევ 30–წლის წინ გახდა მიზეზი ნეირონული კომპიუტერის გაჩენისა, თუმცა ნეირონული ამოცანები ამოიხსნებოდნენ ებემ არქიტექტურის ვგმ–სა და არის მცდელობა ამოიხსნა ეს ამოცანები ებბმ და ბბბმ არქიტექტურის გამოთვლით მანქანებზე.

ერთ–ერთი ძირითადი ამოცანას, რომელიც შეიძლება ამოიხსნას ნეიროკომპიუტერით, წარმოადგენს:

- ამოცანის ამოხსნის ალგორითმის დამუშავება, რომელიც ადექვატურია ნეიროკომპიუტერის სტრუქტურისა. ამოცანის ამოხსნის სტრუქტურაში ბირთვის გამოყოფა, რომელიც სტრუქტურით ადექვატურია ნეირონული ქსელისა ყველაზე დიდი პარალელიზმით (ნეირონების რიცხვი ფენებში, ნიშან–თვისებათა სივრცის განზომილება).
- მოცემული კლასის ამოცანათა ადექვატური ნეირონული ქსელების რეალიზაციის მეთოდებისა და სტრუქტურის დამუშავება.
- ნეირონული ქსელების აწყობის ალგორითმების დამუშავება მოცემული ამოცანებისათვის და მათი კრებადობის კვლევა.
- ნეირონული ქსელების თეორიის განვითარება ნეირონილი ბირთვის უნივერსალიზაციისა ალგორითმების უფრო ფართო კლასისათვის.

ერთგავოვანი ნეირონული ქსელის სტრუქტურა ამორჩეულია ამოსახსნელი ამოცანის ბირთვის სახით გამოყოფისათვის შემდეგი მიზეზების გამო:

1. მასიური, პარალელური სინქრონული შესრულება დიდი რაოდენობის ოპერაციებისა, რომლებიც თავის მხრივ შედგება შეკრების, გამრავლების და არაწრფივი გარდაქმნის ოპერაციებისაგან.
2. ხდება საკმაოდ რთული და მოქნილი ფუნქციონალური გარდაქმნის რეალიზება შესასვლელი სივრცისა გამოსასვლელ სივრცეზე.
3. უშვებს შესასვლელი სივრცის მდგომარეობის გამოსასვლელში გარდაქმნის ანალიტიკურ აღწერას.
4. საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ადაპტურ რეჟიმში ქსელის კოეფიციენტების აწყობის კონტროლირებადი პროცესის ორგანიზება.
5. მომავალში გილის წრფივი მიმდევრობით მანქანების აპარატის გამოყენებით შეიძლება მიუხლოვდეთ ანალიტიკური აღწერის პრობლემის გადაჭრას და შედეგად მრავალფენოვან ნეირონულ ქსელებში ადაპტაციის ალგორითმების სინთეზის ანალიტიკურ აღწერას.

ნეიროინფორმატიკა. ამოცანის ამოხსნის მეთოდები და ალგორითმები

როდესაც ახალი ნიშან-თვისებებით აგებულ მოწყობილობაზე ვსაუბრობთ, დგება საკითხი რომელი კლასის ამოცანებისათვის არის მისი გამოყენება ყველაზე უფრო ეფექტური. ნეიროკომპიუტერებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას რომ დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა - ნეიროკომპიუტერი ეფექტურად ე.წ. არაფორმალიზებადი და ცუდად ფორმალიზებადი ამოცანებისათვის, რომელიც დაკავშირებული იყო ამოცანის ალგორითმში რეალურ ექსპერიმენტალურ მასალებზე დაყრდნობით სწავლების პროცესის ჩართვით, შეიძლება ითქვას რომ ეს საკითხი მუდმივად განვითარებას განიცდის. ამჟამად ასეთი კლასის ამოცანებს დაემატა სხვა კლასის ამოცანები, რომელიც არ ითხოვს სწავლებას ექსპერიმენტალურ მასალების საფუძველზე, მაგრამ კარგად არის წარმოდგენილი ნეიროქსელის ლოგიკურ ბაზისში.

მათ მიეკუთვნება პირველ რიგში ამოცანები, ნათლად გამოხატული ბუნებრივი პარალელიზმით:

-სიგნალების დამუშავება

-გამოსახულების დამუშავება და სხვა.

ეფექტური იქნება ასევე ნეიროქსელური ალგორითმების გამოყენება ამოცანებში, სადაც შესასვლელი ინფორმაციის სივრცე, შესასვლელი მონაცემები არგუმენტების სივრცეში შეიძლება იყოს ეფექტურად ჩამოყალიბებული არა ანალიტიკური გზით, არამედ მონტე-კარლოს მეთოდით.

შეიძლება ითქვას რომ ნებისმიერი ამოცანა უფრო ეფექტურად ამოიხსნება ნეიროკომპიუტერებზე, რადგანაც პრინციპში ნებისმიერი ამოცანის ალგორითმი შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნეიროქსელური ლოგიკური ბაზისით, ნეირონების ფენების კონტროლირებად რიცხვით. ეს ნიშნავს რომ ნებისმიერი ამოცანის ნეიროქსელური გადაწყვეტის ალგორითმი ლოგიკურ დონეზე უფრო პარალელურია, ვიდრე მისი ფიზიკური რეალიზაციის ნებისმიერი წარმოდგენა.

ტრანპიუტერულ და ფსევდოტრანსპიუტერულ სისტემაში (მათში მაღალი დონის პარალელიზმის გამო) ხდება ამოცანის ამოხსნის ალგორითმის მორგება უფრო დიდ პარალელიზმის ფიზიკურ რეალიზაციასთან.

იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ნეიროკომპიუტერები იქნებიან უფრო ეფექტურები, ვიდრე სხვა არქიტექტურები, მეტყველებს ის თუ უკანასკნელ წლებში როგორ მყისიერად გაიზარდა იმ კლასის ამოცანათა რაოდენობა, რომელიც იხსნება ნეიროქსელური ლოგიკურ ბაზისით. მათ მიეკუთვნებიან:

- დიდი განზომილების წრფივი და არაწრფივი ალგებრულ განტოლებათა ამოხსნა;
- კერძო წარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებათა ამოხსნა;
- ექსპერტული სისტემები;
- ოპტიმატიზაციის ამოცანები (წრფივი და არაწრფივი პროგრამირება)

ამ ამოცანებისათვის ნეიროქსელურ ლოგიკურ ბაზისზე გადასვლა დამახასიათებელია იმ შემთხვევებისათვის როცა ხდება ამოხსნათა სივრცის განზომილების მყისიერი გაზრდა, ან ამოხსნის დროის მყისიერი შემცირება.

ზოგადად ჩამოყალიბდა ნეიროინფორმატიკის 2 განყოფილება: ნეირომათემატიკა და გამოყენებითი ნეირომათემატიკა.

ნეირომათემატიკა - ეს არის გამოთვილითი მათემატიკის განყოფილება, რომელიც დაკავშირებულია ისეთი ამოცანათა ამოხსნის ალგორითმებთან, რომლებიც წარმოდგენილია ნეიროქსელური ლოგიკური ბაზისით. ნეირომათემატიკის შექმნის მიზანია - მაღალი ხარისხის პარალელიზმით როგორც ფორმალიზებადი, ისე ძნელად ფორმალიზებადი და არაფორმალიზებადი ამოცანების ამოხსნა.

ნეირონული ალგორითმების ეფექტურობის კრიტერიუმი იქნება ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით ამოცანის ამოხსნის აჩქარება. ნეიროკომპიუტერებისათვის სხვადსხვა ხერხით რეალიზაციის ალგორითმების ეფექტურობის შედარება ცალკე განხილვის საგანს წარმოადგენს.

ნეირონული ალგორითმი შეიძლება ვუწოდოთ ისეთ გამოთვლით პროცედურას, რომლის ძირითადი ნაწილის რეალიზაცია ხდება ნეირონულ ქსელზე.

ვთქვათ გვაქვს P - ფორმალური ამოცანის დასმა. P - -ში შედის საწყისი მონაცემების D სიმრავლე, და ობიექტების სიმრავლე, რომელიც ექვემდებარება განსაზღვრას R. ნეირონული ალგორითმის დამუშავების საფუძველს წარმოადგენს სისტემური მიდგომა, რომლის დროსაც ამოცანის ამოხსნის პროცესი წარმოდგენილია, როგორც დროში ფუნქციონირებადი დინამიური სისტემა, რომლის შესასვლელზე მიეწოდება D სიმრავლე, გამოსასვლელზე სიმრავლე R (ობიექტები, რომლებიც ექვემდებარება განსაზღვრას და რომლებიც იღებენ თავის მნიშვნელობებს)

ნეიროქსელური დინამიური სისტემის აგებისათვის რომელიც გადაწყვეტს ამოცანას, აუცილებელია:

1. განვსაზღვროთ ობიექტი, რომელიც ასრულებს ნეიროქსელის შესასვლელი სიგნალის როლს. ეს შეიძლება იყოს საწყისი მონაცემის ელემენტი, განსაზღვრული სიდიდეების საწყისი მნიშვნელობები და ა.შ.

2. განვსაზღვროთ ობიექტი, რომელიც ასრულებს ნეიროქსელის გამოსასვლელი სიგნალის როლს, ეს შეიძლება იყოს თვითონ ამოხსნა ან მისი რომელიღაც დახასიათება.

3. განვსაზღვროთ ნეიროქსელის სასურველ (საჭირო) გამოსასვლელი სიგნალი;

4. განვსაზღვროთ ნეიროქსელის სტრუქტურა:

ა) ფენების რაოდენობა;

ბ) კავშირი ფენებს შორის;

გ) ობიექტები, რომლებიც წარმოადგენენ წონით კოეფიციენტებს;

5. განვსაზღვროთ სისტემის შეცდომის ფუნქცია, ანუ ფუნქცია, რომელიც ახასიათებს ნეიროქსელის სასურველი გამოსასვლელი სიგნალის გადახრას რეალური გამოსასვლელი სიგნალისაგან;

6. განვსაზღვროთ სისტემის ხარისხის კრიტერიუმი და ცთომილებაზე დამოკიდებული ოპტიმატიზაციის ფუნქციონალი;

7. განსაზღვროთ წონითი კოეფიციენტების მნიშვნელობები ამოცანისაგან დამოკიდებულებით, ეს შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა ხერხით:

ა) ანალიტიკურად, უშუალო ამოცანის დასმის შედეგად;

ბ) რომელიმე რიცხვითი მეთოდის გამოყენებით;

გ) გამოვიყენოთ ნეიროქსელის კოეფიციენტების აწყობის პროცედურები.

ამოცანის ამოხსნა ნეირონული ალგორითმის საშუალებით მდგომარეობს აგებული გამოთვლითი პროცედურის გამოყენებაში (რომელირაც რეჟიმში ფუნქციონირება) რიცხვითი მონაცემების კონკრეტული მნიშვნელობისათვის.

ამოხსნის პროცედურა შედგება:

1) გამოყენებული ალგორითმის შესაბამისი ნეიროქსელის კონკრეტული სტრუქტურის მიღება;

2) წონითი კოეფიციენტების მოძებნა, ან მათი შერჩევა მესიერებიდან, თუ ისისნი ადრე იქნა მოძებნილი;

3) პარამეტრების საწყის მიახლოებათა გენერაცია, თუ ეს აუცილებელია;

4) ნეიროქსელში ყველა რიცხვითი მნიშვნელობების გადაცემა და მისი გაშვება;

5) ქსელის ფუნქციონირება რეჟიმის შესაბამისად:

ა) ერთ ბიჯზე ან ბიჯების ფიქსირებული რიცხვით

ბ) ცვლადი რაოდენობის ბიჯებით, რომელიც დამოკიდებულია მოთხოვნილ სიზუსტეზე და /ან კონკრეტული პარამეტრების რიცხვითი მნიშვნელობებზე. ამ შემთხვევაში ხდება შესასვლელი სიგნალის აწყობის პროცესი;

6) ამოხსნის მიღება

1 და 2) პუნქტების მრავალჯერ გამოყენების მიხედვით მივიღებთ ერთჯერად შესრულებას.

ამრიგად ნეიროკომპიუტერი შეიძლება ვუწოდოთ გამოთვლით სისტემას არქიტექტურით, რომელიც უზრუნველყოფს ფუნქციონირების პროცესს შესაბმისად ზემოაღნიშნული ბიჯებისა 1 – 6.

ნეირომათემატიკა წარმოადგენს გამოთვლითი მათემატიკის ახალ განყოფილებას, რომელიც ორიენტირებულია ფართო კლასების ამოცანათა ამოხსნის ალგორითმების შესაქმნელად ნეიროკომპიუტერში. იგი ალგორითმების აგების მოცემულ მიდგომას იყენებს როგორც ფართოდ გავრცელებულ მეთოდებს, ასევე ფართოდ დაგროვილ გამოცდილებას - ნეირონული გამოთვლების დარგში.

ნეირონული ქსელი წარმოადგენს მაღალპარალელურ დინამიურ სისტემას მიმართული გრაფის ტოპოლოგიით, რომელსაც შეუძლია მიიღოს გამოსასვლელი ინფორმაცია რეაქციით

მის მდგომარეობაზე გარე ზემოქმედების შედეგად. კვანძებად ნეინორულ ქსელში იწოდება პროცესორული ელემენტები და მიმართული არხები.

ჩვენი მოკვლევის მიზანია სისტემური მიდგომა – ნეირონული ქსელების სინთეზი, ანუ ნეირონული ქსელის აგება და ასევე ნეირონული ქსელების ადაპტაციის ალგორითმების აგება, რომელიც ანალოგიურია მართვის ადაპტიური სისტემებისა.

შესაძლებელია 4 მიდგომა ნეირონული ქსელის კვლევის მიმართულებით:

1. ფსიქოლოგიური მიდგომა, როცა რომელიღაც ფსიქოლო–პარადიგმის მოდელირებას ვახდენთ, რის გამოც აიგება და გამოიკვლევა რომელიღაც სტრუქტურის ნეირონული ქსელი.
2. ნეიროფიზიოლოგიური მიდგომა, როცა გამოვდივართ რა ტვინის რომელიღაც განყოფილების შესახებ ცოდნიდან, ხდება აგება და გამოკვლევა ნეირონული ქსელისა, რომელიც ტვინის მოცემული ნაწილის ფუნქციის მოდელირებას ახდენს.
3. ალგორითმული მიდგომა, როცა დაისმება მათემატიკური ამოცანა და ამ დასმიდან გამომდინარე აიგება ადექვატური ნეირონული ქსელი და ამ ამოცანის ამოხსნის აწყობის ალგორითმი.
4. ზემო აღნიშნული პუნქტების გამაერთიანებელი – სისტემური მიდგომა, მრავალფენოვანი ნეირონული ქსელების სინთეზი.

ტრადიციული რიცხვითი მეთოდი გამოიყენება ნეირომათემატიკაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ ხერხდება ამოცანის ეფექტურად გაპარალელება და გამოსახვა ნეიროქსელური ოპერაციებით.

ბევრი ცნობილი მიდგომა ნეირონული ქსელებისპროექტირებასთან დაკავშირებულია ზოგიერთი კერძო სახის სტრუქტურების (ჰოფილდის ქსელები, გროსპერგის ქსელები, კოხონენის ქსელები) არჩევასა და ანალიზთან და მათი მუშაობის ზოგიერთ რეჟიმთან.

ნეიროქსელების გამოყენება მიიყვანება ამ სტრუქტურებთან მისადაგებით ადექვატური ამოცანათა კლასის ამოხსნამდე, სტრუქტურის პარამეტრების ცვლილებითა და არჩევით. ამიტომ ნეირომათემატიკაში საწყის წერტილს წარმოადგენს ამოცანის ჩამოყალიბება.

ნეიროკომპიუტერზე ამოცანის ამოხსნისას ჩვენ გვაქვს 2 სახის დიალოგი:

1. დიალოგი ნეიროკომპიუტერის მომზადების პროცესში წინასწარ ცნობილი შეზღუდვებით საწყის მონაცემებსა და შედეგზე. ამ დიალოგის დროს ჩვენ ვაწყობთ წონით კოეფიციენტებს აწყობის შემდეგ სხვა პარამეტრების შენარჩუნებით შეიძლება ამოვხსნათ ამოცანა მრავალჯერ რეალური საწყისი მონაცემებით. თუ აწყობას ვერ მოვახერხებთ, მაშინ ისინი შეიძლება კომპიუტერის მეხსიერებაში მოვძებნოთ.
2. დიალოგი ამოხსნის პროცესში, აქ ყველაზე შრომატევადათ ითვლება დიალოგი შესასვლელი სიგნალის აწყობის პროცესში.

ფართო გაგებით ნეირონული ქსელები მულტიდისციპლინარული მეცნიერებაა, ამიტომ შეიძლება ითქვას რომ ნეიროკომპიუტერები წარმოადგენს გამოთვლითი მეცნიერების, ადაპტიური სისტემების თეორიის ავტომატური მართვის და ნეიროდინამიკის ეფექტურ სიმბიოზს.

ორგანიზაციული კულტურისა და ქცევის დინამიურობა

ღამბაშიძე თამარ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

ორგანიზაციული კულტურა ნიშნავს ადამიანის საწარმოო, საზოგადოებრივი და სულიერი მიღწევების მოწესრიგებულ ერთობლიობას. ორგანიზაციულ კულტურას ხშირად უწოდებენ აგრეთვე კორპორატიულ კულტურას. შემდეგში ამ ტერმინებს სინონიმებად ჩავთვლით. ის შეიძლება დაფიქსირდეს წერილობითი ფორმით, მაგალითად, ფირმის ყოველ თანამშრომელს შეუძლია გაეცნოს განაცხადს "კორპორატიული კულტურის შესახებ".

ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს კომპანიის მუშათა და თანამშრომელთა ჯგუფების დამაკავშირებელ რგოლს, რაც საშუალებას იძლევა გამოიყოს ერთმანეთისაგან "ჩემიანები" და სხვები. ეს განსაკუთრებულად იჩენს თავს ახალი თანამშრომლის ადაპტაციისას კომპანიაში. თუ ახალდაქირავებული მალე გაითავისებს კორპორატიული კულტურის პრიციპებს, მაშინ ის გაცილებით ადვილად შეძლებს კოლექტივში სოციალურ ინტეგრაციას და მისი მწარმოებლურობაც უფრო ეფექტური გახდება. თუ ის იმყოფება უცხო გარემოში, მისი საქციელი იქნება შებოჭილი და ის მუდმივად განიცდის უკმაყოფილების გრძნობას. ასეთ შემთხვევაში, ადამიანები კომპანიას პირველ ორ-სამ კვირაში ტოვებენ, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, რომ ორგანიზაციული კულტურა წარმოადგენს ორგანიზაციული ქცევის ნაწილს. ამ ჭრილში ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პროცესი და როგორც მოვლენა.

საკვანძო სიტყვები: კორპორატიული კულტურა, კულტურის ხილული და უხილავი დონე, კულტურის პრინციპები, იდენტურობა და პოლარიზაცია, ორგანიზაციული ანტაგონიზმი, კულტურები - „აკადემია", „სიმაგრე".

ძირითადი ტექსტი

პირველ შემთხვევაში ესაა წესებისა და ნორმების ნაკრების ფორმირება და გამოყენება. **მეორე** შემთხვევაში კი – ის თვითონაა წერილობითი ან დაუწერელი პრინციპების, წესების, ნორმების ერთობლიობა, რაც კომპანიის ფილოსოფიაზე აისახება.

ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას ახალშექმნილ კომპანიაში შეიძლება დასაბამი მიეცეს კოლექტივის მიერ არაფორმალური ლიდერის აღიარებით, რომელსაც ექნება გარშემომყოფებზე ძლიერი ზეგავლენა. მისი აღმოცენება დაკავშირებულია გრძელვადიან პრაქტიკულ საქმიანობასთან, რაც ხელს უწყობს კოლექტიური ურთიერთობების გამოცდილების დაგროვებასა და ტრადიციების გამომუშავებას. დიდი სარგებელი მოაქვს აგრეთვე კოლექტივისა და მმართველების მიერ შემოთავაზებული საუკეთესო ნორმების, წესებისა და სტანდარტების ნაკრების შერჩევას. აღწერის შემთხვევებში ორგანიზაციული კულტურა ატარებს უხილავ ხასიათს. დღესდღეობით, არსებულ კომპანიების უმეტესობაში ორგანიზაციული კულტურა სწორედ ასეთი სახისაა.

კორპორატიული კულტურა შეიძლება განვმარტოთ, როგორც საბაზისო ღირებულებების, არაოფიციალური შეთანხმებებისა და ნორმების კრებული, რომელიც განაწილებულია ორგანიზაციის ყოველ წევრს შორის. ესაა საერთო ღირებულებებისა და წანამძღვრების თავისებური სისტემა, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს ფირმაში, რაც მმართველებისა და სხვა თანამშრომლების მიერ გაითავისება იმ დოზით, რა ზომითაც ისინი ეჯახებიან შიდა და გარე პრობლემებს. მეორე დონე – თანამშრომლების სიტყვებსა და საქმიანობაში გამოხატული და გაცნობიერებულად მიღებული საერთო ღირებულებები და შეხედულებები, რაც თავს იჩენს მათ მონათხრობში, ენასა და სიმბოლოებში. ზოგიერთი ფასეულობები ისე ღრმადაა კორპორატიულ კულტურაში ფესვგადგმული, რომ თანამშრომლები ვეღარც კი ამჩნევენ მათ. სწორედ ეს საბაზისო, საფუძველჩამყრელი წანამძღვრები და რწმენა ქმნიან

კორპორატიული კულტურის არსს. სწორედ ისინი წარმართავენ ქვეცნობიერ დონეზე ადამიანთა ქცევასა და გადაწყვეტილებებს.



ზოგიერთ ორგანიზაციაში საბაზისო წანამძღვარის როლში გამოდის დაშვება იმის შესახებ, რომ ადამიანი დაბადებიდან მიდრეკილია უქმობისაკენ, აქედან გამომდინარეობს წანამძღვარი, რომ ისინი შესაძლებლობის შემთხვევაში შეეცდებიან თავიანთი მოვალეობების თავიდან არიდებას. ასეთი კომპანიის მენეჯმენტი მკაცრად აკონტროლებს დაქვემდებარებულთა საქმიანობას, ზღუდავს მათ თავისუფლების დონეს და კოლეგები ეჭვით უყურებენ ერთმანეთს. შედარებით "განათლებული" ორგანიზაციის კულტურა კი ეფუძნება შემდეგ წანამძღვარს, რომ ყოველი ინდივიდი ისწრაფვის დაკისრებული მოვალეობის უმაღლეს დონეზე შესრულებისაკენ. ასეთ ორგანიზაციებში თანამშრომლები ფლობენ დიდ თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას.

კორპორატიული კულტურის კლასიფიკაციის ერთერთი ხერხი შემოთავაზებულ იქნა ჯეფრი სონენფელდის მიერ, რომელმაც გამოყო კორპორატიული კულტურის 4 ტიპი: "ბეისბოლის გუნდი", "გუნდი", "აკადემია" და "სიმაგრე.

"ბეისბოლის გუნდის" კულტურა მაშინ ყალიბდება ორგანიზაციაში, როდესაც შიდა ვითარება მოითხოვს სწრაფ უკუკავშირსა და დიდ რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებას. გადაწყვეტილების მიმღები თანამშრომლები ოპერატიულად იღებენ ინფორმაციას თავიანთ ეფექტურობაზე. ფასდება (და ჯილდოვდება) ტალანტი, სიახლის ძიება და მწარმოებლური შრომა. შედარებით ეფექტური თანამშრომლები იქცევიან "თავისუფალ აგენტებად", მათი გაწეული სამსახურისათვის იბრძვიან სხვადასხვა კომპანიები. კულტურა "ბეისბოლის გუნდი" ფორმირდება დინამიური დარგის ფირმებში, სადაც რისკის დონე მაღალია: კინოფილმების წარმოება, რეკლამა, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, როდესაც მათი მომავალი განისაზღვრება პროდუქტის ან პროექტის სიახლის დონით.

"გუნდური" კულტურისათვის დამახასიათებელია ერთგულება, პატიოსნება და წევ-

რების ჯგუფთან მიკუთვნებულობა. სტაბილურ და დაცულ გარემოში ფასობს ასაკი და გამოცდილება. დიდი სტაჟის მქონე თანამშრომლები ღებულობენ უფრო დიდ ანაზღაურებას, ვიდრე ახლები. კარიერა გვაგონებს სამხედროს: მომუშავე მიდის ფირმაში ახალგაზრდა და რჩება იქ, მთლიანად თუ არა, დიდი ხნით მაინც. მათგან მოითხოვენ ნელ, საფეხურებრივ პროგრესს, იერარქიის ყოველ საფეხურზე ისინი ვალდებულნი არიან დიდი ხნის განმავლობაში აგროვონ ცოდნა და გამოცდილება. როგორც წესი, ისინი ხდებიან საერთო პროფილის სპეციალისტები და გამოიმუშავებენ გამოცდილებას სხვადასხვა ორგანიზაციულ სფეროებში. მაგალითად, კომერციულ ბანკებში მრავალი მაღალი ხელმძღვანელი კარიერას იწყებს მოლარის პოზიციიდან. "გუნდური" კულტურა ფირმაში ავითარებს მოქნილობას, სხვა მხრივ გარეშეთა თვალში კომპანია ატარებს ჩაკეტილ ხასიათს, რომელიც ცვლილებების წინააღმდეგია.

"აკადემიაში" აგრეთვე აყავთ ახალგაზრდა რეკრუტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გრძელვადიან თანამშრომლებაზე, კარიერულ კიბეზე ნელ და სტაბილურ სვლაზე. "კლუბისაგან" განსხვავებით ისინი იშვიათად გადადიან ერთი განყოფილებიდან მეორეში. ყველა დგება თავის კალაპოტში და ხდება თავის სპეციალიზაციის სფეროში ექსპერტი. დაჯილდოებისა და დაწინაურების საფუძველია შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი. "აკადემიურ" კულტურას ვხვდებით მრავალ "ასაკიან" ორგანიზაციებში. მაგალითად: კოკა-კოლა, ფორდი, ჯენერალ მოტორსი, უნივერსიტეტები. სპეციალიზაციის გამო თანამშრომელს უძლიერდება იმის გრძნობა, რომ ის აუცილებელია ფირმისათვის, სხვა მხრივ ასეთი კულტურა ზღუდავს მუშათა განვითარებას, ფირმის ქვედანაყოფებსა და განყოფილებებს შორის ურთიერთკავშირს. სტაბილურ დარგებში "აკადემია" ძალიან ეფექტურია.

კულტურა "სიმაგრე" საერთოდ იქმნება კრიზისულ სიტუაციებში, როდესც კომპანიის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება. მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტექსტილის წარმოებები, საფინანსო-საკერდიტო ორგანიზაციები, რომლებიც ადრე დომინირებდნენ ბაზარზე, ახლა კი არსებობისათვის იბრძვიან. "სიმაგრეს" არ შეუძლია თანამშრომლების უზრუნველყოფა მყარი სამუშაო ადგილებით, ან რესტრუქტურიზაციისა და გაჩერების პერიოდში პროფესიული ზრდით, როდესაც ფირმა ცდილობს გარემო პირობებთან მისადაგებას. ასეთი კულტურა საშიშია მუშაკებისათვის, მაგრამ ამასთან თავისთავში დარწმუნებულ მენეჯერებს შესანიშნავი შესაძლებლობები ეძლევათ. ისინი, ვინც გაუძლებენ ასეთ პირობებს, ხდებიან გამოჩენილი პიროვნებები თავიანთ სფეროებსა და მთლიანად ქვეყანაში.

კორპორატიული კულტურის ძირითადი პრინციპებია:

- **დინამიურობა**
- **შედეგიანობა**
- **პასუხისმგებლობა**
- **თანამშრომლობა**
- **ხარისხი**

ორგანიზაციაში არსებული კავშირები საჭიროებენ რეგულირებას. ესაა ორგანიზაციული ქცევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანათაგანი. ორგანიზაციული ურთიერთობების მართვა დაკავშირებულია ნებისმიერი დონის მენეჯერის კომპეტენციასთან, ოღონდ იმ განყოფილების ჩარჩოებში, რომელსაც ის ხელმძღვანელობს. ორგანიზაციის მმართველობა ისწრაფვის, შექმნას ნორმალურად ფუნქციონირებადი კოლექტივი კარგი ფსიქოლოგიური კლიმატით, რომელიც შესძლებს არსებული მიზნების შესრულებას. სასიამოვნო სოციალური კლიმატის მიღწევა კოლექტივში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მწარმოებლური საქმიანობა. ორგანიზაციული კავშირები მოიცავენ ფირმის გარე და შიდა კავშირებს, რომლებსაც კომუნიკაციებს უწოდებენ. კომუნიკაციები, როგორც ორგანიზაციის, ისე თანამშრომლების საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე ჩნდებიან. ისინი წარმოადგენენ ურთიერთობის დადგენილ ნორმებს, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაცის ჩარჩოებში ადამიანებზე

მიმაგრებულ ფუნქციებთან, პროცედურებთან და ოპერაციებთან.

კომუნიკაციური პროცესი – ესაა ადამიანთაშორისი ფაქტიური კავშირი, რომელიც მოიცავს: თანამშრომელთა ურთიერთობებს, ორგანიზაციის მომხმარებლებს, მიმწოდებლებსა და წარმომადგენელსა შორის. რეალურ ურთიერთობებში ორივე ასეთი ვარიანტი არსებობს. ერთი ორგანიზაციის ჩარჩოებში მოქცეული კომუნიკაციები ორი სახისაა **ფორმალური** (საწარმოო დონის მუშებს, ხელმძღვანელსა და ქვეშევრდომსშორისი) და **არაფორმალური** (სოციალური ურთიერთობები). დაქვემდებარებულის მიერ ხელმძღვანელის სრული მხარდაჭერის მიზეზი შეიძლება იყოს ქვეშევრდომთა პასიურობა და მენეჯერის დიდი ავტორიტეტი ან ქვეშევრდომთა დაბალი პროფესიული კომპეტენტურობა. სრული მხარდაჭერა ორგანიზაციაში მიმდინარე არასასურველ პროცესებზე მიუთითებს, იმიტომ, რომ ყველაზე ბუნებრივი რეაქცია ხელმძღვანელის გადაწყვეტილებებზე სხვადასხვა სახის შეუსაბამობა წარმოშობაა.

შეუსაბამობა – ესაა ინფორმაციის სხვადასხვა აღქმისა და შეფასების მქონე თანამშრომლების რეაქცია რაიმე პრობლემის ან მმართველობითი გადაწყვეტილების განხილვისას. ორგანიზაციული შეუსაბამობები, როგორც წესი, ფიქსირდება სხვადასხვა სახის დოკუმენტებში, როგორებიცაა: კომისიის პროტოკოლები, აქტები, საჩივრები და სხვ. შეუსაბამობა, როგორც კომუნიკციური პროცესის ელემენტი, იყოფა 4 ეტაპად.

1. **განსხვავება.** კომუნიკაციურ პროცესებში დაძაბულობის დონის მხრივ ესაა ყველაზე მშვიდი ეტაპი. ის ხასიათდება იმით, რომ ხელმძღვანელი და დაქვემდებარებული აღწევენ უერთიერთგაგებას მიზნებში, დასმული ამოცანის მიდგომებსა და მეთოდებში. ამასთან შესაძლებელია დასმული ამოცანის სხვადასხვა მხარეებთან განსხვავებული მიდგომების არსებობა. ეს ხელს არ უშლის მმართველის გეგმის მიხედვით მიზნის მიღწევას, ხოლო თანამშრომლის იდეები განუხორციელებელი რჩება. ასეთი შეუსაბამობა შეიძლება გაჩნდეს მენეჯერსა და დაქვემდებარებულს შორის არსებული ურთიერთქმედების მექანიზმის სრულყოფისათვის მიღებული ინოვაციური გადაწყვეტილებისას. შეუსაბამობა ატარებს მოკლევადიან ხასიათს და არ უქმნის მუშებს უარყოფით ემოციებს.
2. **პოლარიზაცია.** ეს ეტაპი ხასიათდება იმით, რომ ხელმძღვანელი და დაქვემდებარებული აღწევენ უერთიერთგაგებას მიზნებსა და ამოცანებში, მაგრამ მათი რეალიზაციის განსხვავებული ხერხები და საშუალებები აქვთ. არსებობს გამოთქმა „აზრთა პოლარიზაცია“. დაქვემდებარებულები თავაზობენ არა ცალკეულ სიახლეებს, არამედ პრინციპულად განსხვავებული მეთოდების ახალ ნაკრებს. ოღონდ ეს არ იწვევს ამოცანების შეუსრულებლობას მენეჯერთა გზით. არარეალიზებული იდეები ან ურთიერთობათა გარღვევის მიზეზად იქცევიან ან გადადიან „განსხვავების“ სტადიაში, სპეციალისტებისა და ხელმძღვანელობის მიერ მათი განხილვის შემთხვევაში. ამ სტადიაზე მენეჯერთა და დაქირავებულთა უარყოფითი ემოციები მოკლევადიან ხასიათს ატარებენ. განხილული 2 სტადია წარმოადგენენ ნებისმიერ კომპანიაში ბუნებრივ სტატისტიკურ საწარმოო ურთიერთობებს.
3. **შეჯახება.** ეს ეტაპი გამოირჩევა ამოცანათა შესრულებისას ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულს შორის წარმოქმნილი ძლიერი დაძაბულობით. მოცემულ ეტაპზე დექვემდებარებულები მხარდაჭერას უცხადებენ მენეჯერებს მხოლოდ სამუშაო ნაწილის შესრულებისას. პრობლემის გადაწყვეტის საერთო მიდგომებისას ხელმძღვანელი და დაქვემდებარებული ისახავენ განსხვავებულ მიზნებსა და თავაზობენ მათი შესრულების განსხვავებულ მეთოდებს. შეჯახება დამახასიათებელი და ბუნებრივია შემოქმედებითი სამუშაოებისათვის. ამის გამომწვევი მიზეზია მენეჯერისა და ქვეშევრდომის პროფესიონალიზმის დონეებს შორის არსებული მცირე განსხვავებები, როდესაც თითოეული დარწმუნებულია თავის სიმართლესა და შეთავაზებული მიდგომის ეფექტურობაში. მეორე მიზეზია მენეჯმენტის დაბალი

დონე, როდესაც მმართველს არ შეუძლია ქვეშევრდომის დარწმუნება დასმული ამოცანისა და შერჩეული მეთოდების სისწორეში.

4. **ანტაგონიზმი.** ეს ეტაპი გამოირჩევა ამოცანათა შესრულებისას ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულს შორის წარმოქმნილი დიდი ნერვული დაძაბულობით. ის ვლინდება მენეჯერსა და დაქვემდებარებულებს შორის არსებულ პრინციპულად განსხვავებულ მიდგომებში ამოცანასთან დაკავშირებულ ყოველ ელემენტთან. ეს ეხება სამუშაოს მიზნებს, მათი შესრულების მეთოდებსა და საშუალებებს. ყველაზე ხშირად ანტაგონიზმი ჩნდება სპეციალისტებს შორის, რომლებსაც აქვთ ერთი და იმავე სფეროში ერთნაირი პროფესიონალიზმის დონე. ანტაგონიზმს, როგორც ორგანიზაციაში წარმოშობილ ნებისმიერ კონფლიქტს, მივყავართ როგორც დესტრუქციულ, ისე კონსტრუქციულ შედეგებამდე, როგორც პროფესიულ სფეროში, ასევე ადამიანურ ურთიერთობებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Кристиансен К., Билунд П., Транзактный анализ в бизнесе. Санкт-Петербург. «ПРАЙМ-ЕВРОЗНАК,» 2006
2. Майерс, Д. Социальная психология. Питер, Санкт-Петербург, 2000
3. Мескон М., Основы менеджмента, Москва, 2012
4. О'Шонесс,. Д. Принципы организации управления фирмой. Москва, «Прогресс», 2007
5. Сарджвеладзе, Н. Динамическая структура личности и социогенные потребности. В кн: Проблемы формирования социогенных потребностей. Тбилиси, «мецниереба», 2001
6. Смирнов, Б., Душков, Б., Космолинский, Ф. Инженерная психология. Экономичекие проблемы. Москва, «Экономика,» 2013

Dynamics of organizational culture and behavior

Tamar Gambashidze

Summary

One of the many responsibilities confronting leaders is the creation and maintenance of organizational characteristics that reward and encourage collective efforts. The organizational culture stands out as one of the components that are important to sustaining performance, and competitive advantage, and a good reason for becoming a great company. The reason for ethical failure in many organizations is the fact that while leaders concede of culture as a powerful tool that can create and sustain performance, only few leaders give it the attention it deserves. The cause of ethical failure in many organizations can be traced to organizational failure of leadership active promotion of ethical ideals and practices. This paper will discuss the use of Schein's five primary mechanisms as a model for leaders in creating a culture that supports moral and ethical behavior. Examine the implications of this model in gaining competitive advantage, and will further critique the implications of an unethical culture within the organization in terms of maintaining or expanding its market share. An organization is nothing but a common platform where individuals from different backgrounds come together and work as a collective unit to achieve certain objectives and targets. set up where people join hands to earn a living for themselves as well as earn profits for the company. An organization consists of individuals with different specializations, educational qualifications and work experiences all working towards a common goal. Here the people are termed as employees.

Key words: *Corporate Culture, Principles of culture, Organizational antagonism, Visual and invisible level of culture, Identity and polarization, Cultures - "Academy" "Strength".*

ორგანიზაციული ქცევის მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოში გლობალიზაციის კონტექსტში

მაისურაძე თეონა
ივანე ჯავახიშვილს სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ეძგვერაძე თეონა
ივანე ჯავახიშვილს სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

გლობალიაზაცია ჩვენი ყოველდღიურობის თანმდევი მოვლენა გახდა. გვინდა თუ არა, ის, ყოველდღიურად, უამრავი გამოწვევის წინაშე გვაყენებს ადამიანებს და ორგანიზაციებს. გლობალიზაციას ბევრი დადებითი და უარყოფითი შედეგი აქვს ერებისათვის. მის გავლენას განსაკუთრებით მწვავედ პატარა ერები განიცდიან, თავიანთი განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ფაქტორების გამო. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მათთვის ამ პროცესებში ორგანიზაციული ქცევის შეფასება. კვლევა შეეხება საქართველოში ორგანიზაციული ქცევის ზოგიერთი საკითხზე დასაქმებულთა დამოკიდებულების, რეალური სურათის დანახვას. მისი მიზანია რეკომენდაციების შემუშავება ორგანიზაციული ქცევის გაუმჯობესებისათვის.შედეგად, მენეჯერები შეძლებენ უფრო ეფექტიანი გახადონ მათი ორგანიზაცია, დასაქმებულთა ცხოვრება კი ბევრად უკეთესი.

საკვანძო სიტყვები: *გლობალიზაცია, ორგანიზაციული ქცევა, პატარა ერები.*

სულ გამოიკითხა 128 დასაქმებული, როგორც ინტერნეტ ასევე პირადი გამოკითხვით, რომლებმაც პასუხი გასცეს მართვიის პროცესში ქცევასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მრარავალფეროვნება, ბონუსები, ეფექტიანობა, კმაყოფილება, მენეჯერის მართვის სტილი და დამოკიდებულება, ქცევაზე მოქმედი სხვა ფაქტორები. მათ შორის წარმოებაში დასაქმებულია 50, ხოლო 78 მომსახურების სფეროშია. კვლევაში მონაწილეთაგან 48 მამრობითი, ხოლო 80 მდედრობითი.

დღევანდელ გარემოში, სადაც გაზრდილია როგორც მწარმოებლების, ასევე დასაქმებულების მოთხოვნები, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არაეთიკურ და სოციალურად უპასუხისმგებლო ქცევებს ორგანიზაციაში. კვლევის მონაწილეების აზრით, საქართველოში, მისი გამომწვევი მიზეზებია:

- არამამოტივირებელი გარემო - 34,4%
- მენეჯერის მხრიდან არასამართლიანი და არადემოკრატიული მიდგომები - 10,94%
- მართვის პროცესში თანამომაწილეობის არქონა - 1.56 %
- კარიერული ზრდის უპერსპექტივობა - 39,94%
- სხვა 13,16 %.

ქართულ კომპანიებში შეუსაბამო ქცევის მიზეზს კარიერული ზრდის უპერსპექტიობა და არამამოტივირებელი გარემო ქმნის. შესაბამისად, პრობლემა მდგომარეობს სისტემაში და კარიერის დაგეგმვის აუცილებლობაში.ჩანს, დაკარგულია მენეჯმენტის მთავარი ფუნქციები.ასეთ პირობებში, დასაქმებულთა ქცევაც შეუსაბამოა.

რაც შეეხება ბონუსურ სისტემას, ის ქართულ რეალობაში ყველაზე აქტუალური თემაა. პირველი პრობლემა მისი არსებობის საკითხი, მეორე კი სამართლიანობაა. თუმცა, როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, გამოკითხულთა 62,5 % თვლის, რომ მათ ორგანიზაციებში ბონუსები დამსახურების მიხედვით ნაწილდება. მხოლოდ 9% მიიჩნევს, რომ ის სუბიექტურ

ხასიათს ატარებს. კვლევის ჩატარებისას შემდეგი საინტერესო ფაქტი გამოკვეთა: გამოკითხულთა 4,7%–ის ორგანიზაციებში ბონუსები ინოვაციური მიდგომების გამოვლინების დროს ნაწილდება, 23,8% მიზეზს არ ასახელებს, ან მიიჩნევს რომ მსგავსი სისტემები მათ სამუშაო ადგილას არაა. გამოკითხულთა 97% თვლის, რომ ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ბონუსები სწორედ დამსახურების მიხედვით უნდა განაწილდეს.

ქართულ რეალობაში, გამოკითხულთა 90,6% კმაყოფილია სამუშაოთი, 9.6% კი არა. მათ სამუშაოთი კმაყოფილებას განსაზღვრავს შესაბამისად შემდეგი ცვლადები:

ცხრილი 1.სამუშაოთი კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორები



დიაგრამაზე მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს რომ, გამოკითხულთა სამუშაო კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს, პირველ რიგში, საინტერესო სამუშაო და ანაზღაურება, შემდეგ კი დაწინაურების შესაძლებლობა. თუმცა ზოგიერთი მათგანისათვის აუცილებელი პირობა კოლეგიალური გარემოა. შესაბამისად, კითხვაზე როგორ შეიძლება თანამშრომელთა მხრიდან მაღალი შედეგების და კმაყოფილების პარალელური მიღწევა, ისინი შემდეგნაირად გვპასუხობენ:

- კარიერული ზრდის უზრუნველყოფა – 39%;
- საინტერესო სამუშაოს შეთავაზება – 34,4%;
- მატერიალური სარგებელი – 20,3%;
- მიმზიდველი სამუშაო გარემო – 6,3%.

ამ ყველაფრის მიღწევის პროცესში, დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში, მენეჯმენტს ხშირად უწევს გამოწვევების მიღება, ორგანიზაციაში ცვლილებების განხორციელება, რაც დასაქმებულთათვის ერთ–ერთი მტკივნეული თემაა. კვლევის პროცესში, გამოვიკითხეთ როგორ უნდა მოიქცეს მენეჯერი, რომ დაძლიოს წინააღმდეგობა, რა ბერკეტები უნდა გამოიყენოს და როგორ გახადოს ქცევა რეგულირებადი. გამოკითხულთა აზრით, ამ პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია თანამშრომელთა ჩართულობის უზრუნველყოფა. (ცხრილი2)

ცხრილი2. წინააღმდეგობის დაძლევის გზები



ორგანმიზაციულ ქცევაზე საუბრისას მნიშვნელოვანია დისკრიმინაციის საკითხი. კმაყოფილების მიღწევის, ეფექტიანი მართვის პროცესებს ართულებს მისი არსებობა. დისკრიმინაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის სქესობრივი, რელიგიური, ასაკობრივი, ეთნიკური. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ორგანიზაციებში, სადაც რესპოდენტები მუშაობენ, 56,3% თვლის, რომ დისკრიმინაცია არ ხდება, 23,4%–ის აზრით ხდება სხვადასხვა ნიშნით, ხოლო 20,3%–ს უჭირს პაუსუხის გაცემა. რაც შეეხება დისკრიმანაციის მიზეზებს, ძირითადი (60%) პროფესიული ნიშნით დისკრიმინაციაა. ასევე მნიშვნელოვანია მენეჯერთა დამოკიდებულება სხვადასხვა ეროვნების მქონე დასაქმებულებს შორის, როგორც ისინი აღნიშვავენ, ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს, მხოლოდ 4 დასაქმებული აცხადებს რომ ეროვნული ნიშნით ხდება განსხვავება.

ორგანოზაციული ქცევის შესწავლის მნიშვნელობას განაპირობების მისი როლი ორგანიზაციული ეფექტიანობის მიღწევაში. მენეჯერმა ეფექტიანობის და კმაყოფილების მისაღწევად, საჭირო ქცევის გამოწვევისათვის, უნდა გაითვალისწინოს რომ თანამშრომლებს სურთ ჩართულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. გამოკითხულთა 64% თვლის, რომ მენეჯერებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ ჯგუფური მეთოდებით, 23.4%–ის აზრით საჭიროა კონსულტაციები, ხოლო 13.6% მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური გადაწყეტილებები უფრო ეფექტიანია. ამასთან, გამოკითხულთა აზრით, სწორედ მენეჯერი განაპირობებს ორგანიზაციის წარმატების მიღწევას. ამისათვის საჭიროა მას თავად გააჩნდეს ისეთი უნარები, როგორიცაა: თვითშეგნება, თვითკონტროლი, მოტივაცია, თანაგრძნობა და სოციალური უნარი. საინტერესოა საქართველოში, თავად დასაქმებულებს, როგორი შეხედულება აქვთ ამ საკითხთან მიმართებაში. კვლევის მიხედვით, გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ მენეჯერთა ყველაზე აუცილებელი თვისება თვითკონტროლია, შემდეგ კი, შესაბამისად, მოტივაცია, თვითშეგნება, თანაგრძნობა და სოციალური უნარები.

ამის შედეგად, შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ დასაქმებულებს ყველაზე მეტად მენეჯერთა მიერ თვითკონტროლის პრობლემა აწუხებთ. გასაკვირი არ არის მეორე ადგილას, მოტივაციის დასახელება. საქართველოში, მაღალი უმუშევრობის და დაბალი ხელფასების ფონზე, მოტივაცია მართლაც, რომ ყველაზე საჭიროა დასაქმებულთათვის.

დღეს, ცხოვრება გვიწვევს გამოწვევების და სწრაფი ცვილელებების ხანაში. შესაბამისად, მენეჯერისათვის უფრო და უფრო აუცილებელი ხდება უნარი შეძლოს გამოწვევების მიღება, გაიაზროს ცვლილება და გახადოს ის პერსონალისთვის მისაღები. გარდა ამისა, მომზადებას საჭიროებს შიდა ცვლილებებიც. ქართულ კომპანიებში, როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, ასეთ სიტუაციებში მენეჯერების 29,7% მუდმივ კომუნიკაციაშია თანამშრომლებთან, 20,3% მიმართავს კადრების გადამზადებას, 15,6% ატარებს ახსნა–განმარტებით სამუშაოებს, ხოლო 14% საერთოდ არ ფიქრობს დაქვემდებარებულებზე. შესაბამისად, აღნიშნული 14% ვერ გააკონტროლებს ქცევის ცვლილებებს, რაც ხელს შეუშლის ეფექტიანობის მიღწევაში.

გლობალიზაციის კონტექსტში, ორგანიზაციებისათვის ასევე მნიშვნელოვანია, როგორ ხდება პრობლემების გადაჭრა. ცხადია, ორგანიზაციებში ხშირად წარმოიქმნება როგორც გარე მიზეზებით, ასევე შესრულებით გამოწვეული პრობლემები. საქართველოში, მენეჯერები შემდეგნაირად უმკავლდებიან პრობლემებს:

- პრობლემის არსში გარკვევა 45,3%
- დამნაშავეების ძებნა 15,6%
- გამოსავლის ძებნა 28,1%
- დამნაშავეთა დასჯა 6,3%
- სხვა 4,8%

როგორც კვევის შედეგებიდან ჩანს, მენეჯერთა უმრავლესობა ცდილობს გაერკვეს პრობლემის არსში ან მოძებნოს გამოსავალი.

მიუხედავად ზემოთქმული მსჯელობისა, როცა სამუშაო გარემო სტრესულია, შეუძლებელია სასურველ ქცევას მივაღწიოთ თანამშრომლების მხრიდან. გამოკითხულთა 51,6% თვლის, რომ სტრესული სამუშაო გარემო აქვს, 40,6% ამ ფაქტს უარყოფს, ხოლო 7,8% უჭირს პასუხის გაცემა. რაც შეეხება მიზეზებს, რომელებიც ქმნის დაძაბულობას, მიეკუთვნება ხელმძღვანელის არაკომპეტენტურობა , ავტორიტატული რეჟიმი, უსამართლო და არადემოკრატიული გარემო და სხვა. გამოკითხულები არ ასახელებენ ასეთი გარემოს შექმნის კონკრეტულ მიზეზებს.

გარემოს გარდა, ადამიანების სტრესი და უკმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს პირად ცხოვრებასა და სამსახურს შორის დისბალანსმა. გამოკითხულთაგან 50% ამბობს, რომ მათ შემთხვევაში ბალანსი მიღწეულია, 37,5% შემთხვევაში დისბალანსია, ხოლო 12.5% –ს უჭირს პასუხის გაცემა.

აღქმაში გარღვევა კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია. როგორც თეორიულ ნაწილში აღნიშნულ კვლევაშია ნახსენები, მენეჯერები და დაქვემდებარებულები სხვადასხვანაირად აღიქვამენ სამყაროს. რაც შეეხება საქართველოს მაგალითს, გამოკითხულთაგან 78% ამბობს, რომ მათი და მენეჯერის აღქმის შესაბამისობა დამოკიდებულია სიტუაციაზე, 20,1% ამბობს, რომ სრულიად შეუსაბამოა მათი და მენეჯერის აღქმა. მხოლოდ 1,6%–ს ჰყავს ისეთი მენეჯერი, რომელთა აღქმაც მათ საკუთარს ემთხვევა. კვევის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოშიც საკმაოდ დიდი პრობლემა გვაქვს ამ საკითხში.

სამუშაოთი კმაყოფილების შესახებ მსჯელობისას, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გაანალიზებაც, თუ რამდენად ხდება მენეჯერის და ორგანიზაციის მხრიდან ინოვაციების და შემოქმედებითობის ხელშეწყობა. გამოკითხულთა 57,8% ამბობს, რომ ამ პროცესს ადგილი აქვს მათ ორგანიზაციებში, ხოლო 42,2% ამ ფაქტს უარყოფს. .

და მაინც, რა არის საჭირო წარმატების მისაღწევად? გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ მთავარი ინტელექტი, მენტალური შესაძლებლობები და უნარებია, შემდეგ განათლება, მოტივაცია, განვითარებაზე ზრუნვა, კავშირები.

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა მენეჯერებმა გაითვალისწინონ აღნიშნული კვლევის შედეგები, რომელმაც გვიჩვენა, რომ მენეჯერი მთავარი ფიგურაა ორგანიზაციის წარმატებაში. ის უნდა დაეხმაროს დასაქმებულებს სტრესული გარემოს ზემოქმედების გავლენის შემცირებაში, შესაბამაისად მოახდინოს დამსახურების მიხედვით დაჯილდოება, გადაწყვეტილებები მიიღოს ჯგუფური მეთოდებით, მოამზადოს პერსონალი ცვლილებების მისაღებად. მენეჯერებს უნდა ახსოვდეთ, რომ ქართულ რეალობაში კმაყოფილი დასაქმებული კარგი შემსრულებელია. შესაბამისად, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მათ ამის მიღწევა შეუძლიათ დასაქმებულებისათვის საინტერესო სამუშაო გარემოს შეთავაზებით, კარიერული ზრდის უზრუნველყოფით. მათ ერთნაირი მოცულობით უნდა გაამახვილონ ყურადღება მწარმოებლურობაზე, დავალებებსა და ურთიერთოებზე. თითოეული მათგანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტური მართვისათვის ორგანიზაციული მიზნების წარმატებით მიღწევის პორცესში გლობალიზაციის კონტექსტში.

გამოყენებულილიტერატურა:

1. ფარესაშვილი ნ., ქეშელაშვილი გ.,2010, ორგანიზაციული ქცევა, უნივერსალი, თბილისი.
2. Захарова Т.И., Гаврилова С.В., 2008, Мотивация трудовойдеятельности, ЕАОИ, Москва.
3. Ньюстром В. Д., Девис К., 2008, Основы организационного поведения, ТГЭУ, Владивосток.
4. Colquitt J.A., Lepine J.A, Wesson M.J., Organizational Behaviour, Improvin performance and commitment in the workplace, 2nd edition, McGraw-Hill/Irwin, NY, 2011 –pg. 654.

5. Gibson L.J.,Ivansevich J.M.,Donelly J.H., Donnelly J.H., Knopaske R.,Organizations Behavior, Structure, Porcesses,4th edition, McGraw-Hill,NY,2012 – pg. 618.
6. Nwadukwe U.C., Management Styles and Organizational Effectiveness, American International Journal of Contemporary Research, 2012. Issue 9, 198-204.
7. Uhl-Bien M., Schermerhorn J.R., Osborn J.R.N., Organizational Behavior, USA, Wilyplus,13th edition, 2013. – pg. 608

Main issues of organization behavior in Georgia the context of globalization

Teona Maisuradze, Teona Edzgveradze

Summary

Globalization is a concomitant phenomenon of our daily life. We want or not, it makes us to face with a lot of challenges. It's true for us as for humans and as for members of organizations. Globalization has many positive and negative impacts on nations. Its impact is most reflected on the little nations. As because of it borders disappear and world is about to come one global market. Little nations with its political, economic, legal environment have more difficulties whileglobalization is stronger daily. So, it's too important to evaluate organizational behavior in these processes. This survey is about employees' attitude on the some aspects of organizational behavior and to see a clear picture. The aim of the study is to give recommendations to Georgian managers' to improve organizational behavior in their working environment. Thus, they will be able to improve effectiveness of their organizations as well as the life of their employees.

Key words: *Globalization, Organizational Behavior, Small nations*

ბრექსიტის გამომწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები

მენაბდე-ჯობაძე ელენე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია **ბრექსიტის** (British exit) **გამოწვევი მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები**. ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გამოსვლის პრიორიტეტები განსაზღვრა და 12 პუნქტად ჩამოაყალიბა. ბრექსიტი სამმაგი პროტესტი იყო: მზარდი მიგრაციის, ლონდონური სიტის ბანკირების და ევროკავშირის ინსტიტუტების წინააღმდეგ. მას შესაძლოა მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვს. ევროკავშირიდან გასვლა დააზიანებს როგორც ბრიტანულ, ასევე ევროკავშირის ეკონომიკას და შეიძლება რეალურად შოტლანდიას უბიძგოს გაერთიანებული სამეფოდან გასვლისაკენ.

ვარაუდობენ, რომ დიდ ბრიტანეთში მოსახლეობისთვის ცხოვრება მარტივი აღარ იქნება (არსებულთან შედარებით), საცხოვრებელი ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდება, სამუშაო ადგილები შემცირდება. ამის საპირისპიროდ, შრომის მინისტრის თქმით, ეს იქნება მხოლოდ გარდამავალ პერიოდში. ბრიტანულ ბიზნესს კი უფრო მეტი თავისუფლება მიეცემა და გარდამავალი პერიოდის შემდეგ სიტუაცია დღევანდელთან შედარებით უფრო მეტად გაუმჯობესდება.

ფუნტი 31 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა. უახლოესს მომავალში, ლონდონ სიტი სერიოზული გაურკვევლობების, სამუშაო ადგილების დაკარგვის და ბონუსების ჩამოშლის პირისპირ აღმოჩნდება. პროგნოზების მიხედვით, 2030 წლისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, დაახლოებით, 6%-ით შემცირდება. ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, ინვესტიციები შემცირდება და სავაჭრო ბარიერები გაიზრდება.

ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლამ შეიძლება სახელმწიფოებს შორის რესურსების განაწილების და ეფექტიანი და დემოკრატიული მმართველობის პრობლემები გამოიწვიოს. ამ ეტაპზე რთულია, დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოებების მოსაგვარებლად, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის გამოსავლის პოვნა.

საკვანძო სიტყვები: *დიდი ბრიტანეთი, ევროკავშირი, გლობალიზაცია, მაკროეკონომიკა, ეკონომიკური ურთიერთობები, ეკონომიკური ზრდა, მთლიანი შიდა პროდუქტი, სახელმწიფო რეგულირება, უმუშევრობა, მიგრაცია, ცხოვრების დონე.*

ძირითადი ტექსტი

2016 წლის 23 ივნისს, პარლამენტის მიერ ორგანიზებული რეფერენდუმის შედეგად, ამომრჩეველთა 51,9%-მა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას, მოკლედ ბრექსიტი - British exit, დაუჭირა მხარი, 48,1 % კი წინააღმდეგი გამოვიდა. ლონდონსა და შოტლანდიაში, ასევე ჩრდილოეთ ირლანდიაში ხმა ევროკავშირში დარჩენის სასარგებლოდ მისცეს, თუმცა უელსსა და ინგლისის საგრაფოებში ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირეს მხარი. წინასარეფერენდუმო პერიოდი უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური ექსცესების ფონზე მიდიოდა, საზოგადოება მომხრე-მოწინააღმდეგეებად იყო გახლეჩილი.

ბრიტანეთს,1957 წელს, რომის ხელშეკრულებისთივის ხელი არ მოუწერია. ქვეყანამ წევრობის უფლების მოთხოვნა 1963 და 1967 წლებში გააგზავნა, თუმცა ორივე განაცხადს ვეტო საფრანგეთის პრეზიდენტმა, შარლ დე გოლმა დაადო. მისი აზრით, ბრიტანეთი ევროპის კავშირთან, თავისი ეკონომიკის რიგი ასპექტების გამო შეუთავსებელი იყო. დე გოლის მიერ საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტის დატოვების შემდეგ, 1973 წლის 1 იანვარს, დიდი ბრიტანეთი ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანდა.

1975 წლის 6 იანვარს ჩატარებული რეფერენდუმის დროს, კითხვაზე: "დარჩეს თუ არა

დიდი ბრიტანეთი ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში?" - ამომრჩეველთა უმრავლესობამ დადებითად უპასუხა. წევრობას ბრიტანეთის ძირითადმა პოლიტიკურმა პარტიებმა და წამყვანმა პრესამაც დაუჭირა მხარი.

2012 წელს, პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერნმა უარი განაცხადა ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე, მაგრამ სამომავლო რეფერენდუმის იდეა შესთავაზა, რათა საზოგადოების მხარდაჭერა გაერკვია.

საზოგადოებრივი აზრი, დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის ან გასვლის შესახებ, მუდმივად იცვლებოდა. 2015 წლის ანალიზით, ახალგაზრდა ამომრჩევლების უმრავლესობა ევროკავშირის წევრობას უჭერდა მხარს, უფროსი თაობის წარმომადგენლები კი გასვლის მომხრეები იყვნენ.

ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გამოსვლის პრიორიტეტები განსაზღვრა:

1. სიცხადის უზრუნველყოფა; 2. საკუთარი კანონების გაკონტროლება; 3. გაერთიანებული სამეფოს განმტკიცება; 4. ირლანდიასთან ძლიერი ისტორიული კავშირის შენარჩუნება; 5. კონტროლი მიგრაციაზე; 6. ევროკავშირში ბრიტანეთის მოქალაქეების და ბრიტანეთში ევროკავშირის მოქალაქეების უფლებების დაცვა; 7. მშრომელთა უფლებების დაცვა - მთავრობა უზრუნველყოფს მშრომელთა უფლებების დაცვას ევროკავშირიდან გასვლის შემდეგ. ბრიტანეთის შრომითი კანონმდებლობა დღეს ბევრად უფრო პროგრესულია, ვიდრე ევროპული - მაგალითად, ორსულობის გამო ანაზღაურებადი შვებულება შეადგენს 39 კვირას, მაშინ როდესაც ევროკავშირში ის 14 კვირაა. ქვეყანაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 31.8 მლნ. ადამიანს, უმუშევრობის დონე კი - ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ისტორიაში; 8. თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან; 9. სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება - ევროკავშირიდან გასვლა ბრიტანეთს სხვა ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ჩამოყალიბების საშუალებას მისცემს, იგულისხმება როგორც ცალკეული ქვეყნები, ასევე სავაჭრო კავშირები. ლონდონი ყოველთვის იყო ევროკავშირში ვაჭრობის ლიბერალიზაციის მომხე. თუმცა, 2015 წელს ევროკავშირის წილი ბრიტანული ექსპორტის მოცულობაში შემცირდა 44%-მდე, მაშინ როდესაც 2000 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 54%-ს. ასევე მცირდება ევროკავშირში ექსპორტის ზრდის ტემპები - 2, 5% წელიწადში, ზოგადად ბრიტანული ექსპორტის ზრდის ტემპებთან შედარებით - 4%. 10. ბრიტანეთის შენარჩუნება როგორც ინოვაციების და მეცნიერების განვითარებისთვის საუკეთესო ადგილი; 11. ბრძოლა კრიმინალთან და ტერორიზმთან; 12. ევროკავშირიდან მშვიდი და მოწესრიგებული გასვლის უზრუნველყოფა - რაც მოითხოვს შეთანხმებულ და კოორდინირებულ მოქმედებებს ორივე მხრიდან. ბრიტანეთის მთავრობა მზადაა დაიწყოს მუშაობა ევროკავშირთან ახალი სტრატეგიული პარტნიორობის შეთანმედების მისაღწევად.

ბრექსიტი სამმაგი პროტესტი იყო: მზარდი მიგრაციის, ლონდონური სიტის ბანკირების და ევროკავშირის ინსტიტუტების წინააღმდეგ. მას მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება. ევროკავშირიდან გასვლა დააზიანებს ბრიტანულ ეკონომიკას და შეიძლება რეალურად უბიძგოს შოტლანდიას გაერთიანებული სამეფოდან გასვლისაკენ.

თავისი არსით, ბრექსიტი ასახავს რეალობას, რომელიც მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებშია გავრცელებული: პოპულისტური პარტიებისადმი მზარდი მხარდაჭერა, რომლებიც მიგრაციის პოლიტიკის გამკაცრებას ემხრობიან. დიდ ბრიტანეთში ორი მძლავრი პოლიტიკური მიმდინარეობა - უარი მიგრანტებზე და კლასობრივი ბრძოლა - შეერწყა ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ევროკავშირის ინსტიტუტები ქმედუუნაროა.

ბრექსიტის მოკლევადიანი შედეგები უკვე აშკარაა: ფუნტი 31 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა. უახლოესს მომავალში, ლონდონ სიტი სერიოზული გაურკვევლობების, სამუშაო ადგილების დაკარგვის და ბონუსების ჩამოშლის პირისპირ აღმოჩნდება.

ვარაუდობენ, რომ დიდ ბრიტანეთში მოსახლეობისთვის ცხოვრება მარტივი აღარ იქნება (არსებულთან შედარებით), საცხოვრებელი ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზრდება, სამუშაო ადგილები შემცირდება. ამის საპირისპიროდ, შრომის მინისტრის თქმით, ეს იქნება

მხოლოდ გარდამავალ პერიოდში. ბრიტანულ ბიზნესს კი უფრო მეტი თავისუფლება მიეცემა და გარდამავალი პერიოდის შემდეგ სიტუაცია დღევანდელთან შედარებით უფრო მეტად გაუმჯობესდება.

პროგნოზების მიხედვით, 2030 წლისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, დაახლოებით, 6%-ით შემცირდება. ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, ინვესტიციები შემცირდება და სავაჭრო ბარიერები გაიზრდება.

ბრექსითი დიდ ბრიტანეთსა და კონტინენტურ ევროპაში სერიოზული, ტურბულენტური რყევების მომტანი იქნება: ეკონომიკური, პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. ფუნტი საგრძნობლად დაეცა დოლართან მიმართებაში - მთელი 10 პროცენტით, ასეთი მაჩვენებელი 1985 წლიდან არ ყოფილა.

ბრექსითის მომხრეების არგუმენტები, ძირითადად, ოთხ პუნქტად იყო ჩამოყალიბებული: დიდი ბრიტანეთი არის მესამე ყველაზე დიდი ნეტოგადამხდელი ქვეყანა ევროკავშირის ბიუჯეტში. მათი აზრით, ეს ჰაერში გაშვებული 5 მილიარდია; ევროკავშირიდან ემიგრირებულები ამძიმებენ სოციალურ სისტემას: 3,3 მილიონი ევროკავშირის მოქალაქეა ბრიტანეთში ემიგრირებული. მათი დიდი ნაწილი პოლონეთიდანაა. ისინი ართმევენ სამუშაო ადგილებს ადგილობრივებს; ლტოლვილთა კრიზისი მათ მიერ აღქმულია, როგორც ევროკავშირის მიერ ინიცირებული პრობლემა. თურქეთის ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივის სრული მიუღებლობა; ევროკავშირი აღიქმება, როგორც ბიუროკრატიული მონსტრი, რომელიც ბრიტანეთის ნაციონალურ სუვერენიტეტს აზიანებს.

ბრექსითის მოწინააღმდეგეები მოსახლეობას აფრთხილებდნენ უპირატესად ეკონომიკური შედეგების თაობაზე: ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, ბრექსითის შემდგომ, ყოველი ბრიტანული ოჯახი, 4300 ფუნტს დაკარგავს წელიწადში; 2020 წლისათვის, სავარაუდოდ, 100 მილიარდი ფუნტის ეკონომიკური ზარალი იქნება; 950 000 სამუშაო ადგილს შეექმნება საფრთხე; პროფესიული გაერთიანებების ვარაუდით 4 მილიონი სამუშაო ადგილია საფრთხის ქვეშ განსაკუთრებით ექსპორტთან დაკავშირებულ სფეროებში, საავტომობილო და ქიმიურ ინდუსტრიაში; ბევრი ფირმა კონტინენტურ ევროპაში გადავა; შემცირდება პირდაპირი ინვესტიციები;

ვაჭრობის სფეროში თავისუფალი ბაზარი დარჩება, თუმცა, ევროპულ ბაზარზე ბრიტანული საქონლის მიწოდების შეზღუდვა მოხდება, ან მათ ამ უფლებისათვის, ევროკავშირის ბიუჯეტში, უფრო მეტის გადახდა მოუწევთ; ასევე პირიქით, ეს პროცესები დამაზიანებელი იქნება კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვისაც. გერმანიისათვის დიდი ბრიტანეთი ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორია ევროპაში. ლონდონი, როგორც ფინანსური მეტროპოლი, დაკარგავს ევროკავშირთან დაკავშირებულ ინსტრუმენტებსაც, მას „ჩამოართმევენ“ ამ დატვირთვას, რაც, რა თქმა უნდა, სამუშაო ადგილების შემცირების ხარჯზე მოხდება.

მომავალში დიდი ბრიტანეთის მიმართება კონტინენტურ ევროპასთან, შესაძლოა, რამდენიმე უკვე ცნობილი მოდელის მიხედვით დარეგულირდეს: ნორვეგიის მოდელი: ევროპული ბაზრის თავისუფალი ხელმისაწვდომობა, დიდი გადასახადების პირობებში. ბრიტანეთის ფინანსთა სამინისტროს დაანგარიშებით, ეს ბრიტანულ ეკონომიკას წელიწადში დაახლოებით, 4 პროცენტ დანაკარგად დაუჯდება; **შვეიცარიის სცენარი:** შემთხვევიდან შემთხვევამდე ყოველ კონდიციაზე ცალკეული შეთანხმება. ეს შეამცირებს შიდა პროდუქტს 6 პროცენტით; WTO **-ს სცენარი:** დიდ ბრიტანეთსა და კონტინენტურ ევროპას შორის ვაჭრობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის პირობებით, რაც წლიურად 7,5 პროცენტის ზარალს მოუტანს ბრიტანეთის ეკონომიკას. ბაჟის გადახდა აუცილებელი პირობა იქნება.

ჯერ კიდევ უცნობია, თუ რომელ მოდელზე შეთანხმდებიან ბრიტანეთი და ევროკავშირი. თუმცა ორივე მხარისათვის ეს მხოლოდ დანაკარგებს ნიშნავს. ბიუროკრატიისთვის კი კოლოსალურ შრომას: მესამე ქვეყნებთან მინიმუმ 50 თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ექნებათ დასადები, 80 000 საკანონმდებლო აქტის ჩათვლით.

დენი როდრიკი აზრით (ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო პოლიტეკონომიის პროფესორი), ბრექსითი მნიშვნელოვან ეკონომიკურ საფრთხეს უქმნის ბრიტანეთს (და

შესაძლოა მსოფლიო ეკონომიკასაც), თუმცა მიაჩნია, რომ ბრიტანეთის ხაზინისა და ბევრი ბრიტანელი ეკონომისტის მიერ წარმოდგენილ რაოდენობრივ პროგნოზებში ძალიან დიდია ცდომილების ზღვარი.

მეორე მსოფლიო ომის მიწურულს აშშ-ში, ნიუჰემფშირში, ბრეტონ-ვუდსში შეიქმნა მსოფლიოს ახალი საფინანსო-პოლიტიკური სისტემა, რომელიც პროფესორ დენი როდრიკის თქმით გლობალიზაციის პოლიტიკური ტრილემა გახდა - ანალოგია ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური ტრილემა, რომელიც ეკონომისტებისთვის კარგად ნაცნობია (აქ ჩამოთვლილთანგან მაქსიმუმ 2 შეიძლება გვქონდეს: მონეტარული დამოუკიდებლობა, კაპიტალის თავისუფალი მიმოქცევა, კურსის ხელოვნური შენარჩუნება). ის, თავისი ინსტიტუტებით, პერმანენტული კრიტიკის საგანი ხდება ისეთი ეკონომისტების მხრიდან, როგორიცა ჯოზეფ სტიგლიცი, ვ.პაპავა და სხვ. არიან. თუმცა დღემდე გლობალიზაციის მთავრი მეინსტრიმის განმსაზღვრელები არიან, რაც საბერძნეთის კრიზისმაც დაადასტურა.

„ბრექსიტი“ ევროპაში მომხდარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენაა. ევროკავშირის მხარდამჭერ ცენტრისტული პარტიების გარდა, ახალშექმნილი და ტრადიციული მემარჯვენე და მემარცხენე პარტიები, სხვადასხვა არგუმენტით, მის დაშლას ან გარდაქმნას მოითხოვენ.

მემარჯვენე ევროსკეპტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირის არსებობა ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის შეცდომაა. ასევე ცდილობენ საზოგადოება დააჯერონ, რომ ევროკავშირი წაშლის ეროვნულ განსხვავებებსა და ტრადიციებს, გაანადგურებს ეროვნულ კულტურებს. მათთვის იმიგრაცია ერთდროულად ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უბედურებად იქცა.

ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლამ შეიძლება სახელმწიფოებს შორის რესურსების განაწილების და ეფექტიანი და დემოკრატიული მმართველობის პრობლემები გამოიწვიოს.

სახელმწიფოებს შორის რესურსების განაწილების პრობლემამ, საბერძნეთის კრიზისის დროს იჩინა თავი. ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირიდან მეტ ფინანსურ რესურსს იღებენ, მიაჩნიათ რომ მდიდარმა ქვეყნებმა კიდევ უფრო მეტად უნდა დააფინანსონ დარიბი ქვეყნები. ლონდონის ფისკალური კვლევის ინსტიტუტის შეფასებით, დიდი ბრიტანეთი იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, ვისაც უფრო მეტი შეაქვს ევროკავშირში, ვიდრე გამოაქვს. ამავე რიგის ქვეყნებს მიეკუთვნებიან: დანია, შვედეთი, ნიდერლანდი, ავსტრია, ფინეთი, გერმანია, ირლანდია და კვიპროსი. ევროკავშირისგან ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტ დახმარებას იღებენ: ლუქსემბურგი, უნგრეთი, ლიტვა და საბერძნეთი. მდიდარ ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ მეტისმეტად ბევრს ხარჯავენ. შედარებით ღარიბები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკურ ერთობაში მონაწილეობის საფასურად (ღარიბი ქვეყნები მდიდარი ქვეყნების კორპორაციების გასაღებისა და იაფი მუშახელის ბაზარსაც წარმოადგენენ), მდიდარმა ქვეყნებმა მათ განვითარებზე მეტი რესურსი უნდა დახარჯონ.

ევროკავშირის ქვეყნები, ეკონომიკური თვალსაზრისით, შეიძლება დავყოთ მევალე და მოვალე ქვეყნებად. წამყვან მევალე ქვეყნებს მიეკუთვნებიან: გერმანია, ნიდერლანდი, ბელგია და დანია. მოვალე ქვეყნებს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არიან: ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, ირლანდია და პორტუგალია. მევალე ქვეყნების ეკონომიკა შედარებით ძლიერია და ეკონომიკურ კრიზისებს უფრო ადვილად უმკლავდება, ხოლო მოვალე ქვეყნებს გლობალურ ბაზარზე გაცილებით მეტად უჭირთ. ევროკავშირში წარმოქმნილი კრიზისი ორივე კატეგორიის ქვეყნების მემარჯვენე პოპულისტებს აძლევს ხელს: ერთნი ამბობენ რომ მოვალე ქვეყნებს არჩენენ, მეორენი კი მევალეთა წინააღმდეგ განაწყობენ მოსახლეობას.

ევროკავშირის მეორე ტრადიციული ეკონომიკური პრობლემა მმართველობის არაეფექტიანობაა. ეფექტიან მმართველობაში იგულისხმება გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე და პოლიტიკური ინსტიტუტების არასაკმარისი ცენტრალიზაცია.

“Financial Times”-ის ცნობით, „ბრექსიტის“ სანაცვლოდ დიდი ბრიტანეთის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა 50-დან 100 მილიარდ ევრომდე შეიძლება გაიზარდოს, ვინაიდან

ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენეს. აღნიშნული თანხა დიდი ბრიტანეთის 2016 წლის მშპ-ის 4%-ს შეადგენს.

ეს თანხა, შესაძლოა, გერმანიის, საფრანგეთის და პოლონეთის ხელისუფლებების მოთხოვნებმა გამოიწვიოს. კერძოდ, პოლონეთი და საფრანგეთი სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების მოთხოვნებს აყენებენ, ხოლო გერმანიამ ევროპულ აქტივებში – უძრავ ქონებაში, საბანკო დეპოზიტებში, შესაძლოა, დიდი ბრიტანეთის წილების გაუქმება მოითხოვოს.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის განცხადებით ევროკავშირი ბრიტანეთის არჩევნებზე გავლენის მოხდენას ცდილობს. დევიდ დევისი, ბრიტანეთის მინისტრი, ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლაზე პასუხისმგებელი აცხადებს, რომ ლონდონი ევროკავშირს 100 მილიარდ ევროს „ბრექსიტისათვის" არ გადაუხდის. ევროკავშირი თვითნებურად ვერ განსაზღვრავს თანხას და საბოლოოდ მოლაპარაკების შედეგად გაირკვევა, ბრიტანეთმა რამდენი უნდა გადაიხადოს.

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, ამ ეტაპზე, დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოებების მოსაგვარებლად, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის გამოსავლის პოვნა რთულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://european.ge/dani-rodrick-brexit-and-globalization-trilema/
2. http://www.telegraph.co.uk/business/2016/06/12/brexit-vote-is-about-the-supremacy-of-parliament-and-nothing-els
3. http://eugeorgia.info/ka/articleblog/27/brexit-i--da-misi-ekonomikuri-shedegebi-/
4. http://atlas.media.mit.edu/en/profile/country/gbr/
5. http://www.focus-economics.com/countries/united-kingdom

Causes of Brexit and expected results

Elene Jobava-Menabde

Summary

In the article of Elene Menabde Jobadze „The Reasons and Expected Results of Brexit", are discussed the priorities of Britain's exit from the EU, which is formulated in the form of 12 paragraphs. Brexit was a three-way protest: Against from the growing migration, from London - City of bankers and from the EU institutions. It may have important implications. Leaving EU will be Damaged as the British, as well as the EU economy, and can actually lead to the departure of Scotland from the United Kingdom.

Suggest that the UK population will no longer live simple life, The residential costs will increase significantly and the jobs will be reduced. In contrast, according to the Minister of Labor, It will be only in the transition period. In comparison with today, british business will have more freedom and after the transition period the situation will be improved.

During the 31 years, The pound fell to the lowest point. In the near future, London City will face serious uncertainty, loss of jobs and bonuses collapse. According to forecasts, by the end of the 2030 year, The country's gross domestic product, will be about 6% decrease. According to the British Ministry of Finance, investments will be reduced and trade barriers will increase.

The leaving Britain's from the EU may cause problems of distribution of resources and effective and democratic governance. At this stage it is difficult to find an economic and social solution from the disagreements between the UK and the European Union.

პერსონალის მართვის პრინციპები

ონიანი მერაბ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

პერსონალის მართვა – ეს არა მხოლოდ მეცნიერებაა, არამედ ხელოვნებაა, რომლის არსიც მდგომარეობს ხელმძღვანელის უნარში გამოიყენოს არსებული მეცნიერული ცოდნა მართვის სფეროში.

დღემდე დაგროვილი ფაქტობრივი და ექსპერიმენტული მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ საკმაოდ არგუმენტირებული დასკვნები, შიდაორგანიზაციული პროცესების მიმდინარეობის, მართვითი ფუნქციების ეფექტური განხორციელების პირობების შესახებ და კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავებისათვის, როგორც ხელმძღვანელთათვის ასევე მენეჯმენტის სპეციალისტებისა და საკადრო აპარატის თანამშრომლებისათვის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პერსონალის მართვის პრინციპების ცოდნას, პრაქტიკაში მათ გათვალისწინებას, რაც არა მარტო ამაღლებს მართვის ეფექტურობას არამედ იძლევა დადებით შედეგებს ორგანიზაციის თანამშრომელთა ფორმირების, მათი სწავლების და აღზრდის თვალსაზრისითაც.

საკვანძო სიტყვები: *პერსონალის მართვის პრინციპები, მართვითი მსოფლმხედველობა, მართვის ფსიქოლოგიური პრინციპები, უფლებამოსილების დელეგირება, საქმიანობის ეფექტურობა, ცივილიზებული საზოგადოების იდეები, თანამშრომლების ღირსებათა პატივისცემა.*

ძირითადი ტექსტი

მართვითი საქმიანობის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს მართვის პრინციპები. ეფექტურ მართვას არ უყვარს სპონტანურობა და უნდა ხორციელდებოდეს ბუნებრივი კანონზომიერებების და პროცესების შესაბამისად.

მართვის პრინციპების და მართვითი საქმიანობის ფილოსოფიური გააზრების შედეგების აღწერა გვხვდება: სუნ-ცზის, შენ ბუხაიას, ხან-ფეიას, ნ. მაკიაველის და სხვა ფილოსოფოსთა ტრაქტატებსა და შრომებში.

თანამედროვე მენეჯმენტის თეორიაში სამეცნიერო მართვის პირველი პრინციპები ფორმულირებული იყო დ. ტეილორის და ა. ფაიოლის მიერ, შემდეგში ეს ჩამონათვალი მნიშვნელოვნად შეიცვალა მართვის თეორიის განვითარების პროცესში.დღეისათვის მართვისა და მენეჯმენტის საფუძვლებთან დაკავშირებულ ლიტერატურაში მოყვანილია მართვის საერთო პრინციპები, რომლებიც აღწერენ მართვათა პროცესის ორგანიზების თავისებურებებს მთლიანობაში (ვ.ი კნორინგი), მართვის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური პრინციპებს (ა. სტოდიარენკო) ბიზნესისა და მართვის ეთიკური პრინციპებს (ი. პეტრენინი, ვ. ბორისოვი)

უნდა აღინიშნოს, რომ ერთის მხრივ მართვის პრინციპები უნივერსალურია, ანუ გამოყენებულია, როგორც პიროვნებაზე კონკრეტული ზემოქმედებისთვის, ასევე სოციუმის, როგორც ოფიციალურ ასევე არაოფიციალური მართვისას. მეორეს მხრივ, აუცილებელია გვესმოდეს, რომ ესა თუ ის პრინციპები და მათი თანაფარდობა შეიძლება იცვლებოდეს საქმიანობის სპეციფიკისა და სიტუაციური პირობების შესაბამისად.

შრომის მეცნიერული ორგანიზების ერთ-ერთი ფუძემდებელი „ადმინისტრაციული მართვის თეორიის“ შემქმნელი ანრი ფაიოლი ამტკიცებდა, რომ მართვის პრინციპთა რიცხვი შეუზღუდავია. ხოლო მოვლენათა მდგომარეობის ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს წესების ცვლილებებიც.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მართვის პრინციპები, რომლითაც პროფესიულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს, კონკრეტული ხელმძღვანელი არის მისი საბაზო კოგნიტიური მდგომარეობა (რწმენები), რომლებიც მის მიერ ფორმირებულია პირადი გამოცდილებით და განისაზღვრება მისი მართვის ინდივიდუალური სტილით, მართვითი გადაწყვეტილების

მიღების თავისებურებებით, მისი დამოკიდებულებით მართვითი საქმიანობისადმი, ადამიანებისადმი, ზნეობრივი ნორმებისა და მორალისადმი.

თავის მხრივ, მართვის პრინციპების შესწავლა შეიძლება გამოდგეს ინსტრუმენტად მართვითი პროცესის გააზრებისა და ხელმძღვანელის პროფესიული მართვითი მსოფლმხედველობის ფორმირებისთვის.

ქვემოთ მოყვანილია მართვის განზოგადებული პრინციპები, რომლებიც დაყოფილია 3 ბლოკად: 1) პროცესუალურ - ადმინისტრაციული მართვის პრინციპები ახდენს მართვითი საქმიანობის, როგორც პროცესის თავისებურებათა რეგლამენტირებას. 2) ფსიქოლოგიურ - პედაგოგიური მართვის პრინციპები მართვით პტაქტიკაში თანამშრომელთა და შრომით კოლექტივებთან ფსიქოლოგიურ თავისებურებების უცილობელ გამოყენებას გულისხმობს. 3) მართვის საორგანიზაციო პრინციპები ახდენენ მართვითი საქმიანობის საერთო საორგანიზაციო თავისებურებების რეგლამენტირებას.

მართვის პროცესუალურ - ადმინისტრაციული პრინციპები

1.მიზანმიმართულების პრინციპი. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი მართვითი ქმედება უნდა იყოს მიზანმიმართული, ანუ უნდა ჰქონდეს მკაფიო და განსაზღვრული მიზანი. ეს პრინციპი ვრცელდება მართვის ყველა სახეობაზე, ცალკეული ადამიანის ან ჯგუფის საქმიანობის მართვიდან დაწყებული სახელმწიფო მართვამდე.

თუ ადამიანმა არ იცის მიზნები და ის შედეგები, რომელსაც უნდა მოელოდეს საქმიანობისგან, ნებისმიერმა აქციამ, ნებისმიერმა ქმედებამ შეიძლება მიიყვანოს გაუთვალისწინებელ და შესაძლოა კონფლიქტურ ან დამანგრეველ შდეგამდე. ამიტომ მიზნის განსაზღვრის ფუნქცია პირველ ადგილზე დგას მართვითი ფუნქციების ჩამონათვალში, ხოლო მართვის მიზანმიმართულების პრინციპი ითვლება ერთ-ერთ პირველ ხარისხოვნად ხელმძღვანელის საქმიანობაში.

ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს პრიორიტეტების განსაზღვრა ტაქტიკური მიზნების არჩევისას მათი რიგითობის განსაძღვრა და გადაწყვეტის მეთოდების სწორი შერჩევა.

2. ერთი საწყისის პრინციპი. ეს პრინციპი აუცილებელია კოლექტივის და თანამშრომელთა ორგანიზაციის მართვისა და უზრუნველყოფისათვის. მართვითი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტი უფროსი ჰყავს დაქვემდებარებულს, მით ნაკლებია მისი საქმიანობის ეფექტიანობა, ისევე როგორც ნაკლებია ამ უფროსთა პასუხისმგებლობა მათ მართვით საქმიანობაში.

ერთსაწყისიანობის პრინციპი ადგენს, რომ კომპანიის, ორგანიზაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილება კონცენტრირებულია კონკრეტული პირის ხელში - ხელმძღვანელის, რომელიც პასუხისმგებელია თავისი გადაწყვეტილებების და ქმედებების გამო. ამასთან თითოეული თანამშრომელი უშუალო დაქვემდებარებაშია მხოლოდ ერთი ხელმძღვანელისადმი და განკარგულებას უნდა იღებდეს და ასრულებდეს უშუალოდ მისი ხელმძღვანელის მითითებებს. ეს ხელმძღვანელს საშუალებას აძლევს დაადგინოს და აკონტროლოს თანამშრომელთა მხრიდან ამოცანათა კომპლექსების გადაწყვეტის თანმიმდევრობა, საზღვრავს რა ამოცანათა პირველხარისხოვნობას თუ მეორეხარისხოვნობას.

ერთი ხელმძღვანელის პრინციპი ამაღლებს მართვის ეფექტურობას და თითოეული კონკრეტული ხელმძღვანელის პასუხიმსგებლობის ნებისმიერ მართვით დონეზე საკუთარ მართვით გადაწყვეტილებებზე და კონკრეტულ შედეგებზე არ აძლევს რა მას საშუალებას გაუყოს ეს პასუხისმგებლობა სხვა ხელმძღვანელებს, მაგალითად ახსნას თანამშრომელთა წარუმატებლობა დასახული ამოცანის მიღწევაში, სხვისი მართვითი ჩარევით.

3. ხელმძღვანელის შეცვლის, ჩანაცვლების პრინციპი. თუ მართვის პუნქტები არ სრულდება, ორგანიზაცია ან ქვეგანყოფილება უმართავია.

ხელმძღვანელის შეცვლის პრინციპი ახდენს რეგლამენტირებას, რომ ხელმძღვანელის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს წინასწარ დამტკიცებული და თანამდებობრივი ინსტრუქციებით აღჭურვილი პირი (მოადგილე, ქვემდგომი ხელმძღვანელი ან კონკრეტული თანამშრომელი) ამასთან თანამდებობრივ ინსტრუქციებში მკაფიოდაა გაწერი-

ლი ჩანაცვლების პირობები, დელეგირებული ფუნქციები და პასუხისმგებლობათა სფეროები.

4. მართვითი ბრძანებების ერთჯერადად გაცემის პრინციპი.

სისტემის მართვადობა დამოკიდებულია სიზუსტეზე და მართვითი ბრძანებების შესრულების თანადროულობაზე. თუ ბრძანება გაცემულია, სისტემა მასზე უნდა რეაგირებდეს ოპერატიულად ამ ბრძანების დამატებით განმეორების გარეშე - ესაა მოცემული პრინციპის აზრი.

5. მმართველობითი რეაგირების პრინციპი. ნემისმიერი მართვითი სისტემა ოპერატიულად უნდა რეაგირებდეს ფუნქციონირების გარე და შინაგან ცვლილებებზე.

ეს პრინციპი ახდენს ხელმძღვანელის ტაქტიკური მართვითი რეაგირების აუცილებლობის რეგლამენტირებას საქმიანობის პირობების ცვლილებებზე პასუხად.

6. მართვის ოპტიმიზაციის პრინციპი. ეს პრინციპი წარმოადგენს წინამდებარეს განვითარებას. ნებისმიერი მართვითი სისტემა ევოლუციურად უნდა ვითარდებოდეს და სრულდებოდეს. მიზეზად და წყაროდ განვითარებისა გვევლინებიან სისტემის შინაგანი წინააღმდეგობები და მისი ევოლუცია დამოკიდებულია ამ წინააღმდეგობების დროულად განსაზღვრაზე მათი ნეგატიური გავლენების შემცირებასა ან აღმოფხვრაზე.

არსებობს უნივერსალური ყოფითი ჭეშმარიტება, რომელიც ვრცელდება ხელმძღვანელის საქმოანობის მართვით სფეროზე: „ თუ თქვენ განაგრძობთ ზუსტად იგივეს კეთებას რასაც ადრე აკეთებდით, მაშინ თქვენ ზუსტად იგივე შედეგს მიიღებთ შესაბამისად, თუ კი თქვენ არ გაწყობთ მიღებული შედეგები, აკეთეთ რაც გინდათ, მაგრამ ნუღარ გაიმეორებთ ერთი და იგივეს“.

მართვის ოპტიმიზაციის პრინციპი ახდენს მართვის სისტემის ცვლილების აუცილებლობის რეგლამენტირებას საქმიანობის გარე და შიდა პირობების მუდმივი ცვლილებებისას

მართვის ფსიქოლოგიური-პედაგოგიური პრინციპები.

1.მართვის სოციალურ მიმართულების პრინციპი. სოციალური კანონები და საზოგადოების პრინციპები ნებისმიერი სოციალური სტრუქტურის სისტემურ კანონებად გვევლინებიან. ეფექტური ფუნქციონირებისათვის და ნებისმიერი ორგანიზაციის მართვისათვის მის სიცოცხლისუნარიანობასა და საქმიანობაში უნდა აისახოს ცივილიზებული საზოგადოების იდეები, ჰუმანიზმის, სამართლის, სულიერების, მორალურობის ზოგადადამიანური დებულებები. ეს ხელმძღვანელისგან ითხოვს მიზანმიმართულ მართვით ძალისხმევას შესაბამისი საორგანიზაციო კულტურის ფორმირებისა და მხარდაჭერისათვის.

2.მართვის ჰუმანიზაციის პრინციპები. ეს პრინციპია წინას განვითარება და იმაში მდგომარეობს, რმ ადამიანთა მართვა მისი ყველა ფორმით, მეთოდით და საშუალებებით უნდა იყოს ადამიანური, დაფუძნებული თითოეულ თანამშრომლის უფლებების და პირადი ღირსებების პატივისცემაზე. სირთულეთა და ინტერესთა გაგებაზე, როგორც კოლექტივის ასევე თითოეული თანამშრომლისა ცალცალკე. თუმცა არ გამორიცხავს აუცილებლობას, გარკვეულ პირობებში მოხდეს დემონსტრირება მტკიცე ნებელობით მართვა ყველა კულტურული და ურთიერთობათა უფლებრივი ნორმების დაცვით.

3.პირადი და ორგანიზაციული მიზნების შეთანხმებულობის პრინცი.

სოციალური სისტემები ყოველთვის მუშაობენ უკეთ, როცა ადამიანები მასში წყვეტენ ამოცანებს არა იძულებით, არა საჯელის შიშით, არამედ სურვილით საკუთარი რწმენიდან გამომდინარე, ინტერესიდან, პასუხისმგებლობის გრძნობიდან, მოვალეობის გაცნობიერებით ამიტომ მართვით პრაქტიკაში დასტურდება კანონზომიერება: „ყველაზე ეფექტური საშუალება აიძულო თანამშრომელი რაიმე კარგად გააკეთოს - ესაა შთააგონო ის, მოინდომოს ამის გაკეთება“ ფსიქოლოგიურ დონეზე ეს ნიშნავს, რომ ინდივიდუალური პიროვნული მიზნები თანამშრომელისა უნდა ემთხვეოდეს ორგანიზაციულ და პროფესიულ მიზნებს. საზოგადოება და თვით თანამშრომლები ყოველთვის დაინტერესებულნი არიან იმაში, რომ მართვამ მოიტანოს არა მხოლოდ პრაგმატული პროფესიული შედეგი, არამედ სულიერი, ადამიანური „მოგება“ თანამშრომელთა კმაყოფილების სახით მუშაობისგან, რაც თავის მხრივ კეთილსასურველად აისახება ფსიქოლოგიურ კლიმატზე და უზრუნველყოფს შრომითი კოლექტივის ნორმალურ საქმიანობის პირობებს.

4.უფლებამოსილების დელეგირების პრინციპი და მართვა კოლექტივის მეშვეობით.

ჯანსაღ კოლექტივში მართვა ხდება ძალიან ეფექტური თუ ის ხორციელდება არა ერთ-პიროვნულად ხელმძღვანელის მიერ, არამედ თვითმართველობის ყველა შესაძლებლობების გამოყენებით ორგანიზაციაში. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეფექტურია არა ის მართვა რომელ-შიც ხელმძღვანელი „თავის თავზე იღებს ყველაფერს“ არამედ ის რომელშიც თითოეული ელემენტი მართვის ამ სისტემაზე (ჯგუფი, თანამდებობის პირი, თანამშრომელი) ავლენს ინიციატივას და დაინტერესებულობას საერთო და ხანგრძლივი ამოცანების გადაწყვეტაში, რომელიც დგას ორგანიზაციის წინაშე.

ხელმძღვანელმა აუცილებელია იცოდეს კოლექტივის რესურსების გამოყენება მასზე უფლებამოსილების დელეგირებით ამოცანათა გადაწყვეტა, რომელითაც კოლექტივმა შეი-ძლება თავი გაართვას, იტოვებს რა ამასთან უფლებას და შესაძლებლობას იმოქმედოს კოლექტივის გადაწყვეტილებაზე. ამისათვის მართვაში ერთვებიან ა) საზოგადოებრივი ფორმირებები, რომლებიც იქმნება სპეციალურად ორგანიზაციის ხელმძღვანელის და სხვა თანამდებობის პირთა დასახმარებლად ცხოვრების გარკვეული ნაწილის მართვისას ბ) რი-გითი თანამშრომლები (ხელმძღვანელის დასახმარებლად, მართვის ცალკეულ საკითხებში გადაწყვეტილების მომზადებაში და მათი შესრულების მეთოდებში, კონტროლში და ა.შ.) ამგვარად მთელი პერსონალი გარდაიქმნება აქტიურ თანამონაწილედ საორგანიზაციო წეს-რიგის დამყარებაში და მიზნების მიღწევაში, რომლებიც ორგანიზაციის წინაშე დგას.

მართვის ორგანიზაციული პრინციპები

1.მართვითი ნორმის პრინციპი

თანამშრომელთა რა რაოდენობას შეიძლება მართავდეს ერთი ხელმძღვანელი მისი ეფექტურობის დაწევის გარეშე?ამ კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილი მრავალ მკვლევარს ასტიმულირებდა. უდავოა, რომ მართვის აწეული ნორმის შემთხვევაში (ანუ დაქვემდებარე-ბულთა დიდი რიცხვის პირობებში) ხელმძღვანელი ფაქტიურად უუნაროა სრულფასოვნად შეასრულოს მართვითი ფუნქციები და ამას მივყავართ კონტროლის კარგვასა და მართვის ობიექტის საქმიანობის დეზორიენტაციასთან. ამავე დროს ამ ნორმის ზედმეტად დაწევას მივყავართ მართვის აპარატის გაზრდასთან (გაბერვასთან).

განხილული პრინციპის არსი მდგომარეობს ერთი მართვის სუბიექტის ხელში მართვის ობიექტის რიცხვის შეზღუდვაში. მრავალრიცხოვანმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ჩვეულებრივ ადამიანს აქვს უნარი ერთდროულად თავისი ყურადღების ველში იქონიოს განსაზღვრული ოდენობის ინფორმაცია, რომელიც შედგება არა უმეტეს 7+2 კომპონენტის-გან. შესაბამისად ხელმძღვანელს ერთდროულად დიდი ინფორმაციული ელემენტების კონ-ტროლირება არ შეუძლია.

ამის გარდა, სამეცნიერო კვლევები და ექსპერიმენტები დაბეჯითებით ასაბუთებენ, რომ თანამშრომელთა რიცხვის გაზრდა იწვევს ურთიერთკავშირების რაოდენობის ზრდას, რომელიც მათ შორის ჩნდება და შესაბამისად პოტენციურ წინააღმდეგობებსაც, რომელთა-განაც მნიშვნელოვანი ნაწილის გადაწყვეტა უწევს ხელმძღვანელს. ფრანგმა მკველვარმა ვ. გრეიკუნასმა ეს დამოკიდებულება გამოხატა ფორმულით, რომელიც გადმოიცემა შემდეგი გამოსახულებით: $K= n [2^{n-1}+(n-1)]$ სადაც K ურთიერთკავშირის რაოდენობაა n - თანამშ-რომელთა რიცხვია. გრეიკუნასის ფორმულა გვიჩვენებს, რომ თუ ხელმძღვანელს უშუალოდ 4 შემსრულებელი ექვემდებარება, ურთიერთკავშირის რაოდენობამ და შესაბამისად სადავო საკითხებმა ან უთანხმოებამ შეიძლება მიაღწიოს 44 დღის განმავლობაში ხუთი შემსრულებ-ლის შემთხვევაში მათი რიცხვი იზრდება ორჯერ და კიდევ უფრო მეტად:

აქვემდებარებულია რიცხვი	მიმართვის რაოდენობა
4	44
5	100
6	222
8	1080

ამის შესაბამისად ხელმძღვანელის მართვითი ნორმა შეზღუდულია 5-7 ადამიანით და მერყეობს საქმიანობის პირობებიდან გამომდინარე. თანამშრომელთა მართვისას, რომლებიც ასრულებენ მსგავს ან ინდივიდუალურ საქმიანობას, მათმა რიცხვმა ერთ ხელმძღვანელზე შეიძლება მიაღწიოს შვიდ ადამიანს. თანამშრომელთა მართვისას რომლებიც სხვადასხვა სახის საქმეს ასრულებენ (ერთმანეთთან მიმართებაში) მართვითი ნორმა ჩვეულებრივ შეადგენ არა უმეტეს ხუთი ადამიანისა. ხელმძღვანელს საშუალოდ ჰყავს 3-5 მოადგილე.

2.შესაბამისობის პრინციპი. ტეილორის თანახმად ამ პრინციპის არსი მდგომარეობს კადრების მეცნიერულ შერჩევასა და მათ სწორ განაწილებაში, თანამშრომელთა პროფესიული თვისებების განვითარების დონის შესაბამისად

3. კვალიფიკაციის ამაღლების პრინციპი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თუ სპეციალისტი ხანგრძლივი დროის განმავლობაშია დაკავებული ერთგვარი ამოცანების შესრულებით, მისი პროფესიონალიზმი ჯერ იზრდება, შემდეგ გარკვეული დროის შემდეგ კი, ქვეითდება.

მართვის განხილული პრინციპი ითვალისწინებს ყველა თანამშრომლისთვის კვალიფიკაციის აუცილებელ ამაღლებას, მათი დაკავებული თანამდებობის, მათ შორის ხელმძღვანელის თანამდებობის მიუხედავად. გამოცდილი ხელმძღვანელი დაინტერესებულია თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაში, უნდა გრძნობდეს ადამიანის საქმიანი აქტივობის დაქვეითების პერიოდს და უნდა ეხმარებოდეს იმედგაცრუების გადალახვაში სასურველისა და რეალურის შეუსაბამობის დროს და ასევე პროფესიული დაინტერესების დაკარგვისას.

პერსონალის მართვის ჩამოთვლილი პრინციპები ამა თუ იმ თანაფარდობის შემთხვევაში რეალიზდება მართვის კონცეფციებსა და მიდგომებში, ბევრწილად განსაზღვრავს რა მათ შინაარსსა და აზრს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ო.ევტიხოვი, პერსონალის მართვის ფსიქოლოგია: „თეორია და პრაქტიკა”
2. გამომცემლობა „речь” სანქტ პეტერბურგი 2009 წელი
3. კ. ბლანშარი, ლიდერობა:„წარმატების მწვერვალებისკენ” პეტერბურგი 2008წელი
4. რ.ბლეიკი „მართვის სამეცნიერო მეთოდები” კიევი,1990 წელი

Принципы управления персоналом

Мераб Ониани

Резюме

Успешно используя принципы управления, руководитель имеет возможность влиять на процессы самоорганизации коллектива, сближать индивидуальные и групповые интересы его членов, а так же более полно представлять интересы и потребности сотрудников во внешних инстанциях. Это, всвоюочередь, положительно сказывается на психологической атмосфере, вкоторой складываются и протекают взаимоотношения между подчиненными, способствует повышению уровня с плоченности коллектива, делает руководителя более успешным вразрешениии предупреждении межличностных конфликтов в его подразделении.

Руководителю необходимо уметь определять приоритеты в выборе тактических целей, устанавливать их очередность и правильно выбирать методы решения, не теряя при этом изполя зрения главную стратегическую цель. В этом проявляется искусство управления.

Ключевое слова: *Принципы управления персоналом, Контролируемая перспектива, Психологические принципы управления, Передача полномочий, эффективность работы, Идеи Цивилизованного общества, уважение ценности сотрудничества*

საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხისათვის (ტერიტორიული ასპექტები)

რუსაძე ნანა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საჯარო სამსახური სოციალური ინსტიტუტია, რომელმაც სოციუმის მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს. შესაბამისად, საჯარო მმართველობის სისტემაში ეფექტიანობის შეფასება აუცილებელია როგორც სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის. ამით, საზოგადოებას საშუალება ეძლევა გააკონტროლოს სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების ხარისხი.

იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო მართვის ხელშესახები შედეგები ნათლად არ ჩანს, სახელმწიფო აპარატი ხშირად მიმართავს პიარ-აქციებს, რათა ამომრჩეველს დაანახოს მის მიერ მიღწეული წარმატებები. ამ დროს არსებობს რეალური საქმეების მოჩვენებითი „წარმატებებით“ შეცვლის საფრთხე. მისი თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა დასახული მიზნების შესამოწმებელი კრიტერიუმების მაქსიმალურად მკაფიოდ ჩამოყალიბება. როგორც ცნობილია, „ის, რაც იზომება, უკეთ კეთდება“ (პ.დრუკერი). მიგვაჩნია, რომ ეფექტიანი სახელმწიფო მართვისთვის აუცილებელია მდგომარეობის ამსახველი და მიზნების მიღწევის საზომი სისტემის შემუშავება.

საკვანძო სიტყვები: *საჯარო მართვა, ეფექტიანობა, მუნიციპალიტეტი, რეგიონი, ინდექსი, გაზომვა.*

ძირითადი ტექსტი

ეფექტიანობა განისაზღვრება, როგორც რაიმე მიზნის მისაღწევად რესურსების გამოყენების პროდუქტიულობა. საზოგადოდ, სახელმწიფო სამსახურის რეფორმირების ეფექტიანობის კონცეფცია გულისხმობს დაგეგმვის მაჩვენებელთა სისტემის და შეფასების კრიტერიუმების კომპლექსის შემუშავებას სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესაფასებლად, რაც მათი ეფექტიანობის გაზრდაზე არის ორიენტირებული.

ეფექტიანობის ცნებას ზოგიერთი მეცნიერი ორი მიდგომით განიხილავს: ფართო გაგებით იგი არის სისტემის ფუნქციონირებისაგან მიღებული შედეგების ერთობლიობა. მეორე მხრივ, ეფექტიანობა არის შედეგებისა და დანახარჯების თანაფარდობა.

რობერტ და ჯენეტ დენჰარტები გამოყოფენ საჯარო ორგანიზაციებში მუშაობის ტრადიციულ თემას - პოლიტიკას და ადმინისტრირებას. იგი ყველაზე ხშირად იჩენს თავს თანამედროვე საჯარო მართვაში, როგორც ეფექტიანობის და რეაგირების უნარის კონფლიქტი. დიქოტომია პოლიტიკასა და ადმინისტრირებას შორის საჯარო მართვის ერთ-ერთი უძველესი პრობლემაა და იგი დღემდე პრობლემად რჩება.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს მუნიციპალური სისტემა ხასიათდება მართვის ცენტრალიზებული, დეცენტრალიზებული და დეკონცენტრირებული ვარიანტებით, რაც საჯარო მმართველობის განხორციელების არაეფექტიან სისტემას ქმნის. თანამედროვე პირობებში საქართველოში მიმდინარეობს სახელმწიფო სამსახურის რეფორმა, რომელიც მიმართულია სახელისუფლებო ორგანოების მოდერნიზაციისა და ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე, შედეგიანობის სისტემის დანერგვაზე, სახელისუფლებო ორგანოების მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების ეფექტიანად გადაწყვეტაზე.

2016 წელს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სულ 11913 კაცი იყო დასაქმებული, რაც 733 კაცით ნაკლებია 2015 წლის მაჩვენებელზე. 2014-2015 წლებში ბევრ თვითმმართველობაში განხორციელდა რეორგანიზაცია-ოპტიმიზაცია, რამაც საშტატო რიცხოვნობის შემცირება გამოიწვია.

ცხრილი 1

საჯარო სტრუქტურებში დასაქმებულთა რიცხოვნობა 2014-2016 წლებში (კაცი)

საჯარო სტრუქტურა	**2014**	**2015**	**2016**	**სხვაობა (2015/16)**
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	14635	12646	11913	733
სახელმწიფო-რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციები	387	272	366	-89
სულ საჯარო სამსახურში	63394	53109	51242	1867

იგივე მიმართულებით რეგიონულ ჭრილში ანალიზი ცხადყოფს, რომ 2014-2015 წლებში შემცირება არათანაბარზომიერებით ხასიათდებოდა სხვადასხვა რეგიონის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში (იხ. ცხრ. 2).

ცხრილი 2

თვითმმართველობებში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა დინამიკა რეგიონების მიხედვით 2014-2015 წლებში

რეგიონი	**2014**	**2015**	**2016**	**სხვაობა (2015/16)**
მცხეთა-მთიანეთი	661	603	586	17
რაჭა ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	749	508	470	38
სამცხე-ჯავახეთი	791	711	646	65
გურია	990	586	538	48
შიდა ქართლი	1029	1112	993	119
ქვემო ქართლი	1372	1334	1085	249
აჭარის არ	1439	1010	926	84
კახეთი	1633	1376	1112	264
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1699	1566	1458	108
იმერეთი	2461	2133	1997	136
თბილისი	1811	1707	2076	-369
სულ	**14635**	**12646**	**11887**	**759**

რეგიონული დიფერენციაციიდან გამომდინარე, გადავამოწმეთ ის განსხვავებები, რაც შეიძლებოდა არსებულიყო რეგიონებში დასაქმებულ საჯარო მოხელეების რიცხოვნობას შორის მათ მიერ მომსახურების არეალის (ამ შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობის) გათვალისწინებით. კერძოდ, ჩვენს მიერ გაკეთდა ანალიზი ცალკეული რეგიონების თვითმმართველობებში დასაქმებულთა მომსახურების მოცულობის შესახებ. კერძოდ, იმის მიხედვით, თუ რამდენი მოხელე ემსახურება 1000 მცხოვრებს.

საკმაოდ საინტერესო შედეგები მივიღეთ: აღმოჩნდა, რომ რეგიონებს შორის ყველაზე ეფექტიანია ქვემო ქართლი (3,2), შიდა ქართლი (3,9) და იმერეთი (4,6). მათგან სწორედ დასახელებული პირველი ორი რეგიონი უტოლდება ან ჩამორჩება საშუალო რეგიონულ

მაჩვენებელს (3,9). მაღალი მაჩვენებელი აქვს მცხეთა-მთიანეთს, ხოლო კრიტიკული - რაჭა-ლეჩხულ-ქვემო სვანეთს, სადაც 1000 მცხოვრებს საშუალოდ 23,4 საჯარო მოხელე ემსახურება. ეს კი 6 -ჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს.



ნახაზი 1. საჯარო მოხელეთა განაწილება ადგილობრივ თვითმმართველობებში რეგიონების მიხედვით (მოსახლეობის 1000 კაცზე)

ეფექტიანობის შეფასების კუთხით მეტად მნიშვნელოვანია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების (ა(ა)იპ) შენახვასთან და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხი. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ არცთუ იშვიათად, მუნიციპალიტეტები საშტატო რიცხოვნების მატებას და შესაბამისად, ადმინისტრაციული ხარჯების ზრდას ახორციელებენ ა(ა)იპ-ების მიხედვით, რაც არაეფექტური ხარჯების მიზეზი ხდება.

მიგვაჩნია, რომ მუნიციპალიტეტებში აუცილებელია იდენტური ან შინაარსობრივად დაახლოებული მიმართულებების ა(ა)იპების ერთი იურიდიული პირის ქვეშ გაერთიანება, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საბიუჯეტო დანახარჯებს. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია განხორციელდეს ა(ა)იპ-ების რაოდენობის რეგლამენტაცია მოსახლეობის რიცხოვნობასთან კონტექსტში, რისთვისაც შევიმუშავეთ შემდეგი ცხრილი (იხ.ცხრილი 3)

ცხრილი 3

აა(ა)იპ-ების რეგლამენტაციის მოდელი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა	**აა(ა)იპ-ების მაქსიმალური რაოდენობა**
25 ათას კაცამდე	8
25-დან 35 ათას კაცამდე	10
35-დან 50 ათას კაცამდე	11
50-დან 80 ათას კაცამდე	12
80 ათას კაცზე მეტი	13-15

მუნიციპალიტეტის საჯარო ადმინისტრირების ეფექტიანობის შეფასება ერთ-ერთი რთული ამოცანაა. მიგვაჩნია, რომ ამისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ინდექსის შერჩევის მეთოდი. იგი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის ეფექტიანობა. გამოვთვალეთ მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის ინდექსი

(Ipa). ამისათვის გამოვიყენეთ 3 ძირითადი მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე უკეთ ახასიათებს მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის ფუნქციონირებას: დასაქმებულთა რიცხოვნობა, სახელფასო ფონდი და წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.

საჯარო მმართველობის ინდექსი გამოისახება ფორმულით:

$$I_{pa}(t) = \frac{1}{N}\sum_{i=1}^{n}\left(\frac{x_i(t)}{x_i(t-1)} - 1\right) \times 100\%$$

სადაც, $X_i(t)$, როგორც დროის ფუნქცია $t \in Z$, Z – შესაბამისი წელია, i – მაჩვენებლის ნომერია ჯგუფში, N – ჯგუფში მაჩვენებელთა რაოდენობაა (იხ. ცხრ. 4).

მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის ინდექსი (I_{pa}) განისაზღვრება, როგორც წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებულების, ამ ორგანოთა დაფინანსების და მათივე შრომის სახელფასო ფონდის საშუალო მაჩვენებელი.

ცხრილი 4

მაჩვენებლები ქუთაისის მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის ინდექსის (სმი) გამოსათვლელად

i- ნომერი	მნიშვნელობა	მაჩვენებელი/წელი	2009	2010	2011	2012	2013
1	$X_1(t)$	დასაქმებულთა რიცხოვნობა (კაცი)	400	412	410	445	430
2	$X_2(t)$	სახელფასო ფონდი (ათასი ლარი)	2867,2	3060,7	3310,5	4025,7	4995,1
3	$X_3(t)$	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5659,5	7368,1	8609,9	8415,6	8733,3

i- ნომერი	მნიშვნელობა	მაჩვენებელი/წელი	2014	2015	2016	2017
1	$X_1(t)$	დასაქმებულთა რიცხოვნობა (კაცი)	342	355	359	371
2	$X_2(t)$	სახელფასო ფონდი (ათასი ლარი)	3611	4120,5	4407,8	4123,5
3	$X_3(t)$	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	8685,5	8560,6	7395,8	7134,7

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ქუთაისის ბიუჯეტის მონაცემები, რამაც ცხრაწლიანი პერიოდისათვის (2009–2017 წ.წ.) ინდექსების განსაზღვრის და მუნიციპალიტეტის საჯარო სექტორში არსებული ზოგიერთი ტენდენციის გამოვლენის საშუალება მოგვცა (იხ. ნახ. 2).



ნახაზი 2. ქუთაისის მუნიციპალიტეტის სმი-ის დინამიკა (2010-2017 წ.წ.)

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ სხვადასხვა რეგიონის თვითმმართველობებში მკვეთრი განსხვავება შეინიშნება წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებულთა რიცხოვნობაში. კრიტიკულია მდგომარეობა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში შრომის ანაზღაურების კუთხითაც. საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ერთსა და იმავე თანამდებობებზე განსხვავებული სარგოები მოქმედებს, რაც არ მიგვაჩნია გამართლებულად.

მიზანშეწონილად ვთვლით, რომ ქვეყნის მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტისათვის განისაზღვროს წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოები ერთიანი შკალით (ზედა და ქვედა ზღვრის მითითებით). ეს განსაკუთრებით აუცილებელია ფისკალური ცენტრალიზმის პირობებში, როცა საკუთარი შემოსავლები (ტრანსფერის გარდა) მუნიციპალიტეტების საჭიროებების მხოლოდ 15-20%-ს ფარავენ. გამოდის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხები არ იხარჯება ეფექტიანად (ჩვენს მიერ ასევე შემუშავდა თანამდებობრივი სარგოების ქვედა და ზედა ზღვრები მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისავის.

ჩვენს მიერ შემუშავდა საჯარო მოხელეთა მუშაობის ეფექტიანობის ფარდობითი მაჩვენებლები, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მომავალში სათანადო ნორმატივების (სამართლებრივი ბაზის) ფორმირებისათვის (იხ.ცხრ. 5).

ცხრილი 5

საჯარო მოხელეთა მუშაობის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლები, (%)

№	**მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ი**
1.	დროულად მომზადებული და გაგზავნილი დოკუმენტების ხვ.წილი მომზადებული დოკუმენტების საერთო რაოდენობასთან
2.	იმ დოკუმენტების ხვ.წილი, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ექსპერტიზა
3.	მოქალაქეებისა და ორგანიზაციების ხვ.წილი, რომლებიც დადებითად აფასებენ საჯარო მოხელეთა მუშაობას
4.	კვალიფიციურად და მაღალპროფესიულად შესრულებული დავალებებისათვის გაცემული პრემიებისა და წახალისების ხვ.წილი შრომის ანაზღაურების საერთო ფონდში
5.	საჯარო მოხელის მიერ დახარჯული ფაქტიური დროის თანაფარდობა გეგმიურთან
6.	სამ წელზე მეტი სტაჟის მქონე 30 წლამდე ასაკის მქონე სპეციალისტთა ხვ.წილი მომუშავეთა საერთო რიცხოვნობაში
7.	მომუშავეთა ხვ.წილი, რომლებმაც გაიარეს სპეციალური მომზადება და გადამზადება
8.	ვაკანტური ადგილების ხვ.წილი, რომელთა დაკავება მოხდა კონკურსის საფუძველზე

რეგიონისა და მუნიციპალიტეტის საჯარო მმართველობის სფეროს ეფექტიანობის დასახასიათებლად მიზანშეწონილად მივიჩნევთ ორი კოეფიციენტის შემოტანას:

1. „მუნიციპალიტეტის ზომა“ - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების ხვედრითი წილი (%) შესაბამის რეგიონში შექმნილ დამატებულ ღირებულებასთან;

$$S_{მუნ} =$$

სადაც, M-არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები, ხოლო V - რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულება;

2. „რეგიონის ზომა“ – რეგიონში ფუნქციონირებადი სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების ხვედრითი წილი რეგიონში შექმნილ დამატებულ ღირებულებასთან.

$$S_{რეგ} = \ / V$$

სადაც არის ცენტრალური სამინისტროების/უწყებების რეგიონული სამსახურების, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის და მუნიციპალიტეტების ჯამური ბიუჯეტის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები.

მუნიციპალიტეტის ზომის პრაქტიკული გამოყენების აპრობაციის მიზნით, შევადგინეთ ცხრილი ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაგალითზე (იხ.ცხრ. 6).

ცხრილი 6

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების ხვ.წილი იმერეთის რეგიონის დამატებულ ღირებულებაში (მლნ.ლარი)

მაჩვენებელი	2011	2012	2013	2014	2015	2016
ქალაქის ბიუჯეტის სდსმ ხარჯები	7,8	7,6	8,1	8	7,6	7,1
რეგიონის დღ	2118,1	2208,2	2216,5	2228,7	2440,6	2580,6
მუნიციპალიტეტის ზომა	0,37	0,34	0,37	0,36	0,31	0,28

როგორც ცხრილიდან ირკვევა, ეს მაჩვენებელი მინიმალური იყო 2016 წელს. დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ რეგიონში შექმნილი დამატებული ღირებულების მატების შესაბამისად მცირდება მუნიციპალიტეტის ზომა, რაც საჯარო მმართველობის ეფექტიანობის ზრდას მიანიშნებს.

ამდენად, როგორც კვლევებმა გვიჩვენა, ადგილობრივ თვითმმართველობებში არსებობს ეფექტიანობის ზრდის რეზერვები. ამ ორგანოებში ზემოთ აღნიშნული პარამეტრების გამოყენება და დანერგვა გაზომვადი სიდიდეების შემოტანას ემსახურება. ამით გაცილებით იოლი იქნება როგორც ეფექტიანობის გამოთვლა, ისე ცალკეული კლასიფიკაციების და რანგირებების შედგენა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. **დენჰარტი რ., დენჰარტი ჯ.,** საჯარო მართვა - მოქმედების კურსი. თბ., ილიაუნი. 2012.
2. **დოღონაძე შ., იაშვილი გ.,** საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - ელექტრონული მთავრობა“. თბ., „ცის ნამი“ 2013.
3. საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი - 2020.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – www.geostat.ge
5. საჯარო სამსახურის ბიურო. 2009-2016 წლების ანგარიშები - http://www.csb.gov.ge/ge/
6. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მასალები.

7. Клименко А., Клищ Н., Можно ли сэкономить на бюрократии? ж. „Вопросы государственного и муниципального управления“, 2013. № 3.
8. Жильцов В., Государственная служба: показатели и критерии эффективности функционирования. РАГС, 2010.
9. Рябухин С., Аудит эффективности. М., Экономика, 2009.

On the issue of enhancing the effectiveness of public administration (Territorial Aspects)

Nana Rusadze

Summary

A municipal system in the post-Soviet countries, including Georgia, is characterized by the centralized, decentralized and deconcentrated versions of management that create an ineffective system of the implementation of public administration. For the purpose of avoiding subjectivity in the assessment of the functioning of public service, as well as for formulating with the utmost clarity the evaluation criteria for the diagnosis of the current situation and checking the target goals, in this paper we propose: a) the definitions and ways of determining the “size of municipality” and the “size of the region”; b) a regulatory table of non-production (non-profit-making) legal entities in the context of the population size; c) the indicators of assessing the effectiveness of the activities of civil servants; d) the public administration index and its calculation methodology; e) proposal to introduce a unified wage rate scale (by specifying the upper and lower limits).

თვითდახმარების ინსტიტუტის შედარებითსამართლებრივი ანალიზი

კაკულაშვილი ზოია
საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თვითდახმარების ინსტიტუტი და მისი სამართლებრივი მნიშვნელობა. იგი მოიაზრება, როგორც სწრაფი, ეფექტიანი და იაფი სამოქალაქო სამართლებრივი საშუალება დარღვეული საკუთრების უფლების აღდგენისა და დაცვისა.

ქართულ სამართალში, თვითდახმარების ინსტიტუტი, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით აქტუალურია და ფართო კვლევის საგანს წარმოადგენს. სტატიაში განხილულია მოძრავ ნივთებთან მიმართებაში საკუთრების უფლების დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი საშუალება. კერძოდ, თვითდახმარების სამართლებრივი ფორმის გამოყენების სამართლებრივი მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: *თვითდახმარების ინსტიტუტი, მფლობელობა, საკუთრების უფლების დაცვა.*

შესავალი

თანამედროვე სახელმწიფო საჭიროებს სამართლიანობის პრინციპებზე მორგებული მარეგულირებელი მექანიზმების სამართლებრივ უზრუნველყოფას. განსაკუთრებით, საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ კი, სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები, რომელთა უმეტესობაც მეტისმეტად ზოგადი და ბუნდოვანია, ჰარმონიზაციის პროცესს გადის და იგი არა მარტო სრულიად უნდა მოიცავდეს თანამედროვე პრობლემების რეგულირებას, არამედ ჰარმონიაში უნდა მოდიოდეს იმ სამართლის სისტემებთან, რომლებსაც უკვე აპრობირებული აქვთ თითოეული მარეგულირებელი მექანიზმი და პრაქტიკული იმპლემენტირების შედეგებს ფლობენ.

ჯანსაღი და ეფექტიანი ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის, სიცოცხლისუნარიანია სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, რომელიც ინდივიდების საკუთრებას იცავს. საერთო სამართლის წარმომადგენელ განვითარებულ ქვეყნებში კერძო ბიზნესი სამართლებრივი დაცვის მაღალ სტანდარტებს ექვემდებარება, განსხვავებით კოტინენტური სამართლის, კერძოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენელი ქვეყნები, რომელიც ერთგული დარჩა ტრადიციული სამართლებრივი პრინციპებისადმი, რომლის წარმომავლობასაც რომის სამართლებრივი ტრადიციები განსაზღვრავს და შესაბამისად ვერ ასახავს ახალი ბაზრის ტენდენციების შესაბამისობას.

თვითდახმარების საშუალება ჯერ კიდევ რომაული დროიდან მომდინარეობს, რომელიც წარმოადგენს „მოქმედებას ან მოთხოვნას საკუთარი შესაძლებლობებით მართლსაწინააღმდეგო ხელყოფამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად“. თვითდახმარების უფლება საუკუნეებია რაც აღიარებულია სამართლის ისტორიაში. ანტიკური ბერძნები ისევე, როგორც რომაელები ემხრობოდნენ აღნიშნულ დოქტრინას. თვითდახმარება მოტივირებულია თვით ადამიანური ბუნების საწყისიდან და სამართლის მცდელობაა შეინარჩუნოს იგი დასაშვებ ფარგლებში. „სრული თავისუფლებით მოტივირებული სამართლებრივი ისტორია დასაწყისშივე ივარაუდებდა კანონმდებლობის ადამიანზე სრული მორგების მოლოდინს, რაც თავისთავად გამოიწვევდა დაბალი ხარისხით წარმოებულ სამართალწარმოების პროცესს, რომელიც შურისგების უხეშ მართმსაჯულებად გარდაიქმნებოდა.“[1] ამიტომაცაა, რომ თვითახმარების სამართლებრივი ფარგლებისა და შემადგენლობის განსაზღვრა მნიშვნელოვნად

განაპირობებს თვითდახმარების სამართლიან რეალიზაციას.

ზოგადად, თვითდახმარების ინსტიტუტი იმპლემენტირებულია, როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, თუმცა სამართლებრივი რეგულირება სრულიად განსხვავებულია.

I. თვითდახმარების ინსტიტუტი განვითარებული ქვეყნების სამართალში

განვითრებულ ქვეყნებში საკუთრების უფლების დაცვისას თვითდახმერების სამართლებრივი ფორმის გამოყენებას, რომელიც კარგადაა იმპლემენტირებული და შესაბამის აპრობირებულ შედეგებსაც ფლობენ, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. აშშ-ს აღსრულების მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ადეკვატური გამოსავლის ღირებული ილუსტრაცია იმ პრობლემებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია უზრუნველყოფილი მხარის უფლების აღსრულებასთან. მსგავსი ან მასთან დაახლოებული მოდელი ვრცელდება კანადასა და სხვა საერთო სამართლის იურისდიქციებში.

აშშ-ში უზრუნველყოფილი მხარე, სასამართლოსათვის მიმართვის გვერდის ავლით სარგებლობს უფლებით, რომ სწრაფად და იაფად მოახდინოს მოთხოვნის უზრუნველყოფა იმ დროს როცა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება დიდ რისკს წარმოადგენს მისთვის.

თვითდახმარების სამართლებრივი ფორმა, კი, მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას, წარმოადგენს საუკეთესო ინსტრუმენტს უზრუნველყოფილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

აშშ-ში უზრუნველყოფილი მხარის უფლებების დაცვა იმდენადაა გარანტირებული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ტყუილის, ძალადობისა და თაღლითობის საფუძვლად თვითდახმარების საშუალებით მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას სასამართლოები გამართლებულად მიიჩნევენ, თუმცა აღნიშნული გარემოებები არ უნდა მოიცავდნენ "the breach of peace" დოქრტინას, რომელიც აშშ-ს უნიფიცირებული სავაჭრო კოდექსითაა (UCC) გათვალისწინებული. თუმცა, აღნიშნული კოდექსი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული დოქტრინის დეფინიციას. ალაბამას შტატის უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე ord Motor Credit Company v. Byrd, [2] ცნობილი, როგორც ყრდ, ტყუილის, ძალადობისა და თაღლითობის ხარისხი განმარტა, როგორც უზრუნველყოფილი მხარის გამონაკლისი უფლება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ UCC-თვის უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, რომელიც რამოდენიმე იურისდიქციის უნიფიცირების უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად. Byrd-ის გადაწყვეტილებამ დიდი გავლენა მოახდინა სხვადასხვა შტატებში მსგავსი შემთხვევების რეგულირებისას და, რაც მთავარია, აღნიშნულმა პრეცედენტულმა კომენტარმა გავლენა მოახდინა თავად "the breach of peace" დოქრტინის განმარტებაზე.

ამოსავალი წერტილი "the breach of peace" დოქტრინის განმარტებისა სისიხლის სამართალშია მოცემული, რომელიც ახასიათებს აღნიშნულ დოქტრინას, როგორც „საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, საჯარო სიმშვიდის დარღვევას ძალადობით ან მოქმედებით ან ქცევით, რომელიც პროვოცირებს ძალადობას." იგი მოიცავს ნებისმიერი კანონის დარღვევას, რომელიც ინარჩუნებს მშვიდობასა და წესრიგს." ძირითადად, სასამართლოები "the breach of peace" დოქტრინის განმარტებისას ყურადღებას ამახვილებენ სისხლის სამართლში მოცემულ განმარტებაზე იმისათვის, რომ მოახდინონ ძალადობისა და პრეზუმირებული ძალადობის სამოქალაქო სამართლებრივი დოქტრინის ფორმულირება.

როგორც აღვნიშნეთ, კანონმდებლებამ "the breach of peace" დოქტრინის განმარტება პრეცედენტურ სამართალს მიანდო. თუმცა, დავების ფაქტობრივი გარემოებები შტატიდან შტატში განსხვავდება. პრეცედენტული სამართლის საფუძველზე შემდეგი დირექტივები შეიძლება იქნას დასკვნის სახით წარმოდგენილი:

1. პროტესტი. სასამართლომ საქმეზე Morris v. First National Bank[3] დაასკვნა, რომ მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, რომელიც ეფუძნებოდა მოვალის ან ვინმეს მიერ

წარმოდგენილ პროტესტს მოიცავს "the breach of peace" დოქტრინას, ხოლო საქმეზე Williams v. Ford Motor Credit Co. განმარტავს, რომ ნივთი შეიძვება მფლობელობიდან იქნას გამოთხოვილი თუ მოვალე წარმოდგენილია, თუმცა, არ გამოხატავს პროტესტს;[4]

2. პრეზუმირებული ძალადობა. იარაღი ან სხვა ნაგულისხმევი საფრთხე მოიცავს "the breach of peace." სასამართლომ საქმეზე Stone Machinery Co. v. Kessler [5] დაასკვნა, რომ შერიფის არალეგიტიმური კომპანიონის საქციელი, რა დროსაც კომპანიონი შერიფის ფორმით იყო შემოსილი, შეფასებულია, როგორც უკანონო ქმედება;

3. გატეხვა და შედწევა. იმ შემთხვევაში თუ გირაო მოთავსებულია ხელმისაწვდომად შეზღუდულ ადგილას და კრედიტორი იყენებს ურდულის საჭრელს ბოქლომის გადასაჭრელად, აღნიშნული მოიცავს "the breach of peace" დოქტრინას (Martin v. Dom Equip. Co.).[6] თუმცა, საფუძვლად ხელშეკრულების თავისუფლებისა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დაცულ შენობაში უპირობო შესვლაზე, აღნიშნულ შემთხვევაში ზეინკლის ტანხლებითაც შენობაში შედწევა არ მოიცავს "the breach of peace" დოქტრინას (Global Casting Indus., Inc. v. Daley-Hodkin Corp.,);[7, 8]

4. დაშვებული ტყუილი. მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, რომელიც სიცრუეს ემყარება უსამართლოა, თუცა, სასამართლოები ხშირად მას დასაშვებად მიიჩნევენ. მაგალითად, კრედიტორი თხოვს მოვალეს, რომ მიიყვანოს მასთან ავტომობილი, რა დროსაც გამოითხოვს მას (Cox. V. Galigher).[9]

მიუხედავად იმისა, რომ ჩჩ ვერ უზრუნველყოფს "the breach of peace" დოქტრინის განმარტებას, თუმცა გვთავაზობს ორ-ნაწილიანი ტესტის გათვალისწინებას, რომელიც თანმიმდევრულად განსაზღვრავს "the breach of peace" დოქტრინას ისე, რომ აბალანსებს დებიტორის, კრედიტორის და მთლიანად საზოგადიების ინტერესებს. სახეზეა "the breach of peace" დოქტრინა, თუ: ნივთის გამოთხოვისას ადგილი აქვს სამართლებრივი აღსრულების გამოყენებას; სახეზეა ძალადობა ან პრეზუმირებული ძალადობა; ან სახეზეა გაუთვალისწინებელი სიტყვიერი მოთხოვნა მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის აკრძალვისა.

თუ არცერთი აღნიშნული წესთაგანი არაა დარღვეული მაშინ სასამართლოები მიმართავენ ტესტის მეორე ნაწილს, რომელიც მოითხოვს გამოწვეული დანაშაულის ხარისხისა და მესამე პირებზე რაიმე ზეგავლენის გათვალისწინებას.

II. თვითდახმარების ინსტიტუტი განვითარებადი ქვეყნების სამართალში

ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში, რომელთა უმეტესობაც განვითარებადია, მათ შორის საქართველოც, აღსრულება მჭიდროდაა დაკავშირებული სასამართლოებთან და სააღსრულებო წარმომადგენლებთან, რომელთანაც სამართლევრივი ურთიერთობა დროში, მეტისმეტად, შრომატევადი და ძვირადღირებულია.

იმისათვის, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის რეგიონში იმპლემენტირებული თვითდახმარების მიმდინარე მიდგომები შესაბამისად იქნას აღქმული, თავდაპირველად, აუცილებელია შეფასდეს თვითდახმარების ინსტიტუტის ისტორიული განვითარების შედეგები და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შეხედულებები. აღნიშნული კონცეფცია წარმოშობილია, როგორც „თვით-აღსრულების" უფლება, რომლის ძირითად ნაკლოვანებას, როგორც ტაკარ შომმერ-ი აღნიშნავს, ის ფაქტი კი არ წარმოადგენს, რომ იგებს ძლიერი, ვის მხარესაც არის კანონი, არამედ ის ფაქტი, რომ უფლება არ არის გამომჟღავნებული და დადასტურებული. ასევე, სამოქალაქო სამართალში უფლებამოსილების თეორიული გამიჯვნა მკაცრადაა გამოყენებული და ძირითად არსს წამოადგენს კერძო და საჯარო უფლებამოსილების გამიჯვნა, რომელიც, თავისთავად, შემდეგი პრინციპებითაა განპირობებული: 1. ვისაც მიაჩნია, რომ მისი უფლებები შეზღუდულია არ აქვს უფლება თავად დაადასტუროს აღნიშნული საკითის შესახებ; 2. მან უნდა მიმართოს სასამართლოს ან სხვა

კონპეტენტურ ორგანოს იმის გადასაწყვეტად, რომ აღნიშნული უფლება მას ეკუთვნის თუ არა; და 3. მხოლოდ დანიშნულ აღმასრულებელ ორგანოს შეუძლია აღნიშნული უფლების აღსრულება.“ [10]

მაგალითად, სლოვაკეთის სამოქალაქო კოდექსის მე-6 პარაგრაფი ასეა წარმოდგენილი: „თუ პირის მიმართ, გაუმართლებელი ჩარევის შედეგად, სახეზეა პირდაპირი საშიშროება უფლების განხორციელებისა, შეუძლია სათანადო წესით თავიდან აიცილოს აღნიშნული დარღვევა.“ აღნიშნული გამომდინარეობს ზოდაგი პრინციპიდან, რომ თვითდახმარება დაშვებულია მხოლოდ ისეთ შემთხვევაშუ სადაც შეუძლებელია დაეყრდნო საჯარო უფლებამოსილების ეფექტიან დახმარებას. თუმცა, მსგავსი ინტერპრატაცია მეტისმეტად ზოგადია და შეიძლება ისე იქნას კვალიფიცირებული, რომ როცა სახეზედა განგრძობითი ხასიათის უკანონო ქმედება და საჯარო უფლებამოსილება არ ხორციელდება ან დიდ დროს საჭიროებს, რომელსაც შეუქცევადი სამართლებრივი და ეკონომიკური ეფექტი გააჩნია უფლების რეალიზაციაზე შესაძლებელია თავად განახორციელოს კანონის აღსრულება. აღნიშნული ინტერპრეტაცია იქნებოდა არასწორი და მსგავსი ქმედებები უკანონო. სლოვაკეთის სკ-ის პარაგრაფი 6 უნდა იქნას წაკითხული და დაკავშირებული მასთან კავშირში არსებულ სხვა დებულებებთან მიმართებაში, რომელიც განსაზღვრავს თვითდახმარების გამოყენების შემდეგ ინტერპრეტაციას: ა) დაუშვებელია ვინმეს უფლებებში ჩარევა, ბ) ასეთი ჩარევის საშიშროება, რომელიც გამომდინარეობს რეალური და გარდაუვალი საფრთხიდან ან, რომელიც უკვე განხორციელდა და გრძელდება დაუსრულებლად, გ) თვითდახმარება უნდა განხორციელდეს ინტენსივობის, საფრთხისა და ჩარევის ფორმებთან შესაბამის კავშირში, და დ) მაშინ, როცა მხოლოდ უფლებამოსილი პირია საფრთხეში (ან მისი კანონიერი წარმომადგენელი ანა აგენტი). თვითდახმარების გამოყენების მსგავსი ინტერპრეტაციაა აღიარებული უნგრეთში და რუმინეთშიც და სხვა კონტინენტური ევროპის განვითარებად ქვეყნებში.

თვალსაჩინოა აღინიშნოს, რომ განვითარებად ქვეყნებში თვითდახმარება მეტისმეტად კრიტიკულ ვითარებაში მიიღწევა და შეფასებულია, როგორც გამონაკლისი, ვიდრე წესი. მიუხედავად ამისა, რეალობა სხვაგვარია. პრაქტიკაში, სალიზინგო თუ საიჯარო კომპანიები, ბანკები და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციები, რომლებიც, ხელშეკრულებაში იმპლემენტირებული და კარგად აპრობირებული შესაბამისი დებულებების საფუძველზე, დახელოვნებულნი არიან კერძო აღსრულებაში, ახორციელებელ თვითდახმარებას მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას. საკითხავია ეს უცოდინრობაა თუ კარგად მოფიქრებული „რიგიანობა?“.[11]

III. თვითდახმარების ინსტიტუტი ქართულ სამართალში

ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 118-120 მუხლები აწესრიგებს ერთიან შემადგენლობას, რომლის ფარგლებშიც კანონმდებელი მოთხოვნათა „ძალისმიერ“ და „თვითნებურ“ განხორციელებას მართლზომიერად მიიჩნევს.

სსკ-ის მე-118 მუხლის შესაბამისად, თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთავს ვალდებული პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.

აღნიშნული დეფინიციის მიღმა მრავალი საკითხია დასარეგულირებელი. კერძოდ: სსკ-ით გათვალისწინებული ნორმები მეტისმეტად ზოგადი და ბუნდოვანია; სსკ-ის ნორმების შესაბამისად, რთულია თვითდახმარების ფარგლების დადგენა, ასევე თვითდახმარების

შემადგენლობის განსაზღვრა; გაურკვეველია ფორმულირება თვითდახმარების განხორციელების უფლების გამოყენებისა და კომპეტენტური ორგანოს ჩარევის ვალდებულებას შორის რიგითობის საკითხის შესახებ; რთულია თვითდახმარებას, აუცილებელ მოგერიებასა და უკიდურესი აუცილებლობით განპირობებულ ღონისძიებათა და პასუხისმგებლობათა შორის ზღვარის გავლება.

დასკვნა

არის თუ არა თვითდახმარების ინსტუტუტი დანიშნულებისამებრ გამოყენებადი განვითარებდი ქვეყნების, მათ შორის, ქართულ სამართალში? აღნიშნული საკითხი ნამდვილად საჭიროებს ყურადღებას სამართლის მეცნიერების მხრიდან, რაც ხშირად უგულვებელყოფილია. ძირითადად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებს წარმოადგენენ, რომლებიც განიცდიან აღნიშნული საკითხისადმი ნაკლებ ყურადღებას. განვითარებადი ეკონომიკა საჭიროებს ფინანსებს პროექტების, თანადროული ბიზნესისა თუ ახალი ინვესტიციების დასაფინანსებლად. თუმცა, ინვესტორები და ფინანსური კომპანიები მხოლოდ მაღალი ინტერესების მქონე კოეფიციენტზე გადაიტანენ აქცენტს თავიანთი ბიზნესის უზრუნველსაყოფად. რაც უფრო ნაკლებ უსაფრთხოებას განიცდის ინვესტორი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად, მით უფრო ძვირია აღნიშნული ვალდებულებების ფასი. შედეგად, დაცული ინვესტორი/ კრედიტორი, რომელიც ეყრდნობა არასასამართლო წესით, ინდივიდუალურ, სწრაფ და იაფ მოთხოვნათა ძალისმიერი განხორციელებისა და უზრუნველყოფის მეთოდებს გააჩნიათ მეტი განზრახვა დაბალი ინტერსესების დონეზე ინვესტიციებისა თუ კრედიტიების გაცემისა, ვიდრე დაუცველობის შემთხვევაში. აღნიშნული ერთმანეთთანაა კავშირში და მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცესი იწვევს მხოლოდ გვერდით მოვლენებს იმათთვის ვიც უნდა იყოს დაცული აღიშნული რეგულაციებით: მომხმარებლები. მართალია, თვითდახმარების საშუალება ასევე გამოიყენება და გათვალისწინებულია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში, თუმცა არ არის სათანადოდ დარეგულირებული. ნებისნიერი პირობა ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული სადაც დებიტორები ნაკლებად არიან დაცულნი. იმ შემთხვევაში თუ კრედიტორი გაუმართლებლად წაართმევს ქონებას მათი ერთადერთი საშუალება სასამართლოს მიმართვაა. გარდა ამისა, მტკიცების ტვირთიც დებიტორზეა და არა კრედიტორზე. ამიტომაცაა, რომ საერთო სამართლის სისტემა უფრო უსაფრთხო და პროგნოზირებადი, ვიდრე კონტინენტური ევროპისა.

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო, უკანონო საქმოანიბაში, ხელს უწყობს ინსტიტუტების და არა ინდივიდების მიერ ურთიერთობების რეგულირებას. კანონმდებლობა უშვებს თვითდამარების საშუალების გამოყენებას მაშინ, როცა საზოგადოების ინტერესები ან მოვალის პერსონალური ინტერესები არ დადგება ეჭვქვეშ. სასამართლოები არ არიან კეთილგანწყობილნი თვითდახმარების საშუალებისადმი გამომდინარე იმისა, რომ თუ იგი ბოროტადაა გამოყენებული იჭრება ლეგიტიმური კონფლიქტის რეგულირების ფუნქციებში ან სასამართლოს კონპეტენციაში. მარტივი გზა იმისათვის, რომ აღიკვეთოს თვითდახმარების საშუალებით საკუთრების უფლების დაცვა, იქნებოდა მისი გაუქმება, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თვითდახმარების საშუალება აუცილებელია იმისათვის, რომ შევამციროთ კრედიტის მოპოვების ღირებულება. სასამართლო პროცესები მხოლოდ ზრდის კრედიტორის ხარჯებს, რომელიც შემდგომ გადაეცემათ სხვებს კრედიტის დასაფარად. ვალდებულებების გადაუხდებობა მაღალი რისკის მქონე მსესხებლების მიერ, ასევე, ზრდის კრედიტის ღირებულაბას დაბალი რისკის მქონე პირებისთვის. ამიტომაც, თვითდახმარების სამართლებრივი ფორმა უნდა იყოს შენარჩუნებული, როგორც საშუალება მიუხედავად იმ მეთოდებისა, რომელსაც უზრუნველყოფილი მხარე მიმართავს მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისას. ძირითადი მოთხოვნას რაც უნდა განაპირობებდეს თვითდახმარების საშუალების გამოყენებას წარმოადგენს უზრუნველყოფილი მხარის, მოვალისა და საზოგადოების ინტერესების ბალანსის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. F. POLLOCK & F. MAITLAND, THE HISTORY OF ENGLISh LAW 574 (2d ed, 1923). Gambbidge, at the University Press, London
2. Ford Motor Credit Company v. Byrd 351 So. 2d 557 (Ala. 1977). http://alabama.lexroll.com/2016/12/28/reno-v-general-motors-accept-corp-378-so-2d-1103-ala-1979/
3. *Morris v. First National Bank,* 254 N.E.2d 683 (Ohio 1970). https://law.resource.org/pub/us/case/reporter/F2/811/811.F2d.310.85-4024.html; http://www.rsig.com/leading_caselaw.html
4. *Williams v. Ford Motor Credit Co.,* 674 F2d 717 (8th Cir. 1982). https://www.quimbee.com/cases/williams-v-ford-motor-credit-company
5. *Stone Machinery Co. v. Kessler,* 463 P.2d 651 (Washington 1970).
6. *Martin v. Dorn Equip. Co.,* 821 P2d 1025 (Mont. 1991). https://casetext.com/case/martin-v-dorn-equipment-co-inc
7. *Global Casting Indus., Inc. v. Daley-Hodkin Corp.,* 432 N.Y.S.2d 453 (Supreme Court of the US 1980).
8. Stanescu, C. G. (2015). *Self-Help, Private Debt Collection and the Concomitani Risks.* Budapest: Soringer International Publishing Switzerland.
9. 21 *Cox v. Galigher*, 213 S.E.2d 475 (W. Va. 1975). https://www.courtlistener.com/opinion/1380898/cox-v-galigher-motor-sales-co/
10. Sommer, O. (1993). *Textbook of The Private Roman Law.* p220
11. McRobert, R. (2012). *DEFINING "BREACH OF THE PEACE" IN SELF-HELP.* https://digital.law.washington.edu/dspace-law/bitstream/handle/1773.1/1144/87WLR0569.pdf?sequence=1

Comparative law analysis of self-help institute

Zoia Kakulshvili

Summary

Effective application of civil law means for protecting the ownership rights is the priority of political, economic and social development of a country.

Recognition and protection the ownership rights, as the core of market economics and guarantor of social welfare, freedom and adequate realization, request improvement of means.

The main goal of the project is to research the civil law means of ownership right, current problems and solutions.

In this research there is represented Ineffective protection of civil legal ownership rights which is caused by gaps in civil law means of protecting the ownership rights and ineffectiveness of institutional mechanisms;

The norms foreseen by the Civil Code of Georgia are too general and vague in terms of the civil law means of protection of ownership rights in case of applying the legal form of self-help - the research is necessary due to its large-scale and importance, its multitude use in practice, and the society's often inappropriate attitude towards the self-help means of protection of ownership right.

On the basis of the research there is confirmed the legal logic of the ownership rights and its influence results.

ხელოვნება და თანამედროვეობა

სოლომნიშვილი დავით
ისტორიის დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია თანამედროვეობის დამოკიდებულება ხელოვნებასთან: სპექტაკლი,კონცერტი, ფილმი.ხაზგასმულია ის, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება მოთხოვნადია, გაყიდვადია და საერთაშორისო ეკონომიკურ ბაზარზე თავის ადგილს იმკვიდრებს.

საკვანძო სიტყვები:

ძირითადი ტექსტი

დღეს როცა თანამედროვე ეპოქაში უამრავმა ცვლილებებმა იჩინა თავი და მსოფლიო სხვადასხვა ფორმით გამოწვევების ფონზე არსებულ რკალში მოექცა, ქართულმა კულტურამ არამც თუ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, არამედ მსოფლიო კულტურის თვალთახედვის არეალში მოხვდა. მარტო რად ღირს ქართული თეატრის გასტროლები საერთაშორისო ასპარეზზე. რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის მაგალითზე. რუსთაველის თეატრისა, რომელიც დაარსების 100ზე მეტ წელს ითვლის. თანამედროვეობის უდიდეს ყურადღებას იქცევს რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძის სარეჟისორო სკოლა, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია ახალგაზრდა თაობის ხელოვნებაზე. თუ გავიხსენებთ უილიამ შექსპირის „რიჩარდ მესამე:, ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე „, რომელსაც პოსტსაბჭოთა ეპოქაში უდიდესი წარმატება ხვდა წილად. მიხვდებით, რომ სათეატრო ხელოვნება, რომელიც თავისი ბუნებით უნიკალურია და არასოდეს არ კარგავს თავის ძლევამოსილებას, იმიტომ რომ თეატრის სხვადასხვა თაობის მაყურებელს სხვადასხვა ენაზე ელაპარაკება , უზღვავი გამოვლინების მეშვეობით. მოგეხსენებათ თეატრი უნდა პასუხობდეს დროს ან უნდა უსწრებდეს მას, ამიტომ სათეატრო რეპერტუარიც სათანადოდ იქმნება, იასმინა რეზა „არტ-ხელოვნება“ რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მიაქციეთ ყურადღება ხელოვანი ლაპარაკობს ხელოვნების ენით მნიშვნელოვან საკითხებზე. „გრონჰოლმის პროცესი“ მაყურებლებს ესაუბრება ადამიანის უფლება-მოვალეობებზე პასუხის მგებლობის იმ ნიშან-წყალზე , რასაც სამსახურეობრივი პასუხისმგებლობა ჰქვია. უილიამ შექსპირო „რაც გენებოთ“ რეჟისორი ლევან წულაძე. სპექტაკლში სახიერრად ჩანს ადამიანის თავისუფლებისადმი ლტოლვაც და ამავე დროს შეზღუდვაც. შეზღუდვის მიზეზი არის შენი შინაგანი ხმა, რომელიც მოვალეობისაკენ გიბიძგებს. არც ის არის შემთხვევითი რომ რამაზ ჩხიკაძეს ქართველი ლოურენს ოლივიე უწოდეს ინგლისელებმა. გერმანელები, რომელიც ხელოვნების ნაწარმოების უმკაცრესი შემფასებლები არიან, ნოდარ დუმბაძის „ მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ რომლის სცენური სიცოცხლე რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძეს ეკუთვნის აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ, როცა სესილია თაყაიშვილის ბებია იხილეს.

რეზო ჩხეიძის ფილმმა „ჯარისკაცის მამამ“ მსოფლიო მოიარა. სერგო ზაქარიაძის მასშტაბურმა სახემ ყველა თაობაში თავისი ადგილი დაიმკვიდრა. ვახტანგ ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტე“ ფრანგი მაყურებლის ოვაციის სიმბოლოდ იქცა.

ელდარ შენგელაიას „ცისფერი მთები“ ხომ ჩვენი ყოფა-ცხოვრების შედევრია, რომელიც რეალურსა და ირეალურ სამყაროს შორის ზღვარს შლის. გამოგონილ, შეთხზულ ამბავსაც რეალურად განგაცდევინებს გია ყანჩელის მუსიკა ხომ წარსულისა და მომავლის სინთეზია თანამედროვეობაა , რომელიც წარსულში გაბრუნებს და მომავალსაც გაახლოვებს. გავიხსენოთ თუნდაც სიმღერა „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ რეჟისორი ლანა ღოღობერიძე „როცა აყვავდა ნუში“ და „ცისფერი მთები“ გიორგი შენგელაია.

ელენე ახვლედიანის „პეიზაჟი“, დავით კაკაბაძის „იმერული მოტივები“, ქეთევან მაღალაშვილის „ განუმეორებელი პორტრეტები“, ქეთევან მატაბელის „მზისფერთა ჰარმონია“ ძვე-

ლი და ახალი დროის გამოძახილია.

ვახტანგ კახიძის დირიჟორული ჟესტი კლასიკური მუსიკის ენით გამოთქმული ხელოვნების ბიზნესია. ქართული ესტრადის მომღერალთა, მოცეკვავეთა, ვოკალ-ინსტრუმენტულ ანსამბლთა, იინდივიდუალურ შემსურულებელთა კონცერტები საიუბილეო საღამოები.ე.წ ბენეფისები. საესტრადო ორკესტრის, ჯაზ ბენდის, მხედველობაში გვაქვს ვარსკვლავის გახსნა.უცხოეთიდან ჩამოსული საბალეტო და საოპერო დასის მიერ გამართული სპექტაკლები, ქორეოგრაფიული საღამოები, პრემიერები, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს მაყურებელში. რადგან სპექტაკლი ახლად შეთხზული გამოგონილი , შექმნილია, რომელიც მანამდე დრამატურგის, მსახიობის, რეჟისორის, მხატვრის, ქორეოგრაფის, კომპოზიტორის სილში ბინადრობს.სცენაზე მისი პირუთვნელი შემფასებლის მაყურებლის თვალწინ იბადება. ქართული თეატრის, კინოს, ესტრადის ჩინებულმა არტისტმა სესილია თაყაიშვილმა ბრძანა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში:"მსახიობი იბადება და არ კეთდება".

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში არტისტებთან შეხვედრები იმართებოდა, ზურაბ ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე. სათეატრო პრაქტიკამ ესეც კიშემოსავლის წყაროდ აქცია, რომელმაც კეთილისმყოფელი ზეგავლენა იქონია მაყურებელზე.

სუხიშვილების 70 წლიანმა ცხოვრებამ მსოფლიოს დაანახა ქართული ცერის სიძლიერე და ქალთა კლდემამოსილება, რომელიც ანსამბლის ტრიუმფატორების, ნინო რამიშვილის და ილიკო სუხიშვილის დიდი ძალისხმევის შედეგია და ბილეთზე ლაპარაკი ზედმეტია. საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი , გასულ საუკუნეში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ვერიკო ანჯაფარიძის სასცენო მოღვაწეობის 70 წლისთავი გაიმართა სრული ანშალაგით. მოსაწვევებით. წარმოიდგინეთ ბილეთები რომ გაყიდულიყო რამდენად დიდი შემოსავალი იქნებოდა. ერთი ხომ ცხადზე უცხადესია, რომ ნამდვილი ხელოვნება, რომელიც სულის საზრდოა, სულიერი სამოსია, ყოველთვის გაყიდვადია, მომგებიანია და რაც მთავარია საერთაშორისო ეკონომიკურ ბაზარზე შემოსავლიანია.ისმის კითხვა, რა არის პირველი ნაბიჯი სანახაობისაკენ, ეს არის რეკლამა, რომელიც ლათინური სიტყვაა და ყვირილს ნიშნავს. სპექტაკლზე კონცერტზე, კინოთეატრში, მსახიობთან, მწერალთან შესახვედრად რეკლამა გვიხმობს. არის კიდევ ერთი პატარა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელსაც ბილეთი ჰქვია. რატომ არის ბილეთის შეძენა მთავარი?, იმიტომ რომ სწორედ ბილეთშია აღნიშნული მაყურებლისთვის , მსმენელისთვის, განკუთვნილი ადგილი, ლოჟა, ბენუარის ლოჟა, პარტერი, ამფითეატრი. ესეიგი სანახაობის შემოსავლის უპრველესი წყაროა ბილეთი. მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლზე „მთვრალი ალუბალი" დაიბეჭდა 700 ბილეთი. რეჟისორი ლევან წულაძე. სპექტაკლი იმდენად მოთხოვნადია იმდენად პოპულარულია, რომ ბილეთის რეალიზება სწრაფად ხდება. ბილეთის რეალიზების თანამედროვე მეთოდი ეს არის კომპიუტერულ სისტემაში არსებული გვერდი, biletebi.ge. რით აიხსნება სპექტაკლის ასეთი მოთხოვნა- მაყურებლის დიდი ინტერესიდან გამომდინარე, რომელიც თვისობრივად ზრდის თეატრის შემოსავალს.

2017 წლის შობა ახალი წლისთვის თბილისის ცირკში საგასტროლოდ ჩამოვიდა ბელორუსიის, რუსეთის, ჩინეთის ცირკი ბილეთის ფასი 10-25 ლარი. ერთი თვის მანძილზე ბილეთის შოვნა შეუძლებელი იყო. აქედან გარკვეული პროცენტით თბილისის ცირკის შემოსავალი გაიზარდა.

მარიონეტების თეატრის სპექტაკზე „მაშა დეფაქტიეს ბრილიანტი" რეჟისორი რეზო გაბრიაძე, დარბაზში ტევა არ იყო. სალაროს მომცრო წარწერა ამშვენებდა ყველა ბილეთი გაყიდულია , თეატრის ადმინისტრაცია. ბილეთის ფასი 10-20 ლარი. რიგით სპექტაკლზე ასეთი მოთხოვნაა. თეატრის შემოსავალიც მაღალია.

რუსთაველის თეატრში დაიდგა სპექტაკლი „ მერე რა რომ სველია სველია იასამანი" რეჟისორი რობერტ სტურუა, რომელიც გარკვეული ხნის მანძილზე წარმატებით მიდიოდა,

იმდენად, რომ თეატრი პატიმრებით აივსო. ცხადია შემოსავალიც გაიზარდა.

მეოცე საუკუნეში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა თამარ იშხნელის შემოქმედებითი საღამო დარბაზში ტევა არ იყო.ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბასში ჯემალ ბადაშვილის მიერ დაარსებული ლომისი „იუმორინა“ რომელიც სოლიდური შემოსავლის წყაროა და მაყურებლის ყველა თაობისათვის მისაღები, საინტერესოა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე თეატრის შემოსავალი გამყარებული და განპირობებულია მაყურებლის, მსმენელის გემოვნებაზე, ესთეტიკური ტკბობის ხარისხზე. გამომდინარე აქედან, ხელოვნების სახეობრივ ენას, რომელიც მდიდარი გამომსახველობითი საშუალებებით ხასიათდება მხოლოდ მას შეუძლია და შედეგიც არ აყოვნებს, თეატრის, კონცერტის შემოსავალი სოლიდურად წარმოაჩინოს.

გამოყენებული ლიტერატურა :

1)კომპიუტერული საიტი

2)ნ.ურუშაძე, „ვერიკო ანჯაფარიძე“ 2001წ

3) ვ.კიკნაძე, „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ ტომი პირველი 2003წ

4)დ.სოლომნიშვილი „ქართული ესტრადის ისტორია 50-იან წლებამდე“ 2015წ

Art and Modernity

Davit solomnishvili

Resume

In the article is discussed modern dependent on art:spectacle,concert,film.There is noticed,that true art is demanded, sold and has his place in international economic market.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფოებრივ მართვას სრულყოფა სჭირდება

სოსელია მაია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებელი პროფესორი

ინასარიძე ლელა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იმართოს ჯანმრთელობის დაცვა საბაზრო ურთიერთობების პირობებში. ეს საკითხი პრობლემად და სადისკუსიოდ არის ქცეული მთელ მსოფლიოში, რასაც განაპირობებს სამედიცინო მომსახურების ბაზრის სპეციფიკურად, ჩვეულებრივი ბაზრისგან განსხვავებული თვისება. იგი გამოიხატება ინფორმაციის ასიმეტრიაში. კერძოდ, განსხვავებით სხვა სახის საქონლის მომხმარებლისგან, რომელსაც სრული ინფორმაცია აქვს საქონელზე, აქ, ე. ი. სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელი, ანუ პაციენტი, მისთვის საჭირო სამედიცინო მომსახურების შესახებ ნაკლებად ინფორმირებულია. ასე რომ, მოცემულ შემთხვევაში, მკურნალი ექიმი წყვეტს მომსახურების მიწოდების საკითხსაც და მოთხოვნის საკითხსაც.

სტატიაში წარმოდგენილია ღონისძიებები, რომელთა გატარება სჭირდება სახელმწიფოს იმისთვის, რომ ექიმებმა ბოროტად არ გამოიყენონ თავიანთი სტატუსი.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო ბაზარი, ბაზრის რეგულირება, ფასიანი მომსახურება, ექიმი, პაციენტი.

1. ჯანდაცვის სფეროს მართვა – ადამ სმიტის „უჩინარი ხელი“, თუ სახელმწიფოს მმართველობითი ხელი?

როგორც ცნობილია, შოტლანდიელმა მეცნიერმა ადამ სმიტმა XVII საუკუნის ბოლოს მსოფლიო საზოგადოებას შესთავაზა მოძღვრება, რომლის მთავარი არსი იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა და მიწოდება-მოთხოვნის კანონის შესაბამისად ჩამოყალიბებულ თავისუფალი ფასების საფუძველზე ბაზრის თვითრეგულირება.

ამ მოძღვრების შექმნის დღიდან დაწყებული დღევანდელი პერიოდის ჩათვლით, იგი მუდმივად განსჯის და დისკუსიის საგანია. დისკუსიას იწვევს სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბი განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფო სახსრები იხარჯება. ერთ-ერთი ასეთი სფეროა ჯანმრთელობის დაცვა.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ჯანდაცვის სისტემა უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებს მრავალფეროვანი საკუთრების (კერძო, სახელმწიფო და სხვა) პირობებში. ფასიანი სამედიცინო მომსახურების კერძო სექტორის წარმოქმნა და განვითარება, როგორც გარდამავალი ეკონომიკის შედეგი, ნებისმიერ ქვეყანაში ობიექტურად აუცილებელია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისა და ფენების სამომხმარებლო მოთხოვნის ღრმა დიფერენციაციის პირობებში. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მაღალშემოსავლიანი ფენა უპირატესობას ანიჭებს კერძო სექტორის სამედიცინო მომსახურებას – როგორც უფრო კვალიფიციურს, თანაც პაციენტს ექიმის, სამედიცინო დაწესებულების და მომსახურების ფორმის ფართო არჩევანის საშუალება ეძლევა. ამავე დროს, მედიცინის ფასიანი სექტორის ფუნქციონირება ითვალისწინებს არა სახელმწიფოს მიერ შექმნილი ჯანდაცვის მომსახურების შეცვლას, არამედ მომხმარებლის ალტერნატიული, ან დამატებითი მომსახურებით უზრუნველყოფას.

ამ თვალსაზრისით, კერძო სექტორის ფასიანი სამედიცინო მომსახურება, რასაკვირველია, ხელს უწყობს დარგში კონკურენციის გაძლიერებას და სამედიცინო მომსახურების

ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე იძლევა საუკეთესო კლინიკური და სამეცნიერო მიღწევების დანერგვის საშუალებას, რომლებიც შემდგომში შეიძლება ფართოდ გავრცელდეს ჯანდაცვის სახელმწიფო სისტემაში. სხვა საქმეა, რომ ჯანდაცვა როგორც დარგი, ხასიათდება სპეციფიკური ნიშან-თვისებებით, რის გამოც ამ სფეროში ნაწილობრივ შეზღუდულია საბაზრო კანონების მოქმედება. საქმე ეხება ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთ სერიოზული პრობლემას – წინააღმდეგობას კომერციულ ეფექტიანობას და საზოგადოების სოციალური კეთილდღეობის დონეს შორის. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით თავს იჩენს ჯანდაცვის ჰოსპიტალურ სექტორში.

სამედიცინო მომსახურების ბაზრის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა – ექიმის გადამწყვეტი როლი ავადმყოფის მოთხოვნის ფორმირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარზე სამედიცინო მომსახურების მიწოდება ყალიბდება მოთხოვნის ზემოქმედების შედეგად, პაციენტს არ გააჩნია საჭირო ცოდნა და სრული ინფორმაცია ამ მომსახურების შესახებ. პაციენტი ცუდად ერკვევა მისთვის საჭირო მომსახურების შინაარსში, რაც უძნელებს არჩევანის გაკეთებას და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულს ხდის ექიმის კვალიფიკაციასა და ზნეობაზე. ჩვეულებრივი ბაზრისაგან განსხვავებით, სადაც მომხმარებელი საკმაოდ კარგად ინფორმირებულია. ჯანდაცვაში პაციენტის ინფორმირებულობა არასაკმარისია [1, გვ. 135]. ექიმი არა მარტო სთავაზობს პაციენტს ინდივიდუალურ დიაგნოსტიკურ პროცედურებს და თერაპიულ ღონისძიებებს, არამედ ირჩევს მკურნალობის ოპტიმალურ ვარიანტს. ექიმი ან მიზანშეწონილად თვლის ავადმყოფის მიერ არჩეული მკურნალობის ამა თუ იმ ვარიანტს, ან თვითონ განსაზღვრავს მის აუცილებლობას სამკურნალო-დიაგნოსტიკური პროცესის ხარისხის გარანტით. სწორედ ექიმი აყალიბებს საკუთრივ მოთხოვნილებას სამედიცინო დახმარებაში, როდესაც ავადმყოფმა ზოგჯერ არც იცის მისი აუცილებლობის შესახებ. ამრიგად, სამედიცინო მომსახურების მართვის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის სპეციფიკური ხასიათი, კერძოდ, პაციენტის სამედიცინო მომსახურებაზე ექიმის მიერ, ჭარბი მოთხოვნის ხელოვნური ფორმირების შესაძლებლობა.

აი, სწორედ, ასეთ დროს ისმება კითხვა: შეიძლება, რომ ჯანდაცვის სფეროს მართვა, როცა იქ სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა-მიწოდება ასეთი სპეციფიკური თავისებურებით ხასიათდება, მივანდოთ ადამ სმიტის „უჩინარ ხელს?“ ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. ჩვენ ვთვლით, რომ ჯანდაცვის სფეროს საქმიანობაში სახელმწიფოს ჩარევის მასშტაბი უნდა იყოს ფართო.

განსხვავებით ზოგიერთი მეცნიერისგან, რომელიც თვლის, რომ სახელმწიფოს უმთავრესი როლი მდგომარეობს ჯანდაცვის ზოგადი პოლიტიკის შემუშავებაში არ არის საკმარისი, და, ის დარღვევები, რაც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემაშია და მათ შორის ჰოსპიტალ;ურ სექტორშიც, ამ ზოგადი პოლიტიკის შედეგია.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე სახელმწიფოს ზრუნვა საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლშია დაფიქსირებული, მასში ვკითხულობთ: „სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობს“. ამ ნორმის აღსრულებისთვის იქვე არის მოცემული შემდეგი მექანიზმები:

- სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირება და სამედიცინო დაწესებულებების ლიცენზირება;
- სამედიცინო დახმარების და მომსახურების ხარისხის კონტროლი;
- სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობა და ჰიგიენური ნორმირება;
- სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი, ფარმაციისა და ფარმწარმოების მოწესრიგება;
- ახალი სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვისთვის ხელშეწყობა;

- პაციენტსა და სამედიცინო საქმიანობის სამართალსუბიექტს შორის ურთიერთობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა;
- სპეციალური სამედიცინო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- სამედიცინო მეცნიერების განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- ქვეყნის ტერიტორიაზე ეპიდემიოლოგიური კონტროლის განხორციელება;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროს განვითარებისათვის ხელშეწყობა სათანადო ინსტიტუციონალური მოწყობისა და სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების განხორციელების გზით [3].

ამ მექანიზმების ამუშავება დავალებული აქვთ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მმართველობის ორგანოებს – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს და სხვებს.

2. ჯანდაცვის სფეროს მმართველობითი ორგანოები საქართველოში

საქართველოში ჯანდაცვის სახელმწიფოებრივ მართვას ახორციელებს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. იგი საქართველოს მთავრობასთან ერთად, პასუხისმგებელია ჯანდაცვის პოლიტიკის, სისტემის ფუნქციონირებისთვის საჭირო ნორმატიული ბაზისა და რეგულირების მექანიზმების შემუშავებაზე. ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების წილისა და ბაზისური პაკეტის განსაზღვრაზე, სახელმწიფო პროგრამების შექმნაზე, ადამიანური რესურსების განვითარებაზე, მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდების რეგულირებაზე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფაზე.

სახელმწიფო პროგრამებისთვის შესყიდვებს და ადმინისტრირებას ახროციელებს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების სააგენტო, სოციალური მომსახურების სააგენტო და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

სოციალური მომსახურების სააგენტო. სოციალური მომსახურების სააგენტო ადმინისტრირებას უწევს რამდენიმე ათეულ სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას. სააგენტო მრავალმილიონიანი ხარჯების განმკარგავი სამსახურია, რომელიც ორიენტირებულია მრავალფეროვანი მომსახურებისა თუ დახმარების საჭიროების მქონე კონტინგენტის სოციალურ უზრუნველყოფაზე, მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური, სახელმწიფომ პროგრამებით მაქსიმალურ მოცვაზე. სახელმწიფო პენსია, სოციალური დახმარება, ჯანმრთელობის დაზღვევა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა სათანადო უზრუნველყოფა. მზრუნველობამოკლებული ბავშვების მეურვეობა-მზრუნველობა და სხვა, ის საკითხებია, რომლის ფარგლებსიც სააგენტოში დასაქმებულია 2000-ზე მეტი თანამშრომელი დაალხოებით 2,5 მილიონ საქართველოს მოქალაქეს (საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტი) ემსახურება. სააგენტო საქართველოს მოქალაქეებს უზრუნველყოფს უფასო სამედიცინო დაზღვევით, რაც სახელმწიფო დაფინანსებით ბენეფიციართა სრულყოფილ სამედიცინო მომსახურებას ნიშნავს. სოციალური მომსახურების სააგენტო, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოა, რომელიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და შეზღუდუდლი შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს სხვადასხვა პრივილეგიებს, შეღავათებსა და საჭირო მომსახურებებს სთავაზობს, მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ძირითადი მიზანი არის მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენის მხარდაჭერა, მოქალაქეთათვის გაწეული მომსახურების ხარისხის ამაღლება, სერვისების დახვეწა, მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომ და მოქნილ მექანიზმებზე გადაყვანა.

სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო. სამედიცინო საქმია-

ნობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, სააგენტო მაკონტროლებელი ორგანოა, რომელიც:

- მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების საფუძველზე, შეისწავლის სამედიცინო დახმარების ხარისხს;
- აწარმოებს სამედიცინო დაწესებულებებში სალიცენზიო-სანებართვო (ჰოსპიტალში) და ტექნიკური რეგლამენტით (აბსოლუტურული ტიპის დაწესებულებებში) განსაზღვრული პირობების დაცვის მონიტორინგს;
- ახდენს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ინსპექტირებას;
- კონტროლს უწევს სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის მიმდინარეობას.

სააგენტო ახორციელებს:

- სამედიცინო დაწესებულებებზე ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას;
- სამედიცინო დაწესებულებების და სასწავლებლების დიპლომისშემდგომ მზადებაზე აკრედიტაციის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;
- უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პერსონალის სასერთიფიკაციო გამოცდების ჩატარების და სერტიფიკატის გაცემის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას;
- დიპლომისშემდგომი მზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესში მონაწილეობას;
- შესაბამისი რეესტრების წარმოებას;
- პროფესიული განვითარების საბჭოს სამიდვნოს ფუნქციას;
- გასცემს ნებართვებს სხვადასხვა ტიპის აფთიაქის ფუნქციონირებასა და კლინიკურ კვლევებზე, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოებაზე;
- ახორციელებს ფარმაცევტული პროდუქტის (როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი წარმოების) რეგისტრაციას;
- ახორციელებს სამკურნალო საშუალებების მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს, ატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ამრიგად, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს გამართულ და კომპეტენტურ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული მთლიანად ჯანდაცვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება, მაღალი დონის მენეჯმენტის მიერ შესრულებული ფუნქციების ეფექტურობა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში წამყვან ორგანიზაციას წარმოადგენს.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. იგი ანგარიშვალდებულია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე და ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით. გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის განხორციელებაში ცენტრი ეროვნულ დონეზე წამყვან ორგანიზაციას წარმოადგენს. იგი შეიმუშავებს ეროვნულ სტანდარტებს, სახელმძღვანელო რეკომენდაციებს (გაიდლაინებს), ხელს უწყობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ახორციელებს ეპიდზედამხედველობას, იმუნიზაციის პროგრამას, ლაბორატორიულ სამუშაოებს, კვლევებს, უზრუნველყოფს კონსულტაციებს და რეაგირებს საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საგანგებო მდგომარეობებზე. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი აწარმოებს ჯანდაცვის სტატისტიკას.

2013 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი განვითარების შემდეგ ეტაპზე გადავიდა. განხორციელდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ინტეგრაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან, რის შედეგადაც იგი რეგიონში გამორჩეული გახდა ლაბორატორიული შესაძლებლობებით საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში. მისი შემდგომი განვითარების სტრატეგია შემუშავებულია და ეფუძნება საქართველოს კონსტრუქციას და საქართველოს კანონებს. კერძოდ:

- ჯანმრთელობის დაცვის შესახებ;
- აივ ინფექცია/შიდსის შესახებ;
- იოდის, სხვა მიკროელემენტებისა და ვიტამინების დეფიციტით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკის შესახებ. ასევე საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კონვენციებს.

ჯანმრთელობის დაცვის მედიაციის სამსახური. პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დაცვა ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოში პაციენტის ინტერესების დაცვის მექანიზმების უფრო ფართოდ ამოქმედება სადაზღვევო თუ სამკურნალო ურთიერთობებში დიდ მნიშვნელობას იძენს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, 2008 წელს დაარსდა ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური, რომელიც 2012 წლის ივნისში ჩამოყალიბდა როგორც სსიპ „სამედიცინო მედიაციის სამსახური“. მედიაციის სამსახურის შექმნა ის პირველი ნაბიჯია, რომელიც პაციენტებს საშუალებას აძლევს, იბრძოლონ თავიანთი დარღვეული უფლებების დასაცავად.

მედიაციის სამსახურის შესაძლებლობების გაზრდა პაციენტის უფლებების დაცვის მიმართულებით, უფლებამოსილების დელეგირება – სადაზღვევო კომპანიებსა და სამედიცინო დაწესებულებებს საჭიროების შემთხვევაში ფინანსური სანქციები დააკისროს, ის მექანიზმებია, რომლებიც კანონში უნდა ჩაიდოს.

2010 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა საქართველოს ჯანდაცვის მართვის ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო სისტემა-სტრატეგია „ჯანმრთელი საქართველო შენთვის“. ელექტრონული ჯანდაცვის სისტემა აკავშირებს სადაზღვევო კომპანიებს, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს, ფარმაცევტულ დაწესებულებებს და მარეგულირებელ ორგანოებს, რათა გაცვალონ სარწმუნო ინფორმაცია, გაზარდონ ინფორმაციის ხარისხი და ეფექტურად მართონ რესურსები.

ელექტრონული ჯანდაცვა შემდეგი ძირითადი კომპონენტებისაგან შედგება:

- ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერებნის სისტემა (EMR);
- ფინასური აღრიცხვა;
- სამედიცინო საქმიანობის რეგულირება;
- სადაზღვევო კომპანიების, სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების საინფორმაციო პორტალი;
- ელექტრონული რეცეპტისა და ფარმაცევტული სექტორის მართვა;
- იმუნიზაცია და ვაქცინაცია;
- სამედიცინო მედიაცია და სხვ.

3. საქართველოს ჯანდაცვის მართვის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვის სამედიცინო დაწესებულებებზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ მოცემული სფეროს საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მხრიდან მისი მართვის და რეგულირების ფართომასშტაბიანი პროგრამების

განხორციელების მიუხედავად, იქ, სახელმწიფოს ხელი ყველგან მაინც ვერ სწვდება. ვერ სწვდება მას ბაზრის ადამ სმიტის „უჩინარი ხელიც“. ამის მიზეზი ჯანდაცვის, სახელმწიფოებრივი მართვის არასრულყოფილება კი არ არის, არამედ, სამედიცინო ბაზრის არასრულყოფილება, ანუ სამედიცინო ბაზარზე ინფორმაციის ასიმეტრია. აქ, ამ სფეროში არ არსებობს არც სამედიცინო მომსახურების მოთხოვნა-მიწოდებაზე და არც სამედიცინო დახმარების ხარისხზე ზუსტი კრიტერიუმები. ყოფილ საბჭოთა პირობებში არსებული ჯანდაცვის ზედმეტად ცენტრალზიებული მართვა ზედმეტად ფრაგმენტულად დაიშალა და თითოეულ სამედიცინო დაწესებულებას – სახელმწიფოებრივ თუ კერძოს მიეცა ავტონომია, რამაც უფრო მეტად გამოიწვია მათი უფლებების გაფართოება, ვიდრე პასუხისმგებლობა მკურნალობის ხარისხის მიმართულებით.

სამედიცინო დაწესებულებებმა, ავტონომია, უპირველეს ყოვლისა, სამედიცინო პროცედურებზე მაღალი ფასების დაწესებით გამოხატეს. საწყის ეტაპზე ამან მათ შეუმცირა პაციენტების რაოდენობა, მაგრამ ამას მათ პროცედურების რაოდენობის (ხშირად არასაჭირო პროცედურების) გაზრდით უპასუხეს (ხდება ისეც, რომ იაფად ღირებულ პროცედურებს ანაცვლებენ ძვირადღირებულით [4, გვ. 33]). შემდეგ, მათივე აგენტურის „მუშაობით“ პაციენტებში თანდათან დამკვიდრდა აზრი, რომ პროცედურები ძვირია იმიტომ, რომ ისინი მაღალხარისხოვნად სრულდება. როცა მოსახლეობა ასე ფიქრობს, ისინი საჭირო შემთხვევაში, მატერიალურად უჭირთ თუ არ უჭირთ, მაინც უპირატესობას აძლევენ ძვირადღირებულ კლინიკებს. ასეთ პირობებში, რადა თქმა უნდა, შედარებით იაფი სამედიცინო დაწესებულებები მათ კონკურენციას ვერ უწევენ.

ჩვენ იმ აზრის ვართ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო მმართველობითმა ორგანოებმა შექმნან კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომ სამედიცინო დაწესებულებებმა ასეთი მანიპულაციები ვეღარ განახორციელონ. იქნებ ეს იყოს სამედიცინო მომსახურების ფასების ზედა და ქვედა ზღვრების დაწესება, პროცედურების სავალდებულო რაოდენობის და ჩამონათვალის დაწესება და ა. შ.

დასკვნა

სტატიაში შესწავლილი საკითხი იძლევა საშუალებას გაკეთდეს ასეთი შემაჯამებელი დასკვნა: რადგან, სამედიცინო მომსახურების სპეციფიურობა არსებითად ანსხვავებს მას ჩვეულებრივი საბაზრო მოდელისგან, რომელსაც, როგორც წესი, ადამ სმიტის „უჩინარი ხელი“ მართავს, ამიტომ ეს სფერო უნდა იმართებოდეს ძირითადად სწორედ სახელმწიფოს მიერ. საქართველოში ეს ასეც ხდება. ჯანდაცვის სფეროს სამართავად საქართველოში შექმნილია სათანადო მმართველობითი სტრუქტურები, მაგრამ სამედიცინო დაწესებულებებს მიცემული აქვთ რა ავტონომია, ამას ისინი მაღალი მოგების უზრუნველსაყოფად იყენებენ. კერძოდ, აძვირებენ სამედიცინო მომსახურებას, ზრდიან პროცედურების რაოდენობას და ა. შ. ამის აღსაკვეთად საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს უფრო ძლიერი მაკონტროლებელი მექანიზმი, ვიდრე ეს გაიდლაინებია და ეთიკის კომისიები.

ლიტერატურა:

1. ვერულავა თ., ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა, თბ., 2009.
2. Tomas E. Getzen. Health Economich Fundamentals and Flow of Funds. Temple University, 2004.
3. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
4. Зенина Л., Шашунов И., Чертухина О., Экономика и управление в здравохранении, М., 2014.

Healthcare Management Requires Improvement

Healthcare Management Requires Improvement

Maia Soselia

Lela Inasaridze

Summery

The article considers the issue how to manage the health care in market relations. It has become a topic of discussion and concerns in the whole world. It is resulted in by the specific, different from the ordinal market feature of the medical service. It is expressed in asymmetry of the information. In particular, unlike the consumers of other goods that have complete information about the goods, here i.e. in medical service, market consumers or patients are less informed about the necessary for them goods. Therefore, the doctor decides both the issue of the service provision and requirements.

The article presents the measures required for the government in order to prevent doctors from status abuse.

ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება

ფიფია ნინო
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ხელშეკრულება ისეთი შეთანხმებაა, რომელიც მისი მონაწილეთათვის იწვევს განსაზღვრული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობას, შეცვლას ან გაუქმებას (ხელშეკრულებიდან გასვლას ანდა მოშლას).[1] ხელშეკრულების მოშლა (გერმანულად – Kündigung[2]) ხელშეკრულების დასრულების ერთ-ერთი სახეა, ქართულ კანონმდებლობაში ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტის აღრევა ხდება ხელშეკრულებიდან გასვლის (გერმანულად – Rücktritt[3]) ინსტიტუტთან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში[4] ამ ორი ინსტიტუტის მკაფიო გაუმიჯნაობის გამო. სწორედ მათი გამიჯვნის მიზნით სტატიაში ის დეტალები ჩამოვაყალიბეთ, რომლებიც ხელშეკრულების მოშლისათვისაა დამახასიათებელი.

საკვანძო სიტყვები: *ხელშეკრულება, მოშლა, გრძელვადიანი.*

ძირითადი ტექსტი

ხელშეკრულების მოშლას, მიუხედავად მისი საფუძვლისა, მოსდევს სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობების მოშლა და არ იწვევს მხარეების მიერ უკვე მიღებული სარგებლის დაბრუნებას.[5] რესტიტუცია, მოშლის შემთხვევაში წარმოუდგენელია.[6] ხელშეკრულების მოშლის დროს მხარეს სურვილი აქვს, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის გარეშე შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა.[7] ამ წესიდან გამონაკლისი დადგენილია სსკ-ის[8] 399.4-ე მუხლით: თუ უკვე შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის რაიმე ინტერესს.

ხელშეკრულების მოშლა მხოლოდ გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება. გრძელვადიანი ისეთი სახელშეკრულებო ურთიერთობაა, რომელიც ერთჯერადი შესრულებით არ შემოიფარგლება და მხარეები მრავალჯერადად განსახორციელებელ შესრულებებს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ითვალისწინებენ. გერმანულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში ასეთ ხელშეკრულებებს განგრძობადი ხელშეკრულებები ეწოდება,[9] ვინაიდან ეს არის სახელშეკრულებო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც შესრულების ერთიანი აქტით არ ამოიწურება და შესრულების გან-

---

[1] ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბ. 1999 წ. გვ. 15

[2] ქართულ-გერმანულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია: ttp://gil.ge/gergeo.php (უკანასკნელად ნანახია: 01. 04. 2017)

[3] იქვე: დასახელებული ლექსიკონი

[4] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1987 წ. ხელმისაწვდომია: www.matsne,gov.ge (უკანასკნელად ნანახია: 05.04.2017) შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც-სსკ.

[5] ჭანტურია ლ. და ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი III. თბ. 2001 წ. გვ. 233

[6] ჩიტაშვილი ნ. შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების და შეუძლებლობა. სამართლის ჟურნალი N2, თბ. 2011 წ. გვ. 171. ხელმისაწვდომია: http://documents.tips/documents/-2011-2-5624219c67050.html (უკანასკნელად ნანახია: 12.06.2016)

[7] ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანიძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, თბ. 2014 წ. გვ. 28

[8] იხ: სსკ. მუხლი 399.4

[9] *Markesinis B, Unberath H, Johnston A, The German Law of Contract-A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon. 2006 y. pp. 436-437.* ხელმისაწვდომია: www.twirpx.com. (უკანასკნელად ნანახია: 12.05.2016)

მეორებად აქტებს საჭიროებენ.[1] ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება ისეთ გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში, როგორებიცაა ქირავნობის ხელშეკრულება, იჯარა, ლიზინგი, ფრენშაიზინგი, სადაზღვეო ხელშეკრულება, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, ერთობლივი საქმიანობა-ამხანაგობა, კრედიტი, შენახვა, საქონლის პერმანენტულად მიწოდების ხელშეკრულებები და ა.შ.

სსკ. არ იძლევა „ხელშეკრულების მოშლის“ ინსტიტუტის დეფინიციას. ამ ინსტიტუტის ცნება შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს. ხელშეკრულების მოშლა არის სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც გულისხმობს პირის (ან პირების) უფლებას გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობისას პატივსადები საფუძვლების[2] არსებობისას ცალმხრივი ნების გამოვლენით (ან შეთანხმებით) მოახდინოს სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა.

ხელშეკრულების მოშლისას წყდება სახელშეკრულებო ურთიერთობა, სუბიექტური უფლებები და მოვალეობები,[3] ხელშეკრულების მოშლა ორიენტირებულია მომავალში შესასრულებელ ვალდებულებებთან მიმართებაში და მისი ფუნქციაა შესრულებაზე მომავალში უარის თქმა.[4] ხელშეკრულების მოშლა გრძელვადიან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ხელშეკრულების მხარეთა ინტერესების დაცვისათვის შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება საკმარისი არ არის. როგორც საქართველოს ისე გერმანიის კანონმდებლობა[5] (სსკ-ის 398-ე მუხლი, გერმანული ანალოგით-გერმანული სამოქალაქო კოდექსის[6] 313-ე და 314-ე[7] მუხლები) მხარეებს ავალდებულებს პირველ რიგში ხელშეკრულება შეცვლილ გარემოებებს მიუსადაგონ და მხოლოდ ამის შეუძლებლობის შემთხვევაში მიმართონ ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტს.[8]

შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი რეალურად არის წინაპირობა როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის ისე მოშლის, თუმცა სსკ-ის 398.3-ე მუხლის[9] დისპოზიციის თანახმად ეს ინსტიტუტი არის მხოლოდ ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობა: „მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.“ აქ არაფერია ნათქვამი ხელშეკრულების

---

[1] გოგუა ქ. სადისერტაციო ნაშრომი, ხელშეკრულებიდან გასვლის შედარებით სამართლებრივი დახასიათება, სტუ. თბ. 2012 წ. გვ. 104-111

[2] „პატივსადები საფუძველი“ ისეთი მნიშვნელოვანი საფუძველია, რომელიც წარმოიშობა შეცვლილ გარემოებათა შედეგად (ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით (სსკ-ის 399.1-ე მუხლი, გსკ-ის 314.1-ე მუხლი) ან დაუძლეველი ძალის შედეგად) რომლებიც მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს რისკების გადანაწილებისას ხელშეკრულების დადების დროს - (იხ: მაჭარაძე მ. სამაგისტრო ნაშრომი: ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟ. ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა თბ. 2008 წ. გვ. 148)

[3] „სუბიექტური უფლება გულისხმობს უფლებამოსილი პირის შესაძლო ქცევის სამართლებრივად უზრუნველყოფილ საშუალებას, ხოლო სუბიექტური ვალდებულება - ვალდებული პირის სამართლებრივად განპირობებული აუცილებელი ქცევაა კონკრეტული სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში.“ ციტირებულია: თოდუა მ. ჟ. ვალდებულებითი სამართალი, სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბ. 2006 წ. www.gyla.ge

[4] მაჭარაძე მ. დასახელებული ნაშრომი. გვ 147-148

[5] იხ: Bürgerliches Gesetzbuch 1984 y. ხელმისაწვდომია: www.gesetze –im-internet.de (უკანასკნელად ნანახია: 15.10.2016)

[6] შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც-გსკ.

[7] იხ: Zimmermann R, Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations, 48th Conference-Seminar. Rome. 2002 y. სტრიქონი 79. ხელმისაწვდომია: www.cisg.law.pace.edu (უკანასკნელად ნანახია: 15.10.2016)

[8] იხ: Markesinis B. Unberath H. Johnston A. დასახელებული ნაშრომი: pp. 591-593

[9] სსკ. მუხლი 398.3

მოშლის ინსტიტუტზე, მაშინ როდესაც სსკ-ის 398-ე მუხლის[1] ანალოგ გსკ–ის 313.3-ე მუხლის[2] დისპოზიციაში კი პირდაპირაა მითითებული ხელშეკრულების მისადაგებაზე „გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების მოშლა“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველ კანონმდებლებს უბრალოდ გამორჩათ მუხლის ამ ნაწილის დამატება სსკ-ში და მასში გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებისას შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების ინსტიტუტი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

სსკ-ის 398–ე მუხლი[3] ჩვენი აზრით არის ხარვეზიანი, რადგან იგი ამავე დროს, ხელშეკრულების მხარეს აძლევს უფლებას, დაუსაბუთებლად განაცხადოს უარი ხელშეკრულების მისადაგებაზე, რითაც იზღუდება სასამართლოსათვის მიმართვის გზით ხელშეკრულების მისადაგების განხორციელება, „ხელშეკრულების მოდიფიცირების მოთხოვნის უფლება“.[4]

სსკ-ში კონკრეტულად ხელშეკრულების მოშლას ვალდებულებითი სამართლის არც ერთი თავი არ ეძღვნება. ამ ინსტიტუტს სხვადასხვა თავში რამდენიმე მუხლი აქვს დათმობილი. სსკ-ის ვალდებულების დარღვევის კარის, ზოგადი დებულებების თავში, მუხლი 399 „უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობაზე“[5]. სსკ-ისაგან განსხვავებით გსკ-ში მოშლის მარეგულირებელი ძირითადი ნორმები განაწილებულია ორ მუხლში - 313-ე და 314-ე მუხლები[6]. ისინი აწესრიგებენ ხელშეკრულების მოშლის წინაპირობებს, მისი განხორციელების გზებსა და შედეგებს. სსკ-ის 399-ე მუხლი[7] 5 ნაწილისაგან შედგება. იგი აყალიბებს ზოგად ნორმებს ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით და ყველა სხვა ნორმა უნდა გამომდინარეობდეს ამ მუხლიდან და მას არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. ზოგადად ხელშეკრულების მოშლა არ უნდა იყოს ბოროტად გამოყენებული და სამართლიაონობის ნორმებსა და მიუკერძოებლობას უნდა იცავდეს.

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი[8] იცნობს ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტს (რუსულად - „расторжение договора“), აქაც განმარტების სახით არ არის მოცემული თუ რა შემთხვევებში გვაქვს ადგილი ხელშეკრულების მოშლასთან მაგრამ რფსკ-ის 453-ე მუხლიდან[9] რომელიც ეხება ხელშეკრულების ცვლილებების და მოშლის შედეგებს, შეგვიძლია განვსაზღვროთ ხელშეკრულების მოშლის ცნება. ხელშეკრულების მხარეებს გააჩნიათ უფლება შეთანხმებით (ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების მოშლა ხდება სასამართლო წესით[10]) მოშალონ სახელშეკრულებო ვალდებულება და მათ უფლება არა აქვთ მოითხოვონ დაუბრუნდეთ ის რაც იყო შესრულებული ვალდებულების მიხედვით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან მხარეთა შეთანხმებით. თუ ხელშეკრულების მოშლა ეწინააღმდეგება კანონს[11] მხარეებმა ხელშეკრულებაში შეიძლება შეიტანონ ცვლილებები, ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. ეს მუხლი შინაარსობრივად შეესაბამება სსკ-ის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ დისპოზიციას „ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი“ ხელშეკრულების მოშლის შესახებ მხარეები დებენ ხელშეკრულებას. მოშლა ორივე მხარის (მრავალმხრივ ხელშეკრულებაში რამდენიმე პირის) შეთანხმებით ხორციელდება. ხე-

---

[1] სსკ. მუხლი 398

[2] BGB. § 313.3

[3] სსკ. მუხლი 398

[4] ტაბატაძე დ. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ჟ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბ. 2013 წ. გვ. 40

[5] აქ არის ტერმინოლოგიური აღრევა. ტერმინი „უარი“უნდა შეიცვალოს ტერმინი „მოშლით“. ეს მუხლი არის გსკ-ის 314-ე მუხლის ანალოგი, რომლის სათაურიც არის „Kündigung von Dauerschuldverhältnissen aus wichtigem Grund“ სიტყვა „Kündigung“ კი ითარგმნება როგორც „მოშლა“.

[6] BGB. § 313,314

[7] სსკ. მუხლი 399

[8] Гражданский кодекс Российской Федерации. Москва, 18.12.2006 г. N 230-ФЗ. ხელმისაწვდომია: www.ГАРАНТ.ru (უკანასკნელად ნანახია: 10.16.2016. შემდგომში გამოყენებული იქნება როგორც-რფსკ.)

[9] იქვე: ГК РФ. Статья 453

[10] იქვე: ГК РФ. Статья 450.2

[11] იქვე: ГК РФ. Статья 451.2

ლშეკრულების მოშლისას მხარეთა ვალდებულებები შეწყვეტილია.[1] რფსკ-ის მიხედვით[2] უკვე მოშლილი ხელშეკრულების პირობების დარღვევისას მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება ან ხელშეკრულების შეცვლა ან მოშლა. ხელშეკრულების მოშლის საფუძველია ხელშეკრულების შესრულებაზე მთლიანი ან ნაწილობრივი ცალმხრივი უარი, თუ ასეთი უარი დასაშვებია კანონით ან მხარეთა შეთანხმებით[3]. ასეთ უარს ითვალისწინებს სსკ-იც[4], თუმცა აქ მიზეზად მითითებულია პატივსადები საფუძველი, რფსკ-ის მიხედვით კი ასეთი საფუძველი განსაზღვრული უნდა იყოს კანონით ან მხარეთა შეთანხმებით.

ინგლისის სამართალი იცნობს ზოგად პრინციპს, რომლის თანახმად დაზარალებულს შეუძლია მოშალოს მისთვის აშკარად არახელსაყრელი ხელშეკრულება, თუ იგი აიძულეს გამოიყენოს მისი შეჭირვებული მდგომარეობა ან სხვა მსგავსი გარემოება, რითაც გაუარესდა მისი პოზიცია მოლაპარაკებებზე. ამ პრინციპის სანაცვლოდ მოქმედებს რიგი მსგავსი ნორმები სიტუაციის მიუხედავად დაზარალებულის დასაცავად. ასე რომ, მხარეს, რომელსაც მისი შეჭირვებული მდგომარეობის გამოყენების საფუძველზე აიძულეს შეცვალოს ხელშეკრულება მისთვის არახელსაყრელი პირობებით, შეუძლია მოითხოვოს ამგვარი ხელშეკრულების მოშლა ეკონომიკური იძულების (Economic duress) გამო. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნორმებს ხელშეკრულების მოშლის შესახებ გადაჭარბებული ზეგავლენის გამო (undue influence). აღნიშნულის წინამძღვარია პირველ რიგში, პარტნიორებს შორის ნდობითი ურთიერთობების არსებობა, რაც საფუძველს აძლევს თითოეულ მხარეს ყველაფერში დაეყრდნოს რეკომენდაციების სერიოზულობას და ინფორმაციის უტყუარობას. სასამართლო პრაქტიკა გულისხმობს ამგვარი ურთიერთობების არსებობას მეურვესა და მეურვეობაში მყოფ პირს, ექიმსა და პაციენტს, ღვთის მსახურსა და აღსარებაზე მისულ პირს, ადვოკატსა და კლიენტს შორის.[5]

როგორც განხილული სამართლებრივი საკითხების შესწავლის საფუძველზე გახდა ნათელი და ეს თემაშიც გამოიკვეთა, სსკ-ში მნიშვნელოვანი ხარვეზებია, ხელშეკრულების მოშლის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის რეგულირებაში. ხელშეკრულების მოშლის ინსტიტუტს ქართულ სამოქალაქო კოდექსში სათანადო ადგილი არ ეთმობა, კოდექსი არ შეიცავს: ამ ინსტიტუტის ერთიან ცნებას და გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობების დროს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების რეგულირებას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამართლის ინსტიტუტების უფრო ფართო რეგულირება და ზოგადი პრინციპების განსაზღვრა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბ. 1999 წ.
2. გოგუა ქ. სადისერტაციო ნაშრომი, ხელშეკრულებიდან გასვლის შედარებით სამართლებრივი დახასიათება, სტუ. თბ. 2012 წ.
3. თოდუა მ. ჟ. ვალდებულებითი სამართალი, სტატია - ხელშეკრულებიდან გასვლა (მოშლა) და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები. თბ. 2006 წ. www.gyla.ge
4. კოტცი ჰ. ცვაიგერტი კ. „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში." ტ II. თბ. 2001 წ.
5. მაჭარაძე მ. სამაგისტრო ნაშრომი: ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების მოშლა – განსხვავება და სამართლებრივი შედეგები (საქართველოსა და გერმანიის სამართლის მიხედვით), ჟ. ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეციალური გამოცემა თბ. 2008 წ.

[1] იქვე: ГК РФ. Статья 453.2.4

[2] იქვე: ГК РФ. Статья 453.5

[3] იქვე: ГК РФ. Статья 450.3

[4] სსკ. მუხლი 399

[5] კოტცი ჰ. ცვაიგერტი კ. „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში". ტ II. თბ.2001 წ. გვ. 14

6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1987 წ. www.matsne,gov.ge
7. ტაბატაძე დ. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ჟ. ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, თბ. 2013 წ.
8. ქართულ-გერმანულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. ხელმისაწვდომია: ttp://gil.ge/gergeo.php
9. ჩიტაშვილი ნ. შეცვლილი გარემოებებით წარმოშობილი შესრულების და შეუძლებლობა. სამართლის ჟურნალი N2, თბ. 2011 წ. http://documents.tips/documents/-2011-2-5624219c67050.html
10. ძლიერიშვილი ზ. ცერცვაძე გ. რობაქიძე ი. სვანიძე გ. ცერცვაძე ლ. ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, თბ. 2014 წ.
11. ჭანტურია ლ. და ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი: ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი III. თბ. 2001 წ.
12. Гражданский кодекс Российской Федерации. Москва, 18.12.2006 г. N 230-ФЗ. www.ГАРАНТ.ru
13. Markesinis B, Unberath H, Johnston A, The German Law of Contract-A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon. 2006 y. www.twirpx.com
14. Bürgerliches Gesetzbuch 1984 y. www.gesetze –im-internet.de Zimmermann R, Breach of Contract and Remedies Under the New Law of Obligations, 48th Conference-Seminar. Rome. 2002 y. www.cisg.law.pace.edu

Legal Regulation of the Contract Withdrawal Institution

Nino Pipia

Summary

Contract is an agreement that arises certain rights and duties of its participants and termination or revocation of the contract. Termination of contract (Kündigung in German) is one of the types of ending the contract. Mixing up termination of the contract institute with the withdrawal from the contract (Rücktritt in German) institute in Georgian legislation is the main reason of distinct inseparation of these two institutions. In this article we form the characterising details of termination of the contract to distinguish them from each other.

Key Words*: Contract, disrupt, longterm*

გლობალიზაცია, რეგიონალიზმი და მუნიციპალური განვითარება

ქათამაძე ნატო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო გამოცდილებით, ქვეყნის სიძლიერე ძლიერი ქალაქი, ძლიერი რაიონი და ძლიერი სოფელია. ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გამიჯნავს ერთმანეთისგან ცენტრალურ და რეგიონალურ უფლებებს, მოახდენს ცენტრის მინიმალურ ჩარევას ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტების) მართვის საკითხებში, ანუ მოახდენს, როგორც მართვის, ისე ფინანსურ და ქონებრივ დეცენტრალიზაციას, რაც საბოლოო ჯამში განავითარებს საქართველოს და უფრო მიმზიდველს გახდის საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.

როგორც ვიცით, საქართველო ევროპული ქვეყანაა და მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მეტად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მონაკვეთზე და უშუალოდ ემიჯნება აზიის კონტინენტს. იმისათვის, რომ გატარდეს ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგია და საგარეო პოლიტიკა საჭიროა გაითვალისწინონ ქვეყნის ევროპულ-აზიური ზღურბლის ვექტორის მნიშვნელობა მომავალი განვითარებისათვის საქართველო უნდა განვიხილოთ როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილე, ასევე, როგორც გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში არსებული ქვეყანა. თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ ასეთი ორი სახის ორი დონის მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ჩვენი ქვეყნის ადგილი და როლი ევროპასთან და აზიასთან. ასეთი მიდგომით გამოიკვეთა საქართველოს როლი, სახე და ადგილი ორ განზომილებაში - გლობალურ ეკონომიკაში და რეგიონულ ეკონომიკაში. მისი განხორციელებისათვის ჩვენ გვჭირდება ისეთი პოლიტიკა და ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს გლობალური ინტერესების რეგიონულ ინტერპრეტაციას და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სუბიექტების ინტერესების გლობალურ ხედვას.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, რეგიონალიზმი, მუნიციპალური განვითარება, გეოპოლიტიკური სივრცე.

ძირითადი ტექსტი

ეროვნულ სახელმწიფოს ჩასახვის მომენტიდან განასხვავებს მკაფიოდ დადგენილი საზღვრები და ძალაუფლება. საერთაშორისო ურთიერთობებში იგი მთავარ მოქმედ პირად გვევლინებოდა. მკაფიო საზღვრები ამკვიდრებდნენ შრომასა და კაპიტალს ერთ ტერიტორიაზე და ხელს უწყობდნენ სოციალურ კომპრომისს. მაგრამ მის განვითარებს სირთულეებიც ახლდა. ეროვნული პლურალიზმი და გახსნილობა რიგ შემთხვევებში დაკარგული იქნა. ეროვნულობის აღმავლობამ და თვითშეგნების ზრდამ დიდი კონფლიქტები გამოიწვიეს - შიდა და სახელმწიფოთაშორისო. გაცილებით უფრო ძლიერ ეროვნული სახელმწიფოს პოზიციებზე ზეგავლენა მოახდინა გლობალიზაციამ. მართალია, საზღვრები არ მოიშალა, მაგრამ გაადვილდა მათი გადალახვა. კაპიტალი, საქონელი, მომსახურება და ნაკლები ხარისხით- ადამიანები უფრო მობილურები გახდნენ, უკვე შეუძლებელია მათი გაჩერება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში.

მთავრობებმა უმეტესწილად უარი თქვეს ტერიტორიების დაბალანსებულ განვითარებაზე რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში, ვინაიდან კაპიტალი ირჩევს ინვესტიციებს მსოფლიო კონიუნქტურიდან გამომდინარე. ევროპაში ეს პროცესი მიმდინარეობს შიდა ბაზრისა და სავალუტო კავშირის გამყარების, ახალი ზეეროვნული პოლიტიკის ფორმირების კვალობაზე.

ბრიტანელმა სოციოლოგმა რობერტსონმა დამტკიცა, რომ გლობალური ინტერესები და

ლოკალური იდენტურობები არა თუ არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ, პირიქით დიალექტიკურ კავშირში არიან. გლობალური კომპანიები იძულებულნი არიან ყოველთვის შეუქმნან თავიანთ პროდუქციას ლოკალური იმიჯი, მეორეს მხრივ ლოკალური სუბიექტები აგრეთვე ცდილობენ თავიანთი რეგიონების ბრენდები გლობალურად ცნობადი გახადონ.

გლობალიზაცია არის ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ენობრივი, ტერიტორი-ული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქიკური ბარიერების რღვევისა და კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეეროვნული სისტემის შექმნისაკენ მიმართული პროცესი.

თანამდეროვე პირობებში, როცა საქართველოს კურსი აღებული აქვს ევროპული სტრუქტურებისკენ დიდი ყურადღება ექცევა ტერიტორიული წარმონაქმნების, (მუნიციპალიტეტების) სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას, ქვეყნის საკანონმდებლო ბაზის დახვეწას და საერთაშორისო პრაქტიკასთან დაახლოვებას, რომელიც მოქმედებს წამყვან ევროპულ ქვეყნებში, რაც თავისი შინაარსით, ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ განვითარებასა და მუნიციპალიტეტების კონკურენტუნარიანობის ზრდას გულისხმობს.

გლობალიზაციის პროცესში წარმოიქმნება სოციალური კავშირებისა და ურთიერთობების, ქცევის ნორმების ახალი სტანდარტები. შესაბამისად გლობალი-ზაცია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ცხოვრების რიტმს უქვემდებარებს მოცემული ეთნოსისათვის ხშირად მიუღებელ და არასასურველ ტრანსნაციონალურ სტანდარტებს. ამასთან მიმდინარეობს იდეოლოგიური და ეკონომიკური ექსპანსია. ზეწოლა კოლექტიური თვითშეგნების ამოსაფხვრელად და ტრადიციული სოციალური კავშირების დასასუსტებლად.

გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებით ილახება განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ინტერესები, ვინაიდან გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომელიც ცდილობს ადგილობრივი წარმოების ტრადიციული დარგების შევიწროებას, უკეთეს შემთხვევაში საკუთარ სამსახურში მათ ჩაყენებას. სასურველი სასათბურე პირობები იქმნება გლობალური ფირმების მოღვაწეობისათვის, რაც უმრავლეს შემთხვევაში მიმართულია ეროვნული მეურნეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს პროცესები გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის გაძლიერებით. თუ გლობალიზაცია მსოფლიოს ქვეყნების პროგრესულ ინტეგრაციას გამოხატავს, ლოკალიზაცია გამოხატავს რეგიონული ცნობიერების დამკვიდრების აუცილებლობას.

ფაქტობრივად, აშკარაა „ახალი რეგიონალიზმის“ ფორმირების პროცესი, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძველი 30 წლის წინანდელი რეგიონალიზმის ელემენტებისაგან. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ „ახალი რეგიონალიზმის“ რეალიზაცია, როგორც წესი „ქვემოდან“ (და არა ზემოდან) მიმდინარეობს, მის მონა-წილე სუბიექტებად სახელმწიფოებთან ერთად გამოდის სხვ სუბიექტებიც. იგი ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასთან ერთად, მოიცავს ეკოლოგიური და უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტას. რაც მთავარია „ახალი რეგიონალიზმს“ ახასიათებს რეგიონული გაერთიანებების მონაწილეთა გლობალურ პროცესებში ადაპტირებისათვის შესაბამისი ოპტიმალური საშუალებების ძიება.

„ახალი რეგიონალიზმი“ როგორც მრავალდონიანი ცნება, რეგიონულ მაკროსტრუქტურებთან ერთად მოიცავს ცალკეული რეგიონული წარმონაქმნის სტრუქტურას სახელმწიფოების ჩათვლით და თვით ამ ქვეყნის მიკროსტრუქტურებსაც.

ზემოთ გაანალიზებული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვ ტენდენციების ფონზე, როდესაც ეს პროცესები განსაკუთრებით გააქტიურდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალური ტრანსფორმაციის პირობებში მსოფლიო მეურნეობაში ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით უხდება თავისი

ადგილის დამკვიდრებისათვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა საკმაოდ რთულია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ დღეისათვის საქართველოში ჩამოყალიბებულ არასასურველ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს, ასევე, მსოფლიო ბაზარზე პოტენციალი, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე ინტელექტუალური, შრომითი, ეკონომიკური და ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და ამავე დროს, ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაციით შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პროცესის ახალი სახეა რეგიონალიზმი.

ევროპული რეგიონალიზმი ვითარდება ევროკავშირის გაფართოების ხარჯზე აღმოსავლეთით და სამხრეთით. ევროპული რეგიონალიზმის გაფართოება მიმდინარეობს „სივრცობრივად“ ევროკავშირის მიერ ინტეგრაციული ურთიერთობათა დალაგებით ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აგრეთვე აზიასა და აფრიკაში ფორმირებად ერთიან ბაზრებთან.

აზიური რეგიონალიზმის მომავალი ჯერჯერობით უფრო ნაკლები აქტიურობით წარმოჩნდება. რეგიონში მხოლოდ ახლა იწყება დისკუსია ერთიანი აზიური ბაზრის შექმნის ეტაპებსა და განვითარებაზე. რასაკვირველია ერთიანი აზიური ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოს ინტერესებსაც უკავშირდება. ეს ინტერესები გამოიხატება საქართველოს არამარტო ფორმალურად შესვლაში აზიის რეგიონის ეკონომიკურ თანამშრომლობაში, არამედ, აღნიშნული სივრცის ჩამოყალიბების საწყის ეტაპიდანვე მასში აქტიური თანამშრომლობის მიზანშეწონილობით. საქართველოს ასეთი მონაწილეობა გარკვეულად ხელს შეუწყობს აზიური რეგიონალიზმის განვითარებას.

რეგიონალიზმისა და გლობალიზაციის მიმართ სწორი დამოკიდებულების გარეშე საქართველო ვერ შეძლებს ჯეროვანი ადგილის მოპოვებას მსოფლიოს ევროპულ და აზიურ ეკონომიკაში, უფრო მეტიც გაუჭირდება თვით ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა.

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ძლიერდება სახელმწიფოთა ურთიერთ-დამოკიდებულება, იზრდება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების როლი. ასეთ სიტუაციაში ვერც ერთი ქვეყანა ვერც ერთი ეროვნული ეკონომიკა ვერ შეძლებს წარმატებით განვითარებას უცხოეთთან გაფართოებული თანამშრომლობის გარეშე, მსოფლიო ბაზრებთან ღრმა ინტეგრაციის გარეშე.

დღეს აუცილებელია ყოველთვის თვალთახედვაში გვქონდეს ფიქრი და მსჯელობა თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის შესახებ.

რასაკვირველია, მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული ჩართვა წარმოშობს საქართველოს მიმართ გამოწვევებსა და მუქარებსაც. მაგრამ რაციონალურ ეფექტიან გამოწვევებზე პასუხის გაცემა და მუქარების მოგერიება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთქმედებებით. ეს თანამედროვე ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ქმედების კონცეფციის საბაზრო ღირებულებაა

უცხოეთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების განვითარების ხანგრძლივმა ისტორიამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები მხოლოდ იმ შემთხვევაშია ძლიერი ფინანსურად და ეკონომიურად, როცა ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად არის გამოყენებული ქვეყნის შიგნით არსებული მეცნიერული პოტენციალი. მეცნიერული მიდგომებია, ის რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მდგრად განვითარებას და საბიუჯეტო პოლიტიკის გაუმჯობესებას.

დასკვნა

როგორც ვიცით, საქართველო ევროპული ქვეყანაა და მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მეტად მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეო ეკონომიკურ მონაკვეთზე და უშუალოდ ემიჯნება აზიის კონტინენტს. იმისათვის, რომ გატარდეს ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგია და საგარეო პოლიტიკა საჭიროა გაითვალისწინონ ქვეყნის ევროპულ-აზიური ზღურბლის ვექტორის მნიშვნელობა მომავალი განვითარებისათვის. ამდენად საქართვე-

ლო უნდა განვიხილოთ როგორც გლობალური, მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მონაწილე, ასევე, როგორც გეო ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სივრცეში არსებული ქვეყანა. თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის მიმართ ასეთი ორი სახის ორი დონის მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ჩვენი ქვეყნის ადგილი და როლი ევროპასთან და აზიასთან. ასეთი მიდგომით გამოიკვეთა საქართველოს როლი, სახე და ადგილი ორ განზომილებაში - გლობალურ ეკონომიკაში და რეგიონულ ეკონომიკაში. ამიტომ, საქართველოს სტრატეგია უნდა აიგოს ორსახოვანი მდგომარეობიდან გამომდინარე: გლობალური ეკონომიკიდან და რეგიონული ეკონომიკიდან. მისი განხორციელებისათვის ჩვენ გვჭირდება ისეთი პოლიტიკა და ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს გლობალური ინტერესების რეგიონულ ინტერპრეტაციას და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის სუბიექტების ინტერესების გლობალურ ხედვას.

საერთაშორისო გამოცდილებით, ქვეყნის სიძლიერე ძლიერი ქალაქი, ძლიერი რაიონი და ძლიერი სოფელია. ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გამიჯნავს ერთმანეთისგან ცენტრალურ და რეგიონალურ უფლებებს, მოახდენს ცენტრის მინიმალურ ჩარევას ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტების) მართვის საკითხებში, ანუ მოახდენს, როგორც მართვის, ისე ფინანსურ და ქონებრივ დეცენტრალიზაციას, რაც საბოლოო ჯამში განავითარებს საქართველოს და უფრო მიმზიდველს გახდის საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მალხაზ მაცაბერიძე. „გეოპოლიტიკა, ჩამოყალიბება და განვითარება“
2. დ. იაკობიძე. „ გლობალური დინამიზმის ქართული სიანამდვილე“
3. ზ. დავითაშვილი „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“
4. ე. ბარათაშვილი, ჯ. ზარადინა, ა. აბშილავა . „რეგიონალიზმი: თეორია და პაქტიკა.

Globalization, regionalism and municipal development

Nato Katamadze

Summary

The power of a strong country, city, a region and a village by is international experience. To do this, first of all we need a number of legislative changes, which are separate from each other in the central and regional rights, interference with the local government (municipalities) management, which will be a control of financial and economic decentralization, which ultimately leads Georgia to the development and increasingly will make it more attractive to the international community.

As we know, Georgia is a European country, which is located in South-Eastern Europe has a very important geopolitical and geo-economic section and adjoins the Asian continent. In order to carry out an effective economic strategy and foreign policy should take into consideration the country's European-Asian vector of the threshold value for the future development; we should discuss Georgia as a global, economic and political participant, as well as geopolitical and economic space in the country. In the modern world of the place of these two kinds of two-level approach allows us to realize our country's place and role in Europe and Asia. This approach, outlining the role of the face and place in two dimensions - in the global economy and regional economy. We need such policies and such mechanisms which ensure Georgia's interests of global and regional interpretation and the South-East European region subjects of interest to the global vision.

კიდევ ერთხელ მიგრაციის არსის შესახებ

ქინქლაძე რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებულიპროფესორი

ბენ იაკოვ რივკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ფრიად აქტუალური პრობლემა, როგორიცაა მოსახლეობის მიგრაცია, რომლის გადაჭრა სახელმწიფოების წინაშე მდგარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. თანამედროვე სამყაროს გლობალიზაციის პირობებში მიგრაციული პროცესები სრულიად განსხვავებული მასშტაბებით მიმდინარეობს, შეიცვალა წარმომავლობისა და დანიშნულების ქვეყნებს შორის მიგრაციული ნაკადების სიმძლავრე და მათი გეოგრაფიული მიმართულება, მიგრანტთა გენდერული და ასაკობრივი სტრუტურა. ამიტომაც, მოსახლეობის მიგრაციის არსის სწორად განსაზღვრას გასაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეცნიერო თვალსაზრისით არამედ სახელმწიფოს მიერ მიგრაციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და პროცესების მართვისათვის საჭირო ბერკეტების შესამუშავებლად.

საკვანძო სიტყვები: *მოსახლეობის მიგრაცია, მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა, მიგრაციის არსი და სახეები.*

კიდევ ერთხელ მიგრაციის არსის შესახებ

მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს კანონზომიერ, საზოგადოების თანმდევ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს შრომითი რესურსებისა გამოყენებისა და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას არა მარტო ცალკეულ რეგიონებში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მიგრაციის არსებულ განმარტებას საფუძვლად უდევს მისი, როგორც მოსახლეობის გარეული სახით გადაადგილება და მობილობა. მოსახლეობის მიგრაცია - მიგრატიონ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გადაადგილებას, გადასახლებას. მკვლევართა უმეტესობა გამოყოფს მოსახლეობის მოძრაობის (მობილობის) რამდენიმე სახეს, როგორიცაა: ბუნებრივი, სოციალური, დარგობრივი, პროფესიული, ტერიტორიული.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა მოძრაობის ნებისმიერი სახის საფუძველია. მას მიეკუთვნება შობადობა, სიკვდილიანობა, ერთი ასაკობრივი კატეგირიიდან მეორეში გადასვლა, ქორწინება და განქორწინება. სოციალური, დარგობრივი და პროფესიული მოძრაობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ არსებობენ როგორც სრულიად დამოუკიდებელი სახეები და ახასიათებენ მოსახლეობის მოძრაობას სხვადასხვა მხარეების მიხედვით.

სოციალური მოძრაობა ახასიათებს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში ადამიანის მდგომარეობის ცვლილებას. დარგობრივი და პროფესიული მოძრაობა ასახავს ადამიანის მდგომარეობის ცვლილების პროცესს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების სისტემაში.

დარგობრივი მოძრაობა - არის საზოგადოებრივი წარმოების ერთი სფეროდან სხვა სფეროში ან ერთი დარგიდან სხვა დარგში, ან სხვა დარგის საწარმოში გადასვლა. პროფესიული მოძრაობა კი არის პროფესიის, თანამდებობის შეცვლასთან დაკავშირებული შრომითი საქმიანობის ხასიათის ცვლილება.

ტერიტორიული ცვლილება - ეს არის ერთი დასახლებული პუნქტიდან სხვა პუნქტში გადაადგილება.

მიჩნეულია, რომ მიგრაციის პირველი მეცნიერული განმარტება, როგორც „ადამი-

ანის საცხოვრებელი ადგილის მუდმივი ან დროებითი ცვლილება“ შემოთავაზებულ იქნა 1885-1889 წწ. ინგლისელი მკვლევარის ე. რავენშტეინის მიერ [297, გვ. 167-168]. დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში მოსახლეობის მიგრაციის მრავალი განმარტება და კლასიფიკაცია არსებობს. მიგრაციის არსებითი განმარტებები და კლასიფიკაციები შემუშავებულია მოსახლეობის მიგრაციის სხვადასხვა მკვლევარების მიერ [96; 183; 198; 224]. სივრცეში გადაადგილების მიზეზები, ხასიათი და შედეგების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებსა და მიდგომებს მიგრაციის არსის სხვადასხვა გაგებამდე მივყავართ. ქვემოთ შევეცადეთ ჩაგვეტარებინა ზოგიერთი მათგანის განხილვა.

გაეროს მიერ გამოცემულ დემოგრაფიულ ლექსიკონში მითითებულია, რომ სიტყვა „მიგრაცია“ ან „მიგრაციული პროცესი“ თავისთავად ნიშნავს გადაადგილებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია დანიშნულების ადგილის ცვლილება“ [145, გვ. 62]. „წმინდა სახით მიგრაციად მიიჩნევა დასახლებულ ადგილთა შორის მიგრაცია, ხოლო მუდმივი საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა - არის ერთი დასახლებული ადგილიდან მეორეში გადასახლება“ [224, გვ.2].

გადასახლებას შეიძლება ვუწოდოდ მიგრაცია სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით, რაც სხვათა შორის შეესაბამება კიდეც მას ეტიმოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით. იგი მოსახლეობის ისეთი გადაადგილებაა სივრცეში, რომელიც მას ტერიტორიულ გადანაწილებად გარდაქმნის“ [183].

„მიგრაცია არის ინდივიდების ან ჯგუფების ერთი საზოგადოებიდან მეორეში ფიზიკური გადასვლა“ [255, გვ.21]. „ზოგადად მიგრაცია არის მოძრაობა, რომელიც იწვევს საცხოვრებელი ადგილის ცვლილებას და ამ ცვლილებას აქვს მუდმივი ხასიათი“ [284, გვ.1]. „მიგრაცია - მოსახლეობის მოძრაობის ერთერთი ფორმაა, რომლის დროსაც საცხოვრებელი ადგილის მეტნაკლებად მნიშვნელოვანი დაშორებით და დროებით გამოცვლა ხდება, თან ახლავს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული და სხვა სახის შედეგები (დადებითი და უარყოფითი, აშკარა და ფარული, მიმდინარე და გრძელვადიანი და ა.შ.)“ [150, გვ. 24]. „მოსახლეობის მიგრაცია - ეს ამა თუ იმ ტერიტორიის ან საზღვრების გავლით ადამიანთა სხვადასხვა მიზეზებით გადაადგილებაა საცხოვრებელი ადგილის მუდმივი ან დროებითი შეცვლაა“ [217].

ოქსფორდის ენციკლოპედიის მიხედვით მიგრაციის ქვეშ იგულისხმება „ცალკეული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების საცხოვრებელი ადგილის მუდმივი ან დროებითი შეცვლა. შობადობის, სიკვდილიანობის, ოჯახში ბავშთა რიცხოვნობის მაჩვენებლებთან ერთად მიგრაცია - მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების ძირითადი ფაქტორია. მიგრაცია განსხვავდება მოსახლეობის მობილობისაგან, რომელიც დროებით გადაადგილებას (რეგულარული მოგზაურობა და ტურიზმი) წარმოადგენს“ [163].

ლ.ლ. რიბაკოვსკის მოსაზრებით, მოსახლეობის მიგრაციის ყველა მრავალფეროვანი განმარტება შესაძლებელია სამ ჯგუფად დავყოთ [183, გვ. 19]. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება განმარტება, რომელშიც შერწყმულია მოსახლეობის მოძრაობის სხვადასხვა სახეები, მ.შ. მიგრაციული და სოციალური, ანუ ასახულია ადამიანთა გადაადგილების სხვადასხვა სახეები ტერიტორიისა და ჯგუფების, პროფესიების, დარგების, საწარმოების და სხვ. მიხედვით. მაგ., ნ.ნ. ფილიპოვას ნაშრომებში [218], მიგრაციას მიეკუთვნება დარგობრივი, ტერიტორიული, პროფესიული და სოციალური მოძრაობა. მიგრაცია, ი. შეპანსკის მოსაზრებით, არის გეოგრაფიულ სივრცეში საცხოვრებელი ადგილის ცვლილების მიუხედავად ნებისმიერი გადაადგილება [240].

მიგრაციის განმარტებათა მეორე ჯგუფში შედის მხოლოდ სივცობრივი გადაადგილებები, რომელსაც ასევე მოსახლების ტერიტორიულ ან გეოგრაფიულ გადაადგილებადაც მოიხსენიებენ. უნდა აღინიშნოს, რომ განასხვავებენ მრავალგვარ სივრცობრივ გადაადგილებებს გამომწვევი ფაქტორების (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ეკოლოგიური,

რელიგიური და სხვ.), გადაადგილების მიზნების, მიმართულებების, მანძილის, ვადის მიხედვით. სივრცობრივ გადაადგილებას მიეკუთვნება ერთი რეგიონიდან მეორეში გადაადგილება, ყოველდღიური მგზავრობა სამუშაოს ან სწავლის მიზნით დასახლებული პუნქტის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ, სხვა რაიონში დროებით ან სეზონურ სამუშაოზე გამგზავრება, მივლენებებში, შვებულებაში წასვლა და სხვ. ამასთან, უნდა აღინისნოს, რომ ამ განმარტებებში არ არის ერთიანი შეხედულებები ჩამოყალიბებული. ზოგიერთი მკვლევარი მიგრაციად ნებისმიერი სახის ტერიტორიულ გადაადგილებას მიიჩნევს, მ.შ. დასახლებული პუნქტის შიგნით გადაადგილებას, მაგ., ერთი და იგივე ქალაქის საზღვრებში საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა [70]. მ.ბ. კურმანი მიგრაციას მიაკუთვნებს „გამონაკლისის გარდა ადამიანთა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე სივრცობრივ გადაადგილებას“ [127, გვ.118]. აქ ერთმანეთთან გაიგივებულია ისეთი საკვანძო გაგება, როგორიცაა „ტერიტორიული“ და „მიგრაციული“ მოძრაობა, რაც სრულებით არ არის სწორი. ამის შესახებ ჯერ კიდევ 1978 წ. მართებულად წერდა ბ.ს. ხერევი და ვ.ნ. ჩაპეკი: „მოსახლეობის ტერიტორიული (სივცობრივი) მოძრაობა არის ადამიანთა გადაადგილება საცხოვრებელი ადგილის ან სამუშაო ადგილის მიხედვით. ცნებაში ტერიტორიული მოძრაობა უნდა განვასხვავოთ უპირველეს ყოვლისა დასახლებათშორისი (სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს შორისი) და დასახლების შიდა გადაადგილებები. სწორედ პირველი გაგება მიეკუთვნება მიგრაციას“ [224, გვ. 26].

მეცნიერთა უმეტესობა მიგრაციის განმარტებაში სივცობრივი გადაადგილების ქვეშ გულისხმობენ ამა თუ იმ ტერიტორიის ადმინისტრაციულ საზღვრებს [29, 108, 120, 127, 162]. ასეთი მიდგომა ითვალისწინებს მიგრაციის ორდონიან - ფართო და ვიწრო გაგებას.

ვიწრო (კლასიკური) გაგება მიგრაციას მიიჩნევს დასახლებულ პუნქტებს შორის (ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრების გავლით გადაადგილება) ახალი საცხოვრებელი ადგილას მუდმივად დამკვიდრების მიზნით. ასეთ შემთხვევაში მიგრაცია გაიგივებულია ცნებასთან „გადასახლება“, რომლის შედეგსაც მოსახლეობის ტერიტორიული გადანაწილება წარმოადგენს [97, გვ. 27; 100, გვ. 8-9; 183, გვ. 27-29]. მიგრაციის ვიწრო გაგება მხოლოდ მის დაუბრუნებად ფორმას გულისხმობს. ბევრი მკვლევარი ამ მიდგომას (ვიწრო გაგება) მიგრაციის ცნების ძირითად ინტერპრეტაციად მიიჩნევს.

ფართო გაგებით მიგრაციის ქვეშ იგულისხმება „ნებისმიერი ტერიტორიული გადაადგილება, რომელიც ხორციელდება ერთ ან რამდენიმე ადმინისტაციული ტერიტორიის სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებს შორის მისი ხანგრძლივობის, რეგულირებისა და მიზნის მიუხედავად“ [183].

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება მიგრაციის განმარტება, რომელშიც ტერიტორიული მოძრაობის ცნება შერწყმულია სივცრობრივი მობილობის - სპატიალ მობილიტყ ცნებასთან [166, გვ.9]. ამ ცნებების ზუსტი განსხვავებები მოცემულია ტ.ი. ზასლავსკის, ვ.ა. იონცევის, მ.ბ. ლურმანის, ლ.ლ. რიბაკოვსკის ნასრომებში [85, 96, 126, 183]. აღნიშნული ავტორების მოსაზრებით მიგრაციის ქვეშ იგულისხმება ტერიტორიული გადაადგილება, ხოლო მობილობა - მიგრაციის ანუ პოტენციური მირაციული აქტივობის უნარია. „მოსახლეობის მიგრაცია - ეს არის არა მობილობა, არამედ ფაქტიური გადაადგილება. მობილობა - არაა გადაადგილება, არამედ მისდამი მზადყოფნაა“ [183, გვ. 27]. „სივრცობრივი მობილობა უფრო სწორად უნარია იყო მოძრავი ანუ პოტენციური მიგრაციული აქტიურობაა“ [97, გვ. 16]. პარნეველი მ., ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მობილობა გულისხმობს უნარს იყო მოძრაობისადმი აქტიური, რაც ადამიანებს უბიძგებს გადაადგილდნენ ერთი ადგილიდან მეორეში, ასევე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე განახორციელონ ეს გადაადგილებები.

მიგრაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ყველა ადამიანი არაა მიგრაციისადმი მიდრეკილი. უფრო მეტად მობილურია 20-25 წლის მოსახლეობა. მობილობის არსებითი მახასიათებელია მიგრანტების სქესი და განათლების დონე. სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების თანახმად, მობილობის მაღალი დონე აქვთ უმაღლესი განათლების დონის მქონე მოსახლეო-

ბას, მამაკაცებს ქალებთან შედარებით [100, გვ.17]. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა სხადასხვა შეხედულებების (სივცრობრივი გადაადგილებების მიზეზების, ხასიათისა და შედეგების შესახებ) ანალიზის საფუძველზე, ცნება „მოსახლეობის მიგრაცია“ გაგებულ უნდა იქნას, როგორც ტერიტორიის (ქვეყანა, მხარე, ოლქი, რეგიონი და ა.შ.) ადმინისტრაციული საზ-ღვრის გავლით ადამიანთა სივრცობრივი გადაადგილება, რომელიც საცხოვრებელი ადგი-ლის შეცვლასთან, საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის, სასწავლებლის ან რაიმე საქმიანობის ადგილის არდამთხვევასთანაა დაკავშირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ravenstein, E. G. The laws of migration. Journal of the StatisticalSociety. - 1985. -Vol. 48(2). - P. 167-227.
2. Ионцев, В. А. Международная миграция населения: закономерности,проблемы, перспективы [Текст] : дисс. на соиск. уч. степ, д-ра эконом,наук: 08.00.05 / В: А. Ионцев. - М. : МГУ, 1999. - 470 с.
3. Рыбаковский, Л. Л. Миграция населения (вопросы теории)[Текст] / Л. Л. Рыбаковский. - М. : РАН, 2003. - 239 с.
4. Староверов, В. И. Социально-демографические проблемы деревни[Текст] / В. И. Староверов. - М. : Наука, 1975. - 287 с.
5. Хорев, Б. С. Проблемы изучения миграции населения [Текст] /Б. С. Хореев, В. Н. Чапек. - М., 1978. - 260 с.
6. Многоязычный демографический словарь. ООН. 1958 [Электронныйресурс]. - Режим доступа: http://geography.su/demogr/.
7. Appleyard; R. Skilled migration in a Globalized World. // World inthe Mirror of International Migration. Scientific series “International Migration of APopulation: Russia and the Contemporary World”. Vol.10. Moscow: MAX Press,2002.
8. Jackson, J.A. Migration. - N.Y.-London, 1986.
9. Моисеенко, В. М. Миграция как объект комплексного исследования[Текст] / В. М. Моисеенко // Народонаселение: современное состояние иперспективы развития научного знания : сб. — М., 1997. — С. 23—30.
10. Федеральная миграционная программа на 1998—2000 годы [Текст] // Российская газета. - 27 ноября 1997 г.
11. Оксфордская иллюстрированная энциклопедия: в 9 т. Т. 7. Народы и культуры [Текст] / Пер. с англ. — М., 2002. — 416 с
12. Филлипов, Н. Н. Проблемы формирования трудовых ресурсов села [Текст] / Н. Н. Филлипов, В. А. Суков. - Свердловск, 1972. — Вып. 4. -С. 107.
13. Щепаньский, Я. Элементарные понятия социологии [Текст] /Я. Щепаньский. - М., 1969. - 151 с.
14. Демографические тетради [Текст]. - Киев, 1973. - Вып. 8. - С. 76.
15. Курман, М. В. Актуальные вопросы демографии: Демографическиепроцессы в СССР в послевоенный период [Текст] / М. В. Курман. - М. :Статистика, 1976. - 220 с.
16. Афанасьев, В. Н. Статистическое исследование миграционныхпроцессов населения [Текст] / В. Н. Афанасьев, Т. И. Плеханова. - Оренбург :Издат. центр ОГАУ, 2004. - 176 с.
17. Козырев, Ю. Н. Демографическое развитие - гипотезы и перспективы[Текст] / Ю. Н. Козырев. - М., 1973. - 76 с.
18. Краткий словарь по социологии [Текст] / под ред. Д. М. Гвишиани и Н. И. Лапина. - М., 1989. - 479 с.
19. Курман, М. В. Актуальные вопросы демографии: Демографическиепроцессы в СССР в после-

военный период [Текст] / М. В. Курман. М. :Статистика, 1976. 220 с.
20. Ожегов, С. И. Словарь русского языка [Текст] / С. И. Ожегов. М., 1972. 847 с.
21. Ионцев, В. А. Международная миграция населения: закономерности,проблемы, перспективы [Текст] : автореф. дисс. на соиск. уч. степ, д-ра эконом,наук: 08.00.05 / В. А. Ионцев. М.: из-во АО Диалог МГУ, 1999. - 55 с.
22. Каламанов, В. А. Управление миграционными процессами [Текст] :учеб. пособие / В. А. Каламанов, В. М. Моисеенко. - М.: ГУУ, 2003. - 223 с.

Once again about the essence of migration of the population

Rusudan Kinkladze
Ben Yakov Rivka

Summary

Purpose of the paper is to study the territorial movement of population in line with predictable and unpredictable changes following world globalization, with its economic and social-political outcomes having become a severe problem for Georgia.Intensity of population's territorial movement belongs to such changes and this movement is already an urgent global problem with its economic and sociopolitical results.In the era of globalization, international migration processes have gained completely different scale, intensity of migration between source and destination countries, as well as geographic scope, gender and age structure of migrants, reasons and factors of migration have changed. Therefore, the correct determination of the migration of the population is of significant importance not only from the scientific point of view, but also for the development of leverage necessary for the management of the main directions and processes of the migration policy

საწარმოს პარტნიორის გარიცხვის საკანონმდებლო პრობლემა ქართულ საკორპორაციო სამართალში

ქოქრაშვილი ქეთი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

გორგაძე ლაშა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ქართულმა საკორპორაციო სამართალმა ბოლო წლების განმავლობაში არა ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებათა უმრავლესობა დადებითად აისახა სამეწარმეო პრაქტიკაზე, თუმცა რჩება საკითხები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით აშკარად მოითხოვს მეტ ყურადღებას და საკანონმდებლო რეგულაციის შემოღებასა თუ არსებული რეგულაციის დახვეწას. მათ შორის ერთ-ერთ ასეთ საკითხად მიმაჩნია საწარმოდან პარტნიორის გარიცხვის საკითხი.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ წარმოადგენს პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ ერთ შემთხვევას, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს ის შემთხვევაა, როცა პარტნიორთა გადაწყვეტილებას, საზოგადოების შემადგენლობიდან პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, არ სჭირდება სასამართლო გადაწყვეტილებით „დადასტურება“, ის ძალაშია გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

პარტნიორის გარიცხვის სხვა საფუძვლებს კანონი არ განიხილავს, რის გამოც ხშირად ვხვდებით გარიცხვის სუბიექტურ საფუძვლებს ანდა პარტნიორის გარიცხვის პროცედურის არასრულყოფილებას (დარღვევა).

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, სტატიაში წარმოდგენილია როგორც კანონმდებლობის ისე სასამრთლო პრაქტიკის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, ასევე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები და გადმოცემულია ზოგიერთი სახის რეკომენდაცია.

საკვანძო სიტყვები: *სასამართლო გადაწყვეტილება, საკორპორაციო სამართალი, პარტნიორი, წესდება.*

ძირითადი ტექსტი

ქართულმა საკორპორაციო სამართალმა ბოლო წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში. ცვლილებათა უმრავლესობა დადებითად აისახა სამეწარმეო პრაქტიკაზე, თუმცა რჩება საკითხები, რომლებიც სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით აშკარად მოითხოვს მეტ ყურადღებას და საკანონმდებლო რეგულაციის შემოღებასა თუ არსებული რეგულაციის დახვეწას. მათ შორის ერთ-ერთ ასეთ საკითხად მიმაჩნია საწარმოს შემადგენლობიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხი.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ წარმოადგენს პარტნიორის გარიცხვის მხოლოდ ერთ შემთხვევას, კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პარტნიორებს შეუძლიათ წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განსაზღვრონ თითოეული პარტნიორის შენატანის შეტანის წესი და ვადა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში

პარტნიორი, რომელმაც არ განახორციელა გადახდა, კარგავს წილს და ნაწილობრივ შესრულებულ ვალდებულებათა შედეგებსაც, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს ის შემთხვევაა, როცა პარტნიორთა გადაწყვეტილებას, საზოგადოების შემადგენლობიდან პარტნიორის გარიცხვის თაობაზე, არ სჭირდება სასამართლო გადაწყვეტილებით „დადასტურება“, ის ძალაშია გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან და მოითხოვს საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

პარტნიორის გარიცხვის სხვა საფუძვლებს კანონი არ განიხილავს, რის გამოც ხშირად ვხვდებით გარიცხვის სუბიეტური საფუძვლებს ანდა პარტნიორის გარიცხვის პროცედურის არასრულყოფილებას (დარღვევას). მიუხედავად აღნიშნულისა, ვითვალისწინებთ რა კერძო სამართლის ზოგად დისპოზიციურ ხასიათს, ასევე სამართლებრივი რეფორმის ერთ-ერთ ტავარ მიზანს - პირთა კერძო ავტონომიის ხარისხის გაზრდისა და იმპერატივიზმის გონივრული დერეგულირების შესახებ, ვიზიარებ მოსაზრებას, რომ „კანონის ზოგადი, ერთი შეხედვით, ბუნდოვანი საკანონმდებლო დანაწესის დაზუსტება სასამართლო პრაქტიკის საქმეა. სასამართლომ უნდა გამოკვეთოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორემების ბოროტად გამოყენების კონკრეტული ფაქტობრივი შემადგენლობა.[1]

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ პარტნიორის გასვლასთან დაკავშრებით ერთ-ერთ საქმეზე განმარტა: „სასამართლოსადმი მიმართული განცხადება საზოგადოებიდან გასვლის შესახებ საკმარისი საფუძველი არ არის სამეწარმეო რეესტრში ცვლილებების განხორციელებისათვის. სამოქალაქო კოდესქისი 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მიღებას ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა. შესაბამისად, სასამართლოსადმი მიმართვაში გამოხატული ნება არ შეიძლება ნამდვილად ჩაითვალოს. ნების გამოვლენა,რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვლად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა“.[2]

როგორც აღვნიშნეთ, პარტნიორის გარიცხვის საფუძვლის მნიშვნელობასთან ერთად არანაკლებად საყურადღებოა გარიცხვის წესის/პროცედურის განსაზღვრა. ამ საკითხზე კანონი საერთოდ დუმს, რაც საკანონმდებლო ხარვეზად მიმაჩნია და ვფიქრობთ, ეს პრობლემა აუცილებლად მოითხოვს კანონის დონეზე რეგულირებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:„პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის შედეგების მნიშვნელოვნების გათვალისწინებით, ასევე იმ გარემოებაზე ყურადღების გამახვილებით, რომ პარტნიორის გარიცხვა მეწარმე სუბიექტსა და პარტნიორს შორის გარკვეულ უფლება-მოვალლეობებს წარმოშობს, პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული უნდა განხორციელდეს პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, ამასთან,საჯარო რეესტრში ცვლილების სავალდებულო რეგისტრაციამდე აუცილებელიაადნიშნულ საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილება რომელიც ფაქტობრივად ადგენს კრების გადაწყვეტილების საფუძვლიანობასა და ლეგიტიმურობას“ყველა სხვა შემთხვევაში, პარტნიორის საზოგადოებიდან გასარიცხად, ანუ მის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია, სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნება საერთო სასარჩელო წარმოების წესით განხილულ საქმეზე. ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებამ სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს პარტნიორის გარიცხვის თაობაზე“.[3](ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ

---

[1] ჯუღელი გ., აქციონერთა პასუხისმგებლობა კორპორაციის ვალდებულებისთვის- კორპორაციული საფარველის დარღვევა. თბილისი: 2015, გვ.3.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე N ას-565-533-2011.

[3] საქართელოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე №ას-289-273-2011.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული შემთხვევა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოების პარტნიორთა მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილებისა და გარიცხული პარტნიორის ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნებისათვის, „პალატამ დადგენილად მიიჩნია სასამართლო გადაწყვეტილების საჭიროება, როგორც პარტნიორის გარიცხვის თაობაზე ცვლილებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის ერთ-ერთი აუცილებელ წინაპირობა“.[1]

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ „საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პარტნიორთან შეუძლებელია საზოგადოების შემდგომი საქმიანობის გაგრძელება. ასეთ დროს გადამწვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რა უდევს საფუძვლად პარტნიორთა უნდობლობას, რაც შეუძლებელს გახდიდა მათი საქმიანობის შემდგომ გაგრძელებას. პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს პარტნიორის კანონსაწინააღმდეგო და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედება“.[2]აქვე, კიდევ ერთი საინტერესო გადაწყვეტილება: „საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უკიდურესი ღონისძიებაა, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში და იგი უნდა ეფუძნებოდეს გასარიცხი პარტნიორის კანონისა და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედებას. დირექტორი, რომელიც ამავდროულად არის საზოგადოების წევრი და ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელობით უფლლებამოსილებას, არ უნდა გაირიცხოს საზოგადოებიდან, იმის გამო, რომ მის მიმართ წამოყებული პრეტენზიები ემყარება საზოგადოების ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობათა არასწორად განხრციელებას, რაც მას, როგორც პარტნიორის ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან პარტნიორის უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებაზე არ მეტყველებს. შესაბამისად, აღნიშნული ვერ გახდება მისი პარტნიორობიდან გარიცხვის საფუძველი“.[3]ცხადია, გადაწყვეტილებისტექსტი ზოგადია, თუმცა თითოეული ასეთი შემთხვევა მოითხოვს სასამართლოს მხრიდან კონკრეტულ შეფასებასა და ინდივიდუალურ განხილვას.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, პარტნიორის გარიცხვა საზოგადოების შემადგენლობიდან ხდება, თუ პარტნიორი უხეშად არღვევს თავის ვალდებულებებს, ან თუ თავისი ქმედებით არსებითად ხელს უშლის საზოგადოების საქმიანობას.ამ თვალსაზრისით პრობლემა თითქმის ყველა ქვეყანაში ერთგვაროვანია, კანონი არ აზუსტებს პარტნიორის გარიცხვის საფუძვლებს და პრაქტიკაში ვსვდებით შემთხვევევებს, როცა მსგავსი საფუძვლის არსებობისას სასამართლობი იღებენ განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადების შედეგად შეგვიძლია ერთგვარად დავაჯგუფოდ პარტნიორთა შემადგენლობიდან პირის გარიცხვის ძირითადი საფუძვლები:

- თუ პარტნიორმა განზრახი ქმედებით მიაყენა საწარმოს არსებითი ზიანი (მაგალითად, პარტნიორთა საერთო კრების ოქმის გაყალბება; კომერციული საიდუმლოების გათქმა; საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით ცრუ ინფორმაციის გავრცელება, მისთვის ზიანის მიყენების მიზნით;თუ პარტნიორი იმავდროულად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია და დადო საწარმოსთვის ზიანის მომტანი ხელშეკრულება);
- თუ პარტნიორი სისტემატურად, არასაპატიო მიზეზით არ ესწრება პარტნიორთა საერთო კრებებს, რითაც ხელს უშლის საზოგადოების საქმიანობას (მაგალითად, იმის გამო, რომ პარტნიორი სისტემატურად არ ესწრებოდა პარტნიორთა საერთო

[1] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება/განჩინება საქმეზე №ას-771-732-2013 .

[2] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 სექტემბრის განჩინბა საქმეზე №2ბ/-545-11.

[3] http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 30.01.2017.).

კრებას, საზოგადოებამ ვერ მოახერხა წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება, რამაც საზოგადოებას მიაყენა სერიოზული ზიანი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ერთი განსხვავებული შემთხვევა, თუ წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება ვერ მოხერხდა არა მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული პარტნიორის დაუსწრებლობის გამო, არამედ მასთან ერთად სხვა პარტნიორების დაუსწრებლობის მიზეზითაც, მიზეზობრივი კავშირის არ არსებობის გამო პარტნიორის გარიცხვა ვერ მოხდება);

- თუ პარტნიორი მუდმივად და ამასთან უსაფუძვლოდ მიმართავს სხვა და სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოებს მოთხოვნით, რომ შეამოწმონ საწარმოს საქმიანობა და ამით ართულებს საწარმოს ნორმალურ საქმიანობას. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ პარტნიორმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ საჩივარში მითითებული საფუძველი არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

ამ თვალსაზრისით ხშირია პრობლემები უცხოეთის კანონმდებლობაშიც, თუმცა პრაქტიკა იქ შედარებით უხვია, რაც ხელს უწყობს „ცარიელი სივრცის" ერთგვარ შევსებას. შედარებითი ანალიზის მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის, აშშ-სა[1] და დიდი ბრიტანეთის[2]კანონმდებლობა და შესაბამისად პრაქტიკა, მეტნაკლებად განსხვავებულად არეგულირებს კომპანიის/საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის საკითხს. მაგალითისთვის, გერმანიაში პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა უკიდურესი „სანქციაა" და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოიყენება, რის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა კრება ხმით. გარიცხვის შესახებ სარჩელს აღძრავს საზოგადოება დირექტორის წარმომადგენლობით. სასამართლო პირველ რიგში ამოწმებს გარიცხვის საფუძველის სიმძიმეს, მნიშვნელობასა და ობიექტურობას, ასევე გარიცხვის, როგორც „სანქციის" გამოყენების აუცილებლობას. პარტნიორის გარიცხვა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლით. [3]

გერმანიის უზენაესმა სასამართლომ შპს „Triotel"-ის საქმეზე განმარტა:„პარტნიორი ვალდებულია საწარმოს ვალებისთვის პირადად აგოს პასუხი, თუკი უგულებელყოფს საწარმოს ქონების მიზნობრიობას და სათანადო კომპენსაციის გარეშე ღიად ან ფარულად შეამცირებს საწარმოს ქონებას, რომელიც საწარმოს ვალდებულებების შესასრულებლად ესაჭიროება. თუკი მისი ჩარევა ეხება საწარმოსთვის გადაცემულ და ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელ ქონებრივ ფონდს (ქონებას), რის გამოც საწარმოს აღარ ან მხოლოდ არასრულყოფილად შეუძლია ვალდებულების შესრულება. პარტნიორი ბოროტად იყენებს, შპს-ის სამართლებრივ ფორმას; ამ ქმედებით კი პარტნიორმა ასევე უნდა დაკარგოს პასუხისმგებლობის შეზღუდვის (GmbHG-ს მე-13. 2) პრივილეგია, თუკი ჩარევით საწარმოსათვის მიყენებული დანაკლისის ანაზღაურება შეუძლებელია მაგ. 30, 31 GmbHG გამომდინარე მოთხოვნების მეშვეობით".[4]აღნიშნულის გათვალისწინებით, პარტნიორის პირადპასუხისმგებლობასთან ერთად დგება მისი საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხიც.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული სასამართლო პრაქტიკა წარმოდგენილ საკითხთან მიმართებით შედარებით მწირია და ხშირად ბუნდოვანიც. პარტნიორთა გადაწყვეტილებები კი უმრავლეს შემთხვევაში სუბიექტურია და ეფუძნება პირად მოტივებს, ამიტომ, აშკარაა, რომ მეწარმე სუბიექტიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხი მოითხოვს კანონმდებელთა მეტ ყურადღებას, მინიმუმ გარიცხვის წესის/პროცედურის რეგულირების თვალსაზრისით, რაც შეეხება საფუძველს, მისი საკანონმდებლო რეგულირება ცხადია შეუძლებელია, მაგრამ ვფიქრობთ,რომ პრობლემების მეტ-ნაკლებად მოწესრიგება მეწარმე სუბიექტის წესდებამ უნდა აიღოს თავის თავზე. მაგალითისთვის, ამერიკის პრაქტიკის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ კომპანიიდან პარტნიორის გარიცხვის ფაქტი ითხოვს მეტად სერიოზულ ანალიზსა და შეაფსებას და რაც მთავარია,

[1] https://www.quora.com/Can-a-non-US-citizen-start-a-business-in-the-US-with-an-american-cofounder.
[2] https://www.rapidformations.co.uk/blog/can-a-non-uk-resident-form-a-uk-limited-company/.
[3] https://www.jurion.de/Urteile/BGH/1953-04-01/II-ZR-235_52.
[4] http://ouclf.iuscomp.org/articles/zhen_ahl.shtml.

ესოდენ „მძიმე სანქცია“ გამართლებული უნდა იყოს ლეგიტუმური სამეწარმეო მიზნით, ამასთან სრულად უნდა გამოირიცხოს სუბიექტივიზმი (პირადი მოტივი)[1].

პრაქტიკა ასევე იცნობს შემთხვევებს, როცა ფაქტობრივად ვერ ხერხდება პარტნიორის გარიცხვა (მაგალითად, წესდებაში არსებული ხარვეზის გამო). ასეთ დროს პარტნიორები მიმართავენ სხვა გზას, კერძოდ, აცხადებენ საწარმოს თვითლიკვიდაციას და შემდგომ თავიდან არეგისტრირებენ საწაარმოს, ცხადია იმ პარტნიორის გარეშე, რომლის გარიცხვის შეუძლებლობის გამოც მოხდა საწარმოს ლიკვიდაცია (ასეთი პრაქტიკა საქართველოშიც დამკვიდრდა).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აშკარაა, რომ პარტნიორის გარიცხვა საკორპორაციო სამართლის მტად მნიშვნელოვანი საკითხია, და ამით ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შეილახოს არა მხიოლოდ გარიცხული პარტნიორის, არამედ კრედიტორთა უფლებებიც, განსაკითრებით მაშინ, როცა პარტნიორის გარიცხვა ხდება ამხანაგობის ტიპის საზოგადოებიდან (სპს; კს). ამ შემთხვევაში პარტნიორი ფაქტობრივად ტოვებს საწარმოს და მის ვალდებულებებზე კრედიტორის წინაშე პასუხს აღარ აგებს. თუკი საწარმოს (ბიზნესის) გაყიდვის დროს კანონი გასული პარტნიორის პასუხისმგებლობის გარკვეულ წესს ადგენს, რთულია არგუმენტების მოძებნა, რომ ყველა სხვა შემთხვევაში, ყოფილ პარტნიორს სრული პასუხისმგებლობა დავაკისროთ. ასეთ შემთხვევაში, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შემთხვევებში ყოფილი პირადად პასუხისმგებელი პარტნიორი საზოგადოების ვალდებულებებისათვის „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 8.3 მუხლისწესით (8.3-8.5 მუხლებისანალოგიით) უნდააგებდესპასუხს[2]

ასევე სერიოზულ პრობლემად მიგვაჩნია პარტნიორის გარიცხვის პროცედურაში სასამართლოს ფუნქციური „სისუსტე“, პრატიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მოსამართლე არ ახდენს გარიცხვის საფუძვლის ფუნდამენტალურ შესწავლა/შეფასებას და ერთგვარად პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების ფორმალურ „დამმოწმებლად“ გვევლინება.გარდა ამისა, აუცილებლად ყურადღება უნდა გამახვილდეს მიზეზობრივ კავშირზეპარტნიორის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პარტნიორის გარიცხვისას.

ვფიქრობთ წარმოდგენილ სტატიაში დასმული პრობლმა მეტად საყურადღებოა და მოითხოვს უფრო მეტ კვლევას. მოცემულ ეტაპზე კი აუცილებლად მიგვაჩნია გატარდეს გარკვეული ღონისძიებები, კერძოდ: „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა მოაწესრიგოს საწარმოს პარტნიორის გარიცხვის წესი; საწარმოს წესდებაში სავალდებულოდ მოხდეს პარტნიორის გარიცხვის საფუძვლების თუნდაც ზოგადი მითითება; მოსამართლეებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ პარტნიორთა გარიცხვის შესახებ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების შეფასებისას და მოითხოვონ წონადი არგუმენტები რაც თავისთავად შეამცირებს სასამართლო დავათა რიცხვს.

[1] Schawrtz J.,Good Faith in Partner Expusion: Application of a Contract Law Paradigm. Orange:Chapman Law Review, 9 Chap. L.Rev.1, 2005,p. 4.

[2] ამ თვალსაზრისით საინტერესო და მეტად ინფორმაციულია გიორგი ჯუღელის სტატია „ყოფილი პირადად პასუხისმგებელი პარტნიორის პასუხისმგებლობა ქართულ საკორპორაციო სამართალში“ http://aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=5&mas=1793.

Issues Related to the Exclusion of a Partner from the Enterprise in Corporations Law of Georgia

Ketevan Kokrashvili
Lasha Gorgadze

Summary

Recently there have been made significant changes in Corporations Law of Georgia, especially it was occurred in the Law of Georgia on Entrepreneurs. Most of the amendments have positively reflected in the entrepreneurial practice, though some issues require more attention taking into account the court practice and introduction of legislative regulation or improvement of existing regulation as well. One of such issues is the issue of exclusion of a partner from the enterprise.

The Law of Georgia on Entrepreneurs represents only one case of exclusion of a partner, namely, according to the Article 3, paragraph 7, the partners may determine the manner and timeframe for making a contribution by each partner. If a partner fails to make an agreed contribution before the timeframe expires, the partner shall forfeit his/her share as well as any profits of the partially fulfilled obligations, unless otherwise provided for in the Charter. This is the case when the decision of the partners for expellinga partner from the partnership does not require the judgement of the court, it is in the force from the moment of adoption of decisions and requires registration in the public registry. The Law does not consider any other grounds for exclusion of a partner, which often leads to the exclusion based on subjective grounds or the deficiency of a partner's exclusion procedure (breach). In this regard, the article considers comparative legal analysis of legislative and court practices, providing appropriate conclusions and specific recommendations as well.

დანაშაულის ფსიქოლოგია და პრევენცია

ჩაჩანიძე გიორგი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

კრიმინალური ფსიქოლოგიის ღრმა შესწავლა და კვლევა მოგვცემს საშუალებას უფრო ზუსტად გავაანალიზოთ კრიმინალური ქცევა, მოტივი და შევიმუშაოთ პრევენციის მექანიზმები, რათა დავეხმაროთ გამოძიებას დამნაშავის საიდენტიფიკაციო მექანიზმების სრულყოფაში, რაც ხელს შეუწყობს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი გამოძიების პროცესში.

აგრეთვე, აუცილებლად ვთვლი საკითხის პრობლემატურობის და აქტუალობის ხაზგასმას საგანმანთლებლო დაწესებულებებში, მოზარდთა შორის დანაშაულის შემცირების მიზნით, რაც სამწუხაროდ ჩვენი რეალობის აქტუალური ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: დანაშაული, დანაშაულის ფსიქოლოგია, პრევენცია, კრიმინალური ფსიქოლოგია.

ძირითადი ტექსტი

დანაშაულობა ინდივიდუალური წარმომავლობისაა, იგი უშუალოდ მიზნობრივადაა დამოკიდებული სოციალურ პროცესებზე. ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ადგილობრივი გარემოებებით, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში და სხვადასხვა ქვეყნებში დანაშაულობის ფორმები განისაზვრება კონკრეტული სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ, რაც ცალსახად განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არის სხვადასხვა მიდგომები დანაშაულებრივისა და არა დანაშაულებრივის მიმართ.

დანაშაულობა ისტორიულად ცვალებადი მოვლენაა. საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, მისი სოციალურ-ეთიკური, იდეოლოგიურ-პოლიტიკური, ორგანიზაციულ-მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ობიექტური მიზეზების გამო, ასოციალური ქმედებანი თვისებრივად და ხარისხობრივად იცვლება.

პრობლემის აქტუალობა გამოიხატება იმაში, რომ დანაშაული, როგორც ადამიანური ქცევის აქტი და კონკრეტული პირის ნების გამოვლინება, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინდივიდის ხასიათის თვისებებისა და თავისებურებებზე. დამნაშავის პიროვნება შეისწავლება სისტემური მიდგომით, რაშიც გათვალისწინებულია მისი სოციალურ-დემოგრაფიული და სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი. დამნაშავის პიროვნების გამოყოფა სხვა დანარჩენი მოსახლეობისაგან ხორციელდება ორი ძირითადი კრიტერიუმით: იურიდიულითა და სოციოლოგიურით (სოციალურ-ფსიქოლოგიურით), იურიდიული კრიტერიუმიდან გამომდინარე, დამნაშავის პიროვნება განსაზღვრულა როგორც პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით გათვალისწინებული ქმედება დანაშაული. დამნაშავის პიროვნების ამგვარი განსაზღვრება, ბუნებრივია, ატარებს ფორმალურ ხასიათს. ამდენად, იურიდიული კრიტერიუმი უნდა შეივსოს სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური კრიტერიუმით, რომელთა შესაბამისობაში გამოიკვეთება დამნაშავის პიროვნებისათვის დამახასიათებელი სოციალური მიმართულება, ესა თუ ის ორიენტაცია, ან სულ მცირე განსხვავებული ასოციალური ბუნება. ეს შეეხება არა მარტო პოტენციურ დამნაშავეებს, არამედ ე. წ. „შემთხვევით დამნაშავეებს“ და იმ პირებსაც, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს აფექტის მდგომარეობაში, ან გაუფრთხილებლობით. ამასთან, ის პირები, რომელთაც ჯერ არ ჩუდენიათ დანაშაული, თუმცა, მათი ასოციალური შეხედულებები და ჩვევები, გამოვლენილი ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენაში, საფუძველს იძლევა ვარაუდისთვის, რომ აზრით, დამნაშავის პიროვნებაში კრიმინოლოგიური გაგებით, იგულისხმება არა პირი (ან პირთა

კატეგორია), რომლებიც სჩადიან არჩადენილი აქვთ სისხლის სამართლებრივი დანაშაული, არამედ ზოგადად კანონდამრღვევები და დევიანტური თვისებების მქონე ინდივიდები.

დანაშაულობა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით თანდათანობით და ეტაპობრივად იზრდება იმის განურჩევლად, თუ რომელი საზოგადოებრივი სისტემაა ამა თუ იმ სახელმწიფოში. მეცნიერ-კრიმინოლოგების აზრით, ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს დანაშაულობის შემცირებაზე ან შეწყვეტაზე. სამწუხაროდ, ყოველივე მიმართულია კაცობრიობის თვითგანადგურების ტენდენციისაკენ.

დანაშაული, როგორც გლობალური პრობლემა, ასევე მწვავედ გამოიხატება საქართველოშიც. მათი უმრავლესობა ეკონომიკური და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის იხდის სასჯელს, ასევე მაღალი (სტატისტიკის მიხედვით) მაჩვენებლებით ხასიათდება ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

დანაშაულის ჩადენის კანონზომიერებებსა და მექანიზმებს, დანაშაულის ფსიქოლოგიურ ასპექტებს, დამნაშავე პიროვნების ტიპოლოგიებს და დამნაშავეობის პრევენციული მეთოდების შემუშავებას, შეისწავლის კრიმინალური ფსიქოლოგია. მისი როლი დანაშაულის კვლევაში ძალზედ მნიშნელოვანია, ვინაიდან დანაშაულს ჩადის ინდივიდი, პიროვნება, რომელიც თავისი ბუნებით სოციალურია და ემორჩილება საზოგადოებრივ მოთხოვნებს, თუმცა, არსებობს სოციალური დეფექტები, რაც ანტისაზოგადოებრივი ქმედებების სახით გვევლინება, ამგვარი ხარვეზები აისახება პიროვნების ფსიქიკაზე, რაც შემდგომ დანაშაულებრივ ქმედებებს იწვევს, ყოველივე ზემოაღნიშნული კი სოციალურ მეცნიერების შესწავლის საგანია, კერძოდ, ფსიქოლოგიის.

სწორედ ამიტომ, საკვლევი თემა მიზნად ისახავს:

- დანაშაულის ფსიქოლოგიური სტრუქტურის მაფორმირებელი კომპონენტების წარმოშობის მიზეზების გაანალიზებას და მათი ლიკვიდაციის გზების დასახვას;
- დანაშაულის მოტივის და მიზნების შესწავლას;
- დანაშაულებრიობის სოციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევას;
- კრიმინალური ქცევისა და დელიკვენტობის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლას;
- დევიაციური ქცევის ანალიზისა და თეორიების შესწავლას;
- და ბოლოს, პრევენციული მექანიზმების შემუშავებას.

პიროვნების სოციალიზაციის პროცესში ადგილი აქვს გადახრებსა და დეფექტებს, რომლებიც ზემოქმედებენ პიროვნების ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე, რაც კანონსაწინააღმდეგო ქცევებში აისახება და ვლინდება. ესაა აღზრდის, სოციალური ოლების შესრულების მოთხოვნილებათა სისტემის, სოციალურ გამოცდილების ათვისებისა და სოციალური კონტროლის დეფექტები.

პიროვნების სოციალიზაციის ეს დეფექტები იწვევენ პიროვნების სოციალურ დეგრადაციას, ქრება საზოგადოებრივი ინტერესები და სოციალურ ფუნქციის შესრულების ყოველგვარი სურვილი. ეს მოვლენები ხელს უწყობს პიროვნების ანტისოციალური განწყობების ჩამოყალიბებაში, რაც გამოიხატება კონფლიქტურ სიტუაციებში და შემდგომ გადაიზრდება დანაშაულში.

დანაშაულის ფსიქოლოგიური სტრუქტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მოტივი და მიზანი. დანაშაულებრივი ქცევის მოტივის არჩევის დროს ხდება შეფასება პიროვნული და საზოგადოებრივი პოზიციებიდან და არჩევანი პიროვნების უფრო ღირებულებით და ძლიერ მოტივებზე ჩერდება.

მოტივი არის ქცევაში. კანონსაწინააღმდეგო ქცევის მოტივის არჩევა არის დანაშაულებრივი ქცევის საფუძველი. მოტივის მიღება ხდება ჩვეულებრივ და ექსტრემალურ სიტუაციებში, მაგალითად, ისეთი დანაშაული, როგორიცაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება თანამდებობის ბოროტად გამოყენების გზით, გამორიცხავს ექსტრემალ-

ურ სიტუაციას, რომელიც მოითხოვს უკიდურეს ფსიქიკურ დაძაბულობასა და აღელვებას. ასეთი დანაშაულებრივი ქცევა ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მშვიდ სიტუაციაში, მოფიქრებულად.

ექსტრემალურ სიტუაციაში ჩადენილი დანაშაულის მოტივი შეფერილია ემოციურ-სტრესული ელფერით და ძლიერი აღელვების დროს ხდება გადაწყვეტილების მიღება სწრაფად. მაგალითად, მკვლელობა, ხულიგნობა, გაუპატიურება, სხეულის დაზიანება.

დანაშაულის მიზნები ყალიბდება მისი მიღწევის შესაძლებლობების მიხედვით. დანაშულის მომზადების ეტაპზე, დამნაშავე აანალიზებს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობებს. მომზადების წარმატებულობა ამტკიცებს დამნაშავის განწყობას დანაშაულის ჩადენაზე. მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა იცვლება, სუსტდება შიშის გრძნობა და მტკიცდება წარმატებაში დარწმუნებულობის გრძნობა.

კრიმინოლოგიაში არსებობს დანაშაულის განსაზღვრის რამდენიმე მიდგომა მათში ასახული ავტორთა ფილოსოფიურ შეხედულებათა, სოციოლოგიური სკოლებისა და მიმართულებების, სამართლებრივ და რელიგიურ წარმოდგენათა გავლენა. თითქმის ყველა მეცნიერულ ნაშრომში ხაზგასმულია დანაშაულობის ისტორიულობისა და სოციალურ ბუნების გათვალისწინების პრიორიტეტულობა. მაგრამ, მიუხედავად შემოთავაზებული მიდგომათა მრავალფეროვნებისა, ამ ეტაპზე კრიმინოლოგებს არ ძალუძთ ცალსახად განმარტონ დანაშაულობის ცნება.

კრიმინოლოგიური შეხედულებით, რეალობაში არ არსებობს ისეთი ქმედება, რომელიც თავისთავად, შინაგანად იყოს დანაშაულებრივი, დანაშაულის, როგორც ინდივიდუალურ ქცევით აქტს და დანაშაულობას როგორც სოციალურ ფენომენს არ აქვს ბუნებრივი, არსებითად განსაზღვრული ნიშნები სოციალურ სინამდვილეში, იგი მხოლოდ კრიმინალური პოლიტიკის შედეგია, მაგრამ ისმება კითხვა: რატომ ჩადის ინდივიდი დანაშაულს? ამიტომ აუცილებელია გამოვიყენოთ ფსიქოლოგიური ანალიზი. შესწავლილ იქნას დანაშაულის ჩამდენი პირის პიროვნული თავისებურებები. დამნაშავის პიროვნება წარმოადგენს ინდივიდის ტიპოლოგიური ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებენ მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას. მისი შეფასებისას აუცილებელია ცხოვრებისეული სტრატეგიის გამოვლენა. დანაშაულის მოტივაცია ყალიბდება დამნაშავის ნეგატიური პიროვნული ნიშან-თვისებებით დამნაშავეთა უმრავლესობის მოთხოვნილებები ატარებენ მკვეთრად დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც სრულიად განსხვავდება სოციალიზებული პიროვნების მოთხოვნილებებისაგან.

დამნაშავის ქცევის მექანიზმების გასაგებად აუცილებლია გავეცნოთ დამნაშავის პიროვნების ტიპოლოგიას. აღინიშნება დამნაშავის სამი ტიპი: ანტისოციალური, ასოციალური და დამნაშავის ტიპი ფსიქიკური თვითრეგულაციის დეფექტებით.

თანამედროვე მოაზროვნენი მიიჩნევენ და სრულად ვიზიარებ, რომ დამნაშავის პიროვნების ღრმა ფსიქოლოგიური შესწავლა ხელს უწყობს დანაშულის სუბიექტის და დანაშაულის სუბიექტური მხარეს სწორად დადგენაში კონკრეტული დანაშაულის მიზეზისა და მოტივის დადგენაში. მეცნიერ-მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ ისინი არიან განსაკუთრებული ფენომენები და უფრო ავადმყოფები არიან, ვიდრე დამნაშავეები და თავიანთ ახსნაში ცდილობენ ბიოლოგიური სპეციფიკის მოძებნას, ხოლო მეორე ნაწილი უარყოფს ბიოლოგიურ ახსნას და თვლის, რომ დანაშაული ძირითადად გარემოს შედეგია. რომ დამნაშავე არ იბადება, ის დამნაშავედ იქცევა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების გავლენით და უნდა აიხსნას უფრო სოციალურ და ფსიქოლოგიური მიზეზებით, ვიდრე ბიოლოგიურით, ხოლო დანაშაულის ჩახშობის გზები ვეძიოთ უფრო მორალურ სფეროში, ვიდრე ეს ფიზიკურში.

საკითხი დღესაც აქტუალურია და დავა მიმდინარეობს, რომ დანაშაული ჩაითვალოს კრიმინოლოგიის საგნად, როგორც კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, თუ დელიკვენტური

ქცევად. ეს უკანასკნელი კი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე დანაშაული, რადგან გულისხმობს სამართლის დარღვევის ფსიქოლოგიურ ტენდენციას, რომელიც მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, ისტორიის მეცნიერებაში აპრობირებული ყველა ხერხის გამოყენებით.

Psychology of crime and prevention

Giorgi Chachanidze

Summary

The study and research of criminal psychology will enable us to analyze the criminal behavior, motivation and create preventions mechanisms to assist an investigation in improving identification mechanisms of a criminal that will help the law enforcement agencies in further investigations.

I consider that the problem and the importance of this topic needs to be highlighted in educational institutions in order to reduce the crime among adolescents, which is unfortunately issue of the day.

Key words: *crime, criminal psychology, psychology of crime prevention.*

რეკლამისადმი ყურადღების მიპყრობის ფსიქოლოგიური ასპექტები

ჭიაურელი ვანო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

სტრელკოვა რუსუდან
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

რეკლამისადმი ყურადღების მისაპყრობად გაარკვეული ფსიქოლოგიური ასპექტები უნდა იყოს მიღებული მხედველობაში.

ძირითადი ასპექტები, რომლებიც მომხმარებელს ზოგადად უფრო მგრძნობიარესა და ყურადღებიანს ხდიან იმ რეკლამისადმი, რომელსაც ისინი უყურებენ, არის შემდეგი: საქონლის გაყიდვის უნიკალური წინადადება, განმეორებადობა, ინტენსიურობა, მოძრაობა, კონტრასტი, ზომა და ემოციები.

საკვანძო სიტყვები: *რეკლამა, განმეორებადობა, ემოციები, კონტრასტი, ფერი, ზომა.*

ძირითადი ტექსტი

მომხმარებლის მიერ რეკლამის აღქმა ხდება უნებლიე ყურადღების მეშვეობით. ასეთი ყურადღება ხასიათდება გარკვეული მიზნის არქონით. ამის გამო ის მალე ქრება. გამყიდველს ასეთი რამ არ აწყობს, რადგან მისი მიზანია საქონლის გაყიდვა. იმისათვის, რომ რეკლამა შემჩნეული იქნას, უნებლიე ყურადღება უნდა გადაიქცეს ნებისმიერად, რომელიც მიზანმიმართულებით გამოირჩევა: მომხმარებელი მოცემულ სარეკლამო ინფორმაციას გამოარჩევს საერთო მასისაგან და მას სურვილი უჩნდება უფრო დაწვრილებით გაეცნოს მის შინაარსს. ყურადღების ტრანსფორმაცია მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც რეკლამა მომხმარებლის ყურადღებას იპყრობს თავისი მნიშვნელობით და მისი ხასიათის ემოციურ მხარეებს ეხება. მომხმარებელს უჩნდება სურვილი დაწვრილებით გაეცნოს რეკლამს და ნახოს საქონელი.

ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეიძლება შედარებით დიდხანს გაგრძელდეს. წარმოიდგინეთ, რომ ხართ ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი. მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ იმართება. ამ დროს დაგირეკათ თქვენმა უფროსმა და გთხოვათ სასწრაფოდ გარკვეული სამუშაოს შესრულება. როგორ მოვიქცეთ? ამ დროს სილქნეტი გთავაზობთ ტელეგადაცემების ნახვას უკან დაბრუნების (გადახვევის) რეჟიმში / თქვენთვის სასურველ დროს. მსგავსი რეკლამა აუცილებლად მიიქცევს თქვენს ყურადღებას და უნებლიე ყურადღება გადაიქცევა ნებისმიერად და გიბიძგებთ გადაწყვეტილების მიღებაში სილქნეტის სასარგებლოდ.

რეკლამისადმი ყურადღების გამახვილების მისაღწევად საჭიროა შემდეგი მეთოდების გამოყენება: უნიკალური სავაჭრო შეთავაზება, განმეორებადობა, ინტენსიურობა, მოძრაობა, კონტრასტულობა, ზომა, ემოციურობა.

განვიხილოთ ეს მეთოდები თანმიმდევრულად.

უნიკალური სავაჭრო შეთავაზებაში იგულისხმება ისეთი შეთავაზება, რომელსაც თქვენი კონკურენტი ვერ მოიფიქრებს. შეფასებას უნდა ჰქონდეს კრეატიული ხასიათი, შეიცავდეს სიახლეს და ობიექტური მიზეზების გამო, კონკურენტს არ უნდა მიეცეს საშუალება, მომხმარებელს ანალოგიური შეთავაზება გაუკეთოს. ასეთნაირად შეთავაზება შეიძლება გახდეს უნიკალური.

სარეკლამო განცხადება – არ უნდა იყოს უბრალოდ სიტყვებისა ერთობლიობა, რომელიც საქონლის ქებას ემსახურება. რეკლამამ ყველა მომხმარებელს უნდა მიაწვდინოს

შთავაზების არსი. საქონლის ყიდვით მომხმარებელი არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებას იკმაყოფილებს, არამედ იღებს გარკვეულ სარგებელს.

ამრიგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ უნიკალური შეთავაზების დახასიათება: უნიკალური შეთავაზება არის თქვენი შეთავაზების განმასხვავებელი მახასიათებელი, რომელიც ეხმარება საქონლის წინ წაწევას და რეალიზაციას, ამავე დროს არის ორიენტირებული მყიდველის ფართო წრეზე.

უნიკალური შეთავაზების ფორმულირება იწყება საქონლის პოზიციონირებით. პოზიციონირება გვიჩვენებს იმას, თუ რა სახის მომხმარებელზე (სქესი, ასაკი, განათლება, პროფესია, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, შემოსავლების დონე, ცხოვრების სტილი, ეროვნება და ა.შ.) არის გათვალისწინებული საქონელი.

ამის მიხედვით უნდა მოხდეს უნიკალური წინადადების პოზიციონირება კონკრეტულ მომხმარებელზე. საქონლის სწორი პოზიციონირება საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ უნიკალური შემოთავაზება. ყველაზე მთავარი, შეიძლება ითქვას, უნიკალური შემოთავაზების ოქროს წესია, როდესაც შენ თავს აყენებ იმ კლიენტის ადგილას, რომლისთვისაც კეთდება რეკლამა. საკუთარ თავს უნდა დაუსვათ შეკითხვა: „მე თუ დავინტერესდებოდი ამით“. საქონელს უნდა შევხედოთ არა ბიზნესმენის თვალით, რომელსაც მისი გაყიდვა სურს, არამედ იმ კლიენტების თვალით, რომლებსაც მისი ყიდვა მოუნდებათ. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი უნიკალური შემოთავაზების ფორმულირება. დიდი წარმატებები ბაზარზე ხშირად განპირობებულია საქონლის ზუსტი პოზიციონირებით და რეკლამაში უნიკალური შემოთავაზების წარმატებული ფორმულირებით.

თუ მოხდება საქონლის სწორი პოზიციონირება და უნიკალური შემოთავაზების წარმატებული ფორმულირება, მაშინ შესაძლებელი გახდება ნებისმიერი საქონლის გაყიდვა და საკუთარი მყიდველის პოვნა. ამის კარგი მაგალითია, ცნობილი ფირმების სარეკლამო კამპანიები, როდესაც გარკვეული სარეკლამო სლოგანი, მაგალითად: „ჩვენ ვზრუნავთ თქვენს ჯანმრთელობაზე“ თანდათანობით კარგავს ეფექტურობას და საჭირო ხდება მისი ახალი სლოგანით ჩანაცვლება.

სამწუხაროდ, დღევანდელი რეკლამის სპეციალისტები ხშირ შემთხვევაში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ უნიკალური შემოთავაზების მნიშვნელობას. მაგალითისთვის შორს წასვლა არაა საჭირო. საიდუმლო არ არის, რომ საოფისე ტექნიკა იმითაა მოსახერხებული, რომ თავის თავში ითავსებს რამდენიმე ფუნქციას: ასლის გადამღები, სკანერი და პრინტერი ერთ აპარატში. „სამი ერთში“ – წინადადებამ დაკარგა თავისი უნიკალურობა. ამიტომ მომხმარებლისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ვინ გთავაზობს, რადგანაც ეს ქმნის სირთულეებს არჩევის დროს. ამიტომ საჭიროა მივმართოთ სხვა ტაქტიკას. უნდა გავიგოთ, რა არის ყველაზე უფრო მთავარი შემოთავაზებულ საქონელში. საოფისე ტექნიკა, რომელიც სამ ფუნქციას ითავსებს მოსახერხებელია საოფისე პირობებში, მაშასადამე, აქცენტი სწორედ ამაზე უნდა გაკეთდეს და ძველი სლოგანი უნდა შეიცვალოს ახლით: „მთელი ოფისი – ერთ მანქანაში“.

რეკლამაში ნებისმიერი შემოთავაზება კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული, მაგალითად, ფრაზა „ხარისხი თქვენ სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ“ ძალიან ზოგადია და მოკლებულია კონკრეტიკას, რამაც მომხმარებელში შეიძლება გამოიწვიოს უნდობლობა. კონკრეტული შემოთავაზების არქონა აღიქმება როგორც უბრალო დაპირება.

უნიკალური შემოთავაზების აუცილებელი მახასიათებელია რეკლამაში განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და სიმარტივე. ფსიქოლოგიურად ეს ასე აიხსნება: პოტენციური მომხმარებელი ისმენს რა რთულ ინფორმაციას, იწყებს სარეკლამო ინფორმაციის მოფიქრებას და გააზრებას. ამის შემდეგ, მომხმარებლის ყურადღება უნებლიედ გადადის სხვა საგნებზე და შესაბამისად რეკლამა აღარ რჩება პოტენციური მომხმარებლის მეხსიერებაში.

სატელევიზიო რეკლამაში ხშირად იხმარება ისეთი სიტყვები და ცნებები, რომლებიც

ბევრი ადამიანისათვის გაუგებარი რჩება. ან ისეთი შეთავაზებები, რომლებიც მომხმარებლისთვის მოსახერხებელია, მაგრამ საჭიროებს სპეციალურ მათემატიკურ გათვლებს, რაც ასევე უქმნის მას სირთულეს.

ადამიანი უკეთესად იმახსოვრებს გზავნილის სიტყვების პირველ 4–5%–ს და ბოლო 15-20%. ამიტომ უნიკალური შემოთავაზება უმჯობესია განთავსდეს რეკლამის დასაწყისში და არა ბოლოსა და განსაკუთრებით შუა ნაწილში. იმისათვის, რომ უნებლიე ყურადღება ტრანსფორმირდეს ნებისმიერში, ხოლო მეხსიერება მოკლევადიანიდან გრძელვადიანში, უნიკალური შემოთავაზება უნდა განთავსდეს რეკლამაში სამჯერ: დასაწყისში, შუაში და ბოლოში.

ასევე მიუღებელია უნიკალური შემოთაზების სუცეფცია ანუ სესხება. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გაყიდვებზე. როგორც წესი, მომხმარებელი ქვეცნობიერ დონეზე აერთიანებს ორივე რეკლამას. კონკურენტის საქონელი შეიძლება არ იყოს ხარისხიანი. ამიტომ მომხმარებელს თუ ერთხელ მაინც აქვს ნაყიდი თქვენი კონკურენტის საქონელი, მისი რეკლამის ისევე, როგორც თქვენი რეკლამისადმი გაუჩნდება უარყოფითი დამოკიდებულება. ასევე არ ღირს ცნობილი კომპანიების და ბრენდების რეკლამის გამოყენება. ასეთმა რეკლამამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თქვენს ავტორიტეტზე. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ უცხოური რეკლამა არის ორიენტირებული იმ ხალხის მენტალიტეტზე, რომელსაც ის ეკუთვნის.

სწორად წარმართული პოზიციონირებისათვის მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს იმ ადამიანის სტატუსი, რომელზეც არის გათვლილი ეს რეკლამა. აქ გასათვალისწინებელია ასაკი, განათლება, ცხოვრების სტილი, ოჯახური მდგომარეობა, სოციალური სტატუსი და ა.შ. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა: „როგორ შევათავსოთ ერთ რეკლამაში უნიკალური შემოთავაზება ასეთი განსხვავებული ადამიანებისათვის?“ აუცილებელია გაკეთდეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სარეკლამო შეტყობინება, რომლებიც ამა თუ იმ პოტენციური მომხმარებლისათვის იქნება მიმართული.

მაგალითად, ანტიპერსპირანტების „რექსონას“ რეკლამა ორიენტირებულია არა მხოლოდ ქალბატონებისათვის (ბიზნეს–ქალბატონებისათვის, სპორტსმენი ქალბატონებისათვის, თინეიჯერი გოგონებისათვის), არამედ მამაკაცებისათვის.

შემოთავაზების უნიკალურობა იმის უნდა განისაზღვროს, რომ მისმა კრეატიულმა ნაწილმა მყიდველი უნდა განაწყოს არა სხვა საქონლის, არამედ მხოლოდ ამ საქონლის ყიდვაზე.

როდესაც საუბრობენ სარეკლამო შეტყობინების ეფექტურობაზე, ყოველთვის გულისხმობენ რეკლამის განმეორებადობას. იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად მეორდება რეკლამა არის დამოკიდებული სარეკლამო კამპანიის წარმატება. რაც უფრო ხშირად აქვს შეხება ადამიანს ამა თუ იმ რეკლამასთან, მით უფრო მყარად მკვიდრდება ის მის ცნობიერებაში. პირველი შეხვედრისას ადამიანი ვერ ამჩნევს სარეკლამო შეტყობინებას, მეორე შეხვედრის დროს პოტენციური მყიდველი შეამჩნევს მას. რეკლამასთან მესამე და მეოთხე შეხვედრა მომხმარებელს აიძულებს წაიკითხოს, მოისმინოს, ნახოს რეკლამა, ხოლო შემდეგ გაიაზროს მიღებული ინფორმაცია. რეკლამასთან ყოველი შემდეგი შეხვედრა მომხმარებელს აიძულებს სხვებს გაუზიაროს მისი აზრები საქონლის შესახებ, იფიქროს მის ყიდვაზე და საბოლოოდ იყიდოს იგი.

ეს კანონზომიერება ახსნადია: ადამიანის ფსიქოლოგია ისეთია, რომ თუ არ გააღვიძებ ინტერესს საგნისადმი, შესაბამისად, ვერ შეძლებ ყურადღების მიპყრობას მისადმი, ხოლო ინტერესი შეიძლება გამოიწვიოს ან რაიმე ახალმა ნივთმა და მოვლენამ, ან ადამიანის ყურადღებაზე მრავალჯერადმა ზემოქმედებამ. თუ ყურადღება უკვე მიპყრობილია, მასზე ზემოქმედება არ უნდა შეწყდეს, რადგანაც როგორც ყურადღება, ასევე ინტერესი შეიძლება გაქრეს.

ამასთან დაკავშირებით პრაქტიკაში ხშირად მოსდით შეცდომები. სარეკლამო კამპანიამ ფურორი მოახდინა, შესაბამისად, შესაძლებელია მოდუნება და წარმატებით ტკბობა. ასე მოქცევა შეუძლებელია! წარმოადგინეთ ასეთი რამ, იყო რეკლამა, რომელმაც გამოიწვია დიდი აჟიოტაჟი. გაყიდვებმა არნახულ შედეგებს მიაღწია. რეკლამა მინელდა, დაცხრა და გაქრა. ამ დროს, თქვენი კონკურენტი იწყებს მძლავრ სარეკლამო კამპანიას და უფრო დიდ წარმატებას აღწევს იმის გამო, რომ ბაზარზე აღარ არის ის რეკლამა, რომელიც ყურადღებას იქცევდა თქვენი საქონლისადმი. ამის დასადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს კოკა–კოლა, მერსედესი და ა.შ.

ერთი საქონლის რეკლამის ხშირი ცვლა ტექსტის, ვიზუალური მხარის და ზოგადი სტილის მთლიანი ცვლილებით, დამღუპველი შეიძლება გახდეს სარეკლამო კამპანიისათვის. ამიტომ რეკლამის შეცვლით შეიძლება გავწყვიტოთ ის ძაფი, რომელიც ჩვენ მყიდველთან გვაკავშირებს.

რეკლამაში დიდი მნიშვნელობა აქვს დინამიკას. უპირველეს ყოვლისა, დინამიკა მომგებიანია სატელევიზიო რეკლამაში. ეს გასაგებიცაა, რადგან სატელევიზიო სარეკლამო რგოლში დინამიკა იოლი საჩვენებელია. მაგრამ სატელევიზიო სარეკლამო გზავნილს გააჩნია თავისებურებები, საქონლის უბრალო ჩვენება ყურადღებას არ მიიპყრობს. აუცილებელია კადრების ხშირი ცვლა, იმდენად ხშირი, რომ მომხმარებელმა მოასწროს შეტყობინების არსის „დაჭერა“, მაგრამ არ გადაღალოს თავისი ყურადღება თქვენი რგოლის ყურებით. გამოიყენეთ კაშკაშა ხატოვანი სახეები. დინამიურ რეკლამაში ხატოვნება და სიკაშკაშე ქმნის საზეიმო განწყობილებას.

შედარებით უფრო რთულია დინამიკის გამოყენება რეკლამის სხვა სახეებში. ბეჭდვით რეკლამაში შეიძლება გამოვიყენოთ ე.წ. „გაშეშებული ხატება“. რეკლამაში ბეჭდვით ტექსტთან ერთად უნდა განთავსდეს ფოტოგრაფია ან ნახატი, რომელშიც აისახება რეკლამის ფრაგმენტი. ადამიანს აბსტრაქტული აზროვნების მეშვეობით შეუძლია გაიზაროს და დაამთავროს იქ აღწერილი სიტუაცია.

რადიორეკლამაშიც არის შესაძლებელი გზავნილის დინამიურობის გამოყენება. როგორც წესი, ამას აღწევენ ბგერების გამოყენებით (ბოთლის გახსნა, მუხრუჭების ხმა და ა.შ.). გამოიყენება ასევე კითხვა-პასუხის ფორმა. დიქტორი სვამს კითხვას, რომელიც აინტერესებს მომხმარებელს და იქვე პასუხობს მას. კითხვა ყოველთვის ისეთ მდგომარეობაში აყენებს ადამიანს, რომ მასზე უნდა გაეცეს პასუხი. ხოლო როდესაც პასუხი მიღებულია, ადამიანს კმაყოფილების განცდა ეუფლება. ასეთნაირად არის შესაძლებელი რეკლამისადმი ყურადღების მიპყრობა.

რეკლამა უნდა გამოირჩეოდეს ფერების და სახეების კონტრასტულობით. კარგად შერჩეულ ფერს შეუძლია 26%-ით გაზარდოს რეკლამის დამახსოვრების ხარისხი შავ-თეთრ რეკლამასთან შედარებით, ხოლო ოთხი ფერით დაბეჭდილი რეკლამა შავ-თეთრზე 69%-ით უფრო შესამჩნევია. შრიფტი არ უნდა იყოს ზედმეტად მომრგვალებული და შეცვლილი. ყოველთვის უმჯობესია, რომ შრიფტი იყოს სადა და ადვილად წასაკითხი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კონტრასტულობის მთავარი მოთხოვნაა – რეკლამა უნდა გამოირჩეოდეს იმ ფონზე, რომელზეც ის არის განთავსებული.

რეკლამის ზომა არის სარეკლამო გზავნილის კონტრასტულობის ყველაზე უფრო უბრალო და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი მომენტი. გამოკვლევებით დგინდება, რომ ბეჭდვით გამოცემაში რეკლამა მაშინ არის უფრო ეფექტური, როდესაც იგი თავისი ზომით გამოირჩევა სხვა სახის ინფორმაციისაგან.

რეკლამა უფრო შესამჩნევი ხდება, როდესაც მისი განთავსების ადგილი სწორად არის შერჩეული. თუ რეკლამა განთავსებულია ბეჭდვითი გამოცემის მარჯვენა ზედა კუთხეში, ეფექტურობა შეადგენს 33%-ს, მარცხენა ზედა კუთხეში – 28%-ს, ქვედა მარჯვენა კუთხეში – 23%-ს, ქვედა მარცხენა კუთხეში – 16%-ს. ყოველ რეკლამას უნდა ახლავდეს ემოციურო-

ბა, ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ რეკლამა მხოლოდ დადებით ემოციებს იწვევდეს. ადამიანის ფსიქიკა ისაეთნაირადაა მოწყობილი, რომ დადებითი ემოციები დამახსოვრების პროცესს აუმჯობესებენ, ხოლო ნეგატიური შინაარსის რეკლამები – ამცირებენ 70–75%-ით.

ემოციურობა ეფექტური რეკლამის აუცილებელი ატრიბუტია. თუ რეკლამა არ იმოქმედებს მომხმარებლის ემოციებზე, მაშინ ის მარცხს განიცდის კონკურენტებთან ჭიდილში. ემოცია მამოძრავებელი ძალაა ადამიანის ქმედებებში. იმისაგან, თუ რამდენად ემოციურია რეკლამა, არის დამოკიდებული მისი წარმატება. მაგრამ ეს წესი მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც მომხმარებელი რეკლამისაგან ელოდება ემოციურობას.

Psychological aspects that draw attention to advertising

Vano Chiaureli
Rusudan Strelkova

Summary

To draw people's attention to advertising, certain psychological aspects should be taken into consideration.

The following are the main aspects that make viewers generally more responsive and attentive to an ad they watch. These are: Unique Selling Proposition, Repetitiveness, Intensity, Motion, Contrast, Size and Emotions.

Key words: *advertisement, repetitiveness, emotions, contrast, color, size.*